ISSN 0132—599 X
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

# 7

1986

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 62-ე | № 7 | ივლისი, 1986 წ.

საქართველოს სახალხო მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### პროზა, პოეზია


ოთარ ჭელიძე — დედას. ლექსი . . . . . 3
ჯემალ ქარჩხაძე — ზებულონის სიკვდილი. მოთხრობა . . . . . 5
გივი ალხაზიშვილი — სიტყვების მოლოდინი. ლექსი . . . . . 69
მირიან მირნელი — ლექსები . . . . . 72
ზურაბ გოგია — ლახტი. მოთხრობა . . . . . 74
ნოდარ ადეიშვილი — ლექსები . . . . . 84
ვაჟა ხორნაული — ლექსები . . . . . 87
გივი მაღულარია — რამეთუ ეწოდა ზარზმა. რომანი. დასასრული . . . . . 89


### კრიტიკა, პუბლიცისტიკა


ლაშა იმედაშვილი — თანამედროვე ქართული ლირიკული პოემის პრობლემატიკა . . . . . 122
ვახტანგ ბერიძე — კვლავ ადრექრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ . . . . . 134


### მეცნიერება


გურამ ბარნოვი — წარმართული „რენესანსის“ გამო . . . . . 157
ოთარ ტყეშელაშვილი — თბილისის წარმოქმნა-განვითარება . . . . . 164
როსტომ ჩხეიძე — აბრაამის მოდგმის ბედისწერა . . . . . 172


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი) რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

# პროზა. პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

## დედას

ჩემი მოძულენი ღამის
ყველა გაახარა ბედმა,
მათზე უბედური მაინც
არ ვარ, დამიჯერე, დედა.
ვიდრე მოვირგებდე მარჯვედ
ყოვლად უცოდველის ნიღაბს,
ჩრდილში მირჩევნია დავრჩე
ვიღაც ვიღაცისთვის ვიღაც.
ვსწავლობ ბედისწერის ხიდზე
შიშის წარამარა მოკვლას,
ხიფათს ჯამბაზივით ვიცდენ
და არ გავიძახი „ჰოპლას“.
ჰოდა, გამიძელი ცოტაც,
ისევ ძველებურად მაქე,
არც შენ ჩაგეთვლება ცოდვად
ნაფიც კრიტიკოსთა საქმე.
უკეთ გაეგება ვინმეს
ენა მამაილა მუნჯის,
ვისაც მოლოდინი მძიმე
თავის მოკვლასავით უჭირს?
ვიცი — მამაჩემმა სისხლით
ვალი მოიხადა წმინდად;
მეც ვარ აფრენილი მისი
არალეგალური წრიდან.
სიტყვის გაწბილება მოკვდავს
უნდა მომიტევო, რადგან
ჩვენსავ ნასახლარში ოდას,
ალბათ, ვერასოდეს დავდგამ.
თუმცა ტრიონია იქვე,
სადაც ვირწყულებდი ცურვის
და ცხელ რიყიანში პირქვე
წოლის უსაშველო წყურვილს.
სანამ შემოდგომა გრილი
მწუხრში გაგიცვლიდა ელფერს,
თმებში გამიხშირდა რთვილი
შენზე ახალგაზრდა ბებერს.
ოღონდ უხეირო პაპას
თუ ვერ ამაშენებს ლექსი,
ისევ დამჭირდება, ალბათ,
შენგან „სახელმწიფო სესხი“.
სიმწრის დავიწყებას იწყებ —
რაწამს წასათვლემად წვები:
ურა, გადარეულ კვიცზე
გსვამენ დარდიმანდი ძმები.
მკაცრი ოფიცერი მამა
ტუქსავს, უჯავრდება ბიჭებს,
და შენ თვინიერად მავალ
ცხენზე ამხედრებას გირჩევს.
მაგრამ ყაჩაღანა გოგომ
თითქოს გააბრუე ეშხით,
თავად გაიტაცე ბოლოს
ფიცხი ბედაური ტყეში.
ახლა — კაფანდარა, სუსტი,
ქვრივი დედაკაცი დაღლილ
ღამის მოჩვენებას უცდი,
როგორც დღესასწაულს — ბაღლი.
ძილში თავსასთუმალს ნამავ,
უცებ ემგვანები შეშლილს:
ზურგში ჩაცემული დანა
გულში გაეყრება შენს შვილს.
ზეზე წამოგაგდებს ელდა
და იმ სიზმარივით ცხადი —
კედელს უბრუნდება ხელად
ადრე დაღუპულის ხატი.
გადის მერამდენე წელი,
როგორც გამართლება ეჭვთა:

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ჩემი სახლიკაცის მკვლელი
თურმე სამძიმარში გვეჯდა.
ალბათ საალიბოდ ეგდო —
ვისაც სამიოდე ადლი
მიწა სიბერემდე ერგო
შენი ლალადისის მადლით.
და ის გასისხლული დანაც
მტკივან, აჩქარებულ, ღია
გულში გარჭობილი დამაქვს,
როგორც ომგადახდილს — ტყვია.
რალა გავიხსენოთ ძველი,
მძიმე მოლოდინის გარდა?
მაგრამ უკულმართი სცენის
სანამ დაეშვება ფარდა...
ჩემი მაფიცარი თუ ხარ —
ცრემლის, სიმძიმილის უსმელ,
ქლესა მელექსეებს ნულარც
შვილის სიყვარულით [illegible]
თუ არ გავახსენდი [illegible]
ყუთში მოციმციმე ეკრანს, —
ნულარ შეიცხადებ, როგორც
გვიან ტელეფონის რეკვას.
ნულარ გეგონები მთვრალი,
როცა შუაღამით მოვალ,
როგორც გარდუვალის ვალი,
გვმართებს ერთმანეთის მოვლა.
ახლა — წათვლემისას — წამო
ჩვენზე მოხუცებულ ტყეში,
ცივი მანიაანთ წყარო
მოვსვათ ორიოდე პეშვი.
რახან ბედნიერთა შორის
არ გვყავს ალარავინ სამტრო,
ალბათ. დარჩენილი დროის
მოკვლა დაგვაწყნარებს მარტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

# ზებულონის სიკვდილი

მოთხრობა

ნაშუადღევს, როდესაც ყურს ფლოქვების შორეული ხმა მოწვდა და ქვემოთ, მთის ძირას, ტყეთა გამყოფ ვიწრო მდელოზე, მხედრებიც გამოჩნდნენ, ზებულონმა ქურანა შეკაზმა, შეჯდა და გზას გაუდგა.

დიდხანს იბრძოდა, დიდხანს იქნევდა ხმალს, დიდხანს ღვრიდა სისხლს და ქართლის მდინარეებს წითლად ღებავდა, მაგრამ სიკვდილს ვერსად გადააწყდა. ბოლოს, ბრძოლით დაღლილი, წლებით გათეთრებული და მარტოობით გულდაბერებული, მიხვდა, რომ ამათ ყოფილა სიკვდილის ძებნა, ისევე როგორც სიცოცხლის ძებნა ყოფილა ამაო. მისი წილი სიცოცხლეცა და სიკვდილიც შორს დარჩენილიყო, ზებულონისა და ზებულონის გამთიშავი ყრუ კედლის მიღმა. ამიტომ, მას შემდეგ, რაც ულმობელმა ბედმა ნედლი ბალღი ერთბაშად პირქუშ კაცად აქცია და სიყმაწვილის ჭრელი მინდვრებიდან ნაადრევად გამოაძევა, მისი ცხოვრება იყო არა ცხოვრება, არამედ ცრუ და უსაგნო ჩვენება, რომელსაც ხმალი არ ჭრის და ტყვია არ ეკარება, როგორც ზღაპრის დევს არ ჭრის ხმალი და არ ეკარება ტყვია, ვინაიდან მისი სული სადღაც, რომელიღაც ბებერი მუხის ძირას, მიწაშია ჩაფლული. ამას რომ მიხვდა, გადაწყვიტა იარაღი აეყარა და წყაროსთვალში წასულიყო ნამდვილი სიცოცხლის, ნამდვილი სიკვდილისა და ნამდვილი ზებულონის საძებნელად. მაგრამ განა როდის მიუშვია ბედს ნებაზე, რომ ახლა მიეშვა! რაკი ბრძოლაზე ხელი აიღო, მეფემ სხვა საქმე გაუჩინა: აქ გამოამწესა, იფნისხევში, ანუ, როგორც იმ საკვირველი გამარჯვების შემდეგ ქართველებმა ლაღობით შეარქვეს, „სანადიროში“, რათა მეფისავე ბრძანებით გამოგზავნილი უწვრთნელი ჭაბუკები გაეწვრთნა და მარჯვე მეომრებად და ქვეყნის საიმედო დამცველებად გამოეზარდა. ზებულონიც წამოვიდა. ან კი სხვა რა უნდა ექნა?.. წამოვიდა და სამი წელიწადი, ღამღამობით, შეგირდები რომ მთელი დღის წვრთნისა და ვარჯიშის შემდეგ ღრმა, ჯანსაღი ძილით დაიძინებდნენ, თავის პატარა, მიწურ ოთახში განმარტოებული, შორეულ ბავშვობაში დარჩენილ სიკვდილზე და სიცოცხლეზე ფიქრობდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაუბედაობას სძლია და, როდესაც მეფე დიდი ამალით „სანადიროში“ ამობრძანდა აქაურობის დასათვალიერებლად და ჭაბუკთა წვრთნის სანახავად, წყაროსთვალში დაბრუნების ნებართვა სთხოვა. ცხოვრების მწარე ქურაში გამოწრთობილს სიმშვიდის ხელოვნება

დიალაც რომ ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, ამიტომ წყნარად იდგა ცალ მუხლზე მეფის წინაშე და იცოდა, უარსაც და დასტურსაც აუღელვებლად მიიღებდა, მაგრამ გონების თვალწინ უეცრად შორეული და ბუნდოვანი ჩვენება გაკრთა — ოდესღაც რომ ისახარისგან ბალღური მოუთმენლობით წყაროსთვალიდან წამოსვლის ნებართვას ელოდა — და გულისგულში წამით მაინც შეუტოკდა რაღაც. მეფემ თანხმობა ბრძანა. თბილი და მწყალობელი ღიმილით გაუღიმა და თანხმობა ბრძანა. ძალიან კი მიმძიმს გაშვება, ქართლის ყმაწვილკაცებისთვის შენებრ კარგ ოსტატს სადღა ვიპოვი, მაგრამ შენ იმოდენა სამსახური გაგიწევია ქვეყნისთვის, აბა, უარი როგორ გითხრაო. მაშ, ვუბრძანებ შეგირდები აღარ გამოგიგზავნონ, მხოლოდ, ვინც აქ არის, ამათი წვრთნა კი უნდა მოასრულო, მერე წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოსო. ერთიც იცოდეო, სანამ მე ქართლის მეფე მქვიან, რაც რომ ქვეყანას შენი სამსახურით ვალი დასდე, ყველაფერი მე მაწევს ვალად, მოკეთედ მიგულე და, თუ ოდესმე რამე დაგჭირდეს, ჩემი სახელი ახსენეო. ესა ბრძანა, ხელები მხრებში მოჰკიდა და ზეზე წამოაყენა. ზებულონმა მადლი მოახსენა და მას აქეთ, რაც უფრო ახლოვდებოდა წასვლის ჟამი, წყაროსთვალის ჩვენება თანდათან ისეთი ხდებოდა, კაცი ცხადისგან ვერ გაარჩევდი. ზებულონს, რაღა თქმა უნდა, არც მაშინ, როდესაც მეფის წინ ცალ მუხლზე დაჩოქილი მოთმინებით ელოდა პასუხს, არც მერე, მომდევნო ათი დღის განმავლობაში, არც წუხელ, როდესაც მოულოდნელად შალვა ჩხეიძემ ამოაკითხა, ეჭვი არ გასჩენია, რომ ქართლის მეფემ, რაც უთხრა, გულით უთხრა და, რასაც დაჰპირდა, გულით დაჰპირდა. არა, მეფე დასტურს ყასიდად არ მიბრძანებდაო, ფიქრობდა ზებულონი, მაგრამ ეგ არის, ახალგაზრდაა ჯერ, გამოუცდელი, და ჰგონია, რაკი მეფეა, იმის ნებაცა აქვს, რისხვა და წყალობა, როგორც სწადია, ისე დაარიგოსო.

სამი კვირა იყო დარჩენილი შეგირდების დათხოვნამდე, როცა შალვა ჩხეიძე შუაღამისას ლანდივით უჩუმრად და უხმაუროდ ამოვიდა.

ზებულონმა იდუმალი ალღოთი იგრძნო, რომ ბანაკს ვიღაც მოადგა, თორემ არც თვალით რამე დაუნახავს და არც ყურით რამე გაუგონია. ცხენიდან რომ ჩამოხდა შალვა, მაშინღა იცნო და ზღურბლზე გაეგება.

დინჯად, თავშეკავებით მოიკითხეს ერთმანეთი. მერე შინ შევიდნენ, ბუხრის პირას დასხდნენ პატარა ჯორკოებზე და დარბაისლური მასლაათი გააბეს. ამ მთისა თქვეს, იმ ბრისა, არც ერთი ჩქარობდა და არც მეორე. უბრალო საქმეზე შალვა არ მოვიდოდა. მით უფრო, მარტო, შუაღამისას და ფარულად. ზებულონი მიმხვდარი იყო, რომ რაღაც მოხდა, ვინ იცის, რაღაც ისეთიც კი, რომ დრო არ ითმენდა. მაგრამ წლებით დადინჯებული, ცხოვრებაგადახდილი, დიდგზაგამოვლილი კაცები აბა დროის მოუთმენლობას როგორ აჰყვებოდნენ!

ისხდნენ და ბაასობდნენ. მერე გაჩუმდნენ და ჩუმად ისხდნენ. ბოლოს, როცა დრო უკვე სიჩქარეს ველარ დასწამებდა, შალვამ თქვა:

— მეფეს შენი შეპყრობა და ქალაქს ჩაყვანა უბრძანებია.

ზებულონი ბუხარს ჩასცქეროდა. ცეცხლი ნელ-ნელა ინავლებოდა და ნაცარში ჩარჩენილ მუგუზალს თევზის ქერცლივით ედებოდა თხელი ფერფლი. ნეტა რას მემართლება მეფეო, წყნარად გაიფიქრა. განა გაუკვირდა, ვერ მიხვდა რა დაეშავებინა მეფისთვის, და გულის სარკმლიდან ცნობისწადილმა გამოიხედა, თორემ, ამ ქვეყნად რომ საკვირველი არა არის რა, ეს რა ხანია იცოდა. პასუხს არ ჩქარობდა, რადგან ნაჩქარევი პასუხი ნამდვილი პასუხი არ იქნებოდა. იჯდა ჩუმად და მოთმინებით ელოდა, ვიდრე ეს მოულოდნელი ცნობა გულის აღელვებულ ტყეს გაალწევდა და გონების მშვიდ, ნათელ მინ-

დორზე გავიდოდა. მერე თავაუღებლად თქვა:

— ჩანს, ვიღაცამ გააქეზა მეფე.

— ქაიხოსრო ბატონიშვილმა, — შალვაც ბუხარს ჩასცქეროდა, — ქაიხოსრო ბატონიშვილმა იმთავითვე ავად დაგადგა თვალი. ალბათ მიზეზიც უნდა ჰქონდეს. მეფეს კი, თავადაც იცი, ახლა, როცა ქვეყანა მოზიდულ მშვიდობა ჰგავს, ნება არა აქვს ერთი კაცის გულისთვის ქაიხოსრო ბატონიშვილი მტრად გადაიკიდოს.

ზებულონი ერთი კაცი იყო. გაუნძრევლად იჯდა, უხმოდ ჩასცქეროდა ცეცხლს და, შალვამ რომ ვარაუდად თქვა ქაიხოსრო ბატონიშვილს ალბათ მიზეზიც უნდა ჰქონდესო, ამაზე გუნებაში ეღიმებოდა. განა არა, მის ადგილას თავადაც ასე ვარაუდად იტყოდა, რომ მოუშუშებელ ჭრილობას არ შეჰხებოდა, მაგრამ ისე ვერ იტყოდა, არ წაბორძიკებულიყო და ენა არ დაბმოდა, შალვამ კი მშვიდად და უბრალოდ თქვა, თითქოს მართლა არა იცოდა რა. ტყუილად ხომ არ შეარქვეს „ბიძის ფეხი"! შესახედავად არა ჰგავდა, თხელი იყო, მაღალი, მოხდენილი. არც მწარე-მწარე ლაპარაკი იცოდა. მაგრამ სხვა მხრივ კი მართლა ბიძის კვალს მიჰყვებოდა და აკი ისეთი დადგა, დიდი ხანია მის უკითხავად ქართლში აღარაფერი წყდებოდა. ქებას რომ გააგონებდნენ, ღიმილით იტყოდა, მე სამი ისეთი ოსტატი მყავს გამოცვლილი, ჩემს ადგილას კუნძი რომ ყოფილიყო, ისიც კი კაცად იქცეოდაო. ეს სამი ოსტატი ჯერ იოველ ბატონიშვილი იყო, მერე ზებულონი და ბოლოს თავად ბიძამისი ბექა. შალვას დედა იმერელ ჩხეიძეს ჰყავდა, მაგრამ, ქმარი რომ მეფის წინააღმდეგ შეთქმულებისთვის შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს, იქაურობა მიატოვა, ქართლს მოაშურა და მამის ოჯახს დაუბრუნდა. დისწული ბექას უმცროს ძმასავით უყვარდა და ისე პატრონობდა, მამა შვილს ვერ უპატრონებდა. თხუთმეტი წლისა რომ შეიქნა, იოველ ბატონიშვილს მიაბარა. შალვამ იქ ხუთი წელი დაჰყო და, როგორც ამბობდნენ — აბა, ზებულონს ამეებისა რა გაეგებოდა — ერთი საუკეთესო მწიგნობარი და სწავლული გახდა. მერე ორი წელი ზებულონი წვრთნიდა. ბუნებით მამაცი იყო, მარჯვე, მოხერხებული, და მალე ისე დაოსტატდა, აღარც ზებულონს უდებდა ტოლს და აღარც ბექას. ამის შემდეგ ოთხი წელი ბიძის გვერდით გაატარა და, თუ ზებულონთან იარაღით ბრძოლას სწავლობდა, ახლა უიარაღოდ ბრძოლაში გაიწაფა...

ზებულონმა ნელა ასწია თავი, ერთი შეავლო თვალი შალვას და ისევ ცეცხლს ჩააშტერდა. შალვა ხუთი თუ ექვსი წლით უმცროსი იყო, მაგრამ მასაც კარგად დასტყობოდა ხანი. წარბებშიც კი თეთრი გამორეოდა...

ქაიხოსრო ბატონიშვილს დიალაც რომ ჰქონდა მიზეზი. ორი მიზეზი ჰქონდა: ერთი ისა, რომ ისკანდერ-ხანის ვაჟი იყო, და მეორეც ისა, რომ ნესტანის ვაჟი იყო. მაგრამ ამ ორ მიზეზს ხმამაღლა არ იტყოდა. ხმამაღლა სათქმელად სხვა მიზეზი უნდა ეშოვნა.

მუგუზალი ნახევრად უკვე დაიფარა ფერფლით. ზებულონმა ახლა ის გაიფიქრა, ალბათ წყაროსთვალში ასვლას ველარ შევძლებო, და გულზე ნაღველი შემოაწვა.

რაკი ზებულონი დუმდა, დუმილი შალვამ დაარღვია:

— არ კი გეგონოს, მოკვლას გიპირებენ.

ეს ცნობა უფრო საკვირველი იყო და ზებულონი დიდხანს ელოდა, ვიდრე შალვას სიტყვები გონების სინათლეზე გაალწევდნენ. მერე თქვა:

— მაშ, რას მიპირებენ?

— თვალების დაწვას, — წყნარად თქვა შალვამ, თავი მოატრიალა და წამით ზებულონის თვალებს შეხედა. მერე, მცირე დუმილის შემდეგ, განაგრძო, — ქაიხოსრო ბატონიშვილს ბარემ მოკვლა ერჩია, მაგრამ მეფემ არ დაანება და ბოლოს თვალების დაწვაზე გაჩერდნენ, — აქ ცოტა ხანს კიდევ გაჩუმდა და, რომ განაგრძო, ხმის კილოში სულ ოდნავ გაუკრთა ღიმილი,

— ბალღია ჯერ, მაგდენი არ იცის.

ზებულონის გულის უფსკრულში ზვირთი აიზიდა, თითქოს მძინარე ნადირმა გაიღვიძა და წამოიზლაზნაო. თავად ზებულონი გაუნძრევლად იჯდა და ამ არამკითხე ზვირთს უამურად ჩასცქეროდა. მერე, მუგუზალმა რომ გაიტკაცუნა და ნაპერწკლები შხეფებივით გაჰყარა, ზვირთი უკანვე დაეშვა.

—ბალღია... — დაუდასტურა და გონების თვალწინ ისახარი დაუდგა. მაშინ ერთი ცერად გახედა შალვას, ხომ არ ვუთხრა, რომ მამაჩემი ისახარი ცალთვალა იყოო. იმავ წამს ისახარი ლანდივით გაქრა და მის ადგილას მეფე გაჩნდა. ჭაბუკი მეფე, როგორც სიჭაბუკეს შეჰფერის, წრფელი იყო, პირდაპირი და გულკეთილი. მუდამ უკეთესი ეწადა, მაგრამ გამოუცდელობის გამო ზოგჯერ უარესი გამოსდიოდა.

ზებულონს არა ერთი და ორი თვალებდათხრილი კაცი ენახა და, როცა კი ენახა, ყოველთვის გული შეკუმშვია და სხეულში მწარე ტკივილს დაუვლია. რომ მიმხვდარიყო, თუ რასა გრძნობს ადამიანი, რომელსაც თვალისჩინი წართმეული აქვს, ზოგჯერ, სადმე თავისთვის განმარტოებული, თვალებს დახუჭავდა და წარმოიდგენდა, რომ მთელი სიცოცხლე ასე თვალდახუჭული უნდა დარჩენილიყო, ვერასოდეს დაინახავდა იმას, რასაც წამის წინ ხედავდა, მუდამ შავ, გაუვალ სიბნელეში იქნებოდა დანთქმული. ამის წარმოდგენაზე ძარღვები მოუდუნდებოდა, გულ-გვამი გაუხურდებოდა და იმით განცვიფრებული, რომ კაცი შეიძლება ვერაფერს ხედავდეს და მაინც ცოცხალი იყოს, საჩქაროდ ახელდა თვალებს. მეფეს, ეტყობა, სიცოცხლე უფრო მეტად მოსაფრთხილებელი ჰგონია, ვიდრე თვალისჩინი...

— მაშ, რაკი ეგრეა, გაცლა მიჯობს, — თქვა ბოლოს.

— მეც ეგრე ვივარაუდე, — ამ სიტყვებით შალვა წამოდგა, — ახლა კი წავალ. დროით უნდა დავბრუნდე, ემანდ ეჭვი არ აიღონ.

დინჯად, თავშეკავებით გამოეთხოვენ ერთმანეთს და შალვა, როგორც უჩუმრად და უხმაუროდ მოვიდა, ისევე უჩუმრად და უხმაუროდ გაქრა.

შალვა რომ წავიდა, ზებულონი კიდევ დიდხანს იდგა ქოხის კართან მკერდზე ხელებდაკრებილი და გაშეშებული.

ირგვლივ ბნელოდა და ისეთი გულისმომკვლელი სიჩუმე იდგა, გეგონებოდათ, სიკვდილის ცელს გადაუვლია და ეს ამოდენა ქვეყნიერება თვალის დახამხამებაში ერთ მდუმარე სასაფლაოდ უქცევიაო.

ბოლოს მობრუნდა, ქოხში შევიდა, კვლავ ბუხრის პირას დაჯდა და მიმქრალ ცეცხლს ჩააშტერდა...

მაშინ კუდიანმა დედაბერმა ჯადოსნური კვერთხი აიქნია და ზებულონის ღამესა და ღამეს შორის უთავბოლოდ ჩახერგილი ოცდახუთი თუ ოცდაშვიდი წელიწადი კვნესითა და ბურტყუნით ხევში გადაყარა...

იმ შორეულ ღამეს, პატარა საყდარში მარტო დარჩენილი, ზებულონი ისეთი იყო, როგორც გულგამოცლილი ხე, რომლის ფუღუროები ქარიშხლის სანავარდო ასპარეზად ქცეულიყო. ქარიშხალი სტვენითა და ზუზუნით დაქროდა და, რაკი ზებულონს სხეულში სიცარიელის მეტი არა ჰქონდა რა, სიცარიელეს ედებოდა და ზებულონსაც სიცარიელე სტკიოდა. ყეფდა და ყმუოდა ქარიშხალი, გაათფთრებით აწყდებოდა აქეთ-იქით, ყინულივით ცივი ენებით ლოკავდა ზებულონის სხეულის კედლებს და ახალ-ახალ ხვრელებს ეძებდა, რათა ყველგან შეეღწია და ეს დამბლადამცემი ტკივილი ყველგან შეეტანა.

დიდხანს დათარეშობდა მძვინვარე ქარიშხალი ფუტურო სხეულში, დიდხანს ეხლებოდა ზარით და ზათქით გაფიჩხულ კედლებს, ბოლოს, რა დაატყო, ზებულონი მეტს ველარ გაუძლებდა, უეცრად გაყუჩდა და გაიტრუნა, რადგან მიხვდა, სიკვდილი ხსნა იქნებოდა, მას კი ხსნა როდი უნდოდა

ზებულონისა, წამება უნდოდა. ამიტომაც გაყუჩდა. ამიტომაც გაიტრუნა. განა ჩადგა, ანდა განა ძალა დაკარგა! რალაც სხვაგვარი გახდა — ჩლუნგი, მდორე, ჩუმი, მაგრამ ვეება და მძიმე, თითქოს ქვეყნიერება აითქვიფა და ერთ საშინელ მაჯლაჯუნად იქცაო. მაშინ ზებულონის ფიქრებმა, რომლებიც, იმ ჯოჯოხეთური ქარიშხლისაგან დამსხვრეული და მიმოფანტული, აქამდე თავს ველარ პოულობდნენ, ახლა დრო იხელთეს, ყოველი მხრით შეესივნენ და მოგონებები იარებივით გაუხსნეს.

„მე კი მეგონა, ისკანდერ-ხანს ჩემი თავი შენთვის წაართვი!..“

თავში რალაცამ მძლავრად დაკვესა. ელვამ იელვა, ურიცხვი და უთვალავი ნაპერწკალი ჯოჯოხეთის ცეცხლივით ამოიფრქვა და ზებულონის სიცარიელე წამით ისეთი ძალით გაანათა, ყველა ძარღვი ჩაწყდა.

„მე კი მეგონა, ისკანდერ-ხანს ჩემი თავი შენთვის წაართვი!..“

ახლალა დაინახა ზებულონმა, თუ როგორი სახე ჰქონია ნესტანს მაშინ, როცა ეს უთხრა. მაშინ ნესტანის სიტყვები დაცინვად მოესმა. ერისთვის ქალს, პაპის ნებიერს, ამპარტავანს, ჭირვეულს, ნასწავლს, ზებულონის ტლუ და მდაბიური გულისლელვა, მისი მიამიტური და ცრუ-ზლაპრული შველა — ჩემი სახელი ახსენე და იმწამსვე შენთან გავჩნდებიო — სიცილად არ ეყო, ბალლურ ქცევად ჩაუთვალა, წყრომის ღირსადაც კი არ მიიჩნია. მერეც, ბექა ამილახვარს რომ ზვიადი ნიშნისმოგებით უპასუხა, დიალაც რომ ქართლის მეფეს ეგ მირჩევნიაო, ასე ეგონა, ჯიბრით უთხრა. ახლალა მიხვდა ნამდვილს. ახლალა დაინახა ნესტანის თვალებში კდემამოსილების გაუბედავი ტრთოლა, ზლაპრის შორეული სხივი და გულისგულიდან მომავალი ჩუმი ძახილი. მაშ, რაც შენზედ ვთქვი, არა გაგიგია რაო? ზებულონი კი — ლენჩი, ტლუ, ოტროველა — ვერაფერს მიხვდა... ნესტანი მისთვის ზლაპრის მზეთუნახავი იყო და, აბა, ზლაპრის საზღვარი როგორ გადაელახა? იმას ხომ ვერ იფიქრებდა, მზეჭაბუკი ვარო? რა იცოდა ზებულონმა, თურმე ზლაპარი თავად უხმობდა, თურმე კიდევ ერთხელ გაეხსნა ცა და კიდევ ერთხელ გამოჩნდა ბედნიერების კარიბჭე. ის კი ვერ მიხვდა, რადგან თვალში ბინდი ედგა, ბრმად გასცდა ზლაპრის კარიბჭეს და ულრანი ტყიდან გამოსული ისევ ულრან ტყეში შევიდა... გონება დაბნელებული ჰქონდა, თვალის ჩინი დაშრეტილი... ნესტანს თავი ჩაეკიდა და მხრები ოდნავ უთრთოდა... რა ახლო ყოფილა ზლაპარი! ისე ახლო ყოფილა, როგორც ნესტანის თმის სურნელი იყო ახლო, როცა ზებულონმა გამოიტაცა და ერისთვის მამულიდან წამოიყვანა... ეგებ ბედისწერამ გადაწყვიტა ეგრე და ზებულონს არც არაფერი შეეძლო? ეგებ იმიტომაც გაილო ზლაპრის კარიბჭე, რომ ბედისწერამ იცოდა, ზებულონი შიგ შესვლას ვერ გაბედავდა?!. რომ გაებედა... მაგრამ ზებულონი ნუთუ თავის თავსა სტიროს!... ისევ დაკვესა რალაცამ, ისევ იელვა ელვამ, ისევ ამოიფრქვა ჯოჯოხეთის ცეცხლი და ზებულონის მკერდში ზებულონის გული ისე შეირყა და შეზანზარდა, თითქოს დედამიწა შეირყა და შეზანზარდაო... ნესტანის სიყვარული განა უბრალო სიყვარული იყო! ნესტანის სიყვარული იმედი იყო, ნდობა, შიშისგან თავის დალწევა... აკი იმიტომაც მივდივარ, რომ მეშინიანო. შიში მინდა დავძლიო და შიშის შიში კი ვერ დამიძლევიაო. ტყეში შევიდეთ, ბაყბაყ-დევოო, მეშინიან, მაგრამ მაინც შევიდეთო... შესახედავად გაზრდილი და დაქალებული, სინამდვილეში ისევ ის პატარა გოგონა იყო — წიგნზე თავდახრილი, მკერდზე ნაწნავებდაფენილი, სანთლების მოლიცლიცე ალით განათებული, თხელი, სუსტი, ხატივით ფერმკრთალი, ზლაპრის პატარა მზეთუნახავი, რომელიც მას შემდეგ, რაც გაიზარდა და ნამდვილ ქვეყანაში შემოაბიჯა, მუდამ გულმოდგინედ და მუდამ ამაოდ მალავდა, რომ ამ ნამდვილ ქვეყანას ვერ შეჰგუებოდა. ვიდრე ზლაპა-

რში ცხოვრობდა, ოცნების საიმედო აბჯარი ეცვა და შიში არაფრისა ჰქონდა, ზღაპრიდან რომ გამოვიდა და ნამდვილ ქვეყანაში მოხვდა, რომელსაც ყველაზე მეტად ზღაპარი სძულს, ოცნება დამსხვრეულ აბჯრად ექცა და გულში შიში ჩაუსახლდა. ერისთვისქალობა ნილბად აიფარა, ტყუილი ამპარტავნობა მოიგონა, ტყუილი სილაღე, ტყუილი სითამამე — როგორც შეშინებული ბაღლი დაიბოხებს ხოლმე ხმას და ჰგონია, ამით შიშს შეაშინებს — მკერდში კი ჩიტის გული უძგერდა, რადგან თავად ზღაპრისა იყო, ხოლო ყველა და ყველაფერი, რაც ირგვლივ ეხვია — ნამდვილი ქვეყნისა. განსაკუთრებით პაპას უმალავდა თავის უმწეობასა და ულონობას, რათა ისედაც სიბერეგამწარებული მოხუცისთვის ახალი დარდი არ გაეჩინა... თუ ზებულონიც მეახლება, მაშინ ხომ საშიში არა არის რაო... ზებულონს თავიდანვე მიეჩვია. ვინ იცის, რამდენი ტყუილი და მართალი გაეგო ზებულონის სიმამაცის, ძალგულოვნებისა და უძლეველობის შესახებ, და ყველა დაიჯერა. ტანად ხომ ზებულონი მართლა დიდი იყო და ღონეც დიდი ჰქონდა, მერე ერთხელაც, აქი ისე მოხდა, რომ მის თვალწინ იმ ვეება დათვთან მოუხდა შებმა... ბაღლივით შეეჩვია. უშიშრად იგრძნო თავი მის გვერდით. ამიტომ მთელი არსებით მიენდო, მწედ და მფარველად დასახა, თავისი უხიფათობის დიდ მცველად დაადგინა. თავად ზღაპრისას, ზებულონიც ზღაპრისა ეგონა, ამიტომ მშვიდად აიყარა მთელი თავისი შიში, ულონობა, უმწეობა, და ზებულონს ჩააბარა. ბაღლივით დაიჯერა, რომ ზებულონს ყველაფერი შეეძლო, ყველა განსაცდელისაგან დაიფარავდა, ყველა ხიფათისგან იხსნიდა. ზებულონმა კი მწარედ გაუმტყუნა ნდობა, მწარედ გაუცრუა იმედი. განა არა, მართლა ყველაფერს შეძლებდა და მართლა ყველა განსაცდელისგან დაიფარავდა, მაგრამ არ იცოდა, რომ ამის ნება ჰქონდა. ეს რომ სცოდნოდა, რომ სცოდნოდა, ნესტანს იგი თავის მცველად და მფარველად გაემწესებინა, ვინ იცის, რა ამბები დატრიალებულიყო — ქვეყანაზე, როგორ შეცვლილიყო და გადასხვაფერებულიყო ყოველივე!.. ერთი ისკანდერ-ხანი რას მიქვია, თუნდ, რაც კი ქვეყნიერებაზე მეფეებია, ყველა წინ გადასდგომოდა, თუნდ მთელ ქვეყნიერებას იარაღი აესხა და ზებულონზე წამოსულიყო, ვერას გახდებოდნენ, რადგან მაშინ ზებულონი მართლა ზღაპრის მზეჭაბუკად იქცეოდა და უძლეველი შეიქნებოდა. ან ბექა ამილახვრის ჭკუა და მოხერხება რას დააკლებდა, ან სპარსთა ლაშქრის სიმრავლე! ნესტანის სიყვარულს წინ რა დაუდგებოდა! აბა, ისეთი რა ძალა უნდა გამოჩენილიყო, ნესტანი წაერთმია! მაშინ ქვეყანაც ველარ მოსთხოვდა, ეგ გული ამოიგლიჯე და აქ მომეცი, მე მჭირდება, ეგ შენი სიყვარული ჩემი სიყვარულის სამსხვერპლოზე დადეო... ვერ მოსთხოვდა. არ ექნებოდა ქვეყანას ამის ნება, რადგან ნესტანის სიყვარული უცხო ზღაპარია და ყველაფერზედ მაღლა დგას — სამსახურზეც, ვალზეც, ქვეყანაზეც. თავად ღმერთზეც კი მაღლა დგას... მაგრამ არ იცოდა ზებულონმა... გვიანღა მიხვდა... მაშინ მიხვდა, როცა უკვე გასწირა და გაიმეტა ის, რისთვისაც ყველაფერი უნდა გაეწირა და გაემეტებინა... უნდა დაფიქრებულიყო ზებულონი, კარგად უნდა დაფიქრებულიყო და ან არ უნდა გაებედნა ნესტანის გატაცება, ან, თუ გაბედა და გაიტაცა, მაშინ სხვა ყველაფერი უნდა დაევიწყებინა ამქვეყნად, სხვა ყველაფრისთვის ზურგი უნდა ექცია, სხვა ყველაფერი გულიდან უნდა ამოეღო, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით უნდა წაეყვანა, ნანატრ ზღაპარში დაებრუნებინა. ზებულონმა ეს ვერ შეძლო... სიკვდილიც კი არ დაანება. რა სასოებით ევედრებოდა ღვთისმშობელს, თავის მოკვლა მაინც შემაძლებინეო!.. ღვთისმშობელს ეგებ შეესმინა გულმდუღარე ლოცვა და შეეძლებინებინა, მაგრამ ზებულონმა არ შეაძლებინა. წმინდა დანა ხელიდან გამოგლიჯა... თავი მხსნელად მოაჩვენა და, როცა გულში იმედი ჩა-

უსახა, მაშინ მოატყუა, მაშინ გამოეცალა, მაშინ გაწირა...

ზებულონი სხეულს ველარ გრძნობდა, მხოლოდ მაჯლაჯუნად ქცეულ ქვეყნიერებას გრძნობდა, რომელიც ყრუდ და მძიმედ ჩამოსწოლოდა ვეება სიცარიელეს. ზებულონი თითქოს ცოცხლივ მიწაში იდო, სხეულიც მიწად ქცეოდა, ირგვლივ მიწისა და გაუვალი სიბნელის გარდა სხვა არაფერი იყო, აღარც ტკივილი იყო, აღარც უტკივილობა, მხოლოდ გამოფიტული, უგრძნობი და უგონო მოლოდინი დარჩენილიყო იმისა, რომ მალე სულიც გაიბნეოდა ამ სიბნელეში და ყველაფერი საბოლოოდ გაქრებოდა და დასრულდებოდა.

მაგრამ სიკვდილი ისე იოლი არ ყოფილა, ზებულონს რომ ეგონა, და ის უძირო და უკუნი ღამე აკი ბოლოს მაინც გათენდა. პატარა საყდრის ვიწრო სარკმლიდან მღვრიე, ჯერ კიდევ გამოუძინებელმა განთიადმა ფრთხილად შემოიხედა და ზებულონის სიცოცხლეგამოცლილ არსებაში რაღაც გამოაღვიძა. ზებულონმა ერთხანს უაზროდ უცქირა იდუმალ ბურუსში გახვეულ სინათლეს, რომელსაც სქლად ამოევსო სარკმელი, და ერთბაშად, მოულოდნელად, მაგრამ ისე მტკიცედ, თითქოს მთელი ღამე სწორედ ამაზე ეფიქროს, გაქცევა გადაწყვიტა. მართალია, გადაწყვიტა თუ არა, წამსვე ისიც იგრძნო, რომ ეს ამაო და უგუნური საქციელი იქნებოდა, ვინაიდან, რომ გაქცეულიყო, ისე ხომ ვერ გაიქცეოდა, რასაც უნდა გაქცეოდა, ისიც თან არ წაეღო, მაგრამ მაინც უნდა გაქცეულიყო. რაც აქამდე სიმართლე ეგონა, ყველაფერი ტყუილი გამოდგა. ქვეყანაც, სამსახურიც, მოვალეობაც. ნამდვილად თურმე მხოლოდ სიცოცხლე არსებობს. სიცოცხლე და სიცოცხლის ტკივილი, რომელიც, თუმც კი მოუთმენელია, მაინც უნდა მოითმინო, ვიდრე ცარიელ სხეულში დატრიალებული გრიგალი, ან მაჯლაჯუნად ქცეული უგრძნობი და უსხეულო ქვეყნიერება გულის კედლებს გაანგრევს და შიგ შვების სიკვდილს შემოუშვებს. მოუთმენლის მოთმენა კი მხოლოდ გაქცევით შეიძლებოდა, მხოლოდ ერთი მოძრაობით, მხოლოდ ერთ ადგილზე არყოფნით...

როდესაც მღვრიე განთიადი დაიწმინდა და სარკმელს ახლა კრიალა დილა მოადგა, ზებულონი თავისი მტკიცე გადაწყვეტილებით საყდრიდან გამოვიდა, მაგრამ იქ, გრილმა ნიავმა გახურებული შუბლიდან ბული გადასწმინდა და უეცრად იმაზე დაფიქრდა, თუ სად უნდა გაქცეულიყო. ერთბაშად გაახსენდა, რომ მისი გამოჩენა არსად არ შეიძლებოდა. ისკანდერ-ხანს რომ შეეტყო, ზებულონი ცოცხალი იყო, ქართლს ააწიოკებდა. ჩანს, ბექა ამილახვარს საქმე ისე მოუწყვია, ზებულონი ამ გადაკარგულ საყდარში ცოცხლივ დაუმარხავს. მაშ, როგორღა უნდა გაქცეულიყო? სად უნდა წასულიყო?.. ტყეში უნდა გავიქცეო, გაიფიქრა და ამის გაფიქრებაზე შვება იგრძნო, რადგან უცებ იმასაც მიხვდა, რომ, როდესაც გაქცევა გადაწყვიტა, თურმე სწორედ ტყეში გაქცევას ვარაუდობდა. გაქცევა იმიტომ კი არ ეწადა, რომ გაქცევით ტკივილი დაეყუჩებინა, იმიტომ ეწადა, რომ ადამიანებს გარიდებოდა. იმის გაფიქრებაზე, რომ ადრე თუ გვიან კვლავ ადამიანებს უნდა გადაჰყროდა, გულ-მუცელი ეთუთქებოდა და სხეული სევდით ევსებოდა. მთელ ქართლში უშიშარ კაცად ცნობილ ზებულონს თურმე ადამიანისა ეშინოდა. აქამდე ამაზე არ უფიქრია, ან თუ უფიქრია, თავს არ გამოსტყდომია, თორემ ადამიანის შიში მუდამ მოუშორებლივ თან დასდევდა. ამიტომაც უჭირდა ხალხში ყოფნა, ამიტომაც ერჩივნა მარტოობა. რაც ისახარი მოკლეს და დედაც დამარხა, მას შემდეგ ხომ სულ მთლად გატყიურდა, სულ მთლად გაუცხოვდა და გაგარეულდა... ნესტანი არ ითვლებოდა... ნესტანი ამ ქვეყნისა არ იყო, ნესტანი ზღაპრისა იყო... აკი დაკარგა! ამ ბნელსა და ავ ქვეყანაზე ზღაპარს რა გააძლებინებს! ადამიანები კი ცრუ და ორპირები ყოფილან. ცხოვრების მდინარე ამღვრეულია და შხამიანი. სა-

თავეში გველეშაპი ჩაწოლილა. გველეშაპი ყოველივეს ამღვრევს, ყოველივეს შხამავს. ამიტომ ადამიანებიც ამღვრეულები არიან, შხამიანები, ვერაგები და გაუტანლები... ნადირი სხვაა. ნადირი ალალია, პირდაპირი, არ მოგატყუებს, მახეს არ დაგიგებს, არაფერს დაგიმალავს და გულში იდუმალი და მზაკვრული ზრახვა არ უტრიალებს. ეგებ თავად მეც უფრო ნადირი ვარ და ნადირად უნდა გავჩენილიყავიო, გაუელვა თავში ზებულონს. აკი მუდამ ტყისკენ მიუწევდა გული! ტყეში, სადაც მხოლოდ ნადირი ეგულებოდა, ადამიანი კი არა, ყოველთვის მშვიდად იყო, მოსვენებით, ლაღად.

ამ ფიქრებმა გადაწყვეტილება კიდევ უფრო განუმტკიცა და ალბათ შესრულებასაც მოასწრებდა, ბოლო წამს რომ იმაზე არ დაფიქრებულიყო, ფეხით წავიდე თუ ცხენიც თან წავიყვანოო. ამ ფიქრს რომ მორჩა და საბოლოოდ დაასკვნა, ცხენი დაეტოვებინა და ფეხით წასულიყო, რადგან, ვინც ნადირთან ცხოვრებას ამჯობინებს, კიდევაც ნადირივით უნდა იცხოვროს, უეცრად რაღაც ხმა შემოესმა.

გულმა წამსვე უგრძნო, რომ მის მტკიცე გადაწყვეტილებას, რომელმაც იმ საშინელი ღამის შემდეგ ესოდენი შვება მოჰგვარა, საფრთხე დაემუქრა და ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, მაგრამ არ იცოდა რა ექნა. მოულოდნელობით გაშეშებული, იდგა და დაბნეული იყურებოდა იმ მხარეს, საიდანაც ხმა მოისმოდა. ვიდრე გონს მოეგებოდა და რამეს მოისაზრებდა, მუხების ხშირი ტყიდან ჯორზე ამხედრებული კათალიკოსიც გამოვიდა.

ზებულონს კათალიკოსი არასოდეს ენახა, მაგრამ ბექა ამილახვრის დანაბარები გაახსენდა და მიხვდა, რომ ის უნდა ყოფილიყო.

აბრეშუმივით თეთრი, გრძელი თმაწვერი ჰქონდა და ისეთი უძრავი, ხმელი, დაღარული სახე, გეგონებოდათ მჭედელს გამოუჭედიაო. თავშიშველი იყო. ტანთ ჯვალოს ანაფორა ეცვა, ნაცრისფერი და ძველი, ფეხთ — გლეხური პაჭიჭები და ქალამნები, კისერზე გრძლად ეკიდა რკინის ჯვარი.

ზებულონის დანახვაზე კათალიკოსმა მოწყვეტით შეაყენა ჯორი. ერთი წამით შეაყენა, თითქოს რაღაცამ გააკვირვაო, და მაშინვე ისევ დაძრა. მოდიოდა და თან ზებულონს თვალმოუშორებლივ უყურებდა. ისე უყურებდა, ვითომ ზებულონის სახე დაწერილი წიგნი ყოფილიყო და მის წაკითხვას ლამობდა. ზებულონი, რომელსაც მთელი ღამის სიმწარე ახლა ყრუ ტკივილად ქცეოდა, ამ ტკივილისაგან დაბუჟებული და გაბრუებული, გაუნძრევლად იდგა და უაზრო მოლოდინით შესცქეროდა. სულ ახლო რომ მოვიდა, კათალიკოსმა ისევ შეაყენა ჯორი. ერთხანს ასე უცქირა ზებულონს. იჯდა ჯორზე და უცქეროდა. ბოლოს უთხრა:

— მაშ, შენა ხარ მთელ ქართლში სახელგანთქმული ზებულონი?

ხმა ბოხი ჰქონდა, ძლიერი და გაუბზარავი.

ზებულონმა თვალი აარიდა და განზე გაიხედა. უნდოდა ეთქვა, დიალო, მაგრამ წაიბორძიკა და ვერ თქვა, რადგან, ზებულონი რომ იყო, ეს უნდოდა დაედასტურებინა და არა ის, რომ მთელ ქართლში სახელგანთქმული იყო, „დიალ“ კი ერთის დასტურიც იქნებოდა და მეორისაც. ამიტომ შეფერხდა და დაიბნა.

ვიდრე ყოყმანობდა, კათალიკოსი კვლავაც თვალმოუშორებლივ უყურებდა და მისი დაკვირვებული, გამომცდელი მზერა თავით ფეხამდე უვლიდა. ბოლოს ჯორიდან ჩამოხდა, გულზე ჩამოკიდებული რკინის ჯვარი მარჯვენა ხელით მაღლა ასწია, ზებულონს ნელა გამოსახა პირჯვარი და ისევ დაუშვა.

— მე კათალიკოსი ვარ, — ამ სიტყვებით ალვირი, რომელიც ძირს ეთრეოდა, აიღო და ჯორს კისერზე გადაჰკიდა, — ახლა კი აღარა ვარ, მაგრამ ადრე ვიყავ.

— ვიცი, ბატონო, — თქვა ზებულონმა, იმავ წამს სიწითლემ გადაჰკრა და სწრაფად დაუმატა, — ვიცი, უწმინდესო.

კათალიკოსმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა ზებულონი და ამჯერად, თუმცა კი სახე ისევ ისე უძრავი ჰქონდა, თვალებში წამით თითქოს რაღაც ნაპერწკალი აუკიაფდა.

— ძალიან კი გაგიმწარებია ქართლის მეფე.

მეფის ხსენებაზე ზებულონი აირია და გულმოსულმა თქვა:

— მე რა ხელი მაქვს მეფესთან... თვითონ გამამწარა...

— თვითონ გაგამწარა?.. — დაფიქრებით თქვა კათალიკოსმა და ტუჩები მოპრუწა. მერე დასძინა, — უკეთესი, თვითონ თუ გაგამწარა.

ამ სიტყვებით შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით წავიდა საყდრისაკენ.

ლამის ზებულონის სიმაღლე იყო, მაგრამ საოცრად გამხდარი, მჭლე, ცარიელი ძვალი და ტყავი. გამართული კი მიდიოდა. ნაბიჯიც მსუბუქი ჰქონდა.

ზებულონი დაბნეული მისჩერებოდა. მერე ის იყო გაიფიქრა, ეგებ გავტრიალდე და სანამ დროა, ტყეს მივცე თავიო, რომ კათალიკოსმა უკანმოუხედავად მოაძახა:

— ნუ დაიზარებ და ეგ ხურჯინი აქ მოიტანე.

ზებულონმა ახლაღა შეამჩნია, რომ ჯორის ხურჯინი ეკიდა. ხურჯინში ცალ მხარეს პურები მოჩანდა, მეორე მხარეს კი, ეტყობა, ტიკჭორა უნდა ყოფილიყო, რადგან, ზებულონმა რომ ხურჯინი გადმოიღო, მუხლზე წამოედო და შიგ რაღაც რბილად ალაყლაყდა.

— უკეთესი, — თქვა კათალიკოსმა, რომელსაც ზებულონმა ხურჯინი საყდარში შეუტანა, — აქეთ მოიტანე... უკეთესი, თვითონ თუ გაგამწარა... ეს მე და შენი საგზალია: პური, თაფლი, ნიგოზი, შავი ღვინო, — ამ სიტყვებით კედელში დატანებული განჯინა გამოაღო, — ვინემ წმინდა ბელზებელი, ღმერთო, მილხინე ცოდვილს, ეპიტიმიას აგვხსნის და ბრძოლის ველზე გაგვიწვევს, ვინძლო დიდხანს მოგვიხდეს აქ ბერად დგომა.

ზებულონმა ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ იმას კი ატყობდა, რომ, თავისდამოუცლოდნელად, ნდომ[illegible]ბოდა, თითქოს ის, რაზე[illegible] წინ ადამიანებზე ფიქრობდა, ტყუილი იყო, ანდა კათალიკოსს არ ეხებოდა. კათალიკოსი კი თან საქმიანობდა — ხურჯინს ცლიდა და სანოვაგეს განჯინის თაროებზე აწყობდა — და თან ლაპარაკობდა.

— შენ კი ვერ გაძლებ მარტო პურზე და ნიგოზზე, მაგრამ ირგვლივ ამოდენა ტყეებია, მოინადირებ რასმე. ეგრე არ არის? იარაღი სადა გაქვს?

— ზედა მაქვს.

— ეგ — ხმალი და ხანჯალი. სხვა?

— სხვა არაფერი წამომიღია.

კათალიკოსმა ერთი შემოხედა, მერე მიტრიალდა და საქმე განაგრძო.

— მე მოგცემ იარაღს. იმ სენაკში ჯერ არ შესულხარ? — ხელი გაიშვირა კარისაკენ, რომელიც ზებულონს აქამდე არც კი შეემჩნია.

— არა.

— კეთილი... — ამასობაში სანოვაგის დაბინავებას მორჩა და განჯინის კარიც მიხურა, — მაშ, გაგამწარა განა ქართლის მეფემ? — და პასუხს არ დალოდებია, ისე დაუმატა, — ბარემ ჯორსაც მივხედავ.

ამ სიტყვებით ეზოში გავიდა.

ზებულონიც უკან მიჰყვა და, როცა კათალიკოსმა ჯორის მოუხერხებლად დაუწყო უნაგირის მოხსნა, უთხრა:

— მე მოვხსნი.

— კარგს იზამ, — მიუგო კათალიკოსმა, გვერდზე მიდგა და, ვიდრე ზებულონი ჯორს უნაგირს ხდიდა, მის საქმიანობას უყურებდა, თან გაუჩერებლივ ლაპარაკობდა, — ჯორი ერთგული და საიმედოა. ილია წინასწარმეტყველი ცეცხლის ეტლით დაქროდა. ჰელიოსიც ცეცხლის ეტლით დაქროდა, თუ ბერძნები არა ტყუიან. კარგი რამ კი უნდა იყოს ცეცხლის ეტლით ფრენა. შენ რას იტყვი?

კათალიკოსი კითხვითა და მოლოდინით უყურებდა და ზებულონი იძულებული შეიქნა პასუხი მიეცა.

— რა მოგახსენო... ალბათ კარგი იქნება.

— ეგ კია, იმ სიშორიდან რომ გადმოიხედავ, ჩვენი მოუსვენარი ფუსფუსი და გულმოდგინება, ვინ იცის, ცოტა სასაცილო გამოჩნდეს. ან სატირალი, ეგ სულ ერთია. და ვაითუ ამის გამო ცხოვრებაზე გული გაგვიტყდეს. მე რომ მკითხოს კაცმა, ცეცხლის ეტლს მაინც ჯორი სჯობს. სხვა თუ არაფერი, ჯორიდან გადმოვარდნა ისე საშიში არ არის. ესეც არ იყოს, ჯორმა შეჩვევა იცის. ზოგჯერ, როცა გულში ჭუჭყი დაგიგროვდება, დაელაპარაკები კიდეც. ახლა ის რად ღირს, რომ პატიოსანია და გულიც მუდამ სიყვარულით უღელავს! ზოგ-ზოგ ეპისკოპოსს კი არა ჰგავს, შეტრიალებული თუ დაგინახეს, მაშინვე რომ ქვას მოგაყოლებენ ზურგში!

ზებულონს ეჩვენებოდა, რომ კათალიკოსის სიტყვები მის გულში რაღაცას ავსებდა, ისე, როგორც ღარიდან გადმომდინარე წყალი ავსებს კოკას.

— მეც ეგრე ვფიქრობ, — თქვა ბოლოს, როცა იგრძნო, რომ ის რაღაც აივსო, — კაცს ნადირი სჯობს.

—ნადირი? — გაკვირვებით ჰკითხა კათალიკოსმა, — განა ჩემი ჯორი ნადირია?

ზებულონი დაიბნა.

— არა... მე ის მოგახსენე, რომ... ჯორი კი პირუტყვია, მაგრამ კაცს ნადირიც სჯობს-მეთქი...

კათალიკოსს ხელები მკერდზე დაეკრიფა, გაუნძრევლად იდგა და დაჟინებით უყურებდა. მისი მზერა ახლა ისეთი იყო, კაცს რომ თვალებში მზე გიჭყიტინებს და თავი ვერ აგირიდებია...

ზებულონი უხერხულად აწრიალდა. კათალიკოსმა კი უყურა, უყურა და ჰკითხა:

— მაშ, შენ ფიქრობ, რომ ქართლის კათალიკოსს, გინდაც კათალიკოსყოფილი იყოს, ტურა სჯობს?

ზებულონი სულ მთლად აირია.

— მაგას რად ბრძანებ... უწმინდესო... მე განა ეგ მოგახსენე... მე.

— აკი მიგრძნო გულმა, ეგრე ვაგლახად ასვეტილი რომ დაგინახე! — კათალიკოსის ხმაში ახლა სუსხი გაისმა. შუბლიც შეჭმუხნოდა. — [illegible] შეგატყე, რომ სიძაბუნე შემოგპარვია! — აქ მცირე ხანს ჩუმად უყურა, მერე განაგრძო, — ცხოვრება რომ შხამს შეგასმევს, გგონია, სულ შენზედ დაცალა და სხვები შარბათს შეექცევიან? თუ, რაკი შენ მოჰყვები წუწუნს და სხვა კი არა, ეს იმის ნიშანია, შენ გტკივა და სხვას არა სტკივა? ნადირი განა სჯობს კაცს, ეგ არის, ნადირად ყოფნა უფრო იოლია. ჩემმა ჯორმა რომ იცოდეს, მე კათალიკოსი აღარა ვარ, ეგებ შევძულებოდი და სამსახურზეც უარი ეთქვა, მაგრამ არ იცის და კიდეც ამიტომაა ჯორი. შენ კი იოლი ცხოვრება მოგიწადინებია. მერედა, რის პატრონნს? აბა, აქ მოდი! მოდი, მოდი! — ეს რომ თქვა, შეიცადა, ვიდრე ზებულონი მივიდოდა, მერე ხელი მკლავში მოჰკიდა, საყდრისკენ პირით შეაბრუნა, თითი გაიშვირა და განაგრძო, — აგე! შეხედე ამ საყდარს! გუმბათი მორღვეული აქვს, კედლებს ხავსი მოსდებია, ქარი და წვიმა შლის და ანგრევს. აი, ეს არის შენი ქვეყანა! ამის პატრონნი აპირებ ტურებთან წასვლას და უზრუნველად ცხოვრებას?

ზებულონს პასუხი არ მიუცია. ცოტა ხნის წინ რომ გულში ნდობის ნამი ჩაეწვეთა, ის ნამი უკვალოდ გაქრა და გულმოსული ახლა მწარედ ნანობდა, რატომ გაქცევა ვერ მოვასწარიო. გაქცევა რომ მოესწრო, კათალიკოსის უმართებულო საყვედურსაც გადარჩებოდა და, რაკი არასოდეს აღარავის ეჩვენებოდა, ყველა დანარჩენ საყვედურსაც, რასაც მომავალში ალბათ კიდევ არაერთხელ ეტყვიან...

მაინც რას ერჩოდნენ?!.

უკვირდა ზებულონს, უკვირდა და ვერ გაეგო, რაღას სთხოვდნენ და რაღას ემართლებოდნენ. განა ქვეყნის სამსახურში არ ალამებდა და ათენებდა? განა მუდამ მხოლოდ იმას არ აკეთებდა, რასაც ქედზე მძიმედ დაწოლილი ვალი უბრძანებდა? მაინც კი საყვედურობდნენ! მაინც უწყრებოდნენ! რა-

ტომ, რისთვის? ანდა, რა არის ასეთი ეს ქვეყანა, რომ, რამდენიც არ უნდა ემსახურო, არა ჰყოფნის და სულ ახალსა და ახალ სამსახურს ითხოვს? ქართლი განა მიწაარ, ბექა ამილახვარმა, ქართლი ხალხია და ხალხი უნდა გადავარჩინოთო. მაშ, ზებულონი ვინღაა? განა ზებულონი კი ხალხი არაა? განა ზებულონი კი ქვეყნის შვილი არაა? ქვეყანამ რომ თავის ყველა შვილს ის მოსთხოვოს, მსხვერპლად შემომეწირეო, ვილასთვის უნდა ასეთი შეწირულობა? ან იქნებ ეს მხოლოდ ზებულონის ხვედრია? თუნდაც ეგრე იყოს, სხვა რაღა უნდათ ზებულონისაგან? განა გული არ ამოგლიჯეს — აქაო და ქვეყანას სჭირდებაო?! განა მთელი შიგანი არ ამოუღეს და ფუტურო ხედ არ აქციეს, რომლის ცარიელ ხვრელებში ახლა ქარებილა დაძრწიან?! ნუთუ ეს არ კმარა? ნუთუ მაინც ვერ მოიხადა ვალი ზებულონმა? ან კი რაღას აქნევს ქვეყანა ფუტუროსა და გულგამოცლილ ხეს? რაღად უნდა? რაღაში გამოადგება? ტკივილსაც კი არ ანებებენ ზებულონს! გულს ჰგლეჯენ და კიდევ აქეთ საყვედურობენ, რადა გტკივაო!..

მთელი დღე მოქუფრული დადიოდა და კათალიკოსს თვალს არ უსწორებდა. ზოგჯერ, კათალიკოსი რომ გამომცდელად მოაჩერდებოდა და რაღაცის თქმას დააპირებდა, კიდევ უფრო მოიქუფრებოდა და კიდევ მეტი სიჯიუტით ჩააცქერდებოდა მიწას. თავადვე ატყობდა, რომ მისი საქციელი ბალღის ბუტიაობას ჰგავდა, მაგრამ რა ექნა: როგორც გული ეუბნებოდა, ისე იქცეოდა. სხვაგვარად არ შეეძლო.

კათალიკოსი მთელი დღე გაუჩერებლივ ლაპარაკობდა. სახე მკაცრი ჰქონდა, ქვასავით უძრავი, ამიტომ ისე ლაპარაკობდა, თითქოს თვითონ კი არ ლაპარაკობდა, არამედ სხვის ლაპარაკს უგდებდა ყურს უნდოდ და ურწმუნოდ.

მაგრამ ზებულონის ჩაბნელებული გულიდან გონებაში მალე ნესტანის ხატი ამოცურდა. ზებულონის მწარე ფიქრები და ზებულონის გამწარებული სიცოცხლე ნესტანმა აავსო და კათალიკოსის ლაპარაკი უკვე აღარ ესმოდა. საითაც არ უნდა გაეხედა, ყველგან ნესტანი იყო. განა არა, სხვა რამესაც ამჩნევდა. საყდარსაც ამჩნევდა, ტყესაც, მწვანე მდელოსაც, ცასაც და მიწასაც, მაგრამ ნესტანის ხატი, ჩანს, მისსავ თვალებში იდგა, მისსავ ცრემლში შეხვეული, როგორც მზე დგას ბალახის წვერზე შემორჩენილ ნამის წვეთში, და, რასაც არ შეხედავდა, წინ ყველაფერს ეს ხატი მოექცეოდა. როცა თვალებს დახუჭავდა, ნესტანის ხატი გულში გადაინაცვლებდა და ახლა იქ ჩანდა. ამიტომ კათალიკოსის ნალაპარაკევიდან თითო-ოროლა სიტყვა თუ აღწევდა გონებამდე, დანარჩენი სხეულის კედლებზევე იმსხვრეოდა და უამური ხმაურით ცვიოდა ძირს. კათალიკოსი ატყობდა, რომ ზებულონს მისი ლაპარაკი არ ესმოდა, მაგრამ ამას აინუნშიაც არ აგდებდა. თუ მაინცდამაინც გაგებინებას მოიწადინებდა, ერთსა და იმავეს რამდენჯერმე გაუმეორებდა და ხმასაც აუწევდა. ასეთ დროს ზებულონი შეკრთებოდა, გამოერკვეოდა, გამოფხიზლდებოდა და უგულოდ და უხერხულად წაიბურტყუნებდა პასუხს. ზოგჯერ კათალიკოსი გაჩუმდებოდა, უხმოდ შემოაცქერდებოდა თავისი ღრმად ჩამსხდარი თვალებით და ისე მოაპყრობდა ბასრ, გამჭოლ მზერას, ზებულონს ეჩვენებოდა, თითქოს სადღაც, შორეულ საფარში, მტერი ჩამჯდარიყო და თვალს არ აშორებდა. და ამაოდ წრიალებდა, ამაოდ ცდილობდა დამალვას, იმ საფრიდან ყველაფერი დღესავით ჩანდა. თუ კათალიკოსს ზებულონის გაწამება სურდა, ერჩივნა ასე უხმოდ და დაჟინებით ეცქირა, მაგრამ, ეტყობა, თავად ვერ ძლებდა ჩუმად. უცქერდა მცირე ხანს ასე, უცქერდა და მერე ისევ ლაპარაკს დაიწყებდა.

დალამებულზე კათალიკოსმა ის კარი გაალო, ზებულონს რომ ადრე არ შეემჩნია, წინ შეუძღვა და სანთლები აანთო. ზებულონმა მიმოიხედა და ნახა, რომ ეს სენაკი კი არა, კარგა დიდი

დარბაზი იყო. მარცხენა მხარეს, შუა კედელზე, მაცხოვრის ხატი ეკიდა. კუთხეში იარაღი ეწყო — თოფი, ხმალი და მშვილდ-ისარი. მარჯვნივ, უკანა კედელთან, სამი ხის ტახტი იდგა.

— ესეც შენი ქვეყანაა, — თქვა კათალიკოსმა.

ზებულონი მოიღუშა, მაგრამ კათალიკოსს ამჯერად სიტყვა აღარ გაუგრძელებია, ხელი ერთ-ერთი ტახტისკენ გაიშვირა და უთხრა:

— აგერ, იმ ტახტზე დაწექ და დაიძინე.

თვითონ მაცხოვრის ხატის წინ დაიჩოქა და ჩუმი ბუტბუტით ლოცვას მოჰყვა. ნიშებში, ორთავ მხარეს, სანთლები ენთო და სანთლების იდუმალ, მკრთალ შუქზე მაცხოვრის ნათელი სახე ცოცხალსა ჰგავდა.

დიდხანს ლოცულობდა კათალიკოსი. ბოლოს სანთლები ჩააქრო, დაწვა და მალევე დაიძინა.

ზებულონს კი ძილი არც იმ ღამეს მიჰკარებია. კათალიკოსმა რომ დაიძინა და სიბნელე სამარისებურ დუმილში ჩაიძირა, თითქოს დამწყვდეული ძაღლები გამოუშვესო, აქამდე გაყუჩებულმა ქარბორბალამ ერთბაშად ამოხეთქა და წუხანდელივით დატრიალდა გაათრებული ყეფითა და ღმუილით. მთელი ღამე გამძვინვარებული დათარეშობდა ზებულონის სხეულში და იქ დაბუდებულ სიცარიელეს აზანზარებდა. მხოლოდ გამთენიისას, ისიც სულ ცოტა ხნით, ჩასთვლიმა ზებულონს, მაგრამ ქარების ავი ღმუილი და ყინულივით ცივი ენები არც ძილში ასვენებდა და მზის ამოსვლისას, როდესაც თვალი გაახილა, უარესად იყო დაღლილი.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. ზებულონი უაზროდ დააბიჯებდა სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე, სადაც აღარც სიცოცხლეს ელო ფასი და აღარც სიკვდილს. დღისით, თითქოს კათალიკოსის ლაპარაკის ეშინიაო, მძვინვარე ქარიშხალი სადღაც, გულის ბნელ ხვრელში შეიმალებოდა და სუნთქვაშეკრული გაიტრუნებოდა, ღამით კი, სიჩუმე რომ ჩამოვარდებოდა, ისევ წამოიქოჩრებოდა და ჯოჯოხეთის ჯარას ატრიალებდა.

კათალიკოსი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. როცა მოკლედ ეტყოდა რამეს, ზებულონს მისი ნათქვამი ესმოდა და პასუხსაც აძლევდა, მაგრამ როცა ქადაგივით გრძლად და გაბმით ლაპარაკს მოჰყვებოდა — უფრო მეტად კი სწორედ ასე შვრებოდა — ზებულონის გონების კარი თავისთავად იხურებოდა და მწარე, გულისმომკვლელ ფიქრებში შეხვეულს კათალიკოსის სიტყვები გარედან ისე აცვიოდა, როგორც სეტყვის მარცვლები, რომლებიც გახურებულ მიწაზე წამსვე დნებიან და ორთქლად იქცევიან. კათალიკოსი ამას არად აგდებდა, ჯიუტად განაგრძობდა ლაპარაკს და ამ თავისი შეუპოვარი მოთმინებით ბოლოსდაბოლოს მაინც გაიკვლია გზა ზებულონისაკენ. ჩანს, კათალიკოსმა კარგად იცოდა ის, რაც ზებულონმა გვიან გაიგო — რომ სიცოცხლის უგუნური სიყვარული უკურნებელი სენი ყოფილა — და სწორედ ეს მიძინებული სენი გააღვიძა, სწორედ ამ სენის იდუმალ ნაკადულს ატანდა თავის სიტყვებს, რათა ზებულონის გონებაში შეეღწია და სიცოცხლის ნამი შეეტანა. ზებულონის გულში, რაღა თქმა უნდა, კვლავაც განუყოფლივ ნესტანი ბატონობდა. იქ ყველაფერი ნესტანს ეკუთვნოდა და ყველაფერს ნესტანი განაგებდა. უნდოდა, გაიღიმებდა და ირგვლივ ნათელს მოჰფენდა, უნდოდა, ღრუბლებს შემოიხვევდა და თავის სამეფოს ქვესკნელივით ჩააბნელებდა. მაგრამ კათალიკოსმა ის ჩუმი, ცბიერი და აურიდებელი სენი გამოიყენა იარაღად და სიკვდილის საბრძანებელში ბოლოსდაბოლოს სიცოცხლემაც თავისი წილი მოითხოვა. როდესაც ზებულონმა იგრძნო, კათალიკოსის სიტყვების ნიაღვარს მისი მარტოობის ციხე-სიმაგრე შეერყია, და იძულებული შეიქნა, ყური დაეგდო, პირველად ეამა კიდეც, რადგან კათალიკოსი გარდასულ ამბებზე ლაპარაკობდა, ძველ გმირებს

იგონებდა, რომელთაც ქვეყნისათვის თავის დადება წმიდათაწმიდა ვალად მიაჩნდათ. ამან ზებულონნს ბავშვობის წარმტაცი ზღაპრები გაახსენა, ოდესღაც, ღამით, კოცონის პირას მოსმენილი, და გულიც კი შეუტოკდა, მაგრამ მერე, როდესაც კათალიკოსი იმ მკრთალ-იდუმალ შუქში გახვეული წარსულიდან, სადაც თითქოს ზებულონის მისატყუებლად შესულიყო, უკახვე ამოვიდა და ისევ ამ ცრუსა და ორპირ დროებაში გადმოინაცვლა, ზებულონნს სხეულში ჩამალული ეკლები აეშალა და გული აემღვრა, ვინაიდან კათალიკოსის სიტყვებში ძველებური ძრახვა და ყვედრება გაისმა.

— რაკი მათი გმირობა მხოლოდ ამბად გაგვიგია, ასე გვგონია, უჩვეულონი და განსაკუთრებულნი იყვნენ, შუბლზე გამორჩეულობის ბეჭედი ედოთ და სიცოცხლე არად უჩნდათ. ტყუილია. ეს ყველაფერი ჩვენივ მოგონილია. სინამდვილეში ჩვენებრ უბრალო ხალხი იყო, ჩვენსავით სიცოცხლე ერჩივნათ სიკვდილს, ჩვენსავით ეშინოდათ ტკივილის და ზოგჯერ ჩვენსავით ჰოჭმანობდნენ. მაგრამ რა ექნათ: საქართველოში დაიბადნენ და სხვა გზა არა ჰქონდათ. ძაღლი უფალს, კაცი თვითონ არ ირჩევს სამშობლოს და თვითონ არა წყვეტს, თუ სად დაიბადოს, თორემ ქართლი აქამდე უდაბური და უკაცრიელი გახდებოდა. ვინ მოიწადინებდა ამგვარ სატახჯველში გაჩენას! ვისაც უკეთესი ბედი აქვს, ის დიდ და ღონიერ სახელმწიფოში იბადება და, თუ მაინცდამაინც ნადირად ქცევას მოიწადინებს, შეუძლია კიდეც ნადირად იქცეს, ამით ქვეყანას ბევრი არა დააკლდება რა. ჩვენში კი ყოველი კაცი სათვალავშია ჩაგდებული. ჩვენში ყოველმა კაცმა ქართლი თავისი ზურგით უნდა ზიდოს.

ზებულონი სახემოღრუბლული უსმენდა და იმ დროს ნატრობდა, როცა გონების კარი გადაკეტილი ჰქონდა და შიგ კათალიკოსის ლაპარაკი ვერ აღწევდა. უნდოდა შეპასუხებოდა, უნდოდა თავი ემართლებინა, უნდოდა ეამბნა, რამდენჯერ სიკვდილის პირისპირ მდგარა, რამდენჯერ დაუფიქრებლად გადავარდნილა ისეთ ხიფათში, საიდანაც თავის დაღწევა სასწაულით თუ შეიძლებოდა. უნდოდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა და იმის გამო, რომ ხმას ვერ იღებდა და დამნაშავესავით თავჩაღუნული ჩუმად უსმენდა, ბრაზი აღრჩობდა და გულსლა ასკდებოდა.

კათალიკოსი კი სულთამხუთავივით ადგა თავს და მწარე სიტყვების შხამს სწორედ იქ აწვეთებდა, სადაც პირშეუკრავი იარები ეგულებოდა:

— ეგებ შენ იმასაც ფიქრობ, რომ, რაკი ბებერი ვარ, სიყმაწვილე დავიწყებული მაქვს და ამიტომაც ვლაპარაკობ ეგრე, მაგრამ აბა ერთი ესეც იფიქრე: ვთქვათ და, გაქცეულიყავ და ქალიც გაგეტაცნა, ისკანდერ-ხანსაც გასხლტომოდი და ბექასაც, იმერეთს გაგეღწია და იმერთ მეფისთვის თავი შეგევრდომებინა, მეფეს წყალობით შემოეხედნა და შეეფარებინე, სახლიც მოეცა და კარიც, ადგილიცა და მამულიც, ყმაცა და მსახურიც, ჯვარიც დაგეწერა, ფუძეც გაგეჩინა და თავი ბედნიერად ჩაგეთვალა. ვითომ მართლა ბედნიერი კი იქნებოდი? ვითომ, ერთ დღესაც რომ ვინმე დაგიჯდებოდა და გიამბობდა, გაიგე, ქართლში რა ამბავი მომხდარაო, ერთ ქალ-ვაჟს თურმე ერთმანეთი შეჰყვარებია, ის ქალი კი მეფეს ცოლად მოუნდომებიაო, ეს რომ ვაჟს შეუტყვია, ქალი გაუტაცნია და გაქცეულაო, მაშინ განრისხებულ მეფეს, რომელიც ქართველებს ისედაც უნდო თვალით უყურებდა და მარჯვე შემთხვევას ელოდა, მთელი ქართლი აუწიოკებიაო, ქალის პაპა დილეგში ჩაუგდიაო, პირველი დიდებული, რომელიც სინამდვილეში თურმე შეთქმულთა მოთავე ყოფილა და ყიზილბაშებისაგან ქვეყნის დახსნისთვის იღწვოდა, სიკვდილით დაუსჯიაო, ამდენი და ამდენი თავადი დაუსაჭურისებიაო, ამდენი და ამდენი თავადისთვის თვალები დაუთხრიაო, გაქცეული ქალის სანაცვლოდ ამდენი და ამდენი ულამაზესი ქალწული შეუპყრია და შაჰისთვის

ფეშქაშად გაუგზავნიაო... მაინც ბედნიერი იქნებოდი? ვერა. ვერ იქნებოდი ბედნიერი. ახლა უფრო ბედნიერი ხარ, რომ ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა ჯერ კიდევ შეგიძლია. განა მართლა ნადირად დაიბადე, რომ ქვეყანა შენს პატარა, დუხჭირ ბედნიერებას ანაცვალო!

მწარედ ლაპარაკობდა კათალიკოსი. იმას არა ფიქრობდა, რომ ზებულონი განა საკუთარ ბედნიერებას მისტიროდა! არა. თავისი თავი არ ადარდებდა. ტლუდ დაბადებული ტლუდ მოკვდებოდა სადმე. ან მის სიცოცხლეს რა ფასი ჰქონდა, ან მის სიკვდილს! ზებულონს ის უძიძგნიდა გულ-ღვიძლს, რომ ნესტანს ჯერ გაუჩინა იმედი, მერე კი გაუმტყუნა. ეს იყო სიკვდილზედ უარესი, თორემ სიკვდილი რა ბედენაა!

ამას არ ფიქრობდა კათალიკოსი. მკაცრი, გაქვავებული სახით კიცხავდა და ტკივილზე ტკივილს უმატებდა. პირველ ხანებში მაინც, დღე ისე არ გავიდოდა, ის არ ეხსენებინა, ზებულონი რომ ტყეში გაქცევას აპირებდა.

— ეჰ, ბარემ კარგია გაქცევა და შენს ნებაზე ყოფნა, მაგრამ მე და შენ აბა ვინ გაგვიშვებს! მე და შენ ქართველებად და ქრისტიანებად გავჩენილვართ. ქართველობა ჩვენი ხმალია და ქრისტიანობა ჩვენი ფარი. ვისთვისაც ღმერთს ფარისა და ხმლის მეტი არა მიუცია რა, ის მეომარია და, ძალიანაც ეგულმძიმებოდეს, მაინც უნდა იომოს. ჩვენი მიწა-წყალი მცირეა და გამუდმებული დარაჯობა სჭირდება. პატარა ქვეყანა დიდი სატკივარია. ჩვენი ქვეყანა კი იმდენად პატარაა, ხელები რომ გაშალო, თავ-ბოლოს მიწვდები. ასეთ ქვეყანას სხეულივით უნდა გრძნობდე და, როცა შენს მიწაზე უცხო მოძალადე დადის, ისე უნდა გტკიოდეს, თითქოს შენს სხეულზე დადიოდეს და შენს სხეულს თელავდეს.

ზებულონი ალბათ ამდენ საყვედურს ვერ გაუძლებდა. კიდევ კარგი, რომ კათალიკოსი, თუმც კი მუდამ ქვეყანაზე ელაპარაკებოდა, ქვეყნის ერთგულებაზე და ქვეყნისთვის თავდადებაზე, რაც დრო გადიოდა, იმ სირცხვილს უფრო იშვიათად და იშვიათად ეხსენებდა. იქნებ ესეც იყო მიზეზი, რომ ერთ საღამოს ზებულონს მოეჩვენა, თითქოს კათალიკოსის გაქვავებულ სახეს სათნოების იერი ედო და მუდამ გამომცდელად მოპყრობილი თვალებიდანაც სიკეთე და ლმობიერება იმზირებოდა.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც პირველად წავიდა სანადიროდ და ტყე-ტყე წანწალსა და ნადირის დევნას ცოტა გული გადააყოლა. თვითონ ფიქრადაც არ მოსვლია ნადირობა, კათალიკოსმა გაგზავნა. ახლა კი, მგონი, დროა ჩვენს ღარიბულ სუფრას ცოტა რამ წავუმატოთო, უთხრა ერთხელ, მერე ყოყმანით დაუმატა, თუმც ქვეყნიერებას მოშორებული ვართ, თოფის გასროლა ალბათ მაინც საშიშია, და თუნდაც საშიში არ იყოს, ვაითუ ჩვენმა წმინდა ბელზებელმა დაგვტუქსოსო, ბოლოს ჰკითხა, მშვილდ-ისრის ხმარება თუ გემარჯვებაო. დიაღო, ზებულონმა მიუგო და სწორედ მაშინ იყო, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად გადაურბინა სახეზე ღიმილმა. თქვენ სხვა თქვით, თორემ იარაღის ხმარება ხომ ზებულონის საქმე იყო, მშვილდი იქნებოდა, ხმალი თუ შუბი...

ზებულონმა მშვილდ-ისარი აიღო, სანადიროდ წავიდა და, ტყეში რომ ნებაზე იგრძნო თავი, ერთხელ კიდევ გაკრა ფიქრმა, ეგებ უკან აღარ დავბრუნდეო, მაგრამ ეს ფიქრი ულონო იყო და ხმელი ფოთოლივით მალევე ჩამოვარდა.

კათალიკოსი საყდრის წინ დახვდა. გაუნძრევლად იდგა იქ, პატარა მდელოზე, ზემოთ, ფერდობისკენ იცქირებოდა და ისეთი იყო, თითქოს რაღაც მძიმე საფიქრალი გასჩენიაო. ზებულონი რომ დაინახა, სახე გაეხსნა და შორიდანვე შეეხმიანა:

— მოხველ?

ზებულონმა გაკვირვებით შეხედა.

— რამე მოხდა, თუ...

— არც არაფერი, — თქვა კათალიკოსმა და გაქვავებულ სახეზე წამით

ღიმილი დააჩნდა, — გულზე უმიზეზო ნაღველი შემომაწვა. ახლა ისევ გადამეყარა.

მაშინ ზებულონს გონების თვალწინ მოულოდნელი და მყისიერი ჩვენება გაუკრთა, რომელიც ოდესღაც, როცა ჯერ კიდევ ბალღი იყო და ბედნიერი, წყაროსთვალში არაერთხელ ცხადლივაც ენახა: მარტის ბოლო იყო. უკვე ძალამოკრებილ მზეს ჰაერი ცხელ, გამჭვირვალე ბუღში აელივლივებინა და ნაზამთრალი სოფელი მონატრებულ სიმხურვალეში გახვია. სახურავებზე დაკიდებულ ყინულის მძიმე ლოლუებს წვეთები ცრემლებივით სდიოდა და გამლღვალ, აფუებულ მიწაზე პატარ-პატარა, თბილი გუბურები ჩნდებოდა. ჩვენებამ ერთი იელვა და გაქრა, მაგრამ, სანამ გაქრებოდა, ზებულონმა ისახარს მოჰკრა თვალი. ისახარი ღობესთან იდგა, ორთავ იდაყვით ღობეს ჩამოყრდნობოდა და ცალი თვალით, რომელშიაც გაზაფხულის სითბო თავშეკავებულ ღიმილად ჩამდგარიყო, სოფელს გასცქეროდა.

აი, მაშინ მოეჩვენა ზებულონს, რომ კათალიკოსს სახე სათნო ჰქონდა და გამოხედვა ლმობიერი.

ვახშმად რომ დასხდნენ, კათალიკოსს ნანადირევისთვის პირი არ დაუკარებია; ჩვეულებისამებრ, ცოტა ნიგოზი და პური შეჭამა და ერთი ჯამი ღვინო დალია. ჩუმად იჯდა და დროდადრო ზებულონს მოუხელთებელ მზერას სტყორცნიდა. ბოლოს, ზებულონი რომ უკვე ადგომას აპირებდა, უთხრა:

— ერთი ცოდვა დავიდე და, რომ არ გაგიმხილო, ვერ მოვისვენებ.

ზებულონი შეკრთა.

— ცოდვა? შენ, უწმინდესო?

— სანადიროდ განზრახ გაგგზავნე.

ზებულონმა გაკვირვებით შეხედა და მცირე დუმილის შემდეგ ყრუ ხმით ჰკითხა:

—რისთვის?

— გამოსაცდელად. უფრო ადრე რომ გამეგზავნე, უეჭველად გაიქცეოდი. უფრო გვიან რომ გამეგზავნე, უეჭველად დაბრუნდებოდი. გაქცევას გულის ღელვა გადაგა[illegible], დაბრუნებას კი სასოწარ[illegible] ისეთ დროს გაგიშვი, რასაც გადაწყვეტდი, ნამდვილი გადაწყვეტილება ყოფილიყო, უკვე დადინჯებული გულისა და ჯერ კიდევ დაუჯაბნელი გონების გადაწყვეტილება. რაკი არ გაიქეც, აწ ქართლსაც არა უჭირს რა.

ზებულონს კარგა ხანია უკვე ყოველივე გადაწყვეტილი ჰქონდა და ამიტომ თვალებდახრილმა წყნარად მიუგო:

— სად უნდა გავქცეულიყავ!..

ამ ამბის შემდეგ ზებულონს კათალიკოსზე ცოტა გული მოუბრუნდა და ნელ-ნელა თითქოს შეეჩვია კიდეც. ოღონდ იმასაც ატყობდა, რომ ისე შეეჩვია, როგორც უცხო რამ სახილველს შეეჩვევი, რომელსაც თუმც მუდამდღე ხედავ, მაგრამ შორიდან ხედავ, ახლო კი ვერ მისულხარ, რადგან შუაში გადაულახავი უფსკრულია (მერე ზებულონი არაერთხელ დაფიქრებულა და დაეჭვებულა კიდეც, ეგებ არც იყო გადაულახავიო, მაგრამ განა გადაულახავი არ არის უფსკრული, რომელსაც ვერ გადალახავ, და თუ გადალახე, იმას ველარ იპოვი, რისთვისაც გადალახე?).

დილა-საღამოს — დილით ადგომისთანავე, ხოლო საღამოს დაწოლის წინ — კათალიკოსი მაცხოვრის ხატის წინ დაიჩოქებდა ხოლმე და ხანგრძლივად ლოცულობდა. ლოცულობდა ჩუმად, ისე რომ ზებულონს, რომელიც კათალიკოსზე ადრე წვებოდა და კათალიკოსზე გვიან დგებოდა, არათუ სიტყვები, ხმაც არ ესმოდა. ამის გამო კათალიკოსის ლოცვა კიდევ უფრო იდუმალი ხდებოდა. ზებულონი სუნთქვას იკრავდა და გარინდებული მისჩერებოდა. მისი ტახტიდან კათალიკოსისა მხოლოდ ზურგი ჩანდა. ზურგი და გრძელი, თეთრი თმა. სახე არ ჩანდა. სახე მაცხოვრისა ჩანდა და, როცა ამ სახეზე მოლიცლიცე სანთლების შუქი ნელა ამოძრავდებოდა, ზებულონს ეჩვენებოდა, თითქოს შუქი კი არა, თვითონ სახე მოძრაობდა. სახე სუნთქვას იწყებდა, თვალს ახელდა და ზებულონს

ზოგჯერ ასე ეგონა, მაცხოვრის სახე და კათალიკოსის ზურგი შეერთდნენ და კათალიკოსი მაცხოვრის სახით იდგა მუხლმოყრილი და მაცხოვრის სახით ლოცულობდა. ასეთ დროს ზებულონის გულში კრძალვა და მოწიწება ისადგურებდა და კათალიკოსი შორეული, უცხო და მიუწვდომელი ხდებოდა. სამაგიეროდ, დღისით, თუ მაინცდამაინც გრძელ ქადაგებას არ მოჰყვებოდა და უბრალო და ჩვეულებრივ, ნაცნობ საგნებზე დაიწყებდა ლაპარაკს, თითქოს უფრო ახლობელი ჩანდა, ზოგჯერ ისეთი ახლობელიც კი ჩანდა, ზებულონს თავად მოუნდებოდა ხოლმე გამოლაპარაკება.

მაგრამ დროდადრო, თავისდაუნებურად, რაღაც გაუგებარი და ბოროტი ძალის მეცადინეობით, ნესტანს სასახლეში წარმოიდგენდა ისკანდერ-ხანთან ერთად და ბილწი და დაუნდობელი გონება ისეთ სურათს უხატავდა, რომ თვალთ უბნელდებოდა, ოფლს ასხამდა, მთელი სხეულიდან გამოწოვილი სისხლი თავში დაუტრიალდებოდა და მის მკვდარ არსებაში ვიღაც უცხო, აქამდე უცნობი ზებულონი ცოცხლდებოდა, ავი, ველური, უაზროდ ბოროტი ზებულონი, რომელიც მზად იყო, არა მარტო ისკანდერ-ხანი, არამედ ყველა სულიერი, ნაცნობიცა და უცნობიც, ახლობელიცა და შორებელიც, კატასავით წაეხრჩო, მთელი ქვეყნიერება ლრჯო, ავი სიამოვნებით გაესრისა. ასეთ დროს ზებულონს თვითონვე ეშინოდა იმ მეორე ზებულონისა, ეშინოდა ამ ბრმა, განურჩეველ სიძულვილს ლაგამი არ გადაელრღნა და, რაკი კათალიკოსის გარდა ახლომახლო სხვა არავინ ეგულებოდა, აზრდაკარგულს კათალიკოსისთვის არა შეემთხვია რა.

თავად კათალიკოსი, არავინ იცის, ვერ ამჩნევდა ამ საზარელ ხიფათს, თუ ამჩნევდა და ყურადღებას არ აქცევდა.

დრო კი მიდიოდა. უკვე მეოთხე თვე იყო, ზებულონი და ქართლის კათალიკოსი ამ ულრან ტყეში ჩაკარგულ პატარა საყდარში ცხოვრობდნენ. გაქცევა და ვალისთვის თავის არიდება ზებულონს რა ხანია გულში ერთი გაუვლია. მეტიც: იმ თავის სირცხვილს რომ იხსენებდა, ახლა თავადვე უკვირდა, ნუთუ მართლა შევძლებდი, ყველაფერი მიმეტოვებინა და ტყეში დავკარგულიყავიო. მართალია მის ტანჯვას ბევრი არა მოკლებია რა, გულში კვლავაც ურიცხვი პირშეუკრავი იარა ჰქონდა და ზედ ნესტანის განწირული სიყვარული დააბიჯებდა, მაგრამ დრო მაინც თავისას შვრებოდა; ახლა, კათალიკოსის ლაპარაკს რომ ყურს უგდებდა, უფრო კი, თუ თავადაც ჩაებმებოდა საუბარში, ზოგჯერ ნახევარი დღე ისე გაივლიდა, გულის იარები თავს არ შეახსენებდა.

კათალიკოსს შეჩვევით, როგორც ითქვა, შეეჩვია, მაგრამ გაგებით კი ვერა გაუგო რა. გარდასული დროის გმირებს რომ გაიხსენებდა და გზნებითა და გულმხურვალედ მოჰყვებოდა მათი თავდადების ამაღელვებელ ამბებს, ზებულონს, ადრე თუ ამის გამო თავისი სირცხვილი და სულმოკლეობა აგონდებოდა და ჭირის ოფლს ასხამდა, ახლა უკვე ზოგჯერ გულში ეჭვი შემოეპარებოდა. რამდენჯერ უნახავს, რომ კაცი სწორედ იმაზე ლაპარაკობს ყველაზე მეტი გატაცებით, რაც თავად არა აქვს. ლატაკს ოქრო-ვერცხლზე უყვარს ლაპარაკი, გულნამცეცას დიდსულოვნებაზე, ლაჩარს სიმამაცეზე. მანუჩარ ბატონიშვილის რაზმში ერთი ჭაბუკი იყო — მერე ლეკებთან ბრძოლაში დაიღუპა — სულ მუდამ ქალებზე ლაპარაკობდა, მუდამ თავის სამიჯნურო ამბებს ყვებოდა, ზოგჯერ ისეთებს იტყოდა, ზებულონი სირცხვილისაგან წითლდებოდა. მაგრამ ერთხელ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, გამოირკვა, რომ იმ საბრალოს ქალისა არა გაეგებოდა რა, რასაც ყვებოდა, ყველაფერი თურმე მოგონილი იყო... ეგებ კათალიკოსიც ამიტომ ლაპარაკობდა ამდენს მსხვერპლსა და თავგანწირვაზე?.. ზებულონმა კარგად იცოდა, რომ, როდესაც ისკანდერ-ხანი ქართლის ტახტზე ავიდა, კათალიკოსმა იგი

ბიბლიოთეკა

საჭიროდ შეაჩვენა, მერე კი სოფელ-სოფელ დაიწყო სიარული, რათა ხალხი აემხედრებინა, და რომ ბექა ამილახვრის მახვილი ჭკუა და მოხერხება არა, ყიზილბაშები ალბათ ასეთი კადნიერებისათვის სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. განა ეს თავგანწირვა არ იყო? მაგრამ იქნებ მაშინ დაუფიქრებლობით მოუვიდა, გულისწყრომა ვერ დაიოკა და აჩქარდა? აკი უკვე აღარ დადიოდა სოფელ-სოფელ, აკი ახლა ზებულონთან ერთად იმალებოდა აქ, ამ საყდარში...

ასეთი ეჭვი წამით გაკრავდა ხოლმე გულში ზებულონს და თავისდაუნებურად გაიფიქრებდა, ნეტა ერთი, ხიფათი რამ შეგვემთხვია, მაშინ ენახე როგორ შეეცვლება ხმის კილოო, მერე თავადვე შერცხვებოდა და ისე აარიდებდა თვალს, თითქოს ის, რაც გულში გაივლო, ხმამაღლა ეთქვას.

ათასში ერთხელ, როდესაც კათალიკოსის სახეზე ღიმილის იერები გაკრთებოდა, ან მოუხელთებელი, ძლივშესამჩნევი ღიმილი, ზებულონს სიმწარე წამით გულიდან გადაავარდებოდა და გონების თვალწინ ისახარის ლანდი გაიელვებდა.

მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. ამიტომ ზებულონი უფრო ხშირად თავის იარებს ჩასცქეროდა და ნესტანზე ფიქრობდა.

მერე და მერე ახალი სადარდებელი გაუჩნდა: უქმად ყოფნამ შეაწუხა. რაც მეტი დრო გადიოდა, მეტად და მეტად აწუხებდა. ერთხელაც ვეღარ მოითმინა და კათალიკოსს შეეკითხა:

— ნეტა როდემდე უნდა ვიყოთ ასე განდეგილებივით?

— ვიდრე წმინდა ბელზებელი ბუკსა და ნაღარას არ დაჰკრავს და ბრძოლის ველზე არ გვიხმობს, — მშვიდად მიუგო კათალიკოსმა.

ზებულონმა იცოდა, რომ კათალიკოსი „წმინდა ბელზებელს“ ბექა ამილახვარს უწოდებდა, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— ბექა ამილახვარზე ბრძანებ, უწმინდესო?

— მაშ, სხვა ვინაა ისეთი, ერთსა და იმავ დროს ბელზებელიც რომ იყოს და წმინდანიც!

— მერედა, ეგ როდის მოხდება? მტერს განა რა ამდენი ყურება უნდა!

— შენთვის არ უნდა. შენ მეომარი ხარ. ომში კი იოლი საქმეა. იმისათვის უნდა. იმიტომ რომ მან ომის ბედიც უნდა გადაწყვიტოს... — აქ კათალიკოსი მცირე ხანს დაფიქრებული იდგა, მერე განაგრძო, — ბექა ამილახვარი ფრთხილობს. იცის, თუ რა უდევს სასწორზე და ფრთხილობს. სწორსა შვრება. მძიმე ბრძოლა მოგველის და ამ ბრძოლაზე ბევრი რამ ჰკიდია. თუ დავმარცხდით, შესაძლებელია, სამუდამოდ დავმარცხდეთ. ამიტომ ადვილად გადაწყვეტა არ შეიძლება.

— იესე ერისთავმა ბრძანა, ისკანდერ-ხანი დაყვავებით დაიწყებს და ქვეყანას გათათრებით დაასრულებსო. ვაითუ ამდენ ყოყმანსა და ლოდინში დაგვიგვიანდეს...

— გათათრება ეგრე იოლი არ არის. ქვეყანა განა ვაშლია, რომ პირდაპირ გულში გაუჩნდეს მატლი, როგორც კაცს უჩნდება! ქვეყანას მატლი გარედან ეხვევა და, როგორც კომბოსტოს, პირველად დიდ-დიდი ფურცლები ულპება, რომლებიც გამოსაჩენზეა. გულში გვიან აღწევს. ჯერ დრო გვაქვს. ჯერ შეგვიძლია, აუჩქარებლად ვიფიქროთ და დაკვირვებით ავწონოთ ყოველივე.

მეორე დილით კათალიკოსმა წიგნი აიღო, რომელიც მაცხოვრის ხატის ქვეშ, ნიშაში იდო, სანთლებს შორის, და ზებულონს გამოუწოდა.

—აჰა! წმინდა სახარება იკითხე. მოთმენასაც გასწავლის და ბევრ სხვა რამესაც.

სახეც ისეთი ჰქონდა და ხმის კილოც, რომ ზებულონმა უცბად ვერ შეძლო ეთქვა, კითხვა არ ვიციო, და უანგარიშოდ ჩამოართვა წიგნი. რომ ჩამოართვა, მაშინ კი მიხვდა, რომ თავისდაუნებურად სიცრუე გამოუვიდა, მაგრამ ეხლა ამ სიცრუის გამხელისა შერცხვა და დაბრუნება ვეღარ მოახე-

რხა. მთელი დღე უაზროდ ატრიალებდა წიგნს, ფურცლავდა და უცნობ ასოებს ჩასცქეროდა, თან ცალი თვალი ერთთავად კათალიკოსისკენ ეჭირა, ხომ არ შეუმჩნევია, რომ ტყუილად ჩავცქერიო.

მთელი დღე ასე იწვალა. მეორე დღეს, როგორც იქნა, თავს სძლია, წიგნი კათალიკოსს გაუწოდა და ისე უთხრა, სახეში არ შეუხედავს:

— კი არ ვიცი და...

— რა არ იცი? — გაკვირვებით ჰკითხა კათალიკოსმა.

— კითხვა... — ძლივს ამოღერღა ზებულონმა.

კათალიკოსმა შუბლი შეიჭმუხნა.

— კითხვა არ იცი? — და ხმას აუწია, — როგორ თუ არ იცი?!

ზებულონი უკვე მიჩვეული იყო კათალიკოსის უმართებულო წყრომას. ამიტომ არც თავი აულია, არც პასუხი მიუცია. მიწას ჩასცქეროდა და დუმდა.

კათალიკოსმა კი ერთხანს კიდევ უყურა შუბლშეჭმუხვნით, მერე ჰკითხა:

— განა აზნაური არა ხარ?

— აზნაური გახლავარ, უწმინდესო, — ცოტა გულმოსული კილოთი მიუგო ზებულონმა.

— მერედა, აზნაურმა კითხვა როგორ არ ისწავლე?! — მკაცრად, მწყრალად თქვა კათალიკოსმა.

ზებულონის თვალწინ წამით მტკივნეული სიცხადით განათდა უზრუნველი ბალღობის ხანა და მყისვე ისევ ჩაქრა. გულში მწარე ბალღამი დაუტრიალდა, მერე ბალღამი გორგალივით შეიკრა და ყელში მოებჯინა. ზებულონმა ნელა მოატრიალა თავი და კათალიკოსს შეხედა. კათალიკოსის სახეზე ახლა წყრომა არ იდგა. წყრომის ნაცვლად წუხილი იდგა, მწარე, ღრმა, გულისშემძვრელი წუხილი.

და ზებულონმა, თავისდაუმოულოდნელად, ლაპარაკი დაიწყო.

ყრუ ხმით კი ლაპარაკობდა, ყრუ ხმით და ნელა, მაგრამ გადაბმულად და გაუჩერებლად, თითქოს ადიდებულმა მდინარემ ჯებირი გაარღვიაო.

თავისი ხმა რომ ესმოდა, უკვირდა და ეშინოდა. თან უკვირდა, თან ეშინოდა, თან სახეზე ალმური ჰქონდა წაკიდებული.

კათალიკოსი თვალმოუშორებლივ უცქეროდა და ჩუმად უსმენდა. ზებულონი ვერ ატყობდა, როგორი სახე ჰქონდა ამ დროს კათალიკოსს, რადგან თავისი ლაპარაკი ბურანივით ერტყა ირგვლივ და ამ ბურანს იქით ვერაფერს ამჩნევდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოათავა.

ახლა, როცა აღარც საკუთარი ხმა ესმოდა და კათალიკოსიც დუმდა, ალმური კიდევ მეტად მოედო და სახე კიდევ მეტად გაუხურდა.

დიდხანს იდგა მძიმე სიჩუმე. მერე, როდის-როდის, კათალიკოსმა დუმილი დაარღვია. მის ხმაში ახლა რაღაც ისეთი გაისმა, რაც აქამდე ზებულონს არ შეემჩნია, თუმც, რა იყო ეს, ან რას ნიშნავდა, ვერ იტყოდა.

— წუთისოფელი ხანმოკლეა. მარტო ცოდვის დადებას ვასწრებთ. სიკეთის ქმნისთვის დრო აღარ გვრჩება...

კათალიკოსი გაჩუმდა. სიჩუმე კვლავაც მძიმე იყო და ზებულონს სული უგუბდებოდა. დროდადრო კათალიკოსს ქურდულად შეხედავდა და ნატრობდა, ნეტავ კიდევ თქვას რამე, რომ ეს უსაშველო დუმილი გაიფანტოსო.

— კარგია, რომ მითხარ, — როგორც იქნა, ამოიღო ხმა კათალიკოსმა, — გული გაგეწმინდება...

როგორ უნდოდა ზებულონს ეკითხა, ღმერთი თუ შემინდობს, უწმინდესოო, მაგრამ პასუხისა ეშინოდა და ვერ გაებედა.

კათალიკოსს, თითქოს ზებულონის ნაამბობმა დაამუნჯაო, იმ დღეს ხმა არ ამოუღია. არც გრძლად უთქვამს რამე და არც მოკლედ. დაფიქრებული სახით დადიოდა და დუმდა. ზებულონი კი თურმე, თავისდაუნებურად, მის ლაპარაკს ისე მიჩვეულიყო, ახლა მისი დუმილი უბნევდა ფიქრებს და მთელი დღე მოუსვენრად იყო.

დაწოლის წინ კათალიკოსი ჩვეულე-

ბრივზე მეტხანს იდგა მუხლმოყრილი მაცხოვრის ხატის წინ.

მეორე დილით ლაპარაკის ხალისი ისევ დაუბრუნდა, თანაც ისეთ საგანზე წამოიწყო საუბარი, რომ ზებულონს აღელვებისაგან გული მკერდში შეუფართხალდა. ახლა კი მივხვდიო, უთხრა, ამ ულრან ტყეში ღმერთმა თურმე იმიტომ შეგვყარა მე და შენ ერთად, რომ წიგნი გასწავლოო. სირცხვილია, აზნაურმა კაცმა წიგნი არ იცოდეო. მართალია, არც ქაღალდი გვაქვს და არც კალამი, მაგრამ ქაღალდად მიწა ვიკმაროთ და კალმად უბრალო ჩხირი, მთავარი ის არის, საქმეს გული დავუდოთ, და თუ გულს დავუდებთ, ვინძლო, რამდენიმე თვეში წმინდა სახარების წაკითხვა შეძლოო. ამის გაგონებაზე ზებულონის გულმა კიდევ უფრო უმატა ძგერას. კათალიკოსმა კი ეზო მოათვალიერა და ისეთი ადგილი მოძებნა, სადაც მიწა ბალახით არ იყო დაფარული, ის ადგილი ფეხით დატკეპნა და კარგად მოასწორა, მერე პატარა ჩხირი მოძებნა. ზებულონი მის ყოველ მოძრაობას ყურადღებით აკვირდებოდა, თან საკუთარი გულისძგერა ესმოდა. ყველაფერი რომ მოამზადა, კათალიკოსი მცირე ხნით შეყოვნდა და დაფიქრდა. ბოლოს თქვა:

— ჯერ შენი სახელის დაწერას გასწავლი. აბა, კარგად უცქირე.

ამ სიტყვებით ცალ მუხლზე დაიჩოქა, ჩხირი მარჯვენა ხელში დაიჭირა, მარცხენა ხელისგული მიწას დააყრდნო.

ზებულონი ფეხზე იდგა და ზემოდან დაჰყურებდა.

კათალიკოსმა ჩხირის წვერი მიწაში ჩაარჭო და მარჯვენა ხელმა მოძრაობა დაიწყო. პატარა ჩხირი პატარა სახნისივით ჩაეფლო მიწაში და პატარა ხნული გაავლო. პატარა სახნისმა მრგვალი ხნული გაიტანა რბილ მიწაში და, როცა კვლავ იმ ადგილას მივიდა, საცა დასაწყისში ჩაესო და ხნული ხნულთან შეაერთა, ზებულონი უცებ შეკრთა, თავი სწრაფად ასწია და ცას ახედა.

— ვიღაც მოდის!

— რაო? — თქვა კათალიკოსმა და ზებულონს კითხვის თვალით ამოხედა. მერე უცებ მიხვდა, თუ რა უთხრა ზებულონმა, და გაკვირვებით დასძინა, — ვინ მოდის? — იმავ წამს ისევ გაჩუმდა, გაიტრუნა და ყური მიუგდო. წამოდგომით არ წამომდგარა, ცალ მუხლზე დაჩოქილი და ცალი ხელით მიწას დაყრდნობილი აყურადებდა. ბოლოს თქვა, — არაფერი ისმის...

— ჯერ შორსაა, — მიუგო ზებულონმა, — ხმა გვიან მოაღწევს.

კათალიკოსი ახლა კი წამოდგა.

— მაშ რა იცი, რომ ვიღაც მოდის?

— ჩიტები დაფრთხნენ. აგე, მთელმა გუნდმა გადმოიფრინა.

— ნადირი დააფრთხობდა.

— ნადირისგან დამფრთხალს არა ჰგავს. ხმაც ისეთი ჰქონდათ, ჩანს, კაცი შენიშნეს.

ამაზე კათალიკოსმა ერთხანს უხმოდ უყურა. მერე თქვა:

— ბექას ხალხი თუა... უცხო აქ როგორ მოგვაგნებს...

— მაინც სიფრთხილე გვმართებს.

— შენ უნდა დაიმალო. შენი გამოჩენა არ შეიძლება.

— ცხენს გავარიდებ. ვინიცობაა გაცლა დამჭირდეს, ცხენი საშიშია, უჩუმრად ვერ ივლის.

— შენ იცი. თავად რაღას იზამ?

— აქვე დავიმალები ახლო-მახლო. თუ უცხოებია, შევძლებ ჩუმად წასვლას. შენ კი არ წამობრძანდები, უწმინდესო?

— მე არავინ მერჩის. ჯობს აქ დავხვდე.

ზებულონმა ცხენი წაიყვანა და კარგა მოშორებით, ტყეში დააბა. მერე უკანვე დაბრუნდა.

— ჯერ კიდევ არა ისმის რა, — უთხრა კათალიკოსმა, — ეგებ შეცდი?

— ისმის, — მიუგო ზებულონმა და ყური მიუგდო, — ერთი კაცია. თუ კაცი არა, ცხენი კი ნამდვილად ერთია.

მცირე ხნის შემდეგ ფლოქვების ხმა გაძლიერდა და კათალიკოსმაც გაიგონა.

— მაშ, დაიმალე. თუ მოყვარეა, ხელით განიშნებ. სად იქნები?

— მე დაგინახავ. ამ საყდრის წინ, საცა არ უნდა იყო, დაგინახავ. მარჯვენა ხელი ასწიე და მაგით მივხვდები, რომ მოყვარეა.

— ეგრე ვიზამ.

ზებულონი მცირე მანძილზე გასცდა საყდარს და ზემოთ, ტყეში, დიდი, ორტოტა წაბლის უკან დადგა, ისე რომ ტოტსა და ტოტს შორის მთელი საყდარი და საყდრის წინა ეზო ხელისგულივით ჩანდა.

ცოტა ხნის შემდეგ მხედარიც გამოჩნდა. ზებულონი დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო. აქამდე არასოდეს ენახა. სრულიად ახალგაზრდა იყო, თითქმის ყმაწვილი.

სწრაფად მოაგელვებდა თეთრ ცხენს. ზედ საყდრის წინ მოზიდა ალვირი და მკვირცხლად ჩამოხტა.

კათალიკოსი ღიმილით შეეგება და ზებულონი მიხვდა, რომ მტერი არ უნდა ყოფილიყო.

მხედარმა კათალიკოსს თავი დაუკრა, მერე ხელზე ემთხვია, თან რაღაც უთხრა.

კათალიკოსმა მარჯვენა ხელი შემართა და, როცა ზებულონი ტყიდან გამოვიდა და ქვემოთ დაეშვა, თქვა:

— აგერ!

უცნობი ჭაბუკი ზებულონისკენ მოტრიალდა და, ზებულონი რომ მიუახლოვდა, ახლა მას დაუკრა თავი.

— შალვა ჩხეიძეა, ბექას დისწული, — უთხრა კათალიკოსმა ზებულონს, მერე ჭაბუკს მიუბრუნდა, — შინ შევიდეთ და ყველაფერი წვრილად გვიამბე.

— საამბობი არც არაფერია, — დაიწყო შალვამ, როცა საყდარში შევიდნენ და დასხდნენ, — მაგრამ საფრთხე კი, ჩანს, დიდი გველის, რადგან ბიძაჩემი ბექა საგონებელშია ჩავარდნილი.

შალვას სუფთა და ნაზი სახე ჰქონდა და თაფლისფერი თვალები, რომლებსაც ხან კათალიკოსს მიაპყრობდა, ხან ზებულონს.

მისმა ნათქვამმა ზებულონი შეაკრთო. ბექა ამილახვარი, თუ საგონებელში ჩავარდა, საქმე მართლაც ვერ ყოფილა კარგად!

შალვამ განაგრძო:

— ამ საყდარში თქვენი დარჩენა ალარ შეიძლება. მალე აქ ყიზილბაშები მოვლენ. ბექასაც, დიდ ბატონიშვილსაც, პაპუნა ბარათაშვილსაც და კიდევ ბევრ სხვას მსტოვრები ჰყავთ მიჩენილი. იბრაჰიმ-ხანი იმთავითვე არ ენდობოდა ბიძაჩემს, მაგრამ ამ ბოლო ხანს, ეტყობა, რაღაც სუნი იკრეს და მეფეც დააეჭვეს. შეთქმულების ირგვლივ უხილავი ბადე იქსოვება.

— ბექასგან მიკვირს, — თქვა კათალიკოსმა, — განა რა იმდენი სპარსი დიდებული ახლავს ისკანდერ-ხანს, რომ მოთავე ვერ გამოუცვნია!

— ეგ ოლონდაც რომ იცის ბექამ, უწმინდესო! — მიუგო შალვამ, — მოთავეცა და ყველა დანარჩენიც. მოთავე ხოჯა ისმაილია, მეფის ქამთაალმწერი. ეგ რომ იცის, იმიტომაც გაიგო, რომ აქ მოსვლას აპირებენ. მაგრამ საშიში სხვა რამეა და ბადეც სხვაგან იქსოვება. ბადეს ქართველ მოღალატეთა გუნდი ქსოვს და სწორედ მათი ვინაობა ვერ დაუდგენია ბიძაჩემს. სპარსები ისე საშიში არ არიან, როგორც ქართველები. ქართველებმა ბევრი ისეთი რამ იციან, რომ, რაც არ იციან, ისიც შეუძლიათ ამოჩხრიკონ. ამიტომაა საჭირო მათი მიკვლევა, სანამ შეთქმულების მტკიცე საბუთი დაუჭერიათ ხელთ. ახლა საქმე დასწრებაზეა.

შალვა მცირე ხნით გაჩუმდა და კათალიკოსმა ჩაურთო:

— მაინც კი მიკვირს ბექასგან...

— მანდ საკვირველი არაფერია, — უთხრა შალვამ, — განა ვერ მიაკვლევდა ბექა, მაგრამ საქმეც ეგ არის, ისე უნდა მიაკვლიოს, იმათ ვერაფერი შეიტყონ. თუ შეიტყეს რომ გამჟღავნდნენ, მაშინ მთელი ამ ბადიდან მხოლოდ ნაწილის ამოგლეჯას შევძლებთ, დანარჩენს ისევ დავკარგავთ. გარდა ამისა, ისკანდერ-ხანსაც უფრო დავაეჭვებთ. ბექას სხვა გეგმა აქვს. თუ შეძლო და

ისე მიაგნო, რომ იმათ ეჭვი არაფერი გაუჩნდათ, მაშინ მათს ნაქსოვს იმგვარად შეუხამებს და შეუფარდებს თავის მოქმედებას, რომ მოღალატეებს ჩვენს წისქვილზე ასხმევინოს წყალი.

ზებულონმა მკაფიოდ დაინახა ბექა ამილახვარი, მსუქანი, ჩაკუნტებული, სახეგაბადრული. მაგრამ ქვეშქვეშა, ცბიერი, ყოვლისმხილველი.

ამ დროს შალვამ თქვა:

— ამიტომ უფრო გამომგზავნა ბიძაჩემმა. დავალება გამომატანა ზებულონთან.

ზებულონმა გაკვირვებით შეხედა.

— მიბრძანე.

შალვა მთელი ტანით შემობრუნდა.

— როგორც გითხარით, მალე აქ ხოჯა ისმაილის ხალხი მოვა. ბექას ეჭვი აქვს, რომ ყიზილბაშებს რომელიმე ქართველ მოღალატეთაგანი უნდა ახლდეს თან. დარწმუნებით არ იცის, მაგრამ ფიქრობს, რომ ეგრე იქნება. თუ ეგრე იქნა, — შალვამ თვალებში შეხედა ზებულონს, — ეგებ გამიგო, ვინ არისო, ბიძაჩემმა. ოღონდ დიდი სიფრთხილეც გიბრძანა. ისკანდერ-ხანმა ისე იცის, ვითომ ბექამ საკუთარი ხელით მოგკლა, ამიტომ, თავი რომ გაამჟღავნო, ყველაფერი დაიღუპება. მაგრამ მარტო შენი გაუმჟღავნებლობაც არ კმარა. ერთი ფოთოლიც კი ვაგლახად არ უნდა შეირხესო, ბიძაჩემმა. ეჭვი თუ გაუჩნდათ, რომ მათი კაცი ვინმემ შენიშნა, თვითონვე მოკლავენ ეჭვმიტანილს, თავად კი სიფრთხილეს გაიათკეცებენო. ბექას მოღალატე ცოცხალი და საღსალამათი სჭირდება. ერთი ძაფი სჭირდება, რომ მთელი მათი ნაქსოვი ნელ-ნელა დაარღვიოს და მუჭში მოიქციოს. ასე რომ ხიფათი დიდია და სიფრთხილეც დიდი გმართებს. თუ დაატყო, ჭირს, გაეცალეო, ბიძაჩემმა, გაფუჭებას გაუკეთებლობა სჯობსო.

შალვა გაჩუმდა. ზებულონი ერთხანს გულში სწონიდა ყოველივეს. მერე უთხრა:

— ორი რამ მაფიქრებს: ერთი ის, რომ შესაძლებელია ღამე მოვიდნენ და სიბნელეში სახე ვერ გავარჩიო, მერეც, გარჩევით კი გავ[illegible] ვერ ვიცნო. სხვა მანდ [illegible] რა.

— ბიძაჩემმაც ეგრე თქვა. თუ ღმერთი არ გადაგვიდგა, კაცის გასაკეთებელს ზებულონი გააკეთებსო.

ზებულონს გულში ეამა ბექასგან შექება. და, რომ არ შემჩნეოდა, სწრაფად თქვა:

— თავად რას აპირებ? უკანვე უნდა გაბრუნდე, თუ...

— არა. სანამ ამ საქმეს ავად თუ კარგად მოვრჩებით, ბექამ შენს ხელქვეითად გამამწესა და შენი ბრძანების მორჩილი ვარ. მერე კი ორთავეს ახალ სამალავში წაგიყვანთ.

— კეთილი. მაშ, აქაურობას ახლავ გავეცალოთ და ზემოთ, ტყეში დავბანაკდეთ, — ამ სიტყვებით კათალიკოსს მიუბრუნდა, — თუ შენც ბრძანებ, უწმინდესო.

— ამ საქმისა შენ უკეთ იცი, — მიუგო კათალიკოსმა, — და შენ ბრძანე.

ზებულონს ამაზე სიწითლემ გადაჰკრა. მერე შალვას მიუბრუნდა:

— მაინც როდის შეიძლება გამოჩნდნენ?

— არ ვიცი. ეგებ ხვალ, ეგებ ზეგ, ეგებ რამდენიმე დღის შემდეგ.

კათალიკოსი და შალვა ზებულონმა წინ გაუშვა, თან აუხსნა, თუ სად უნდა დალოდებოდნენ. თვითონ ცოტა ხანს დარჩა და იქაურობა ბეჯითად მოათვალიერა, რათა, ყიზილბაშები რომ მოვიდოდნენ, საეჭვო არა დახვედროდათ რა. პირველ ყოვლისა, საყდრის წინ, მდელოზე, ის გზა გასინჯა, რომლითაც შალვა მოვიდა, და ცხენის ფლოქვების მიერ გათელილი ბალახი ხელით სათითაოდ გაასწორა. ჩანახშირებულ ცეცხლს ზემოდან ნაცარი მოაფრქვია, რომ მნახველს ცეცხლი უფრო ძველი მოსჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. საყდრის კუთხესთან ერთხანს მკერდზე ხელებდაკრეფილმა დაფიქრებით უცქირა პატარა სახნისის მიერ გავლებულ პატარა, მრგვალ ხნულს, მერე ჩაიმუხლა. ხნულიდან

ამოყრილი მიწა ისევ ხნულში ჩაყარა და ხელით მოასწორა; კათალიკოსის ქალამნების კვალიც მოასწორა, რომელიც იქ მიწის დატკეპნისას დარჩენილიყო. საყდარი გულმოდგინედ დაათვალიერა, ორი ტახტი ასწია და კედელზე ააყუდა, მესამე, რომელზედაც კათალიკოსი იძინებდა ხოლმე, ხელუხლებელი დატოვა. თოფი, მშვილდი თავისი ისრებით და ხმალი აილო, საყდრის შემოგარენი კიდევ ერთხელ ყურადღებით მოათვალიერა, ფერდობს შეუყვა, ტყეში დატოვებული ცხენი ახსნა და დათქმული ადგილისკენ გასწია.

მთელი კვირა მოუხდათ ლოდინი. ლამის იმედიც კი გადაუწყდათ. ღამეს ღია ცის ქვეშ ათევდნენ. ბანაკის გამართვა ვერ გაბედეს, რადგან, ვინიცობისაა მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ მომხდარიყო, აქაურობას ისე გაცლოდნენ, მტერი კაცის კვალს არსად წაწყდომოდა და ეჭვი არ აელო.

ყველაფერი კარგად, გულმოდგინედ აწონ-დაწონეს და გეგმაც დააწყეს. ყიზილბაშები რომ გამოჩნდებოდნენ, შალვა ჯორითა და ცხენებით აქვე დარჩებოდა. კათალიკოსი ბანაკსა და საყდარს შუა წინასწარ შერჩეულ ადგილას ჩასაფრდებოდა, საიდანაც საყდარი და საყდრის წინა პატარა ეზო კარგად ჩანდა. კათალიკოსის თან წაყვანას ზებულონს გული არ უშვრებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც ეგრე ამჯობინა. კათალიკოსი არწმუნებდა, თუ მოლალატე თავადიშვილია, არ შეიძლება არ ვიცნოთ. თვითონ კი, ზებულონი, აბა იმდენს ვის იცნობდა, რომ საკუთარი თავის იმედი ჰქონოდა! სამაგიეროდ, დიდი სიფრთხილე გამოიჩინა: ისეთი ადგილი შეურჩია, სადაც საიმედოდ იქნებოდა დამალული და, თუ ვინიცობისაა მომხდურები, საყდარში რომ არავინ დახვდებოდათ, ზემოთ წამოვიდოდნენ, ბანაკში დაბრუნებასაც მოასწრებდა, რათა მერე, შალვასთან ერთად, ტყე-ტყე გადასულიყო ქედზე. თვითონ ზებულონი სხვა გზით წავიდოდა და მომდევნო ღამეს დათქმულ ადგილას შეხვდებოდნენ ერთმანეთს ბოლოს, ერთი კვირის თავზე — მზე უკვე კარგა შორს იყო გადახრილი დასავლეთით — ზებულონმა თქვა:

— მოდიან.

შალვა წამოიწია, გაიტრუნა და ყური მიუგდო. მერე ზებულონს გაკვირვებით შეხედა. თქმით არაფერი უთქვამს.

ერთხანს სამივენი ჩუმად იყვნენ. ზებულონმა თვალი დახუჭა, დაიძაბა, ყური გაიმახვილა. ბოლოს თქვა:

— ექვსი ცხენია.

შალვამ ისევ ისე გაკვირვებით შეხედა, მაგრამ ხმა არც ახლა ამოუღია.

ზებულონი კვლავაც დაძაბული, გარინდებული, თვალდახუჭული აყურადებდა. ხანი რომ გამოხდა, თავი გადაიქნია.

— ცხენებიდან ჩამოხდნენ, — მერე კათალიკოსს მიუბრუნდა, გამომცდელად შეათვალიერა, წამით ის ძველი თანამებრძოლი გაახსენდა, სამიჯნურო ტყუილებს რომ გატაცებით ყვებოდა ხოლმე, და ერთი გაფიქრება დაეჭვებით გაიფიქრა, ემანდ არ შეშინდეს და უდროო დროს ისეთი არა ჩაიდინოს რა, თავი გავამჟღავნოთო, მაგრამ კათალიკოსის მშვიდმა და უძრავმა სახემ ეჭვი მალევე გაუქარწყლა და უთხრა, — წავიდეთ, უწმინდესო.

კათალიკოსი წამოდგა. სახეზე წამით ის ღიმილი დააჩნდა, ათასში ერთხელ რომ გამოჟონავდა ხოლმე, და ზებულონს შერცხვა, რადგან მოეჩვენა, რომ ეს ღიმილი მისი დაეჭვებული მზერის პასუხი იყო.

ფრთხილად დაეშვნენ ქვემოთ. მალე კათალიკოსისთვის შერჩეულ საფარს მიაღწიეს. კათალიკოსი საფარში მოეწყო, მერე, ზებულონიც რომ იქვე ჩამოჯდა, გვერდით, გაკვირვებული ჩურჩულით ჰკითხა:

— განა შენ უფრო ქვემოთ არ უნდა ჩახვიდე?

— ადრეა. ჯერ ვნახოთ, რას აპირებენ.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. მერე ზებულონმა თქვა:

— ხმა აღარ ისმის. ჩანს, სადღაც გაჩერდნენ.

— გაჩერდნენ? მერედა ეს რას უნდა მოასწავებდეს?

— თუ თათბირობენ, არაფერია, ითათბირონ. თუ დალამებას ელიან, ცუდი ნიშანია.

კათალიკოსმა ზებულონს შეხედა და ხანგრძლივად დააცქერდა. მერე წყნარად, სასოებით თქვა:

— ღმერთო, შენ შეაჩვენე ქართლის ყველა მტერი და ორგული!...

მზე უკვე გადაიწვერა და შორს, ძალლი მთის უკან იწყო ჩაშვება.

— ჩანს, მართლა დალამ... — ის იყო, შეწუხებული ხმით დაიწყო კათალიკოსმა, რომ ზებულონმა სწრაფად შეაწყვეტინა.

— ჩუ! — და დაძაბულმა მიუგდო ყური. მერე, როცა ფეხის ხმა უფრო იგრძნო, ვიდრე გაიგონა, დასძინა, — ყურადღებით უცქირე, უწმინდესო, ახლა გამოჩნდებიან.

მართლაც, მალე საყდრის წინ ხუთი სპარსი გამოჩნდა. ოთხი მათგანი ელვის სისწრაფით საყდარში შევარდა, მეხუთე გარეთ დარჩა.

— ხუთნი ყოფილან... — ჩურჩულით თქვა კათალიკოსმა.

— ექვსნი არიან, ბატონო. მეექვსე არ გამოჩენილა, — და დაუმატა, — ეგებ რომელიმე იცანი...

— ერთი ვიცანი. აი, ის, უიარაღო, გარეთ რომ დარჩა. ეგ ხოჯა ისმაილია.

— დანარჩენი ოთხი მე ვიცანი. ისკანდერ-ხანის მცველები არიან.

— მეექვსე?

— მეექვსე საფარში დარჩა. და რაკი დარჩა, ჩანს, სწორედ ის არის ქართველი. აბა, მე წავალ და, თუ დაინახო, აქეთ მოდიან, წამსვე შალვასთან დაბრუნდი.

— ჩემი დარდი ნუ გაქვს. წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე.

კათალიკოსის სახეზე კიდევ ერთხელ გაკრთა სუსტი, თითქმის მოუხელთებელი ღიმილი და მერე, ზებულონი რომ სწრაფად და უხმაუროდ მიაბიჯებდა ქვემოთ, ის ღიმილი [illegible]-ყაი-გახანს ედგა თვალწინ. „ტყუილად ვეჭვობდი, შეშინდება-მეთქი!“, ფიქრობდა სირცხვილითა და სინანულით.

თითქმის სირბილით მიიწევდა წინ, თან დროდადრო ტოტებსა და ტოტებს შორის იხედებოდა, რომ არა გამოპაროდა რა. ისკანდერ-ხანის მცველები ჯერ ისევ საყდარში იყვნენ, ხოჯა ისმაილი გარეთ იდგა და საყდრის შემოგარენს ათვალიერებდა. მეექვსე არსად ჩანდა.

ბოლოს, სწორედ იმ დროს, როცა საყდარს გაუსწორდა, ისკანდერ-ხანის მცველები უკანვე გამოვიდნენ. ზებულონი შეჩერდა. ხოჯა ისმაილი მცველებს მიუტრიალდა. მცველებმა რაღაც უთხრეს. ზებულონმა გაიგონა, მაგრამ, რაკი სპარსულად ლაპარაკობდნენ, ვერ გაიგო. ხოჯა ისმაილმა პასუხი მისცა. მცველებმა ისევ უთხრეს რაღაც. ხოჯა ისმაილმა ამჯერად მარჯვენა ხელი მოწყვეტით დაიქნია და თავად შევიდა საყდარში. მაშინ ზებულონმა გზა განაგრძო. გადაწყვიტა, ქვემოდან შემოევლო და მეორე მხარეს გასულიყო: იმედი ჰქონდა, რომ ის მეექვსე სადღაც იქ იქნებოდა. ახლა ნელა მიაბიჯებდა, ძალიან ფრთხილად. საყდარს რომ გასცდა, ზემოთ, ტყის პირას, ხეებს შორის, მართლაც მოჰკრა თვალი ვიღაცას. ზურგით იდგა. სპარსული ხალათი ეცვა და თავზე ჩალმა ეხურა. ჩალმის ქვემოთ, კეფაზე და კისერზე, ჩაბალახის მსგავსი რაღაც შემოეკრა და ზებულონი მიხვდა, რომ სახე დაფარული უნდა ჰქონოდა. მარცხის წინათგრძნობამ გულზე მწარედ უკბინა. მზე უკვე ჩავიდა და ბინდმა იწყო ჩამოწოლა. ზებულონი გარინდებული იდგა, უცნობს მისჩერებოდა და აღარ იცოდა, რა ექნა. ამ დროს ხოჯა ისმაილის ხმა გაისმა. ხოჯა ისმაილმა ქართულად თქვა:

— არავინაა, თავადო.

უცნობი ნელა მოტრიალდა. სწორედ ისე იყო, როგორც ზებულონმა ივარაუდა: სახე ჩაბალახით ჰქონდა აკრული.

— ჩუმად! — თქვა უცნობმა და ნელი ნაბიჯით წავიდა საყდრისაკენ.

ხმითა და სიარულით ზებულონმა ვერავის მიამსგავსა. მაშინ შეტრიალდა, უკანვე შემოუარა საყდარს იქითა მხარეს გავიდა, საიდანაც ყველაფერი უკეთ გამოჩნდებოდა, ხეს აეკრო და ყური მიუგდო.

— არავინაა, თავადო, — გაიმეორა ხოჯა ისმაილმა, როცა უცნობი მიუახლოვდა.

უცნობი ჩაფიქრდა.

— ნუთუ გაიგო და გაგვასწრო!.. — თქვა ხმადაბლა, მერე ისკანდერ-ხანის მცველებისკენ გაიშვირა ხელი, — კარგად გასინჯეს?

— კარგად, — მიუგო ხოჯა ისმაილმა, — მეც გავსინჯე.

— ეგებ აქვეა სადმე?

— არა. მეტი თუ არა, ორი კვირა მაინც იქნება, აქ არავინ გამოჩენილა, — აქ ხმაში ოდნავ დამცინავი კილო შეეპარა, — ტყუილი გამოდგა, თავადო, შენი ეჭვი.

— პირიქით, — უთხრა უცნობმა, — რაკი აქ არავინ დაგვხვდა, ეს იმის მანიშნებელია, რომ სწორ კვალს ვადგევართ. და თუ ორი კვირის წინ წავიდა აქედან, მაშ, ორი კვირის წინ იკრა სუნი. ამილახვრის ძაღლს ამილახვრის ალლო ექნება.

— კარგი, ეგრე იყოს. ახლა რა ვქნათ?

— რას ვიზამთ!.. დღეს იმან გვაჯობა, ხვალ ჩვენ ვაჯობებთ. დავასვენოთ ცხენები და უკან გავბრუნდეთ, — ამ სიტყვებით იქვე ბალახში ჩაჯდა და დასძინა, — ჩირაღდნები არ აანთონ, უბრძანე.

ზებულონი ფრთხილად, ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას. მერე ნაბიჯს მოუმატა. რაც უფრო შორდებოდა საყდარს, მით უფრო უჩქარებდა ფეხს და მალე კათალიკოსთან გაჩნდა.

— წავაგეთ, — თქვა ჩავარდნილი ხმით და იქვე ჩამოჯდა.

— ვხედავ, — ნაღვლიანად თქვა კათალიკოსმა, — ფრთხილი და წინდახედული ყოფილა წუნკალი. მაგრამ ქართველი კია?

— ქართველი გახლავს, — ქართველია და თავადიშვილი.

— თავადიშვილია?

— დიაღ. ორჯერ დაუძახა იმ უიარალო სპარსმა, თავადოო. სახელი არ დაუძახნია. ხმაზე და მიხვრა-მოხვრაზე კი ვერ ვიცან.

— მაშ, თავადიშვილია?.. — დაფიქრებით თქვა კათალიკოსმა, მერე უცებ მოუტრიალდა,—რად წამოხვედი? ეგებ სახელიც გაგეგო!

— შენს გასაფრთხილებლად წამოვედი, უწმინდესო. შენი აქ ყოფნა საჭირო აღარაა. წაბრძანდი შალვასთან და ბარემ გზასაც გაუდექით ხვალღამ დათქმულ ადგილას შევიყრებით.

— რას აპირებ?

— არც არაფერს... აბა, რაღა შემიძლიან! ვიდრე წასულან, ვუთვალთვალებ, ეგებ სახელი წამოცდეთ. როცა წავლენ, ჩუმად ავედევნები. ცოტაზე, თორემ, ცხენებზე რომ შესხდებიან, ან გაშლილ ადგილს გააღწევენ, მერე რაღა!.. უკანვე უნდა გამოვბრუნდე.

— კარგი... — ისევ დაფიქრებით თქვა კათალიკოსმა, — ეგრე ჰქმენ. ოღონდ, ვიდრე წასულან, არ მოშორდე. ღმერთი მოწყალეა, იქნებ გაიგო რამე.

— რაც რამ შემიძლიან... — უიმედოდ თქვა ზებულონმა და ზეზე წამოდგა.

— ღმერთი მოწყალეა, — გაიმეორა კათალიკოსმა და უკვე მიმავალს დაადევნა, — ყური გეჭიროს!

ამასობაში კარგად დაღამდა. ცაზე მთვარე ამოვიდა და საყდარი და საყდრის შემოგარენი მკრთალ ვერცხლისფერ შუქში გაახვია.

ზებულონმა მალე მიაღწია საყდარს. ხოჯა ისმაილი და მისი ხალხი ჩრდილებივით ჩანდნენ ეზოში. ხუთნი საყდრის წინ ისხდნენ, ქართველი თავადი კი განცალკევებით იჯდა ხის ძირას.

ერთხანს ყველანი დუმდნენ. ბოლოს ისკანდერ-ხანის ერთ-ერთმა მცველმა რაღაც თქვა. ხოჯა ისმაილმა თავი და-

უქნია და ქართველ თავადს მიუბრუნდა:

— არ წავიდეთ, თავადო?

— წავიდეთ, — მიუგო თავადმა. ხმის კილოში სიმწარე ეტყობოდა.

ამ დროს ზებულონს რაღაც გაუგებარი ხმაური ჩაესმა. შეკრთა და სმენა გაიმახვილა. ხმაური ისეთი მხრიდან მოდიოდა, რომ ჯერ ხოჯა ისმაილსა და მის ხალხს უნდა გაეგო, მათ კი ყურიც არ შეუბერტყავთ. ნუთუ მომეჩვენაო, გაკვირვებით გაიფიქრა, რომ ნაბიჯების ხმა გაარჩია. ამჯერად სახეახვეული თავადიც შეკრთა და წამოიწია. დანარჩენებმაც ყურები ცქვიტეს. ზებულონი ვერაფერს მიმხვდარიყო და დაბნეული აყურადებდა. ფეხის ხმა კი თანდათან ძლიერდებოდა.

— ვიღაც მოდის! — ხმადაბლა თქვა უცნობმა თავადმა და წამსვე ხის ჩრდილში შეიმალა.

ყიზილბაშებმა ხმლებზე გაივლეს ხელი. იმავე წამს ზებულონმა ფეხის ხმა იცნო და გული თითქოს სადღაც უფსკრულში გადაუვარდა.

ცოტაც და მთვარის შუქზე კათალიკოსი გამოჩნდა.

ზებულონი გაოგნებული მისჩერებოდა და აზრს აზრზე ვერ აბამდა.

— ვინა ხართ მანდ?! — მრისხანედ დაიგრგვინა უცებ კათალიკოსმა და მხნე ნაბიჯით მდელოზე შემოვიდა.

ყიზილბაშები დაბნეული შესცქეროდნენ. უცნობი თავადი კიდევ უფრო მიეკრო ხეს და ახლა ლანდადღა ჩანდა. ზებულონს თავში გაუგებარი ორომტრიალი ედგა.

კათალიკოსმა ისკანდერ-ხანის მცველები შეათვალიერა, რომელთაც ხმლები ნახევრად ამოეზიდათ ქარქაშებიდან და ასე იდგნენ გაშეშებულები. მერე ხოჯა ისმაილს დააკვირდა. ქართველი თავადისკენ არ გაუხედავს.

— შენ ხოჯა ისმაილი არა ხარ? — მკაცრად იკითხა ბოლოს.

— ხოჯა ისმაილი გახლავართ, კათალიკოსო, — მშვიდად მიუგო იმან.

— მერედა, აქ რისთვის მოსულხარ?! — რისხვიანი ხმით თქვა კათალიკოსმა, — აკი ისკანდერ-ხანმა ჩემი ხელშეუხებლობა ბრძანა?! თუ [illegible] ლატე ისკანდერ-ხანს არ [illegible] ხარ და ქვეყნის მოღალატე ამილახვარმა გამოგგზავნა?!

— ჩვენ შენთან ხელი არა გვაქვს, — ისევ ისე მშვიდად მიუგო ხოჯა ისმაილმა, — აქ შენთვის არ მოვსულვართ.

— ცრუობ! — დაიქუხა კათალიკოსმა, — მაშ, ვისთვის მოხვედით? ვითომ არ იცი, რომ ამ არემარეზე ჩემს მეტი კაცი არ ჭაჭანებს! რაო? მოკვლა გაქვს ნაბრძანები ჩემი თუ ცოცხლად შეპყრობა? — აქ უეცრად ხელი იმ ხისკენ გაიშვირა, რომელსაც უცნობი თავადი მოფარებოდა, და ხმაში წყრომის ნაცვლად ახლა სუსხიანი დაცინვა გამოურია, — გიცანი, თავადო, ტყუილად აგიხვევია თავ-პირი! მე რომც დამემალო, ხალხს მაინც ვერ დაემალები! კარგად დაიხსომე: მთელ ქართლს გავაგებინებ, რომ ქვეყნისთვის გიღალატნია და იმ ძაღლთაპირი ამილახვრის გოშია გამხდარხარ!

— მით უარესი შენთვის, თუ მიცანი! — ამ სიტყვებით უცნობი ხის ჩრდილს მოშორდა, მთვარის შუქზე პირდაპირ კათალიკოსისკენ წამოვიდა, სულ ახლო მივიდა, თავი აილო, სახეში შეხედა და ჩაბალახი ერთბაშად ჩამოიგლიჯა, — მით უარესი შენთვის, თუ მიცანი! — ავის მომასწავებელი ხმით გაიმეორა.

მთვარის შუქზე მკვრივი, ხორცსავსე სახე გამოჩნდა, სქელი წარბები( დიდი, კეხიანი ცხვირი და გრძელი ულვაშები.

ზებულონმა ვერ იცნო. კათალიკოსმა კი ამჯერად მშვიდად და მკაფიოდ თქვა:

— წელან გეხუმრე, თავადო. ახლა კი მართლა გიცანი: გარსევან ორბელიანი ყოფილხარ, — აქ ცოტა შეიცადა და მერე ხმისაუწევლად, მაგრამ კიდევ უფრო მკაფიოდ და კიდევ უფრო გარკვევით გაიმეორა, — გარსევან ორბელიანი ყოფილხარ.

ზებულონის აბურდულ ფიქრებს, როგორც დათოვლილ ხეს შეარხევენ და თოვლი ერთბაშად დასცვივა, ისე

ერთბაშად, მყისიერად დასცვივდა რაღაც, რაც ნისლივით ეკრა ირგვლივ და ხედვას უშლიდა. გავარვარებულმა ნაკვერჩხალმა ავი შიშინით გაუარა თავით ფეხამდე და საშინელი წამი ელვასავით განათდა. მთელი სხეული ისე ჰქონდა დაძაბული, რომ არ გაუგია, როგორ წაილო მარჯვენა ხელი და როგორ ჩაავლო მარცხენა მხარზე გადაკიდებულ თოფს. როცა მარცხენა მხარმა გაუგებარი სიმსუბუქე იგრძნო, მაშინღა მიხვდა, რას ჩადიოდა, ჭირვეული ხელი ძალისძალად მოწყვიტა თოფს და თავის ადგილას დააბრუნა. ყველაფერი ტკიოდა, რაც კი შეიძლება კაცს ტკიოდეს, მაგრამ რა ექნა, რომ ნება არა ჰქონდა ისე მოქცეულიყო, როგორც გული ეუბნებოდა! მუდამ ასე იყო! მუდამ იმას უკრძალავდნენ, რაც გულით ეწადა! განა ვერ შეძლებდა! ერთს რომ დაკრავდა თოფს, ვიდრე გონს მოვიდოდნენ, მეორედ გატენვასა და დაკვრასაც მოასწრებდა. დანარჩენებს ხომ ხმლითაც გაუსწორდებოდა. იმ წუპაკს კი ცოცხლად შეიპყრობდა. განა კვეხნით ფიქრობდა ამას ზებულონი! ღმერთია მოწამე, შეძლებდა! შეძლებდა, მაგრამ ნება არა ჰქონდა. მით უფრო ახლა, როცა საქმე ისე მოეწყო, როგორც ბექას სურდა...

ყველაფერმა ამან მყისიერად გაიარა ზებულონის გულსა და გონებაში. კათალიკოსი და გარსევან ორბელიანი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ერთმანეთს თვალით ზომავდნენ. მერე ორბელიანმა ღრჯოლდ თქვა:

— ღმერთი-რჯული, შენი სისხლი არ მდომებია. რა ჩემი ბრალია, რომ შენი ბედი შენ თვითონ ეგრე გადაწყვიტე! — ამ სიტყვებით ხოჯა ისმაილს მიუბრუნდა, — უბრძანე, თავი წააცალონ!

ზებულონის მარჯვენა ხელი ანგარიშმიუცემლად ისევ თოფისკენ მიიწევდა და, ზებულონი რომ არ უშვებდა, სიბრაზისაგან კანკალებდა. ზებულონის გულიც კანკალებდა ზებულონის მკერდში. მაგრამ ზებულონს არ შეეძლო გული და ხელი ნებას მიეშვა. მეტიც: თავს ვერ მორეოდა, თორემ ახლა, რაკი მოღალატის სახელი და გვარი გაიგო, უნდა გატრიალებულიყო და უკანვე წასულიყო. [illegible] მშვილდივით მოზიდული ნება, რომელიც უხილავად ერტყა ირგვლივ და ყოველ მის მოქმედებას სინჯავდა და წონიდა, სწორედ გატრიალებასა და წასვლას უბრძანებდა.

ხოჯა ისმაილმა სპარსულად რაღაც უთხრა თავის ხალხს, მერე ორბელიანს მიუბრუნდა და თავი გაიქნია.

— ვერა, თავადო. მეფისგან კათალიკოსის ხელშეუხებლობა გვაქვს ნაბრძანები.

ორბელიანი მკვეთრად შეტრიალდა ხოჯა ისმაილისაკენ და სიბრაზისაგან აკანკალებული ხმით უთხრა:

— ის კი არა გაქვს ნაბრძანები, რომ მოწმე ცოცხალი არ უნდა წავიდეს?!

— ეგ იბრაჰიმ-ხანისგან მაქვს ნაბრძანები. სარდლის ბრძანებას კი მეფის ბრძანება აღემატება.

ორბელიანი წამით მდუმარედ შესცქეროდა ხოჯა ისმაილს.

— კარგი... — ნელა, გაჭიანურებით თქვა მერე, — სპარსთა აქვთ ნაბრძანები კათალიკოსის ხელშეუხებლობა. ქართველებისთვის მეფეს არა უბრძანებია რა.

ამ სიტყვებით კათალიკოსს მიუტრიალდა, სახეში შეხედა, პირჯვარი გადაიწერა, სწრაფად იძრო ხანჯალი და ოდნავ ირიბად, ქვემოდან ზემოთ, მკერდქვეშ მთელი ძალით აძგერა.

ზებულონმა თვალი დახუჭა და გაახილა. ორბელიანი ახლა ხელებჩამოშვებული იდგა და კათალიკოსს შესცქეროდა. კათალიკოსიც ხელებჩამოშვებული იდგა. მკერდქვეშ გამოჩრილი ხანჯლის ტარი მთვარის შუქზე ვერცხლისფრად ბრჭყვიალებდა.

ხოჯა ისმაილი და ისკანდერ-ხანის მცველებიც ერთ ადგილას გაქვავებულიყვნენ და ისინიც კათალიკოსს შესცქეროდნენ.

კათალიკოსი რამდენიმე წამს ისე იდგა, თითქოს არა მომხდარიყოს რა, მერე სუსტი ხმით, მაგრამ წელანდელივით მკაფიოდ, თქვა:

— გარსევან ორბელიანი ყოფილხარ...

და ჩაიკეცა. ჩაიკეცა, გვერდზე გადავარდა და გულაღმა დაეცა.

ორბელიანმა კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი, მერე კათალიკოსის მკერდიდან ხანჯალი ამოაძრო, მისსავ ანაფორაზე რამდენჯერმე გაუსვა ბრტყლად და, კარგად რომ გაწმინდა, ქარქაშში ჩააგო.

— წავიდეთ, — თქვა ხოჯა ისმაილმა.

— ჰო, — მიუგო ორბელიანმა და დასძინა, — უბრძანე, ნახონ, ცოცხალი არ იყოს.

ხოჯა ისმაილმა თავადს შეხედა. თავისი ხალხისთვის არაფერი უთქვამს, თვითონ მივიდა კათალიკოსთან, დაიხარა და სინჯვა დაუწყო. ერთხანს რომ უტრიალა, წამოდგა.

—მკვდარია, — თქვა ქართულად, ისე რომ ორბელიანისკენ არ მიუხედავს, მერე თავისიანებს სპარსულად უთხრა რაღაც და ხელით ანიშნა, წავიდეთო.

ზებულონი კიდევ დიდხანს დარჩა საფარში და მხოლოდ მაშინ გამოვიდა, როდესაც ფლოქვების ხმა შემოესმა და იმაშიც დარწმუნდა, რომ ხმა ექვსივ ცხენისა იყო.

კათალიკოსი გულაღმა იწვა. ხელები განზე გადაეყარა. ჯვალოს ანაფორა მკერდთან წითლად შეღებოდა და მარცხენა იღლიასთან, მიწაზე, სისხლის გუბე იდგა. სახე მშვიდი ჰქონდა, ხმელი, დაღარული და მტკიცე; კაცს ქვისგან გამოთლილი გეგონებოდა.

„გარსევან ორბელიანი“, ჩურჩულით თქვა ზებულონმა და, თავისი ხმა რომ შემოესმა, ამით გაკვირვებულმა უკვე უხმოდ, გულში გაიმეორა, „გარსევან ორბელიანი“.

მერე გატრიალდა, ტყეში შევიდა და ლასლასით აუყვა ფერდობს.

— რა ქენით? — მოუთმენლად, აღელვებული ხმით იკითხა შალვამ, ზებულონი რომ დაინახა, — კათალიკოსი სადღაა?

ზებულონი მოწყვეტით ჩაეშვა ბალახში. ისე იყო დაქანცული, თითქოს ვეება ლოდი, ოთხი ვაჟკაცი რომ ძვრას ვერ უზამდა, უს[illegible]ღმართში მარტოს ეთრია, [illegible] და საშიში გამოქვაბული ამოექოლა.

შალვა ახლა უხმო მოლოდინით მისჩერებოდა. ზებულონი ერთხანს თვალებდახუჭული ჩუმად იჯდა. მერე წყნარად თქვა:

— გარსევან ორბელიანი.

შალვა შეკრთა.

— გარსევან ორბელიანი? — თქვა გაკვირვებით და უცებ ხმაში შიში შეეპარა, — კათალიკოსი სადღაა?

— იქაა, — მცირე დუმილის შემდეგ თქვა ზებულონმა. ყრუდ თქვა, უამურად, მოგუდული ხმით. სიტყვები ძლივს ამოათრია ყელიდან. მერე თავი ასწია და, მთვარის შუქზე რომ შალვას გაფითრებული, შეშინებული სახე დაინახა, ისევ ჩაჰკიდა. ბოლოს ხმადაბლა, თითქოს თავისთვის, ჩაილაპარაკა, — ნეტა კაცი რად ღალატობს, შალვავ, ქვეყანას?..

შალვას პასუხი არ მიუცია და დიდხანს დუმილი იდგა. ხანი რომ გამოხდა, დუმილი ჯერ ზებულონის კბილთა ღრჭენამ დაარღვია, მერე მისივ ავმა, საშიშმა ხმამ:

— ის ერჩივნა გარსევან ორბელიანს, დედის მუცლიდან არ გამოსულიყო!

ვიდრე აიყრებოდნენ და წავიდოდნენ, შალვამ კათალიკოსზე უთხრა, მიწისთვის მაინც მიგვებარებინაო, მაგრამ ზებულონმა თავი გაიქნია, არ შეიძლებაო. არ შეიძლებოდა. ცხოვრების ჩარხი გაუგებრად ტრიალებდა, არეულად. შველა ხომ არ შეიძლებოდა და არა კათალიკოსისა, დამარხვაც არ შეიძლებოდა. ერთიც ვნახოთ და მეორე დღეს უკან მობრუნებულიყვნენ! ხომ მაშინვე იმას ივარაუდებდნენ, კათალიკოსი მარტო არ ყოფილაო! მიხვდებოდნენ, რომ გარსევან ორბელიანი გამჟღავნებული იყო, და თავადვე მოიშორებდნენ, თავადვე მოკლავდნენ. გარსევან ორბელიანის მოკვლა კი აბა როგორ იქნებოდა! ქვეყნის ერთგული შვილები მას ხომ ახლა თვალის ჩინი-

ვით უნდა მოფრთხილებოდნენ! მაშ, გაუგებრად არ ტრიალებდა ცხოვრების ჩარხი?!

ზებულონმა რომ კათალიკოსის დამარხვაზე უარი უთხრა, შალვამ ერთი კი შემოხედა და მერე ორი ლამე, ვიდრე იფნისხევს მიაღწევდნენ, ისე იარეს, ხმა არც ერთს არ ამოუღია. ჟამიდან ჟამზე უხმოდ გაჩერდებოდნენ, თითქოს წინდაწინ ყოფილიყვნენ მოლაპარაკებულები, ცხენებს დაასვენებდნენ, უხმოდ მოინადირებდნენ რამეს, ორიოდ ლუკმას უგემურად გალეჭავდნენ, მერე ისევ ისე უხმოდ, წინდაწინ მოლაპარაკებულებივით, შესხდებოდნენ ცხენებზე და გზას გააგრძელებდნენ.

ორი ლამე იარეს და ბანაკს მიადგნენ. შალვამ უთხრა, ამას იქით ეს იქნება შენი სამყოფელიო, აქ ვერავინ მოგაგნებს, ამ მთების გადაღმაც კი, დიდ მანძილზე, ძე ხორციელი არ ჭაჭანებს, არც ცეცხლის დანთებაა საშიში და არც თოფის გასროლაო. მერე იქაურობა დაათვალიერებინა, თუმცა დასათვალიერებელიც არა იყო რა: ულრან ტყეში პატარა, მიწური ქოხი იდგა. ქოხს უკან, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, ერთი ვეება, ღრმა და მაღალი დარბაზი-გამოქვაბული იყო. გამოქვაბულს კარი ჰქონდა შებმული. ოდესლაც თურმე აქ ბერებს ეცხოვრათ და ეს ყველაფერი მათი ნახელავი ყოფილიყო.

მეორე დილით, ალიონზე, როდესაც შალვამ ცხენი შეკაზმა და გასამგზავრებლად გაემზადა, წასვლის წინ უეცრად ზებულონს მოუტრიალდა და ჰკითხა:

— შეგირდად რომ მოგებარო, არ მიმიღებ?

ზებულონმა გაოცებით შეხედა.

— შეგირდად? განა ჩემგან რა უნდა ისწავლო?

— ხუთი წელი იოველ ბატონიშვილთან ვიყავ და, რაც კი რამ წიგნებში [illegible]ძნეა, შეძლებისდაგვარად ყველაფერი ვისწავლე. სამაგიეროდ, ბრძოლისა არა გამეგება რა. ბიძაჩემისგან ბევრი ქება მსმენია შენი. ზოგი რამ ხომ ჩემი თვალითაც ვნახე. თუ მიმიღებ, მგონია, რომ ცუდი შეგირდი არ უნდა ვიყო.

„ხომ კარგად ვსწავლობ, პაპა?“

ზებულონს გული მოეწურა, ტკივილები აეშალა და, მწარე ფიქრებში ჩაფლული, დიდხანს დუმდა.

შალვამ მისი დუმილი სხვაგვარად ახსნა.

— არ მიმიღებ?

ზებულონმა თავი ასწია და ჭაბუკს სახეში შეხედა. მხედარი კარგი იყო. ცხენზე ისე იჯდა, თითქოს ზედ ყოფილიყოს შეზრდილი. მერე კი ზებულონმა ისიც ნახა, რომ ხიფათის დროს სიმშვიდე არ ლალატობდა. კათალიკოსიც, რომელიც, ჩანდა, ძალიან უყვარდა, ჩუმად გამოიგლოვა, გულში, ისე რომ ერთი ზედმეტი სიტყვა არ დასცდენია. შესახედავად კი ცოტა სუსტი ჩანდა. თხელი იყო და სახის კანიც მეტისმეტად ნაზი ჰქონდა. ხუთი წელი იოველ ბატონიშვილთან ვიყავიო. ზებულონმა კი ვერ მიაღწია იოველ ბატონიშვილამდე.

შალვა მოლოდინით შემოსცქეროდა.

ზებულონმა ცოტა ხანს კიდევ უყურა და თქვა:

— თუკი გულით გწადია, რატომაც არ მიგიღებ!

შალვას სახე გაუბრწყინდა.

— მაშ, ბიძაჩემ ბექას მოველაპარაკები. ვიცი, უარს არ მეტყვის.

შალვა წავიდა და ხუთი თუ ექვსი კვირის შემდეგ ისევ დაბრუნდა. გახარებულმა შორიდანვე მოაძახა ზებულონს, ბიძაჩემმა ნება დამრთოო, და ამის შემდეგ თითქმის მთელი ორი წლის განმავლობაში ისეთი თავდავიწყებით ვარჯიშობდა, ისე ბეჯითად და გატაცებით სწავლობდა ყველაფერს, რომ, მის შემხედვარეს, ზებულონს ზოგჯერ სახეზე გადაჩვეული ღიმილი გადაურბენდა და გულში გადავიწყებული სხივი შემოეჭრებოდა.

ღვთივ მომადლებული ნიჭი და უნარი არ აკლდა და, რაკი ამას დიდი მონდინებაც ზედ დაერთო, წლის თავზე უკვე ისეთი გახდა, იტყოდით, ნეტა

ქართლის მტრებს მტრად სულ ასეთი ვაჟები მისცაო.

თუ რომელიმე ხერხი იოლად არ მოჰყვებოდა ხელთ, არც შედრკებოდა, არც დილონდებოდა, არც გულს აიცრუებდა; დრომდე ყველა სხვა საქმეს მიატოვებდა და იმ ურჩი ხერხის შესწავლას ნელა, მუყაითად, განსაცვიფრებელი სიჯიუტითა და შეუპოვრობით მიჰყოფდა ხელს. შუბის ტყორცნისას მოუვიდა ეგრე. ალლო ვერ აულო. მიზანში თუ შეუცდომლად გაუშვებდა, ძალას ვერ მიატანდა, ძალას თუ მიატანდა, მიზანი უცუდდებოდა. მაშინ, მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე აჩვენა ზებულონმა, თუ რა სიმაღლეზე და რა სისწორეზე უნდა დაეჭირა შუბი, ხელი რა ადგილას ჩაევლო, ფეხები როგორ დაედგა და მიწას როგორ დაყრდნობოდა, როგორ მოექნია და მოქნევისას სხეული როგორ მიეყოლებინა, ტყეში ერთი ადგილი შეიგულა და იქ მარტო, ზებულონის დაუსწრებლად, ყოველ დღე ქანცის გაწყვეტამდე ვარჯიშობდა, სანამ საწადელს არ მიაღწია.

რაც ბრძოლის ხელოვნებას შეეხებოდა, ყველაფერში სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდა ზებულონს და, როცა ზებულონი რაიმე ახალ ხერხს ასწავლიდა, თვალებში პატარა ბავშვივით შესცეცინებდა.

მალე ოსტატი და შეგირდი ერთმანეთს შეეჩვივნენ. შალვა აღტაცებული იყო ზებულონის სიმარჯვითა და მოქნილობით და თავის აღტაცებას არც ფარავდა. ზებულონმაც გულით შეიყვარა შეგირდი. თავიდან არ ეგონა, თუ კიდევ შესწევდა ადამიანის შეჩვევისა და შეყვარების უნარი. ნესტანის უიმედო ნატვრა ნაღვლის ღრუბლივით მუდამ გულში ედგა და ამ ღრუბლის იქით, განსაკუთრებით, მარტო თუ იყო, ვერც ვერაფერს ხედავდა. კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ კი მის გამოუნელებელ ტკივილს კიდევ ახალი ტკივილი დაემატა და მისი დაწყლულებული გული ახალი იარებით დაისერა. იმ ორი ღამის განმავლობაში, როდესაც შალვასთან ერთად იფნისხევში მდუმარედ მოდიოდა, მხოლოდ ამაზე ფიქრობდა. და რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ კათალიკოსის დაღუპვაში ბრალი მას მიუძღოდა. რად წაიყვანა თან, სათვალთვალოდ რომ წავიდა! რომ არ წაეყვანა, ხომ არაფერი მოხდებოდა! მოღალატის ვინაობას ბექა მაინც გაიგებდა. ცოტა ალბათ დააგვიანდებოდა, მაგრამ გაგებით გაიგებდა. არ უნდა წაეყვანა... გუნებაში ვითომ თავსაც იმართლებდა, აბა როგორ ვიფიქრებდი, ასეთ რამეს თუ ჩაიდენდაო, მაგრამ, რაკი ჩაიდინა, მაშასადამე, მოსალოდნელიც იყო, ხოლო თუ მოსალოდნელი იყო, უნდა ევარაუდა კიდეც, ეჭვად უნდა ეფიქრა. შველა მაინც შეძლებოდა!.. ახლა აქ იქნებოდა, ზებულონთან ერთად... მაგრამ ზებულონის ბედი ისე ჭრიდა, რომ ზებულონი მუდამ ორ ცეცხლშუა იდგა, მუდამ ისეთი არჩევანი ჰქონდა, რაც არ უნდა აერჩია. მაინც ბრალეული გამოვიდოდა. კათალიკოსი რომ ეხსნა, ის ყიზილბაშები უნდა დაეხოცა, მაგრამ ამისთვის ხომ კათალიკოსიც გაურისხდებოდა და ბექა ამილახვარიც, ისკანდერ-ხანი კი ხოჯა ისმაილისა და ოთხი ერთგული მცველის მოკვლისთვის, ვინ იცის, რა ცოდვის ჯარას დაატრიალებდა ქართლში!

ასე კი ფიქრობდა ზებულონი, მაგრამ ეს ფიქრი ვერაფერი ნუგეში იყო. გულს მარტო ის როდი უთუთქავდა, რომ კათალიკოსი დაიღუპა! ახლა მწარე და უილაჯო სინანულით აგონდებოდა, რომ, ვიდრე ცოცხალი იყო, ზებულონი სულ მუდამ უბღვერდა, თვალს არ უსწორებდა, მის გრძელ ლაპარაკს უნდოდ ისმენდა, ზოგჯერ კი თავისი სიბრიყვით გულში ლაჩრობასაც სწამებდა. ერთი-ორჯერ კი შენიშნა მის სახეზე სიკეთე და სათნოება, მაგრამ ვერ მიხვდა, რომ ნამდვილი სახე სწორედ ეს იყო. თავდადებაზე და გმირობაზე რომ ლაპარაკობდა, თურმე ზებულონისთვის კი არ ლაპარაკობდა, თავისთვის ლაპარაკობდა, თავს იმხნევებდა და იმ საშინელი

დღისთვის ემზადებოდა... და კიდევ ის სწვავდა გულს ზებულონს და ის უკარგავდა მოსვენებას, რომ ტყეში გაქცევას აპირებდა და, კათალიკოსი რომ არა, ვინ იცის, ეგებ გაქცეულიყო კიდეც...

ყოველივე ეს ბალღამივით უტრიალებდა გულში, მაგრამ დროდადრო, როდესაც შალვა რომელიმე რთულსა და ძნელ საბრძოლო ხერხს კარგად შეისწავლიდა, მტკიცედ შეითვისებდა, ზედიზედ რამდენჯერმე მარჯვედ და სხარტად შეასრულებდა და სახეგაბრწყინებული ზებულონს მიუტრიალდებოდა, რათა ოსტატის საბოლოო მსჯავრი მოესმინა, ზებულონის გაყინულ გულში ზოგჯერ სითბოს ჭავლი გაივლიდა.

ზებულონს ძალიან უნდოდა თავის შეგირდს თვითონვე შეგირდად მიბარებოდა და მისგან წიგნი ესწავლა, მაგრამ თქმა ვერ გაებედა. ერთი ხანობა იმედი ჰქონდა, შევეჩვევი და მერე ვეტყვიო, მაგრამ ეს იმედიც ამაო გამოდგა. მას შემდეგ, რაც ერთხელ კათალიკოსმა მწყრალი გაკვირვებით ჰკითხა, როგორ თუ აზნაურმა კაცმა კითხვა არ იციო, ატყობდა, თავისი უწიგნურობის გამხელას ეგრერიგად ველარ შეძლებდა. სამაგიეროდ, როდესაც შალვა ზოგჯერ იოველ ბატონიშვილის სასწავლებელზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ხარბად უსმენდა, ეგებ რამე გავიგოო.

დროდადრო — ორ-სამ თვეში ერთხელ — შალვა შინ მიდიოდა. დედაშვილი რომ ქართლს დაბრუნდნენ, ბექამ მაშინვე გამოუცხადა დას, თავი არ შეივიწროო, რაც ჩემია, ის შენიცაა, თუ ცალკე გირჩევნია ცხოვრება, რამდენიმე სოფელს, რომლებსაც იტყვი, საკუთრივ მოგცემ, თუ ჩემთან ყოფნას არჩევ, აგერ შენ და აგერ ეს ჩვენი სახლი და კარიო. დამ ამილახვრიანთ მთავარ სასახლეში ამჯობინა ცხოვრება, საგვარეულო მამულში, სადაც ბექას გარდა მოხუცი დედა და ნაბოლარა და ჰყავდა. და თუმც მეფის სამსახურში მდგარ ბექას ძნელად თუ უხერხდებოდა სასახლიდან წასვლა, ჩანს, დისწულთან ადრევე ჰქონდა შეთანხმებული და, როდესაც შალვა რუნისხევიდან გაემგზავრებოდა, ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

შალვას რომ გაისტუმრებდა ხოლმე, ზებულონს გულზე მძიმე ნალველი შემოაწვებოდა. თვითონ ამ უკაცრიელი ხევიდან ვერსად წავიდოდა. რომც წასულიყო, წასვლით რა შეიცვლებოდა, მაგრამ კაცის გული მოუსვენარია და, როცა ნამდვილი იმედი არა აქვს, ცრუ იმედს ეპოტინება. ამიტომ ზებულონს ეგონა, თავისუფლება რომ ჰქონოდა, ქალაქს ჩავიდოდა და, ვინ იცის, ეგებ ნესტანისთვის სადმე თვალი მოეკრა, და თუ თვალს ვერ მოჰკრავდა, ახლო ხომ მაინც დაიგულვებდა და მისი გამწარებული სიცოცხლისთვის ესეც ნუგეში იქნებოდა.

როდესაც შალვა პირველად წავიდა, ზებულონმა გადაწყვიტა, რომ დაბრუნდება, ნესტანის ამბავს გამოვკითხავო. მართალია, იმთავითვე გრძნობდა, რომ გამბედაობა არ ეყოფოდა, მაგრამ თავს არ უტყდებოდა, გულს იმაგრებდა და შალვას დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდა.

ვიდრე შალვა გამოჩნდებოდა, ნაპერწკალი იმედიანად ულვიოდა გულში, შალვა რომ დაინახა, მაშინ კი ერთბაშად მიხვდა, რომ ნესტანის სახელს ვერ ახსენებდა და, თუმც კი ერთხანს მაინც ცდილობდა გაუბედაობას გაურჩებოდა, ბოლოს ისღა ჰკითხა, ქვეყნად რა ხდებაო.

— არაფერი, — მიუგო შალვამ, — ვთათრდებით ნელ-ნელა.

ამაზე ზებულონი უცებ გაალმასდა.

— აკი ვამბობდი! მერედა, სანამ უნდა ვითმინოთ?!

— განა მართლა ვთათრდებით! — გაიცინა შალვამ, მერე სიცილი მოიშორა და უკვე დადინჯებით განაგრძო, — გათათრების სენი მცირე ხნით კარგიც კია. ცხადად გამოჩნდება, ვინ ერთგულია ქვეყნისა და ვინ ორგული.

ორგულის ხსენებამ ზებულონს გარსევან ორბელიანი მოაგონა. შალვას

ერთი ცერად შეხედა და ჩუმი წყრომით თქვა:

— იმ ძაღლთაპირ ორბელიანს ალბათ თვალისჩინივით უფრთხილდებით და ისე უვლით, ცივ ნიავს არ აკარებთ!..

— რა ვუყოთ! — მიუგო შალვამ, საქმე მოითხოვს და ვუვლით. ვიდრე შობას დავიყენებდეთ, ლორივით უნდა მოვუაროთ. შობა რომ გაგვითენდება, ლორივით ამოვუღებთ გულს.

შალვას თვალებში რისხვა გაუკრთა და ზებულონს გაუკვირდა: ამ ცოტა ხანში, რაც აქ ერთად იყვნენ, რა სწრაფად გამოცვლილიყო, თითქოს ერთბაშად გაზრდილა და დავაჟკაცებულაო.

გულში კვლავ ნესტანს დასტრიალებდა, ხმამაღლა კი სიტყვა ახლა ბექაზე ჩამოუგდო:

— ბექა თუ ნახე?

— ვნახე, — მიუგო შალვამ.

— რასა იქს?

— აბა, რას უნდა იქმოდეს! ვითომ ისტიბარს არ იტეხს, ვითომ ძველებურად ლაღობს და მწარესიტყვაობს. ამით ეგებ სხვა კი მოატყუოს, მაგრამ დედაჩემს რას გამოაპარებს! დედაჩემმა მითხრა, თვალებს ძალისძალად იშრობს, თორემ გული ცრემლში აქვს ჩამბალიო.

ზებულონი დაბნეული უცქეროდა შალვას. ბოლოს გაკვირვებით ჰკითხა:

— რათა?

— როგორ თუ რათა?! — გაკვირვებითვე მიუგო შალვამ. მერე უცებ გაახსენდა, — თუმც შენ ხომ არა იცი რა. ან კი საიდან გაიგებდი! — და მცირე დუმილის შემდეგ წყნარად, ცოტა ნაღვლიანი კილოთი განაგრძო, — ბიჩაძემს ერთი ქალი უყვარდა...

— ვიცი, — შეაწყვეტინა ზებულონმა, — მაჩაბლიანთ ასმათი. მერე?

—გაუთხოვდა. უმცროს ციციშვილს გაჰყვა. განა უნდოდა, ბიძაჩემის ჯიბრზე გაჰყვა. ბიძაჩემს ხომ ახლა მთელი ქართლი ქვეყნის მოღალატედ თვლის...

ერთხანს ორივენი დუმდნენ. მერე ზებულონი წამოდგა და ქოხისკენ წავიდა. მიდიოდა და გულში ფიქრობდა: „გალახული ძაღლივით მივლასლასებ“. ქოხში რომ ვერ გაძლო, ისევ გარეთ გამოვიდა და ტყეში შევიდა. შუაღამემდე იხეტიალა აღმა-დაღმა. მარტო უნდოდა ყოფნა. ის უნდოდა, რომ, თუ მთელ ქვეყანაზე არა, მთელ იფნისხევში მაინც სულ მარტო ყოფილიყო, და ქოხში რომ შალვა ეგულებოდა, ამაზეც წუხდა.

მეორე წასვლაზე შალვამ კარგი ამბავი ამოიტანა: გარსევან ორბელიანის მეშვეობით ბექასა და მის კაცებს ყველა მოღალატის ვინაობა გაეგოთ.

— ჩვენებს რომ ცოტაც დაგვიანებოდათ, ძაღლები შეთქმულების კვალს მიაგნებდნენ და ყველაფერი დაიღუპებოდა. ახლა მთელი მათი საიდუმლოდ ნაქსოვი ბადე ჩვენს ხელთაა და ბიძაჩემი ისე ურევს და ისე ხლართავს ყოველივეს, დიდხანს ვერ გაარჩევენ, სად ტყუილია და სად მართალი.

მესამე წასვლაზე რომ შალვამ ამბავი ამოიტანა, იმ ამბავში, თუმც კი ზებულონს თვალთ დაუბნელდა და ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს ცა და მიწა ერთმანეთს შესკდომოდა და თვითონ შუაში მოჰყოლოდა, მოულოდნელი არა ყოფილა რა.

ზებულონის კითხვაზე, ახალი რა არის ქართლშიო, არაფერიო, შალვამ მიუგო. მერე უცებ დაუმატა:

— ჰო, ერთი ისაა ახალი, რომ ისკანდერ-ხანს ვაჟი გაუჩნდა და სახელად ქაიხოსრო დაარქვეს.

მაშინ ვიღაც უცხომ და უხილავმა ზებულონს გულ-ღვიძლი ამოაცალა და ყვავ-ყორნებს საძიძგნად გადაუყარა.

ზებულონი კი, უგულღვიძლოდ დარჩენილი, კვლავაც შალვას წვრთნასა და გაწაფვას განაგრძობდა.

ზოგჯერ მწარე გაკვირვებით გაიფიქრებდა, ამდენი სიკვდილი რომ გამოვიარე, ნეტა ცოცხალი როგორღა ვარო.

წელიწადი და ცხრა თვე დაჰყო შალვამ იფნისხევში, მერე ოსტატს გამოეთხოვა და წავიდა. ოღონდ წასვლა-

მდე ერთი კვირით ადრე ბანაკში ფარულად ორმოცდაათი დარჩეული ჭაბუკი ამოიყვანა და ზებულონს ბექა ამილახვრის ბრძანება გამოუცხადა: როგორც შალვა გაგიწვრთნია და გამოგიზრდია, ეს ჭაბუკებიც უნდა გაწვრთნა და გამოზარდოო. ისე უნდა გაწვრთნა, თუ შენისთანები ვერ დადგებიან, ჩემისთანები მაინც დადგნენო.

ამის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, ზებულონს შეთქმულებისა არა გაუგია რა. ორი წელი რომ გავიდა, შალვა ისევ გამოჩნდა — კიდევ უფრო დავაჟკაცებული და დამშვენებული — და ბექა ამილახვრის ახალი ბრძანება ამოიტანა: წვრთნა თუ მოათავე, შეგირდები დაითხოვეო.

ზებულონს წვრთნა მოთავებული ჰქონდა. ჭაბუკებმა უკვე ყველაფერი იცოდნენ, რისი ცოდნაც კი შესაძლებელი იყო. ამიტომ ბრძანება შესრულა, ჭაბუკები დაითხოვა და იფნისხევში სულ მარტო დარჩა.

წელიწადნახევარი იყო მარტო.

რაკი ხმის გამცემი არავინ ჰყავდა, თავისივე გულის დარბაზში შევიდა, კარიბჭე მაგრად დაკეტა და იქ, საკუთარ ფიქრებში და წარმოსახვაში დაიდო ბინა.

უფრო ხშირად ნესტანს ხედავდა. ხან მამულის დასათვალიერებლად მიჰყავდა, ხან სასეირნოდ მიჰყვებოდა, ხანაც ეზოს ბოლოში ხმლის ხმარებას ასწავლიდა. როცა დათვს შეებმებოდა, ნესტანი თან შეშინებული და თან გაბრწყინებული სახით უყურებდა. ყველა სასიძოს იწუნებდა, რადგან გულში ზებულონის სიყვარული ჩავარდნოდა. ზოგჯერ ზებულონი ოცნებას შორს გაჰყვებოდა, რაც იყო, იმას გასცდებოდა და იმას ფიქრობდა, რაც არ ყოფილა: ვითომ ქალ-ვაჟმა ადრევე გაუმხილა ერთმანეთს გულისნადები და, ვიდრე ისკანდერ-ხანი გამოჩნდებოდა, ჩუმად წყაროსთვალში გაიპარნენ. იქ, სოფლის პატარა, თეთრ ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს. იესე ერისთავმა რომ გაიგო, ღიმილით თქვა, საჩუმათო რა სჭირდათ, განა ასეთ ვაჟს აზნაურობით დავიწუნებდიო! სოსიკასა და სოსიკას პირით შეუთვალა, [illegible] — რომ თქვენს ბედნიერებას ჩუმი ლოცვა-კურთხევის ბეჭედიც დავუსვაო.

კათალიკოსსაც ხშირ-ხშირად ხედავდა. სიყვარულით შესცქეროდა მის მშვიდ, მტკიცე, ქვისგან ნათალ სახეს, რომელსაც სიკეთისა და სათნოების შუქი ეფინა, და ისეთი ყურადღებით უსმენდა მის გრძელ ქადაგებას, ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა.

გარსევან ორბელიანი კი, ვინ მოთვლის, რამდენჯერ საკუთარი ხელით მოკლა.

ხოლო ათასში ერთხელ, უნებურად და მოულოდნელად, გონების თვალწინ დაროაშვილების დამხრჩვალი ლანდები გაიელვებდნენ.

მაგრამ წელიწადნახევარი მარტოკაცისათვის ძალზე დიდი დროა და ზებულონი დაილალა. დაილალა, გული გამოუშრა და თანდათან ყველაფრის ნდომა და წადილი დაკარგა. ზოგჯერ იმასაც იფიქრებდა, ალბათ ბექა ამილახვარს უკვე აღარაფერში ვჭირდები, ამიტომ სულაც დაავიწყდა, რომ ამ უკაცრიელ ხევში უქმად ვზივარ და ობი მეკიდებაო. ამას განა სინანულითა და საყვედურით ფიქრობდა! ერჩივნა კიდეც, ბექა ამილახვარს მისი არსებობა მართლა დავიწყნოდა და, ვიდრე სიკვდილი არ მოაკითხავდა, ასე ყოფილიყო — მარტო, თავის ფიქრებთან, თავის სატანჯველთან, თავის ნებაზე.

სწორედ მაშინ, როცა საბოლოოდ შეეჩვია ნადირივით ცხოვრებას და მხოლოდ ის ეწადა, აღარა შეცვლილიყო რა, შალვა ჩხეიძე ისევ ამოვიდა და ისეთები უამბო, რომ გაჩერებულმა გულმა კვლავ ძგერა დაუწყო და შედედებულმა სისხლმა დუღილი.

ამ ხუთი-ექვსი წლის მანძილზე ბექა ამილახვარს მრავალი მზაკვრული მახე დაეგო ისკანდერ-ხანისთვის, მაგრამ ვერა გაეწყო რა, ყველა მცდელობა ამაო გამოსდგომოდა. შეთქმულები კარგა ხანია ისე იყვნენ მომძლავრებუ-

ლი, აშკარა ბრძოლაში ბექას ისკანდერ-ხანის დამარცხება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მანუჩარ ბატონიშვილის დარდი ჰქონდა და აჯანყება ვერ გაებედა. მისი გეგმა იყო, აქ, ქართლში, ისე ეჯობნა ისკანდერ-ხანისთვის, რომ იქ, ისპაჰანში, მანუჩარ ბატონიშვილს არა შემთხვეოდა რა. ეს კი ძალიან ძნელი იყო. რაკი გარსევან ორბელიანის მეშვეობით ყველა მოღალატე ქართველის ვინაობა გაიგო და მათი ყოველი მოქმედება და ყოველი ნაბიჯი ისე იცოდა, თითქოს თავად ყოფილიყო მოღალატეთა გუნდის მეთაური, გზაკვალს იოლად ურევდა და შეთქმულება ისე ჰქონდა შენიღბული, გამჟღავნებისა უკვე აღარ ეშინოდა. მაგრამ მარტო შენიღბვა რას კმაროდა, თუკი ვერ იმოქმედებდა და საქმეს ვერ დააბოლოებდა. მრავალი ცდა რომ გასცუდებია, ახლა უფრო საშიში და გაბედული თამაში წამოუწყია: ამ ერთი წლის წინ შალვას წაჰკიდებია. იფნისხევიდან წასვლის შემდეგ შალვა ისკანდერ-ხანის სამსახურში ჩამდგარა და მალე კარგადაც დაწინაურებულა. ამ ერთი წლის წინ კი ხოჯა ისმაილის შემწეობით, რომელიც თურმე კარგი თვალით უყურებდა, ისკანდერ-ხანისთვის მეჯინიბეთუხუცესის სახელო უთხოვია და იშოვიდა კიდეც, საქმეში რომ ბექა არ ჩარეულიყო, ბექას დაჟინებით ისკანდერ-ხანს მეჯინიბეთუხუცესობა სხვისთვის მიუცია. ამაზე ბიძა-დისწული წალაპარაკებულან. იქამდე წალაპარაკებულან, რომ განრისხებულ ბექას შალვასთვის საჯაროდ სილა გაუწნავს. შალვას ხმალი უშიშვლია. ბექასაც ხმალი უშიშვლია. იმ ზომამდე გაფიცხებულან, თავად ისკანდერ-ხანს ძლივს დაუშოშმინებია. დაშოშმინებით კი დაშოშმინებულან, მაგრამ შერიგების გაგონებაზე ქვა აუგდიათ და თავი შეუშვერიათ. ბექას, გამწარებულ გულზე, და და დისწული საამილახვრო მამულიდან გაუძევებია და სამაგიეროც არაფერი მიუცია. მაშინ შალვას ისკანდერ-ხანისთვის არზა მიურთმევია და მამულის წილი მოუთხოვია. ხოჯა ისმაილის გარჯითა და ზეგავლენით სასამართლოს შალვას მხარე დაუჭერია და მომჩივანისთვის ამილახვრიანთ სამფლობელოდან ექვსი სოფელი მიუკუთვნებია. ამის შემდეგ ბიძა-დისწული ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებია. ხოჯა ისმაილს ამასობაში თავისი საქმე უკეთებია და გაჯავრებული ჭაბუკი კიდევ უფრო დაუახლოებია. შალვაც, მის ჩამობრივ ზრუნვას რომ ხედავდა, ახალგაზრდული სიალალით მინდობია და, ბიძის ლანძღვით რომ გული კარგად უჯერებია, ერთხელაც, ვითომ სასხვათაშორისოდ, ჩაუქარაგმებია, ეგ ბექა ამილახვარი არც ისეთი ერთგულია შაჰისა და ისკანდერ-ხანისა, როგორც სპარსთ გგონიათო. ხოჯა ისმაილს ეს ნათქვამი დაუფიქრებლობისა და ახალგაზრდული გულისწყრომისთვის მიუწერია და დაუტუქსავს კიდეც მსუბუქად და მამაშვილურად — ასეთი რამ სხვა დროს არ წამოგცდეს, განა არ იცი, რომ ორგულობის დაწამებას, როცა საბუთი არა გაქვს რა, შეიძლება დიდი ხიფათი მოჰყვესო?! ამაზე შალვას გაცხარებით მიუგია, ის არა კმარა საბუთად, რომ მანუჩარ ბატონიშვილთან სიყრმითვე თანაშეზრდილია და ისე უყვართ ერთმანეთი, სულში იძვრენენო?! რა დასაჯერებელია, რომ უგულითადეს მეგობარს ასე უცებ უღალატა და თქვენს მხარეს გადმოვიდაო! არაო, ხოჯა ისმაილს უთქვამს, ეგ საბუთად არა კმარაო. მართლაცდა, ამგვარი ეჭვი ხოჯა ისმაილს თავადაც გასჩენოდა, როცა ამილახვარი ისკანდერ-ხანს ქართლს წამოჰყვა, მაგრამ ხოჯა ისმაილი ფრთხილი და გამჭრიახი კაცი იყო, გულისთქმას ეგრერიგად არ აჰყვებოდა და ლანდებს არ დაუწყებდა დევნას. როცა ამილახვრის საქციელი დაკვირვებით აწონ-დაწონა, მიხვდა, რომ აქ ეჭვი ნამდვილ საბუთს ვერ აპოვნინებდა, ვინაიდან მანუჩარ ბატონიშვილმა ისეთი სათქმელი დაიტოვა, კაცი ვაგლახად ვერსაიდან მიუდგებოდა: რაკი ქართლის ტახტი ხელიდან გამოეცალა, ის მაინც გააკეთა, რაც მის დღეში

მყოფს ჯერ კიდევ შეეძლო გაექეთებინა ქვეყნისთვის — ისკანდერ-ხანს რომ ქართლის სამეფო კარზე ვინმე შემთხვევითი და შეუფერებელი დიდებული არ დაეწინაურებინა, ბექა ამილახვარი გამოატანა. ამილახვრის მხრით ეს არც ბატონიშვილის ღალატი იყო და არც ისკანდერ-ხანისა. ხოჯა ისმაილი ეჭვებზე მეტად თავის ალღოს ენდობოდა. სწორედ ალღო ეუბნებოდა, ბექა ამილახვარს გულში ღალატი უდევსო. მაგრამ თვითონ რომ სჯეროდა თავისი ალღოსი, ეს არ კმაროდა. მთავარი ისკანდერ-ხანის დაჯერება იყო. ამისათვის კი საბუთი სჭირდებოდა. საბუთი ხოჯა ისმაილმა ვერ იშოვა, თუმც ბევრი ეძია. ქართველ მოღალატეთა გუნდიც ამიტომ შეაკოწიწა. ერთი ხანობა დიდი იმედიც ჰქონდა ამ გუნდისა. გარსევან ორბელიანი ირწმუნებოდა, ამილახვარს ის ვიღაც ზებულონი, ისკანდერ-ხანის დანიშნული რომ გაიტაცა, არ მოუკლავს, ტყეში გადამალაო, მაგრამ ტყუილი გამოდგა. რაც დრო გადიოდა, ხოჯა ისმაილი თანდათან იმედს კარგავდა, ბოლოს ეჭვიც გაუჩნდა, იქნებ ალღო მატყუებსო. ბიძა-დისწულის წაკიდებამ მიმქრალი იმედი ისევ გაუღვივა. ის თავისი ალღო ახლა იმას ეუბნებოდა, რომ შალვამ ბიძის ღალატი იცოდა, ხოლო რაკი იცოდა, ხოჯა ისმაილსაც უნდა გაეგო. თავად რომ კარგად დაიახლოვა შალვა, მერე იუსუფ-ბეი მიუჩინა, სარდლის თანაშემწე. იუსუფ-ბეი ასაკით ახლო იყო შალვასთან და ყველაფერს უფრო იოლად დასტყუებდა. მართლაც, სულ მალე შალვა და იუსუფ-ბეი ისე დამეგობრდნენ, უერთმანეთოდ პურს აღარ ტეხდნენ. შალვასაც ეს უნდოდა. რა დაინახა, იუსუფ-ბეის გული საბოლოოდ მოინადირა, ჯერ ფრთხილად, მოიარებით, მერე კი პირდაპირაც, მეგობრულად, თავისი ხვაშიადი გაუმჟღავნა: ბექა ამილახვარი რომ, ვიდრე ცოლი არ შეურთავს და მემკვიდრე არ დარჩენია, გზიდან ჩამომაშორებია, მისი მამულები, თუ მეფეც ბრძანებს, მე დამრჩებაო. იუსუფ-ბეიმ ამაზე თავი ეჭვით გადაიქნია, ძნელი საქმეაო, მაინც ეგ შენი გულისნადები ხოჯა ისმაილს გავუმხილოთ, ხოჯა ისმაილი ბრძენი კაცია და რამეს გვირჩევსო. ხოჯა ისმაილმაც შორს დაიჭირა შალვას განზრახვა: ისკანდერ-ხანი, ღალატი თუ არ შეატყო, ისე ბექა ამილახვარს არ მოიშორებსო. მაშინ შალვამ, როცა საქმე მომწიფებულად ჩათვალა და ბექასგანაც დასტური მიიღო, ერთ დღეს ხოჯა ისმაილსა და იუსუფ-ბეის პირდაპირ გამოუცხადა, მე ამილახვრის ღალატის საბუთს გიშოვით, თუ თქვენ იმის რწმუნებას მომცემთ, რომ მის მამულებს მეფე მე დამინარჩუნებსო. ხოჯა ისმაილი და იუსუფ-ბეი იბრაჰიმ-ხანს მოელაპარაკნენ და შალვამ სიტყვიერი, მაგრამ მტკიცე რწმუნება მიიღო.

— სამი თვის ვადა ვითხოვე, — თქვა შალვამ, — შენთვის ვითხოვე და საქმე ახლა შენზეა. იმ კვირას ორმოცდაათივე ნაშეგირდალი აქ ამოგივა. თუ იტყვი, რომ საკმარისი არ არის, ოციოდ ერთგულ კაცს კიდევ გიშოვით. ბიძაჩემის გეგმა, თუ ღმერთმა შესრულებაც შეგვაძლებინა, ესაა: ისკანდერ-ხანს თავისი ამალით, თავისი დიდებულებით, თავისი მცველებით, თავისი ერთგული და ორგული ხალხით აქ შემოვიტყუებთ. მასპინძლობა შენ და შენმა ბიჭებმა უნდა გასწიოთ. მოსაფიქრებლად და მოსამზადებლად სამი თვე გეყოფა. ისე უნდა ქნა, ბრძოლის გადახდა არ დაგვჭირდეს. ბრძოლა თუ ატყდა, შესაძლებელია ისკანდერ-ხანი გააპარონ და მაშინ ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება. ყველაზე საშიში მცველებია, ეს იცოდე. თორმეტი მცველი ჰყავს, თორმეტივე დიდი მებრძოლი და თავზეხელაღებული კაცია. თან ძაღლებივით ერთგულები. არც დღე და არც ღამე გვერდიდან არ შორდებიან. მისი გულისთვის ცეცხლში ჩადგებიან. ყველაფერი მისხალ-მისხალ უნდა აიწონოს; თითოეული ნაბიჯი, ჩვენიც და მათიც, წინასწარ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული და გაანგარიშებული.

თუ იტყვი, რომ ძნელია, ისა სჯობს თავიდანვე ხელი ავილოთ, ვიდრე ისეთ ხაროში ჩავცვივდეთ, უკან ველარ ამოცვიდეთ.

ზებულონი ერთხანს დუმდა და დაფიქრებული ტყეს გასცქეროდა. მერე ჰკითხა:

— ისეთი რა მიზეზი უნდა მოიგონოთ, რომ ისკანდერ-ხანი აქ შემოიტყუოთ?

— მიზეზი შენ იქნები, — წყნარად თქვა შალვამ.

ზებულონმა შუბლი შეიჭმუხნა და შალვას გაკვირვებით შეხედა.

— მე?

— შენ. ხოჯა ისმაილი ცბიერი და ჭკვიანი კაცია. თან მენდობა, თან მითვალთვალებს. ამიტომ ისეთი საბუთი უნდა მივცე, ჩემი ერთგულებაც მტკიცედ ირწმუნოს და ბიძაჩემის ორგულობაც. ამისთვის კი ყველაზე უკეთესი საბუთი შენა ხარ. შენ თუ საიმედო გეგმას მოიფიქრებ, სამი თვის შემდეგ ხოჯა ისმაილს შენს სამყოფელს ვაჩვენებ და შენს თავსაც დავანახვებ. მერე კი ისე მოვაწყობთ ყველაფერს, ისკანდერ-ხანმა თავად მოინდომოს შენი ნახვა, რათა ბიძაჩემის ღალატი დაიჯეროს.

— კარგი, — თქვა მცირე დუმილის შემდეგ ზებულონმა, — რაკი მიზეზი მე ვიქნები, მგონი ამან საქმე გაგვიიოლოს.

რამდენიმე დღეში ზებულონს გეგმა უკვე მოფიქრებული ჰქონდა და, ძველი შეგირდები რომ ამოუვიდნენ, საქმესაც შეუდგა.

ქოხი დაარღვიეს და გამოქვაბულის პირას გადაიტანეს, ისე რომ გამოქვაბულის კარი წინასწარ გამოჭრილ კედელში დაატანეს. ამგვარად, ქოხის უკანა კარი ახლა პირდაპირ გამოქვაბულის ბნელსა და ღრმა ხახაში ილებოდა. გამოქვაბულის ბოლოში გვირაბი გათხარეს და, ქოხიდან კარგა მოშორებით, ტყეში გამოიყვანეს.

ყველაფერი რომ მოათავა, ზებულონმა შალვას დაუწყო ლოდინი, მაგრამ შალვას ნაცვლად სამი თვის შემდეგ იფნისხევში თავად ბექა ამილახვარი ამოვიდა. თან ერთი ვილაც მხცოვანი, ბრგე ბერი ახლდა.

ბიბლიოთეკა

ბექას დანახვაზე ზებულონს გული უამურად შეუქანდა, მაგრამ თავს მალევე მოერია და მშვიდად შეეგება.

— აბა, რას მეტყვი? — მოსვლისთანავე დაიწყო ბექამ, — შეგიძლია თუ არა, ქართლის მეფეს მეფური მასპინძლობა გაუწიო?

— მგონია, რომ შემიძლია, — მშვიდად, დაჯერებით მიუგო ზებულონმა.

— მაშ, მიამბე, რას აპირებ და როგორ აპირებ.

ზებულონმაც უამბო. წვრილად, დალაგებით უამბო ყოველივე, თან შიგადაშიგ იმ ვეება ბერს გადახედავდა და უკვირდა, ნეტა ეს რიღასთვის ამოიყვანათ.

სათქმელს რომ მორჩა, იქაურობაც დაათვალიერებინა.

— აი, ეს გახლავს გამოქვაბული, — უთხრა და ქოხის უკანა კარი შეაღო, — ფრთხილად, მაღალია. კიბეს ჩაჰყევი... აქ გამოვდივართ. ქოხიდან შორია, ასე რომ, ალყაც რომ შემოარტყან ქოხს, საშიში მაინც არა არის რა.

ბექამ ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, ყველაფერი დაკვირვებით გასინჯა და კმაყოფილი დარჩა.

— ძალიან კარგი, — თქვა ბოლოს, — ამ დღეებში შალვა შეგატყობინებს, თუ როდის ამოიყვანს თავის მამობილ ხოჯა ისმაილს პირისსანახავად, რომ შენც მზად იყო და ისე ეჩვენო, თავი მოაწონო. მაინც კი ფრთხილად იყავი. მეთვალყურეები გეყენოს. ეგებ ვერც მოახერხოს შალვამ წინასწარ შეტყობინება. ერთიც გახსოვდეს, — უთხრა ბოლოს, როცა უკვე წასასვლელად ემზადებოდა, — ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელია. არავინ იცის, რა ჭკუაზე დადგება ისკანდერ-ხანი. შესაძლებელია, სულაც არ მოინდომოს წამოსვლა; შესაძლებელია, წამოვიდეს, მაგრამ თან ჯარი წამოიყვანოს. ამიტომ გიტოვებ იასონ ბერს. ტანად შენოდენაა და მგონი ცოტა, — აქ მსუქან სახეზე წამით ღიმილმა გადაურ-

ბინა, — გგავს კიდეც. თუ დაინახე, რომ თავად ისკანდერ-ხანი არ მოდის, ან ჯარით მოდის, ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენი გეგმა ჩაიშალა. წამსვე ყველანი ჩუმად უნდა გაეცალოთ აქაურობას. ბანაკში მხოლოდ იასონ ბერი დარჩება, ვითომ, შენს სანახავად რომ მოვიდნენ, მაშინაც ეგ დაინახეს. აბა, ფხიზლად იყავი და, რაც გითხარი, კარგად დაიხსომე!

ბექა რომ წავიდა, ზებულონმა თვალი გააყოლა. დიდხანს უყურებდა და თან შალვას ნაამბობი აგონდებოდა, მაჩაბლიანთ ასმათი გაუთხოვდა და გული ცრემლში აქვს ჩამბალიო.

შალვამ შეძლო ზებულონის გასაფრთხილებლად წინასწარ ამოსვლა და ზებულონიც დინჯად, აუჩქარებლად მოემზადა. დათქმულ დროს თავისი ხალხი გამოქვაბულში დამალა — მარტო ორი მეთვალყურე დატოვა გარეთ, ერთი გამოქვაბულის უკან ბორცვზე დააყენა, მეორე ქვემოთ, ნაკადულთან — თვითონ იასონ ბერის ანაფორა ჩაიცვა და მნახველებს ასე ეჩვენა.

შალვამ ხოჯა ისმაილი, იუსუფ-ბეი და იბრაჰიმ-ხანი, რომელმაც ბოლო წამს თავადაც მოიწადინა წამოსვლა, ადვილად დაარწმუნა, რომ ქოხთან მიახლოება სახიფათო იყო — ვაითუ თავი გაემჟღავნებინათ და ამდენი ნაჯაფი წყალში გადაჰყროდათ. ამიტომ ზებულონი ისეთი მანძილიდან აჩვენა, რომ, ერთი მხრივ, საკმაოდ კარგად დაენახათ და ეცნოთ, ხოლო მეორე მხრივ, ვინიცობისაა ბექას შიში გამართლებულიყო, ზებულონის მაგივრად რომ იქ იასონ ბერი დახვდებოდათ, დაეჭვებულიყვნენ და ეფიქრათ, ალბათ შევცდით, მეტისმეტი მოწადინების გამო თვალმა მოგვატყუაო.

ამის შემდეგ ბექა ამილახვარი და სხვა შეთქმულები დაძაბული მოელოდნენ, თუ რას გადაწყვეტდა ისკანდერ-ხანი.

„ნადირობის“ გამართვა ბექას დავალებით შალვას თვითონვე ურჩევია იბრაჰიმ-ხანის და ხოჯა ისმაილისათვის. სიცილ-სიცილით ურჩევია, ხუმრობ-ხუმრობით, რათა თან ყურში კარგად ჩაეწვეთებინა და თან, თუ ჭკუაში დაუჯდებოდათ და ისკანდერ-ხანსაც ურჩევდნენ, თავიანთ ნათქვამად ერჩიათ და არა შალვას ნათქვამად.

ხერხმა გაჭრა და ერთ დღეს, დილაადრიან, ისკანდერ-ხანმა ბექა თურმე დარბაზში იხმო, სადაც რამდენიმე დიდებული უკვე შეეყარა. მიზეზი წინდაწინ არ შეუთვლია, რათა, ვინიცობისაა, ბექას ეჭვი აელო, მაცნეს გაგზავნა და ლტოლვილის გაფრთხილება ვერ მოესწრო. როდესაც ბექა ხლებია, ისკანდერ-ხანს გამოუცხადებია, სანადიროდ უნდა წავიდეთო. ბატონი ბრძანდებით, ბექას მიუგია, მაშ, მოვემზადებით. ამაზე რომ ისკანდერ-ხანს უთქვამს, მომზადების დრო არ არის, საჩქაროდ უნდა წავიდეთ, თოფ-იარაღს მსახურები წამოიღებენო, ბექა თურმე, როგორც შალვამ უამბო მერე ზებულონს, ოდნავ შეკრთა, ისკანდერ-ხანმა კი ამის დანახვაზე ჩუმად ულვაშებში ჩაიღიმა.

მალე ყველანი, ვინც კი ისკანდერ-ხანმა სანადიროდ იხმო — მეფის თორმეტივე მცველი, სპარსი დიდებულები, მათ შორის იბრაჰიმ-ხანი და ხოჯა ისმაილი, ქართველ მოღალატეთა მთელი გუნდი, ბექას რამდენიმე შეთქმული, ათიოდ მსახური და, ყველას გასაკვირად, პატარა ბატონიშვილი ერთი მოხუცი, გრძელწვერა სპარსის თანხლებით — სასახლის ეზოში შეკრებილან. როცა ისკანდერ-ხანს დაძვრის ნიშანი მიუცია, ბექას გაკვირვებით უკითხავს, განა ისე მივდივართ, არც ბაზიერები მიგვყავს და არც მწევარ-მეძებრებიო? არაო, ღიმილით უპასუხნია მეფეს, მწევრებიცა და მეძებრებიც ჩვენვე უნდა ვიყოთო.

ერთი სიტყვით, ყველაფერი თურმე წესსა და რიგზე მიდიოდა. ერთადერთი, რამაც ბექა შეაფიქრიანა, ის ყოფილა, რომ ისკანდერ-ხანმა იუსუფ-ბეი თან არ იახლა. ამან ბექა დააეჭვა და დარდიც გამოაყოლა, მაგრამ ის ანუგეშებდა, რომ შალვაც ქალაქში იყო და, თუ იუსუფ-ბეის დატოვება მართ-

ლა ავს რასმე განზრახვას მოასწავებდა, შალვა ადვილად არ მიუშვებდა ნებას.

მეთვალყურემ რომ ამბავი მიუტანა, ისკანდერ-ხანი ჟორმოციოდე მხლებლით ხეობაში შემოვიდაო, ზებულონმა კიდევ ერთხელ ჩამოუარა ბანაკს. თხუთმეტი კაცი უკანა კარს გადაღმა ეყენა, გამოქვაბულის თავში, დანარჩენები გვირაბის ბოლოში. გვირაბის პირი შენიღბული იყო. თუ მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი არა მოხდებოდა რა, ისკანდერ-ხანი და მისი ხალხი ბორცვს ზედა მხრიდან ძოადგებოდნენ, გვირაბის პირს მოშორებით შემოუვლიდნენ და ტყე-ტყე ჩამოვიდოდნენ, რათა ქოხის წინ უეცრად გამოჩენილიყვნენ.

რა დარწმუნდა, სტუმრების დასახვედრად ყველაფერი მზად იყო, ზებულონი ქოხში დაბრუნდა და ლოდინი დაიწყო. ბევრი რამ ახლა მის მოქმედებაზე ეკიდა. ვითარებამ ისეთი იარალი შეაჩეჩა, რომლის ხმარებაც ყველაზე ნაკლებად ემარჯვებოდა, მაგრამ რა ექნა: ახლა ასე იყო საჭირო და სხვა გზა არა ჰქონდა.

მალე ფლოქვების ხმა მოისმა. ზებულონი ყურს უგდებდა და თან გონების თვალს ადევნებდა. ბორცვის უკან გაიარეს. ქვემოთ დაეშვნენ. გვირაბს გამოსცდნენ. მადლი უფალს, არა შეუმჩნევიათ რა. მოახლოვდნენ...

ზებულონი ქოხიდან გამოვიდა, ზღურბლის წინ ჩამოჯდა და თავი ჩაჰკიდა, როგორც ფიქრებში ღრმად ჩაფლული კაცი ჩაჰკიდებს თავს.

როდესაც მომხდურები ტყეს გამოსცდნენ, თითქოს ხმაურზე გამოერკვაო, მაშინღა ასწია თავი.

წამით ყველანი გაშეშდნენ, სტუმრებიცა და მასპინძელიც. ზებულონმა ჯერ მთელი გუნდი ერთიანად და ერთმანეთში არეულად დაინახა. მერე უეცრად, თითქოს წინ წამოდგაო, გარსევან ორბელიანის სახე გამოიკვეთა — ხორცსავსე, ღაჟღაჟა ლოყები, სქელი წარბები, დიდი, კეხიანი ცხვირი და გრძელი ულვაშები — და ზებულონს საკუთარი კბილების ღრჭიალი მოესმა. მაგრამ ეს ამაზრზენი სა[illegible]-რუსში ჩაეფლო, რადგან [illegible]-ხანის გვერდით ზებულონმა ძალალ, თეთრ ცხენზე თვალი მოჰკრა მოხუც სპარსს, რომელსაც წინ ხუთიოდე წლის ბიჭუნა ესვა. ბიჭუნას ოქროსფერი კულულები ეყარა და შავ თვალებში რაღაც ისეთი გამომეტყველება ედგა, რის გამოც მთელი სახე თითქოს ღიმილით განათებოდა. ბიჭუნას დანახვამ ზებულონი ისე დააბნია, კინაღამ ყველაფერი დაავიწყდა. მადლი უფალს, შეძლო თავისთვის ძალა დაეტანებინა, ელვის სისწრაფით ზეწამოიჭრა, ქოხში შევარდა, უკანა კედელში დატანებულ კარს წიხლი ჰკრა და ბნელ გამოქვაბულში გადაეშვა. უკნიდან ისკანდერ-ხანის მჭექარე ხმა დაედევნა:

— შეიპყარით!

და, ვიდრე გამოქვაბულის ფსკერს მიაღწევდა, ფეხების ბრაგა-ბრუგიც მოესმა.

„გაჭრა!“, გაიფიქრა ზებულონმა, თან იმ ცისკარივით ლამაზი ბიჭუნას სახე ედგა თვალწინ და გულში ხინჯად ჩარჩა, რომ, რამდენი კაცი ძოსდევდა, ვერ მიხვდა.

გამოქვაბულის სიღრმე კარგად ჰქონდა გამოზომილი, წინა დღეებში საცდელადაც არაერთხელ ჩამხტარიყო, ამიტომ მიწაზე მსუბუქად დაეშვა, წამსვე გაიმართა და არ შეჩერებულა, ისე განაგრძო გზა.

როგორც დათქმული ჰქონდათ, გვირაბში ჩასაფრებულები უკვე გარეთ დახვდნენ.

— ამბავი? — სწრაფად ჩურჩულით იკითხა ზებულონმა.

—ექვსნი შემოგყვნენ, ოთხნი ქოხის ირგვლივ შემოიფანტნენ, ორნი დარჩნენ და ბექას ორივ მხრიდან ამოუდგნენ. ეს ორი ისრის წვერზე გვყავს. იმ ოთხსაც ოთხი მოისარი ჰყავს მიჩენილი.

— სანამ არ გეტყვით, არ სტყორცნოთ.

ის იყო ზებულონი ჩასაფრებულ მოისართ მიადგა, რომ ოთხი მცველი.

ორი ერთი მხრიდან და ორიც მეორე მხრიდან, ისევ გამოჩნდნენ, წამსვე ქოხში შეცვივდნენ და ისინიც უკანა კარიდან გამოქვაბულში გადაეშვნენ.

— კარგი და პატიოსანი, — თქვა ზებულონმა, — მაშ, მშვიდლ-ისარი აღარ დაგვჭირდება. მარჯვენა მცველი დათუნასა და გიორგის, მარცხენა საბასა და ელიზბარს.

უხმაუროდ დაეშვნენ ქვემოთ. ისკანდერ-ხანი და მთელი მისი ამალა ქოხს მისჩერებოდა, სადაც ზებულონი და მცველები გაუჩინარდნენ, ამიტომ კიდევ უფრო იოლად წაადგნენ თავს, ვიდრე ვარაუდობდნენ.

ის იყო ტყის პირს მიაღწიეს, რომ ისკანდერ-ხანის დამცინავი ხმა მოისმა:

— მაშ, ვერ იცანი, ბექავ, ვინ იყო?

ბექამ კი ზურგსუკან უკვე იგრძნო ზებულონისა და მისი ბიჭების სუნთქვა და პასუხის ნაცვლად ესა თქვა:

— მანუჩარ ბატონიშვილის სახელით იარაღის აყრას გიბრძანებთ ყველას!

მხოლოდ სამმა გაიკრა ხმალზე ხელი: იბრაჰიმ-ხანმა და ორმა მცველმა. მაგრამ მცველებს — ერთს დათუნამა და გიორგიმ, მეორეს საბამ და ელიზბარმა — ელვის სისწრაფით თავში მუშტი ჩაჰკრეს და დარეტიანებულებს გათოკვა დაუწყეს, იბრაჰიმ-ხანს კი ზებულონმა მიუსწრო, ზურგიდან წაადგა, ორთავ მაჯაში, აქეთ-იქით, ხელები ჩაავლო და მაგრად მოუჭირა.

დანარჩენებმა, რა დაინახეს, ალყაში იყვნენ მოქცეული, მორჩილად აიყარეს იარაღი. მხოლოდ ისკანდერ-ხანი არ განძრეულა, ოდნავ გაფითრებული იდგა და ისეთი თვალებით შესცქეროდა ბექას, ვერ გაიგებდით, რას ფიქრობდა და გულში რა უტრიალებდა.

პატარა ბატონიშვილი გრძელწვერა სპარსთან ერთად იჯდა დიდ, ღონიერ ცხენზე და ცნობისმოყვარე თვალით უცქეროდა ყოველივე ამას.

იბრაჰიმ-ხანს ზებულონმა თავისი ხელით ააცალა თოფი და ხმალ-ხანჯალი. ახლა მხოლოდ ისკანდერ-ხანი იყო შეიარაღებული.

ბექა მცირე ხანს ელოდა. მერე უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომიტევე, მეფეო... — და ხელი გაიწოდა.

— იქით! — ზიზღით თქვა ისკანდერ-ხანმა და იარაღი თვითონვე აიყარა.

ამასობაში ათი გათოკილი მცველი, რომლებიც გამოქვაბულში დარჩენილებს გვირაბიდან გამოეთრიათ, ტყეტყე ჩამოლალეს და დანარჩენებს ამოუყენეს გვერდით.

— ყველას ხელები შეუკარით მეფის გარდა! — ბრძანა ამილახვარმა.

ზებულონის გასაკვირვებლად, ბექამ თავისი მომხრეებიც გაათოკინა.

როცა პატარა ბატონიშვილი ფრთხილად ჩამოსვეს ცხენიდან, ხოლო მოხუც სპარსს სხვებივით შეუკრეს ხელები, ისკანდერ-ხანმა მწარე ზიზღით გაიღიმა, ხელი შვილისკენ გაიშვირა და ბექას უთხრა:

— ეს ხომ ჯერ მეფე არ არის, ბექავ! რატომ არ უბრძანებ, გათოკონ?!

ბატონიშვილი დაბნეული და გაკვირვებული იცქირებოდა აქეთ-იქით. აქამდე ყველაფერი თამაში ეგონა, ახლა კი ნამდვილი ხიფათი იგრძნო, მამასთან მიირბინა, ხელი მკლავში ჩაავლო და ჰკითხა:

— რა იყო, მამი?

— არაფერი, ჩემო ბიჭუნავ, — ისკანდერ-ხანმა მარცხენა ხელი ოქროსფერ კულულებში შეუყო შვილს, მარჯვენა კი ბექასა და ზებულონისკენ გამოიშვირა, რომლებიც ახლა გვერდიგვერდ იდგნენ, — აი, ამ ძიებმა ღალატით შეგვიპყრეს.

ბატონიშვილმა ბექას ერთი შეავლო თვალი, მერე ზებულონს დააცქერდა. ბოლოს ისევ მამას შეხედა და დაფიქრებით ჰკითხა:

— რას გვიზამენ?

ისკანდერ-ხანი მარცხენა ხელის თითებს ნელა ამოძრავებდა ბიჭის თმაში. თან ბექას უყურებდა.

— რაც არ უნდა გვიყონ, შენ ხელმწიფის ვაჟი ხარ და გულში შიში არ უნდა გაიტარო.

 

ამაზე ბატონიშვილმა ისევ ზებულონს შეხედა. დიდხანს უცქირა რალაც გაუგებარი დაყინებით და უცებ ხმადაბლა, წყნარად თქვა:

— დედა მინდა...

ზებულონს გული შეეკუმშა და ცალი თვალით ბექას გახედა. ბექა უძრავად იდგა. სახეზე ძარღვი არ უტოკავდა.

ისკანდერ-ხანს მარცხენა ხელი, რომელიც ვაყიშვილის თმაში ჰქონდა შეყოფილი, ოდნავ აუკანკალდა. მერე დაიხარა და ბიჭის თავი მხარზე მიიკრა.

— ნუ გეშინია.

ამ სიტყვებით ისევ გაიმართა, ბექას თვალი გაუსწორა და ჰკითხა:

— ეხლა რა, ბექავ?

— უნდა მოვილაპარაკოთ, ბატონო,
— მშვიდად მიუგო ბექამ.

— მე მეფე ვარ, შენ კი ყაჩაღი. მეფეს არ შეჰფერის ყაჩაღთან მოლაპარაკება.

— მაშ, ვიდგეთ ეგრე და ველოდოთ, ან მე როდის ვიქცევი მეფედ, ან შენ ყაჩაღად, — ცივად მიუგო ბექამ.

ისკანდერ-ხანი ზიზღითა და დაცინვით უყურებდა.

— შენ თუ იცი, იუსუფ-ბეი სად არის ეხლა?

იუსუფ-ბეი სად იყო, ან რატომ დატოვა ქალაქში ისკანდერ-ხანმა, ამაზე ბექა ამილახვარი მთელი გზა ფიქრობდა და ვერ გამოიცნო, მაგრამ ახლა წარბი არ შეუხრია, ისე უყურებდა ისკანდერ-ხანს, თითქოს იუსუფ-ბეი სრულებით არ აწუხებდა. მაშინ ისკანდერ-ხანმა თვითონვე განაგრძო:

— იუსუფ-ბეი შენს სასახლეში ზის. ციხე აღებული აქვს და დედაშენი და შენი უმცროსი და ტყვედა ჰყავს. ამაზე რაღას მეტყვი?

არც ეხლა შეუხრია წარბი ბექა ამილახვარს. ეს იყო მხოლოდ, ხმაში კიდევ უფრო მეტი სიცივე ჩაუდგა.

— რაკი ეგრეა, ჩვენც იქ წავიდეთ, იქ გადავწყვიტოთ ჩვენ-ჩვენი ბედი.

ბანაკში მხოლოდ იასონ ბერი დარჩა. იასონ ბერმა ბექას გამოუცხადა, რა განსხვავებაა, უდაბნოში ვიქნები განდეგილად თუ ტყეში, რაკი ამოვედი, რაღად წავიდე, ბარემ აქვე დავრჩებიო და დარჩა.

ნაკადულს რომ გასცდნენ და ხეობაში გავიდნენ, ბექამ ოთხი კაცი დააწინაურა, რათა ნამდვილი შეეტყო, რა ხდებოდა მის მამულში.

სასახლემდე ჯერ კიდევ დიდი მანძილი ჰქონდათ დარჩენილი, წინ წასულები რომ მობრუნდნენ და ამბავი მოიტანეს, იუსუფ-ბეი შალვას დილეგში ჰყავს დამწყვდეულიო. ისკანდერ-ხანს მართლა ებრძანებინა იუსუფ-ბეისათვის ბექას ციხის დაჭერა, მაგრამ შალვა ფხიზლად იყო, მეფის ბრძანება იუსუფ-ბეისგანვე გაიგო და სარდლის თანაშემწე ისე უჩუმრად შეიპყრო, ეჭვიც კი არავის გასჩენია.

ამილახვრიანთ ჩრდილიანი, ხილიანი და ყვავილიანი დიდი ეზო ჰქონდათ. ეზოში სამსართულიანი სასახლე იდგა, რომელსაც მაღალი, მტკიცე, კარგად გამაგრებული ციხე გადმოჰყურებდა.

ისკანდერ-ხანის მცველები, ამალა და მსახურები დილეგში ჩაჰყარეს. ქართველი ტყვეები ცალკე დაამწყვდიეს. იბრაჰიმ-ხანი და ხოჯა ისმაილი, რომელთაც ბექას ბრძანებით ხელები შეუხსნეს, მეფესა და მის ვაყიშვილთან ერთად დიდ სასტუმრო ოთახში დააბინავეს და მცველებად ზებულონის შეგირდები მიუჩინეს.

იუსუფ-ბეის შეპყრობა რომ შეიტყო, ისკანდერ-ხანი მიხვდა, რომ საბოლოოდ დამარცხდა.

— გიჯობნია, ბექავ. მაგრამ მოლაპარაკებას კი ტყუილად ლამობ. მე შენთან მოსალაპარაკებელი არა მაქვს რა.

— ნება შენია, მეფეო, — წყნარად მიუგო ამილახვარმა. მერე, მცირე დუმილის შემდეგ, დასძინა, — ვინძლო, ქვეყნიერების მზემ, ირანის შაჰმა, მაინც არ გვითხრას უარი მოლაპარაკებაზე.

— ირანის შაჰი პირველ ყოვლისა ჩემს ძმისწულს მოჰკვეთს თავს.

— ირანის შაჰთან ჩვენ გასაყოფი

არა გვაქვს რა, — ცბიერმა ღიმილმა ძლივსშესამჩნევად გადაურბინა ბექას სახეზე, — შენს სარდალს, — იბრაჰიმ-ხანს მიაშვირა ხელი, — შენს ჟამთა-აღმწერს, — ახლა ხოჯა ისმაილს მია-შვირა ხელი, — მთელს შენს ამალას და სპარსთა მთელს ლაშქარს მშვიდო-ბიანად გავისტუმრებთ ისპაჰანს. მგო-ნია, რომ ასეთ ერთგულებას დაგვიფა-სებს ირანის მზე და ქართლს კანონი-ერ მეფეს მისცემს.

ამან ისკანდერ-ხანი დააფიქრა და საგონებელში ჩააგდო. მაშინ ბექა მა-ლევე გაეცალა და სამივენი მთელი ღამით მარტო დატოვა, რათა დამშვი-დებით ეთათბირათ და თავიანთი მდგო-მარეობა კარგად აეწონათ.

მეორე დღეს ისკანდერ-ხანმა მოლა-პარაკებაზე დასტური თქვა, ოღონდ ორი პირობის უცილობლად შესრულე-ბა მოითხოვა: ერთი — ჯალაბი გვერ-დით უნდა მყავდეს, რომ დარწმუნე-ბული ვიყო, საფრთხე არა ემუქრება რა, და მეორე — მოლაპარაკებას ჩემი უფროსი ძმა, ბატონიშვილი იოველი, უნდა დაესწროსო. ბექა ისკანდერ-ხანის პირობებს დათანხმდა. ცოლების ჩა-მოსაყვანად (შვილი ქაიხოსროს მეტი ისკანდერ-ხანს არა ჰყავდა) შალვა გა-გზავნა შეიარაღებული გუნდით, იოველ ბატონიშვილთან კი ზებულონი.

თითქოს ონავარი ბალღის ხელში მოხვედრილიყოს, ზებულონის ბედის ჩარხი უცნაურად და უკუღმართად ტრიალებდა. იქ, სადაც ორი წელი უნ-და დაეყო და სიბრძნის წყაროს დას-წაფებოდა, რათა მერე მშობლიურ წყაროსთვალში სწავლა-განათლების კელაპტარი დაენთო, ახლა წამიერ სტუმრად და უცხო შიკრიკად მიდი-ოდა.

ზოგჯერ ეჩვენებოდა, თვითონ კი არ მიაქროლებდა ცხენს, თვითონ ერთ ადგილას იდგა და შორეული ველ-მი-ნდვრები, მთები, ტყეები და ნაკადუ-ლები, უცხო ბურუსში გახვეულები და ამიტომ ისეთი მყიფეები, თითქოს ნამ-დვილი კი არა ნამდვილის ბუნდოვანი ანარეკლები ყოფილიყვნენ, მისკენ მო-ქროდნენ.

სიზმარივით გაიარა [illegible]-დაც ერთხელ ღამე გაათია, მეორე დღეს კი გზის გაგრძელება ველარ გა-ბედა და გაწბილებული უკან გამობ-რუნდა. სიზმარივით გასცდა ხევს და ფერდობს შეუყვა.

ფერდობის თავზე გადმომდგარ თეთრ საყდარს ირგვლივ თეთრი ბურუსი შე-მოსდგომოდა და ისე მოჩანდა, თით-ქოს იყო და არც იყო.

ეზოს ირგვლივ მაღალი გალავანი ერტყა. შუაში ფართო ჭიშკარი იყო დატანებული. ეზოში რამდენიმე შა-ვანაფორიანი ბერი ფუსფუსებდა.

ყოველივე ისე ჩანდა, როგორც უც-ხო რამ მოლანდება.

აზრის მიუტანებლად შეეხმიანა ბე-რებს — ისე, თითქოს ბექას დავალე-ბას გამოგონილი და სახელდახელოდ შეკოწიწებული ზებულონი ასრულებ-და, მეორე კი, ნამდვილი ზებულონი, ყოველივე ამას შორიდან უყურებდა — და იოველ ბატონიშვილის ნახვა ით-ხოვა.

როცა იოველ ბატონიშვილი დაინა-ხა, მაშინ კი ცოტა გონს მოეგო.

ბატონიშვილს თავი მდაბლად დაუ-კრა, მერე გაიმართა და მღელვარე მო-ლოდინით მიაჩერდა. ბატონიშვილმა ერთხანს თავადაც მდუმარედ უცქირა და, რაკი ზებულონი ხმას არ იღებდა, ამბავი ჰკითხა.

აქ ზებულონი საბოლოოდ გამოერკ-ვა და გული მწარედ ჩაწყდა. ძველის-ძველი იარა გაეხსნა და სისხლმა წვე-თვა დაუწყო.

იოველ ბატონიშვილმა ვერ იცნო.

თავი მოთოკა, მოკლედ მოახსენა სა-თქმელი და არ დაუსვენია, ისე გამო-ტრიალდა, რათა ბექასთან ამბავი დროით მიეტანა.

იოველ ბატონიშვილი, ჩანს, მალევე გამომგზავრებულიყო. ზებულონმა რომ მიაღწია ამილახვრიანთ სასახლეს, რამ-დენიმე საათის შემდეგ ისიც გამოჩნ-და ოთხი მსახურის თანხლებით.

მომდევნო დილას ისკანდერ-ხანს ჯალაბიც ჩამოუყვანეს.

ზებულონმა გაიგო, რომ დედოფლებს მეორე დღეს მოელოდნენ, და აფორიაქებულმა ღამე თეთრად გაათენა. დილაადრიან ადგა და, გამოუძინებელი და დაღლილი, მთელი დილა უთავბოლოდ დაბორიალობდა ვრცელ ეზოში. იოველ ბატონიშვილმა რომ ვერ იცნო, ამაზე უკვე აღარ ფიქრობდა. უფრო მცირე ტკივილი უფრო დიდმა ტკივილმა მიჩქმალა. ხოლო ეს დიდი ტკივილი ერთმანეთში არეულ შხამისა და შარბათის წვრილ ნაკადულებად დაუდიოდა გულ-გვამში.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდნენ. წინ შალვა მოუძღოდა თავისი რაზმით, უკან საჭურისი მსახურები მოჰყვებოდნენ.

ორთავ სპარს ქალს ჩადრები ეხურათ. ნესტანი უჩადროდ იყო, ყვითელი ატლასის მოსასხამი ესხა და თავზე ოქროს დიადემა ედგა; წინ, შუბლთან, დიადემის შუაში, ბრილიანტის თვალი ბრწყინავდა და ალმაცერ სხივებს აფრქვევდა. ცხენზე ახლაც ვაჟურად იჯდა, ისე, როგორც ყმაწვილქალობაში ჩვეოდა. გამართული იჯდა, მაგრამ თავი კი ოდნავ ჩაეკიდა. დაღლილი ჩანდა, გაცრეცილი. ტუჩები მოკუმული ჰქონდა და მთელ სახეზე ისეთი გამომეტყველება ედო, თითქოს პაპამ საქმრო შეურჩია და გამწყრალი დაწუნებას აპირებსო. შავ თვალებში ის უცხო შუქი, რის გამოც, როცა არ იღიმებოდა, მაშინაც კი მოღიმარე ჩანდა, აღარ ედგა. უძრავად იჯდა ცხენზე და სადღაც, წინ, ერთ წერტილს გასცქეროდა.

ზებულონს მკერდში გული უძაგძაგებდა და, თითქოს სისხლი ერთიანად გაუწყალდაო, მთელი სხეული მოდუნებული ჰქონდა. თავის აწევას ვერ ბედავდა და ქვეშ-ქვეშ, ქურდულად უთვალთვალებდა.

ჭიშკარში რომ შემოვიდნენ და შუა ეზოს მოატანეს, სადაც ბექა, ბექას დედა და ბექას და ელოდათ, ყველანი შეჩერდნენ. ბექამ ნესტანს გაუღიმა და ნაბიჯი წინ წადგა, რომ ცხენიდან ჩამოსვლაში მიშველებოდა. ნესტანმა თვალი აარიდა და ცხენიდან თვითონვე ჩამოხტა. ბექა ოდნავ შეიშმუშნა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

ნესტანი არ შეჩერებულა, არც არავისთვის შეუხედავს. ჩამოხტა თუ არა ცხენიდან, გზა განაგრძო და კიბეს შეუყვა. წელში გამართული მიდიოდა, მხოლოდ თავი კი ისევ ისე ოდნავ ჩაეკიდა. მალე კიბე აათავა და თვალს მიეფარა.

ზებულონს ახლა მთელი სხეული ქვად ქცეოდა, ქვადქცეულ სხეულში დამაზრობელ ყინვას ურიცხვი ბზარი გაეჩინა და ყოველი ბზარი არაადამიანური ტკივილით ტკიოდა.

ნაშუადღევს სასახლის მთავარ დარბაზში მოლაპარაკება დაიწყო...

დიდი ამბები დატრიალდა ქართლში. დიდი ამბები დატრიალდა ზებულონის გულშიც. და არავინ უწყის, ამ ამბებთაგან რომელი უფრო დიდი იყო.

ქართველთა მხრით მოლაპარაკებას ბექა ამილახვარი წარმართავდა და სხვა მის გარდა არც არავინ მონაწილეობდა. მართალია, იოველ ბატონიშვილი კი ესწრებოდა, მაგრამ იოველ ბატონიშვილს თავი ისე ეჭირა, თითქოს აქ მხოლოდ ძმის დაყინებული მოთხოვნის გამო იყო, თორემ თავისი სასწავლებლის გარდა სხვა არაფერი აწუხებდა და სულ არ დაგიდევდათ, ქართლის ტახტზე ისკანდერ-ხანი იჯდებოდა თუ მანუჩარ ბატონიშვილი. ისკანდერ-ხანის მხარემ თავდაპირველად მარტო ბექა ამილახვართან მოლაპარაკება უჯეროდ სცნო. ხოჯა ისმაილმა მტკიცედ გამოუცხადა ბექას, თუ მართალია, რომ ქართლის დიდებულთ არ სურთ მეფედ ისკანდერ-ხანი, მაშ მოვიდნენ და თავიანთი სურვილი თვითონვე გვითხრანო. ცბიერი კაცი იყო ხოჯა ისმაილი, შეთქმულთა ვინაობის გაგება ეწადა, მაგრამ აბა მისი ცბიერება ბექა ამილახვრის ცბიერებასთან სად მოვიდოდა! განა ტყუილად გათოკა თავისი მომხრეები მოღალატე დიდებულებთან ერთად! საბოლოოდ ისკანდერ-ხანი იძულებული შეიქნა დაეთმო და ბე-

ქასთან მოლაპარაკებას დასჯერებოდა. ბექა მანუჩარ ბატონიშვილისა და მთელი ქართლის სახელით ერთს მოითხოვდა: ისკანდერ-ხანს ნებით ეთქვა უარი ქართლის ტახტზე და თავისი ეს სურვილი შაჰისთვის შეეთვალა, სამაგიეროდ პირობას იძლეოდა, რომ, მას შემდეგ, რაც მანუჩარ ბატონიშვილი ჩამოვიდოდა, ისკანდერ-ხანსა და ყველა მის ქვეშევრდომს, სარდლიდან მოყოლებული, ვიდრე უკანასკნელ მსახურამდე და მოლაშქრემდე, სპარსეთს უვნებლად გაისტუმრებდა.

მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა. ბექამ იოლად დაარწმუნა ისკანდერ-ხანი, რომ ხსნა არსაით ჰქონდა, და მალე უსტარიც დაიწერა, რომლითაც ისკანდერ-ხანი და მისი დიდებულები ირანის შაჰს არწმუნებდნენ, ამჟამად ორთავ ქვეყნისთვის უმჯობესი იქნება, ქართლის ტახტი მანუჩარ ბატონიშვილს მიეცესო.

შეთქმულებმა დესპანობა იოველ ბატონიშვილს სთხოვს. იოველ ბატონიშვილს შაჰის კარზე კარგად იცნობდნენ და დიდ პატივსაც სცემდნენ, ამიტომ გადამწყვეტ მოლაპარაკებას, რომელიც ისპაჰანში უნდა გამართულიყო, მასზე უკეთ ვერავინ გაართმევდა თავს.

იოველ ბატონიშვილმა რამდენიმე მასავით ხანდაზმული დიდებული იახლა და გზას გაუდგა.

ქართლს ამასობაში შეთქმულები განაგებდნენ. სადავეები ბექა ამილახვარს ეპყრა ხელთ და მის უნებართვოდ და უცოდნელად ქართლის გზებზე ჩიტი ვერ გადაიფრენდა. იბრაჰიმ-ხანის ბრძანებით რომ სპარსთა ლაშქარმა იარაღი დაყარა და ქართველებს დანებდა, ბექამ და სხვა მოთავეებმა კიდევ უფრო გაიმახვილეს თვალი და ყური. ახლა საშიში ის იყო, ხალხი შურისძიების წადილს არ დაებრმავებინა, გულს არ აჰყოლოდა და სისხლი არ დაეღვარა. სისხლის დაღვრას ადვილი შესაძლებელია ამდენი წვითა და დაგვით ნაგები კოშკი ერთი ხელის დაკვრით დაექცია. გარდა ამისა, ისკანდერ-ხანის მომხრე ქართველ დიდებულებს ბექამ თავისი ხალხი ჩაუყენა [illegible] რათა შეშინებულები ქვეყნიდან არ გაქცეულიყვნენ.

ზებულონი, რომელსაც, ისევე როგორც მრავალ სხვა ერთგულ კაცს, წესრიგის დაცვა ევალებოდა, თავისი ორმოცდაათი შეგირდით მთელ ქართლში დაქროდა.

გული კი იქ ჰქონდა დარჩენილი, ამილახვრიანთ სასახლეში.

ამ დიდ ორომტრიალში მაინც თავის სადარდებელს დასტრიალებდა, თავის საფიქრალს, თავის ოცნებას. მართალია, ეს ოცნება მყიფე იყო და საეჭვო, მაგრამ, ვიდრე არ დამსხვრეულიყო, გულში მაინც იმედის მაცოცხლებელ ნამად ეწვეთებოდა.

ეგებ ნესტანს არ მოეწადინებინა სპარსეთს წასვლა! ეგებ ბექას მოეთხოვა ნესტანის ქართლში დატოვება! ეგებ ისკანდერ-ხანს თავად ეთქვა უარი ნესტანის წაყვანაზე!

დიდი ამბები ტრიალებდა ქართლში. დიდი ამბები ტრიალებდა ზებულონის გულში. და არავინ უწყის, ამ ამბებთაგან რომელი უფრო დიდი იყო.

ორი თვის თავზე დესპანი დაბრუნდა.

შუადღის ხანს მახარობელმა გაქაფული ცხენი ამილახვრიანთ ღია ჭიშკარში შეაგდო და ისეთი ხმით დასჭექა, მანუჩარ ბატონიშვილი ქართლს მობრძანდაო, მთელი სასახლე, დიდიან-პატარიანად, წამსვე ეზოში გამოეფინა.

საღამოს მანუჩარ ბატონიშვილი ელჩიონნითა და ამალით ქალაქს შემოვიდა.

ირანის შაჰმა, ქართლში დატრიალებული ამბები რომ შეიტყო, წყენა თურმე უხმოდ გადაყლაპა, ქართლის დესპანი დიდი პატივით მიიღო, ისკანდერ-ხანის უსტარს თავისი დასტური მისცა და მანუჩარ ბატონიშვილი ძღვენითა და საჩუქრებით დატვირთული გამოისტუმრა.

მანუჩარ ბატონიშვილი ტახტზე ავიდა.

სამი დღის შემდეგ ზებულონს ბექა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამილახვრის კაცი მოუვიდა და, მეფე გიბარებსო, უთხრა.

მანუჩარ მეფემ უკვე ყველაფერი წვრილად იცოდა, რაც ქართლში მოხდა. ზებულონი ალღუმზე იხმო, ღიმილით შეეგება, ტოლივით მოეხვია, აკოცა და უთხრა, ერთგულების სამაგიეროდ თავადობა მიბოძებიაო.

ეამა ზებულონს. ქართლის მეფემ ამდენი ხალხის თანდასწრებით პირზე აკოცა და, რა დასამალია, ეამა. მაგრამ ეს სიამე მალევე გაქრა. თითქოს ზებულონის გულში მისთვის საგანგებო ხვრელი ყოფილიყო გაყვანილი, ამ ხვრელით შემოვიდა და ამ ხვრელითვე გავიდა.

გული და გონება ფიქრით ჰქონდა სავსე. ფიქრით, ეჭვით, შიშითა და მცირე იმედით. ამიტომ სიამისთვის არ ეცალა.

ალბათ უკვე გადაწყვეტილი იქნებოდა, ნესტანი სპარსეთს მიდიოდა თუ ქართლში რჩებოდა. გადაწყვეტილი იქნებოდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ქართველთაგან მხოლოდ ბექა ამილახვარსა და მანუჩარ მეფეს თუ ეცოდინებოდა. იმათ კი ზებულონი აბა როგორ ჰკითხავდა! და იტანჯებოდა თავისთვის, მარტო. ხან ეგონა, აუცილებლად დარჩებაო, ხან ეგონა, აუცილებლად წავაო. იმედისა და სასოწარკვეთის ეს მძაფრი ცვალებადობა, ეს გაუგებრობა და მოუთმენლობა ისე აწვალებდა, ისე ულვთოდ და დაუნდობლად ულიტინებდა მთელ სხეულში, არც დღე და არც ღამე მოსვენება არა ჰქონდა.

ათი დღე იყო გასული მანუჩარ ბატონიშვილის ტახტზე ასვლიდან, როდესაც ქართველებმა ამაღელვებელი და საკვირველი სურათი იხილეს.

მთელი ქართლი, დიდიან-პატარიანად, სახლებიდან გამოვიდა და გზაზე გამოეფინა; ყველას უნდოდა თავისი თვალით ენახა ეს უცხო სახილველი, რათა მერე შვილებისა და შვილიშვილებისათვის წვრილად ეამბნა, როგორც ერთი რამ საოცარი ზღაპარი, რომელიც, არავინ იცოდა, ოდესმე კიდევ განმეორდებოდა თუ არა ქართველთა ცხოვრებაში.

ხუთი ათასი სპარსი, ცხენებზე ამხედრებული და იარაღში ჩამჯდარი, უვნებელი, მაგრამ დამარცხებული, უხმოდ, თავჩაღუნული, მძიმე ნაბიჯით მიდიოდა ქართლიდან. უკან ბექა ამილახვარი მიჰყვებოდა ქართველთა ლაშქრით, რათა სპარსეთის საზღვრამდე მიეცილებინა.

მთელ გზაზე ხალხი იდგა, დიდები, პატარები, ქალები, კაცები, მოხუცები, ბალღები. ჩუმად ადევნებდნენ თვალს მიმავალ ლაშქარს და, თითქოს, რაც კი ოდესმე სპარსთაგან ვაება ეწვნიათ, ყველა დავიწყებოდათ.

წინ ისკანდერ-ხანი მიდიოდა სარდლითა და თორმეტი მცველით, ამათ მოჩარდახული ეტლი მიჰყვებოდა უკან, რომელშიაც ისკანდერ-ხანის ვაჟი და სამივ ცოლი იჯდა. მერე მთავარი ლაშქარი მიაბიჯებდა, ბოლოში კი — იუსუფ-ბეი მცირე გუნდით.

ტახტზე ავიდა თუ არა, მანუჩარ მეფემ ბექა ამილახვრის უმცროსი და ცოლად შეირთო და დიდი ქორწილი გადაიხადა.

ორი კვირის შემდეგ შალვა ჩხეიძე უცხო ქვეყნებში გაემგზავრა. როგორც ზებულონმა გაიგო, შალვას თურმე წასვლა არ უნდოდა, მაგრამ მანუჩარ მეფე, ბექა ამილახვარი და იოველ ბატონიშვილი ჩასციებიან და ისიც იძულებული შეიქნა დაჰყაბულებულიყო. იოველ ბატონიშვილს წიგნებიც დაუწერია და თავის ნაცნობ სწავლულებთან გაუტანებია.

კიდევ ორი თვე რომ გამოხდა, სპარსეთიდან ამბავი მოვიდა, ისკანდერ-ხანი და მისი სარდალი იბრაჰიმი ისპაჰანს ჩასვლისთანავე უკვალოდ სადღაც გაქრნენო. ნამდვილი არავინ იცოდა, ოჯახებსაც კი ვერაფერი შეეტყოთ, მაგრამ ხმები დადიოდა, შაჰმა ორივე ჩუმად მოაკვლევინაო. ეს ხმები ზოგს სჯეროდა და ზოგს არა და მხოლოდ

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ირანის კარზე გადატრიალება მოხდა, საჯაროდ გამოაცხადეს, რომ შაჰის ბრძანებით თურმე დილეგში ჩაეყარათ და იქ უსმელ-უჭმელობით დახოცილიყვნენ.

ბექა ამილახვრისა კი დაფარული არაფერი ყოფილა და ყველამ მაშინვე ნამდვილი შეიტყო.

ერთ დღეს ქართლს სპარსთა დესპანი მოვიდა და მეფეს გამოუცხადა, ბრწყინვალე შაჰი ბექა ამილახვარსა და შალვა ჩხეიძეს ისპაჰანს იხმობსო.

ბექამ იმთავითვე იზრუნა, რომ დანარჩენ შეთქმულთა ვინაობა სპარსელებს არ შეეტყოთ. შალვას მონაწილეობა ვერ დამალა. ამიტომაც გაარიდა ქართლს და უცხო ქვეყნებში გაისტუმრა. თვითონ კი მშვიდად და აუღელვებლად დაიწყო გასამგზავრებლად მზადება. დაშლითაც ვერავინ უშლიდა. მეფეს ერთი კი ეთქვა, ოსმალეთს გადადი და სულთნის კარს შეაფარე თავიო, მაგრამ ორთავემ კარგად იცოდა, რომ ეს ვალმოსახდელად ითქვა, ვინაიდან გაქცევა და შაჰთან გამოუცხადებლობა ახლა ის იქნებოდა, რაც ააშენა, თავისივე ხელით დაენგრია.

მალე ამბავი ჩამოვიდა: ბექა ამილახვარი ისპაჰანის დიდ მოედანზე გაეყვანათ (ათი წლის შემდეგ ის მოედანი ზებულონმა თავისი თვალით ნახა) და თავი მოეკვეთათ.

ქართლი კი იმ მძაფრი ალტკინების შემდეგ თანდათან დაცხრა, დაწყნარდა და ყოველდღიურ ცხოვრებას მიეცა.

გარსევან ორბელიანი მალე სიკვდილით დასაჯეს. მოღალატეთაგან მანუჩარ მეფემ ზოგს მამულები ჩამოართვა, ზოგს თვალები დასთხარა, ზოგიც შემოირიგა. სიკვდილი მხოლოდ გარსევან ორბელიანს გადაუწყვიტა. მას შემდეგ, რაც იფნისხევში ყველანი შეიპყრეს, ზებულონს ცალი თვალი მუდამ გარსევან ორბელიანისკენ ეჭირა და ერთთავად იმის ნატვრაში იყო, ნეტა საპყრობილიდან გაიქცეს, რომ დაევედევნო და ჩემი ხელით ჩავძაღლოო, მაგრამ ორბელიანს მისი შეგირდები დარაჯობდნენ და [illegible] გაიქცეოდა! სამაგიეროდ ზებულონი სიკვდილით დასჯას დაესწრო და ისეთი სიამით უცქირა, ხანი რომ გამოხდა, ეს ღვარძლიანი სიამე სირცხვილით აგონდებოდა.

წლის თავზე მანუჩარ მეფეს ვაჟი შეეძინა, რომელიც, ოთხი წლისა რომ შეიქნა, შაჰმა ისპაჰანს გაიწვია და მამის გარდაცვალებამდე ქართლს აღარც ჩამოსულა.

ზებულონს ამ დროს დროის ანგარიში უკვე არეული ჰქონდა. ან კი როგორ არ არეოდა, როცა ხედავდა, რომ დრო ხან ისარივით მიქროდა, ხანაც კუსავით მიიზლაზნებოდა!

მანუჩარ მეფეს დანაპირები არ დავიწყნია, ზებულონს მალე თავადობის სიგელი მისცა. მამულიც უნდა ებოძებინა, მაგრამ ზებულონმა უარი თქვა. რა თავში იხლიდა! დღეს არა, ხვალ მოკვდებოდა და ვისთვის დაეტოვებინა! ეგეც არ იყოს, განა კიდევ ვარგოდა საიმისოდ, რომ მამულში ჩამჯდარიყო და მიწაში ფესვები გაედგა! სანამ ერთ ადგილას ყოფნა ეწადა, არავინ გააჩერა ერთ ადგილას, ახლა კი რა ემამულებოდა — სახლ-კარი რა იყო, აღარ იცოდა.

ერთი დაპირება მაინც დააპირა, ბედი ეცადა. ოჯახს მოვეკიდებიო, იფიქრა და იესე ერისთვის მამულში ავიდა. აკი ნესტანმა დაუბარა, მღვდლის ქალი შეირთეო! შეირთავდა თუ არა, არ იცოდა, ასვლით კი ავიდა. როცა მღვდლის სახლს მიუახლოვდა და ეზოში მზევინარი დაინახა, რომელიც დაბალ სკამზე იჯდა დიდი მსხლის ძირას, აქეთ-იქით ორი აკვანი ედგა, ორთავ აკვანს ერთად არწევდა და თან წყნარად მღეროდა, ზებულონი მიხვდა, რომ შეუძლებელი მოეწადინებინა. მაშინ გზა განაგრძო და სასახლეში ავიდა. იესე ერისთავი რომ დიდი ხანია ცოცხალი აღარ იყო, იცოდა, მაგრამ, როდის და როგორ მოკვდა, ის აღარ იცოდა და მოხუცი მოურავი ინახულა.

ნესტანი რომ ისკანდერ-ხანმა წაიყვანა, მას შემდეგ ორიოდე თვე იცოცხლაო, მოურავმა, ოღონდ შინიდან აღარ გამოდიოდაო, ღამე ძილი არა ჰქონდა და ბოლო დღეებში ლოგინშიც აღარ წვებოდა, სავარძელში იჯდა ხოლმე და ღამეებს თეთრად ათენებდაო. ერთ დილით სწორედ სავარძელში მჯდომარე დაგვხვდა მკვდარიო. ზემოთ დაესაფლავებინათ, სამლოცველოს უკან. ზებულონმა საფლავი მოინახულა, ერთხანს იდგა და დასცქეროდა, მერე პირჯვარი გადაიწერა და გამობრუნდა.

რა ექნა? სად გადავარდნილიყო? როგორ დაეამებინა გულის იარები?

ვითომ წყაროსთვალში დააპირა წასვლა, მაგრამ ვერ წავიდა. მართალია, ეჭვადაც არ იცოდა, რომელ მხარეს იყო სპარსეთი, მაინც ეგონა, წყაროსთვალში უფრო მოშორებული იქნებოდა ნესტანს.

მალე ლეკებმა ისევ წამოყვეს თავი და ზებულონს საქმე გაუჩნდა. მანუჩარ მეფის თანხმობით მცირე, მაგრამ მარჯვე, სწრაფი და მამაცი გუნდი შეადგინა და ის საქმიანობა, რომელსაც თავის დროზე თვითონ მანუჩარ მეფე და მისი თანშეზრდილი ყმა და მეგობარი ბექა ამილახვარი უძღოდნენ, ხელახლა წამოიწყო.

ზემოთ წავიდა თავისი გუნდით, მთის სოფლებში, სადაც უფრო ხშირი იყო ყაჩაღების გამოჩენა. დიდხნობით არსად ჩერდებოდა. ერთი-ორი კვირა რომ ერთ სოფელში დაბანაკდებოდა, მერე აიყრებოდა და სხვა სოფელში გადავიდოდა. მალე მსტოვრებიც გაიჩინა და იმ ქურდ-ბაცაცებს სულ შიშის ზარს სცემდა.

მაგრამ თავის მოურჩენელ ტკივილს ვერაფერი უშველა. დღისით კი მუდამ თანამებრძოლებში ტრიალებდა, რომელთაც საოხუნჯო და სალაღობო არასოდეს ელეოდათ, მაგრამ ღამეები უფრო მეტად აქაც მშვიდობიანი იყო, წყნარი, უხმაურო. და როცა ამ სიწყნარესთან, სიჩუმესთან, მარტოობასთან პირისპირ დარჩებოდა და დაატყობდა, შემოსეული ფიქრების მოგერიების ღონე აღარ ჰქონდა, გულში ჩარჩენილი დანის ნატეხი — წვეტიანი, ბასრი — დროს იხელთებდა, ამოძრავდებოდა, სახნისივით გადი-გამოდიოდა და, საცა გაივლიდა, ყველგან სისხლის კვალს ტოვებდა.

ასეთ დროს გამუდმებით ნესტანზე ფიქრობდა და სპარსეთს წასვლა უნდოდა. აბა, სპარსეთს როგორ უნდა წასულიყო, მაგრამ სასოწარმკვეთ ფიქრებს ვერ მორეოდა.

ერთი ხანობა სცადა ღვინით გაექარვებინა ნაღველი, მაგრამ ღვინო ისე არ ეკიდებოდა, დამთვრალიყო, შეზარხოშებულს კი ფიქრები კიდევ უფრო მწარედ წიწკნიდნენ და იმ ავბედით სახნისსაც უფრო ღრმა და უფრო მტკივნეული ხნული გაჰქონდა დაწყლულებულ გულში. რამდენჯერმე ამხანაგებმა აიყოლიეს და ქალებში წაიყვანეს სანავარდოდ. პირველად მოეჩვენა, რომ მართლა იშოვა წამალი. ნეტარების თავდავიწყებაში ჩაძირულს ნეტარების გარდა ამ ქვეყნად სხვა ყველაფერი ავიწყდებოდა, მაგრამ მერე, ვნება რომ დაუცხრებოდა და ქალი, რომელიც მკლავზე ეწვინა, უკვე ისეთი აღარ ეჩვენებოდა, როგორც თავიდან, რაღაც უცნაური, უსაზღვრო, განუკურნებელი სევდა ეუფლებოდა, რომელიც ჯერ ცარიელ სხეულს ამოუვსებდა, მერე კი, იქ რომ ვერ ეტეოდა, ადიდებულ მდინარესავით გადმოსკდებოდა, მთელ სამყაროს ეფინებოდა და ისე ძლენთავდა ყოველივეს, როგორც გაზაფხულის წვიმა ძლინთავდა მიწას წყაროსთვალში.

სპარსეთს კი ბოლოს აკი მართლა წავიდა!

ჩანს, ესეც შუბლზე ეწერა და ბედმა წაიყვანა. განა იმისთვის წაიყვანა, რომ ნესტანი დაენახვებინა! იმისთვის წაიყვანა, რომ ქაიხოსრო ბატონიშვილისთვის ეჩვენებინა და შურისძიების მახვილი აელესა.

ახალი შაჰი ქართლს მაინცდამაინც არ აწუხებდა. რაკი ტახტის მემკვიდრე ისპაჰანში ჰყავდა და ყოველწლიურ

ხარკსაც უკლებლად და დაუგვიანებლად იღებდა, იშვიათად თუ შეახსენებდა თავს, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მანუჩარ მეფე მორჩილებას არ გადაჩვეოდა და ზედმეტად არ გათამამებულიყო. მაშინაც, სალაშქროდ მიმავალმა, ქართლიდან, ისევე, როგორც სხვა ქვეშევრდომი ქვეყნებიდან, მცირე ლაშქარი იწვია, სულ ხუთასი კაცი.

მანუჩარ მეფემ ლაშქარს ბაადურ ორბელიანი უსარდლა და თანაშემწედ ზებულონი დაუნიშნა.

მართლა რომ წავიდა სპარსეთს, ზებულონი მაშინღა მიხვდა, თუ რა ბალღური უგუნურობა ყოფილა სპარსეთს წასვლაზე ფიქრი. ელჩებიც ენახა სპარსეთში ნამყოფი და მალემსრბოლებიც. ამიტომ ისიც იცოდა, რამდენ ხანს ანდომებდნენ წასვლა-წამოსვლას, მაგრამ, თავად რომ გამოცადა, მაინც განცვიფრებული დარჩა. რამოდენა გზა ყოფილა ისპაჰანამდე! ან სპარსეთა ქვეყანა რამოდენა ყოფილა! ლაშქრობისას რომ საზღვარ-სამანები მოვლო, კათალიკოსის ნათქვამი მოაგონდა, ჩვენი ქვეყანა ისეთი პატარაა, ხელები რომ გაშალო, თავ-ბოლოს მიწვდებიო. მაშინ ამ ნათქვამისთვის ყურადღება დიდად არ მიუქცევია და მხოლოდ მერე, ვეებერთელა სპარსეთი რომ ნახა, მიხვდა — თურმე მართლა რა პატარა ყოფილა ქართლი!

აბა, ამოდენა ქვეყანაში ნესტანის პოვნისა რა იმედი უნდა ჰქონოდა!

ასე ფიქრობდა ზებულონი. ბედისწერა კი სხვაგვარად სჯიდა.

ხუთასი ჩინებული მოლაშქრე ახლდა ბაადურ ორბელიანს. და თუმც კი მტრის მტერს ებრძოდნენ, არ შეეძლოთ ისე არ ებრძოლათ, როგორც გული ერჩოდათ და მკლავი უჭრიდათ, ამიტომ თავიც დიდად გამოიჩინეს. ისე გამოიჩინეს თავი, რომ შაჰის საგანგებო ბრძანებით ლაშქრობის შემდეგ განსაკუთრებული პატივის ნიშნად მთელი გუნდი სასახლის ფართო ქუჩაზე ჩაატარეს. წინ სპარსი მემუსიკეები მიუძღოდათ, რომელთაც გრძელი საყვირები ეპყრათ ხელთ და ხმამაღლა აყვირებდნენ. ქუჩაში და აივნებზე ხალხი გამოფენილიყო, ყვავილებსაც კი ისროდნენ. წინ, შავ ცხენზე ამხედრებული, მიაბიჯებდა ბაადურ ორბელიანი. ზებულონი ოდნავ უკან მიჰყვებოდა. ხალხი ხმაურობდა და თავიანთ ენაზე რაღაცას გაიძახოდა. უცებ ზებულონი, თითქოს თავზე უხილავი ქამანდი ჩამოაცვესო, გაუგებარმა, მაგრამ წინააღუდგომელმა ძალამ მაღლა აახედა. ესეც მისი ბედი ყოფილა! აივანზე ნესტანი დაინახა. აქეთ-იქით ბატონიშვილები ედგნენ, თავისი ქაიხოსრო და მანუჩარ მეფის პატარა ვაჟი. ნესტანს გულდახურული შავი კაბა ეცვა, თავზე შავი ლეჩაქი ეხურა და შავ თვალებშიც, რომელთაც წინანდელი ბრწყინვალებისა აღარაფერი შერჩენოდათ, თითქოს შავი გამომეტყველება ედგა. ზებულონი შეკრთა და გული გაუცივდა. ხოლო იმავ წამს ნათლად მიხვდა, რომ ის ქამანდი, რომელიც ასეთი ძალით ეწეოდა, ნესტანს კი არ ეპყრა, არამედ ქაიხოსრო ბატონიშვილს. ქაიხოსრო ბატონიშვილი ახლაც იმგვარივე უცნაური დაჟინებით მოსჩერებოდა, როგორც მაშინ, ათი წლის წინ, იფნისხევის ბანაკში. ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით მოხდა. ზებულონის გაწვრთნილი ცხენი ისევ ისე, ერთი ნაბიჯის დაშორებით, მიჰყვებოდა ბაადურ ორბელიანის შავ ცხენს და მალე ის აივანი უკან დარჩა...

აივანი კი უკან დარჩა, მაგრამ ის ნესტანი, რომელიც მაშინ იმ აივანზე იხილა, მას შემდეგ გონებიდან აღარ ამოსვლია და აღარც ოდესმე იმაში დაეჭვებულა, რომ შავი კაბაც თვითონ ჩააცვა, შავი ლეჩაქიც თვითონ დაჰხურა და შავი გამომეტყველებაც თვითონ ჩაუყენა შავ თვალებში.

ასეთი ცოდვა, ვიდრე ცოცხალი ხარ, გულზე ლოდივით უნდა გაწვეს და ძვლებს მწარე ტკივილით გიღრღნიდეს...

ვინ მოთვლის, რამდენი ცოდვა ედო ზებულონს! ცოდვების მეტი თავისი აწეწილი ცხოვრების გზაზე სხვა რა

უგროვებიაǃ თუნდაც ის ლეკის ბიჭი...

ერთხელ ერთ განაპირა სოფელს ლეკები ისეთი მხრიდან დაეცნენ, საიდანაც ზებულონს გადმოსასვლელი არ ეგულებოდა და ამიტომ არც მეთვალყურე ჰყავდა დაყენებული, სოფელი დაარბიეს და ნახირიც გაირეკეს. ზებულონმა მაინც მოასწრო, თავისი გუნდით შუაღამისას ტყეში დაეწია, ნახირიც დაიბრუნა და ყაჩაღებსაც მუსრი გაავლო. ერთი ბიჭი ცოცხლად შეიპყრეს. სულ ახალგაზრდა იყო, უწვერული, მუქი სახე ჰქონდა, შავი, ბრიალა თვალები და დიდრონი, თეთრი კბილები. გუშინდელივით ახსოვს ზებულონს — მოკუნტული იდგა, აწურული, და ცდილობდა კანკალი შეეკავებინა. ზებულონს ტყვის დანახვა გაეხარდა, ოთხი კაცი აარჩია — ორი თავისი გუნდიდან და ორიც სოფლის გლეხთაგან — და უბრძანა ლეკის ბიჭი უკანვე წაეყვანათ, რათა ეს, აქამდე უცნობი გადმოსასვლელი ენახათ და გზა დაესწავლათ, მერე თვითონ ბიჭს მიუბრუნდა, რომელიც ატყობდა, რომ მისი ბედი წყდებოდა, და ცდილობდა სახეების გამომეტყველებაზე და ხელების მოძრაობაზე მიმხვდარიყო, თუ რა ელოდა, და ანიშნა, შეწყალებული ხარ და შინ წადიო, თან ისიც აუხსნა, გზაზე რომ ნადირს არსად გადაეყარო, ეს კაცები გამოგყვებიანო. ლეკმა გამყოლებს ეჭვითა და შიშით შეხედა, ჩანდა, ამათთან ერთად წასვლას ისევ ნადირთან შეხვედრა ერჩივნა, მაგრამ, რაკი არ მოკლეს, თვალები მაინც სიხარულით აუბრწყინდა. ზებულონი ცხენს მოახტა და ის იყო დანარჩენ თანაგუნდელებთან ერთად სოფელში უნდა დაბრუნებულიყო, რომ ერთმა გამყოლმა მოაძახა:

— გზა-კვალს რომ გავიგებთ, ამ აქოთებულ ლეკს რა ვუყოთ, მოვკლათ თუ გავუშვათ?

ზებულონს ეჩქარებოდა.

სოფელში ერთ ქალს ყვარობდა. თვითონ კი არ ყვარობდა, ქალი ყვარობდა. ქმარი ლოგინად ჰყავდა ჩავარდნილი — ხერხემალი ჰქონიყო უბედურს დაზიანებული და ზეზე ვერ დგებოდა. ჯანიანი ქალი იყო, ჩაფქვირებული, კაბა ტანზე [illegible] და დაბერილი მკერდი არტახებში ვერ ეტეოდა. ზებულონის გუნდი რომ სოფელში დაბანაკდა, ზებულონს თავის სახლში მიუჩინა ბინა — ჩემი ოჯახი სოფელში ყველაზე შეძლებულია და მეთაურისთვის აქ ყოფნა უფრო უპრიანიაო. იმავ ღამეს, შუაღამისას, ფრთხილად, ფეხაკრეფით შემოვიდა, არც არაფერი უთქვამს, არც არაფერი უკითხავს, ჩუმი გაშმაგებით ეძგერა ზებულონს და ყელზე შემოეჭდო. მეორე დღეს კი ქმარმა, რომელსაც გუნდის ჩამოსვლა შეეტყო, ზებულონი იხმო და სუსტი, მიკნავებული, მკვნესარე ხმით საიდუმლოდ შეეხვეწა, მე ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, ქალი კი, გეცოდინება, მუხანათია, შინაურებს ვერავის ვენდობი, ამიტომ შენ უნდა მიშველო, თვალი გეჭიროს და, თუ რამე საეჭვო შეატყო, ჩუმად ამბავი მომიტანეო.

ქალმა იცოდა, რომ ზებულონი ამ სოფელში დიდხანს ვერ დარჩებოდა, და ცდილობდა, სანამ აქ ჰყავდა, წუთიც კი უქმად არ დაეკარგა. ამიტომ ჩქარობდა ზებულონი. დროზე რომ არ ჩასულიყო სოფელში, ქალი ერთ ამბავს დააწევდა.

ცხენი არც კი შეუჩერებია, მარტო თავი მიატრიალა და გამყოლს მიუგო:

— გზა და კვალი გაიგეთ და მერე, რაც გინდათ, ის ქენით, გინდა მოკალით და გინდა გაუშვით.

იმ ქალის ალერსი აღარ ეწერა. სოფელში შიკრიკი დახვდა და მეფის ბრძანება აუწყა: შენს მაგივრად გუნდის უფროსად სხვა დატოვე და დაუყოვნებლივ სასახლეში გამოცხადდიო.

ქალაქს მიმავალს გზაში გაახსენდა თავისი ნათქვამი. შეკრთა, შეშფოთდა, ოფლმა დაასხა, სხეულში თითქოს წვიმის ჭუჭყიანი გუბურები გაუჩნდა. მაგრამ რა ექნა? უკან ხომ ვერ მიბრუნდებოდა! რომც მიბრუნებულიყო, რას იღონებდა?! ისღა მოახერხა, რომ

გადაწყვიტა, როგორც კი მეფე გამოუშვებდა, მაშინვე თავის გუნდთან გაჩენილიყო, რომ გაეგო მაინც, რა უყვეს იმ საბრალო ბიჭს.

მეფემ არ გამოუშვა. ეს ამბავი სწორედ მაშინ მოხდა, როცა მეფემ ბაადურ ორბელიანს დაუნიშნა თანაშემწედ და სპარსეთს გაგზავნა.

სპარსეთს მთელი წელი მოაგვიანდა. ამ ერთი წლის განმავლობაში დღე არ ყოფილა, ის ლეკის ბიჭი არ გახსენებოდა და მისი შეშინებული, აცეცებული თვალები არ დაენახა. ქართლს რომ მობრუნდა, მყის ის თანამებრძოლები მოძებნა, მაშინ რომ გამყოლებად დანიშნა, და, იმ ბიჭს რა უყავითო, ძლივს ამოღერღა კითხვა. ისე ღელავდა, თითქოს მისი ბედი და უბედობა წყდებოდა. რომელ ბიჭსო, ვერ გაიგეს თანაგუნდელებმა და ზებულონნ მაშინღა მიხვდა, რომ ის, რაც მას მთელი წელიწადი აწვალებდა, ამათ დიდი ხანია უკვე დავიწყებული ჰქონდათ. მაშინ ძალა მოიკრიბა და გაახსენა, ამა და ამ სოფელში ვიყავითო, ისეთი მხრიდან მოვიდნენ, იქ თუ გადმოსასვლელი იყო, არ ვიცოდით, და გზა რომ გაგვეგო, იმისთვის გაგაყოლეთო...

— იმ ლეკის ბიჭს კითხულობ? — მოიგონეს, როგორც იქნა, თანაგუნდელებმა და გაიცინეს. მორიდებით გაიცინეს, ცოტა დარცხვენით. — გავუშვით. ისეთი თვალებით გვიყურებდა, ვერ გავიმეტეთ და გავუშვით.

იმ წამს ზებულონმა დიდი შვება იგრძნო. სიხარულისაგან აღელვებული კინაღამ გადაეხვია თანაგუნდელებს, კინაღამ დაკოცნა. მაგრამ მერე, პირველმა სიხარულმა რომ გაუარა, მიხვდა, რომ მისთვის ამით არა შეცვლილა რა. თანაგუნდელებმა ვერ გაიმეტეს, თორემ თვითონ ხომ გაიმეტა! გამეტებაც არ ერქვა ამას. ეს გამეტებაზეც უარესი იყო. სახელი ვერ დაერქმია ზებულონს, მაგრამ გრძნობდა, რომ ისეთი რაღაც იყო, კაცი რომ კაცისთვის დადგენილ საზღვარს გადააბიჯებ და ისეთ რამეს ჩაიდენ, არ შეიძლება თავს ღვთის რისხვა არ დაიტეხო.

და, მიუხედავად ამისა [illegible] ლეკის ბიჭი, თუნდაც არ გაეშვათ თანამებრძოლებს, თუნდაც მოეკლათ, არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ზებულონმა ნესტანს უყო...

გრძნობდა, ამის მიტევება არ შეიძლებოდა. არ შეიძლებოდა და არც მიეტევებოდა...

კიდევ ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. კიდევ დიდხანს დაძრწოდა და დაეხეტებოდა ზებულონი ქვეყნად. დაძრწოდა, დაეხეტებოდა და არა კვდებოდა. ჩანს, სიცოცხლე უფრო დიდი სასჯელი ყოფილა, ვიდრე სიკვდილი.

როცა ომი ატყდებოდა, ლაშქარში იყო, როცა მშვიდობა ჩამოვარდებოდა, მომთაბარე ლეკებსა და სხვა წვრილ-წვრილ ავაზაკებს ებრძოდა და ქართლის საზღვარს იცავდა. ერთხანს მანუჩარ მეფემ იფნისხევში გაამწესა, თურმე „სანადიროში“ კარგად იწვრთნებიან უწვრთნელი ჭაბუკებიო, ღიმილით უთხრა. მაშინ ბანაკი გააფართოვეს, შეგირდებისთვის ახალი, დიდი სამყოფელი ააგეს. იასონ ბერმა, რა გაიგო, ზებულონი და მისი შეგირდები იფნისხევში დარჩენას აპირებდნენ, იქაურობა მიატოვა, მაშ, მე ისევ უდაბნოში წავალ, უდაბნოში სიწყნარე და სიმშვიდეაო, და წავიდა.

დრო მიდიოდა. ყველანი, ვინც კი ზებულონს ახლობლად ჰყავდა დაგულებული, ნელ-ნელა ამ ქვეყნიდან გაიკრიფნენ.

ძმის დალუპვა რომ შეიტყო, იოველ ბატონიშვილი თვითონაც მალე გარდაიცვალა და, ვიდრე შალვა ჩხეიძე უცხო ქვეყნებიდან დაბრუნდებოდა, სასწავლებელი რამდენიმე წელიწადს გაუქმებული იყო. მერე იოველ ბატონიშვილის საქმე შალვამ განაგრძო. დრო მიდიოდა და მიდიოდა. ყველანი იხოცებოდნენ. მხოლოდ ზებულონი არა და არ კვდებოდა. ხოლო რაკი არ კვდებოდა, ხან იბრძოდა, ხან იფნისხევში ჭაბუკებს წვრთნიდა და ხანაც ისე დაეხეტებოდა, უსაქმოდ.

როდესაც მანუჩარ მეფე მიიცვალა, შაჰმა მისი მემკვიდრე, ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი უფლისწული, დასვა ქართლის ტახტზე.

მანუჩარ მეფის ძე, როგორც ითქვა, ოთხი წლისა გაგზავნეს სპარსეთს და მას შემდეგ ქართლში არ ყოფილა, მაგრამ არც რჯული გამოუცვლია და არც ქვეყნის სიყვარული გულიდან ამოუღია. ისკანდერ-ხანის ქვრივს, ძლიერი ნების ქალს, გონიერსა და ზვიადს, რომელსაც ქმრის სიკვდილის შემდეგ მრავალი მთხოვნელი გამოუჩნდა და ყველანი უარით გაისტუმრა, ამ დროისთვის სეფე ქალებში და, საერთოდაც, შაჰის კარზე დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული და იმდენი მოუხერხებია, უფლისწული თავის სახლში დაუბინავებია, სადაც სპარსეთში მყოფ ქართველ დიდებულთა მთავარი შესაკრებელი ადგილი იყო. უფლისწული იქ, თუმც მასწავლებლებად, ისევე როგორც ქაიხოსრო ბატონიშვილს, სპარსი ოსტატები ჰყავდა, ქართულად და ქრისტიანულად იზრდებოდა. ბატონიშვილებს შორის შვიდი-რვა წელი იყო განსხვავება, მაგრამ ერთმანეთი მალე ძმებივით შეიტკბეს. ამიტომ, ქართლში ჩამოვიდა თუ არა, ჭაბუკმა მეფემ მაშინვე იმაზე დაიწყო ზრუნვა, ქაიხოსრო ბატონიშვილიც ჩამოეყვანა. რამდენიმე წელიწადში მიაღწია კიდეც მიზანს და აი, ერთ დღეს ნესტანი და მისი ვაჟი ისპაჰანიდან გამოემგზავრნენ.

ნესტანმა ქართლს ველარ ჩამოაღწია, გზაში გარდაიცვალა. ანდერძად დაებარებინა, პაპა იესეს გვერდით დამმარხეთო.

დასაფლავებაზე მისვლა ზებულონმა ვერ გაბედა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სასახლეში არავინ იყო, ღამით მგელივით შეიპარა ნაცნობ ეზოში და პაპა და შვილიშვილი ერთად დაიტირა. მკერდზე ხელებდაკრებილი დასცქეროდა ძვირფას საფლავებს და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონ იწვა მიწაში და საკუთარ თავს დასტიროდა.

მერე გადაწყვიტა წყაროსთვალში წასულიყო. დროც იყო. მართალია, მკლავი ჯერ კიდევ უჭრიდა, მაგრამ გული აღარ ერჩოდა. ვისთანაც კი ყოფნა ეამებოდა, ყველა უკვე იმიერქვეყნად იმყოფებოდა, ამიტომ თვითონაც სიკვდილის მოლოდინის მეტი სხვა აღარა დარჩენოდა რა, სიკვდილის მოლოდინი კი წყაროსთვალში ჯობდა.

არც ახლა გაუშვა ბედმა ნებაზე. ვიდრე წასასვლელად ემზადებოდა, მეფის ბრძანება მოუვიდა და კვლავ იფნისხევში გაამწესეს ჭაბუკთა საწვრთნელად.

სამი წელი იყო იფნისხევში და სამი წელი წყაროსთვალში წასვლაზე ფიქრობდა. ბოლოს, როცა ერთ დღეს მეფე ამობრძანდა იქაურობის სანახავად, თავისი ხვაშიადი მოწიწებით გაუმჟღავნა და დასტურიც მიიღო, მაგრამ მაშინ მეფეს სხვა დიდებულებთან ერთად ქაიხოსრო ბატონიშვილიც ახლდა და, ქაიხოსრო ბატონიშვილი რომ წასვლის წინ ძველებური გაუგებარი დაჟინებით დააცქერდა ზებულონს, ზებულონი, თუმც გონებამდე ამ ამბავს არ მიუღწევია, გულით მიხვდა, რომ შურისძიების მახვილი აღმართული იყო...

ისევ აიქნია ჯადოსნური კვერთხი კუდიანმა დედაბერმა და ზებულონის ორი ღამე, როგორც ერთიმეორეზე მიჯრით მიდგმული ორი მთა, კვლავ დაცალკევდნენ და შუაში თვალუწვდენელი უფსკრული გაიჩინეს.

ინათლა თუ არა, ზებულონმა შეგირდები დაითხოვა, წვრთნა დამთავრებულია და თქვენ-თქვენს სახლებში დაბრუნდითო, გამოუცხადა, ხოლო ნაშუადღევს, როდესაც ყურს ფლოქვების შორეული ხმა მოწვდა და ქვემოთ, მთის ძირას, ტყეთა გამყოფ ვიწრო მდელოზე, მხედრებიც გამოჩნდნენ, თავადაც შეკაზმა ქურანა, შეჯდა და გზას გაუდგა.

კუდიანი დედაბერი ჩამოეცალა. ახლა მწარე მოგონებები უბრალოდ მის-

დევდნენ უკან, როგორც ერთგული ძაღლები, როგორც ჩრდილები, როგორც ფიქრები, და აღარ ცდილობდნენ, ისე დაპატრონებოდნენ, რაც კი რამ არსებობდა ირგვლივ, ყველაფერი გამქრალიყო. ახლა აწმყო და წარსული მშვიდობიანად მორიგდნენ ერთმანეთში და ხელიხელჩაკიდებულები ერთად მოაბიჯებდნენ ზებულონის გვერდით. ორი სამყარო ერთმანეთში იყო არეული, ძველი ახალში ისე ჩასახლდა, ახალს ხელს არ უშლიდა. ზებულონი ორთავეს ხედავდა. ახალი ნამდვილი იყო, მყარი, ხელშესახები, და ძველი — უსხეულო, მსუბუქი, გამჭვირვალე — ლანდივით მოძრაობდა ახალში...

სად მიდიოდა და რას აპირებდა, ამაზე ჯერ არ ეფიქრა. ან კი რა საჭირო იყო ფიქრი! თუკი ოდესმე გულში რაიმე მიზანი ამოუჭრია და გზა და ბილიკი წინასწარ მოუნიშნავს, ვერასოდეს იმ მიზნისთვის ვერ მიუღწევია. ბოლოსდაბოლოს, შეეჩვია კიდეც, ჩანს, ეს ყოფილა ჩემი ბედიო, დაასკვნა, ხელი ჩაიქნია, იღბალსა და ალლოს მიენდო და აკი მას შემდეგ მთელი ცხოვრება ისე იარა, წინასწარ არასოდეს იცოდა, თუ ბედი სად მიიყვანდა. ახლაც ცხენი ნებას მიუშვა და ალალბედზე დაადგა გზას. ოღონდ ეგ კია, ქურანას იმედი ჰქონდა. ეს ქურანა იმ ძველ ქურანასავით თავად გამოზარდა. მსახურიც ის იყო და მეგობარიც. ზოგჯერ, როცა ზებულონი კაცივით დაუწყებდა ლაპარაკს, ისეთი წყნარი ყურადღებით შემოაცქერდებოდა თავისი დიდრონი, ნაღვლიანი თვალებით, გეგონებოდათ, ყველაფერი ესმის და ყველაფერსა გრძნობსო. პატრონს სიყვარულზე სიყვარულით პასუხობდა, მუდამ წინასწარ ატყობდა, თუ რა ედო გულში, და არათუ მათრახი, შეძახებაც კი არასოდეს დასჭირვებია.

ის ღამე და მომდევნო ღამე ზებულონმა ტყეში გაათია იფნისხევის მახლობლად და თანდათან ვარაუდის დაწყობასაც შეუდგა. მეფის რაზმი, რაკი ადგილზე არ დახვდებოდა, ძებნას აღარ დაუწყებდა, და ისევ გაბრუნდებოდა, რათა გამომგზავნთათვის ამბავი მიეტანა. ზებულონის გაქცევას რომ შეიტყობდა, ნეტა მაშინ რაღას იტყოდა მეფე და რა გადაწყვეტილებას დაადგებოდა?

ასე იყო თუ ისე, ერთი კი დაბეჯითებით იცოდა ზებულონმა: ქვეყნად ისეთი ძალა არ მოიძებნებოდა, რომელიც შეიძლებდა მისთვის ცოცხლივ თვალები დაეთხარა. სიკვდილს თავადვე დაეძებდა და, სიკვდილით დასჯა რომ გადაეწყვიტათ, ეგებ გამოცხადებულიყო კიდეც. გაიგებდა მაინც, რა მიზეზი მოიგონა ქაიხოსრო ბატონიშვილმა! თვალების დაწვა კი კარგად ვერ მოუფიქრებია ქართლის მეფეს... ისახარს ცალი თვალი ჰქონდა. ცალი თვალით კაცი ალბათ ყველაფერს ხედავს, ეგებ ისე ვერა, როგორც სხვები ხედავენ, ვისაც ორივ თვალი აქვს, მაგრამ მაინც...

მესამე დღეს ზებულონი ისევ გზას დაადგა. ახლა უკვე იცოდა, სად მიდიოდა და რა ეწადა, მაგრამ გზაში ამაზე არ ფიქრობდა. გზაში ერთი ხანობა იმაზე ფიქრობდა, რომ, რაკი ქაიხოსრო ბატონიშვილმა შურისძიება განიზრახა, ალბათ რამე მიზეზსაც მოიფიქრებდა. ნამდვილ მიზეზს ვერ გაამხელდა, ამიტომ ტყუილი მიზეზი უნდა მოეგონებინა. ნეტა რა მოიგონაო, გულში კითხულობდა ზებულონი და, თუმც ბევრს ცდილობდა გამოეცნო, ვერ გამოიცნო. მერე ქაიხოსრო ბატონიშვილი გადაავიწყდა და, სანამ სოფელს არ მიაღწია, ახლა სულ იმაზე ფიქრობდა, სხვებს რომ ფუძეცა აქვთ და ფესვიც, სახლიცა და ვენახიც, მიწაცა და წყალიც, ოჯახიცა და ნათესავიც, მე კი მთელი სიცოცხლე ალმადალმა დავწანწალებ, ხან მდევარი ვარ და ხან დევნილი, ნეტა ეს რისგან არისო.

სოფელს დაღამებულზე მიადგა, მაგრამ, ვიდრე კარგად დაბნელდებოდა, შეიცადა, მერე ქურანა იქვე დატოვა და ორღობეს ფეხით გაუყვა.

უხმაუროდ მიდიოდა, ფრთხილობდა და აქეთ-იქით იყურებოდა. ალბათ მისი ბედი იყო, რომ ერთ-ერთი სოსიკა სულ განაპირა სახლში ცხოვრობდა. მალე ეზოს მიაღწია. ჭიშკარს ჩასცდა, ყანაში შეუხვია და მეორე მხრიდან მიადგა ღობეს. აქ ვერავინ დაინახავდა. შეჩერდა და ლოდინი დაიწყო. ისე როგორ იქნებოდა, სოსიკას რამე საქმე არ გამოსჩენოდა და ეზოში არ გამოსულიყო! ეგებ არც გამოსულიყო, მაგრამ ზებულონს სხვა გზა არა ჰქონდა.

დიდხანს ელოდა. ბოლოს ქოხის კარი ჭრიალით გაიღო და სიბნელეში ლანდი გამოჩნდა. მთვარის მკრთალ შუქზე სოსიკას ჰგავდა, მაგრამ დაბეჯითებით თქმა ძნელი იყო და ამიტომ დაძაბული აკვირდებოდა. ამ დროს ლანდმა უცებ ჩაახველა და ზებულონმა ხმაზე წამსვე იცნო.

— სოსიკავ! — გასძახა ხმადაბლა.

ლანდი შეჩერდა და სიბნელეს ყური მიუგდო. ჩანს, იფიქრა, მომეჩვენაო, მაგრამ, ძაღლმა რომ ყეფა ატეხა, თავადაც ხმადაბლა იკითხა:

— რომელი ხარ?

— აქეთ მოიწი, სოსიკავ.

— ჩუ, შე სამგლე! — ძაღლს დაუტია სოსიკამ და გააჩუმა. მერე ღობისკენ წამოვიდა, თან ხელიც მოიჩრდილა, თითქოს ამ სიბნელეში ხელის მოჩრდილვა რამეს უშველიდა. ახლო რომ მოვიდა, ისევ იკითხა, — რომელი ხარ? — იმავ წამს იცნო კიდეც ზებულონი და შიშითა და განცვიფრებით დასძინა, — შენა, ბატონო?!. აქ რამ მოგიყვანა?!

სოსიკას შიშნარევ კილოზე ზებულონი მიხვდა, რომ ტყუილად არ მოსულა.

— რა იყო, სოსიკავ, რად შეშფოთდი? ასე გეწყინა განა ჩემი დანახვა?

სოსიკას თეთრი წვერი ჰქონდა, მოკლე და გაბურძგნილი.

— არა, ბატონო, წყენა რა მოსატანია... მაგრამ... ამ დილით ქაიხოსრო ბატონიშვილი ჩამობრძანდა... სტუმრებიც ახლავს. აგე, არ გესმის? ზურნას ჭამენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებულონმა ყური მიუგდო. ზემოდან, სადაც ერისთავიანთ ძველი სასახლე იდგა, ნიავს სიმღერის ხმა მოჰქონდა.

— მერე რა მოხდა, სოსიკავ? ან იქნებ ამოდენა სოფელში მე და ქაიხოსრო ბატონიშვილი ორივენი ვერ დავეტევით?

— ხუმრობ, ბატონო, — წყნარად და ნაღვლიანად თქვა სოსიკამ, — ჩანს, არა გაგიგია რა.

ზებულონს სოსიკას ნათქვამი ენიშნა. ამიტომაც ჩაეძია:

— რა უნდა გამეგო?

სოსიკამ თავი ჩაღუნა და ცოტა ხანს ჩუმად ჩასცქეროდა თავის ფეხებს. მერე ასე თავჩაღუნულმა თქვა:

— ვიდრე ბატონიშვილი მობრძანდებოდა, გზირი იყო. გალავანში შეგვყარეს ერთად... ხალხი ლაპარაკობს, გზირები მეფეს მთელ ქართლში დაუგზავნიაო... გზირმა, მეფის ურჩი შექნილაო, შენზედ თქვა, მეფე გაურისხდა და სიკვდილი გადაუწყვიტაო...

— მაშ, სიკვდილიო?

— ეგრე თქვა... ვინც სადმე წააწყდება და მოკლავს, მეფე დიდ ჯილდოს მისცემსო... იმასაც ამბობენ, ქაიხოსრო ბატონიშვილი მტრობს და ეგ სულ იმის ბრალია, თორემ მეფე არას ერჩისო...

სოსიკა გაჩუმდა. მცირე ხანს ზებულონიც ჩუმად იყო. მერე უთხრა:

— შენ კი არ გინდა ჯილდო, სოსიკავ? თუ თოფი არა გაქვს, მე გათხოვებ.

სოსიკამ ახლა კი ასწია თავი და ზებულონს სახეში შეხედა.

— ეგ ვერაფერი ხუმრობა გახლავს, შენი ჭირიმე...

— მომიტევე, სოსიკავ, — ზებულონს ხმა ყრუ და უამური გაუხდა, — მართლა ვერაფერი ხუმრობაა. აბა, მაშ, მე წავალ.

ის იყო გატრიალდა, რომ სოსიკამ დაადევნა:

— ეგებ რამე გჭირდება, ბატონო... ეგებ რამე გინდა...

ზებულონი წამით შეყოვნდა, რათა სხეულის შორეულ სიღრმეში დაძრული თბილი ტალღა უკანვე ჩაებრუნებინა. მერე მიუგო:

— შენი სიცოცხლე, სოსიკავ, და შენი ოჯახის სიკეთე, სხვა რა უნდა მინდოდეს!

ისევ ისე ფრთხილად, ფეხაკრეფით გაუყვა ორღობეს და სოფელს გასცდა. ქურანა თავაღერილი იდგა, თითქოს რაღაცას აყურადებსო, და ასე ელოდა პატრონს. ზებულონმა ხელი მოჰხვია და კისერზე მოუთათუნა. ახლა, როცა დაკარგული სიმშვიდე კვლავ დაუბრუნდა, იმასაც უკეთ მიხვდა, თუ რა განსაცდელი გამოიარა ამ ორი დღის მანძილზე. კაცი, რაკი დაიბადება, უნდა მოკვდეს კიდეც. ზოგი ადრე მოკვდება და ზოგი გვიან, ზოგი თავისით მოკვდება და ზოგს სხვა მოკლავს! მაგრამ თვალების დაწვა რამ აფიქრებინა!.. იმის წარმოდგენაზე, რომ თვალებდამწვარსა და დასახიჩრებულს ქართლის გზებზე უნდა ევლო და მისი სირცხვილი და დამცირება მთელ ქვეყანას ენახა, გული ყელში ებჯინებოდა. მადლი უფალს, პირვანდელი გადაწყვეტილება ისევ შეუცვლია.

ცხენზე შეჯდა და სოფლის პირს აუყვა. შორ-შორ მიდიოდა, რომ დაგვიანებულ ვინმე მგზავრს არ გადაჰყროდა. ბოლოში რომ გავიდა, მარცხნივ გაუხვია, ტყის პირი გადაიარა და სასახლის ზემოთ ფერდობზე გააღწია.

„ტყეში შევიდეთ, ბაყბაყ-დევო“.

„მერედა, არ გეშინიან, ბატონის ქალო?“

„მეშინიან, მაგრამ მაინც შევიდეთ“.

ტკივილმა წამით გააშეშა, მერე გამოერკვია და თავქვე დაეშვა. ნელა მიჰყავდა ცხენი, დროდადრო შედგებოდა და აყურადებდა, საეჭვო ხომ არა არის რაო. მალე ისევ მოწვდა სიმღერის ხმა. რაც უფრო უახლოვდებოდა სასახლეს, სიმღერა მით უფრო მკაფიოდ ისმოდა. დაბალ ხმაზე მღეროდნენ. კარგად, შეწყობილად.

ეზოს რომ მიაღწია, ცხენიდან ჩამოხტა, მთვარის მკრთალ შუქზე ექაურობა ყურადღებით მოათვალიერა, მერე ქურანა მარგილზე გამოაბა და ღობეზე გადავიდა.

ბილიკს დაუყვა, მაგრამ სამლოცველომდე არ მისულა. ზემოთ შეჩერდა, სამლოცველოს უკან, სადაც საფლავის ორი ბორცვი იყო. ხელები მკერდზე დაიკრიფა და საფლავებს დააცქერდა.

პაპა და შვილიშვილი აქ გვერდიგვერდ იწვნენ.

ზებულონს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ორთავეს სიკვდილში ბრალი მას მიუძღოდა. ასეთ დროს გული რაღაც ღრჯო, ავი მუქარით წამოვიდოდა მაღლა-მაღლა, მკერდის კედლებს გაგლეჯდა და ისე მჭიდროდ დაეცობოდა ყელს, როგორც თეთრი ლოდი შავი გამოქვაბულის პირს.

აივნიდან ხმადაბალი, ტკბილი სიმღერა მოისმოდა.

იქ, მეორე სართულის უცხოდ განათებულ სარკმელში, ძველისძველი ზღაპარი ჩარჩენილიყო. სარკმლის ძირას თხელი, სუსტი, ხატივით ფერმკრთალი გოგონა იჯდა, ხელთ წიგნი ეპყრა, თავი ოდნავ დაეხარა და ნაწნავები აქეთ-იქით ეფინა ყელზე... ოღონდ ზებულონი ვერ მიხვდა, რომ ეს მისი ზღაპარი იყო, ამიტომ, როგორც იპოვა, ისევე დაკარგა.

უეცრად სიმღერა მიწყდა და ამის გამო ზებულონს ფიქრები დაებნა. სიმღერის ნაცვლად ახლა სიცილი მოისმა. სიცილს ხმამაღალი გადაძახილ-გადმოძახილი მოჰყვა. ოღონდ სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო. მერე სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე კარგახანს გაგრძელდა და ზებულონის გაფანტულმა ფიქრებმა ის იყო ისევ დაიწყეს თავმოყრა, რომ ყურს უცებ ნაბიჯების ხმა მოწვდა. ზებულონი დაიძაბა და სმენა გაიმახვილა. ნაბიჯების ხმა თანდათან გაძლიერდა. მალე ვიღაც გამოჩნდა კიდეც. ზებულონი დააკვირდა და ქაიხოსრო ბატონიშვილი იცნო. მაშინ კიდევ უფრო დაიძაბა, გაირინდა, სუნთქვაც კი შეიკრა,

მაგრამ, რა დაინახა, ბატონიშვილი პირდაპირ მისკენ მოდიოდა, უჩუმრად შეტრიალდა და ღობისკენ წავიდა.

სულ რამდენიმე ნაბიჯი ექნებოდა გავლილი, რომ უკნიდან ხმა მოესმა:

— რომელი ხარ მანდ?!

ბატონიშვილი, ეტყობა, გვარიანად ნასვამი იყო. მთლად მკაფიოდ ვერ ლაპარაკობდა; სიტყვები, თითქოს ბოლოები მოცვეთილათ, ერთმანეთს კარგად ვერ ებმოდნენ.

მაშინ ზებულონმა თავი ოდნავ მიატრიალა და წყნარად მიუგო:

— ზებულონი გახლავარ, ბატონო, — და გაკვირვებით შენიშნა, რომ ხმის კილოში თავისდაუნებურად წყენა გამოერია.

ფეხი არ აუჩქარებია.

ზურგსუკან დუმილი ჩამოვარდა. მაგრამ დუმილი სულ ცოტა ხანს გაგრძელდა. წამსვე იგი ბატონიშვილის მკახე, რისხვით აღსავსე ხმამ დაარღვია:

— ჩქარა მდევარი! მდევარი-მეთქი! ჰეი, ვინა ხართ მანდ!

ჯერ აივანზე, მერე ეზოში ჩოჩქოლი ატყდა. მალე ჩირაღდნებიც გამოჩნდა.

მაგრამ ზებულონი უკვე ცხენზე იჯდა.

უკანვე აიარა ფერდობი და სწორედ იმ დროს, როდესაც ქვემოთ, ღობესთან, ჩირაღდნების მოლიცლიცე შუქით იდუმალ განათებული, ხმამაღლა მოყაყანე მხედრები გამოჩნდნენ, ტყეს მისცა თავი.

მალე იმ ადგილს მიაღწია, სადაც ერთხელ, დიდი, დიდი ხნის წინ, შიშველ ბეჭებზე ანთებული სანთლებივით თეთრი და მხურვალე თითები შეეხო...

ზებულონმა ცხენი შეაყენა და მიმოიხედა. ტყეში ბნელოდა და ირგვლივ არა ჩანდა რა. ამ დროს ზურგს უკან კვალში ჩამდგარი მდევარიც იგრძნო, ამიტომ სწრაფად გაუხვია მარჯვნივ და სოფლის გასწვრივ წავიდა.

მდევარი ტყეს მოედო, მაგრამ მისი მეცადინეობა ფუჭი და ამაო იყო. ზებულონმა დიდი ხანია იცოდა, რომ მდევარი დევნილს კი არ მისდევს, არამედ დევნილის შიშს, და თუ შიში ვერ იპოვა, ვერც დევნილს იპოვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეს გასცდა, მდინარე გადაიარა და ორბელიანთ სამფლობელოში გადავიდა. ვიდრე კვლავ ტყეს მიაღწევდა, ფრთხილად მიაბიჯებდა, მერე კი ქურანა ისევ ნებას მიუშვა.

დიდხანს იარა. ალიონი უკვე მოახლოებული იყო, როდესაც ბნელ, უღრანი ტყით შემოსილ მთის თავზე მოექცა. ქვემოთ, მთის ძირში, ვრცელი ვაკე გადაჭიმულიყო.

„სად მიგყევარ, ბაყბაყ-დევო?“

ზებულონი ქართლს ისე იცნობდა, როგორც გამრჯე გლეხკაცი თავის ბაღსა და ვენახს იცნობს. ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდა ყველა კუთხე შემოვლილი და სულ იცოდა, სად რა ხე იდგა და სად რა ბუჩქი. ამ მთაზეც განა ტყუილად ამოვიდა! ეს ადგილი სამალავადაც კარგი იყო და სათვალთვალოდაც.

ადვილად მიაგნო ხშირი წყავითა და შქერით შემოზღუდულ, ველური ვაზით გადახურულ კარავს, რომელიც ბუნებას თითქოს სავანგებოდ მოეწყო ლტოლვილთა შესაფარებლად. ტოტები გადასწია, შევიდა, ქურანაც თან შეიყვანა და კუთხეში, წყავის ტოტზე გამოაბა. ვიდრე მდევარი გამწარებული დარბოდა და ამაოდ ეძებდა დევნილის შიშს, აქ მშვენივრად შეიძლებოდა თვალის მოტყუება.

გულაღმა დაწვა მაღალ ბალახში და ხელები თავქვეშ ამოიწყო.

მას შემდეგ, რაც ყველანი შემოეცალნენ და სულ მარტო დარჩა, ისე აღარ ნატრობდა სიკვდილს, როგორც ახალგაზრდობაში არაერთხელ უნატრია. ახალგაზრდობაში სიკვდილის ნატვრას სიმწარე ბადებდა, ხოლო როცა სიმწარე დაგრევს ხელს, მაშინ სიკვდილის ნატვრა სიკვდილის ნატვრა კი არ ყოფილა, არამედ სიცოცხლის განწირული სიყვარული, რომელიც სასოწარკვეთის ჟამს ისე აბობოქრდება, კალაპოტში ვერ ეტევა, და ამის გამო სიკვდილის ნატვრას ემსგავსება. მაგრამ ზებულონმა იმ დროს ეს არ იცოდა. ამას გვიან მიხვდა, მას შემდეგ,

რაც მღელვარე ნატვრა მშვიდმა წადილმა შეცვალა, რომელიც ნამდვილი და შეურყეველი იყო, რადგან, თუ საჭიროება მოითხოვდა, მოთმენაც შეეძლო და მოლოდინიც.

მაშინაც კი, როცა ნესტანი, თავჩაკიდებული და მხრებათრთოლებული, საყდრის კარს გასცდა და თვალს მიეფარა, როცა ცხენების ფლოქვების ხმა მიწყდა და ბნელ, უსიერ ტყეში ჩაძირულ პატარა საყდარს ირგვლივ გაუვალი და მძიმე დუმილი შემოაწვა, როცა მახრჩობელა ზვირთმა ამოქოლილი ყელი გამოარღვია და ცრემლად და ქვითინად გადმოიღვარა, როცა ის გაუთენებელი ღამე ბოლოს მაინც გათენდა და ალმოსავლეთის ვიწრო სარკმელში ცისკარმა შემოიხედა, როცა ზებულონს ცრემლი გაუშრა და ამის გამო მის სხეულში დატრიალებულმა ცივმა ქარბორბალამ კიდევ უფრო მოიცა ძალი, როცა მოეჩვენა, რომ მტერიცა და მოყვარეც ყველა მას ატყუებდა და მის გულმართლობასა და მიამიტობას თავისი ბნელი ზრახვების ალსასრულებლად იყენებდა, როცა ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა, ჭირსაც წაუღია ყველაფერი — ქვეყანაც, ერთგულებაცა და მოვალეობაცო, როცა დაინახა, რომ ეს ყოვლისწამლეკი გრიგალი, რომელიც კივილით დაქროდა მის სხეულში, მალე ამ სხეულს ნაფლეთებად აქცევდა, როგორც ისახარი აქციეს ნაფლეთებად დაროაშვილებმა, და სიკვდილი შვებად მოევლინებოდა, ხოლო ვიდრე სიკვდილი შვებად მოევლინებოდა, აქედან უნდა წასულიყო, უნდა გაქცეულიყო, წამითაც კი ერთ ადგილას არ უნდა გაჩერებულიყო, რომ სიკვდილის დადგომამდე სიკვდილზე უარესი არა მომხდარიყო რა, მაშინაც კი სიკვდილის ნატვრა იყო არა სიკვდილის ნატვრა, არამედ სიცოცხლისათვის ბრძოლა. თურმე ყოველივე იმის მიღმა, რაც იმ ღამეს ზებულონის თავს ტრიალებდა, მგალობელი ჩიტის შორეული ჭიკჭიკივით ისმოდა სიცოცხლის იდუმალი შრიალი; პატარა, ჭრელი ყვავილი შეუპოვრად არღვევდა კლდეს და მზის სინათლისკენ მიისწრაფოდა...

ბიბლიოთეკა

მაშინ ზებულონი ახალგაზრდა იყო და აბა საიდან ეცოდინებოდა, რომ სიცოცხლის ყვავილს მტერ-მოყვარე ასაზრდოებს და ვიდრე ერთიცა და მეორეც გვერდით გეგულება, სიკვდილის ნატვრა ცრუ ნიღაბია, რომელიც სიცოცხლის გაafთრებულ სიყვარულს შენს მოსატყუებლად აუფარებია! მერე და მერე მიხვდა, რომ სიკვდილისა მხოლოდ მშვიდი მოლოდინი შეიძლება, მოუთმენელი ნატვრა კი — არა, ხოლო მშვიდი მოლოდინის ჟამი მაშინ დაგიდგება, როცა მტერიცა და მოყვარეც ორივე შემოგეცლება და მარტო დარჩები. ზებულონს ყველა შემოეცალა. ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, თითო-თითოდ წავიდა ყველა. ყველამ საშვიდობოს გააღწია... ისახარი წავიდა... წავიდა და, ვინ იცის (ზებულონს ამაზე ბევრჯერ უფიქრია), ტერფი რომ აკლდა, ეგებ ღვთის უსაზღვრო გულმოწყალების მეოხებით ხორცით ამოევსო და გაუმთელდა. ვინ იცის, ეგებ დედასაც გაუარა სილურჯემ, შეშუპებული სახეც დაუცხრა და კვლავ ძველებური გაუხდა — მშვიდი, სათნო, ალერსიანი, რომლის დანახვა ასერიგად ახარებდა ხოლმე ზებულონს... ქართლის კათალიკოსიც წავიდა... იოველ ბატონიშვილიც წავიდა... ბექა ამილახვარიც კი წავიდა... ყველანი წავიდნენ... თუ ვინმე დარჩა, ისინიც დაიფანტნენ და დაიკარგნენ. ახლა აღარც მტერი ჰყავდა — აბა ქაიხოსრო ბატონიშვილი რა მტერი იყო! — და აღარც მოყვარე. ზებულონს კი იქ უნდოდა ყოფნა, სადაც მტრები და მოყვრები ეგულებოდნენ. ზოგჯერ, როცა კუდიანი დედაბერი დაიმარტოხელებდა და ჯადოსნურ კვერთხს აიქნევდა, კვლავ პოულობდა ყველას, ვინც დაკარგა, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა, ზებულონს კი სამუდამოდ მათთან დარჩენა სურდა. ამიტომ ფიქრობდა ხშირხშირად სიკვდილზე, როგორც იდუმალ მეგობარზე, რომლის გამოჩენას მარტოობის ნაღველი უნდა ამოეწმინ-

და მისი გულიდან. ეს რომ მეფესა და ქაიხოსრო ბატონიშვილს სცოდნოდათ, ეგებ მდევარი არც დაედევნებინათ... მაგრამ ეს რომ სცოდნოდათ, მაშინ ალბათ ისიც ეცოდინებოდათ, რომ სიკვდილის მოლოდინი იმას არ ნიშნავს, შენით მოიკლა თავი, ანდა ნებით ვინმეს მოეკვლევინო. ასე რატომ იყო, ამას ზებულონი ვერ იტყოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ გაიოლება არ შეიძლებოდა. დანებება არ შეიძლებოდა. იმისათვის, რომ მოკვდე, უნდა მოგერიონ, უნდა გაჯობონ, უნდა დაგამარცხონ... მაგრამ ზებულონის დამარცხება იოლი არ იყო, თუნდაც ქართლის მეფესა და ქაიხოსრო ბატონიშვილს მალვა ჩხეიძეც მიმხრობოდა და ისიც მტრად გახდომოდა. აი, ბექა ამილახვარი რომ ყოფილიყო ცოცხალი და ის დადევნებოდა, მაშინ სხვა იყო. ბექა ამილახვარი, მიწის გულში რა იდო, იმასაც ხედავდა და გონების ისეთ ქვესკნელში ნასკვავდა მზაკვრულ გეგმებს, ეშმაკიც კი თავ-ბოლოს ვერ უპოვნიდა. ბექა ამილახვარს ეგებ ვერ დამალოდა, სხვებს კი დიდხანს გაუმკლავდებოდა, სხვებს დიდხანს მოუწევდათ ტყე-ღრეში წანწალი და ოფლის ღვრა, ვიდრე ზებულონს ჩუმ წადილს შეუსრულებდნენ და იქ გაისტუმრებდნენ, სადაც დიდი ხანია თავადვე მიისწრაფოდა. საცა არ უნდა გადაჰყროდა მდევარს, არ იქნებოდა, ერთი ბილიკით მაინც მასზე მეტი არ სცოდნოდა. გარდა ამისა, რაკი სახლი და კარი არა ჰქონდა, ყანა და ვენახი, ფუძე და ფესვი, ნებაუნებურად მთელი ქართლი მისი სახლი და კარი იყო, მისი ყანა და ვენახი, მისი ფუძე და ფესვი, ყველგან უშიშრად და იმედიანად გრძნობდა თავს.

მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მისი იმედი არც ისე ძირმტკიცე ყოფილა, როგორც ეგონა. თურმე სწორედ ყანიდან და ვენახიდან გამოეძევებინათ და ამიტომ დამარცხებაც შორს აღარ იყო.

ერთ ღამეს ქალაქს ჩავიდა, სადაც ერთი ძველი თანამებრძოლი ეგულებოდა, და დიდად გაკვირვებული დარჩა, რომ ისიც ისევე შეშინდა და აფორიაქდა მის დანახვაზე, როგორც სოსიკა შეშინდა და აფორიაქდა რამდენიმე დღის წინ. მაშინ, რამდენიმე დღის წინ, სოსიკამ რომ მისი მოკვლისთვის დაპირებული ჯილდო ახსენა, ზებულონს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, აინუნშიაც არ ჩაუგდია, გაეხუმრა კიდეც სოსიკას რაღაც უგემური და უგვანი ხუმრობით, რომლისაც მერე თავადვე შერცხვა. ახლა კი, როცა იგივე ამბავი ძველი თანამებრძოლისგან შეიტყო, რომელსაც უშიშარ და ძალგულოვან კაცად იცნობდა, ერთბაშად მიხვდა, რომ მეფესა და ქაიხოსრო ბატონიშვილს საიმედო ხერხი მოეგონებინათ. ხერხი განა ახალი იყო! ხერხი ძველთაძველი იყო, მაგრამ ზებულონს არ ეგონა, თუ გაჭრიდა. ამიტომაც არად ჩააგდო სოსიკას ნათქვამი. თურმე გაუჭრია და კარგადაც გაუჭრია. მეფის დაპირებამ ხალხს გონება აურიაო, ჩურჩულით უთხრა ძველმა მეომარმა, თან აქეთ-იქით იყურებოდა (რის გამოც ზებულონს გული სევდით ევსებოდა), ჯილდოს შოვნის იმედმა ისეთებს აალებინა ხელში იარაღი, იარაღის მარტო დანახვა რომ შიშის ზარს სცემდაო. პირისპირ შებმას აბა რა გაბედვინებთ, მაგრამ, თუ დრო გიშოვეს, ზურგში კი უეჭველად ჩაგცემენ დანასო. დიდი სიფრთხილე გმართებსო, ვინც ახლობლად გეგულება, ნურც იმათ ეჩვენებიო, განა გუმანი მაქვს ვინმეზე, მაგრამ ხომ იცი, ეშმაკს არ სძინავსო. აქ ნუ დადგებიო. ქართლში შენი დარჩენა საშიშია, იმერეთს რომ წახვიდე, იქაც კი მშვიდად ვერ იქნები, გიჯობს ისევ სპარსეთს გადაიხვეწო, ანდა ოსმალეთსო. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როცა ძველ თანამებრძოლებს გამოეთხოვა და ზედ ქალაქის კარიბჭესთან წამოწეულ მდევარს თავი ძლივს დააღწია, გულში ისეთი მძიმე, მკვრივი ნაღველი ჩაუდგა, ცოტას გაწყდა, კინაღამ ცრემლი მოერია.

სპარსეთსა და ოსმალეთს გადახვეწა

ფიქრადაც არ გაუვლია, მაგრამ ქალაქიდან წამოსული რომ გორს გადავიდა და იქაც იგივე ამბავი დახვდა, შეცბუნებული დარჩა. მაშინ, სხვათა გამოსაცდელად და საკუთარი თავის დასარწმუნებლად, რამდენიმე სოფელში კიდევ გამოჩნდა. ორჯერ ბეწვზე გადაურჩა ჩასაფრებულ ტყვიას. სამაგიეროდ, გამოსაცდელი გამოსცადა და შესატყობელი შეიტყო.

ამბობდნენ, ზებულონის გმირობაზე ხალხში ლექსები გამოუთქვამთ და სალამოობით ფანდურზე დამღერიანო. ეგებ მართალიც იყო — ზებულონს თავისი ყურით არასოდეს გაუგონია და ამიტომ არც დანამდვილებით არა იცოდა — მაგრამ, თუნდაც მართალი ყოფილიყო, მერე რა, მშიერი ბალღები სიმღერით ვის დაუზრდია?.. ოჯახი კი ყველას შესანახი ჰყავდა... ამიტომ ჯილდოს შოვნის მოიმედეთ ფანდურები ძირს დაეწყოთ, ხელში იარაღი აეღოთ და ზებულონს ახლა ყოველ კუთხეში, ყოველ გზისგასაყარზე, ყოველ დაბასა თუ სოფელში, ჩახმახზე შეყენებული თოფი ელოდა, ამოწეული ხმალი, შემართული შუბი, ალესილი დანა, მოზიდული მშვილდი... ყველგან მახეები იყო დაგებული, როგორც წყაროსთვალის ტყეებში ოდესღაც თავად უგებდა მახეებს საბრალო მელიებს.

მაშინ ზებულონმა სიფრთხილე გაიორკეცა, რათა მას, ვისაც კაცის ბედი აბარია, არ ჰგონებოდა, თითქოს საფრთხით ისარგებლა და, რაკი სიკვდილი ეწადა, სიცოცხლე ნებით დათმო.

სიფრთხილის გაორკეცება მით უფრო საჭირო იყო, რომ ვერც მდევარსა და ვერც ჩასაფრებულ მკვლელს პირისპირ ვერ შეებმოდა. მისი მდევრები ხომ მისივ მოყვრები და მოკეთეები იყვნენ! მთელი თავისი სიცოცხლე მათთვის იბრძოლა და ახლა რომ რომელიმე მათგანი შემოკვდომოდა, ყველა ის ბრძოლა ერთბაშად უნდა გასცუდებოდა და, აბა იმდენი რა გაუკეთებია, მაგრამ, თუკი რამ გაუკეთებია, წყალში უნდა გადაეყარა. ამიტომ ზებულონის ერთადერთი იარაღი გაქცევა იყო, დამალვა, გასხლტომა, თავის დაღწევა.

წყაროსთვალში ასვლა ჯერჯერობით სახიფათო ეჩვენა, ამიტომ, ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, გადაწყვიტა, პირველ ხანებში იმ პატარა საყდარში შეეფარებინა თავი, სადაც ოდესღაც ქართლის კათალიკოსთან ერთად რამდენიმე თვე დაჰყო.

გადაწყვიტა და გზასაც გაუდგა. სამი დღე და სამი ღამე ისე იარა, ტყიდან არ გამოსულა, და ბოლოს, მეოთხე დღეს, რიერაჟზე, მაღალი ხეებით გარშემორტყმულ საყდარს მიაღწია.

ტყიდან არც ახლა გამოსულა. ზემოთ, ფერდობზე, ისეთი ადგილი მოძებნა, რომ მთელი საყდარი მხედველობის არეში ჰქონოდა, თავად კი შეუმჩნეველი დარჩენილიყო, და იქ ჩასაფრდა. ირგვლივ სიჩუმე იყო და საყდარშიაც საეჭვო არა ჩანდა რა, მაგრამ ზებულონს მთელი დღე საფარი არ მიუტოვებია და საყდრისთვის თვალი არ მოუშორებია.

ერთხელ, დიდი ხნის წინ, ამ საყდარს რომ მოადგა და იფიქრა, ახლა კი სამშვიდობოს გავედითო, საყდარში შესულმა ბექა ამილახვარი დაინახა. მაშინ ირწმუნა საბოლოოდ, რომ თათრებს ტყუილად არ შეერქმიათ მისთვის შაითანი. რომ გეგონა, ყველა განსაცდელს დააღწიე თავი და ყველა ხიფათს ასცდი, სწორედ მაშინ გაებმებოდი მის მახეში. ეს რომ მარტო ზებულონს დამართნოდა, თავის ბედოვლათობას დააბრალებდა, მაგრამ ზებულონი მარტო არ იყო, ვინც კი ბექა ამილახვარს მტრად გადაეკიდა, ყველას მისი ბედი ეწია. რამდენი უფიქრია ზებულონს, მაგრამ აქამდე ვერ მიმხვდარა და ალბათ ისე მოკვდებოდა — მით უფრო, რომ სიკვდილი შორს აღარ უნდა ყოფილიყო — ვერც მიხვდებოდა, ბექა ამილახვარი სძულდა თუ უყვარდა. უყვარდა, განა არ უყვარდა, მაგრამ მის გვერდით მუდამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფეხქვეშ მიწა ირწეოდა და ტორტმანებდა. ერთს რომ ლაპარაკობდა, თან ამ დროს მეო-

რეს ფიქრობდა, სულ სხვა გეგმებს აწყობდა, სულ სხვა ხლართებს ხლართავდა, და ყველაფერი ეს მისი ცბიერი გონების ისეთ ბნელ ხვრელებში ხდებოდა, სადაც რაიმეს დანახვა შეუძლებელი იყო. მხოლოდ ქვეყანაზე ზრუნავდა, სხვა ყველაფერი არად მიაჩნდა, და ქვეყანას რომ დასჭირვებოდა, ერთს არ შეყოყმანდებოდა, ისე გაგწირავდა დაუფიქრებლად და დაუკითხავად, თითქოს სიცოცხლე მისგან გქონოდა ნაბოძვარი. საეჭვოც სწორედ ეს იყო: შენი სიცოცხლე შენია და, როგორც გინდა, ისე მოიხმარ, მაგრამ სხვასთან რა ხელი გაქვს! სხვის სიცოცხლეზე შენ რა მბრძანებელი ხარ?!. ზებულონს დიდხანს არც ის ეჯერა, რომ მაჩაბლიანთ ასმათი ბექას მართლა უყვარდა, რადგან ვერ გაეგო, თუ უყვარდა, მაშ ამ საგანზე ასეთი სალაღობო კილოთი და ხუმრობა-ხუმრობით როგორღა ლაპარაკობდა?..

მთელი დღე უთვალთვალა ზებულონმა საყდარს. ბოლოს, საღამო რომ დადგა და მტკიცედ დარწმუნდა, სახიფათო არა იყო რა, საფრიდან გამოვიდა და ქვემოთ დაეშვა.

საყდრის კარი რომ შეაღო და ზღურბლს გადააბიჯა, ნესტანი დაინახა.

ნესტანი შუა საყდარში იდგა ქვის იატაკზე, მკლავები ჩამოეყარა, თავი ოდნავ ჩაექინდა, ზებულონს ქვემოდან ამოსცქეროდა და დიდრონ თვალებში ჩუმი ყვედრება ედგა. ზებულონს გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. წამით უანგარიშოდ მოელოდა, რომ ნესტანი შეეხმიანებოდა კიდეც, მაგრამ ნესტანი არ შეჰხმიანებია და ზებულონი მიხვდა, რომ ყოველივე მოლანდება იყო. მაშინ თვალები დახუჭა და გაახილა, დახუჭა და გაახილა, დახუჭა და გაახილა.

ნესტანი გაქრა.

მაგრამ ზებულონი გრძნობდა, რომ ნესტანი მხოლოდ მის თვალთაგან გაქრა, მისთვის შეიქნა უჩინარი, თორემ საყდრიდან არსად წასულა, მთელ საყდარში უცნაურად გაფანტული, უხმოდ და უხილავად დასტრიალებდა თავს. მართლაც, მცირე ხნის შემდეგ კიდევ ერთხელ ეჩვენა. ჯერ მარტო თეთრი ხელები გაკრთა ბინდში, მერე მარტო აბულულებული წაბლისფერი თმა, ბოლოს მთლიანად გამოცურდა სიბნელიდან, სიბნელის წინ დადგა შუა საყდარში და ასე ეჩვენა. მკლავები წელანდელივით ჩამოეყარა, სახეზე წელანდელივით ნაღველი გადაჰფენოდა, წელანდელივით ჩუმი, ფარული ყვედრებით შემოსცქეროდა. ზებულონი მონუსხული მისჩერებოდა. აზრი და ცნობა წართმეული ჰქონდა, ამიტომ თავადაც არ იცოდა, როგორ ლოცულობდა და როგორ ევედრებოდა ღმერთს, ღმერთო, არ გააქროო, ღმერთო, არ გააქროო, ღმერთო, არ გააქროო. „მაშ, იმიტომ გამიტაცე, რომ ისკანდერ-ხანი ქმრად არ ვინდომე?“, მოესმა ანაზდად. ზებულონი მიხვდა, რომ ნესტანს ეს არ უთქვამს, მხოლოდ გაიფიქრა, და ზებულონმა მისი ფიქრი რაღაც ჯადოქრობით გაიგონა. ნესტანმა კი უცქირა, უცქირა და უცებ კოპების შეკვრა დააპირა. ზებულონს გული გაუჩერდა. ირგვლივ ყველაფერი გაქრა, რაც კი არსებობდა. ახლა ქვეყნად მხოლოდ ეს ორი მშვილდივით მორკალული წარბი დარჩა, რომლებიც ერთმანეთისკენ მიდიოდნენ და, საცა იყო, კოპებად შეიკვრებოდნენ. მაგრამ ნესტანმა კოპები ვერ შეიკრა. სულ ბოლო წამს, სად იყო სად არა, წარბებშუა მზე ჩადგა და მზემ წარბებს შეკვრა არ დაანება. მაშინ ზებულონის გაჩერებულმა გულმა კვლავ ძგერა დაიწყო და ნესტანი ისევ გაქრა.

ზებულონი დიდხანს ელოდა, მაგრამ ნესტანი აღარ გამოჩენილა. მაშინ საყდრის კუთხეში მიწვა, რათა, სანამ ალიონი დადგებოდა, ორიოდ საათით თვალი მოეტყუებინა.

ირგვლივ დუმილი იდგა. მხოლოდ სადღაც, ტყეში, ჭოტი გაჰკიოდა მწუხარე ხმაზე.

ზებულონს ძილი არ ეკარებოდა. ან კი რა დააძინებდა! გრძნობდა, ნესტანი საყდარში იყო. უხილავად იყო, უჩინრად. და ჩუმი ყვედრებით შემოსცქეროდა.

„მე კი მეგონა, ისკანდერ-ხანს ჩემი თავი შენთვის წაართვი!...“

უეცრად ჭოტის კივილსა და კივილს შორის დუმილი სხვა ხმამ დაარღვია. ხმელი ტოტი გატყდა, ამას რაღაც გაურკვეველი შარი-შური მოჰყვა და წამსვე ისევ დუმილი ჩამოვარდა. ზებულონმა ყური მიუგდო. ის კი გაიგო, ხმა საიდან მოდიოდა, მაგრამ, კაცი იყო თუ ნადირი, ვერ მიხვდა.

კარგახანს აყურადებდა, მაგრამ დუმილი არ დარღვეულა. ამან დააეჭვა. თუ ნადირი იყო, ასე უცებ, ასე მოწყვეტით, ასე შემკრთალ-შეშინებულივით რად გაყუჩდებოდა?

საყდრიდან ფრთხილად გამოვიდა და ახლა გარედან მიუგდო ყური. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. მაშინ ქვემოთ ჩავიდა, ტყის პირას დაბმული ქურანა ახსნა, ალვირში ჩაავლო ხელი და წინ გაუძღვა. კარგა ღრმად შევიდა ტყეში და ფერდობს შეუყვა. იქ, სადაც ოდესღაც ქართლის კათალიკოსთან და შალვა ჩხეიძესთან ერთად ყიზილბაშებს ელოდა, ქურანა ხის ტოტზე გამოაბა და დატოვა, თვითონ კი ცოტა კიდევ იარა აღმართში, მერე მარცხნივ გაუხვია და იმ საეჭვო ადგილს ზემოდან გაუპირდაპირდა. აქ შეჩერდა და ისევ ყური მიუგდო. სამარისებური დუმილი იდგა. მაშინ უფრო ქვემოთ დაეშვა. ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა და აყურადებდა. სულ ახლო რომ მივიდა იმ ადგილთან, სადაც ცოტა ხნის წინ ტოტმა გაიტკაცუნა, ყურს სუსტი სუნთქვა მოსწვდა. რაკი უკუნი ღამე იდგა და თვალით არა იხედებოდა რა, მიახლოება აღარ უცდია, იქვე ჩაჯდა ბალახში, გაინაბა და გათენებას დაელოდა.

მალე ღამე შეიმღვრა, ჩიტებმა გალობა დაიწყეს, ცა შეწითლდა და არემარეს სინათლე მოეფინა.

სუსტი, შორეული სუნთქვა ისევ ისე ისმოდა, მაგრამ დანახვით კი ზებულონმა ვერავინ დაინახა. მაშინ ჯერ ერთ მხარეს გაიწია, მერე მეორე მხარეს და ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა, რასაც ეძებდა.

კაცი ყოფილა. წიფლის მსხვილ ფესვზე იჯდა და პირი ქვემოთ, საყდრისკენ ჰქონდა მიქცეული. დაბებკილი, ჭუჭყიანი პერანგი ეცვა, კეფაზე ჩახვეულ-ჩახუჭუჭებული სქელი თმა ედო. მუხლებზე დაყრდნობილი თოფი ორთავ ხელით ჩაებღუჯა. გაშეშებული იჯდა და საყდარს გასცქეროდა, რომელიც იმ ადგილიდან ეტყობოდა კარგად ჩანდა.

ზებულონმა ფრთხილად, უხმაუროდ გაიარა დარჩენილი მანძილი, კაცს ზურგიდან მიადგა, ბეჭზე მსუბუქად დაჰკრა ხელი და უთხრა:

— კაცო, რად მითვალთვალებ?

თითქოს მიწის გულიდან ეშმაკმა ჭიტლაყი ამოსცხოო, კაცი ელდანაკრავივით შეხტა, ზეწამოვარდა, მკვეთრად, მაგრამ, რაკი ფეხები მიწისთვის არ მოუწყვეტია, როგორღაც უცნაურად, მოუხერხებლად და დაგრეხილად შემოტრიალდა, დაფეთებულმა ერთი შეხედა ზებულონს (ზებულონმა მოასწრო და დაინახა, რომ შავგვრემან, შიშისაგან არეულ, გაბურძგნილ სახეზე სუფთა და კამკამა, გამჭვირვალე ცისფერი თვალები ჰქონდა), აზრდაკარგულმა და აკანკალებულმა თავისდაუნებურად თითი ჩახმახს გამოსდო, ქუხილი რომ გაისმა, ამან კიდევ მეტად დასცა თავზარი, თოფს წამსვე ორივ ხელი უშვა და, ჩანს, შიშმა და სასოწარკვეთამ შეჰმატა ძალა, რომ, თოფი ჯერაც ძირს არ დავარდნილიყო, თავქუდმოგლეჯილი უკვე ლაწა-ლუწით გარბოდა ხშირ ტყეში.

ზებულონმა თვალი გააყოლა. სხეულში რაღაც შორეული მოგონება შეიშმუშნა, ამოძრავდა და ზემოთ წამოვიდა. ზებულონი გაკვირვებული ყურადღებით ჩასცქეროდა, მაგრამ მოგონება წამსვე გაილია და, ვიდრე დანახვას მოასწრებდა, გაქრა.

კაცი კისრისტეხით გარბოდა. მისი ბეჩავი ზურგი ხან აქ გაიელვებდა ტყეში, ხან იქ. საყდარს რომ ჩასცდა, მერე აღარ გამოჩენილა. ახლა ზებულონი მხოლოდ ხეთა ფოთლების რხევაზე ატყობდა, თუ საით მირბოდა. ბოლოს სულ გაქრა.

ზებულონმა უპატრონოდ დარჩენილ თოფს დახედა და ფეხის წვერი წაჰკრა. თოფი გადაბრუნდა და მეორე გვერდზე დაეცა.

ზებულონი ერთხანს კიდევ იდგა დაფიქრებული. განა შეშინება უნდოდა იმ კაცისა! უნდოდა ეთქვა, კაცო, ეგებ მართებულად არ იქცევიო, ვთქვათ, შენ გამოდექ ზებულონის ბედისწერა, შენ მოკალ და დაპირებული ჯილდოც შენ დაგრჩა, მერედა, დალოცვილო, სისხლში ამოწობილი ოქროთი რომ ბალღებს დაზრდი, რა იცი, რომ შეერგებათო, სისხლიანი პურით გამოზრდილი ბალღები რომ სისხლიანები დადგნენ, მერე რაღას აპირებო, თუ, ოღონდაც კი დაიზარდონ და, სულ ერთია, რანი დადგებიანო? ამის თქმა უნდოდა ზებულონს. დასანამუსებლად კი არ უნდოდა ამის თქმა, თავად არ იცოდა, როგორ იყო ეს საქმე, და გაგება ეწადა. მაგრამ იმდენი ვერ მოიფიქრა, რომ ის საბრალო შეშინდებოდა და გაიქცეოდა.

გულდამძიმებული გამობრუნდა.

საყდარში დარჩენა აღარ შეიძლებოდა. საცა ერთმა მოგაგნო, იქ სხვებიც მოგაგნებენ. ამიტომ ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა. მიდიოდა დაფიქრებული და დროდადრო ეჩვენებოდა თითქოს, რაც კი რამ ქართლში თოფიანი მოიძევებოდა, ყველა მისკენ იყო მოშვერილი.

მთელი დღე იარა და დაღამებულზე მიხვდა: იფნისხევში მიდიოდა.

ერთი კი გაკვირვებით გაიფიქრა, რას დაეხეტები ასე თავბოლოუკუღმა, ის არა სჯობს, წყაროსთვალში წავიდე, რომ, რაც მოსახდენია, ბარემ დროით მოხდესო, მაგრამ გეზი არ შეუცვლია, მაინც იფნისხევისკენ განაგრძო გზა.

იფნისხევში შეუმჩნევლად შესვლა, ქაიხოსრო ბატონიშვილს თუ იქ თავისი ხალხი ჰყავდა ჩაყენებული, ძალზე ძნელი იყო.

იფნისხევი კიბის საფეხურს ჰგავდა, რადგან ერთსა და იმავე დროს ერთი მთის თავი იყო და მეორე მთის ტერფი. ბანაკი ქვედა მთის პირას, ბექობიდან ოდნავ მოშორებით, ულრან ტყეში იყო ჩამალული, ისე რომ იქიდან, საითაც არ უნდა გაგეხედათ, ტყის მეტი არა ჩანდა რა. სამაგიეროდ, ბორცვზე თუ ახვიდოდით ბანაკის უკან, მიდამო ხელისგულივით გადაგეშლებოდათ თვალწინ. ტყე რომ თავდებოდა, ვრცელი მინდორი იწყებოდა, რომელიც სამ მხარეს რკალად შემოდგმულ, შიშველ, კლდოვან ქედს უერთდებოდა. საკმარისი იყო, ბანაკში მყოფთ ერთი მეთვალყურე დაეყენებინათ ბორცვზე, რომ ამ სამი მხრიდან არც მტრის მოახლოება გამოპაროდათ და არც მოყვრის. მეოთხე მხარეს ქვედა მთის ციცაბო ფერდობს ხშირი ტყე ჩასდევდა. ბოლოში, მთის ძირას, მინდვრის ზოლი გადიოდა, მერე ისევ ტყე იწყებოდა და იმ მეორე ტყეს გაღმიდან კიდევ ერთი შიშველი მთა გადმოჰყურებდა. აქაც ერთი მეთვალყურე კმაროდა, მით უფრო, რომ ფერდობი ძნელად ამოსასვლელი იყო. ბექობის გვერდით, ტყე-ტყე, ვიწრო ბილიკი მიდიოდა, რომელიც მოშორებით ჯერ მოზრდილ ნაკადულს უერთდებოდა, მერე კი ქვედა და ზედა მთას შორის გამავალ ხეობას. თავისუფლად და გაუჭირვებლად ბანაკში მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მისვლა, მაგრამ ერთზე მეტი მეთვალყურე არც აქ იყო საჭირო, ოღონდ ეს მეთვალყურე მოშორებით უნდა მდგარიყო, ნაკადულს გადაღმა, საიდანაც მთელი ხეობა მოჩანდა.

ყველაფერი ეს ზებულონმა ჩინებულად იცოდა, რადგან იმდენი ხანი, რაც აქ გაატარა, თუ მაინცდამაინც წყაროსთვალს არ ჩათვლით, სხვაგან არსად გაუტარებია. ბანაკიც ხომ მისი გამართული იყო! თუ თავიდან არა, მერე, როცა იმ საკვირველი დღისთვის ემზადებოდნენ, ყველაფერი მისი მეთვალყურეობით გაკეთდა.

ეჰვი არაა, მეფე და ქაიხოსრო ბატონიშვილი მდევარს წყაროსთვალშიც გაგზავნიდნენ, ამიტომ წყაროსთვალში ასვლა ჯერხნობით არ შეიძლებოდა. იფნისხევი კი, თუ იქ მეთვალყურეები

არ ჰყავდათ დაყენებული, საუცხოო სამალავი იყო.

თუ ჰყავდათ?..

ხეობას დალამებულზე მიადგა. სიბნელის შავ კალთას ამოფარებულს ერთხანს შეეძლო უჩუმრად ევლო, მაგრამ, მეთვალყურე თუ ელოდა, ნაკადულს რომ მიუახლოვდებოდა, სიფრთხილე ველარას უშველიდა. იქ ისე ვერავინ გაივლიდა, თავი არ გაემჟღავნებინა.

მაინც შევიდა ხეობაში და აღმართს შეუყვა. რალად მიდიოდა, ვერ გაეგო. ნახევარი გზა ექნებოდა გავლილი ნაკადულამდე, რომ უცებ გული უამურად შეუტოკდა და შემკრთალი შედგა. უეცრად უცხო გუმანით იგრძნო, რომ ნაკადულთან მეთვალყურე უნდა მდგარიყო.

ოლონდ შეკრთომით ამის გამო არ შემკრთალა.

იფნისხევში ჯერ კიდევ ადრე, ისკანდერ-ხანის დროს, მერეც, მანუჩარ მეფის დროს, ახლაც, ამ ბოლო სამი წლის მანძილზე, მრავალი ჭაბუკი გამოუზრდია და, რაც კი თვითონ იცოდა, ყველაფერი უსწავლებია, იარაღის ხმარება — მიზანიცა და სისწრაფეც — ცხენის საომრად გაწვრთნა, საფარში ჯდომა, შემოტყუება, უგრძნობლად დაცემა, კვალის ძებნა, დევნა, ქამანდის ტყორცნა, ნადირისა და ფრინველის ხმაზე, ან ხეთა ფოთლებისა თუ ბალახის მოძრაობაზე იმის შეტყობა, საით მიდის მტერი, ან საიდან მოდის, ყველაფერი უსწავლებია და, ეხლა რომ გული უამურად შეუტოკდა, იმის გამო შეუტოკდა, რომ ცხადლივ, ისე, თითქოს თვალით დაენახოს, იგრძნო: ზემოთ, ნაკადულთან, მეთვალყურის საფარში, რომელიმე მისი ნაშეგირდალი უნდა მჯდარიყო.

არც კი დაეჭვებულა, ეგებ გუმანი მატყუებსო. უყოყმანოდ გამოტრიალდა და უკან წამოვიდა.

იმავ წამს თავში ახალი გეგმა გაუჩნდა და დაუყოვნებლივ მის შესრულებას შეუდგა.

დიდხანს იარა და რამდენიმე დღის შემდეგ იფნისხევის ირგვლივ შემორკალულ შიშველ ქედს გადაღმა მხრიდან მოადგა.

ღამე ფერდობზე გაათია და დილით, მზე რომ ამოვიდა, ქედზე გადადგა. აქედან ბანაკი არ ჩანდა, მხოლოდ ულრანი ტყე ჩანდა. სამაგიეროდ, ბორცვზე ჩასაფრებული მეთვალყურე უეჭველად დაინახავდა. ზებულონსაც ეს უნდოდა. იმსიშორიდან თოფს ვერ მოაწვდენდნენ, ამიტომ, თუკი ქაიხოსრო ბატონიშვილს მართლა ჰყავდა ხალხი ჩასაფრებული ბანაკში, უნდა დადევნებოდნენ და ადრე თუ გვიან თავი გაეცათ.

მანამ იარა ქურანაზე ამხედრებულმა ქედ-ქედ, სანამ გამახვილებულ სმენას შორეული ხმა არ მოწვდა. მაშინ კი ისევ ქედს უკან გადავიდა, წინასწარ შეგუებული ერთი დაკბილული კლდის ძირას გაწვა და თავის მოთვალთვალეებს თავად დაუწყო თვალთვალი.

მას შემდეგ, რაც უზრუნველი ბალლობა და მშობლიური წყაროსთვალი უკან დარჩა და ცხოვრება დაუსრულებელ წანწალად და ხეტიალად ექცა, ერთადერთი ადგილი იფნისხევი იყო, სადაც შედარებით დიდი ხანი დაჰყო. ერთიერთმანეთზე ბარე თორმეტი წელიც გამოუვიდოდა. ამის გამო, ზოგჯერ, როდესაც სხვაგან მყოფს აქ ამოსვლა მოუხდებოდა, ასე ეგონა, შინ ბრუნდებოდა. ბოლოსდაბოლოს კი იმ ზომამდე შეეჩვია და შეეგუა, ბოლო ხანებში მაინც, რამდენჯერაც ამოსულა, იმდენჯერ მშობლიურობის სევდიანი გრძნობა მოსძალებია და გულს წყაროსთვალისკენ გაუწევია...

დიდხანს იწვა დაკბილული კლდის ძირას. მერე უეცრად, სწორედ იმ დროს, როდესაც კუდიან დედაბერს ის-ის იყო ჯადოსნური კვერთხი უნდა აექნია, თითქოს ძილში ხელი ჰკრესო, ერთბაშად გამოფხიზლდა. გაირინდა, სმენა დაძაბა. მაინც ვერ მიხვდა, საიდან ისმოდა ხმა. გაუკვირდა და ქედის წვერზე, პატარა, დაკბილული კლდის ძირას, მიწას ყური დაადო. ერთხანს ასე იყო, მერე თავი ასწია. გაკვირვე-

ბის ნაცვლად გულში ახლა სიამის წვეთები აწკაპუნდა და იგრძნო, რომ გატანჯულმა ღიმილმა სახეზეც კი გამოქონა. „კარგად დამიზრდია!“, გაუელვა გონებაში. ახლა ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ იფნისხევის ბანაკში მისი დაზრდილი ვაჟები ჩასაფრებოდნენ. სწორად მოეფიქრებინათ: შორიდან შემოევლოთ, რათა ქედის ორთავ მხარეს ერთდროულად დაშვებულიყვნენ და ორთავ მხრიდან ეყელათ. მხოლოდ ასე შეიძლებოდა სათოფე მანძილზე მიახლოება. სხვა რომ ყოფილიყო ზებულონის ადგილას, მიუახლოვდებოდნენ კიდეც და ძვირადაც დაუსვამდნენ ცოტა ხნის წინ ქედზე ყინჩად გადადგომას.

ზებულონი ქურანას მოახტა, თავქვე დაეშვა და, ვიდრე მდევარი მოწვდებოდა, გაღმა გაასწრო და ტყეს მისცა თავი.

ეს ბუნაგიც ამოუქოლეს და ტყეღრეში ყოფნას აიძულებენ!

განა რა ძნელი იყო! ტყეშიც გაძლებდა ზებულონი. თუმც კი ცოტა დაიღალა, მაინც გაძლებდა. დაღლილობას აჯობებდა და, როდემდეც უნდოდა, იქამდე დაიმალებოდა. მაგრამ მობეზრდა. რა მობეზრდა, კარგად ვერ გაეგო და ამიტომ დაასკვნა, ხეტიალი მომბეზრდაო.

„რაც არის, არის, წყაროსთვალში წავალ!“ გადაწყვიტა მტკიცედ და მერე ამაზე აღარ უფიქრია, მთელი თავისი ოღრო-ჩოღრო ცხოვრება, მთელი თავისი სატანჯველი, მთელი თავისი ცოდვები ზურგზე აიკიდა და ყრმობის ბილიკს დაადგა, რომლის ბოლოში, ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ, სიკვდილს უნდა შეყროდა.

დღისით ტყე-ტყე მიდიოდა, მხოლოდ ბნელ ღამეში თუ გაბედავდა გზაზე გამოსვლას.

იარა, იარა და ბოლოს უკანასკნელ მთას მიადგა. ამ მთის გადაღმა წყაროსთვალი იყო.

მთვარიანი ღამე იდგა და მთა ისე ჩანდა, თითქოს ვეება ნადირი უკანა ფეხებზე შემდგარიყო და ზებულონს მღვრიე მუქარით დასცქეროდა ზემოდან.

ეროვნული

ზებულონმა მშვიდად გაუსწორა თვალი ნადირს და ფერდობს შეუყვა.

ქურანა ისე წყნარად, ისე დანდობილად მიაბიჯებდა, ვითომ ის ძველი ქურანა ყოფილიყო, რომელმაც ზებულონი ოდესღაც წყაროსთვალიდან წამოიყვანა, და ხანგრძლივი წანწალის შემდეგ შინ ბრუნდებოდა.

უკანასკნელი აღმართიც რომ აათავა და მთაზე გადადგა, ზებულონი უეცრად, თავისდამოუღოდნელად, ისეთ რამეს მიხვდა, რასაც ვერავისგან გაიგებდა, ვერც იოველ ბატონიშვილისაგან, ვერც ქართლის კათალიკოსისაგან, ვერც ბექა ამილახვრისგან. ვერავისგან. ზებულონი მიხვდა, რომ ქაიხოსრო ბატონიშვილი განა მამისთვის იძიებდა შურს! ქაიხოსრო ბატონიშვილი შურს დედისთვის იძიებდა. თავად ეს არ იცოდა, მაგრამ ზებულონის ბედისწერამ ხომ იცოდა!

ასეთ შურისძიებას ზებულონი, აბა, სად უნდა დამალვოდა!..

ჯერ კიდევ ბნელოდა. ჯერ კიდევ არ გათენებულიყო.

ხევგალმა, დამრეც ფერდობზე შეფენილი პატარა სოფელი ბინდში იწვა და ღრმა ძილით ეძინა.

ზებულონი კი უკვე მოვიდა.

ნუთუ მართლა ეს იყო ცხოვრება?.. ნუთუ ზებულონი უბრალო ნაფოტი იყო აღელვებულ ზღვაში და ბედის ტალღები თავიანთ ნებაზე ათამაშებდნენ? ნუთუ მხოლოდ ბურთი იყო მობურთალთა ხელში?.. აკი, გონიერიაო, იოველ ბატონიშვილმა, და თუ ვინმე აანთებს წყაროსთვალში სწავლა-განათლების კელაპტარს, ეგ აანთებსო! აკი ძალაც დიდი ჰქონდა, სიმარჯვეც და მოხერხებაც! ნუთუ ძალა მხოლოდ იმისთვის მისცა ღმერთმა, რომ ვეება ლოდი, რომელსაც სხვა მის მეტი ვერავინ მოერეოდა, უსაშველო აღმართში ეთრია და ბედისწერის გამოქვაბულისთვის დაეცო, რათა იმ ლოდის სიმძიმე მერე მთელი სიცოცხლე ზურგით ეტარებინა!.. ნეტა ყველას ასე

უტრიალებს ცხოვრების ჩარხი, თუ მხოლოდ ზებულონი აირჩია განგებამ. მხოლოდ ზებულონს დაადგა თვალი?.. ბექა ამილახვარმა თქვა, შე ოტროველავ, განა, არ იცი, კაცი რომ იბადება, მარტო თავისთვის არ იბადებაო!.. ზებულონი, ჩანს, მარტო სხვათათვის დაიბადა, რადგან თავისი ყველაფერი წააგო. მას შემდეგ, რაც ბავშვობის ტკბილ ბურანს გამოსცდა, თავისთვის ერთი წამი არ უცხოვრია... განა ეწადა დაროაშვილების დახოცვა? მაგრამ დახოცა, ვინაიდან სოფელმა ჩუმი რისხვით უბრძანა, დახოცეო. განა წიგნი არ ერჩივნა ბრძოლას? მაგრამ ბრძოლაში დაალამა, ვინაიდან მანუჩარ ბატონიშვილმა უთხრა, ქვეყანას მეომარი სჭირდება და არა სწავლულიო. განა უნდოდა, ქვეყნიერებაზე სულ მარტო დარჩენილიყო, მაშინ, როცა სხვებს ოჯახები აქვთ, ფესვი და ძირი, საზრუნავი და საფიქრალი?.. აბა, ეხლა სინანული რაღა დროსია, თორემ ყველაფერი უკუღმა უკეთებია ზებულონს... არ უნდა დაეხოცა დაროაშვილები ზებულონს. ისახარს რაღას უშველიდა! სამაგიეროდ, დედა მაინც არ მოკვდებოდა ასე ჩქარა, ასე შეშუპებული და ასე გალურჯებული... უნდა მისულიყო იოველ ბატონიშვილთან ზებულონი. ვითომ რატომ არ მიიღებდა?.. ნესტანი არ უნდა დაეთმო ზებულონს. ვინ მისცა ქვეყანას იმის ნება, ყველაფერი წაგართვას და არაფერი დაგიტოვოს?!.. ან ზებულონს ვინ მისცა იმის ნება, ის, ვინც თავისი შიში, თავისი იმედი, თავისი სასოება დანდობლად ჩააბარა, ვისიმე ბრძანებით გაეწირა?..

დიდხანს იდგა ზებულონი მთის წვერზე, დიდხანს გაჰყურებდა მშობლიურ წყაროსთვალს, ბოლოს გზას გვერდი აუქცია, ტყისპირს გაუყვა და ზემოთ, სოფლის განაპირას, სასაფლაოს მიადგა.

ქურანა მარგილზე გამოაბა და სასაფლაოს ეზოში შევიდა.

ვინ იცის, ზებულონის არყოფნაში რამდენი ახალი საფლავი გაჩნდა წყაროსთვალის სასაფლაოზე! ვინ იცის, რამდენი ვინმე, ვინც ზებულონს ცოცხალი ახსოვს და ამიტომ ახლაც ცოცხალი ჰგონია, დიდი ხანია უკვე აქ არის და მარადიული ძილით სძინავს!..

ვიწრო ბილიკს გაუყვა საფლავებს შორის და მალე დიდ, ტანმაღალ ცაცხვს მიაღწია. აქ იყვნენ ორივენი დასაფლავებული, დედაცა და ისახარიც, ამ ცაცხვის გვერდით. ცაცხვის ფესვებზე და სქელ, კორძიან კანზე ზაფხულობით პატარა, მოწითალო, მრგვალი ჭიები დასუნსულებდნენ, რომელთა სახელი ზებულონმა ოდესღაც იცოდა, მაგრამ ახლა დავიწყებული ჰქონდა.

ხელები მკერდზე დაიკრიბა. სიბნელეს ნელ-ნელა შეაჩვია თვალი.

აქ წვანან ორივენი... ამათი წყალობაა, რომ ზებულონი ცხოვრების მრუდე გზაზე უამურ სიცოცხლეს დაათრევს და ვერასდიდებით თავი ვერ დააღწია... ფეხისგულებში ეკლები ჩხვლეტს, გულში ეკლები ჩხვლეტს, მთელ სხეულში ეკლები ჩხვლეტს და ეკლებში ვერაფერი იპოვა ისეთი, რომ ეკალი არ ყოფილიყო... ნეტა თუ გრძნობენ, ნეტა თუ ხვდებიან, რომ მრავალი წლის უთავბოლო ხეტიალის შემდეგ შვილი უკან დაბრუნდა და გულხელდაკრეფილი ახლა მათს საფლავებს დასცქერის?..

აღმოსავლეთით ცა ოდნავ შეწითლდა, ტოროლამ დილის საგალობელი შემოსძახა, არე-მარემ ნელ-ნელა იწყო სიბნელიდან გამოსვლა.

ზებულონმა თავი ასწია და ფერდობზე შეფენილ სოფელს გახედა. ჯერ მაინც ბინდ-ბუნდი იყო და სოფელიც, გაღმა-გამოღმა ფერდობიც, მდინარეც, ყველაფერი, სადაც ზებულონის ბალღობის კვალი იყო დარჩენილი, ისე ჩანდა, თითქოს ლიბრი გადაკვრიაო.

ისევ ჩაჰკიდა თავი და საფლავებს დააცქერდა. ესენი რომ არა, ზებულონიც არ იქნებოდა და არც ეს დაუსრულებელი წამება იქნებოდა. ოთხი შვილი კიდევ ეყოლათ ზებულონის შემდეგ და ოთხივენი პირველსავე კვირას დაიხოცნენ... მაშ, ზებულონის გა-

დარჩენა რაღა იყო? ზებულონის სიცოცხლე ვილას დასჭირდა? რატომ არ შეიძლებოდა, ზებულონიც პირველსავე კვირას მომკვდარიყო? მაშინ ხომ არც ამ საშინელ სიზმარს ნახავდა?..

უეცრად რაღაცამ გაიზუზუნა. ვიდრე ზუზუნი მიწყდებოდა, ზებულონმა იმის გაფიქრება მოასწრო, რომ ეს უბრალო ზუზუნი კი არა, ერთმანეთში არეული ზუზუნი იყო. მყისვე, თითქოს იმის დასტურად, რომ არ შემცდარა, ორთავ ბეჭებქვეშ ორი ისარი ერთდროულად ჩაერჭო.

ერთხანს გაუნძრევლად იდგა, გეგონებოდათ, რაღაცას ყურს უგდებს და რაღაცაზედ ფიქრობსო. მერე ნელა მიტრიალდა უკან. იმავ წამს კიდევ გაისმა ზუზუნი და ორი ისარი ახლა ორთავ ფერდში ჩაერჭო.

წამით მოიკუნტა და ისევ გაიმართა. ბოლომდე რომ გაიმართა, პირველად ის მოაგონდა, რისთვისაც დიდი ხანია ყურადღება აღარ მიუქცევია. მოაგონდა, რომ ტანად ძალიან დიდი იყო, ბეჭებიც ძალიან ფართო ჰქონდა. ამისი ყოველთვის ერცხვინებოდა, თითქოს სხვათა წინაშე რაღაც უნებლიე დანაშაული მიუძღოდა. ახლაც შერცხვა, იმავ წამს გაიფიქრა: „კიდევ კარგი..." და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაუკვირდა, ნეტა ეს რად გავიფიქრეო, მიხვდა, რომ, სანამ ამას გაიფიქრებდა, მანამ ის გაიფიქრა, ნეტა მოისარნი ვინ არიანო, და ეამა, რომ ვერავინ დაინახა. რომ დაენახა, ალბათ ჩვეულებრივ მკვლელებს დაინახავდა, ქურდულად ჩასაფრებულებს, მხდალებს, ლაჩრებს, ისეთებს, რამდენიმე დღის წინ რომ ნახა ტყეში, საყდარს ზემოთ... უეცრად ზებულონი მიხვდა, თუ რა მოჰგონებია მაშინ, იმ საბრალომ რომ თოფი დააგდო და ლაწა-ლუწით დაეშვა თავდაღმართში. თინია მოჰგონებია. თინიაც ასე გაიქცა ერთხელ. ფიჩხის კონა დააგდო და კისრისტეხით გაიქცა... ნეტა ასე რად ეშინოდათ ზებულონის?.. აქ ისევ გაახსენდა მოისრეები და ისევ ეამა, რომ ვერ დაინახა. რატომ ვერ დაინახა, ამას ვერ მიხვდა. ირგვლივ სასაფლაო იყო, სასაფლაოს მიღმა მინდორი. მაშ, სად იყვნენ დამალული?.. თუმცა ახლა სულ [illegible] მთავარია, ვერ დაინახა და, რაკი ვერ დაინახა, როგორსაც უნდა, ისეთს წარმოიდგენს. მის მიერ წარმოდგენილი კი უბრალო მკვლელი არ იქნება, ზღაპრული მკვლელი იქნება, რომელსაც, ვისაც კი ოდესმე გულში ზებულონის ჯავრი ჩაჰყოლია, ყველას სახე ერთად ექნება. დაროაშვილების, ისკანდერხანის, ლეკის ბიჭის, ქაიხოსრო ბატონიშვილის, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ვინმესი... იმ სიკვდილის სახე ექნება, რომელიც დაბადებითვე თან დაჰყვა ზებულონს, გვერდიდან არასოდეს მოსცილებია, მუდამ მუშტრის თვალით უმზერდა, უდამ ეზომებოდა და ეტოქებოდა, მაგრამ აქამდე პირისპირ შეჭიდება ვერ გაბედა... უცებ ზებულონმა გაუგებარი ბიძგი იგრძნო. მოეჩვენა, თითქოს რაღაც, რაც მისსავ სხეულში იყო და იმავ დროს უცნაური მანქანებით მთელ ქვეყნიერებასაც შემოჰკვროდა, დიდი ძალით გაქანდა უკან. ვერ მიმხვდარიყო, სად იყო ეს უკან, ან რას ნიშნავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც უკან მიექანებოდა, თითქოს სამყარო აიკეცა და დახვევა დაიწყო, ისე როგორც დიდ ნოხს აკეცავენ და დაახვევენ. და ეს სამყაროს ნოხი თავად ზებულონი იყო, ზებულონი იკეცებოდა და ეხვეოდა, ოღონდ ზებულონი ამავე დროს იმ ნოხის ერთი პაწაწკინტელა ძაფიც იყო და, საკუთარ თავში რომ ეხვეოდა, საკუთარი თავი რომ ირგვლივ მჭიდროდ ეკვროდა, სული შეეხუთა და იგრძნო, რომ შესაძლო იყო, ახლა ცნობა დაეკარგა. ცნობის დაკარგვის შიშმა თავში კვესივით გაჰკრა და ირგვლივ ნაპერწკლები გაჰყარა. ამან იხსნა ცნობის დაკარგვისაგან... ამ დროს მზეც ამოიწვერა და მშობლიურ სანახებს ბინდი ნისლივით გადააცალა. გადახედა ზებულონმა ახლადამოსული მზის გრილ, მეწამულ სხივებში გახვეულ სოფელს და პატარა, თეთრი ეკლესიის გუმბათზე კელაპტარი არ ენთო. კელაპტრის

ასანთებად ზებულონი იოველ ბატონიშვილის დიდ ტაძარში უნდა წასულიყო, იქ წასვლა კი შეუძლებელი შეიქნა, რადგან ისახარი, ზებულონი რომ იოველ ბატონიშვილის დიდ ტაძარში არ გაეშვა, დაროაშვილებს მოექვლევინა, რათა გამოქვაბულის ვიწრო ყელს ისეთი ლოდი დასცობოდა, რომლის დადება შეიძლებოდა, აღება კი არა... მერე სინათლე წავიდა და სიბნელე მოვიდა. და ზებულონი მიხვდა, რომ სიცოცხლე, გაუთავებელი სატანჯველი რომ ეგონა, სინამდვილეში მყისიერი და მოუხელთებელი რამ ყოფილა, როგორც მუგუზლიდან ავარდნილი ნაპერწკალი, რომელიც ერთი აკიაფდება ჰაერში და მაშინვე ისევ ჩაქრება. ეს ნაპერწკალი შურისძიებისაა, სიყვარულისა და სიკვდილისა და ზებულონის სიცოცხლეც სხვა არა ყოფილა რა, გარდა განუწყვეტელი, ყოველწამიერი შურისძიებისა, განუწყვეტელი, ყოველწამიერი სიყვარულისა და განუწყვეტელი, ყოველწამიერი სიკვდილისა...

...შმორის სუნით გაჟღენთილ ვიწრო და ბნელ ხვრელს რომ გასცდა და დიდ სინათლეში მოხვდა, ზებულონმა დაინახა ცისფერი სიკვდილი, რომელიც აყვავებული ნუშისა და ტყემლის თეთრ ტევრს გამოეყო, ჭრელ მინდორზე დაეშვა და მისკენ გამოეშურა. ყვავილები რომ არ გაეთელა, შიშველ ფეხებს მიწას არ აკარებდა, ისე მსუბუქად მოდიოდა, როგორც სიზმარში, და დამათრობელი ღიმილით იღიმებოდა. ასე ახლო ზებულონს სიკვდილი არასოდეს ენახა. მართალია, მთელი ცხოვრება მის გვერდით გაატარა, მუდამ ირგვლივ უტრიალებდა, როგორც ფარვანა ალს, საცა არ უნდა ყოფილიყო, ყველგან გრძნობდა მის საშიშსა და მომნუსხველ სუნთქვას, მაგრამ პირისპირ არასოდეს შეჰყრია. ახლა კი თვალებში შესცქეროდნენ ერთმანეთს და მათს მზერას ველარაფერი გათიშავდა, რადგან შერწყმის სურვილი ორთავეს გარდაუვალი ძალით ეწეოდა ერთმანეთისკენ... მოდიოდა ჭრელ მინდორზე ცისფერი სიკვდილი, ხელებგაშლილი მოიჩქაროდა ზებულონისაკენ და მისი დამათრობელი ღიმილი ირგვლივ უსხეულო და უხილავ სხივებად ილვრებოდა. ზებულონს, რომელიც ნელ-ნელა იხსნებოდა ამ საკვირველი ღიმილის ელვარე სითბოში, ახლა ისლა უკვირდა, რომ სიკვდილს ცისფერი წამოსასხამი ესხა, ცისფერი პირბადე ეფარა და ცისფერი პირბადის უკან, თეთრ სახეზე, სათნოების უცხო ნათელი გადასდიოდა. ამის დანახვაზე გაიფიქრა, ეგებ ყველას თავისი საკუთარი სიკვდილი ჰყავს და, ჟამი რომ დაჰკრავს, ის საკუთარი სიკვდილი ეწვევაო, ხოლო როცა სიკვდილი სულ ახლო, ხელის გაწვდენის მანძილზე, ერთბაშად შედგა და მისმა მანათობელმა ღიმილმა ზებულონის გულშიც აანთო შუქი, რომელიც სწრაფად გაიზარდა, მთელი სხეული აუვსო, ყველა კუთხე-კუნჭულში შეაღწია და ბოლოს სიკვდილის მომნუსხველი ღიმილისაკენ დაიძრა, რათა მათი შერწყმით სამყაროში განუყოფელი სიმშვიდე დამკვიდრებულიყო, ზებულონმა მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით გაუბედავად იკითხა: „შენა ხარ, ბატონის ქალო?“, მაგრამ თავისი ხმა ვერ გაიგონა და ამიტომ ვერც ის გაიგო, მართლა იკითხა თუ არა...

ახლა ისინი — სიკვდილი და ზებულონი — სადღაც, ძალიან მაღლა, ცის თალთან ეკიდნენ ერთიმეორის პირისპირ. შუაში მცირე ნაპრალიღა იყო დარჩენილი და, რაწამს ზებულონმა იმ ნაპრალში გადაიხედა, ნაპრალმა მყისვე პირი შეიკრა და ცისფერი სიკვდილის ფაფუკი მკლავები ზებულონს რბილად, ნაზად, სათუთად შემოეხვია, როგორც წმინდა და აუმღვრეველი სიყვარული, რომელშიაც სიყვარულის მეტი სხვა არაფერი ურევია...

ირგვლივ ყოველივე ისე კაშკაშებდა, თვალით აღარა იხედებოდა რა, და ამის გამო ზებულონი ვერ მიხვდა, სინათლე იყო ეს თუ სიბნელე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### გივი ალხაზიშვილი

## სიტყვების მოლოდინი

### 1. გარდასახვა

ის გაქრა თვალწინ,
თითქოს ჰაერში გაუჩინარდა,
თითქოს ტყეებმა და ველ-მინდვრებმა
წვეთწვეთობით დაინაწილეს
და იგი ახლა ყველგან არის,
ყველაფერშია.

მისი მკლავები ვენახებმა აღმოაცენეს,
ბაგეები კი ვარდის კოკრებმა,
ხოლო ღიმილი
მზის წვეთივით დაეცა ბალახს.

ნეტავ თვალები სადღა არის,
იმ თვალების ნაღვლიანი
სივრცე სად გაქრა?!

თვალები ხსოვნის საკუთრებაა
და ხსოვნა სხვისი თვალებით გვიმზერს.

მისი სიტყვები ნათდებიან
ვარსკვლავებივით,
სიტყვებს ხმოვნები ანათებენ,
როგორც ცვარი ანათებს ბალახს.

და ფაქიზდება დროებით სული,
ვიდრე მოესმის ნაბიჯების ხმა
ახლად ჩავლილ გარდაცვალების
და ვიდრე კაცი დაუბრუნდება
შეჩვეულ განრიგს
და ყოველდღიურ გულგრილობას
ჩაეკირება.

ის გაქრა თვალწინ
და ჩვენში დარჩა...

ის ჩვენს ხსოვნაში დაიმალა
და მარტოოდენ თვალებისთვის
გაუჩინარდა.

ვერ ვხედავთ,
მაგრამ ჩვენში არსებობს იგი,
როგორც ხეებში მძინარე ცეცხლი,
როგორც სიტყვებში სიბრძნე და
თრთოლვა
უხილავისა,
ვინც ჩვენ სიტყვები გაგვაგონა
თავდაპირველად
და გაგვინათა თვალსაწიერი.

მისი ხმა ჩვენში მეორდება
მწუხარებისას
და ხსოვნის ფესვებს —
თითქმის გამომშრალს,
მისი ცრემლები ალბობენ ღამით.

### 2. დაბადება

აღმოუჩენელო სიმღერებო,
მიუკვლეველო სიტყვებო,
ცრემლის წვეთში
ჩაკარგულო სახეებო,
რად დაგივიწყეს ადამიანებმა —
გულგრილობის ბეჩავმა ტყვეებმა?!

რატომ ისწრაფი
მიუკვლეველ სიტყვებისაკენ
და ყოველ დილით

გასაფრენად ფრთებს რად ისწორებ?!
ისევ გაივლის ხანმოკლე დღე
და მერამდენედ —
თავის ბნელ ლოგინს
გაგიშლის ღამე.

ღამე — ოქროსმაძიებელი,
ღამე — წყვდიადის გადამდნობი
ალქიმიკოსი,
ის თავის თავში იხარშება,
რომ სიბნელეში
ოქროს წვეთები ვარსკვლავებად
ამოაბრწყინოს.

შენც ხომ ღამეში იხარშები
და ყოველ დილით გიხარია,
რომ სიცოცხლე ისევ გაჩუქეს.

მხოლოდ თვალები ღრმავდებიან
თანდათანობით
და ეგ სიღრმე ღამის სიღრმეა.

დღეს მერამდენედ დაიბადე?
აღარც კი გახსოვს.
თვალი მოავლე მყუდრო ოთახს,
სარკეებში მზის დროშის ფრიალს
და ახლადწათლილ ფერად ფანქრებს—
ყვავილების კოკრებივით
გალიმებულებს...

გაზაფხულმა ოთახებშიც შემოიხედა
და საგნებიც აიყოლია.
ყველაფერი ხომ ჩვენშია და
სამყაროშია.

## 3. ფესვი

ვინ იყო იგი,
ის, ვინც ფესვი ჩატოვა შენში?!
ის ფესვი წლებმა ვერ ამოძირკვეს,
იმ ფესვიდან შენ აღმოცენდი?
მან გაახილა შენი თვალები,
ათასწლეულთა სიშორიდან გამოიხედა.

იცდიან მიუკვლეველი სიტყვები,
იცდიან აღმოუჩენელი სიმღერები,
იცდიან მარცვლებში,
იცდიან ფესვებში,
იცდიან ძარღვებში
და თავის დროს ელოდებიან.

## 4. მოთმინება

აღარც კი გახსოვს
დღეს მერამდენედ გარდაიცვალე
და დაღამებულ
დღესთან ერთად გაუჩინარდი.

შენც წვეთწვეთობით გინაწილებენ,
დღესაც მიაქვს,
ღამესაც მიაქვს,
გზასაც მიაქვს
და ძილსაც მიაქვს,
და მარტოოდენ გონების თვალი,
ილუზია რომ დიდი ხნის წინ დაასამარა,
მდუმარედ გაჩვევს
მოთმინების უმკაცრეს წუთებს.

შლის ნაფეხური ნაფეხურებს
და სიტყვა სიტყვებს,
ღიმილი ცრემლებს მალავს,
რომ სხვებმა არ დაგინახონ.

კი, შებრალებამ მიჩვევა იცის,
ნუ მიეჩვევი,
თორემ მერე, რაღა აზრი აქვს
ვისი მონა ხარ —
სიბრალულის თუ სისასტიკის.

## 5. სიტყვების ძიება

როგორც უძველეს ფრესკებზე
წაფარებული კირის თეთრი სიცივე,
როგორც ქალაქი ქალაქის ქვეშ —
მიწის წყვდიადში,
შენში სიტყვები იმალებიან
და თავის დროს ელოდებიან.

ჯერ კი დღედაღამ უნდა იბრძოლო,
რომ სიტყვას ბინდი შემოაცილო,
რომ სიტყვას ღვარძლი გამოარიდო,
იპოვო სიტყვა სხივთა შემკრები.

შენ მუდამ შენში უნდა იხარშო
და გაშმაგებულ ტალღასავით
შენს გულს შეასკდე,
უნდა ეძებო

შენ სიტყვები მიუკვლეველი,
უნდა ეძებო იმ ლოდებივით —
უთვალავ წელს ზღვამ რომ ათრია
და ხავსიანი ენებით ლოკა,
ქაფმორეული ტალღებით ქლიბა
და დაუბრუნა ძველისძველ ნაპირს
უხანგრძლივესი შრომის შედეგი —
უთვალავი ფერადი კენჭი.

დიახ, ფერადი კენჭები
გაქვავებული სიტყვებია,
საუკუნეებად დაქუცმაცებული დროა.

აი, შემოქმედი ზღვის
მარადცვალებადი მოზაიკა.

აი, კენჭებზე აღბეჭდილია
ზღვის გულისცემის ყოველი წამი,
მღელვარებაც და წყნარი ლივლივიც,
მზის სიკაშკაშეც
და ვარსკვლავების ნაზი წვეთებიც,
თევზის თვალები
და დროის მიერ ამოკაწრული
უთვალავი იეროგლიფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გახვრეტილი ლამაზი კენჭი
ბედნიერების სიმბოლოა,
რადგანაც იგი
მუდამ ორ სივრცეს აერთიანებს.

## 6. ტრადიციული სწრაფვა

შუაღამისას,
თავს რომ დადებ ბალიშზე და
ფაირინდები,
თვალს მოუხუჭავ მონატრებულ ძილს,
რომ მიიტყუო,
ილვიძებს ფესვი,
ის შენში ახელს ვნებიან თვალებს
და იგი ეძებს მეორე სივრცეს,
სხვა სამყაროში რომ გააღწიოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მირიან მირნელი

* * *

ხე ისე ვის მოუჭრია,
ზედ ჩიტი იჯდეს?...
. . . . .
მომცელე,
ძალლიშვილო:
აქ ვზი,
ჩიტი ვარ პაწია —
ცასწავალა!

* * *

ხომ ლამაზია,
როცა შემოდგომის მიწურულს
ჭალაროსანი ხეებიდან
ყვითელ-ყვითელი
ფოთლები მოფრიალებენ,
მერმე თავზე დაგფრთხიალებენ
სიოს ფრთებზე მობარბაცე
პეპლებივით,
ანდა
მხრებზე გვასკუპდებიან
მუქთა ჯინჯილებივით —
ხომ ლამაზია?...
მაგრამ, ღმერთო, შეგვცოდე:
რექვიემი უნდა დამეკრა.

* * *

ეს გაზაფხულიც მოვიდა,
კაფიაობა მომინდა,
კმა მაინც არ ვარ, უფალო,
მე ჩემის წუთისოფლითა:
აი, მოფრინდნენ მერცხლები...
ყველა არც ახლა მოფრინდა!

* * *

ვიტყვი —
ბრძენკაცებს დავესესხები
და ღმერთი თვითონ გამასამართლებს:
სადაც სიკეთეს უდგას ფესვები,
იქვე ბოროტის არის სავანე,
თუმცა
თვითონ მე
ერთ ბუდეშიაც
მათი ბარტყები
ხშირად შემშლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ერთხელ —
ერთი დღე —
მუქთახორობა კი არა,
მუქთაყოფნა ვცადე:
ვნახო რა ხილია-მეთქი,
გარნა მზეს ისე გაუგრძელდა
გზა და ცა
ზღვის დასალიერამდე...
ასე ჩქარა ჩემი სანთელი
ჯერ არ დამწვარა.

* * *

არ გათენდა! თავის ქსელს
    ქსოვდა მყოვარ ობობა,
მთელი ღამე კიოდა
    ტყეში ქარი ბებერი,
ბოლოს მაინც მოვიდა
    ჭრელი მცირეთოვლობა, —
ვაი, სად დამეკარგა
    შუშა მადიდებელი? —

ცათა სავარსკვლავოდან,
    ცათა თეთრი ხომლიდან
დიდთოვლობას ველოდი,
    მცირე რატომ მოვიდა? —

აი, სასოს გრძნეულის
    უცებ უარმყოფელი
ისევ ლილო დუმილი
    იჭყიტება სუროდან:
რახანია მომბეზრდა
    ჭრელა-ჭრულა სოფელი,
რახანია მომწყურდა
    თეთრი უსასრულობა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ გოგია

# ლ ა ხ ტ ი

მოთხრობა

ივლისის თაკარა დღე უძრავად ჰკიდია გავარვარებულ ჰაერში. ბავშვის უმანკო თვალებივით მოკრიალებულ ცის თაღზე ღრუბლის ფთილასაც ვერ მოკრავ თვალს. ჯარისკაცებს სამხედრო გიმნასტურები შეყვითლებულ მოლზე გვიფენია და ზედ წამოწოლილნი მზეს ვეფიცხებით.

კვირა დღეა, ყველაზე მოსაწყენი დღე ნაწილში დარჩენილი ჯარისკაცებისათვის. საღამომდე რა გაძლებს, თორემ ვახშმის შემდეგ კინო-ფილმს მოიტანენ და ცოტას გაერთობი მაინც. გუშინ რამდენი არ ვეხვეწეთ პროპორშჩიკ ჩორბას, ასმეთაურისათვის რამენაირად საშვი ეთხოვა ჩვენთვის და ოცეულის ბიჭებს ქალაქში გვესეირნა, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. გასულ კვირასაც მივქარე რომ გაგიშვითო, კაპიტან ანდრეევს ვუთხარი, მუზეუმის დასათვალიერებლად მიდიან მეთქი, თქვენ კი ვოლგაში ჰყუმპალაობდით და პლაჟზე გოგოებს ელლაბუცებოდითო. ვემუდარეთ, ვეჩიჩინეთ, ხან საიდან შემოვუარეთ და ხან საიდან დანილოვმა ისიც კი უთხრა, შვებულებაში რომ წავალ, ხუთ კილო „ობლას“ გამოგიგზავნიო ასტრახანიდან (ხმელი თევზი პროპორშჩიკის აქილევსის ქუსლია!), მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. ჩვენ კიდევ კაპიტან ანდრეევს ვერ გავუბედეთ თქმა, ვიცოდით მისი მკაცრი ხასიათი. მისი ცხოვრების ძირითად არსს სამხედრო წესდების დაცვა და დისციპლინა წარმოადგენდა მხოლოდ. ჯერ ოცდახუთისა არ იყო და უკვე კაპიტნის წოდებას ატარებდა, მოკლედ, იგი ნამდვილ ჯარისკაცად იყო დაბადებული. მიუხედავად მკაცრი ხასიათისა, ასეულში ყველას გვიყვარდა და პატივსა ვცემდით. დილით, საძწყობრო სვლის გასინჯვაზე როცა დაგვაყენებდა, ერთს გადმოგვავლებდა თვალს და თავისებურად შეგვაგულიანებდა:

— ბაბა, არწივებო, ვაჩვენოთ კლასი ბატალიონის მეთაურს!

გაგვიძლვებოდა წინ გამართული სამწყობრო ნაბიჯით და ჩვენც „ნე პლაჩ დევჩონკას“ ღრიალით ავუწყობდით ფეხს.

გასულ კვირას მართლაც მუზეუმის დასათვალიერებლად გაგვიყვანა ნაწილიდან პროპორშჩიკმა. ქალაქში მარტო დაგვყარა და თვითონ პაემანზე გაიქცა. ოცეული მე ჩამაბარა და მითხრა: როგორც კი მუზეუმს დაათვალიერებთ, შინისაკენ მოუსვითო. ბიჭებმა პირობა მივეცით, მაგრამ გაგიგონია?! ვოლგის სანაპიროზე წამოკოტრიალებულ ნახევრადშიშველ გოგონებს რომ მოვკარით თვალი, ისე დაგვაჭირა მზემ, მუზეუმიც გადაგვავიწყდა და მიცემუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი პირობაც. დაბინდებამდე პლაჟზე ვინებივრეთ, მერე გოგონებს გავყევით. პარკში საღამოს ცეკვებზე. ნაწილში გვიან მისულებს კაპიტანმა სამზარეულოში გვიკრა თავი და შუაღამემდე ძირგამომწვარი ქვაბები გვახეხინა.

ვწევართ ახლა მოლზე წრიულად, გვირილას ფურცლებივით და მწველი სხივებით ვიმუხტებით. მე და მოროზოვს (იგივე „ფილოსოფოსა") ჭადრაკის დაფა გვიდევს წინ და ჟურნალიდან ამოხეულ ფურცელზე დაბეჭდილ რომელიღაც ეტიუდს ვარჩევთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის, ვერა და ვერ აშამათებენ თეთრები მოწინააღმდეგის მეფეს სამ სვლაში.

ალამბეკ დაშაევს (ბიჭებმა თავიდანვე „დარეხვილად" მონათლეს) ამ ერთი კვირის წინ კაჭკაჭის ბახალა აჩუქა ვილაცამ. „ფილოსოფოსამ" უთხრა, თუ კარგა გაწვრთნი, თუთიყუშივით დაიწყებს ლაპარაკსო, და შეგვიკლა მას შემდეგ ამ ვირიშვილმა ხელში ცალკე ჩვენ და ცალკე კაჭკაჭი. ახლაც სიცხისაგან მისავათებული ფრინველი მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე მიუბამს ბაწრით და მთელი მონდომებით ჩასძახის საკუთარ სახელს.

— ე, ბიჭო, ხომ ხედავ არ სიამოვნებს შენი სახელის გაგონება! — ეუბნება გალიზიანებული დანილოვი.

— ხელს ნუ გვიშლით! — დინჯად პასუხობს დაშაევი.

— მე იმისი ცოლი და დედა, ვინც შენ ეგ გაჩუქა! — ველარ იტანს დაშაევის დამშვიდებულ სიფათს დანილოვი და გვერდს იცვლის.

— ალამბეკ, ალამბეკ, ალამბეკ!... — ჯინაზე ხმამაღლა იმეორებს ჩეჩენი და თვალებში შეჰყურებს ფრინველს.

— დაშაევ, — მზრუნველი ხმით ურჩევს დვორეცკი, — ეტყობა უჭირს სახელის წარმოთქმა. იქნება გვარზე გეცადა?

ალამბეკმა იჭვით გადახედა, ხომ არ დამცინისო და მერე „ფილოსოფოსას" მიუბრუნდა:

— მოროზოვ, მართალს ამბობს დვორეცკი?

— რაო! — თავი ასწია მოროზოვმა და თითით სათვალე შეისწორა.

— აი, კაჭკაჭზე... გვარს უფრო დაიმახსოვრებსო!

— არა! არა! — პათეტიკურად უპასუხა „ფილოსოფოსამ", — მოთმინება, მოთმინება და მხოლოდ მოთმინებაა საჭირო მიზნის მისაღწევად.

— როდემდე მერე? — სახე შეუფიქრიანდა ჩეჩენს.

— ბოლომდე!

— გატყუებენ, შე დარეხვილო! — თავი ველარ შეიკავა დანილოვმა და ახლა მოროზოვს ეცა, — რა გააჭირე საქმე მაგ შენი ფილოსოფიით, ვერ ატყობ ამ დარეხვილს ყველაფერი რომ სჯერა?! გადაიყვანე მაშინ და შენს გვერდით დააწვინე საწოლზე, ბიჭოს!... ეს ერთი კვირაა ძილი და მოსვენება აღარა მაქვს მაგისაგან. შუაღამისას გადმომაქაჩვინებს თვალებს ეს ვირიშვილი და მეუბნება: გაიგონე, ჩემმა კაჭკაჭმა სახელი რომ დამიძახაო...

ბიჭებს ხარხარი აგვიტყდა.

— იცინეთ, იცინეთ, ჰო!... მე კიდევ კარადის უჯრა ვერ გამომიღია შიშისაგან. კბილის ჯაგრისი, პასტა და საპონი სულ ამ შობელძაღლი ბარტყისაგანაა დასკინტლული... ერთხელაც ავდგები და მაგ კაჭკაჭს კისერს წავაწყვეტ!

— ჰოო? — მუქარით ჩაიცინა დაშაევმა, — წააწყვეტ და მეც თავს წაგაწყვეტ.

— ოი, ვინც შენ საგიჟეთის მაგივრად ჯარში წამოგიყვანა, იმისი დედა ვატირე მე! — იგინება დანილოვი და მუშტს ურტყამს მიწაზე.

უცბად კაჭკაჭმა მთელი ხმით დაიჩხავლა და უნებურად ყველას ყურადღება მიიქცია. ჩეჩენს ალტაცებისაგან თვალები აუციმციმდა.

— აბა, ჰე, მიდი, მიდი! — შეაგულიანა ფრინველი გახარებულმა — დაუმტკიცე ერთი ამ ვირისთავ დანილოვს, რომ მართლაც უტვინო არა ხარ!...

ბარტყმა დაამტკიცა თავისი „გენიოსობა" — უკანალი ასწია და ზედ ხელისგულზე დაასკინტლა მწვრთნელს.

— უხ, შენი! — შეუკურთხა ალამბეკმა და გასვრილი ხელი ბალახზე შეიწმინდა.

ბიჭები ერთმანეთს შევასკდით. დანილოვი ზურგზე ამოტრიალდა და ისეთი ხარხარი ატეხა, ვიფიქრე, საცაა გაიფხრიწება მეთქი. დაშაევი თავის მოლაპარაკე კაჰკაჰიანად ყაზარმისაკენ გაიძურწა.

როგორც იქნა, დავწყნარდით.

—მოკლავს საწყალ ბარტყს! — სერიოზული ხმით წარმოთქვა უზბეკმა ახმედოვმა.

— ოღონდ მაგ დღეს მოვესწრებოდე და!... — თვალები საკუთარ შუბლს მიაჭირა დანილოვმა.

ეტიუდების გარჩევა მოგვწყინდა. ზურგზე ამოვტრიალდი. ელვარე ბურთს მივაჩერდი თვალმოჭუტული. ყველა დუმდა. ივან ბოტუხი, ყველაზე ტანდაბალი ბიჭი ასეულში და მგონი მთელს ბატალიონშიც, რაღაც უკბილო ანეგდოტს მოჰყვა. არავის გაცინებია. აიუპოვმა გვერდულად გადაულაპარაკა:

— ეი, მოკლე, როცა არა გაქვს მოყოლის შნო, მოკეტე მაინც!

—მე თქვენი გულისათვის მოვყევი, იქნებ გავამხიარულო ბიჭები მეთქი, თორემ, თუ არ გინდათ, თქვენი ჭკუაც!...

— უმისამართოდ ნუ იგინები, თორემ ჩამოგილეწ ჩანები! — შეუღრინა დანილოვმა.

ისევ სიჩუმე.

სადილობამდე მთელი სამი საათია. რა გავაკეთოთ, აღარ ვიცით. პროპორშჩიკმა ბურთიც არ მოგვცა, ცოტა რომ შეგვექცია თავი.

— ქართველო! — ეს დვორეცკია, — მოიფიქრე ჭკვიანური რამ!

— რა მოვიფიქრო!

— აბა, ასე ვეყაროთ გოჭებივით?! მოგვიყევი მაინც რაიმე საინტერესო.

— საქართველოს ისტორია არ მოუყვე ოღონდ! — წინდაწინ გამაფრთხილა დანილოვმა, — უკვე დაზეპირებული მაქვს.

გამეცინა და გვერდი ვიბრუნე.

— აბა სტეპკა რაზინზე მოგიყვებით!

— მაგი უშენოდაც ვიცით! — ზანტად წარმოთქვა დანილოვმა, შემხმარი ბალახის ღერო მოგლიჯა და მთვლემარე ახმედოვს ბიბილოზე აუსვ-დაუსვა. ახმედოვი დაფეთებული წამოვარდა, თან ცალი ხელით ყურს იბერტყავდა. დანილოვის ხელში ბალახი რომ დაინახა, არც აცია, არც აცხელა და ამ უკანასკნელს უკანალზე გვერდით დაგდებული ქამარი გადაუჭირა.

— მოვკვდი შე......! — დაიკლაკნა დანილოვი და ქამრის ბოლოზე ხელი უტაცა, — შენ რა, დაიცენტრე? თუ ხუმრობა არ იცი!

— მეც გეხუმრე! — გაუკრიჭა ახმედოვმა და ისევ წამოწვა.

— დაისიცხა ეს ხალხი, ძმაო! — სახე დაემანჭა დანილოვს და დაშავებულ ადგილზე ხელი მოისვა.

ამ ამბავმა უცბად გონებაში მივიწყებული მოგონება ამოატივტივა და წამოვიწიე.

— მოდი, ბიჭებო, ლახტი ვითამაშოთ!

ყველამ ჩემსკენ შემოაბრუნა თავი.

— რაო, რა ვითამაშოთო? — გაოცებული შემეკითხა მოროზოვი.

— ლახტი, არის ასეთი თამაში, ქამრებით!

— ქამრებით? — ცალი თვალი მოწკურა დანილოვმა, — ქამრები რა საჭიროა!

— სწორედ რომ საჭიროა. მისმინეთ და ახლავე აგიხსნით. — წარმოვთქვი და ბიჭების ცხვირწინ წრე შემოვავლე თითით, — გავიყოთ ორ ჯგუფად, შერე კენჭსა ვყრით და რომელ ჯგუფსაც მოუწევს წრეში ჩადგომა, ყოველი მათგანი წრეხაზის გასწვრივ განლაგდება და თავის წინ დადებულ ქამრებს დაუწყებს დარაჯობას. წრეხაზის გარეთ დარჩენილები ცდილობენ მოწინააღმდეგეს ქამრები წაართვან, თან ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან თუ ქამრის დარაჯმა მოსწრო და წრიდან გამოუსვლელად თავის ფეხი ფეხზე დაადგა, მაშინ ეს უკანასკნელი „დაჭრილად“ ითვლება და ახლა მასთან ერთად მის ამხანაგებს მოუწევთ წრეში ჩადგომა...

ბიჭები ცნობისმოყვარედ მისმენდნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ჩემი ხელების მოძრაობას. ვცდილობდი, რაც შეიძლება დაწვრილებით ამეხსნა ლახტის წესები, თუმცა ბევრი ასახსნელი და თავისსამტვრევი აქ არაფერი იყო.

— ვთქვათ და ყველა ქამარი წავართვით ისე, რომ არ დავიჭერით, მერე რა უნდა ვქნათ? — ქვემოდან ამომხედა დანილოვმა.

— რა და უნდა ვურტყათ ქამრები მოწინააღმდეგეს, ოღონდ წელს ქვემოთ!

— უკანალზეც? — სახე მოეღრიცა დანილოვს.

გამეცინა.

— ჰო, უკანალზეც!

— მაშინ მე „პასი"... მოიგონებ შენც კიდევ რა... იჰ!

— სხვათა შორის ლახტი ქალაჩუნებისათვის არაა მოგონილი. თუ ვინმე თამაშს თვითნებურად გამოეთიშება, ჯარიმის სახით სამჯერ უნდა შემოვცხოთ ქამარი.

— ჭკუის კოლოფო, ამსისქე ქამარი რომ მოხვდეს ვინმეს, ხომ მიაბარა სული ალაჰს!

ზემოთ ავიხედეთ.

ჩეჩენი წამოგვდგომოდა თავზე შეუმჩნევლად და თურმე ყურს გვიგდებდა.

— კაჭკაჭი რა უყავი, მაესტრო! — შეჰლიმა დანილოვმა.

— დისციპლინის დარღვევისათვის ჰაუპტვახტში ჩავკეტე ორი დღით! — სერიოზულად წარმოთქვა ალამბეკმა.

დანილოვის გარდა ყველას სიცილი აგვიტყდა.

— შე ვირიშვილო, იმ უჯრას ფანერის ნაჭერი მაინც ჩააჭედე შუაში და შენს ნახევარში კაჭკაჭი კი არა, თუ გინდა ბეჰემოტი ჩაამწყვდიე...

— მართლაც, ზურაბ, — მომიბრუნდა ახმედოვი, — ეს ქამრები სულს ამოხდის ადამიანს.

— შარვალზე ხომ ყველასა გვაქვს ბრეზენტის უაბზინდო ქამრები, ეგენი ვიხმაროთ. წელზე კი მაგათ მაგივრად ეს უხეში ქამრები შემოირტყით, შარვლები რომ არ ჩაგძვრეთ.

— ჰო, ასე შეიძლება!

— აბა, ვისაც გინდათ, წამოდექით!

დანილოვი არ განძრეულა მხოლოდ.

— ასტრახანელო, შეგეშინდა? — დაცინვით გადაულაპარაკა ჩეჩენმა.

— შემეშინდა? ჰმ... არაფრისაც არ შემეშინდა, ცოტა ცხელა თორემ...

— ადე, ჰო, ნუ ინაზები...

— ქართველო, იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ ეს ბატისტვინა ჩეჩენი და ახმედოვი ჩემს მოწინააღმდეგე ჯგუფში იქნებიან, ერთი მინდა ორივეს გემოიანად ავუჭრელო საჯდომი! — მითხრა დანილოვმა.

— ვნახოთ, ვინ ვის! — დაემუქრა ახმედოვი.

არჩევანი მე და დვორეცკიმ დავიწყეთ. დანილოვი, „ფილოსოფოსა", ბოტუხი და ვართანიანი ჩემთან მოხვდნენ, ხოლო ჩეჩენი, ახმედოვი, მინკო და აიუპოვი — დვორეცკისთან.

ადგილი აბანოს უკან, მწვანე მინდორზე შევარჩიეთ. სახანძრო დაფიდან წერაქვი ჩამოვხსენით და იმით შემოვხაზეთ წრე, რადგან სხვა ვერაფერით დავამჩნიეთ კვალი ბალახით დაფარულ მიწას.

კენჭი ვყარეთ. წრეში დვორეცკის ხალხს მოუწია ჩადგომა.

ქამრები წინ დაიწყვეს და... გაჩაღდა ლახტი.

თავიდან ათას კითხვას მაყრიდნენ აქეთ-იქიდან.

მერე და მერე ალღო აუღეს თამაშს და თანდათან ეშხში შევიდნენ.

პირველ ხელზე ადვილად დავითრიეთ ქამრები და ქორებივით დავერიეთ. დანილოვი მთლად გადაირია, ეს რა მოიგონეო, ამდენხანს სად იყავი, ამ ჩეჩენის ჯავრი რომ მეყარაო და ა. შ.

წრის შიგნით მყოფნი დამფრთხალი წიწილებივით აწყდებოდნენ აქეთ-იქით. ზოგიერთები თავს ვერ იკავებდნენ და გარეთ გამორბოდნენ. აი მაშინ კი ატყდებოდა ხოლმე ქამრების ზუზუნი და სიცილ-ხარხარი.

— ნუ გეშინიათ, ნუ! — ვუყვიროდი

გარედან, — შუაგულში შედით და ზურგით მიეყრდენით ერთმანეთს... ასე.

— ჭკუის კოლოფო, გირჩევნია ის მითხრა, მოწინააღმდეგის ხელით დაჭერა თუ შეიძლება! — გამომძახა დაშაევმა და თან გამწარებით იზელდა ნაქამრევ ადგილებს.

— როგორ არ შეიძლება! თუ მოახერხეთ, სტაცეთ ხელი და შეათრიეთ შიგნით.

— აბა, მოვიდა სტეპკა რაზინი! — დასჭყივლა უცბად სახეაჭარხლებულმა დანილოვმა და ისეთი უსუსხა ახმედოვს, რომ მგონი ერთიანად ამოიყარა წელანდელი ჯავრი.

— უჰ, შენი!... შესძახა უზბეკმა და მე გამომხედა, — გინება შეიძლება უფროსო?

— არა, გინებაზე ჯარიმაა! — გავაფრთხილე სიცილით.

უცებ ჩეჩენმა შიგნით შევარდნილ დანილოვს უგანა და კვანტი გამოსდო. დანილოვმა ხელები ზე აიქნია და მიწაზე გაიშხლართა. ყველა ზედ მიცვივდა.

— დაიჭრა, დაიჭრა! — აყვირდნენ ერთხმად და ჩექმები მტვრიანი ლანჩებით ამოუგანგლეს.

— *ასე იცის მეტისმეტმა სითამამემ!* — დააფილოსოფა მოროზოვმა და ქეჩოში წამოუთაქა.

დარცხვენილი დანილოვი ფეხზე წამოდგა.

— გული ხომ მოვიოხე და...

— ბედოვლათო, ჩვენ რაღას გვერჩოდი. ახლა შენი გულისათვის ჩვენც ხომ უნდა მოგხვდეს! — უსაყვედურა ვართანიანმა.

— არა უშავს, ბიჭებო, ნუ გეშინიათ, — დავამშვიდე ჩემიანები — ქამრის გემო ერთხელ თუ მაინც არ იწვნიეთ, ისე რა ფასი აქვს ამ თამაშს.

წრეში ჩავდექით და ქამრები გავაწყეთ...

ყველას მოეწონა ლახტი. მალე გულშემატკივრებიც შეგროვდნენ და გაოცებული გვიმზერდნენ, რას ჩადის ეს ხალხიო.

პირველად ტანდაბალი ბოტუხი დაიბრიყვეს და ქამარი აალეწეს. ერთიორი მისცხეს კიდეც და დამფრთხალი ვიტია ჩემსკენ გამოიქცა.

— მიდი, „ფილოსოფოსას“ მიეხმარე, მე არ მჭირდები!

ბიჭები ყოჩაღად იყვნენ. სხვას ვერა და ვერ წაგლიჯეს ქამარი. დვორეცკი ბოტუხისაგან გატაცებულ ქამარს ჰაერში აზუზუნებდა, ჩემს შეშინებას ცდილობდა, მაგრამ ვერ მივართვი. რამდენჯერმე ფეხებზეც შემომარტყა, არც ისე მტკივნეული იყო, მითუმეტეს ჩექმის ყელები გვიფარავდა წვივებს.

ალამბეკი მომიახლოვდა და ჩემს მოსყიდვას შეეცადა.

— ზურაბ, ხომ ვართ კავკასიელები, „ზემლიაკები“. ოლონდ ეგ ქამარი გამატანე და დანილოვის გარდა თუ ვინმეს შემოვარტყა, სინდისს გეფიცები.

— სინდისი არა, ჩეჩენო, კაჭკაჭი დაიფიცე!

— გეფიცები კაჭკაჭსაც და ყველაფერს, არც ახლა გჯერა? გეუბნები სხვას ხელს არ გახლებთ მეთქი. ჩეჩენის სიტყვა კანონია!

— ვერა, ალამბეკ, ამხანაგებს ვერ ვუღალატებ, — ვუთხარი სიცილით და ხელები გავშალე, — ა, მოდი და წაიღე თუ ბიჭი ხარ!

— მერე რომ დამჭრა?

— დაგჭრი და ჩადგები წრეში!

ალამბეკს თვალში არ მოუვიდა ასეთი პერსპექტივა, ხელი ჩაიქნია და შეტრიალდა. უცბად ადგილიდან მოსწყდა, „ფილოსოფოსას“ წინ მიწაზე გადაკოტრიალდა და ქამარი აიტაცა. დაყვირებაც ვერ მოვასწარი, რომ ვილოცამ ძლიერად მიბიძგა ზურგზე და წრიდან გამომაგდო. ახმედოვი მომპარვოდა შეუმჩნევლად თურმე. მალე მინკომ და აიუპოვმაც დაითრიეს ქამრები და ახლა ჩვენ ჩავცვივდით ჯოჯოხეთში.

— ცენტრში, ცენტრში მოდით ყველა! — გავძახე ამხანაგებს და წრეხაზის შუაგულისაკენ მოვიხმე ისინი, — ასე, ხელი უტაცეთ ქამრებზე და შემოითრიეთ!

— მერე არ გვეტკინება?! — მექი-

თხება ბოტუხი და ფეხებში მებლანდება.

— ხელს ნუ მიშლი, რას დამდევ ლეკვივით! — შევძახე და დვორეცკის მოქნეულ ქამარს ხელი შევაშველე.

— რას ჩადიხართ, თქვე არამზადებო! — გაისმა მჭახე ხმა და უცბად სიჩუმე ჩამოვარდა.

გავიხედე და პროპორშჩიკი ჩორბა არ წამოგვდგომია თავზე.

— არაფერს, ამხანაგო პროპორშჩიკო, ვერთობით! — გამოვეჭიმე წინ.

— ჰმ, ერთობით არა? — ერთი წუთით ვერ უნდა მოგაცილოთ კაცმა თვალი... მომეცით აქ ქამრები!

— ამხანაგო პროპორშჩიკო! — წამოიწყო სახეაჭარხლებულმა დვორეცკიმ — ჩვენ ხომ არაფერს ვაშავებთ, მხოლოდ...

— მალჩაატ! — დასჭყივლა ჩორბამ და კისრის ძარღვები ლამის დააწყდა, —დაეწყვეთ ყველა, ვინც ჩხუბობდით.

— ჩვენ არ ვჩხუბობდით, ამხ...

— რაზგავორი... მე თქვენ გიჩვენებთ სეირს. ყაზარმისაკენ ნაბიჯით იარ!

მწყობრში ლაპარაკი არ შეიძლება, ეს ყველა ჯარისკაცმა იცის. მაინც თავი ვერ შევიკავე და ვცადე ამეხსნა საქმის ვითარება.

— რიგითო შველიძე, კიდევ ერთი სიტყვა და ჰაუპტვახტში ამოყოფ თავს!

— დაანებე თავი, ზურაბ! — მიჩურჩულა ჩეჩენმა, — დაწყნარდება და მერე ავუხსნით ყველაფერს.

ჩორბამ ქამრები ყველას ჩამოგვართვა და წელსზემოთ შიშვლები სამწყობრო ნაბიჯით მიგვიყვანა ყაზარმასთან.

მოსაწევთან კაპიტანი ანდრეევი და სხვა ასეულის ოფიცრები იდგნენ. თამბაქოს აბოლებდნენ, თან რაღაცაზე ბაასობდნენ წყნარად.

პროპორშჩიკმა მოშორებით შეგვაჩერა. ოფიცრებს მიუახლოვდა, ხელი აუღო კაპიტანს და გაცხარებით დაუწყო ლაპარაკი. ხამუშ-ხამუშ ჩვენსკენ გამოიქნევდა ხოლმე ქამრიან ხელს.

მოლოდინით შევცქეროდით, თუ რა მოჰყვებოდა ამ ამბავს. [illegible] თავი ველარ შეიკავა, სამსართულიანი მიაყოლა პროპორშჩიკის მისამართით და კბილების ღრჭენით წარმოთქვა:

— ერთი ეგ ჩორბა შემახვედრა ჩემი აულის ყურეში და მეტი არა მინდა რა... გაბერავს ახლა კაპიტანს და უმტკიცე მერე, რომ ჩვენ არ გვიჩხუბია...

— წყნარად, ბიჭებო, მოდის! — გაგვაფრთხილა მოროზოვმა.

ანდრეევი ოფიცერთა ჯგუფს გამოეყო და ჩორბას თანხლებით ჩვენსკენ გამოემართა. შეკრული წარბებიდან ისე მკაცრად გვიმზერდა, მომეჩვენა თითქოს მზემ ჩამოიწია და თავის ქალა ლამის ამხადოს მეთქი.

ასევე განიცდიდნენ ბიჭებიც, რადგან ყველამ უწყოდა, თუ როგორი გაბრაზება იცოდა ასმეთაურმა.

კაპიტანი მოგვიახლოვდა. თავიდან ბოლომდე ჩაუარა მწყობრს, თან მოქუფრულ მზერას არ გვაცილებდა არც ერთს. ქანდაკებასავით გაშეშებულნი ვიდექით და ველოდით მეთაურის დაქუხებას.

ანდრეევი ჩემს წინ აისვეტა. ერთხანს თვალებში მიყურა და უცბად მკითხა:

— რიგითო შველიძე, მომახსენე რაზე მოგივიდათ ჩხუბი!

— ჩვენ არ ვჩხუბობდით, ამხანაგო კაპიტანო!

— რაო, არ ვჩხუბობდითო! — სჭექა მეთაურმა, ხელი წაავლო მხარში ალამბექს, შემოაბრუნა და ჩალურჯებულ ლაწვზე მიადო თითი, — მაშ რაა ეს, თუ არ ჩხუბობდით... იქნებ ამასაც თამაშით შეუნგრიეთ ღრანჭი, — მწყობრიდან გამოიყვანა ტუჩგახეთქილი მოროზოვი, — შენც თამაშის დროს დაგასვეს მაგხელა კოპი შუბლზე? — ირონიით შეეკითხა ვიტია ბოტუხს.

— ტაკ ტოჩნო! — რაც შეეძლო..გაიჭიმა ვიტკა.

— თქვენ რა, კოლექტიურ შეთქმულებას მიწყობთ? — უფრო ჩაელრუბლა სახე კაპიტანს, — თუ გგონიათ, რომ... ახლავე ჰაუპტვახტში გაგაგზავ-

ნით ყველას და იქ მოხვალთ ჭკუაზე. პროპორშჩიკო!...

ველარ მოვითმინე და ასეულის მეთაურს სიტყვა შევაწყვეტინე, რითაც უხეშად დავარღვიე სამხედრო განაწესი.

— ამხანაგო კაპიტანო, დამრთეთ ნება მოგახსენოთ!

— რაო, — ფიცხლად შემობრუნდა ანდრეევი და შევატყე, მართლაც რომ დაკარგა წონასწორობა, მაგრამ უკან აღარ დამიხევია, არც ისე აგვცდებოდა ჰაუპტვახტი და არც ასე.

— ამხანაგო კაპიტანო, გეფიცებით, ჯარისკაცულ სინდისს, მართლაც ვთამაშობდით და არც ერთ ჩვენგანს აზრადაც არ მოგვსვლია ჩხუბი! — მივაყარე სხაპასხუპით და ღრმად ამოვისუნთქე.

ასმეთაური ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ, თან თვალს არ მაცილებდა. ბიჭები დაიძაგრნენ. ახლა კი მორჩა, აფეთქდა ნაღმი. ჩორბამ თვალები დამიბრიალა, რადგან იცოდა, ანდრეევი მასაც მიუზღავდა. როგორ! მისმა ჯარისკაცებმა სამხედრო კანონების ელემენტარული წესებიც კი არ იციან? მწყობრის წინ მდგომ მეთაურს სიტყვას აწყვეტინებენ?

მაგრამ მოხდა სასწაული.

კაპიტანი ორ ნაბიჯზე შეჩერდა ჩემგან და თვალი თვალში გამიყარა.

— განაგრძე!

— დიახ, ვთამაშობდით, — ნერწყვი გადავყლაპე, — არის ასეთი თამაში, ლახტი...

— ლახტი?... იყავით მოწყალე და ამიხსენით, რა ველური თამაშია ასეთი, როცა ერთმანეთს ცხვირ-პირს უზელენ?

— სულაც არაა ველური თამაში, ამხანაგო კაპიტანო, პირიქით, ვაჟკაცურია! ჩვენთან, საქართველოში დიდმა და პატარამ იცის იგი და არც უკვირთ...

— საქართველოში?... აჰა! გამოდის რომ ეს ლაა... ლა... რა ჰქვია?

— ლახტი!

— ჰო, ლახტი შენ ასწავლე ამათ, ხომ?

— ტაკ, ტოჩნო!

— ორი დღე რიგგარეშე იმორიგევებ სასადილოში!

— იესტ!

— განაგრძე და მიპასუხე, რა შუაშია აქ ქამრებით ცემა!

— ქამარი ლახტის განუყოფელი ატრიბუტია! — ჩაჭრა „ფილოსოფოსამ“ და გაიღიმა.

— რა არის, რა? — თვალები მოწკურა ანდრეევმა.

— ატრიბუტი, ამხანაგო კაპიტანო! — გაიჭიმა მოროზოვი.

ასმეთაურს ღიმილის მსგავსი გამოეხატა ბაგეებზე. მერე ისევ მე მომიბრუნდა და მეუბნება:

— ვთქვათ დაგიჯერეთ, რომ არ ჩხუბობდით და მართლაც თამაშობდით, მაშ რაღა მაინც და მაინც აბანოს უკან შეარჩიეთ მოფარებული ადგილი?!

— აბანოს უკან მწვანე ბალახიანი მინდორი და ჩრდილია, სწორედ ამ თამაშისათვის ზედგამოჭრილი!

კაპიტანმა დიდხანს მიყურა გამომცდელად, მერე მზერა სხვებზე გადაატარა და ბოლოს პროპორშჩიკს გახედა ცერად.

მივხვდი, ჩემი სიტყვები ირწმუნა და ცოტა მომეშვა გულზე.

—მარჯვნისაკენ! — გასცა ბრძანება თავისი ვაჟკაცური ხმით.

—ნაბიჯით, იარ!

ადგილიდან დავიძარით. როგორც ერთი, ისე ისმოდა ასფალტზე ჩექმათა ნალმოჭედილი ლანჩების დარტყმის ხმა.

— ნეტავ სად მივყავართ! — მომესმა დანილოვის ხმა.

— ალბათ ტუალეტს გვახეხინებენ! — დაასკვნა ალამბეკმა.

მოასფალტებულ მოედანს გავცდით, ტუალეტსაც ჩავუარეთ გვერდზე, ბრძანება კი არ იცვლებოდა და ისევ პირდაპირ მივაბიჯებდით, მართლაც რას გვიპირებს? იქნებ?...

— ჩემის აზრით, ისევ ლახტის სათამაშოდ მივყავართ! — ჩავილაპარაკე ისე, რომ დაშაევს გაეგონა.

ზურგსუკან ფხუკუნ-ფხუკუნი შემო-

მესმა. ალამბეკი იგუდებოდა სიცილისაგან. ფეხი აურია და კაჩაჩში ჩექმის პვანტი რამდენჯერმე მომარტყა.

— ფეხი ააწყვე, დარეხვილო! — შევუღრინე გამწარებულმა.

— ლაქლაქი მწყობრში! — ზედ ყურთან დაიქუხა ანდრეევმა და ენა გადავყლაპეთ.

აბანოს შენობასთან მივედით, ზუსტად იმ ადგილას, სადაც წელან ლახტს ვთამაშობდით.

— სდექ! — გაისმა ბრძანება.

ადგილზე გავიყინეთ.

—მარცხნისაკენ! — ასე... შველიძე, ჩემთან!

მწყობრიდან გამოვედი და მხედრული ნაბიჯით გავწიე მეთაურისაკენ.

— ამხანაგო კაპიტანო, რიგითი შველიძე თქვენი ბრძან...

— არ გინდა, თავისუფლად! — შემაწყვეტინა მან, — დაიწყეთ თამაში, მინდა ჩემი თვალით ვნახო ეგ თქვენი ლახტია თუ ჯანდაბაა. პროპორშჩიკო, მიეცი ქამრები!

დაბნეულმა ჩორბამ ქამრები გამომიწოდა. ბიჭებს გადავხედე და თვალი ჩავუკარი.

— შეიძლება დავიწყოთ, ამხანაგო კაპიტანო!

— დაიწყეთ! — ხელის აქნევით მანიშნა მან და გიმნასტურის ჯიბიდან სიგარეტი დააძრო.

ბიჭები გამოცოცხლდნენ. ქამრები ჩამოვარიგე და წრეში ჩემი ჯგუფი შევიყვანე.

დასაწყისში მორიდებით თამაშობდნენ ბიჭები. ცალი თვალი მეთაურისაკენ ეჭირათ. მაგრამ როცა ზოგიერთებმა ისარგებლეს ამით, ქამრები დაითრიეს და ჰაერში ააზუზუნეს, მაშინ კი აირია მონასტერი, კაპიტანიც გადაგვავიწყდა და წელანდელი უსიამოვნებაც. ერთი-ორჯერ ანდრეევისაკენ გავიხედე, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს თამაში მეთქი და ორჯერვე ისეთი მწყვიტა დვორეცკიმ ქამარი, ლამის შევყვირე სიმწრისაგან.

— აქეთ,აქეთ მოდით!—ვეძახდი წიწილებივით დაფანტულ ჩემიანებს, — ზურგით დადექით, ერთმანეთთან და უკანა მხარე დაიცავით... [illegible], ნუ დაკვინტრიშობ თხასავით, თორემ ვეღარ დაწვები ამაღამ გულაღმა... ვართანიან სტაცე, სტაცე ხელი, არ გაუშვა... უჰ, შე დოყლაპია, შენა!...

— ზურაბჯან, ეს რა დღეში ჩავვარდით, კაცო!

თვალი ვკიდე, ალამბეკი მორბოდა ქამრის ქნევით. როგორც კი მომიახლოვდა, მეც მისკენ გავექანე. ჩეჩენმა თავი ველარ შეიკავა და ზედ შემომასკდა. აღარ დავაყოვნე და ფეხი ფეხზე დავაჭირე, თუმცა ამასობაში რამდენიმე ქამარი ატლაშუნდა ჩემს ტანზე.

— დაჭრილი ხარ, შეჩერდი!

— აილე ფეხი, ჰო, ნუ გადამალლიტე „მაზოლი"!... — ტირილნარევი ხმით წამოიძახა ალამბეკმა.

წრიდან გამოვედით და ახლა ჩვენ გავემზადეთ თავდასასხმელად.

— შველიძე!

— გისმენთ, ამხანაგო კაპიტანო?

— სამზარეულოში აღარ იმორიგევებ რიგგარეშე, სასჯელი მოხსნილია, — ღიმილით წამოვიდა ანდრეევი, თან გზადაგზა გიმნასტურის ღილებს იხსნიდა — აი, კიდევ რა, მეც მინდა ვითამაშო, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? — გადახედა აქლოშინებულ ბიჭებს.

ერთმანეთს მივაჩერდით, აღარ ვიცოდით რა გვეთქვა.

— რას შეფიქრიანდით! კაპიტნის წოდება ნუ შეგაშინებთ, თამაში ყველა თანასწორია! — წარმოთქვა მან და გიმნასტურა ჩვენი ტანსაცმლისაკენ მოისროლა, — პროპორშჩიკო, შენ ამათთან იყავი, მე შიგნით დავდგები.

— ამხანაგო კაპიტანო, მე... მე... — დაიბნა ჩორბა.

— რა მე, მე, — გამოაჯავრა ასმეთაურმა, — გემართი ხომ არ გჭირს! თუ ასეა, მაშინ ეს თამაში ზუსტად ზედგამოჭრილი რეცეპტი იქნება შენთვის.

ბიჭებს ხმამაღალი სიცილი შეგვსკდა.

— აბა, მომეცით მეც ასეთი ქამარი... დავიწყოთ! — წარმოთქვა კაპი-

ტანმა და წრეში პირველი ჩადგა.

რაღას იზამდა ჩორბა. გიმნასტურა გაიძრო და ჩვენ შემოგვიერთდა.

— თამაშის წესები ხომ გაიგეთ, ამხანაგო პროპორშჩიკო, — ირონიულად გადაეულაპარაკე ჩორბას.

მან ერთი შემომხედა და არა უთქვამს რა.

— აბა, ბიჭებო, ფრთხილად იყავით, არ დაგჭრან, ძალიან ნუ გათამამდებით. განსაკუთრებით შენ გეუბნები, ასტრახანელო!

— არის! — გაიჭიმა დანილოვი და... ისევ გახურდა ლახტი.

ბიჭები უკვე გაიწაფნენ, წელანდელივით ადვილად აღარ თმობდნენ ქამრებს.

ვიტია ბოტუხი ახმედოვის წინ გაწვა და ქამარს დაუწყო პოტინი. დანილოვი ჩეჩენის წინ იდგა და მარჯვე მომენტს ეძებდა.

— ფეხი აიღე ქამრიდან, დარეხვილო!

— აჰა!

— ახლა იქით გაიწი!

— არა, ბიჭო, იქნებ უკანალიც მოგიშვირო დასარტყმელად!...

— ახლოს მოდი „ფილოსოფოსა" რა ქალივით მეკურკურები შორიდან!...

— გირჩევნია შენი ნებით მომცე ქამარი, თორემ თუ წაგართვი, ლეიბივით აგიჭრელებ გვერდებს...

— მიშველეთ, ბიჭებო!...

— ეი, ვართანიან, ბოტუხს ფეხებში სტაცე ხელი, შიგნით მიათრევენ...

— არ გაუშვა, ახმედ, ცოტა კიდევ... ამხანაგო კაპიტანო, მიეხმარეთ შემოთრევა...

— არიქა, ვიტია შეითრიონ ლაშის! ყველა ბოტუხს მივცვივდით და გარეთ დავუწყეთ ქაჩვა, შიგნიდან კიდევ დვორეცკის ხალხი ეწეოდა.

— ფეხი მოარიდეთ, ფეხი... ფრთხილად იყავით!

— გავწყდი, თქვე ვირიშვილებო, მიშვით ხელი. ვაიიი!...

— არა უშავს, ვიტკაჯან, ცოტას გაგრძელდები...

— რას მიძვრებით, რომ მიძვრებით, აბა! გაუშვით კარგია, ჰი!... მაგრად ჩაავლეთ ხელი, ბიჭებო!

— არიქა, ქამარი მ[illegible]

— ნუ მწელავთ!...

— ასტრახანელო, დასცხე, რაც შეგიძლია! ყოჩაღ, კარგია!...

— ოჰ... დანილოვ, ჩაგსვამ ორი დღე ჰაუპტვახტში იცოდე!...

— თამაში, თამაშია, ამხანაგო კაპიტანო!

— ვაი, დედაააა!...

— გაუშვით, ბიჭებო, ხელი (ეს დვორეცკია), რომ გავწყვიტოთ და ნახევარი შემოვიტანოთ, რა აზრი აქვს, ფეხები მაინც იმათ დარჩებათ და...

სიცილი, ხარხარი, ბლარძუნი, ქამრის სისინი, ქშინვა-ქლოშინი, არეული ერთმანეთში. როგორც იქნა გამოვათრიეთ გარეთ თვალებგადმოქაჩული ბოტუხი. ამასობაში დანილოვმა ისარგებლა ქაოსით და ქამრები ააწაპნა მოწინააღმდეგეს. დვორეცკის ხალხი კაპიტანს შემოეხვია, რადგან მარტო მას დარჩა ქამარი წაურთმეველი.

— ვისაც ქამრები გაქვთ, გარშემო ურბინეთ წრეს! — ვუთხარი ბიჭებს, — ახლოს ნუ მიხვალთ, ურტყით, დაშალეთ ჯგუფი...

...კარგა ხანს გაგრძელდა თამაში. მაგრად დაიღალნენ ბიჭები, მაგრამ არავის უფიქრია თვითნებურად ლახტის მიტოვება. სამჯერ დვორეცკის ბიჭებს მოუწიათ წრეში ჩადგომა, ორჯერ ჩვენ. მართალია, კაპიტანს ერიდებოდნენ, მაგრამ მაინც იწვნია რამდენჯერმე ქამრის გემო. ხოლო დაშაევმა ჩორბას ისეთები წყვიტა უკანალზე, რომ მის მაგივრად მე ამეწვა კანი.

ბოლოს ისევ კაპიტანმა მოიფიქრა თამაშის დამთავრება. აბანოს კედელთან მიეყარნენ დაქანცულები, მაგრამ კმაყოფილი ბიჭები, წითლად ულაპლაპებდათ ატკეცილი სახეები. ზოგიერთებს ზურგზეც ემჩნეოდა ნაქამრევი, ეტყობოდა გახურებულ თამაშში ვერ მოზომეს და ცოტა მეტი მოუვიდათ.

კაპიტანმა ანდრეევმა ცხვირსახოცით შეიმშრალა სახე და კისერი, შემდეგ ფილტრიანი სიგარეტი ამოიღო და

ეროვნული

ჩვენც შემოგვთავაზა. ნება-ნება ვექაჩებოდით თუთუნს და ლახტის სასაცილო ეპიზოდებს ვიგონებდით.

— როგორ მოგეწონათ ლახტი, ამხანაგო კაპიტანო! — მორიდებით მივმართე ასმეთაურს.

ანდრეევმა ბოლქვად გამოუშვა პირიდან კვამლი და თავი დამიქნია. შემდეგ პროპორშჩიკ ჩორბას მიუბრუნდა.

— დაჯექი, რა მიქელ-გაბრიელივით დაგვდგომიხარ თავზე! — თუმცა რალას დაჯდები, — გაიცინა მეთაურმა, — ალბათ დასაჯდომი აღარ გივარგა... რიგითო ბოტუხო, წელან რომ რეზინასავით გაგწელეთ, ცოტა არ მოგემატა ვითომ?

— ეეჰ, ნეტა სიმაღლე მომემატოს, ამხანაგო კაპიტანო, და ყოველდღე ვითამაშებდი ლახტს.

გაგვეცინა.

— საქართველოში ვმსახურობდი ერთ დროს, — დაიწყო კაპიტანმა მცირე დუმილის შემდეგ, — მაგრამ რაც მართალია, მართალია, ეს თამაში არ მინახავს... ისე, ნამდვილად ვაჟკაცური ყოფილა, თქვენებური ხასიათის, ფიცხი და სწრაფი. სხვაც ბევრი საინტერესო თამაშობები იცით ქართველებმა. ყოველ მათგანს ბოლომდე რომ ჩაწვდეს კაცი, შორეულ წარსულში ამოჰყოფს თავს. აი, ამ ლახტში თქვენი ხალხის ისტორიის რაღაც მონაკვეთი ირეკლება თითქოს. მართალს არ ვამბობ, ქართველო?

— მართალს ბრძანებთ, ამხანაგო კაპიტანო! — დავუკარი კვერი, — როგორც წრეში მოქცეულ მოლახტეებს ესხმოდნენ თავს, ისე ესეოდა საქართველოსაც ყოველი მხრიდან მტერი. ქართველ ხალხს გარეშე დამხმარე ძალის იმედი არასოდეს არა ჰქონია. მხოლოდ საკუთარი მკლავის ამარა ებრძოდა სხვადასხვა ჯურის აგრესორს. ზურგს უფარებდნენ ერთმანეთს და ხმალშემართულნი ვაჟკაცურად ერკინებოდნენ მომხდურს...

— მორჩა, ჩაირთო ახლა საქართველოს ისტორიის ლექცია!... — ჩაილაპარაკა დანილოვმა.

კაპიტანმა გაიღიმა და საათს დახედა.

— აბა, არწივებო, აბანოში ცივი შხაპი მიიღეთ და სადილობისათვის მოემზადეთ, გასაგებია?... — და ჩვენს წინ უკვე ასეულის მკაცრი მეთაური იდგა.

— გასაგებია, ამხანაგო კაპიტანო! — მივუგეთ ერთხმად და წამოვიშალეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნოდარ ადეიშვილი

პოეტ ნოდარ ადეიშვილს დაბადების 50 წელი შეუსრულდა. „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

### იქნებ ესაა...

იქნებ სამშობლო ესაა სულაც,
ამ აივნიდან რომ ვუცქერ სურათს:

ცხენი, მინდორი,
თხმელა, შაშვები,
ლობე,
გოდორი და წალდი ჯირკზე...

ან ციცქნა გოგოს ტანის აშვება,
მასავით ციცქნა ბიჭების ჯიბრზე...

იქნებ ესაა
სამშობლო სულაც, —
ამ აივნიდან რომ ვუცქერ სურათს.

### ვაი, ქალები რიონისანი

რაც უნდა ვარდის წყალი მასხურონ,
ვერ დამავიწყონ ვაზის ყვავილი...
თურმე რა ტკბილი წლები წასულან,
რა მშვენიერნი ჩანან ჩავლილნი.

ვის ესიზმრება
დღეს ის სიზმარი:

გოგონა,
წყარო,
მზე და
დაფნები...

ვაი, ჭალები რიონისანი,
ვაი, რიონზე თეთრი აფრები.

### ისევ გიყვარვარ?...

ისევ მოფრინდი, ჩემო მერცხალო?
ისევ გაცდუნეს ამ მთაგორებმა?..
ან შენ,
დედულო, ზამთრით შემკრთალო,
ახლა მოსულო იის კონებად,

ისევ ერთად ვართ?
ისევ გიყვარვარ?
ისევ ვერაფერს ვერ გახდა მტერი?

ჩვენმა სამებამ ისევ იკმარა?
ისევ ასწია გალობამ ჭერი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## და მიყვარს, თორემ...

რომ მახსენდება ახლა იმ ზეცის
უბე ავსილი ხმებით ლერწმების...
რომ მახსენდება ახლა ის ცეცხლი
და შაირ-შაირ მსხდარი მწყემსები,

გული უეცარ სევდით მევსება,
რატომ ასე და
რატომ ისე არ...

და მიყვარს, თორემ,
რა მელექსება
და არ თოვს, თორემ,
რა მაისია.

## მაინც...

რასაც გინდა დააბრალე —
დღეს ეს მხიარული ბწკარი,
გინდა ღრუბელს, გინდა მთვარეს,
გინდ იმას, რომ ასე არი...

თუმცა გალეულა ოქრო,
თუმცა გაცრეცილა ჭინჭი,

მაინც:
რა კოხტააა გოგო,
მაინც:
რა კარგია ბიჭი.

## ხანდახან...

როდესაც ამბობ: წლები მიდიან,
დრონი მიდიან და მიაქვთ მინდი,
როდესაც ამბობ: ბეწვზე ჰკიდია
ცოტა სინათლე და ცოტა ბინდი...

იცოდე, რომ ჩემს სათქმელსაც ამბობ,
იცოდე
ჩემი ულონო ფრთებიც..,

ხანდახან
როგორ არაფრის გამო,
ჰყვავიან ხოლმე მამულის მთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორც უნდა თქვა...

როგორც უნდა თქვა, სხვისგან
ჩამოხმა,
ის სხვაც ხომ იტყვის, თუ ვისგან
ვქვდები...
დაცხრი, დამშვიდდი, განა რა მოხდა
ისეთი, ჩიტებს არ ესხათ ფრთები?..

თუ რამ დავფარო,
გამიჭკნეს ვარდი,
შავისგან თეთრი ვერ გავარჩიო,

პატარა გოგომ,
პატარა დარდი
მიძღვნა და მითხრა, —
მშვიდობაშიო.

## მოვა ის დროც...

ეს ვარდებიც წავა თივად,
რაც არ უნდა ვემუდაროთ...

მოვა თოვლი, მოვა წვიმა,
მოვა სევდა, დედუფალო.

უკვე ვუცქერ
დალლილ ედემს,
შიგ —
მერცხლების
შემკრთალ გროვას,

მოვა ის დროც,
რომლის შემდეგ
სიყვარული აღარ მოვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვაჟა ხორნაული

* * *

კიდევ ერთხელ რომ გამოიჩენს
ღამე სულგრძელობას
და განზე გადგება,
სანაპიროზე სველი ქვები რომ
აკაშკაშდება
და ჰორიზონტი ჰორიზონტს გაუცინებს,
ერთი ბალი მეორე ბალს
ფრინველს ამბორივით რომ
გაუგზავნის,
მაშინ ხომ გჯერა,
რომ ცა და დედამიწა
უკვდავების ორი მხარეა!...

* * *

ქალაქის სივრცეში,
მეშვიდე სართულზე,
ჩემი სოფელი დამესიზმრა:
ჩემი სახლი —
სიმარტოვის ჭირხლით მოკიაფე,
ჩემი ეზო —
დათოვლილი ნერგების დედა...
და დასალიერი —
თითქოს დევის ნაბიჯით ჩაღუნული.

## გზაჯვარედინი მეტროში

და უკვე მერამდენედ
ბავშვები ვაგონამდე მივაცილე
და ვაგონის კარს,
ჩემს წინ რომ გასრიალდა,
ღიმილით ხელი დავუქნიე...
ეს ყველაფერი მაღლა რომ ხდებოდეს,
მზის სინათლეზე, ჰაერის მხარეში, —
კიდევ არაფერი...
მაგრამ აქ, მიწის გრილ წიაღში,
ყოველი ასეთი გაცილება
(„ესკალატორზე ჭკვიანად იყავით"...
„ავტობუსში სულ უკან ნუ დადგებით",
ან „თქვენი გაჩერება არ გამოგრჩეთ"...
„უმცროს ძმას ხელი შეაშველე
გადასასვლელზე"...)
გულს სხვანაირად ათრთოლებს და
აფორიაქებს
და ერთი სული მაქვს,

დღე როდის მიილევა
და სახლში როდის დავბრუნდები,
რომ ერთხელ კიდევ გახმიანდეს
ფიქრში ბედნიერი სიტყვები:
„მადლობა ღმერთს, მშვიდობით
მოსულან!“

## დღის დაბადება

ბავშვმა სარკმელი გამოაღო
და ქალაქს გაუცინა...

ქალაქი იდგა დილის სინათლეში,
უბრწყინავდა აივნები და სახურავები,
რკინის მილებიდან ამოზრდილი
წყლის ყვავილები.

ქალაქი იდგა დილის სინათლეში
და მშვენიერი იყო ყველაფერი:
ხალიჩები აივნებზე გადმოფენილი,
ხოჭო მიმავალი ასფალტის ნაპრალში,
ფოთლები მეეზოვის ცოცხით
მოხვეტილი,
თუ შუშის ნამსხვრევები
რომელიღაც ჭიშკართან დაყრილი...

ქალაქი იდგა დილის სინათლეში,
მე ვიდექი ქალაქის შუაგულში,
ხოლო ჩემში იდგა დედამიწა
და ბედნიერი იყო იმ ბავშვივით,
წელან რომ სარკმელი გამოაღო
და ქალაქს გაუცინა...

## კიდევ ერთხელ

მშვიდობით, გაზაფხულო...
მე ხომ შენი ყვავილების
მეათასედიც არ მომიკრეფია;
მე ხომ შენს ვარსკვლავთაგან
მხოლოდ რამდენიმე თუ ჩამრჩა გულში;
მე ხომ შენი ყველა მდინარე
არ ამიმღვრევია...

მიდიხარ, გაზაფხულო,
და მე ვიცი, მაგ ყვავილებით
(მე რომ ვერ მოვკრიფე),
მაგ ვარსკვლავებით და მდინარეებით
(რომლებიც მე ვერ შევამჩნიე)
შენ ჩემს წინაპრებს ესტუმრები
და მათ სავანეს, ისედაც მშვენიერს,
უფრო დაამშვენებ!..

გზა მშვიდობისა, გაზაფხულო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

# რამეთუ ეწოდა ზარზმა

რომანი

## ნაწილი მეორე

### თავი მეორე

სერაპიონი სულა მირიანისძის გადაწყვეტილებამ ერთი მხრივ გაახარა, მეორე მხრივ კი ახალი საზრუნავი და თავსატეხი გაუჩინა. მართალია სულა სამთავროსათვის ბრძოლაზე ხელს იღებდა, მაგრამ იგი მაინც მთავართა ოჯახის შვილი იყო, თავისი წილი მამული და ქონება ერგებოდა, როცა შინააშლილობა დაცხრებოდა და ძმათაგან რომელიმე სამთავროს დაეპატრონებოდა, სულას მაინც ექნებოდა ახლო ურთიერთობა და კავშირი მასთან და სერაპიონი ეცდებოდა ეს კავშირი მონასტრის სასარგებლოდ გამოეყენებინა. გარდა ამისა, ბერად აღკვეცისა და მონასტერში დაყუდების შემდეგ ყოფილი სულა მირიანისძე თუ ყველაფერს არა, იმდენ თანხას მაინც შემოსწირავდა მონასტერს, მის გვარიშვილობას რომ ეკადრებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მონასტერში ცხოვრება გაუჭირდებოდა, დაიწყებდნენ მითქმა-მოთქმას, სიძუნწესა და ანგარებას დააბრალებდნენ, მის რწმენასა და სათნოებაში ეჭვს შეიტანდნენ. დალოცნებით კი სერაპიონი იმან დაალონა, რომ მონასტერში შემოდიოდა დიდგვაროვანი კაცი, რომელიც მდიდრულად ცხოვრებას, მბრძანებლობასა და სხვების მორჩილებას იყო მიჩვეული და ამიტომ იმგვარი ცხოვრება და შრომა, როგორითაც ბერები ცხოვრობდნენ, შეიძლება ან ეთაკილა ან ვერ აეტანა, შეიძლება თავისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნაც კი მოეთხოვა, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო, რადგან მონასტერში ყველანი ძმები და თანასწორუფლებიანნი უნდა ყოფილიყვნენ და ერთისათვის უპირატესობის მინიჭება, მისი დაუმსახურებლად აღზევება, სხვების დამდაბლება იქნებოდა, რაც საერთო წესს დაარღვევდა, მონასტერში შუღლსა და არევ-დარევას შემოიტანდა. არც იმის საშუალება იყო, რომ სულა მირიანისძე სწრაფად დაეწინაურებინა და მღვდლად ეკურთხებინა. მონასტრის

დასასრული. იხ. „მნათობი", № 3, 4, 5, 6.

ტიპიკონის თანახმად, მღვდლად კურთხევა ბერად შედგომიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეიძლებოდა. ამიტომ სერაპიონი კრიალოსანს მარცვლავდა და არ ჩქარობდა. პასუხის გაცემა მოგვიანებითაც მოესწრებოდა.

— ალკვეცის შემდეგ ჩვენს მონასტერში აპირებთ დაყუდებას, შვილო ჩემო? — ჰკითხა სერაპიონმა და სულა მირიანისძეს პირველად შეავლო თვალი დაკვირვებით. მისი გამომეტყველება არ ტოვებდა ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ბერად შედგომა მან უეცრად და დაუფიქრებლად გადაწყვიტა.

— არ ვიცი, მამაო, ერთხანს დავრჩები, მერე კი მინდა თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც გავერიდო აქაურობას. ვიმოგზაურებ საბერძნეთში, პალესტინაში, მოვინახულებ წმინდა ადგილებს, თუ გული არ დამიშლის, დავეყუდები რომელიმე ქართულ მონასტერში, ვიმოღვაწებ რამდენიც შემეძლება და თუ სამშობლო მომენატრება, დავბრუნდები მერე უკან და შევეცდები ერთი მონასტერი მეც ავაშენო ამ ცოდვილ მიწაზე.

— როდის აპირებ გამგზავრებას, შვილო ჩემო?

— ზაფხულში, მამაო.

— ძმებმა თუ იციან, ბერად ალკვეცას რომ აპირებთ?

— არა, მამაო, ჯერ არავინ არაფერი იცის.

— რომ გაიგებენ, ალბათ დიდად გაუკვირდებათ და გაუხარდებათ.

— როგორც კი ბერად ალვიკვეცები, ჩემთვის აღარც მათი გაკვირვება იარსებებს და აღარც გახარება.

სერაპიონს გულზე მოეშვა. ზაფხულამდე ორთვენახევარი იყო დარჩენილი, სულა მირიანისძე ზაფხულის მიწურულშიც რომ გამგზავრებულიყო, ამ ხნის განმავლობაში მონასტრის ცხოვრებას ისე ვერ არევ-დარევდა და გაართულებდა, რომ შემდეგ მისი დალაგება და მოწესრიგება გაძნელებულიყო. სანამ ალიკვეცებოდა, მონასტრის შინაგანაწესს გაეცნობოდა, ცოდვებს მოინანიებდა, მონასტრის ცხოვრებას შეეჩვეოდა და სულიერ ძმებთან ურთიერთობას დაამყარებდა, ეს დროც გაივლიდა.

— თუ თავს გამოიჩენთ, შვილო ჩემო და ჭეშმარიტების ნათელ გზას დაადგებით, ეკლესია უფრო დაგიფასებთ ღვაწლსა და სიქველეს, ვიდრე ერი და ქვეშევრდომნი.

— ერი რის დამფასებელიცაა, ეს მე უკვე გამოვცადე საკუთარ ტყავზე, მამაო. როცა მტრები გაათფთრებით მესხმოდენ თავს, ჩემი მომხრენი და დამცველები გასაქცევ გზებს ეძებდნენ.

— ასე ფიქრობენ, ალბათ, თქვენი ძმებიც, შვილო ჩემო, მაგრამ მაინც კარგი ჰქენით ამ უაზრო ქიშპობასა და სისხლის ღვრას რომ გამოეთიშეთ. შინააშლილობა და უგუნური მიხტომ-მოხტომა არც გამარჯვებულს მოუტანს სიკეთეს და არც დამარცხებულს.

— იმ დღიდან, რაც ბერად შედგომა გადავწყვიტე, მამაო, მალვასა და საფრთხეზე ფიქრს მოვეშვი, რადგან დავრწმუნდი, ვინც ადამიანის სახეს დაკარგავს და გაპირუტყვდება, იგი ვერც სამთავროს შეინარჩუნებს.

— თქვენი აზრით, ვის დარჩება სამთავრო, შვილო, ბეშქენს თუ ლაკლაკს?

— ამიერიდან ჩემთვის სულერთია, ვის დარჩება სამთავრო და ვინ ვის მოუღებს ბოლოს.

— არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, რომელს ამჯობინებდი, შვილო ჩემო?

— ლაკლაკი დაუნდობელი, თავქარიანი და თავნებაა.

— ესე იგი, ბეშქენს.

— ბეშქენი უფრო გამოადგება სამთავროს.

სერაპიონი არც ლაკლაკს იცნობდა ახლოს და არც ბეშქენს. სამაგიეროდ ძმას კარგად თუ არა, იმდენად მაინც უნდა სცნობოდა ძმები, რომ მათ შესახებ მისი აზრი სარწმუნო ყოფილიყო და სერაპიონს მართლაც არ შეპარვია ეჭვი სულას აზრის სისწორეში. გუმანითაც იმას გრძნობდა, რაც დღეს სულასაგან მოისმინა. მაგრამ ახლა მთა-

ვარი იყო, ეს აზრი გიორგი მაწყვერელისათვის გაეზიარებინა და ერჩია, სამთავროსათვის ბრძოლაში ბეშქენისათვის დაეჭირა მხარი. ეპისკოპოსს ამის შესაძლებლობაც ჰქონდა და დაინტერესებულიც იყო სამთავროში წესრიგისა და ცოტაოდენი სამართლიანობის დამყარებით. მომჩივანნი, გაძარცულნი და უსამართლოდ დაჩაგრულნი იწყევლებოდნენ, იკურთხებოდნენ, რადგან აღარ იცოდნენ, ვისთვის მიემართათ საჩივრით, ვისთან ეძებათ სამართალი. ისინი არა თუ საჩივლელად, სახილველადაც კი ვერ ხედავდნენ მთავარს. არა და სამოქალაქო საქმეების გარჩევა და დამნაშავის დასჯა გიორგი მაწყვერელს არ შეეძლო, საამისოდ მას არც შეიარაღებული მხედრიონნი ჰყავდა, არც დილეგები ჰქონდა, არც ჯალათი ედგა გვერდით და არც უფლება ჰქონდა ამისა.

— მოხარული ვარ, შვილო ჩემო, თქვენნისთანა კეთილშობილი კაცი რომ ჩვენს მონასტერს აფარებს თავს და რადგან მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი ბერად შედგომა, თქვენი აღკვეცა ორიოდე კვირის შემდეგ მოხდება. ახლა კი ტიპიკარისი მონახეთ და ჩემი სახელით თხოვეთ სენაკი გამოგიყოთ. მონასტრის შინაგანაწესსაც იგი გაგაცნობთ, — უთხრა სერაპიონმა სულა მირიანისძეს და ფეხზე წამოდგა.

— გმადლობთ, მამაო.

—ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, შვილო.

ორიოდე კვირის შემდეგ სულა მირიანისძე სერაპიონმა ბერად აღკვეცა და კირიონი უწოდა. ამ ხნის მანძილზე კირიონს მედიდურობა და ამპარტავნობა არ გამოუჩენია, სენაკში იყო ჩაკეტილი და ლოცვით იმსუბუქებდა მწუხარებას. მაგრამ ახლა სერაპიონს ზარების ჩამომსხმელი ოსტატების მოუსვლელობა უფრო აწუხებდა, ვიდრე მამა კირიონის საქციელი. როცა სამრეკლო დამთავრდებოდა, ყველა ზარი ჩამოსხმული უნდა ყოფილიყო და რაც უფრო ადრე მოხდებოდა ეს, მით უკეთესი. თვით ზარების ჩამოსხმას დიდი დრო არ სჭირდებოდა, მაგრამ ასაშენებელი იყო ბრძმედი, ამოსათხრელი ორმოები, შესარჩევი და ჩამოსაყალიბებელი თიხა, ჩამოსასხმელი ლითონი და ყოველივე ამას დრო და გარჯა სჭირდებოდა. ამ საქმეს იგი ვერც დროს მიანდობდა და ვერც კაცთა კეთილმოსურნეობას. დამშვიდებით კი მხოლოდ მაშინ დამშვიდდებოდა, როცა ზარებს თავის თვალით დაინახავდა და მათ ჟღერადობას თავის ყურით მოისმენდა.

სერაპიონმა თავი ასწია და ამომავალ მზეს შეხედა. იგი ისეთივე დიდი და ბრდღვიალა იყო, როგორც ალბათ მაშინ, როცა იგი ღმერთმა პირველად შექმნა და ამობრწყინებულმა მნათობმა მარადიული უკუნი გაფანტა. ირგვლივ ყველაფერმა იცვალა ფერი და იერი. ჩრდილებმა სიმკვეთრე შეიძინეს, სიმწვანემ კი სიმსუყე. სახეები, რომლებიც აქამდე სიზმრისეულად ირღვეოდნენ და ქრებოდნენ, ახლა მდგრადი და ხელშესახები გახდნენ, აღარც სივრცე იფხრიწებოდა ეკალს გამოდებული აბრეშუმის ქსოვილივით. სერაპიონმა არ იცოდა, ეს მას ეჩვენებოდა თუ მზე მართლაც ნელა ამოდიოდა და ამიტომ აღარც უკვირდა, ამას წინათ ისიც რომ მოეჩვენა, თითქოს სიბნელე ნაადრევად ეშვებოდა დედამიწაზე. ყველაფერი ეს იმ ცვლილებების ბრალი იყო, ამ ბოლო დროს რომ ხდებოდა მასში. ყოველ ცვლილებას მას შემდეგ, რაც იგი აქ ამოვიდა და წმინდა სავანის მშენებლობას შეუდგა, მონასტრის კარმიდამო, მონასტრის მამული, ბერმონაზვნების ცხოვრება და ტაძრის მშენებლობა აპირობებდა და აყალიბებდა.

სერაპიონმა მზეს ამოსვლა აცალა და მხოლოდ ამის შემდეგ წამოდგა ფეხზე გაჭირვებით. ერთხანს წელში მოხრილი მუხლებს ისრესდა, შემდეგ კი მწარედ გაიღიმა და ეგვტერისაკენ წავიდა. მალე ეგვტერში მრევლი მოიყრიდა თავს, დილის წირვა დაიწყებოდა და საამისოდ ცოტათი მაინც უნდა შემზადებულიყო.

მამა კირიონი შუა ზაფხულში გაემგზავრა საბერძნეთში. მართალია, ყოფილ სულა მირიანისძეს არც განსაკუთრებული პირობების შექმნა მოუთხოვია და არც განხეთქილება შემოუტანია მონასტრის ცხოვრებაში, მაგრამ სერაპიონს მაინც მოეშვა გულზე, როცა იგი მონასტრის მამულის საზღვრამდე მიაცილა და გზა დაულოცა. მამა კირიონი ზღვით აპირებდა კონსტანტინოპოლამდე ჩასვლას და ამიტომ გეზი დასავლეთისაკენ აიღო. სანამ გაემგზავრებოდა, ანდერძი დაწერა და ხელი მოაწერა, რომ თავისი წილი ქონების ერთ ნაწილს ზარზმის მონასტერს სწირავდა, დანარჩენს კი იმ მონასტრებისათვის იზოგავდა, რომელთაც მოინახულებდა ან რომელშიც დაეყუდებოდა. სერაპიონს იმიტომ კი არ მოეშვა გულზე, რომ მამა კირიონი სძულდა და მისი ხრიკებისა ეშინოდა. უბრალოდ, ადამიანის ბუნებას იცნობდა და რადგან ბერებიც ადამიანები იყვნენ, ადვილი შესაძლებელი იყო ისინი მამა კირიონს, როგორც დიდგვაროვან და გავლენიან კაცს შესჩენოდნენ, შენ უფრო შეგფერის მონასტრის წინამძღვრობაო და იგი სერაპიონის წინააღმდეგ განეწყოთ. ამის ერთი და ორი ცდა უკვე იყო. ისინი მას იმ უხამს ხმებსაც გაზვიადებულად აწვეთებდნენ ყურში, სერაპიონზე რომ ავრცელებდნენ მონასტერში და მის გარეთ. მისით უკმაყოფილო ბერები თითქოსდა შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც მამა კირიონის ირგვლივ ირაზმებოდნენ და ყოფილი სულა მირიანისძის გულის მოგებას ცდილობდნენ. სერაპიონისათვის, რა თქმა უნდა, სასურველი არ იყო, რომ იმ მონასტრის ბედი, რომელსაც სიცოცხლე შეალია და მის გამო უამრავი ცოდვა იტვირთა, უცხო და გამოუცდელ კაცს ჩავარდნოდა ხელში, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მონასტერში ჩამოვარდებოდა განხეთქილება, ბერ-მონაზვნებს შორის ურთიერთობა დაიძაბებოდა, თანდათან გამწვავდებოდა და მის აღმოსაფხვრელად და ვნებათაღელვის დასამოწმებლად ფიქრი, დრო და ბრძოლის ახალი საშუალებების გამონახვა იქნებოდა საჭირო. უაზრო, უსარგებლო ქიშპობაში დაკარგული დრო კი ტაძრის მშენებლობას დააკლდებოდა, მის დამთავრებას კიდევ ერთ დაბრკოლებას შეუქმნიდა.

გაზაფხულის მიწურულს კიდევ ერთი სადარდებელი ჩამოსცილდა სერაპიონს. ზარების ჩამომსხმელმა ოსტატებმა, როგორც იქნა, მოაღწიეს ზარზმამდე და მეორე დღესვე შეუდგნენ საქმეს. ისინი სულ სამნი იყვნენ — ორი ძმა წინუბნელები და მათი უფროსი ძმისწული ზებედა. სახლი მცხეთის გარეუბანში ედგათ, ზარების ჩამოსხმაც მცხეთაში ესწავლათ. ეს მათი საგვარეულო ხელობა იყო. სამი კაცი ამხელა საქმეს ვერ აუვიდოდა, ამიტომ მუშა-ხელი მათთვის მონასტერს უნდა მიეშველებინა. ძმებმა ბრინჯაოსა და სპილენძის მარაგი აწონეს, იმ ზარების სიდიდე და წონა გამოიანგარიშეს, რომლებიც მათ სერაპიონმა დაუკვეთა და დაასკვნეს, რომ დიდიან-პატარიანად დაგროვილი ლითონიდან შვიდი ზარი ჩამოისხმებოდა. შვიდი ზარი სრულიად საკმარისი იყო ისეთი მონასტრისა, ტაძრისა და სამრეკლოსათვის, სერაპიონი რომ აშენებდა. ერთხელ სერაპიონმა მოინახულა კიდეც ის მოედანი, რომელიც ძმებმა ზარების ჩამოსასხმელად აირჩიეს. სწორედ იმ ადგილას, მონასტრის ქვემოთ, აღმოჩნდა იმგვარი თიხა, ძმებს ყალიბების ჩამოსასხმელად რომ სჭირდებოდათ. ამასობაში ოსტატები ბრძმედის აგებასაც შეუდგნენ და რადგან ბრძმედი დროებით იგებოდა, მისი გადახურვა საჭიროდ არ მიიჩნიეს. სერაპიონს ერთი სული ჰქონდა, როდის დაიწყებდნენ ზარების ჩამოსხმას და მათი გაციების შემდეგ ყალიბის შემოხსნას. უნდოდა საკუთარი თვალით ენახა, როგორ ისხმებოდა ზარი, როგორ მკვრივდებოდა და იწმინდებოდა.

სანამ სერაპიონი მონასტრის საქმეე-

ბითა და ტაძრის მშენებლობით იყო დაკავებული, გიორგი მაწყვერელმა, რომელმაც გაიზიარა სერაპიონის მოსაზრება, მოქიშპე ძმებს შორის ვისთვის დაეჭირა მხარი, ბეშქენ მირიანისძე მოინახულა, დიდხანს ესაუბრა, ზოგი ისეთი რამ დაათმობინა, რისი დათმობაც ბეშქენს არ უნდოდა და ამის სანაცვლოდ სამთავროსათვის ბრძოლაში მხარდაჭერა აღუთქვა. იმ დღიდან გიორგი მაწყვერელის ქადაგებაში ჯერ ქარაგმულად, იგავ-არაკებით, შემდეგ კი აშკარად იჩინა თავი ბეშქენის ქებამ და ლაკლაკის ძაგებამ, ერთის აღზევებამ და მეორის დაკნინებამ. ყოველ წირვაზე, სადაც არ უნდა ეწირა და ექადაგა, ეპისკოპოსი მრევლს ცხარე სიტყვით მიმართავდა და არწმუნებდა, რომ სანამ სამთავროს ნამდვილი მთავარი არ გამოუჩნდებოდა, მანამდე ხალხს არც უსაფრთხოება ეღირსებოდა, არც სამართლიანობა და არც მოსვენება. სამთავროში რომ სამართლიანობა და წესრიგი დამყარდეს, ამისთვის საჭიროა მას ხელისუფალი ანუ მთავარი ჰყავდეს, რომელსაც ძალაც ექნება და უფლებაც იმისა, რომ ქვეყნისა და ქვეშევრდომების საქმეები გონივრულად და სამართლიანად განაგოს. ასეთი მთავარი კი ძმებს შორის ბეშქენ მირიანისძე იქნება. თუ ჩვენ გვინდა ყოველდღიურ საფრთხეს და უსამართლო ჩაგვრას თავი დავაღწიოთ, მხარი უნდა დავუჭიროთ ბეშქენ მირიანისძეს, გავერთიანდეთ მისი დროშის ქვეშ, შევიარაღდეთ, გავაძლიეროთ მისი ლაშქარი და როცა იგი გაიმარჯვებს, როცა სამცხის სამთავროს დაეპატრონება, თქვენც გეშველებათ და ქვეყანასაც, ერსაც და ბერსაც, რადგან ქვეყნის სიძლიერითა და სამართლიანობით ცოტათი თუ ბევრად ყველა მისი მკვიდრი სარგებლობს. ეს იქნება ჩვენი მამულისა და ოჯახისათვის ბრძოლა და რადგან ახლა ასე ძლიერ გვიჭირს, სისხლისღვრას არ უნდა მოვერიდოთ. დაე, ყველამ გაიღოს თავის წილი მსხვერპლი ჩვენს ცხოვრებაში წესრიგისა და სამართლიანობისათვის [illegible]-დო, ეუბნებოდა ხალხს გიორგი მაწყვერელი.

გიორგი მაწყვერელმა კარგად იცოდა, ბეშქენი რომ შორსმჭვრეტელი, საქმის გამჭრიახად მომგვარებელი და ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავგადაკლული კაცი არ იყო, იცოდა ისიც, კდემამოსილება და კრძალვა რომ აკლდა, მაგრამ ლაკლაკთან შედარებით იგი უფრო დამჯერი, უფრო გონიერი იყო, მახლობლებთან და ქვეშევრდომებთან ურთიერთობასა და თანაარსებობას არ თაკილობდა და არც ღვინოსა და სიძვის დიაცებს ეძალებოდა ისე, რომ პირადი მოვალეობა დაევიწყებინა. გარდა ამისა, ირგვლივ მათ გვარიშვილობაში უკეთესი არავინ ჩანდა და ამიტომ გიორგი მაწყვერელმა გადაწყვიტა ბეშქენ მირიანისძისათვის მტკიცედ და ბოლომდე დაეჭირა მხარი. მან ისიც მოახერხა, რომ ლაკლაკის მომხრე ორი აზნაური, რომელთაც საკმაოდ მოზრდილი ცხენოსანი რაზმები ჰყავდათ, ბეშქენის მხარეზე გადმოებირებინა. ისინი კი არ უნდა გამოქცეოდნენ ლაკლაკს, არამედ მისთვის ბრძოლის დროს ეღალატათ. გიორგი მაწყვერელის მხარდაჭერამ ბეშქენს სიმხნევე და გამარჯვების იმედი შემატა. მისი მხედრობა ყოველდღიურად იზრდებოდა. გიორგი მაწყვერელის რჩევით, მან გიორგი ჩორჩანელის ციხე-დარბაზი დაიპყრო, ქონგურებზე მცველები დააყენა, ახლო-მახლო დაბებიდან მჭედლები მოაყვანინა და იარაღის გამოჭედვა დაავალა. მთელი ორი თვე იჭედებოდა იარაღი და იწვრთნებოდა ლაშქარი. მეომრები ციხე-დარბაზის ეზოში ველარ ეტეოდნენ და მათთვის ბეშქენმა მინდორში კარვები დაადგმევინა. გიორგი მაწყვერელი იმთავითვე ურჩევდა ბეშქენს, უჩუმრად მომზადებულიყო გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მაგრამ ლაკლაკსა და მის დამქაშებს ბეშქენის მზადებაც მაინც არ გამო-

პარვიათ მხედველობიდან, გადამწყვეტი ბრძოლისათვის ისინიც ემზადებოდნენ. ლაკლაკმა მხოლოდ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა. ბეშქენის მზადების სიფართოვე და გაქანება, არც თვით ბეშქენი მიაჩნდათ იმ კაცად, ასე მოკლე დროში ამხელა საქმეს რომ გაართმევდა თავს. იგი მას ბრძოლაშიც იცნობდა და საქმეშიც. შეიძლება უფრო წინდახედული და ფრთხილი ყოფილიყო, წინასწარ რომ სცოდნოდა, ბეშქენის უკან სამცხის ეპისკოპოსი და ეკლესია იდგა. ეკლესია სამცხეში უკვე დიდ ძალას წარმოადგენდა. სექტემბრის ბოლოს ბეშქენს მზად ჰყავდა კარგად შეიარაღებული, გაწვრთნილი ლაშქარი, ამას ისიც ემატებოდა, რომ მის გვერდით იბრძოდნენ ის ადამიანები, ვინც დაინტერესებული იყო სამცხეში წესრიგის აღდგენით და უსამართლო ჩაგვრის აღკვეთით. მას შემდეგ, რაც გიორგი მაწყვერელი ერთხელ ლაშქრის წვრთნას დაესწრო, ბეშქენის გამარჯვებაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. ლაშქარი პირადად მან დალოცა და ბეშქენს ომში სასწაულმოქმედი ხატი გაატანა.

ბრძოლა მოხდა მდინარე ქვაბლიანის ქვემო წელთან გაშლილ ველზე, ბეშქენი უფრო გულდაჯერებულად და დინჯად იბრძოდა, ლაკლაკი უფრო შემართულად და ფიცხად, მაგრამ იმან, რაც ლაკლაკმა წინასწარ ვერ გაითვალისწინა, ბრძოლის ველზე სწრაფად იჩინა თავი. ბეშქენის ლაშქარი რიცხვობრივადაც ჭარბობდა ლაკლაკისას, შეიარაღებითაც ჯობდა და სიმხნევითაც. როცა ლაკლაკის მეომრებმა დაინახეს, რომ მათი ისედაც მცირერიცხოვანი ლაშქარი სწრაფად ილეოდა, მოწინააღმდეგე შეუპოვრად და თავდაუზოგავად იბრძოდა, მათ ნელ-ნელა უკან დახევა იწყეს. სწორედ ამ დროს უღალატეს ლაკლაკს გიორგი მაწყვერელის მიერ გადმობირებულმა აზნაურებმა და ლაშქრის ცალი ფრთა, რომელსაც განგებ თუ რაღაც მანქანების წყალობით ისინი სარდლობდნენ, მთლიანად მოირღვა. ლაკლაკი იმწამვე მიხვდა, რა სასტიკი დამარცხება მოჰყვებოდა ბრძოლის გაგრძელებას, ისიც შეიგნო, ამ ველზე რომ თავს დაკარგავდა და ამიტომ ცხენი სწრაფად შეაბრუნა, თავისიანებს გასძახა, მომყევითო და ტყეს შეაფარა თავი. ტყეში ისინი ჩამოქვეითებულები შეცვივდნენ და ცხენები უპატრონოდ დაყარეს. დილით დაწყებული ბრძოლა შუადღემდე დამთავრდა. ლაკლაკი დამარცხდა, გაიქცა და ამიერიდან მას ცოტა ვინმე თუ დაუჭერდა მხარს. დამარცხების არც დამალვა შეიძლება და არც გამართლება. ის კი არადა, შეიძლება ისინიც გამოქცეოდნენ, ყველაზე ერთგულ თანამებრძოლებად რომ მიაჩნდა და ბეშქენისათვის ეთხოვათ მფარველობა. ათასამდე კაციდან ლაკლაკს სამასიოდე თუ შეჰყვა ტყეში. დანარჩენები ან დახოცეს ან დაატყვევეს. ტყვეთა რაოდენობა დახოცილებზე გაცილებით მეტი იყო, რამაც გიორგი მაწყვერელი დიდად გაახარა. ბეშქენი გამარჯვებული ლაშქრით ჩორჩანში დაბრუნდა და ტყვეებიც იქ მიიყვანა. მეორე დღეს ბეშქენმა თავი სამცხის ერთპიროვნულ მმართველად გამოაცხადა, გვარი შეიცვალა, ბიძის გვარზე დაეწერა. ასე შეიძინა სამცხემ შვიდი წლის შინააშლილობის შემდეგ მთავარი. ერთი კვირის შემდეგ კი ჩორჩანის ციხე-დარბაზში დიდი ზეიმი გაიმართა, გიორგი მაწყვერელმა ბეშქენ ჩორჩანელი სამცხის მთავრად აკურთხა და ქვეყნის მართვა და მოვლა-პატრონობა ღვთის სახელით დააკისრა. სერაპიონს მაშინ არ ეცალა, ბეშქენ ჩორჩანელის მთავრად კურთხევას არ დასწრებია, მაგრამ მისთვის ისიც დიდად სასიხარულო იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ქვეყანას დაწყნარება, დამშვიდება ეღირსებოდა და ახალი მთავარი ტაძრის მშენებლობის დასამთავრებლად უთუოდ გაიღებდა საჭირო თანხას.

რაც შეეხება ლაკლაკს, დამარცხების შემდეგ მას აღარ უცდია ახალი მომხრეების შემომტკიცება, ლაშქრის გაზრდა, გაძლიერება და სამცხის სამთავროში შემოჭრა. იგი მიხვდა, სამთავროსათვის ბრძოლა რომ სამუდამოდ წააგო, უერთგულესი მომხრეებიც რომ სანდონი აღარ იყვნენ, შეეძლოთ მძინარეს თავს დასხმოდნენ, შეეპყროთ და საკუთარი დანაშაულის გამოსასყიდად ბეშქენისათვის მიეგვარათ. ბეშქენის ხელში ჩავარდნა კი მას კარგს არაფერს უქადდა. ამიტომ ლაშქრის ნარჩენები შემოიკრიფა, თითოეულს დაპირდა მამულებსა და სარჩო-საბადებელს გაშოვნინებთო და ამ რაზმით სამცხის სამთავროს დასავლეთით მიწები დაიპყრო, ადგილობრივი მოსახლეობა დაიმორჩილა და თავი დაპყრობილი მიწების მთავრად გამოაცხადა. ასე დაედო სათავე ლაკლაკიანთ სამთავროს და საგვარეულოს. მას შემდეგ ლაკლაკს არც სამცხე შეუწუხებია თარეშით და არც თავის წილი ქონება და მამულები მოუთხოვია. როცა ეს ამბავი ბეშქენ ჩორჩანელმა გაიგო, ლაშქარი დაშალა და ჩორჩანში მხოლოდ მცველთა რაზმი დაიტოვა.

ამასობაში კი ტაძრის გუმბათი და სამრეკლო შენდებოდა. სამრეკლოს მხოლოდ გუმბათის ყელის მოპირკეთება და გადახურვა სჭირდებოდა. სამცხეში მთავრდებოდა დიდხანს ნაჯახირევი, ცრუ რწმენითა და უმეცრებით დამძიმებული, წარსულისათვის ჩასაბარებელი დრო და იწყებოდა ახალი, ღვთის რწმენითა და ქრისტეს მოძღვრებით გაშუქებული ხანა. ამ ხანას სწორედ ზარზმის მონასტერმა ჩაუყარა საფუძველი, მან გააფართოვა აქაური კაცის ფიქრი, და მისი მოღვაწეობის თვალსაწიერი, მან მიანიჭა უპირატესობა სულიერ ცხოვრებას, მან დაამტკიცა. რომ შენება, წერა-კითხვა, გალობა, ფერწერა ძლევამოსილების ზრდაა, მან დაამკვიდრა ქმედება, ღვაწლი, სიქველე, მან შემოიტანა და განამტკიცა ცხოვრების ახალი წესი და ახლა, როცა სერაპიონს თითქმის ყოველდღიურად აკლდებოდა თვალს, მუხლი უსუსტდებოდა და სახის კანი უჭკნებოდა, ახლა, როცა ქვა, ხე და რკინა ტაძრად და მთელი სამცხის მშვენებად იქცა, როცა მის სანახავად შორიდანაც კი მოდიოდნენ და ჯერ კიდევ ხარაჩოებში ჩასმულს თვალმოუშორებლად უყურებდნენ, ახლა, როცა სერაპიონი ხატის წინ მუხლებზე დგას საკუთარ სენაკში და ღმერთს მხოლოდ იმას სთხოვს, რომ ტაძარი დაამთავრებინოს, მიაღწევინოს იმ საქმის ბოლომდე, რომლის აღსრულებაც თვითონ დაავალა, არაფერი არ ენატრება ისე, როგორც ჯანმრთელობა და უნაკლო თვალისჩინი.

## თავი მეოთხე

ზარზმის მონასტერში გიორგი მაწყვერელის მიერ გამოგზავნილი ხუცესი მოვიდა და სერაპიონს აუწყა: სამცხის სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენი, თეკლა გარდაიცვალა და ეპისკოპოსი მისთვის წესის აგებასა და დასაფლავებაზე დასწრებას გთხოვთო. თეკლა გავლენიანი დედაკაცი იყო, დაქვრივების შემდეგ იგი უძღვებოდა ოჯახს და ქონებაც მეტი ჰქონდა, ვიდრე მის შვილებს. მართალია, ქონების ნაწილს იღუმენი დედათა მონასტრის მშენებლობასა და შენახვას ახმარდა, მაგრამ ამბობდნენ, დიდძალი საჭურჭლე აქვს გადანახული და ახლა ალბათ ყველას, ვისაც ამის უფლება ჰქონდა, თვალი ამ საჭურჭლისაკენ ეჭირა. უპირველეს ყოვლისა, სამცხის კანონიერ მთავარს და გარდაცვლილის უშუალო მემკვიდრეს, ბეშქენ ჩორჩანელს. თუ ვის გაუნაწილა თეკლამ ქონება და ვის რა წილი ერგო გადანახული საჭურჭლიდან,

ეს მხოლოდ მაშინ გაირკვეოდა, როცა ანდერძს ლუქს ახსნიდნენ და ყველა იმათ გასაგონად წაიკითხავდნენ, ვისაც ანდერძის კითხვაზე დასწრების უფლება ექნებოდა. მანამდე კი ქიშპს, ვარაუდს და მითქმა-მოთქმას ბოლო არ მოეღებოდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ვისი თანდასწრებით დაწერა ანდერძი და ვის ხელში დალია სული იღუმენმა. როცა სერაპიონმა ამის შესახებ ხუცესს ჰკითხა, პასუხად მიიღო, გიორგი მაწყვერელისაო. ეს კი უკვე საქმეს ცვლიდა და ბეშქენ ჩორჩანელს ალბათ გუნებას უშხამავდა. გიორგი მაწყვერელი მანამდე არ მისცემდა თეკლას ღვთისთვის სულის მიბარების უფლებას, სანამ ეკლესიისათვის მნიშვნელოვან თანხას არ გაალებინებდა. ხოლო თუ რამდენი იყო ეს თანხა, ალბათ მხოლოდ გიორგი მაწყვერელმა იცოდა. სერაპიონს დიდად დასწყდებოდა გული, ახლა ამ უკიდურესი გაჭირვების ჟამს, თეკლას მემკვიდრეობიდან ზარზმის მონასტერს რომ არაფერი რგებოდა, დიდად გულდასაწყვეტი იქნებოდა ისიც, ანდერძის მიხედვით მამა კირიონს რომ მცირეოდენი წვლილი შეხვედროდა. სერაპიონს მხოლოდ ერთი რამის იმედი ჰქონდა. ბოლო დროს გიორგი მაწყვერელი აღარ საყვედურობდა, მაღალყელიანი გუმბათის მშენებლობას ახირებად და სიშლეგედ აღარ უთვლიდა და როცა მონასტერს ესტუმრებოდა, სულ უფრო დიდხანს და დიდხანს უყურებდა ტაძარს, სულ უფრო გულმოდგინედ აკვირდებოდა ტაძრის როგორც გარე შემოწერილობას, ასევე შიდა სივრცეს, თაღებს, ბურჯებს, კამარებს, გუმბათის ყელის საძირკველს, ერთხელ ისიც კი მოითხოვა, გუმბათამდე ამიყვანეთ და ახლოდან დამანახეთ, რას როგორ აშენებთო. ხოლო როცა გაიგო გუმბათის ყელის სიმაღლე ათი წყრთა და მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო, სიხარული და გაოცება ველარ დამალა. არც იმის მიმართ დარჩენილა გულგრილი, რომ გუმბათს თორმეტი დიდი სარკმელი ექნებოდა, საიდანაც შუქი შუა ტაძარში ჩაიღვრებოდა. ეპისკოპოსი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ შენდებოდა ახალი სახის ტაძარი, იმაზე უკეთესი, ვიდრე მანამდე აშენებდნენ და უკვე თვითონ იყო დაინტერესებული ტაძრის მალე დამთავრებით. რაც არ უნდა იყოს, ზარზმა მის ეპარქიაში შედიოდა. გიორგი მაწყვერელს ისიც კარგად მოეხსენებოდა, თუ რა გასაჭირში იყო სერაპიონი, ტაძრის დამთავრებას უსახსრობა აბრკოლებდა და შეიძლება თეკლასათვის სიკვდილის წინ ზარზმის მონასტრისთვისაც გაალებინებინა ცოტაოდენი თანხა. სერაპიონი ისე დაიღალა ბეშქენ ჩორჩანელისათვის ფულის დატყუებით, რომ მისი დანახვა აღარ უნდოდა. ბეშქენი ძუნწი და შემაქცევარი აღმოჩნდა, საქმეზე ლაპარაკს უაზრო ლაყბობა ერჩია, სამთავროზე და ეკლესიაზე ზრუნვას კი ნადირობა, მისთვის თითქმის ძალად წაღლეტილი თანხა მხოლოდ იმისათვის კმაროდა, ტაძრის მშენებლობა რომ მთლიანად არ შეწყვეტილიყო. მას შემდეგ, რაც იგი მთავარი გახდა, ორი წელი გავიდა და აქამდე მან ხურცისძეების ვერც მთლიანად მოსპობა შესძლო და ვერც შემორიგება. მისი უნიათობის გამო სისხლი ისევ ილვრებოდა სამცხეში. ამ საქმესაც ისევ გიორგი მაწყვერელი თუ მოუვლიდა, თორემ სხვა ვერავინ. მაგრამ ახლა სერაპიონს ის აინტერესებდა, რისთვის მიიწვია ეპისკოპოსმა საგანგებოდ ზანავში. შეიძლება გიორგი მაწყვერელი იმიტომ ეპატიჟებოდა, რომ სურდა ზარზმის მონასტრის წინამძღვარიც დასწრებოდა თეკლას დამარხვის შემდეგ მიცვალებულის ანდერძის წაკითხვას.

სერაპიონი შეუძლოდ იყო, მაგრამ გრძნობდა, რომ ამჯერად მისი ზანავში წაუსვლელობა არაფრით არ იქნებოდა და ერთი მორჩილის თანხლებით იმ დღესვე გაუდგა გზას. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა, რა წაელო იოანესათვის, ამდენი ხნის უნახავი ძმისათვის და

ბოლოს ახლად შეჭედილ და ახალნაწერ ხატზე შეჩერდა. ეს ხატი საუკეთესო იყო იმათ შორის, ბოლო დროს რომ ზარზმის მონასტერში დაიწერა და შეიჭედა. როცა ზანავში ჩავიდა და ეკლესიას მიადგა, წესის აგება ის-ის იყო იწყებოდა. თეკლა გაშალაშინებულ ფიჭვის კუბოში იწვა და ზემოდან თეთრი ტილოს ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული. თავთან და ფეხებთან დიდი კელაპტრები ენთო, კუბოს კიდეებზე კი მოზრდილი სანთლები. გიორგი მაწყვერელს ცალ ხელში ანთებული საკმეველი ეჭირა, მეორეში პატარა, მაგრამ მდიდრულად შეკრული წიგნი, მღვდლების თანხლებით იგი კუბოს ირგვლივ უვლიდა და მიცვალებულის სულს ღმერთს ავედრებდა. იმდენი ხალხი, თეკლას დაკრძალვას რომ დაესწრო, გიორგი ჩორჩანელის დასაფლავებას არ დასწრებია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ეკლესია გავლენას იხვეჭდა, ძლიერდებოდა, მდიდრდებოდა. ტაო-კლარჯეთის, სამცხის და ქართლის ზოგიერთი კუთხის დიდებულები და ეკლესიის მამები დამწუხრებულნი იდგნენ ორ ჯგუფად გაყოფილნი, მაგრამ მათ მწუხარებას აცამტვერებდა ბრწყინვალე, ოქროთი ნაქერი, სხვადასხვა ფერის მოსასხამები, კაბები, ანაფორები. ეკლესიაში საკმევლის მძაფრი უსნი იდგა, ილვენთებოდა კელაპტრები, სანთლის შუქს ირეკლავდნენ ხატები, საკურთხეველი ძვირფასად იყო მორთული და მოკაზმული. მიუხედავად ხანგრძლივი შინააშლილობისა, ეკლესიებს თუ შეემატა რამე, თორემ არაფერი დაკლებია. ეს კი გიორგი მაწყვერელის დამსახურება იყო და იგრძნობოდა კიდეც მის ხმასა და სიდარბაისლეში. იგი მტკიცედ იჯდა ეპისკოპოსის ტახტზე, უნარიანად განაგებდა ეპარქიას, დიდებულებიც უფრო მოწიწებითა და რიდით ექცეოდნენ, ვიდრე დედის დასაფლავებაზე ჩამოსულ ბეშქენ ჩორჩანელს, ამას ბეშქენიც გრძნობდა და მოღუშული უფრო იყო, ვიდრე დამწუხრებული. ეპისკოპოსის მიტრა მეტ ყურადღებას იქცევდა, ვიდრე მთავრის მოღუშული სახე. ეკლესიაში მეტი წესრიგი და სამართლიანობა სუფევდა, ვიდრე სამთავროში. მიუხედავად ხანდაზმულობისა, გიორგი მაწყვერელი ბეშქენზე უფრო მხნედ და იმედიანად გამოიყურებოდა. ეკლესიის მამები არც სამოსელის ბრწყინვალებითა და სიზვიადით ჩამორჩებოდნენ აზნაურებსა და რაინდებს. ეკლესია ისევ იხვეჭდა იმ უფლებებს, რაც არაბების შემოსევამდე ჰქონდა მოპოვებული. მის მიჩუმებულ მეხსიერებას არაფერი დავიწყნია, არაფერი დაუკარგავს, არაფერი მიუჩქმალავს. მან საერო ხელისუფლებაზე უკეთ იცოდა მტრებისაგან თავის დაცვაც და მეგობრების შეძენაც. იგი უფრო მოწყალე, დიდსულოვანი და გულუხვი იყო, ვიდრე მთავრები ან დიდგვაროვანი აზნაურები, მისი არ ეშინოდათ, არ უფრთხოდნენ, შეურიგებელ მტრობას არ უცხადებდნენ. ეკლესია მბრძანებლობდა არა ძალით, არამედ მორწმუნეთა კეთილგანწყობის წყალობით და ყოველივე ეს ცხადად იგრძნობოდა გაჩირაღდნებულ ეკლესიაში და სიხარულსა და რწმენას მატებდა იმათ, ვინც ეკლესიას ემსახურებოდა და არა პატრონს. მათ შორის იოანესაც. იოანე წინა რიგში იდგა და სერაპიონს იმან დასწყვიტა გული, რომ ხანი იოანესაც დასტყობოდა, წვერ-ულვაში გათეთრებოდა, თვალებში ჭმუნვა ჩასდგომოდა, დაეკარგა ის უმანკო და უცოდველი გამომეტყველება, პარეხის მონასტრიდან რომ გამოჰყვა. ეტყობა, მონასტრის მშენებლობა მასაც დიდ ჯაფად, ფიქრად, საკუთარ თავთან ბრძოლად უჯდებოდა. მისმა ფიქრებმაც ხომ იგივე გზა გაიარეს, როგორიც გზაც სერაპიონისამ გაიარა ზარზმაში და მათი აზრები ალბათ ისევე გაჭაღარავდნენ, როგორც მათი წვერ-ულვაში. იოანეც ალბათ ისევე ჰგავს იმ მონასმაც ხომ იგივე გზა გაიარეს, როგორი სერაპიონი დაემსგავსა ზარზმის მონას-

ტერს, რომელმაც არა მარტო ჯანი შეიწირა მისი, არამედ სახეც წაართვა და გააუსახურა. სერაპიონი თავისთავად აღარ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ მონასტერთან ერთად და სანამ პირში სული ედგა, მისი ერთგული მსახური იყო.

წესის აგება დიდხანს გაგრძელდა. ეკლესიაში დაცხა, სერაპიონს ოფლმა დაასხა. თვალებზე ბინდი ჩამოაწვა. ბოლოს, როგორც იქნა, გიორგი მაწყვერელმა წიგნი დახურა, კიდევ ერთხელ შელაღადა ღმერთს, შეიწყალე მხევალი შენი თეკლაო და მის უკან გაჩერებულ ეკლესიის მსახურთ ანიშნა, კუბოს ეკლესიიდან გატანა შეიძლებაო. აგუგუნდნენ ეკლესიის ზარები. თეკლა იქვე, ეკლესიის ეზოში დამარხეს გიორგი ჩორჩანელის გვერდით. როცა საფლავს მიწა მიაყარეს და დიდებულები და ეკლესიის მამები წავიდ-წამოვიდნენ, სერაპიონს გვერდით ხუცესი ამოუდგა და უთხრა, ეპისკოპოსი სადიაკვნოში გიხმობთო. სერაპიონი ისევ შებრუნდა ეკლესიაში. ეს ხმობა სასიხარულო უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე დამამწუხრებელი. სულ ცოტა თანხაც რომ რგებოდა თეკლას მემკვიდრეობიდან, მისთვის ესეც დიდი შეღავათი იქნებოდა. სანამ დედათა მონასტრის იღუმენს მიწას მიაყრიდნენ, ეკლესიაში კელაპტრები ჩაექროთ, ტახტი გაეტანათ, ქვის იატაკი დაეგავათ. არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ აქ ამ ცოტა ხნის წინათ მიცვალებული ესვენა. სანამ სადიაკვნომდე მიაღწევდა, სერაპიონს იოანე წამოეწია, მხარზე ხელი დაადო, შემოაბრუნა და გადაეხვია. ეკლესიაში მათ მეტი არავინ იყო. ასეთი სითბო და სიყვარული აქამდე სერაპიონს არავისგან უგრძვნია. მის წინ იდგა უკვე ხანში შესული, ნაჯაფი, ყოველდღიურ ცდუნებებთან ნაბრძოლი კაცი, მაგრამ სერაპიონისათვის იგი მაინც ის ყმაწვილი იყო, მამის სახლიდან რომ წამოიყვანა და პარეხის მონასტერში მიიყვანა. ამან განსაზღვრა იოანეს ცხოვრების გზა, სერაპიონმა მოსწყვიტა იგი მიწიერ ყოფას და მონასტერში გამოკეტა. მაგრამ რა კარგადაც არ უნდა ეცხოვრა იოანეს მამისეულ დაბაში, რა სიამოვნებაც არ უნდა მიეღო ცხოვრებისაგან, იმაზე უკეთესს მაინც ვერაფერს გააკეთებდა, რასაც აკეთებდა. აშენებდა მონასტერს, სადაც მრავალი ცოდვილი სული თავშესაფარს იპოვიდა და ღვთის წყალობას დაიმსახურებდა, სადაც თანდათან შეიტკბობდნენ მარადიული ყოფის სიამეს და სანამ იარსებებდნენ, თავიანთი სიკეთით მონასტრის აშენებელსაც წაადგებოდნენ რამეში.

სერაპიონსა და იოანეს სადიაკვნოში გიორგი მაწყვერელი, ზანავის ეკლესიის მღვდელი, ბეშქენ ჩორჩანელი, მისი სახლთუხუცესი და ეპისკოპოსის გრამატიკოსი ანუ მდივანი დახვდნენ. ეპისკოპოსი დაღლილი ჩანდა, მაგრამ დაღლას არ იმჩნევდა. როგორც კი ყველამ, ვინც წვეული იყო, თავი მოიყარა სადიაკვნოში, გიორგი მაწყვერელმა მაგიდიდან დალუქული გრაგნილი აიღო, ლუქი ახსნა და თეკლას ანდერძის კითხვას ხმამაღლა შეუდგა. ეპისკოპოსს მქადაგებლის ძლიერი, მკერდისმიერი ხმა ჰქონდა, ყოველ სიტყვას ცხადად და გასაგებად გამოთქვამდა. თეკლა ხუთი ათასამდე ბერძნული დრაჰკანიდან და არაბული დინარიდან ათასხუთასს ბეშქენს უტოვებდა, ათასს სულას, ანუ მამა კირიონს, დანარჩენს კი ეკლესიას სწირავდა. აქედან ათასხუთასს სამცხის ეპარქიას ეკლესიებისა და სამლოცველოების ასაშენებლად, შვიდასს დედათა მონასტერს, სამასს კი ზარზმის მონასტერს. ანდერძი რომ გიორგი მაწყვერელის ნაკარნახევი იყო, ამაში არც სერაპიონს შეპარვია ეჭვი და ეტყობა, არც ბეშქენ ჩორჩანელს. ბეშქენს ისეთი ფერი ედო, რომ შესძლებოდა ეპისკოპოსს ხელიდან გრაგნილს გამოსტაცებდა, დახევდა და ნაკუწებს ფეხით გათელავდა, მაგრამ ეპისკოპოსისაგან იგი იმდენად იყო დავალებული, იმხელა რიდი და შიში ჰქონდა მისი, რომ

გაფითრების მეტს ვერაფერს ახერხებდა. სერაპიონნს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყელში ძლიერი ხელი ჰქონდა წაჭერილი და ეს ხელი მოდუნდა, მოეშვა, თითქოს განძი ანგელოზმა ჩამოუგდო ზეციდან. აწი სადარდებელი და სამათხოვრო აღარაფერი ჰქონდა. ამ თანხით ტაძარსაც დაამთავრებდა, სამრეკლოსაც და სამთაღიან კარიბჭესაც. შეაბათქაშებინებდა ტაძრის კედლებს, მოიწვევდა მხატვრებს და თუ ხანი დააცლიდა, მთელ ტაძარს თავიდან ბოლომდე მოახატვინებდა. შეიძლება იმდენიც გადარჩენოდა, ორი ან სამი ახალგაზრდა ბერი საბერძნეთშიც გაეგზავნა სასწავლებლად. ამიერიდან აღარ გამოიჩენდა ისეთ ხელმომჭირნეობას, აქამდე რომ იჩენდა. ბერებს ორ-ორ წყვილ ტანსაცმელს დაურიგებდა, სატრაპეზოშიც მეტ სურსათ-სანოვაგეს შემოზიდავდა, უფრო მეტ ხბოს ტყავს შეისყიდდა წიგნების გასამრავლებლად, ახალ აღკვეცილ ბერებს ქვეშაგებელსაც კი დაახვედრებდა. ამიერიდან მას ვერავინ ვერაფერს ავნებდა და ვერც ტაძრის მშენებლობაში შეუშლიდა ხელს. მონასტერი ფრთხილი, სამუდამოდ გახელილი თვალი იყო და ამ თვალს ვეღარაფერი ჩააქრობდა. მონასტრის ცხოვრება და ღვაწლი ქვაზე იწერებოდა და არა წყალზე, მისი არსებობა წარსულსაც ამართლებდა და მომავალსაც, მისი სიდიადე წარმავლობის საზომადაც გამოდგებოდა და წარუმავლობისაც.

ანდერძის წაკითხვის შემდეგ უკმაყოფილება მხოლოდ ერთ კაცს ეწერა სახეზე — ბეშქენ ჩორჩანელს. ამდენი თანხა მას არც ეკლესიისათვის ემეტებოდა და არც იმას თვლიდა სამართლიანად, მემკვიდრეობის მეხუთედი სადღაც გადაკარგულ უფროს ძმას, მამა კირიონს რომ ერგო. ამიტომაც იუკადრისა ზანავის ეკლესიის მღვდლის სადილად მიპატიჟება, ცხენები შეაკაზმინა და თავის ამალიანად ჩორჩანისაკენ გასწია. მისი გამგზავრება თუ გაუხარდა ყველას, თორემ არავის სწყენია. მღვდლის სახლში მშვენიერი სუფრა დახვდათ გაშლილი. ასეთ მდიდრულ სუფრას სერაპიონნი არასოდეს მისჯდომია. განსაკუთრებით, თვალს, შემწვარი კალმახი და ტობი იტაცებდა. ღვინოც საუცხოო იყო. სუფრას მხოლოდ სასულიერო პირნი უსხდნენ, მაგრამ სერაპიონნს ყველაზე მეტად მაინც ის ახარებდა, რომ იოანესთან საუბრით იჯერებდა გულს. გრძელი, დამქანცველი, ნაადრევად დამაბერებელი იყო ის უცნობი და გაუკვალავი გზა, რომელიც მათ ჯერ ერთად, მერე ცალ-ცალკე გამოიარეს და ახლა როცა ეს გზა არც ისე გრძელი ეჩვენებოდათ, როცა მისი დასასრული ცხადად იგრძნობოდა, მათ სათქმელიც ბევრი რამ ჰქონდათ ერთმანეთისათვის და გასაზიარებელიც. მისმა და მისი ძმის სამცხეში ამოსვლამ ერთდროულად ორი მონასტერი შესძინა ამ მხარეს და ეს არა მარტო ღვაწლი და სიქველე იყო, არამედ ახალი მიწების აღმოჩენაც და ათვისებაც.

სერაპიონმა ის ღამე მღვდლის ოჯახში გაათია, მეორე დღეს კი ბერძნული დრაჰკანებით და არაბული დინარებით დატვირთული ზარზმისაკენ გაუდგა გზას. მის სიხარულს მხოლოდ ის ჩრდილავდა, რომ თავი სტკიოდა და თვალებზე დროდადრო ბინდი ეფარებოდა.

სამრეკლოს გუმბათის გადახურვა მთავრდებოდა, ტაძრის გუმბათის მშენებლობა კი სარკმლებს ასცდა და რამდენიმე თვეში მისი გადახურვაც დაიწყებოდა. სერაპიონნს მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ტაძარსაც და მის გუმბათსაც შორიდან ბუნდოვნად ხედავდა და რომ დარწმუნებულიყო, როგორ იყო მოჩუქურთმებული სარკმელების საპირეები, სად და როგორ ჩასვეს გუმბათის ყელში წარწერიანი ქვა, ზემოთ უნდა ასულიყო და ახლოს დაენახა. ბოლო დროს არა თუ კითხვა, ასოების ერთმანეთისაგან გარჩევაც კი უჭირდა. არ ეგონა ასე სწრაფად თუ დააკლდე-

ბოდა თვალს, ასე თუ დაახეიბრებდა ღმერთი. ის ბინდი, სულ უფრო ხშირად და ხშირად რომ ეფარებოდა თვალებზე, შუბლიდან ეშვებოდა ქვემოთ ნელ-ნელა, რამდენიმე წუთით მთლიანად აბრმავებდა და შემდეგ ასევე ნელ-ნელა იწევდა ზევით შუბლისაკენ. მან არ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი, ვერც სხვებმა აუხსნეს, საიდან ჩნდებოდა ის ბინდი, თვალებზე რომ ეფარებოდა და ამიტომ ალარც თვითონ იკვლევდა მისი წარმოშობის მიზეზს და ალარც სხვებს ეკითხებოდა რჩევას, რადგან ყველაფერ ამას ბნელეთის მეუფის ხრიკებს აწერდა. ეშმამ სხვა ხრიკებით ვერ აცდუნა, ვერ გადაიყვანა ჭეშმარიტების გზიდან და ამიტომ ბინდი ჩაუსახლა თავში. ასეთია იმათი ხვედრი, ვინც დიდი საქმის აღსრულებას მოჰკიდებს ხელს, ვინც რჩეულთა შორის აღმოჩნდება, სენი და წამება მისი ისეთივე თანამგზავრია, როგორც მოარული არსების ჩრდილი მზის გადახრის შემდეგ. სამაგიეროდ მისი სული ნათლდებოდა, იწმინდებოდა და იმ იდუმალებისაკენ ისწრაფოდა, საიდანაც მოვიდა. ამას იგი ღამღამობით უფრო ნათლად გრძნობდა, უფრო შორს იყურებოდა როგორც უკან, ასევე წინ, უფრო ნათლად ესახებოდა ის გზა, რომელიც გაიარა და ის იდუმალი კარიც, რომელსაც აწი მალე უნდა მისდგომოდა. ამ კარისაკენ მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა იყო ძნელი, შემდეგ კი, როცა შეაღებდა და შევიდოდა, მის ნებაზე აღარაფერი იქნებოდა დამოკიდებული, სულს იმას მიაბარებდა, ვინც შექმნა და სული ჩაუდგა.

სერაპიონი ტაძრის კარიბჭის წინ შეჩერდა და ლავგარდანს ზემოთ ქვაზე ნაკვეთ ანგელოზს დააკვირდა. თუ ადრე ანგელოზის ყოველი ნაკვეთი ცხადად და გარკვევით მოჩანდა, ახლა ქანდაკების წრეხაზები გაცრეცილიყო და გაბუნდოვანებულიყო. ანგელოზს ცალ ხელში დახვეული ეტრატი ეჭირა, რასაც სერაპიონი საერთოდ ველარ ხედავდა. აღარც ტაძრის კარიბჭის საპირეები იყო ისე ცხადად და ლამაზად მოჩუქურთმებული, როგორც ახსოვდა. სერაპიონმა აღარ იცოდა გარემო იცვლებოდა მის ირგვლივ თუ თვით მასში იცვლებოდა რაღაც მკვეთრად. არა და ჯერ ჯანიც სჭირდებოდა და სალი გონებაც. მას საკუთარი თვალით უნდა ენახა დამთავრებული ყელიანი გუმბათი და საკუთარი ყურებით უნდა გაეგონა მონასტრის ზარების გუგუნი. ახლა კი კარიბჭის მოჩუქურთმებულ საპირეებს და ქანდაკებას შორიდანაც უყურებდა, ახლოდანაც და გვერდიდანაც და რაღაც მაინც ეჩოთირებოდა, რაღაც ისე ვერ იყო ნაკვეთი და ნაქანდაკარი, როგორც მის მეხსიერებას შემორჩა. სინამდვილე მხედველობიდან უსხლტებოდა და მხოლოდ მოგონებებს აჩეჩებდა ხელში. მოგონებები კი კარგს არაფერს უქადდა, სულს უმღვრევდა, უფორიაქებდა. მით უმეტეს ახლა, როცა ქვეყანაზე ჩრდილი და ბუნდოვანება მომრავლდა, სიცხადემ კი იკლო. მან უნდა გადააბიჯოს ჩრდილებს, გააქარწყლოს ბუნდოვანება, რადგან მისი ფიქრები ყოველთვის საქმის, ქმედების და გამოკვეთილი სახიერებისაკენ იყო მიქცეული და არა უსახურობისაკენ. ძალ-ღონე და მახვილი თვალი მას იმისთვის სჭირდებოდა, რომ წინ აღსდგომოდა იმ დამანგრეველ, გამომფიტავ, წამლეკავ ძალებს, ადამიანს რომ ყოველდღიურად უპირისპირდებიან და მის ნახელავს საფრთხეს უქმნიან. სივრცე, სადაც ახლა მონასტერი იყო გაშენებული, პირველად მან თვალით შემოხაზა, მეორედ ხელით, ბოლოს გონებით დაისაკუთრა და ახლა უფლება არ ჰქონდა, არ დაეცვა ყოველი ქვა, რომელიც თითქმის მისი სხეულის ნაწილიც იყო და მისდამი მტრულად განწყობილი ძალებისათვის დაენებებინა.

თვალების დაბინდვა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ შეწყდებოდა მშენებლობა და დაიწყებოდა ნგრევა, გუმბათი გადაუხურავი დარჩებოდა და ტა-

ძარში წყალი იდინებდა. ტაძარს მან იმიტომ ჩაუყარა მტკიცე საძირკველი, მისი კედლები იმიტომ გაამაგრა რკინითა და დუღაბით, რომ ვერც მიწისძვრას დაენგრია, ვერც ქარებს გამოეფიტა და ვერც ადამიანის ხელს იავარექმნა. ტაძარი ზღაპრული, მოგონილი, შეთხზული რამ კი არ იყო, არამედ ხელშესახები, ჭეშმარიტი ქმნილება, რადგან მასში ადამიანის სული იყო ჩაქსოვილი.

სერაპიონს ტაძრისაკენ წასვლა და გუმბათისათვის თვალის შევლება უნდოდა, მაგრამ გაახსენდა, ნაშუადღევს მონასტერში ჩამოსხმული და გაწმენდილი ზარები რომ უნდა ამოეტანათ ურმებით და ამიტომ მონასტრის ეზოდან გავიდა და საურმე გზას დაადგა. დღე ნათელი და ცხელი იყო, ტყე მყუდრო და უშფოთველი. ასეთ ამინდში იგი გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე შემოდგომაზე და გაზაფხულზე, როცა წვიმები იწყებოდა და დასავლეთიდან ნესტიანი ქარი უბერავდა, მაგრამ ახლა სახსრებისა და თავის ტკივილზე მეტად მას ის აწუხებდა, რომ გამრჯე, ერთგული, თანამოაზრე და ჭეშმარიტად ღვთისმოსავი კაცი ეცლებოდა ხელიდან. გაბრიელ გარბანელი ისე დაჩაჩანაკდა, მიიხრწნა და იმდენად დაუძლურდა, რომ საწოლიდან წამოდგომასაც კი ვერ ახერხებდა. მარცხენა ხელი და ფეხი დადამბლავებული ჰქონდა, ყბა მოქცეული და გახევებული, ენა დაბმული. საცოდაობა იყო მისი ამქვეყნად ყოფნა, მაგრამ ღმერთი მხოლოდ მაშინ იხმობს ადამიანის სულს თავისთან, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევს და ამიტომ სერაპიონი მოთმინებით ელოდა გაბრიელის აღსასრულს. თუმცა ეს დღე შორს აღარ იყო, ცალი ფეხი ბერიკაცს უკვე სამარეში ედგა და ცხადია, მისთვის წესის აგებაც სერაპიონს მოუწევდა. მიდიოდნენ ის ადამიანები ამ ქვეყნიდან, ვინც მონასტრის მშენებლობას სიცოცხლე შეალია და მათ წასვლასთან ერთად მათი სახეები ჯერ ბუნდოვანდებოდნენ, შემდეგ კი ქრებოდნენ. თუმცა არა მარტო მათ სახეებს მოსდიოდა ასე, სერაპიონის თვალში საკუთარი სახეც ბუნდოვანდებოდა და როცა ამ ქვეყნიდან წავიდოდა, როცა მისი სახელის მოსაგონებლად ლოცვას აღავლენდნენ ტაძარში, არავის ეცოდინებოდა, როგორი იყო იგი სინამდვილეში. შეიძლება მოგვიანებით ვინმეს აღეწერა კიდეც მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ უცნობი კაცის მიერ შექმნილი სურათი კიდევ უფრო მცდარი და შეუსაბამო იქნებოდა. მხოლოდ მონასტერი და ტაძარი შეინახავდა მის ჩრდილს, სითბოსა და გულისხმევას.

სერაპიონმა მონასტრის ეზოსაკენ მომავალი ურმები დაინახა და შეჩერდა. მისი ჩუმი სიხარული გაფართოვდა, გალაღდა, გაფეროვანდა, მიწაც კი უფრო მტკიცე და ურყევი მოეჩვენა. ურმებს წინ მეურმეები მოუძღოდნენ, გვერდით კი ძმები წინუბნელები და მათი ძმისწული ზებედა მოჰყვებოდნენ. ურმის ჭრიალი სერაპიონს გალობასავით ჩაესმოდა ყურში. წინა ურემში კამეჩები იყვნენ შებმულნი და ყველაზე დიდი ზარიც არ ურემზე იდო. მეორე ურმით, რომელშიც ღონიერი, რქებწამახული ხარები ება, ორი ზარი მოჰქონდათ, მესამეთი კი ოთხი. ზარები სიდიდის მიხედვით იყო ჩამწკრივებული. მონასტერი იძენდა თავის ხმას, თავის განუმეორებელ ჟღერადობას, თავის სალაპარაკო ენას. მალე იგი ხმამაღლა ამეტყველდებოდა და საკუთარ ხმას მთელ ამ მხარეს მიაწვდენდა, გააგებინებდა ადამიანებს, რა დრო, რა დღე, რა დღესასწაული იყო, რა ხდებოდა ქვეყანაზე, მოკეთე მოდიოდა სასიკეთოდ თუ მტერი სამტროდ. მათი ხმა ღვთისმოსავთ გაამხნევებდა, ბნელეთის მოციქულთ კი დააფრთხობდა. ზარები მონასტრის ენაც იქნებოდა და იარაღიც, მისი გავლენის გამაფართოებელიც და უკეთურთა ჭეშმარიტების გზაზე მომქცევიც. ამიტომაც უყურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა მათ სერაპიონი ისე, თითქოს ისინი ცოცხალი, მეტყველი არსებანი იყვნენ და არა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული უსულო საგნები.

ერთი თხელი, მაგრამ მოსული ჭაბუკი, რომელიც ურმებს უკან მოჰყვებოდა, სერაპიონმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა მეურმეებსა და წინუბნელებს მიესალმა და დალოცა. მონასტრისა და ტაძრის მშენებლობაში წილი ამ ხალხსაც ედო და ამიტომ სერაპიონისათვის ისინიც ისეთივე მახლობლები იყვნენ, როგორც ყველა, ვინც კი რაიმეთი მაინც შეეწია მონასტერს. თუ მეურმეები სამშენებლო მასალას ეზიდებოდნენ, წინუბნელები ხმას ჩაუდგამდნენ, აამეტყველებდნენ, ააგუგუნებდნენ მონასტერს. დიდ ზარს ქვემოთ მოჩუქურთმებული არშია ჰქონდა შემოვლებული, არშიის ცოტა ზემოთ კი ფრთაგაშლილი შევარდენი იყო გამოკვეთილი. არშია ორ უფრო მომცრო ზარებსაც ამშვენებდა, გასუფთავებულ, გაკრიალებულ ზარებს რომ ხმაც სუფთა და გაუბზარავი ექნებოდა, ამაზე მათი საგნისეული იდუმალებაც მეტყველებდა. სერაპიონს ერთი წუთით მათთვის ხელის გადასმა, მოფერება მოუნდა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. ამ დროს მის გვერდით ის თხელი და მოსული ჭაბუკი აღმოჩნდა, რომელიც ურმებს უკან მოჰყვებოდა. სერაპიონმა იგი ვერ იცნო, მაგრამ გუმანით იგრძნო, რომ ჭაბუკი სისხლით თუ სულიერი ნათესაობით მისთვის ახლობელი ადამიანი უნდა ყოფილიყო.

— საიდან მოდიხარ, შვილო, და საით მიჰყვები ამ გზას? — ჰკითხა მას სერაპიონმა და რაღაცით ჭაბუკის სახის ნაკვთები ნაცნობი ეჩვენა.

— თქვენ ბრძანდებით ზარზმის მონასტრის წინამძღვარი, ნეტარი მამა სერაპიონი?

— მე ვარ, შვილო.

— მე კი ძმისწული ვარ თქვენი, კვიპრიანე.

სერაპიონი ძმისწულს სახეში შეაჩერდა და მიუხედავად იმისა, რომ მზერა დაებინდა, ჭაბუკი სახით მაინც შეამსგავსა პაპას. ტანით იგი პაპასავით მოსული იყო და სახის ნაკვთებიც თხელი და გამოკვეთილი ჰქონდა. მხოლოდ თმა და წვერი არ მიუგავდა პაპასა და მამას, უფრო ღია ფერი გადაჰკრავდა. ალბათ დედა ჰყავს თეთრი ქალი, გაიფიქრა სერაპიონმა და, როცა თვალებიდან ბინდი გადაეცალა, ძმისწულს ჰკითხა:

— ნუთუ ამ სიშორეზე ჩემს სანახავად ამოხვედი, შვილო ჩემო?

— არა, მამაო სერაპიონ, ზარზმაში მე იმიტომ ამოვედი, რომ მინდა ბერად აღვიკვეცო და ზარზმის მონასტერში დავეყუდო.

— მერედა მამა თანახმაა?

— თავად მირჩია.

— შენს გარდა რამდენი შვილი ჰყავს კიდევ მამაშენს?

— ორი ვაჟი და ორი ქალი.

— შენ უფროსი ხარ თუ უმცროსი?

— ყველაზე უმცროსი, მამაო.

— რასა იქმს მამაშენი?

— მოხუცდა, მოტყდა, დაუძლურდა.

— ჩემსავით?

— თქვენ ჯერ რა გიჭირთ, მამაო.

— მამულსა და დაბას ვინ უვლის, ვინ პატრონობს.

— ჩემი უფროსი ძმა.

— საშუალო რას აკეთებს?

— საშუალო არტანუჯში გადასახლდა და ერთ ვაჭარს დაუდგა შეგირდად.

— დები გათხოვილები არიან?

— ორივე, მამაო.

— წიგნი ვინ გასწავლა?

— ჩვენი დაბის ეკლესიის მღვდელმა, ტიმოთემ.

— მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი ბერად აღკვეცა, შვილო?

— ჩემი ცხოვრების ერთადერთი მიზანი ღვთის სამსახურია, მამაო.

რაც უფრო აკვირდებოდა და ესაუბრებოდა სერაპიონი ძმისწულს, მით უფრო უხაროდა, ასე მოულოდნელად რომ მოადგა კარზე. მისი ხათრით და პატივისცემით იგი მეტ სიქველეს, მეტ

ერთგულებას გამოიჩენდა და თუ მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი მართლაც ღვთის სამსახური იყო, შეიძლება მოგვიანებით, როცა გამოცდილებას შეიძენდა და თავის სიწმინდითა და მოღვაწეობით საერთო აღიარებას დაიმსახურებდა, მონასტრის წინამძღვარიც კი გამხდარიყო. ასეთი რამ არა ერთხელ და ორჯერ მომხდარა. მანამდე კი ჭაბუკს სხვა ახალგაზრდა ბერებთან ერთად საბერძნეთში გაგზავნიდა სასწავლებლად. მაინც სხვა იყო იმ ქალაქში სწავლა, ცხოვრება და მოღვაწეობა, სადაც მსოფლიო პატრიარქის ტახტი იდგა. ბერძნულის, ლათინურის, არაბულის ცოდნა დიდად დაეხმარებოდა თარგმნაშიც, მქადაგებლობაშიც და წინამძღვრობაშიც. გარეგნულად ჭაბუკი გონიერი, ჯანმრთელი და სულიერი ცხოვრებისაკენ მიდრეკილი ჩანდა. თუ მას მართლაც აღმოაჩნდებოდა ის თვისებები, სერაპიონი რომ მიაწერდა, მონასტერს კიდევ ერთი მოღვაწე შეემატებოდა. ამასთანავე მისი ძმისწული კი არ დააკნინებდა და გააუფასურებდა მონასტრის ცხოვრებას, არამედ გაამდიდრებდა, გაზრდიდა, გააფართოებდა. თუ მართლაც ივარგებდა და მონასტრის წინამძღვარი გახდებოდა, შეიძლება ზარზმაში აღზრდილი ბერები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაეგზავნა და ახალ-ახალი მონასტერი აეშენებინა. მათმა ოჯახმა უკვე შესძინა ორი მონასტერი სამცხეს და თუ ღმერთი ინებებდა, ადვილი შესაძლებელი იყო, მის ძმისწულს ეს რიცხვი გაეზარდა.

ურმები ნელა მიჭრიალებდა, სერაპიონი ძმისწულს მიჰყვებოდა გვერდით და ეკითხებოდა, რამდენად გაიზარდა დაბა, როდის აშენდა ბაზილიკა, როგორ ცხოვრობდნენ და რას აკეთებდნენ ის ადამიანები, მის მეხსიერებაში რომ ამოტივტივდნენ. სერაპიონს იმდენად დავიწყებული ჰქონდა მშობლიური დაბაც და ის ადამიანებიც, მიწას რომ უქეთ უვლიდნენ, ვიდრე საკუთარ სულს, როგორც ის უდაბნო, აქ რომ დახვდა, მაგრამ მეხსიერების სისუსტე მას მაინც არ ანთავისუფლებდა იმ გრძნობისაგან, წარსული რომ იწვევს და მის საბედისწერო ნიშნებს რომ ატარებს თან. მისი უფალი იმათი უფალიც ხომ იყო, ვისი სისხლიც უდუღდა ძარღვებში, მათი ცოდვებიც ხომ მემკვიდრეობით გადმოეცა მას და მან რომ დაივიწყოს კიდეც, ღმერთი არ დაივიწყებს. ღმერთის თვალი ხომ მას შიგნიდანაც ხედავს და გარედანაც. არადა ყველაფერი ისე შორს იყო, იმდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მან დაბა მიატოვა, იმდენი რამ შეიცვალა და გადასხვაფერდა მის ცხოვრებაში, იმდენი ჭრილობა დააჩნდა მის სულს, ისე დანაგვიანდა მისი მეხსიერება, რომ ახლა, როცა თვალებზე ბინდი ეფარება და გონება უსუსტდება, ნათლად, ხელშესახებად ბავშვობისდროინდელი ამბები კი არა, გუშინდელი დღე არ ეძლევა ხელში. ეს დაჩეხილი, ალაგ-ალაგ გადარეცხილი, აჩრდილებით გამოტენილი წარსული ვერც ძმისწულის ნაამბობმა აღადგინა და გაამთლიანა ისე, რომ ერთი უწყვეტი ჯაჭვი ყოფილიყო. მისი ძმისწული სულ სხვა თვალით, სხვა აზრით, სხვა განწყობით უყურებდა იმას, რაც სერაპიონს ახსოვდა, და რამაც მის სულში კვალი დატოვა. ისინი არა მარტო ასაკით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, არამედ რაღაც ისეთითაც, რაც დროს მოაქვს და კაცს დროის შესაბამის ფიქრებსა და სადარდებელს უჩენს. ცხადია, ცხოვრება არც მისი ძმისწულისათვის იქნებოდა მსუბუქი და ვარდებით მოფენილი, მან მძიმე, ეკლიანი გზა აირჩია საარსებოდ და სამოღვაწეოდ, ოდესღაც, ცხადია ისიც დაბერდებოდა და დასნეულდებოდა, მაგრამ ახლა კვიპრიანე ნათლად ხედავდა იმას, რაც სერაპიონისათვის გაბუნდოვანდა და გაიცრიცა.

— ხელობა თუ იცი რამე, შვილო?

— არა, მამაო.

— რისი კეთება გეხალისება?

— ყველაფრის, რასაც კი დამავალებთ.

— ამიერიდან შენ სულიერი ძმა ხარ მონასტერში დამკვიდრებული ბერმონაზვნებისა. აქ ყველა ერთმანეთის მოსაყდრე და თანაბარია.

— მე არც მინდა ვინმესგან გამორჩეული ვიყო, მამაო.

— და არც არის საჭირო, შვილო.

ურმები მონასტრის ეზოში შეჭრიალდნენ, სამრეკლომდე მივიდნენ და შეჩერდნენ. ზარები აქ უნდა ჩამოეღოთ ურმებიდან. აზიდვით კი შემდეგ აზიდავდნენ მაღლა და თავთავიანთ ადგილას დაჰკიდებდნენ. სერაპიონმა ისიც კი იცოდა უკვე, რომელი ზარი სად დაიკიდებოდა. მაგრამ მანამდე ტაძრის გუმბათის გადახურვაც უნდა მოეთავებინათ და მის წვერზე ჯვარიც აღემართათ. ჯვარი უკვე ჩამოსხმული იყო. ამ ბოლო დროს ყველა ტაძრის მშენებლობის დამთავრებას ელოდებოდა, ყველას იმის დანახვა სურდა, როგორი სახე ექნებოდა ტაძარს, რით იქნებოდა გამორჩეული და არავის არ აინტერესებდა, რა ხდებოდა სერაპიონის სულში, როგორ გრძნობდა თავს, რა აწუხებდა, რა ახარებდა, რას ხედავდა ბუნდოვნად და რას ცხადად, რა ფასად დაუჯდა მონასტრისა და ტაძრის აშენება. იგი ახლა ერთი ჯანგატეხილი ბერიკაცი იყო, რომელიც იმის მაგივრად, რომ ცხოვრებას გარიდებოდა, ისევ ტაძარს უტრიალებდა ირგვლივ და ზარების მონასტრის ეზოში ამოზიდვა ბალღივით ახარებდა.

სერაპიონმა იგრძნო, რომ ირიჟრაჟა, სადაცაა გათენდებოდა, სენაკში სინათლის ნაცრისფერი ზოლი შემოიჭრებოდა და იატაკზე გაწვებოდა. ჩვეულებრივ იგი სწორედ ამ დროს ილვიძებდა, ილვიძებდა მძიმედ, თვალებს ნელ-ნელა ახელდა და ერთხანს ისე უყურებდა ნაცრისფერ ზოლს, როგორც იდუმალ ნიშანს, რომელიც მის დაუძლურებულ სხეულს ძალას მატებდა და საკუთარ თავს არ აძულებდა. თვალები ამ დილითაც ნელა გაახილა, მაგრამ ვერც სარკმელი დაინახა და ვერც ნაცრისფერი ზოლი. მხოლოდ ბინდი იყო, ერთ ადგილას ცოტათი უფრო ნათელი და უმოძრაო. თავიდან სერაპიონი დიდად არ შემკრთალა, ასეთი რამ ადრეც მოსვლია და შემდეგ ისევ დაბრუნებია თვალის ჩინი, მაგრამ დრო გადიოდა, ირგვლივ კი არაფერი ნათლდებოდა, არაფერი იკვეთებოდა და სერაპიონი მიხვდა, რომ მისთვის სამუდამოდ დაბნელდა ქვეყანა, დაბრმავდა, დახეიბარდა. ახლა იგი უსინათლო, ნაჯაფი, მოტეხილი ბერიკაცი უფრო იყო, ვიდრე მონასტრის ამშენებელი მონაზონი და მისი წინამძღვარი, რომელმაც გრძელი გზა გამოიარა, ბევრი ივაგლახა, იცოდვილა და დაწყებული საქმე მაინც ვერ მიიყვანა ბოლომდე. დაბრმავებულმა როგორ უნდა დაინახოს ყელიანი გუმბათის მთელი სინატიფე, მისი მრგვალი და სწორი სვეტები, მისი მოჩუქურთმებული ა̀რშიები. როგორ შეაფასოს ჯერ კიდევ აუშენებელი სამთალიანი კარიბჭის ცხოველხატულობა და სილაზათე, როგორ წაიკითხოს ლოცვანი, ფსალმუნი, დავითნი. მაგრამ ყველაზე მეტად სერაპიონს მაინც ის აწუხებდა, როგორ წარდგომოდა დილის წირვაზე ბრმა თვალებით მრევლს, რა ექადაგა, რით მიექცია მათი ყურადღება. ბრმა რომაა, მაშინვე შეატყობდნენ და ატყდებოდა ერთი ჩურჩული, მითქმა-მოთქმა, ზოგს ეწყინებოდა, ზოგს გაუხარდებოდა, უმეტესობა იმ მოძღვრად ჩათვლიდა, რომელმაც თავისი ვალი მოიხადა და არავის აღარაფერში არგია. არადა სერაპიონს ჯერ კიდევ ბევრი საქმე ჰქონდა, გადასახურავი იყო გუმბათი, აღსამართავი ჯვარი, ჩამოსაკიდებელი ზარები, შესაბათქაშებელი და შესაგოზავი ტაძრის შიდა კედლები. საქმე არილეოდა, ყველაფერი ეს მოსაგვარებელი და თავმოსაბმელი იყო, მას კი ამასობაში თვალის ჩინი წაერთვა, ხელით სატარებელი გახდა. ამ დილით მზის ამოსვლასაც ვერ დაესწრება. თუმცა რისთვის უნდა დაესწროს, რას დაინახავს ბრმა თვალებით, როგორ

განსაზღვრავს მანძილს თავის თავსა და იმ სამყაროს შორის, რომელიც დაბრმავებამდე შეუცნობელი, მერყევი და ცვალებადი ეჩვენებოდა.

სერაპიონი ფიქრმა დაღალა, ბრმა თვალები მილულა და ერთხანს ისე იწვა, როგორც მიცვალებული, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ფიქრები ისევ აეშალა, ისევ დაიწყო მის ირგვლივ ტრიალი საზრუნავმა, ისევ უნდა გაემთლიანებინა, გონივრულად ჩამოეყალიბებინა გათიშული, დაჩეხილი, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, ისევ უნდა დაეცვა თავის თავი იმ მწარე, დამცინავი ბრალდებებისაგან, სიბერე და სიბრმავე რომ უყენებდა. სიბერე არც მას მოსწონდა, არასოდეს შეუსხამს მისთვის ხოტბა, მაგრამ უბერებელი ვინ იყო, რომ იგი ყოფილიყო. უკან თავის ფეხით კი არ იხევდა, დრო-ჟამი ახევინებდა. განა მისი ბრალი იყო, ბეჭებში რომ მოიხარა, ერთიანად გაჭაღარავდა, დაბრმავდა? იგი ხომ მთელი სიცოცხლე წარმავლობას ეჭიდებოდა, ორივე ხელით გადაუდებელ საქმეებს ებღაუჭებოდა, წინ იხედებოდა, ქმნიდა, აშენებდა, ბოროტებას ებრძოდა და სიკეთეს ამკვიდრებდა. ყოველივე ამის აღსრულებას დრო და ჟამი სჭირდებოდა და რა მისი ბრალი იყო, თუ დრო იწურებოდა და ჯანი ილეოდა. იგი იმისთვისაც მადლობელი უნდა ყოფილიყო ღმერთისა, რომ ჭკუიდან არ გადაიყვანა, ფორთხვა და ყმუილი არ დააწყებინა. სიბერეს დაბრმავებაზე უარესად დასჯაც შეეძლო და ამიტომ ის, რაც ბედმა მოუვლინა, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველაფერზე ხელის აღებას, ჩაფერფლვას, ჩაქვესკნელებას. მართალია, სიკვდილი ახლოვდებოდა და სწორედ იმ ჭრილობებს აღიზიანებდა, ყველაზე მგრძნობიარე რომ იყო, მაგრამ ტკივილიც არის და ტკივილიც, ხეიბრობაც და ხეიბრობაც. ჯერჯერობით ხელ-ფეხი უვარგოდა, მკერდიდან ხმა ამოსდიოდა, ყურში ესმოდა, აზროვნების უნარი შესწევდა და თუ თვალით ვერაფერს ხედავდა, ამის ატანა სულიერად ძლიერ [illegible] გასჭირვებოდა. სიბრმავე [illegible] უფლებას საქმეც ეკეთებინა და დასახული მიზნისთვისაც მიეღწია. იგი მოულოდნელმა დაბრმავებამ უფრო შეაკრთო, ვიდრე თავს დატეხილმა უბედურებამ, უცხო თვალის მოურიდებლობამ უფრო შეაშფოთა, ვიდრე საკუთარმა წარმოდგენამ. ყველაფერი, რაც კაცს ეწევა, ღმერთის ნებით ეწევა, ალბათ ასე სურდა გამჩენს და ახლა უმჯობესი იყო ამდგარიყო, ელოცა და ცოდვები მოენანიებინა, ვიდრე საკუთარი თავი გამოეტირა და გამოეგლოვა.

სერაპიონი საწოლიდან წამოდგა, ხელის ფათურით იმ კედელთან მივიდა, სადაც ხატი ეკიდა, მუხლი მოიკეცა და ლოცვას შეუდგა. მას ცოტათი ხმაც შეეცვალა და სიტყვებმაც იმგვარი მნიშვნელობა შეიძინეს, ადრე რომ არ ჰქონდათ. სიბრმავემ მის სულში რაღაც მაინც შეაბრუნა, სხვა კაცად აქცია, შეგუების სხვაგვარი უნარი მოსთხოვა. მას არა მარტო საზრუნავი შეემატა, არამედ იმაზე ფიქრიც, როგორ ევლო, როგორ მოქცეულიყო, როგორ დაეჭირა თავი სხვებთან ისე, რომ მისი ღირსება არ შელახულიყო, მის განკარგულებებსა და ბრძანებებს დამორჩილებოდნენ. სიარული ჯოხითაც შეიძლებოდა, მონასტრის ეზოს იგი საკუთარი ხელისგულივით იცნობდა, მაგრამ მას ამის შემდეგ ხომ ისევე კარგად უნდა სცოდნოდა, რა ხდებოდა მონასტერში და მშენებლობაზე, როგორც აქამდე იცოდა, ხომ უნდა ედევნებინა თვალი წესრიგის დაცვისა და ძმების სულიერი ცხოვრებისათვის, ხომ უნდა დაენახა, რა როგორ შენდებოდა. სწორედ ამის დამნახავი თვალები დაევსო და ამიერიდან მისი თვალები სხვა კაცის თვალებს უნდა შეეცვალა. სხვისი თვალი კი ან მრუდეა ან მაამებელი. სერაპიონს არც ერთი აწყობდა და არც მეორე. მას სურდა სიმათლე სცოდნოდა და არა მისი ნაირსახეობა. გაბრიელ გარბანელის გარდაცვალების შემდეგ, ერთად-

ერთი კაცი, რომელსაც იგი ბოლომდე ენდობოდა და ვისი პატიოსნების იმედიც ჰქონდა, მისი ძმისწული იყო. ამ ცოტა ხნის წინათ სერაპიონმა იგი ბერად აღკვეცა და ბასილი უწოდა. მამა ბასილი არ ულალატებდა, არ მოაღორებდა, არ დაამდაბლებდა. თუ ეს საჭირო იქნებოდა, არც იმას დაიზარებდა, მონასტრის ბრმა წინამძღვრისათვის მეგზურობა გაეწია. დღეს მას ისეთი კაცი სჭირდებოდა გვერდით, ვინც ცოტათი გაუგებდა და მის ახირებასა და უხიაგობას ანგარიშს გაუწევდა.

სერაპიონნს ცოტათი ისიც ამშვიდებდა, რომ მისი დამაბრმავებელი სენი მისივე სხეულში იყო მოქცეული, ხოლო თუ როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენდა საკუთარი სხეულისა და მასში ჩასახლებული სენის მიმართ, ეს უკვე მის ნებაზე იყო დამოკიდებული — გაუყუჩდებოდა სენს, დაემორჩილებოდა, თავს დააჩაგვირინებდა, თუ პირიქით, შეეჭიდებოდა, გაუძალიანდებოდა, უკან დაახევინებდა. იგი იმიტომ კი არ ებღაუჭებოდა მიწიერ ცხოვრებას, რომ მისგან სიხარულს, სიტკბოებას, სიამოვნებას მოელოდა, ყოველივე ამაზე მან მაშინ აიღო ხელი, როცა ბერად აღიკვეცა. მონასტრის აშენებას კი მისთვის ტანჯვისა და წვალების მეტი არაფერი მოუტანია, მხოლოდ ცოდვებით დაამძიმა უსაშველოდ. სიცოცხლე და ცოტაოდენი ჯანი მას იმისათვის სჭირდებოდა, რომ დასრულებული და მოწესრიგებული დაეტოვებინა ის სამყარო ამქვეყნად, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა და სინამდვილედ აქცია, ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გამოეყენებინა ის დრო, მის განკარგულებაში რომ იყო. ეს ღმერთისთვისაც სასურველი იყო და აქაურ მკვიდრთათვისაც. მონასტერი ხომ იმიტომ შენდებოდა, აქაურებისათვის ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი შუქურა ყოფილიყო, და არა ათი და ასი წლის მანძილზე, არამედ საუკუნეობით. ისეთი ნაგებობა, როგორიც მონასტრის ტაძარი იყო, ადამიანის სხეულივით ან ხის სახლივით არ დალპებოდა და დაინგრეოდა, იგი ქარსაც გაუძლებდა, წყალსაც და მიწისძვრასაც. მონასტერი მარტო მას არ აუშენებია. ასობით ადამიანი ღვრიდა მის წამოსამართავად ოფლსა და სისხლს, ასობით ადამიანის ჭკუა, ძალ-ღონე და ოსტატობა იყო ტაძრის სინატიფეში ჩაქსოვილი და მონასტერიც და მისი ტაძარიც მთელი ამ კუთხის საკუთრება იყო და აქაურ მკვიდრთათვის სინათლე და სულიერი საზრდო მოჰქონდა. მონასტერი არა მარტო გზაზე დააყენებდა გზააბნეულებს, არამედ უპოვართ, გლახაკთა და სნეულთ შეივრდომებდა და შეიფარებდა, გაუჩენდა საზრდოს, მიუჩენდა კუთხეს, მოანანიებდა ცოდვებს, აღავლენინებდა ლოცვებს, გააჯანსაღებდა სულიერად, მისცემდა ხსნის იმედს და იმქვეყნად დამშვიდებული გულით გაისტუმრებდა. ამისთვის იღწვოდა და იბრძოდა სერაპიონი, ამიტომ არ მორიდებია მსხვერპლის გაღებას, ეს იყო მისი ცხოვრების მიზანი და ახლა, როცა თვალისჩინი წაერთვა, არ უნდოდა ისე წასულიყო ამ ქვეყნიდან, რომ ბოლომდე არ მიეყვანა სიმწრით დაწყებული საქმე.

სერაპიონნს ვერც ლოცვამ დაუბრუნა თვალის სინათლე. მას მხოლოდ სენაკების კარის გაღების ხმა და ბერების ხის ქოშების კაკუნი ესმოდა. იღვიძებდა მონასტერი, იწყებოდა ახალი დღე და მას თან მოსდევდა ყველა ეს საქმე და საზრუნავი, რის გარეშეც სერაპიონნს ცხოვრება აღარ შეეძლო. მისთვის მხოლოდ ის დღე იყო ნაყოფიერი და ულრუბლო, როცა რაღაცას ქმნიდა, აგვარებდა, თავს აბამდა. ასეთ დღეებში ნაკლებად ეძალებოდა ჭმუნვა და სინანულის გრძნობა. მართალია, დაბრმავდა, ერთი მიზეზი კიდევ მოემატა ჭმუნვისა და სინანულისათვის, მასში ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი ის ცეცხლი, მონასტრის აშენება რომ გააბედვინა, მას ჯერ კიდევ შეეძლო განეცადა სიხარული, ქმედითი ცხოვრებით გამოწვეული ვნებათაღელვა, ექადაგა, ეგალობა, უფრო სუფთა და ნათელი გაეხადა სიდუხჭი-

რით გაბინძურებული ცხოვრება. მით უმეტეს ახლა, როცა დაბრმავდა და აღარც კითხვა შეეძლო და აღარც წერა. ათეული წლების მანძილზე იგი ისე გადაეჩვია მარტოობას და მარტო ყოფნას, იმდენად დაუახლოვდა სულიერ ძმებს და უბრალო ხალხს, იმათ, ვინც მშენებლობაზე შრომობდა და ოფლს ღვრიდა, რომ ახლა უჭირდა კიდეც იმის წარმოდგენა, რა ექეთებინა უსაქმოდ, როგორ ეცხოვრა ისე, არავისთვის რომ არ გაეზიარებინა აზრი და არ ეკითხა რჩევა. მან იმდენი რამ შეითვისა და შეისისხლხორცა თითოეული მათგანისაგან, იმდენი რამ ისწავლა და შეიგნო, რომ ახლა ყველაფერი ეს მასში ისე ცოცხლობდა, როგორც თვალების დამავსებელი სენი და არ უნდოდა ეს სიცოცხლე დაემარტოხელებინა ანდა სამუდამოდ ჩაეკლა. ღმერთს იგი ვერაფერს დაუმალავდა, ამიტომ მასთან უნდა მიეტანა ყველაფერი, რამაც მის სულში ფესვი გაიდგა და ნაყოფი გამოიღო.

სერაპიონნს დიდხანს ლოცვის დრო არ ჰქონდა, მალე დილის წირვა დაიწყებოდა და ქადაგებისათვის ისე უნდა შეემზადებინა თავი, რომ სიბრმავეც გაეთვალისწინებინა და იმ მითქმა-მოთქმისთვისაც დროულად მოეღო ბოლო, ქადაგების დაწყებამდე რომ ატყდებოდა ეგვტერში. ახლა მას გამოცდილებაც მეტი ჰქონდა, უფლებებიც, მის გონებაში ბევრი ცხოვრებისეული სიბრძნე დაგროვდა, მისი ნება და მიზანსწრაფვა გამტკიცდა, იკლო რიდმა და შიშმა უცხო თვალის წინაშე და იმატა ღვთის წინაშე! ამიტომაც არჩია სენაკში დარჩენას დილის წირვის ჩატარება. მას არ უნდოდა დაემალა სიბრმავე და ხეიბრობა, პირიქით, ერჩია ყველას დაენახა, რომ სიბრმავე მისთვის სასჯელი კი არ არის, არამედ ღვთის წყალობა და უსინათლობა მას ვერ შეუშლის ხელს თავის მოვალეობა პირნათლად აღასრულოს, წირვაც ჩაატაროს და ტაძრის მშენებლობასაც მიხედოს. ამ დილიდანვე უნდა აგრძნობინოს ყველას, მისი ნება ისევე ურყევია, როგორც აქამდე იყო, მისი გონება ძველებურადვე [illegible] და გამჭრიახია, მისი სული აუმღვრეველი და სათნო, მისი განსჯა მიუკერძოებელი და სამართლიანი. არავის არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მისი დაბრმავებით მონასტრის ცხოვრებაში რაღაც შეიცვლება, მოდუნდება, მოიზღუდება. მისი სიბრმავე მისი პირადი საქმეა და არც მონასტრის ცხოვრებას ეხება და არც ტაძრის მშენებლობას. რა ვუყოთ, რომ თვალით ვერ ხედავს, სამაგიეროდ ხედავს სულით და სულითმხილველნი ღმერთისათვის უფრო სასურველნი არიან, ვიდრე თვალით მხილველნი. ამიტომაც წარსდგება იგი მათ წინაშე უცვლელი გამომეტყველებით და ნათელი ღიმილით.

იმ მორჩილს, რომელსაც სერაპიონმა დაავალა ახალაღკვეცილი მამა ბასილი ეხმო მასთან, მისი სიბრმავე არც კი შეუმჩნევია. შეიძლება ნახევარბნელში ეს არც ისე შესამჩნევი იყო. სანამ ბასილი მოვიდოდა, სერაპიონმა დღეს ის ანაფორა ჩაიცვა, საზეიმო შემთხვევებში რომ იცვამდა. დაე, ყველას დაენახა, რომ მას არც გული გასტეხია და არც თავი დავიწყნია, დაენახათ, რომ მისი სიბერე ახლაც ისეთივე უშფოთველი და ბუნებრივი იყო, როგორც გუშინ და გუშინწინ. როცა კარზე კაკუნი გაისმა, სერაპიონნს ანაფორა უკვე მორგებული ჰქონდა ტანზე. სერაპიონმა მამა ბასილს კარი გაუღო, სენაკში შეიყვანა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უთხრა:

— აი, რა, შვილო ჩემო, ეტყობა მე სამუდამოდ დავბრმავდი და ამიერიდან ამას ყველა უნდა შეეგუოს.

მამა ბასილს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა, თანაგრძნობისაგან კი გული შეეკუმშა.

— რას ამბობთ, მამაო სერაპიონ?

— მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, შვილო ჩემო, ამით არაფერი შეიცვლება, არაფერი განიავდება და გამრუდდება. მე მხოლოდ ის მინდა გთხოვო, რომ

გვერდით გამომყვე, მკლავში მკლავი გამაყრევინო და სანამ დამოუკიდებლად სიარულს ვისწავლიდე, ამ დილით საკურთხევლამდე მიმიყვანო.

— წირვის ჩატარებას აპირებთ, მამაო?

— ვაპირებ, შვილო.

სერაპიონის შეუპოვრობამ და სულის სიმტკიცემ მამა ბასილი გააკვირვა. ეკლესიის წმიდა მამების ასეთი სიქველე მას მხოლოდ წიგნებში ჰქონდა ამოკითხული. ამიტომ თანაგრძნობა სიტყვიერად არც გამოუხატავს. სერაპიონს გვერდით დაუდგა და უთხრა:

— წამობრძანდით, მამაო სერაპიონ.

სერაპიონმა ძმისწულს მკლავში ხელი გაუყარა და სენაკიდან გავიდა. პირველი ნაბიჯების გადადგმა გაუჭირდა, ეჩოთირა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, შეეცადა ფეხი უფრო თამამად გადაედგა და როცა მონასტრის ეზოში ჩავიდნენ და ეგვტერისაკენ აიღეს გეზი, თვალი ვერც შეამჩნევდა, ახალგაზრდა ბერს რომ ბრმა წინამძღვარი მიჰყვებოდა გვერდით. მთები ალარსად ჩანდა, ალარც ცას ჰქონდა ფერი და სიღრმე, მაგრამ სერაპიონს მაინც ესიამოვნა მონასტრის ეზოში ჩასვლა. სუფთა ჰაერმა გაახალისა, ალაგზნო, ამასობაში იმასაც მიაგნო, რომელი ადგილი უფრო შეეფერებოდა ბიბლიიდან დღევანდელ ქადაგებას და ისიც მოიფიქრა, როგორ წარემართა იგი. ეს კი იმას ნიშნავდა, მონასტრის ცხოვრებაში არაფერი იცვლებოდა, არაფერი კარგავდა ღვთისნიერებას და მნიშვნელობას.

## ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

დაბრმავებამდე სერაპიონი იშვიათად იყენებდა მონასტრის წინამძღვრის კვერთხს, ახლა კი უმისოდ ფეხის გადადგმა არ შეეძლო. კვერთხი გახდა მისი თვალი და მეგზური, ისე შეეჩვია მის ტარებას, რომ დამჯდარიც კი არ იცილებდა ხელიდან. პირველად უჭირდა დამოუკიდებლად სიარული, მარტო იშვიათად გამოდიოდა გარეთ, მაგრამ ნელნელა გათამამდა, ალლო გაუმახვილდა, კვერთხის მომარჯვება ისწავლა და ახლა არავის თანხლება არ სჭირდებოდა. მონასტრის ეზოში სხვების დაუხმარებლად იკვლევდა გზას. მხოლოდ ეს იყო, მონასტრის ეზოდან მარტო გასვლას ვერ ბედავდა და როცა ეს აუცილებელი იყო, ჯორზე ჯდებოდა და თან რომელიმე ბერს ან მორჩილს იახლებდა. მართალია, სხვისი თვალებით იმას ვერ ხედავდა, რისი დანახვაც სურდა, მაგრამ ტაძრის მშენებლობაზე რომ მუშაობა არ შეწყვეტილა, ამას იმ ხმაურის მიხედვით გრძნობდა, ზემოდან რომ ისმოდა. სამრეკლოზე ყველაზე დიდი ზარი უკვე აიტანეს და ჩამოჰკიდეს კიდეც. ყოველ საღამოს მასთან ბექია ცალმოგვისძე მოდიოდა, მის საწოლთან ჯდებოდა და გამოწვლილვით უყვებოდა დღის მანძილზე რა როგორ გაკეთდა. ამ ახალგაზრდა მესხის სტუმრობა მას უფრო დიდ სიამოვნებას გვრიდა, ვიდრე რომელიმე მღვდელთმთავრისა. ბოლო დროს ზარზმის მონასტერში მღვდელთმთავრებიც ამოდიოდნენ და მეზობელი სამთავროების განმგებელნიც. ტაძარს უცქეროდნენ, გარედან და შიგნიდან ათვალიერებდნენ, ერთმანეთს თავიანთ მოსაზრებებს უზიარებდნენ. მაგრამ ახლა სერაპიონს მათი ზარზმაში ამოსვლა არც ახარებდა და არც სჭირდებოდა, ტაძრის მშენებლობა სადაცაა დამთავრდებოდა. გუმბათი უკვე გადახურეს, ხვალიდან კი მის წვერზე ჯვრის აღმართვას შეუდგებოდნენ. შემდეგ ხარაჩოებს ჩამოხსნიდნენ და ტაძარი მთლიანად გამოჩნდებოდა. აი, მაშინ კი მოიყრიდნენ ზარზმის მონასტრის ეზოში თავს მღვდელთმთავრები და დიდებულები. მანამდე კი მებათქაშეები ტაძრის შიდა კედლების

შებათქაშებას შეუდგებოდნენ. შეიძლება კედლების შებათქაშებას სერაპიონიც მოსწრებოდა, მაგრამ მათ მოხატვას რომ ვერ მოესწრებოდა, ამაში ახლა ეჭვი არ ეპარებოდა. არა და ერთი ნახატიც კი გაანათებდა ტაძარს, სითბოს და სილაზათეს შემატებდა, თვალს ისე მიიზიდავდა, როგორც ფერებად დაღვრილი ცისარტყელა. სერაპიონს, ცხადია, გული წყდებოდა, ტაძრის მოხატვას რომ ვერ მოესწრებოდა, თუნდაც ბრმა თვალებს რომ ვერ მოავლებდა კედლებს და გუმბათის ყელს, მაგრამ სიკვდილი ყოველდღე სულ უფრო ახლოს და ახლოს მოდიოდა და ზოგჯერ მის აჩრდილს ბრმა თვალებითაც კი ხედავდა.

მისი დაბრმავების შემდეგ მშენებლობაზე არავინ დამარცხებულა, არც მონასტრის ცხოვრებაში მომხდარა რაღაც ისეთი, საგანგაშო და შემაშფოთებელი რომ ყოფილიყო. ყველა გაყუჩებული იყო, რაღაცას ელოდა, შეიძლება მის სიკვდილს, მაგრამ ტაძრის დამთავრებამდე სერაპიონი ამ სიამოვნებას იმათაც კი ვერ მიანიჭებდა, ვისაც იგი სძულდა ან მისი სიკვდილი სხვა მიზეზის გამო ენატრებოდა. ადგომით ჩვეულებრივ ალიონზე დგებოდა და იმავე წესითა და რიგით ცხოვრობდა, როგორც მიჩვეული იყო. ეს ცოტათი უმსუბუქებდა იმ უბედურებას, ასე მოულოდნელად რომ დაატყდა თავს, მაგრამ ხანდახან შიგნით რაღაც ემღვრეოდა და მეამბოხურ განწყობილებაზე აყენებდა. განსაკუთრებით ეს ხდებოდა მაშინ, როცა თავის ტკივილი მოეძალებოდა და ისე გამძაფრდებოდა, რომ თმენის ღონე აღარ იყო. თავის ტკივილმა განსაკუთრებით ამ ბოლო დროს უმატა. ტვინზე რაღაც წნეხივით აწვებოდა და ბრმა თვალებს კიდევ უფრო უბრმავებდა. გუშინ მთელი დღე იწვა, სიმწრისაგან ტუჩებს იკვნეტდა და თავის წამოწევას ვერ ბედავდა, დღეს კი ტკივილმა ცოტათი უკლო და ამიტომ კვერთხი მოიმარჯვა და მონასტრის ეზოში ჩავიდა. გარდა ტკივილისა, ბოლო დროს ისეთი ეჭვი შეუჩნდა, რომ [illegible] პოულობდა. ღმერთმა მისი [illegible] — რაღაც არ უნდა დაჯდომოდა მაღალყელიანი გუმბათი დაედგა ტაძრისათვის, პატივმოყვარეობად ხომ არ ჩაუთვალა და ამიტომ ხომ არ დააბრმავა, განზრახ ხომ არ მოუსპო იმის საშუალება, რომ საკუთარი თვალით დაენახა ამ პატივმოყვარეობის შედეგი. შეიძლება საკუთარი ცოდვების სიმძიმეს სერაპიონი ისე ვერ ხედავდა და აფასებდა, როგორც მამაზეციერი, შეიძლება მისი ცოდვები მართლაც იმსახურებდა ისეთ მკაცრ სასჯელს, როგორიც მხედველობის დაკარგვაა. იმ მდგომარეობაში, ახლა რომ იყო, უფრო მკაცრი სასჯელი მისთვის არ არსებობდა. გუმბათი უკვე გადახურეს და ამას იგი ვერ ხედავდა. დასჯაა, აბა რა არის, მთელი სიცოცხლე შესწირო რაღაცის შექმნას და ბოლოს, როცა დამთავრდება, მისი ყურებით ვერ დატკბე. ასე მხოლოდ ან დიდი ბოროტმოქმედნი დაუსჯიათ, ან და კაცთა მოდგმის დიდი მოამაგენი. სერაპიონი კი თავს არც ერთად თვლიდა და არც მეორედ. მაღალყელიანი გუმბათის აშენებით მას უმნიშვნელო წვლილი შეჰქონდა ერთი კუთხის ან ერთი პატარა ქვეყნის ცხოვრებაში. ეს იყო მთელი მისი ღვაწლი, მაგრამ ღმერთისათვის დიდი და პატარა, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო არ არსებობდა, ღმერთისათვის არსებობდა მხოლოდ ცოდვა და მადლი და როგორც ღვთისმსახურს, უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა გაეთვალისწინებინა.

სერაპიონი ტაძრისაკენ წავიდა და იმ კიბეს მიადგა, რომლის მეშვეობითაც სახურავზე ადიოდნენ. იდგა იგი ამ კიბის წინ დაღონებული, გალახული ძაღლივით, რომელიც კარში გამოაგდეს და შინ აღარ უშვებენ. არა და ერთი სული ჰქონდა მაღლა ასულიყო, გუმბათამდე მიეღწია, ხელით მაინც მოფერებოდა მის გლუვ ზედაპირს. ამ ტაძრის მეტი მას არაფერი გააჩნდა, მასში იყო ჩაქსოვილი მისი სიცოცხლე და ახლა წარუ-

ვალი წარმავალს არ ცნობდა, ახლოს არ იკარებდა. რომ არ დაბრმავებულიყო, სიბერეს ანგარიშს არ გაუწევდა, როგორმე აბობღდებოდა გუმბათამდე, მაგრამ რა ქნას უსინათლომ, როგორ შეინარჩუნოს წონასწორობა. ის ბუნდოვანება, სამუდამოდ რომ ჩადგა მის თვალებში, ტყვიასავით ამძიმებდა მის სხეულს, მიწას ალურსმავდა. შეიძლება ტაძარი იმიტომაც არ ცნობდა, იმიტომაც არ უშვებდა ახლოს, რომ მისი თვალების სხივი მკვდარი იყო, ვერ გრძნობდა სილამაზეს, სინატიფეს, არ შეეძლო მისი მთლიანობაში აღქმა. ახალაშენებული ტაძრის აღქმას კი ახალგაზრდა კაცის მახვილი თვალი სჭირდებოდა და არა ბერიკაცის ჩამქრალი მზერა. მისთვის ლამაზი, სხივიანი თვალებით უნდა ექქირათ და არა დროისაგან გამოხუნებული, აწყლიანებული თვალებით, ტაძარი ჭაბუკივით გაშლილი იყო მხრებში და არა ბერიკაცივით მოხრილი და მოკაკული. ამიტომ არც მსგავსება და სიახლოვე შეიძლებოდა ყოფილიყო მათ შორის. ჟანგი მოეკიდა, გაიცვითა, გაწყდა ის ჯაჭვი, მათ რომ ერთმანეთთან აკავშირებდა. სიბერე ხომ დაძაბუნებაა, დაძაბუნებულს კი სად შესწევს იმის უნარი, თვალი გაუსწოროს სწორუპოვარ ქმნილებას, შეისისხლხორცოს და შეინახოს მისი სახიერება, დაიმახსოვროს დასამახსოვრებელი და გაითავისოს გასათავისებელი.

სერაპიონმა ისე ამოისვა ხელი თვალებში, თითქოს იმ ბინდს, თვალებზე რომ ეფარებოდა, ტალახივით ამოიწმენდდა და მხედველობას დაიბრუნებდა. მაგრამ სამწუხაროდ, სასწაული არ მოხდა. ქვეყანა კვლავ ისე იყო გახვეული ბინდში, როგორც ნისლიან ამინდში მწვერვალი. ეს ბინდი არც იფანტებოდა და არც მსუბუქდებოდა. დრო იყო შეგუებოდა უმწეობას, ხეიბრობას, დაკმაყოფილებულიყო იმით, რის თავიც და შესაძლებლობაც ჯერ კიდევ ჰქონდა რისთვის წამოვიდა აქეთ, რისთვის მოადგა კიბეს, ხომ იცოდა წინასწარ, გუმბათამდე რომ ვერ ავიდოდა და გალახული ძაღლივით გაჩერდებოდა კიბის წინ? გულის კარნახს აჰყვა, თავს ვერ მოერია? სწორედ ამას ჰქვია ამჩატება, აცუნდრუკება, თავქარიანობა. ცოტაოდენი თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, ასე არ გაიმასხარავებდა თავს დარჩენილიყო სენაკში და ელოცა ან ღმაზე ეფიქრა, რაზედაც მისი ხნის ბერიკაცები ფიქრობენ — სიკვდილზე და სასუფევლის მოპოვებაზე. ლოცვა დაამშვიდებდა, მიწიერ ცხოვრებას განარიდებდა, ტკივილებს დაუყუჩებდა. ახლა კი დგას აქ უმწეობისაგან თავდახრილი, შერცხვენილი და აღარ იცის სად წაიღოს ბრმა თვალები.

სერაპიონი გამობრუნებას აპირებდა, როცა კიბეს ბექია ცალმოგვისძე და ოთხი ქვითხურო მიადგნენ. ქვითხუროებს ხელში წინუბნელთა მიერ ჩამოსხმული დიდი ჯვარი ეჭირათ. როგორც კი მამაკაცების ლაპარაკი გაიგონა, მონასტრის წინამძღვარი განზე გადგა. ერთი მათგანი რომ ბექია ცალმოგვისძე იყო, სერაპიონმა ხმაზე იცნო. ახლა არა მარტო თვითონ, სხვებიც ხედავდნენ მის სულმოკლეობას და აცუნდრუკებას.

— გამარჯობათ, მამაო სერაპიონ, — მიესალმა წინამძღვარს ცალმოგვისძე.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოს, შვილო.

— მე ხომ არ მელოდებით, მამაო.

— არა, შვილო, გულმა არ მომითმინა და აქეთ გამოვწიე, — უპასუხა სერაპიონმა უხერხული, დამორცხვებული ბავშვის ღიმილით და ბექია ცალმოგვისძე მიხვდა, რატომ მოადგა ეს ბრმა ბერიკაცი კიბეს, რა სურვილი აწვალებდა, რა ედო გულში. სერაპიონი რომ სულით უტეხი და შეუპოვარი მოხუცი იყო, ამაში ბექია კიდევ ერთხელ დაარწმუნა დაბრმავების შემდეგ გამოჩენილმა სიქველემ, მაგრამ არაფრით არ ეგონა ამ უსინათლო ბერიკაცს თუ ტაძარზე ასვლის სურვილი გაუჩნდებოდა და ამან ერთსა და იმავე დროს გააკვირვა კიდეც, და მოწიწებითაც განაწყო წინამძღვრი-

სადმი. ეცოდებოდა ბრმა ბერიკაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე მონასტრისა და ტაძრის მშენებლობას შეალია და ახლა ვერც მონასტერს ხედავდა და ვერც ტაძარს. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი მისთვის, ალბათ, იმ გუმბათის დაუწახაობა იყო, რომლის აშენებაც მტკიცედ დაიჩემა და გაიტანა კიდეც თავისი.

— აიტანეთ ჯვარი გუმბათზე და მეც ახლავე ამოვალ, — უთხრა ბექია ცალმოგვისძეშ ქვითხუროებს.

— ეგ რა ჯვარია, შვილო ჩემო? — ჰკითხა სერაპიონმა ხუროთმოძღვარს.

— გუმბათის წვერზე აღსამართავი, მამაო.

— მადლობა ღმერთს, ამ დღეს რომ მომასწრო, — თქვა სერაპიონმა და ბრმა, სევდიანი თვალებით გუმბათისაკენ აიხედა. მოხუცი წინამძღვრის ბრმა თვალებში ისეთი სევდა იდგა, ბექია ცალმოგვისძეს გული შეეკუმშა.

— ტაძარზე აბრძანებას ხომ არ ისურვებდით, მამაო სერაპიონ?

— კი მინდა, შვილო ჩემო, მაგრამ ჩემი ბრმა თვალებით... ჩაილაპარაკა სერაპიონმა ჩუმად და საკუთარი თავი შეეზიზღა, ცდუნებას რომ ვერ გაუძლო.

— თუ თავის იმედი გაქვთ, მე მოგეხმარებით, მამაო, და აგიყვანთ.

ბექიას ისეთი ჯანი ჰქონდა, შეეძლო სერაპიონი ხელში აეტატებინა და ისე აეყვანა გუმბათამდე, მაგრამ მონასტრის წინამძღვარი რომ ამაზე არ დათანხმდებოდა, მან წინასწარ იცოდა.

სერაპიონს სიხარულისაგან გული გვერდზე გადაუქანდა. მას შემდეგ, რაც დაბრმავდა, ტაძარზე ასვლის სურვილი კლავდა და ეს სურვილი ახლა უსრულდებოდა. ვისაც რა უნდოდა, ის ეთქვა, გაეკილათ, დაეცინათ, შლეგად და უგუნურ ბერიკაცად მოენათლათ, ვისთანაც უნდოდათ, იმასთან დაესმინათ, მაგრამ თუ ეს კაცური კაცი მართლა აიყვანდა გუმბათამდე, საკუთარ სურვილზე ხელს არ აიღებდა და სიკვდილამდე კიდევ ერთხელ შეავლებდა ბრმა თვალებს გუმბათის ყელს და მონასტრის მამულს.

— ჯობია ეს კვერთხი აქ დატოვოთ, მამაო სერაპიონ, — უთხრა ცალმოგვისძემ წინამძღვარს, შემდეგ კვერთხი გამოართვა, ტაძრის კედელზე მიაყუდა, სერაპიონს მკლავში ხელი მოჰკიდა და კიბესთან მიიყვანა. სერაპიონი გახარებულიც იყო და იმ ბავშვივით აღელვებულიც, პირველად რომ შესვამენ ცხენზე. ცალმოგვისძე პირშექცევით ადიოდა კიბეზე და სერაპიონს კარნახობდა, სად დაედგა ფეხი და რას ჩასჭიდებოდა. წინამძღვარს ხელ-ფეხი უკანკალებდა, მაგრამ უკან მაინც არ იხევდა, უძლურობას არ იმჩნევდა. ერჩია მომკვდარიყო, ვიდრე დამარცხებული გაბრუნებულიყო უკან. როცა პირველ სართულზე ავიდნენ და ბაქანზე დადგეს ფეხი, სერაპიონმა შესვენება ითხოვა. გაფითრებული მძიმედ სუნთქავდა და სანამ სული არ მოითქვა, ხმა ვერ ამოიღო.

— სად ვართ ახლა, შვილო? — ჰკითხა სერაპიონმა ცალმოგვისძეს და მოაჯირს დაუწყო ძებნა ხელის ფათურით.

— პირველი სართულის ბაქანზე, მამაო, — უპასუხა ცალმოგვისძემ და წინამძღვარი მოაჯირთან მიიყვანა.

— პირველსა და მეორე სართულს შორის ხომ თანაბარი მანძილია, შვილო?

— თითქმის, მამაო.

— როდის ჩამოხსნი გუმბათს ხარაჩოებს, შვილო?

— მალე, მამაო.

— ე, ღმერთო, იმ დღემდე გეცლია და მერე დაგებრმავებინე, — წამოსცდა სერაპიონს საყვედური მამაზეციერის მიმართ და ამ სიტყვებმა უფრო შეაკრთო, ვიდრე იმ გზის დაძლევამ, წინ რომ ედო. ამგვარი რამ შეიძლება კიდევ წამოსცდენოდა დაბაბუნებულს და ამიტომ აჩქარდა. კიბეზე ასვლის დროს არც ფიქრის თავი ექნებოდა და არც საყვედურის სათქმელად მოუტრიალდებოდა ენა.

— გამიძეხ, შვილო!

მეორე სართულის ბაქნამდე აღწევა კიდევ უფრო გაუჭირდა სერაპიონს, მაგრამ არც წუწუნი დაუწყია და არც სიბერე დაუწყევლია. მას ჯანის სიმრთელე აკლდა და არა სულის სიმხნევე. სამცხეში მან მარტო საკუთარი თავი კი არ ამოიყვანა, მიზანიც ამოიტანა და ეს მიზანი ახლა თითქმის განხორციელებული იყო, ხოლო მონასტრისა და ტაძრის აშენება კი ღირდა იმად, რომ ჯანის სიმრთელეც დაეკარგა და თვალის სინათლეც. სხვაგვარად შეიძლება ნაკლებად გამართლებულიც კი ყოფილიყო მისი მარტვილობა. მხდალი და სულით ჯაბანი ამხელა საქმის ვერ აღასრულებდა. ასე რომ, საწუწუნო და სავალალო არაფერი ჰქონდა. მისი პირადი ცხოვრება დროთი იყო შემოფარგლული და სადაცაა დამთავრდებოდა, ტაძარი კი დროში იყო განფენილი და მის თაღებქვეშ მილიონობით ადამიანი გადაიწერდა პირჯვარს, დაანთებდა სანთლებს, ხატის წინ მუხლს მოიყრიდა, ილოცებდა და გულდამშვიდებული, დაიმედებული გავიდოდა გარეთ. მან ქვა რწმენის წყაროდ აქცია, რწმენის წყარო სულიერ საზრდოდ და ახლა უფლება ჰქონდა დამშვიდებულიყო, დამცხრალიყო, მასაც დაერწყულებინა სული.

— ზარზმის ტაძრის მშენებლობას რომ მოათავებ, სად აპირებ წასვლას, შვილო? — ჰკითხა სერაპიონმა ბექია ცალმოგვისძეს.

— რადგან ამ ტაძრის დამთავრება შევძელი, აწი საქმე არ შემომელევა, მამაო. ტყუილად ხომ არ ამოდიან აქ ეკლესიის დიდი მამანი და მთავრები.

— ისინი ჯერჯერობით არც კარგს ამბობენ, შვილო ჩემო, და არც ავს.

— დიდხანს ასე არ გაგრძელდება, მამაო სერაპიონ. ხარაჩოების ჩამოხსნის შემდეგ რომელიმე მათგანი ხმამაღლა გამოთქვამს თავის აზრს და შემდეგ სხვებიც აჰყვებიან.

— მერედა, როგორი იქნება ეს აზრი, შვილო?

— სამწუხაროდ, თქვენ ამას ახლა ვერ ხედავთ, მამაო, თორემ თავიანთი აზრი მათ სახეზე აწერიათ.

— მაინც რა აწერიათ?

— გაკვირვება და აღტაცება.

— შენც ეთანხმები მათ?

— ხუროთმოძღვრებაში მე მათზე უკეთ ვერკვევი, მამაო, და ვიცი, საით წარიმართება აწი ჩვენი გზა.

— საით, შვილო?

— ამიერიდან მაღალყელიანი გუმბათების მშენებლობა მთელ საქართველოში დაიწყება, მამაო.

— ამიყვანე გუმბათამდე, შვილო.

სერაპიონმა ფიჭვის ხის მძაფრი სუნი იგრძნო და მიხვდა რომ გუმბათამდე მოატანა. აქ ჰაერიც სხვანაირი იყო და მზის სხივებსაც სხვა ძალა ჰქონდა. პირველი მიზეზი, რამაც ზარზმაში მონასტრის აშენება გადააწყვეტინა სწორედ სუფთა, დამათრობელი ჰაერი და მზის სხივების უწყინარი სიუხვე იყო. ეს ჰაერი და ეს სხივოსნობა სხვაგვარ განწყობილებას უქმნიდა ადამიანს, ახალისებდა, ამაღლებდა. შეიძლება იგი სწორედ ამის განსაცდელად მოისწრაფოდა აქეთკენ, რადგან ჯანგატეხილი მიწაზე ისე მძაფრად ველარ გრძნობდა სულიერ აღზევებას, ზეამაღლებას. მართალია, ახლა ველარაფერს ხედავდა, მაგრამ აქედან ქვეყანაც უფრო უცოდველი და ლამაზი ჩანდა. რამდენჯერ დამტკბარა ცის, ტყით შემოსილი ფერდობების, მდინარეებისა და ტბების ცქერით. აქ არც იმ ოფლისა და სისხლის სუნი იგრძნობოდა მძაფრად, ადგილობრივი მკვიდრნი რომ ყოველდღე ღვრიდნენ. აქედან უსაზღვროება, მთელი სამყარო იწყებოდა და ეს უსაზღვროება შიშსაც კი უქარწყლებდა ადამიანს. შიში კი მოხუცს ისე დასდევს თან, როგორც ჩრდილი. სწორედ ამ ჩრდილს ვერ გრძნობდა ახლა სერაპიონი და ხარაჩოები რომ არა, მკლავებს გაშლიდა, გუმბათს შემოაჭდობდა და ისე მოეფერებოდა მის გამაწამებელ და გამომფიტავ ნაგებობას, როგორც აკვნიდან ამოყვანილ ჩვილს. გუმბათი ხომ მართლაც აკვნიდან ამოყვანილი ჩვილი იქნება, როცა ხარაჩოებს შემოხსნიან.

ეს დღე კი შორს აღარ იყო და მისი აკვნიდან ამოყვანას ზარზმის მონასტრის ზარები ამცნობდნენ ქვეყანას. დაიგუგუნებენ ზარზმის ზარები, გააპობენ სივრცეს, მათი ეს გუგუნი დაბებსა და ციხე-დარბაზებს, სახნავ-სათესებსა და საძოვრებს მისწვდება და ყველას დაარწმუნებს, რომ მათი გუგუნი იმათი სიცოცხლის, იმათი ტკივილის გამოძახილია, ვინც მონასტერსა და ზარებს სული ჩაუდგა და აამეტყველა.

სერაპიონმა უეცრად თავბრუსხვევა იგრძნო, მძაფრად შეტორტმანდა და გვერდით გაჩერებულ ბექია ცალმოგვისძეს მოეჭიდა. თავის ტკივილი კი მაშინ მოეძალა და გაუმძაფრდა, როცა ცალმოგვისძემ იგი თითქმის ატატებული ჩამოიყვანა ტაძრის სახურავიდან, კვერთხი მოართვა და კელიონამდე მიაცილა.

სერაპიონი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ წამოდგა ფეხზე. ისე დასუსტებულიყო, ძლივს დაფარფატებდა, მოჩვენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ არსებას, მაგრამ ისე მოენატრა სუფთა ჰაერი და მზის სხივების სითბო, რომ ვერც ტკივილმა დააკავა საწოლში და ვერც სისუსტემ. ის დიდი ლოდი. თავში რომ ედო და წნეხივით აწვებოდა ტვინს, კიდევ უფრო დამძიმდა. ამიტომაც უჭირდა სისხლგამომშრალი, დაჩიავებული, გამოფიტული ხორცის ტარება, თორემ სულით არ ძაბუნდებოდა, არ ჩაჩანაკდებოდა. დღეს ხარაჩოები უნდა ჩამოეხსნათ გუმბათისათვის და თუ ვერ დაინახავდა, როგორ იხსნიდა ხის პერანგს ქვით მოპირკეთებული გუმბათი, იმას მაინც გაიგონებდა, როგორ იყრებოდა ფიცრები და მორები მონასტრის ეზოში, როგორ იყრიდნენ თავს ტაძრის ირგვლივ მონასტრის ბინადარნიც და ტაძრის სანახავად საგანგებოდ წვეული, ანდა თავის სურვილით მოსული სტუმრები. მართალია, ტაძრის კურთხევამდე ჯერ შორს იყო, ამის შესახებ სერაპიონი ჯერ გიორგი მაწყვერელს უნდა მოთათბირებოდა, ერთად უნდა გადაეწყვიტათ, რა როგორ მოეგვარებინათ, დაედგინათ დღე და რიცხვი, შემდეგ კი მათი გადაწყვეტილება სინოდისათვის შეეტყობინებინათ და მისგან თანხმობა მიეღოთ, მაგრამ მანამდე მოცდა არავის უნდოდა, თვით ეპისკოპოსსაც კი არა. თუ გიორგი მაწყვერელი ამოსული არ იყო, აწი მალე მოაღწევდა ზარზმამდე და ხარაჩოებიდან განთავისუფლებული გუმბათს საკუთარი თვალით დაინახავდა და ამდენ ხალხში მხოლოდ სერაპიონი ვერ შესძლებდა ამას. იგი სხვების გვერდით უნდა მდგარიყო და ტაძრისათვის ჩამქრალი თვალები მიეპყრო. ვერავის ნათქვამი, ვერავის აღწერილი ვერ იქნებოდა იმდენად სრული და ზუსტი, რომ სერაპიონის ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა. მართალია, ტაძრის გეგმას, გუმბათის მოხაზულობას სერაპიონი ზედმიწევნით იცნობდა, წარმოდგენილი ჰქონდა როგორი უნდა ყოფილიყო ხარაჩოებისაგან განთავისუფლებული გუმბათი, მაგრამ სად წარმოდგენილი და სად შენი თვალით დანახული. სერაპიონს მხოლოდ ეს უმხამავდა დღევანდელ დღეს, სხვა მხრივ კი გახარებული იყო, რადგან ხის პერანგს ხდიდნენ, აკვნიდან ამოჰყავდათ ამდენი ხნის ნაფერები და ნალოლიავები ჩვილი, რომელიც დღეს პირველად უნდა დაენახვებინათ ტაძრის ირგვლივ თავმოყრილი ხალხისათვის.

სერაპიონს იმის თავიც კი არ ჰქონდა, რომ ანაფორა გამოეცვალა. თუმცა ახლა მისთვის სულ ერთი იყო, რა ეცმეოდა, რა თვალით შეხედავდნენ სხვები. მის დაჩიავებულ, გაძვალტყავებულ სხეულს მხოლოდ დაფარვა სჭირდებოდა და არა მორთვა. ამისათვის კი ბერის უბრალო ჩოხაც კმაროდა. ყველაფერი მძიმე ეჩვენებოდა, წელზე შემოკრული თოკიც კი. გარეთ შემოდგომის თბილი, ფლერსიანი, ცოტათი შეფერადებული დღე იდგა. სერაპიონს უყვარდა ასეთი დღეები, მაგრამ არ უყვარდა უთვალისჩინოდ ხედვა, წარმოდგენით ცხოვრება. ღვთის თვალი, მასში რომ იყო გახელილი, არ იბინდებოდა, არ ქრებოდა,

მას არც ეჩვენებოდა რამე და არც ბნელეთის მოციქულთა ხრიკები რჩებოდა შეუმჩნეველი, მაგრამ მისი საკუთარი, მიწიერი თვალები ,რომლებიც ასე სასტიკად დანისლა ბინდმა, სხვა ბუნებისანი იყვნენ, მათთვის არც ეჭვი იყო უცხო და არც გამრუდებული მზერა. ზოგჯერ კი ისეთი რამე ეჩვენებოდათ, რომ თხემიდან ტერფამდე ზარავდა. ასე შეზარულს ბოლო დროს არა ერთხელ და ორჯერ გამოღვიძებია. ხან სისხლის ტბორი მოლანდებია, ხანაც დაქცეული გუმბათი. შიში მისი მოუცილებელი თანამგზავრი გახდა, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა ღამით, როცა მისი სული და გონება ჩაბნელებული იყო, დღისით კი გვერდზე გადაქანებული ქვეყანა კვლავ სწორდებოდა და ბნელი მხოლოდ იმ ხვრელებიდან იმზირებოდა, ქვესკნელს რომ ჰქონდა დასაკუთრებული. ამიტომაც არ უყვარდა ღამე ფიქრი. ძილი, ბოდვა. ღამე სიკვდილიც კი უფრო ახლოს იდგა მისგან, ვიდრე დღისით და ამიტომ არც ის მოგონებები აწუხებდნენ უსაშველოდ, არავის რომ არ სჭირდებოდა, არც მას და არც სხვებს.

ტაძრის ირგვლივ ხალხი უკვე იყრიდა თავს, სერაპიონნს ბერების ხის ქოშების კაკუნიც ესმოდა და დაბელების როყიო ლაპარაკიც. მას შემდეგ, რაც თვალი დაევსო, სმენა გაუმახვილდა, რაც ზოგჯერ უკვირდა კიდეც, მაგრამ შეიძლება მას ეჩვენებოდა, რომ გაუმახვილდა. ყოველ შემთხვევაში, სმენით ახლა იგი ისეთ რამეს ხვდებოდა, რასაც არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა იმ დროს, როცა თვალხილული იყო. ახლა კი მიყურადების მეტი არაფერი დარჩენოდა და როცა ხალხს კიდევ შემოემატა დაბელთა ერთი ჯგუფი, სერაპიონმა თავი ასწია, კვერთხი მოიმარჯვა და მათკენ წავიდა. დღევანდელი დღე მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო ცხოვრებაში, დღეს მისი ოცნებისა და ზრუნვის ნაყოფი ცხადად უნდა გამომზეურებულიყო ყველას თვალწინ და ამიტომ იმათ გვერდით უნდა მდგარიყო, ვისაც საქმის შედეგი უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი მიმდინარეობა. უეცრად ხალხი გაჩუმდა, შემდეგ კი ფრთხილად აჩურჩულდა და სერაპიონი მიხვდა, რომ მონასტრის ეზოში ვილაც ისეთი შემოვიდა, ვისაც პატივს სცემდნენ და მოწიწებით ექცეოდნენ. ასეთი კაცი კი ან გიორგი მაწყვერელი შეიძლება ყოფილიყო, ან ბეშქენ ჩორჩანელი, ან ერთიც და მეორეც ერთად. სერაპიონნს გიორგი მაწყვერელის სტუმრობა უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე ბეშქენ ჩორჩანელის, რადგან, ჯერ ერთი, მათი დიდხნის დავას დღევანდელი დღე საბოლოოდ მოუღებდა ბოლოს, მეორეც მათ საერთო მიზნები ჰქონდათ და ამ მიზნების განხორციელება რომ შეიძლებოდა, ამის ერთი დიდი საბუთი ახალაშენებული ტაძარი იყო. როცა ტაძარში შევიდოდნენ და მის ბურჯებსა და თაღებს შეავლებდნენ თვალს, გიორგი მაწყვერელი იმაშიც დარწმუნდებოდა, რომ ისინი კლდესავით მტკიცე იყვნენ და საუკუნეებს გაუძლებდნენ. მანამდე კი ეპისკოპოსი იმ გუმბათს დაინახავდა ყოველი მხრიდან, რომლის აშენებასაც სერაპიონის ახირებად, სიშლეგედ თვლიდა და დროისა და სახსრების უგუნურ ხარჯვად მიაჩნდა. იმ მხრიდან, სადაც მონასტერს სამთაღიანი კარიბჭე ჰქონდა შებმული, ცხენების ფეხის ხმა მოისმა. მას შემდეგ, რაც კარიბჭე აშენდა და მონასტრის გალავანი შეიკრა, მონასტრის ეზოში ამხედრებული არავინ შემოსულა. სერაპიონმა ეს მკაცრად აკრძალა და ამ ბრძანებას ახლა, ცხადია, ვერც ბეშქენ ჩორჩანელი დაარღვევდა. ამდენი ჭკუა და თავშეკავების უნარი კი გააჩნდა. მაგრამ მხედრები სამცხელი აზნაურებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, რომელთაც მონასტრის ასაშენებლად თითიც არ გაუნძრევიათ, ნახვით კი უსიკვდილოდ უნდოდათ ენახათ, რადგან მონასტერი სამცხის მიწა-წყალზე იყო აშენებული და ცოტათ თუ ბევრად მათაც ეკუთვნოდა. ასეთი აზრი არა ერთსა და ორ მესხ აზნაურს გამოუთქვამს სერაპიონთან საუბარში. ერთმა კი ისიც უთხრა, თქვენი სიკვდილის შემ-

დეგ ზარზმის მონასტრის წინამძღვრად მესხი უნდა დავადგინოთო.

სერაპიონმა იგრძნო, ხალხი რომ შემოეცალა და სანამ მიხვდებოდა, რა მოხდა, მის გვერდით გიორგი მაწყვერელი აღმოჩნდა. სერაპიონმა იგი იმ განსაკუთრებული სურნელებითაც იცნო, ეპისკოპოსს რომ ასდიოდა და ხმითაც. მხოლოდ ეს იყო, რომ გიორგი მაწყვერელის ხმა ნაკლებად დაბერებული მოეჩვენა, ვიდრე საკუთარი. ეპისკოპოსმა ბოლოს ისიც მოახერხა, რომ ჩორჩანელები და ხურცისძენი შეარიგა და ბეშქენ ჩორჩანელისა და სხვა დიდებულების ხელით ავაზაკთა თარეში აღკვეთა. შეპყრობილ ავაზაკებს ან ფეხებით ჰკიდებდნენ ხეზე და მანამდე არ ხსნიდნენ, სანამ ტვინში სისხლი არ ჩაექცეოდათ, ანდა ტბასთან მირეკავდნენ და კისერზე ქვაგამობმულთ წყალში ახრჩობდნენ. ასეთმა მკაცრმა სასჯელმა ბევრი ისე დააფრთხო, რომ სამუდამოდ გადაიხვეწა სამცხიდან. შეიძლება გიორგი მაწყვერელი ავაზაკთა ასე მკაცრად დასჯას არ იზიარებდა, მაგრამ არც ხელს უშლიდა. მას უნდოდა სამცხეში წესრიგი დამყარებულიყო და ეს მანამდე არ მოხერხდებოდა, სანამ ძარცვა-გლეჯვა არ აილაგმებოდა. რაც უფრო მიზანდასახულად და გაბედულად მოქმედებდა გიორგი მაწყვერელი, მით უფრო დიდ პატივისცემას და მოწიწებას იხვეჭდა ხალხში. ამიტომაც აჩურჩულდნენ დაბელები, როცა იგი მონასტრის ეზოში შემოვიდა.

— გავიგე, ავად ყოფილხართ, ახლა როგორ გრძნობთ თავს, მამაო სერაპიონ? — ჰკითხა გიორგი მაწყვერელმა სერაპიონს და მის ბრმა თვალებს მზერა მოარიდა.

— საცოდაობაა ჩემი ამქვეყნად ბოგინი, მღვდელთმოძღვარო, მაგრამ ღმერთმა ასე ინება და მეც მის ნებას ვემორჩილები.

— ჩვენი წილი ამქვეყნად ტანჯვაა და არა განცხრომა, მამაო სერაპიონ, და ღმერთი არ დაივიწყებს შენს ღვაწლსა და სიქველეს.

— მეც ამის იმედით მიდგას სული, მღვდელთმოძღვარო.

— მამაო სერაპიონ, ერთი სათხოვარი მაქვს და იმედია უარს არ მეტყვი.

— ბრძანეთ.

— სამცხის ახალაღორძინებულ ქალაქებში და მსხვილ დაბებში ეკლესიები მომრავლდა, ზოგი აღვადგინეთ, ზოგიც ავაშენეთ, მხოლოდ ესაა, რომ წიგნიერი, ჭეშმარიტად ღვთისმოსავი მღვდლები გვაკლია. ხომ არ შეგვერჩია ზარზმის მონასტერში რამდენიმე საღვთო წიგნებში ჩახედული, წირვა-ლოცვის კარგად მცოდნე ახალგაზრდა ბერი და მღვდლად გვეკურთხებინა. თითოეულ მათგანს თავისი ეკლესია ექნება და თავისი მრევლი ეყოლება.

— ეს მარტო ჩვენს სურვილზე როდია დამოკიდებული, მღვდელთმოძღვარო.

— ვიცი, მამაო სერაპიონ, მაგრამ როცა ეკლესიას უჭირს, ყოველი სულიერი მამის ვალია, რითაც კი შეუძლია, დაეხმაროს მას. გარდა ამისა, მონასტრის დანიშნულება ისიცაა, რომ ეკლესიას მსახურნი აღუზარდოს.

— მე უარი არ მითქვამს, მღვდელთმოძღვარო, მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ეს მათ სურვილზეა დამოკიდებული და არა ჩვენსაზე.

— კეთილი, მამაო სერაპიონ, შენ ისინი დამისახელე, მოლაპარაკებით კი მე მოველაპარაკები.

— რამდენი კაცია საჭირო.

— ათამდე მაინც.

— ნაშუადღევს გრამატეოსი სიას მოგართმევთ და შეგიძლიათ ამ სიის მიხედვით ტაძრის სადიაკვნოში გამოიძახოთ და მოელაპარაკოთ.

— ამით ღვთის სასურველ საქმეს გავაკეთებთ, მამაო სერაპიონ.

— დაილოცოს მისი სახელი.

სერაპიონს უკვე ესმოდა ცულებისა და ჩაქუჩების კაკუნი. ეტყობა ბექია ცალმოგვისძე და მისი ხითხუროni ერთსულოვნად შეუდგნენ გუმბათიდან ხარაჩოების ჩამოხსნას. დღეს სერაპიონისათვის ამაზე მნიშვნელოვანი არაფე-

რი ხდებოდა ქვეყნად და მისი ფიქრი და ყურადღება მთლიანად გუმბათისაკენ იყო მიპყრობილი. ხალხი ღელავდა, თავშეკავებულად ყაყანებდა, თუ სასწაულს არა, უჩვეულო სანახაობას მაინც ელოდა. ამ გუმბათის გამო დაწყებული დავის და მითქმა-მოთქმის ამბავი მთელმა სამცხემ იცოდა. სერაპიონი ვერ ხედავდა, მაგრამ გუმანით გრძნობდა, რომ სხვებზე ნაკლებად არც გიორგი მაწყვერელი ღელავდა. მისთვის ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორი სახე ექნებოდა გუმბათს, როგორ მოერგებოდა ტაძრის ტანს, ვიდრე სხვებისათვის. რაც არ უნდა იყოს იგი მთელი სამცხის ეპისკოპოსი იყო და ეპარქიის მომავალზე უნდა ეფიქრა. მხოლოდ სერაპიონი არ ღელავდა, მღელვარება მან კარგა ხანია უკან ჩამოიტოვა და ახლა მის სულში მხოლოდ სიხარული ღვიოდა, დიდი, ყველაფრის დამტევი სიხარული, სწორედ ისეთი, ადამიანს რომ აამაღლებს და ღვთის ჭეშმარიტ შვილად ხდის. სერაპიონი მხოლოდ მაშინ შეკრთა ოდნავ, როცა ფიცრის მიწაზე დაცემის ხმა გაიგონა. იწყებოდა გუმბათის სახის გახსნა, მისი გამომზეურება, მისი ამეტყველება. ამ დღეს სერაპიონი მთელი სიცოცხლე ელოდა და ახლა, როცა ეს დღე დადგა, არაფერი ხდებოდა ისეთი, სამუდამოდ დასამახსოვრებელი და ყველასათვის ნიშანდობლივი რომ ყოფილიყო. არც კოკისპირულად წვიმდა, არც ქარიშხალი მძვინვარებდა და არც მიწა ირყეოდა. შემოდგომის თბილი დღე სანთელივით ჩუმად იწვოდა და მონასტრის ეზოში მხოლოდ ფიცრების მიწაზე დაცემის ხმა ისმოდა. მართალია სერაპიონი ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, რა რიგითა და წესით შემოხსნიდნენ გუმბათს ხარაჩოებს. ჯერ მისი ტყვიის ბრჭყვიალა სახურავი გამოჩნდებოდა, შემდეგ მოჩუქურთმებული ზემო არშია ,მას შემდგომ სარკმელები და მათი საპირეები, ვიწრო სვეტები და მათი თავები, ბოლოს ქვემო არშია. ყოველი ფიცრის მიწაზე დავარდნა სერაპიონისათვის იმას ნიშნავდა, რომ დაფარულის რაღაც ნაწილს ფარდა ეხდებოდა, მალხუნდებოდა, წუთისოფლიერდებოდა. იბადებოდა რაღაც ახალი და მისი დაბადება მტკივნეული კი არ იყო, არამედ სასიხარულო, გულის ამაჩუყებელი, ნეტარების მომგვრელი. სერაპიონს მხოლოდ ის აკლდა გულს, რომ ანგელოზი არ დაეშვა ციდან და ტაძარს ზედ არ გადაუფრინა. აი, ეს იქნებოდა სასწაული, ეს იქნებოდა იმ დიადი ზეიმის დიდებული დაგვირგვინება, რომელსაც სერაპიონი ასე დიდხანს ელოდა და რომლის ლოდინმაც ასე დაასნეულა და დააგლახაკა.

— მამაო სერაპიონ, რამდენი წელი დასჭირდა ამ გუმბათის აშენებას? — მოესმა ამ დროს სერაპიონს გიორგი მაწყვერელის ხმა და ფიქრებიდან გამოერკვა.

— კაი ათი წელი.

— ხომ არ იცი, მამაო სერაპიონ, ამ ტაძრის შემდეგ, რის აშენებას აპირებს ბექია ცალმოგვისძე?

— არ ვიცი, ალბათ იმისა, რასაც დაუკვეთენ, მღვდელთმოძღვარო.

გიორგი მაწყვერელს კიდევ უნდოდა ეკითხა რაღაც, მაგრამ სერაპიონის სახეს თვალი შეავლო და მიხვდა, რომ ახლა ზარზმის მონასტრის წინამძღვარს მისთვის არ ეცალა, ბრმა თვალები გუმბათისაკენ ჰქონდა მიპყრობილი და არავინ და არაფერი არ ახსოვდა და არც შეიძლებოდა ხსომებოდა. ის, რაც მაღლა ხდებოდა სხვებისათვის სანახაობა იყო, სერაპიონისათვის კი მისი სულის პირშეუკრავი ჭრილობების გაშიშვლება, მისი სიშლეგისა და ტანჯვის სააშკაროზე გამოტანა. გუმბათის მოპირკეთებულ და მოჩუქურთმებულ ზედაპირს არც მოუშუშებელი ჭრილობები აჩნდა და არც ტანჯვის კვალი, მაგრამ სერაპიონმა ხომ იცოდა, რამდენი ოფლი და სისხლი დაიღვარა მის ასაშენებლად, რამდენად დაკაწრული, დაჩეხილი და ნაჯიჯგნი იყო ის სული, მან რომ მასში ჩააქსოვა. სხვებს არც ის შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ სერაპიო-

ნის ხელები, ახლა რომ გამხმარი ჯოხებივით ეკიდა მხრებზე, ტაძრის ყველა ქვას შეხებიან და მოფერებიან. მის ბრმა თვალებს კი ყოველი მათგანი გაუზომიათ და შეუფასებიათ. ახლა კი ეს ნაფერები, გაზომილ-შეფასებული ქმნილება საკუთარ სიცოცხლეს იძენდა, მისგან და ყველა აქ თავმოყრილი ადამიანისაგან დამოუკიდებელ სიცოცხლეს და სერაპიონნს მხოლოდ იმის გამო წყდებოდა გული, რომ ამ სიცოცხლის დაბადებას მის გარდა ყველა ხედავდა.

ზემოდან გადმოყრილი ფიცრები და ძელები ახლა ძირს დაყრილ ფიცრებსა და ძელებს ეცემოდა და ეს ხმაური სერაპიონის ტვინს მტკივნეულად კაწრავდა, მაგრამ დღეს მას აქედან ხელით თუ წაიღებდნენ, თორემ თავის ფეხით აქაურობას არ მოსცილდებოდა. ვერც იმას უბრძანებდა ბექია ცალმოგვისძეს, ფიცრებს დაბლა ნუ ჩამოყრიო. ეს ხმაური ისევე საჭირო იყო დღეს აქ, როგორც შემოდგომის ალერსიანი დღე. ამიტომ ისევ მას უნდა მოეთმინა ტკივილიც და ამდენ ხანს ფეხზე დგომაც. გუმბათს რომ მთლიანად ჩამოხსნეს ხარაჩოები და იგი რომ მთელი თავისი სიმაღლითა და სინატიფით გამოჩნდა, სერაპიონი იმით მიხვდა, რომ ირგვლივ მოჯარულ ხალხს გმინვა აღმოხდა. აღტაცებას ვერც გიორგი მაწყვერელი მალავდა. სერაპიონი ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ გუმბათი ისარივით მიისწრაფოდა ცისკენ და, მიუხედავად მისი განისა და სიმაღლისა, უჩვეულოდ მსუბუქი ჩანდა, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ერთი ქვისაგან ყოფილიყოს გამოკვეთილი. ბრბო, აქამდე რომ მონუსხულივით იყო გასუსული, უეცრად ამჩატდა, ახმაურდა, აყაყანდა. სერაპიონმა ისეთი დაღლა იგრძნო, თითქოს მთელი დღე ქვა ზურგით ეზიდა. თავი უსკდებოდა, ტკივილი ბრმა თვალებზე აწვებოდა, მაგრამ გონებას მაინც არ კარგავდა. მის სულში ჯერ კიდევ ღვიოდა ის სიხარული, პირველი ფიცრის მიწაზე დავარდნისთანავე რომ დაეუფლა. ახლა ერთი სურვილიღა ჰქონდა, ტაძარში შესულიყო და თვითონ თუ ვერ დაინახავდა, სხვებისათვის დაენახვებინა, რამდენი სინათლე ილვრებოდა მაღალყელიან და მრავალსარკმლიან გუმბათიდან ტაძარში, როგორ ანათებდა და ამაღლებდა ზემოდან ჩამოღვრილი შუქი საკურთხეველს.

— შევიდეთ ტაძარში, მღვდელთმოძღვარო, ახლა შიგნიდან შევხედოთ გუმბათს, — უთხრა სერაპიონმა გიორგი მაწყვერელს, კვერთხი მოიმარჯვა და ტაძრის კარიბჭესაკენ წავიდა, მაგრამ გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, კვერთხი ხელიდან გაუვარდა, ზნემოვლილივით შეტორტმანდა და მიწაზე გაიშხლართა. სანამ გონებას დაკარგავდა, სერაპიონნს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ცა ჩამოიქცა და თავზე დაემხო. გიორგი მაწყვერელმა ჩაიჩოქა, სერაპიონნს გული და მაჯა გაუსინჯა და როცა დარწმუნდა, ცოცხალიაო, ირგვლივ შემოჯარულ ბერ-მონაზვნებს უბრძანა, საკაცე მოეტანათ და წინამძღვარი თავის სენაკში გადაეყვანათ. მცირე ხნის შემდეგ გონმიხდილი სერაპიონი ფრთხილად ასწიეს, საკაცეზე დადეს კელიონისაკენ წაიღეს.

როცა გონს მოვიდა, სერაპიონი მიხვდა, რომ საამქვეყნოდ აღარ იყო, საწოლიდან ველარ წამოდგებოდა. ტკივილს აღარ გრძნობდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მის სხეულს მგრძნობელობა დაეკარგა, ტანი თავს მოსწყვეტოდა, მხოლოდ აზრი თუ გაფაჩუნდებოდა დრო და დრო მისი გონების ზედაპირზე. ყოველი აზრის გაფაჩუნებას თან სდევდა სიბნელისა და სინათლის მონაცვლეობა. უმეტეს შემთხვევაში აზრი დაუმთავრებელი და ბუნდოვანი იყო, ხანდახან კი ისეთი ცხადი და ნათელი, რომ სერაპიონნს ეჭვიც კი ეპარებოდა, ეს აზრი მისი იყო თუ მამაზეციერმა შთააგონა.

სიკვდილი მის სხეულში მაშინ ჩასახლდა, როცა მონასტრის ეზოში წაიქცა, ახლა კი ჯიჯგნიდა, აწვალებდა, ნელნელა ულებდა ბოლოს. თუმცა ამ ჯიჯგნასა და წვალებას სერაპიონი გონებით უფრო აღიქვამდა, ვიდრე გრძნობდა. შეიძლება გონს იგი ბალახების იმ ნახარშებმა მოიყვანა, დღე და ღამე რომ ასმევდნენ უხვად, მაგრამ ბალახების ძებნა და ხარშვა ამაო იყო, საქმეს უფრო ურთულებდა, ჩვილი ბავშვივით მოსავლელი ხდებოდა. სერაპიონს ისეთი მაჯლაჯუნა ეჯდა თავში, რომ მას იქიდან ვერაფერი ბალახის ნახარში ვერ გამოდენიდა. მართალია, ახლა ძველებურად არ აწამებდა, მაგრამ მისი დაბრმავებაც და დადამბლავებაც რომ იმ ავი სულის ბრალი იყო, ტვინში რომ ჩაუძვრა და ქენჯნიდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ხანდახან, როცა ლოცვით დაიღლებოდა, ხედავდა კიდეც მის ვიწრო, დამანჭულ სახეს, სისხლით მოთხვრილ თხელ ტუჩებს და შიშველ, გამობერილ მუცელს. ასეთი სახე ჰქონდა იმ სიკვდილს, მას რომ ულებდა ბოლოს და არა ისეთი, როგორი წარმოდგენაც მასზე ხალხს ჰქონდა. იჯდა თავისთვის ჩუმად, მსუნაგი პირით ღრღნიდა მის ტვინს და როცა გაძღებოდა, ცოტა ხნით მოდუნდებოდა, მოითენთებოდა. სწორედ ამ დროს უნათდებოდა სერაპიონს გონება და აზრი სიცხადეს იძენდა. ამ დროს ორიოდე სიტყვის თქმაც კი შეეძლო. მის სენაკში ყოველთვის ირეოდა ხალხი, ბევრს ვერ სცნობდა, არ იცოდა ვინ შემოდიოდა და ვინ გადიოდა. მხოლოდ მამა ბასილი ეჯდა სასთუმალთან ფეხმოუცვლელად და ღამეს უთევდა. რაც უნდა იყოს სისხლით ნათესავი ძმისწული იყო მისი და მეტი მოეთხოვებოდა. სერაპიონს რომ შესძლებოდა მამა ბასილს ღამის თევაზე ხელს აალებინებდა, მაგრამ აღარც ამის თავი ჰქონდა. ის ორიოდე სიტყვა, რომელთა წარმოთქმა ხანდახან შეეძლო, ალსარების სათქმელად სჭირდებოდა. რადგან გონს მოვიდა, სიტყვის დაძვრა შეეძლო, არ უნდოდა უზიარებლად წასულიყო ამ ქვეყნიდან. ამიტომაც გაგზავნა მამა ბასილი ეპიფანეს მოსაყვანად. სერაპიონის ანდერძის თანახმად, მისი სიკვდილის შემდეგ, მონასტრის წინამძღვარი მამა ეპიფანე უნდა ყოფილიყო. ჯერჯერობით მასზე ღვთისმოსავი სამართლიანი და გულმოდგინე კაცი მონასტერში არ ჩანდა. თუ მონასტერს ბევრს ვერაფერს შესძენდა, იმას მაინც შეინარჩუნებდა, რაც უკვე გაკეთებული იყო. მამა ეპიფანე მაინცდამაინც მაშინ შემოვიდა სენაკში, როცა მაჯლაჯუნა სერაპიონის ტვინს უმოწყალოდ ჯიჯგნიდა და ამიტომ ვერც ალსარების თქმა შეძლო და ვერც ცოდვების მონანიება. სათქმელი ბევრი ჰქონდა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა, ხორხიდან ხმა არ ამოდიოდა. მიუხედავად ამისა, მამა ეპიფანემ მოუკლებლად, მოწიწებით აზიარა, სერაპიონის სული ღმერთს შეავედრა და თავთან დიდი კელაპტარი დაუნთო. ეს მოხდა დილით, ახლა კი შუაღამე გადასული იყო, მამა ბასილი მის სასთუმალთან თვლემდა, სერაპიონი კი სიკვდილს ებრძოდა და გათენებას ელოდა.

სერაპიონს ორი სადარდებელი მიჰქონდა თან. ერთი — გალობა რომ ვერ მოისმინა ტაძარში, არ იცოდა როგორ აჟღერდებოდა მრავალხმიანი საგალობლები იმ კედლებს შორის, სულ ახლახან რომ შეაბათქაშეს, რამდენად სუფთა და ძლიერი იქნებოდა მაღალი თუ დაბალი ბგერა, როგორ გამოიკვეთებოდა ის ტკივილი, ტანჯვა და თანაგრძნობა, ყოველ საგალობელში რომ იყო ჩაქსოვილი, როგორ დაემორჩილებოდა ძველი საგალობლები გარდაქმნას, ახალ კილოზე, სხვა ხმაზე აჟღერებას. ახალ ტაძარს ხომ საგალობელიც ახალი შესაფერისი სჭირდებოდა. მეორე — ისე მიდიოდა ამ ქვეყნიდან, რომ მონასტრის ზარების გუგუნი ვერ მოისმინა. ახლა ყველა ზარი ისე იყო ჩამოკიდებული საძ-

რეკლოზე, როგორც ამას მათი ზომა და ჟღერადობა მოითხოვდა, მაგრამ თვითონ უკვე სიკვდილის პირას იყო მისული, სხვები კი ვერ ბედავდნენ დილის წირვა ზარების რეკვით დაეწყოთ. არა და სერაპიონის ყურს არაფერი მიანიჭებდა ისეთ სიამოვნებას, როგორც ყველა ზარის ერთბაშად აგუგუნება, მათი შეხმატკბილებული რეკვა, მათი შემომღერება. ზარები ხომ ისევე არ ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ცოცხალი არსებანი და ამიტომ ზარზმის მონასტრის ზარების რეკვა განსხვავებული იქნებოდა ყველა სხვა მონასტრის ზარების რეკვისაგან, მას თავის დამოუკიდებელი, განუმეორებელი ჟღერადობა ექნებოდა, აქაური მთების, ხეობების, ტყეების, მინდვრებისა და საძოვრების შესაბამისი ჟღერადობა, რაც გაყრუებულ გარემოს გააცოცხლებდა და მთელ ამ მხარეს შეერწყმებოდა, შეესისხლხორცებოდა. ზარებზე საუბარი სერაპიონნს ზიარების შემდეგ ჰქონდა მამა ბასილთან და მისგანვე გაიგო, რომ მათ დარეკვას მისი ნებართვის გარეშე ვერავინ ბედავდა. სერაპიონი გრძნობდა, მის სიკვდილს რომ ყოველ წუთს ელოდნენ და ზარებს ალბათ მაშინ დარეკავდნენ, როცა სული ამოხდებოდა, მაგრამ მას სიცოცხლეში სურდა მათი გუგუნის მოსმენა და მათი ჟღერადობის თან წაღება იმქვეყნად.

სერაპიონნს ისევ დაუბნელდა გონება. სადღაც შორს შავი ფარდა ირხეოდა და მის რხევაში იყო რაღაც არამიწიერი, მოუხელთებელი. ის დიდი სინათლე, ის ციური შუქი, რომლისკენაც მთელი სიცოცხლე ისწრაფვოდა, ალბათ სადღაც ამ ფარდის მიღმა სუფევდა და სანამ მისი სული იმ დიდ სინათლემდე მიაღწევდა, ეს ბნელი და შავი სივრცე უნდა გაევლო, განწმენდილიყო, გასპეტაკებულიყო. მისთვის უკვე აღარც სიზმრები არსებობდა და აღარც ღამეული ზმანებები, ხოლო რაც არსებობდა, ყველაფერი სინამდვილე იყო და თუ მაინც ბორგავდა, მაინც იბრძოდა და ოფლში ილვრებოდა, ეს მხოლოდ იმიტომ, უჭირდა გარდაცვალება, გარდაქმნა, იმ ზღვარის გადალახვა, სააქაოს და საიქიოს რომ ყოფს ერთმანეთისაგან. იგი აღარც აქეთ იყო და აღარც იქით, აღარც ცოცხალი და აღარც მკვდარი და სწორედ ეს გაორება და გაურკვევლობა აწვალებდა, აბორგებდა, ახვნეშებდა. ცხოვრებიდან გასვლა და მარადიულობასთან შერწყმა არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ეგონა. სიკვდილი თავისკენ ექაჩებოდა, განვლილი ცხოვრება და მოგონებები კი თავისკენ. იყო ამ აქეთ-იქით ქაჩვაში რაღაც დამაკნინებელი, დამამცირებელი. მას უნდოდა ღირსეულად, სხვების შეუწუხებლად წასულიყო ამ ქვეყნიდან, მაგრამ სწორედ ეს არ გამოუდიოდა. წუხდა, ბორგავდა, ბოდავდა და ყველაფერი ეს სხვებსაც ესმოდათ, სხვებიც უყურებდნენ მის სულის ხუთვას. ასე დიდხანს სერაპიონნს იშვიათად დაბნელებია გონება და სწორედ მაშინ, როცა გული უნდა გაჩერებულიყო, მან კვლავ გაახილა ბრმა თვალები, ისევ გაუნათდა გონება.

ეს ის დრო იყო, როცა სერაპიონი ჩვეულებრივ ილვიძებდა. თენდებოდა, ახალი დღე იწყებოდა და სერაპიონი გუმანით გრძნობდა, ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი დღე ამ ცოდვილ მიწაზე. სენაკში სანთლის სუნი იდგა და სანთლები რომ ენთო, ამაში სერაპიონნს ეჭვი არ ეპარებოდა. მხოლოდ ეს იყო, რომ მამა ბასილის აქ ყოფნა არ იგრძნობოდა, იგი მარტო, უყურადღებოდ დატოვეს და ეს ცოტათი აკვირვებდა კიდეც. მან თავს ძალა დაატანა და ორიოდე სიტყვა წაილუღლუღა, მაგრამ არავინ გამოხმაურებია, არავის უკითხავს, რა გნებავთო. სერაპიონნს აღარაფერი აღარ უნდოდა, აღარც წყალი, აღარც ჰაერი და აღარც სასთუმალის გასწორრება, ხოლო მისი სხეულის განბანვასა და თეთრ სუდარაში გახვევას მაშინაც მოასწრე-

ბდნენ, როცა იგი ამ ქვეყანაზე აღარ იქნებოდა. რადგან ირიჟრაჟა, რადგან ახალი დღის გათენებას მოესწრო, ისე აღარ გაუჭირდებოდა ბნელთან შეხვედრა, როგორც ღამე უჭირდა. კიდევ ერთი პატარა ნაბიჯი მარადისობისაკენ და დამთავრდებოდა მთელი ის დავიდარაბა, რაც მიწიერ ცხოვრებას ახლავს თან. უეცრად სერაპიონს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს თვალებიც კი აეხილა და სენაკში შემოჭრილი ნაცრისფერი ზოლი დაინახა, მაგრამ ეს იყო წამიერი შეგრძნება, რადგან მაშინვე დაებინდა გონება.

სწორედ ამ დროს დაიგუგუნა ზარზმის ზარებმა, აჟღერდა, ამეტყველდა მონასტერი. სერაპიონს ისევ გაუნათდა დაბინდული გონება, ისევ დაუბრუნდა ამ ქვეყანას, რადგან ცხადად ესმოდა ზარების რეკვა და არჩევდა თითოეული მათგანის ხმას. ზარები რეკდა და ნელნელა ეხეოდა კალთა იმ სივრცეს, მის თვალწინ რომ ირხეოდა, ახლოვდებოდა რაღაც უფრო დიადი, იდუმალი, არაამქვეყნიური, რაც აღარც დროს ემორჩილებოდა და აღარც მიწიერ ყოფაცხოვრებას. გუგუნებდნენ ზარები და ქრებოდა ფერები, უჩინარდებოდა ჩრდილები, იშლებოდა ზღვარი ნათელსა და ბნელს შორის. მოგონებები იცრიცებოდნენ, ერთმანეთს ემსჭვალებოდნენ და ფერდაკარგულნი ვერაფერს, ვერავითარ სახიერებას ვერ ინარჩუნებდნენ. არაფერს არ ჰქონდა თავი და ბოლო, არაფერი არ იყო შეზღუდული და შემოსაზღვრული. ის სივრცე, ირგვლივ რომ ერტყა მასშიც რომ იყო და მის გარეთაც, მასაც მოიცავდა და უსასრულობასაც. ახლა სერაპიონს სახე აღარ ჰქონდა, მაგრამ ჰქონდა რაღაც ისეთი, რაც სახეს არ საჭიროებდა, სიტყვა არ ესმოდა, მაგრამ ესმოდა ზარების რეკვა და ეს რეკვა უფრო აკავშირებდა იმ სივრცესთან, კალთა რომ ერღვეოდა, ვიდრე სიტყვები, აღარ იყო სიცოცხლე, მაგრამ აღარც სიკვდილი იყო, გაქრა ერთიც და მეორეც და დარჩა რაღაც სხვა, რასაც არც სიცოცხლე შეიძლებოდა დარქმეოდა და აღარც სიკვდილი, ამიტომ სწორედ ეს იყო მარადიულობა და ამ მარადიულობაში იგი ზარების გუგუნს შეჰყავდა. ბოლოს ბურუსი მთლიანად მოედო გონებას, რაღაც შექანდა თუ შეტოკდა და როცა ზარების რეკვა შეწყდა, სერაპიონი აღარ სუნთქავდა. მის მშვიდ სახეს სანთლები აშუქებდა.

## ბოლოთქმა

მართალია, სერაპიონ ზარზმელი კონკრეტული ისტორიული პიროვნება იყო, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა თითქმის დაბადებიდან სიკვდილამდე აღწერა მისმა ძმისწულმა და მოწაფემ, შემდგომში შესაძლოა ზარზმის მონასტრის წინამძღვარმა ბასილ ზარზმნელმა თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრებაი და მოქალაქობაი ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩვენისა სერაპიონისი", რომელიც მდიდარია ყოფითი დეტალების სიუხვით, უბრალო ხალხის, მთავრებისა და აზნაურების ცხოვრების აღწერით, ისტორიული ფაქტებით და გეოგრაფიული ცნობებით, მაგრამ ჩვენს რომანში სერაპიონ ზარზმელი განზოგადებული პერსონაჟია, ყველა იმ საეკლესიო მოღვაწის კრებითი სახეა, რომელთაც მოყოლებული მეცხრე საუკუნიდან არნახული სამონასტრო მშენებლობა გააჩაღეს სამხრეთ საქართველოში. ქრისტიანობა მაშინ ერის რელიგიაც იყო და იდეოლოგიაც და ამ რელიგიისა და იდეოლოგიის განმტკიცებამ დიდად შეუწყო ხელი მთელი საქართველოს გაერთიანებას და აღზევებას. არც ის არის შემთხვევითი, რომ საქართველოს გაერთიანება სწორედ სამხრეთ საქართველოდან დაიწყო.

ბასილ ზარზმელის თხზულება იმითაცაა საინტერესო, რომ ძირითადად მონასტრის მშენებლობით იფარგლება, კონკრეტულად ზარზმის მონასტრის მშენებლობით და აგვიწერს იმ

უსახსრობას, კონფლიქტებს, სიძნელეებს და გაჭირვებას, რასაც თუ განვაზოგადებით, ამა თუ იმ ეკლესიის მამა აწყდებოდა მონასტრის მშენებლობის დროს. არც იმ შინააშლილობას ივიწყებს, სამცხის სამთავროში რომ დაიწყო გიორგი ჩორჩანელის სიკვდილის შემდეგ. მოვლენათა დაკონკრეტების თვალსაზრისით და თემის გადაუტვირთველობით ძველ ქართულ ლიტერატურაში იშვიათად მოიპოვება მსგავსი ნაწარმოები. ჩვენი დაინტერესებაც სწორედ ამან გამოიწვია.

რომანში არის ერთი სადაო საკითხი, არა, სადაო შეიძლება ბევრიც იყოს, ამ ერთს მე განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი, რადგან ნაწარმოების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ეს ეხება საქართველოში პირველი ყელიანი გუმბათის აშენებას. შეიძლება სერაპიონ ზარზმელი არ იყო ის პირი, ვინც პირველი ყელიანი გუმბათი ააშენა, მაგრამ რადგან სერაპიონის ეპოქა გარდამავალ პერიოდად ითვლება ქართულ არქიტექტურაში და ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, ვინ ააშენა პირველი ყელიანი გუმბათი, ამიტომ თავს უფლება მივეცით პირველი ყელიანი გუმბათის ამშენებლად სერაპიონ ზარზმელი გამოგვეყვანა. მით უმეტეს, რომ ის მონასტერი, სერაპიონმა რომ ააშენა ზარზმაში, დღეს აღარ არსებობს, მხოლოდ მისი სამთაღოვანი სტოა-კარიბჭის ნანგრევებიღაა შემორჩენილი. იმასაც ამბობენ, ზარზმის მონასტერი არაფრით გამოირჩეოდა იმ დროის სხვა მსგავსი მონასტრებისაგანო, მაგრამ რადგან განზოგადოებულია თვით სერაპიონის პიროვნება, დიდი არაფერი დაშავდება იმით, სამხრეთ საქართველოში მონასტრების მშენებლობასაც რომ ზოგადი თვალით შევხედოთ და პირველი ყელიანი გუმბათის ამშენებლად პირობითად სერაპიონ ზარზმელი მივიჩნიოთ. მართალია, ზარზმაში, სწორედ იმ ადგილას, სადაც მონასტერი იყო აშენებული, ახლაც დგას დიდებული ტაძარი, რომელსაც ყელიანი გუმბათი ამშვენებს, იგი აშენებულია მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის მიერ.

და კიდევ ერთი: შეიძლება მკითხველს უცნაურად მოეჩვენოს, რომ რომანში არ ჩანან ბაგრატიონები, რომელთა საგვარეულო ამ დროს უკვე გაბატონებული იყო სამხრეთ საქართველოში. ჯერ ერთი, თვით ბასილ ზარზმელის თხზულებაში არცერთი ბაგრატიონი არაა მოხსენებული, მეორეც, ეტყობა იმ დროს, როცა ზარზმის მონასტერი შენდებოდა, სამცხის სამთავრო ჯერ კიდევ დამოუკიდებელი იყო და ბაგრატიონთა ხელისუფლება მასზე არ ვრცელდებოდა. აი, რას წერს ამის შესახებ თავის გამოკვლევაში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საინტერესო წყარო“ ნათელა ვაჩნაძე: „წყაროთა ჩვენებიდან ჩანს, რომ ტაო-კლარჯეთის საკუროპალატოს დამფუძნებელი აშოტი (+826) არ ფლობდა სამცხეს. ასევე მისმა უფროსმა ვაჟმა გუარამმა (+882) ვერ შეძლო სამცხის ხელთ გდება. თუმცა იბრძოდა ამისთვის“. „მატიანე ქართლისაის“ ცნობით, „გუარამს — დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტაანი“. აქ, როგორც ვხედავთ, სამცხე არ იხსენიება. ამასვე ადასტურებს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, რომლის ცნობითაც „მამფალი გუარამ დიდი, მირიანისათვის „გულ-ძვირად“ იყო, რადგანაც „მირიანმა მძლავრ სამცხისა ერითა თვისი დაადგინა კათოლიკოზად“. ეს „გულძვირობა“, ცხადია, აიხსნება გუარამის მეტოქეობით მირიანთან სამცხის მფლობელობაში.

ეტყობა, ბაგრატიონებმა სამცხისათვის ვერც მაშინ მოიცალეს, როცა გიორგი ჩორჩანელი გარდაიცვალა და გიორგის დისწულებს შორის სამცხეში სამთავროსათვის ბრძოლა და ხანგრძლივი შინააშლილობა დაიწყო.

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაშა იმედაშვილი

# თანამედროვე ქართული ლირიკული პოემის პრობლემატიკა

ადამიანისადმი, პიროვნებისადმი გამძაფრებულმა ყურადღებამ, პიროვნულ შეფასებათა და მოვლენათა სუბიექტური აღქმისადმი მწერლობის პრინციპულმა შემობრუნებამ შესაბამისი ჟანრული თუ სტილისტური ცვლილებანი გამოიწვია, მხედველობაში გვაქვს ლირიკული პოემის აღორძინება სამოციანი წლების ქართულ პოეზიაში, რაც უშუალოდ დაუკავშირდა მუხრან ლებანიძის, ოთარ ჭილაძის, ჯანსულ ჩარკვიანის, გივი გეგეჭკორის, ტარიელ ჭანტურიასა და ემზარ კვიტაიშვილის სახელებს.

სამოციანი წლების ქართულ პროზაში, როგორც ცნობილია, გამძაფრდა ყურადღება უბრალო ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებისადმი, რასაც სტილური ცვლილებანიც მოჰყვა, ერთგვარად „გაუბრალოვდა" სიტყვაკაზმული მწერლობის ენა.

ამავე პერიოდში „ლირიკული პოემა" გარკვეულად დაუპირისპირდა მწერლობის „დემოკრატიზაციის" ამ ტენდენციას (რომელიც პროზაში სხვა ტენდენციების გვერდით არსებობდა).

ქართული ლირიკული პოემისათვის ამ პერიოდში უპირატესად დამახასიათებელია სინამდვილის პოეტური, ჰეროიზებული პლასტის კვლევა, რადგან თავისთავად ლირიკა გულისხმობს გრძნობათა გამძაფრებას, სინამდვილის პოეტიზირებას. ბესარიონ ბელინსკი შენიშნავდა კიდეც: „პოემა გვიხატავს იდეალურ სინამდვილეს თავის უმაღლეს მომენტებში, რომანი და ამბავი **ПОВЕСТЬ** (ლ. ი.) კი, პირიქით, გამოხატავენ ცხოვრებას თავისი პროზაული სინამდვილით". თანამედროვე ლირიკულმა პოემამ თანამედროვე ადამიანს გადასაჭრელად წამოუყენა რთული ზოგადსაკაცობრიო თუ ეპოქისეული მორალურ-ეთიკური და ეროვნული პრობლემები. ამ პოემებში ჩვენი თანამედროვე წარმოგვიდგა არა თავის თავში და თავის ცხოვრებისეულ ინტერესებში ჩაკეტილ პიროვნებად, არამედ თავისი დროის, თავისი ერისა და კაცობრიობის ტკივილებთან წილნაყარ პიროვნებად, რომლისთვისაც ეგზისტენციური პრობლემები ყოველდღიურად საფიქრალი და გადასაჭრელი პრობლემები გახლავთ.

იქნებ სწორედ ამ ამაღლებულობისა და ზოგადობის, კაცობრიობისა თუ ერის ბედთან პიროვნების თანაზიარობის წარმოსაჩენად სამოციანი წლების ლირიკული პოემა ხშირად მიმართავს ისტორიული ფაქტის განზოგადებას, მითს, სიმბოლოს, როგორც მუდმივობის მატარებელს, როგორც მუდმივ საწყაოს ადამიანური ყოფისა.

ჯერ კიდევ 1968 წელს გურამ ასათიანი მეტად დაკვირვებულად შენიშნავდა წერილში „მეტი სინათლე" ოთარ ჭილაძის ლირიკული პოემის — „თიხის სამი ფირფიტა" — თაობაზე: „მე აქ მინდა აღვნიშნო დამახასიათებელი ფაქტი. ოთარ ჭილაძემ გასულ წელს გამოაქვეყნა პოემა „თიხის სამი ფირფიტა", რომელიც თავისი მოტივებით ლეგენდარული პრეისტორიული წარსულის მასალასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ბევრი დამეთანხმება, რომ ეს არის ნამდვილად თანამედროვე პოეტური ნაწარმოები არა მხოლოდ თავისი ფორმით, არამედ შინაარსითაც. ეს არის თანამედროვე ადამიანის ინტიმური დღიურის ერთი ფურცელი. მისი სულიერი წყობის, ფსიქიკის, ტემპერამენტის, მისი წარმოდგენების, ემოციური იდეალებისა და გონებრივი მიდრეკილების თავისებური გამოხატულება.

აქ გადმოცემულია გარემომცველი სინამდვილის მძაფრი, შეუნელებელი რიტმი, იმ პერსპექტივის განცდა, რომელიც მისი მხოფლშე-

გრძნებისათვის არის დამახასიათებელი (პერსპექტივა არა მხოლოდ წარსულისაკენ, არამედ მომავლისაკენაც), ეს თვისება თითქოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს უშუალო სინამდვილის ყოველ კონკრეტულ საგანს და თვით პოეტის სულიერ მოძრაობასაც, განსაკუთრებული რაკურსით წარმოაჩენს მას მკითხველის თვალწინ...

წარსული, ლეგენდა პოემის ავტორს სჭირდება არა მხოლოდ დღევანდელი დღის, თანამედროვე სინამდვილის თავისებური დანახვისათვის, იგი ეხმარება მას მომავლის გაგებაშიც, თავისი ადამიანური დანიშნულების გაცნობიერებაშიც. მას უნდა მთელი თავისი პოემის კომპოზიციაში, სახეთა სისტემაში გაიტანოს ერთი მთავარი აზრი — სიყვარულის, ამქვეყნიური, მიწიერი ბედნიერებისადმი ლტოლვის, მარადიული ადამიანური ქმედებისა და ბრძოლის იდეა და სწორედ ამ მოტივს უკავშირდება, ამ პრიზმაში იხსნება აქ თვით პოეტის მისიის მნიშვნელობაც, რომელიც პოემის დასასრულს სავსებით მკაფიოდ (შესაძლებელია ზედმეტად დეკლარაციულად) არის გამოხატული:

„არც მოწყალება და არც საშველი
არ ღირსებია ციდან არავის,
და რასაც ფიქრობ, ყველას აჩვენე,
ან ვისთან რა გაქვს დასამალავი,
სიჩუმე ზოგჯერ სისუსტეს უდრის
და შენც გახსენი შენი ფიქრები,
რომ პატიოსნად, მშვიდად და მყუდროდ
იცხოვრო, როცა აღარ იქნები.

მსგავსი მიმართება უკვე არსებულთან, ტექსტი იქნება ეს თუ კაცობრიობის მახსოვრობას შემორჩენილი რამ რეალობა, სიმბოლო თუ მითემა, ლირიკულ პოემას გამორჩეულად ახასიათებს.

რა ჩანს ყოველივე ამის უკან? თანამედროვე ადამიანის ინტერესთა სფერო არ იფარგლება მხოლოდ ვიწრო პიროვნული ინტერესებით, ამდენად პიროვნება უკავშირდება არა მარტო თავის დროსა და თავის ერს, არამედ უსასრულობასა და კაცობრიობას. მას ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს, შორს თუ ოდესღაც დატრიალებული ტრაგედია სიშორისა თუ ხანდაზმულობის გამო მისთვის არ კარგავს თავის სიმძაფრეს.

ორფეოსის ტკივილი იდენტურია ჩვენი თანამედროვის ტკივილისა და ორფეოსის მაგალითი მისთვისაც სამაგალითოა თავისი სიწმინდით, ამაღლებულობით, უკვდავებით.

ყოველივე ამის უკან კი დგას შემოქმედებით მეთოდად ქცეული სურვილი: „და რასაც ფიქრობ, ყველას აჩვენე". არაფერი არ უნდა იყოს დაფარული, ყველაფერი უნდა ითქვას, არაფერი არაა აკრძალული.

დგება დრო სიმართლისთვის თვალის გასწორებისა, რა არასასიამოვნოც უნდა იყოს იგი. ეს დრო კი თვითგანჩხრეკვიდან იწყება, ძნელია ყოველივე ეს, ძნელია ყოფილისა თუ არყოფილის მთელის სიმართლით ასახვა და სწორედ ამიტომაა პოემა-მონოლოგში გივი გეგეჭკორი ქართული პოეზიის ტრადიციისამებრ რომ შესთხოვს დამბადებელს, პოეტს მისცეს უნარი და შეძლება ყოველივეს გაცოცხლებისა:

„ის გაიხსენებს და განა ერთხელ,
მაგრამ აღდგენა იქნება რთული,
დამბადებელო, უბოძე კვერთხი,
რომ შეახოს და ჩაუდგას სული".

(„სეზამ, გაიღე")

და აქ ბევრი პრობლემა დგება, პრობლემა დროსთან მიმართებისა, პრობლემა ჭეშმარიტი სიტყვის ძიებისა („დაუწერელი თაბახის შიში"), პრობლემა ბავშვობასთან, როგორც გარდასულ სიწმინდესთან მიმართებისა. [„განმეორდა ჩემი ბავშვობა, როგორც ფოთლებზე წვიმის ხმაური, („დიდი სინათლე დადგა გარშემო, (ჩემთვის გათენდა დღე უცნაური"]. სიკვდილის („უცებ გაქრობის") შიში, წინა თაობასთან მიმართება... ეს პრობლემები შემდეგ გაჰყვება ქართულ ლირიკულ პოემას მეტნაკლები სიმძაფრით, ზოგჯერ კი გარკვეული პერიოდულობითაც. მაგალითად, თაობათა პრობლემა, რომელიც დგება სამოციან წლებში, გარკვეული პაუზის შემდეგ სამოცდაათიან წლებშიც იჩენს თავს, რაშიც მარტო ლიტერატურული პრობლემა კი არ ვლინდება, არამედ სოციოლოგიურიც და ამდენად აქ გამეორებასთან ან მიბაძვასთან რა თქმა უნდა, არა გვაქვს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტური ხერხი — მამის (ან დედის, ან უფროსი ძმის) აჩრდილთან თუ ლანდთან საუბარი, როგორც ტოპოსი (საერთო ადგილი) მეორდება ხოლმე...

კარლო კალაძის პოემის — „მამა" და გივი გეგეჭკორის ლირიკული პოემის — „სინათლის წრეში" შედარებისას ნათელი ხდება ის განსხვავება, რომელიც ოცდაათიანი წლების თაობას სამოციანი წლების თაობისაგან გამოარჩევს და რაზედაც თანდათან უფრო ხმამაღლა და გაბედულად ლაპარაკობენ სოციოლოგები. ეს გახლავთ ზოგიერთ წრეში რევოლუციური რომანტიკის, საზოგადოებრივი ენთუზიაზმის, ლოზუნგური განწყობის, დაჯერებულობის, აქტიურობის უმნიშვნელო შესუსტება განსჯის, ზოგჯერ დაეჭვების და რომანტიკის ნაცვლად პროზაული პრაქტიკულობის ხარჯზე". (რ. მიშველაძე).

განსხვავება ამ ორ პოემას შორის სწორადაა შენიშნული, ოღონდ განზოგადებაში, ვფიქრობ, გამორჩენილია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — მიმართებას უფროს თაობასთან სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოციანი წლების პოეზიასა და პროზაში განსაზღვრავს მოვლენათა კრიტიკული შეფასების პათოსი, წარსულთან მხოლოდ წმიდაბა და ამაღლებულთან ზიარება და არა უმნიშვნელო ალტაცება გარდასულ რთულ დღეთა გამო. ეს გივი გეგეჭკორის გმირის სიტყვებშიც ჩანს: „მე მსურს, შენხავით შუქს რომ ვაკმევდე, ან:

„დღეს შენმა ლანდმა მითხრა: „იცოდე
რომ დამარცხება ქვეყნად უკუნის
და გადარჩენა მზის და სიცოცხლის —
ეს არის ტვირთი ამ საუკუნის!..
შენი ტვირთია, შენ ზურგზე გაწევს,
მე მოვიტანე შენამდე ბრძოლით,
და შენც იბრძოლე, არ უნდა გაწყდეს
ცოცხალი ჯაჭვის უწყვეტი რგოლი".

ესტაფეტა დიდი ბრძოლისა, ადამიანური სიწმიდისა გრძელდება, რადგან პასუხი მამის სიტყვებზე იმედის მომცემია და არა შემაეჭვებელი:

„და სანამ მოვალ შენთან, მანამდე
კარგად იცოდე, კარგად გახსოვდეს,
რომ ამ სიწმინდის და ამ სინათლის
წრეს არ გადავალ მე არასოდეს!.."

ქართველი მკითხველისთვის აქ უფრო შორეული გამოძახილიც ისმის და შორეული ტრადიციის გაგრძელება მოჩანს, რადგან „ეს არის ტვირთი ამ საუკუნის" განგებისი ციტირებაა ილიას სიტყვებისა. (სხვათაშორის, ციტირებით სამოქმედო არეალის გაზრდის ტენდენცია შემდეგ ლირიკულ პოემაში უფრო და უფრო ხშირდება). თაობის პრობლემა, თაობის პროფილის პოეტური ფიქსაცია პოეტური თუ მოქალაქეობრივი კრედოს გამოხატვის ფუნქციას ასრულებს, რაც თვალნათლივ ჩანს ისეთ პოემებში, როგორიცაა მურმან ლებანიძის — „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა", ჯანსულ ჩარკვიანის — „გამოეყო ნათელი წყვდიადს", ოთარ ჭილაძის „ჩემი მაგნიტური არე", შოთა ნიშნიანიძის „აქილევსის ქუსლი და ფარი" და ა. შ., ანალოგიური ტენდენცია, როგორც ითქვა, გრძელდება სამოცდაათიან წლებშიც.

თაობის პროფილი მარტო გარდასულთან მიმართებაში არ მჟღავნდება, იგი წარმოჩნდება მომავალთან მიმართებაშიც, როდესაც პოეტი მომავალს, შთამომავლობას, მაგრამ განზოგადებულად ხვალინდელ დღეს ელაპარაკება. წარსული, აწმყო და მომავალი აქ ერთ განუყოფელ მთლიანობად გაიაზრება:

„თვითონ მამის გარდა
ყველაფერი მეორდება:
სხვა ქუჩაზე კართან,
მკვირცხლი ბიჭი გელოდება".
(მურმან ლებანიძე — „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა").

სწორედ ამ მთლიანობაში ხდება ბევრი რამის გადააზრება, უარყოფა, და ბევრი რამისაც, რაც იკითხება პირდაპირ თუ შეფარვით ეპოქის პოეტურ პანორამაში, მაგრამ ერთი რამ რჩება უცვლელი: მიმართება სამშობლოსთან, საქართველოსთან:

„კვლავ იმას ვმღერი, რასაც ვმღეროდი.
იგივე არზა და მისამართი,
საქართველოთი, საქართველოთი
იწყება ჩემი ღია ბარათი".

(ჯანსულ ჩარკვიანი, „ღია ბარათი")

ეს სიტყვები (რომელიც 1968 წელს ითქვა) განსაზღვრავს არა მარტო ჯანსულ ჩარკვიანის, არამედ ამ პერიოდის ქართული პოეზიის პათოსსაც, რაც ვლინდება, როგორც სამშობლოსათვის სიყვარულის ახსნაში, ასევე ეროვნული ტკივილების კვლევასა და გამოაშკარავებაში. ისტორია და თანამედროვეობა აქ ერთი პოზიციით, გულშემატკივარი, პირში მთქმელი, ერის მებაირახტრის პოზიციით იკითხება, რაშიც ორგანულად მოჩანს დავით გურამიშვილის, ილიასა და აკაკის ხაზი. აქ ღალატს დარქმეული აქვს თავისი სახელი, ეროვნულობის დაკარგვას — თავისი, სხვათათვის საქმის კეთებას და სხვათა ინტერესებით ცხოვრებას — თავისი, მაგრამ თავისი სახელი აქვს დარქმეული გმირობასაც და ქვეყნისთვის თავდადებასაც.

ეროვნული პრობლემატიკის პრევალირება არ ნიშნავს ამ პერიოდის ლირიკული პოემის თემატურ თუ პრობლემურ შეზღუდულობას, რადგან ქართველი ადამიანი, ჩვენი თანამედროვე, აქ გაიგება როგორც ზნემაღალი პიროვნება, ეპოქის ინტერესებით რომ ცოცხლობს. სწორედ ამიტომ სტკივა მას სხვისი სატკივარი, ამიტომ აცბუნებს მას სხვის მიმართ ჩადენილი უსამართლობა და მზადაა სიმართლის დასაცავად. ოთარ ჭილაძის ლირიკული პოემის „ადამიანი გაზეთის სვეტში" გმირი ფორმალურად ამერიკელი ჯარისკაცია, რომელიც წინ აღუდგა უსამართლობას იმით, რომ არ მიიღო მასში მონაწილეობა, რისთვისაც დაიღუპა კიდეც. აქ არც პანამა გაიგება შორეულ ქვეყნად, არც სამართლიანობისთვის განწირული ამერიკელი უცხო კაცად, პირიქით, მომაკვდავი ჯარისკაცის სულში ჩაღრმავება მეტად მნიშვნელოვან ეთიკურ აღმოჩენებამდე მიიყვანს მკითხველს, რადგან ტკივილი ერთისა იქცევა ყველას ტკივილად, აღმოჩენა მარტოსულისა — ყველას აღმოჩენად.

„მაგრამ არ მინდა და არც მგონია, რომ ჩაეტიოს გაზეთის სვეტში ჩემი ვნებები და სურვილები. ჩემი სიკვდილის ერთადერთ მიზეზს სიცოცხლე ჰქვია". იკითხება სასიკვდილოდ განწირული ადამიანის მონოლოგში და გმირის ტრაგიკული დასასრული უფრო ამძაფრებს მის

ყოველ სიტყვას. აქ ფიქრია სამშობლოზეც, თავისუფლებაზეც, სიმართლეზეც, სიკვდილის შიშზეც, ადამიანის რაობაზეც, იმ ეგზისტენციურ პრობლემებზე, რომლებიც სამოციანი წლებიდან ქართული ლირიკული პოემის პრობლემატიკის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ხდება, მაგრამ აქაც ყველა პრობლემა მაინც სამშობლოსთან და თავისუფლებასთან იყრის თავს (როგორც პიროვნების, ისე სამშობლოს თავისუფლებასთან):

„პატივისცემის ღირსია ყველა, ვისაც
სამშობლო შერჩა და უყვარს. ვისაც
სამშობლო უყვარს და ცდილობს, აღარ
დაადგას ქედზე უღელი, არ დაამციროს
ადამიანთა ყველაზე დიდი მონაპოვარი,
ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყოფი:
თავისუფლება!“

(ოთარ ჭილაძე — „ადამიანი გაზეთის სვეტში“).

თანამედროვე ადამიანი ლირიკულ პოემაში გაიგება მოყვასზე გულატკიებულ პიროვნებად, რომელიც თანამონაწილეა, თანაგამცდელია სხვისი ტკივილისა, სწორედ ამ დროს შემოდის მწერლობაში მივიწყებული სიტყვა — „თანალმობა“, სწორედ აქ შემოდის ქართული პოეზიის გმირთა გალერეაში მეტად შთამბეჭდავი სახე ისეთი ქართველი ქალისა, რომელიც სხვის სატკივარს არა მარტო ლამაზად და შთამბეჭდავად გამოსცემს, არამედ ღრმად განიცდის კიდეც. მხედველობაში გვაქვს ტარიელ ჭანტურიას ლირიკული პოემის „დასასრული“ პროტაგონისტი. მაგრამ ქართველი კაცი, ეტყობა, თავისი ბუნებით მაინც ოპტიმისტია, ამ იგი სიცოცხლეს ლებულობს ისეთად, როგორიც არის („არ მოერიდო არასდროს ტკივილს“ — ოთარ ჭილაძე) და ამიტომაა, რომ იგი მაინც მომავლისკენ იცქირება:

„მე დავთმე ჩემი ძვირფასი სევდა!..
დღე ალსარებით სუნთქავს და ელის
ჩემს ალსარებას... მე თქვენთან ერთად
უნდა ვიარო, ჩამჭიდეთ ხელი..
დღეს დანაშაულს უდრის დუმილი!..“

(გივი გეგეჭკორი — „მეთხუთმეტე პალატა“).

სამოციანი წლების ლირიკულ პოემაში ჯერ კიდევ მძაფრად იგრძნობა „სხვებთან ერთად“ ქმედების სურვილი, შემდეგ ეს სურვილი თითქოს განელდება და ადამიანი მარტო დარჩება თავის ეჭვებთან, შიშთან, ტკივილთან. თანამედროვე სამყარო გახლეჩილია ორად, ძმებიც კი დაშორიშორდნენ („... ღმერთმა პატარა ბიჭი იქით ნაპირას გადასვა! ბიჭები, მამით — ერთი! მაგრამ მამულით — სხვადასხვა! — ტარიელ ჭანტურია „ძმები“) გაუცხოებამ თავისი დაღი დაასვა ჩვენს თანამედროვეობას, მარტოობის მწველი განცდა, რომელიც სამოცდაათიან წლებში ტოტალური გახდება, ახლა ოთარ ჭილაძის მეტად მნიშვნელოვან პოემაში „სინათლის წელიწადი“ გამოჩნდება მძაფრად, სადაც პროტაგონისტის სული „მთელი წელი ეხეთქებოდა, მთელი წელი ბრმა ფრინველივით უცნაურ კედლებს სიმარტოვისა და სიცივისა“,... „ისიც ცდილობდა ბედის დამსხვრევას. მაგრამ ვერ შეძლო და მთელი წელი ბრმა ფრინველივით ეხეთქებოდა უცნაურ კედლებს უძლურობისა და დუმილისა“. თუმცა თავის მარტოობაშიც კი იგი ამთლიანებდა სამყაროს, რადგან სწორედ ადამიანი — პიროვნება აერთიანებს თავისი თავით და თავის თავში ერთმანეთთან დაუკავშირებელ მოვლენებსა თუ საგნებს: „მე ვანათებდი. და ჩემს სინათლეს ვაფენდი ირგვლივ გარინდულ საგნებს და საგნებს შორის კვლავ მყარდებოდა მტკიცე კავშირი, რაც დაერღვია დროებით წყვდიადს“.

პროტაგონისტი ამ რთული ლირიკული პოემისა (რთულის, როგორც პრობლემურად, ისე სტრუქტურულად) ძნელი ბედის ძლიერი პიროვნებაა და ალბათ სწორედ ამიტომ კვლავ ცოცხლდება აქ ბედთან ბრძოლის მოტივი, ბედის წინასწარგანსაზღვრულობის კონცეფცია („ჩემზეც ვრცელდება ადამის ცოდვა, ყველა ჩვენგანზე ვრცელდება ალბათ. შთამომავლობით გადმოდის იგი, ამიტომ ყველა ჩვენგანის ტანჯვა ვალის მოხდაა“), დროის, როგორც უმაღლესი მსაჯულის გაგება („დრომ დაამტკიცა, რომ ასე ჯობდა. დრო ადასტურებს ყველაფერს ქვეყნად“... „დრო ჩვენ ვართ თვითონ, რადგან ჩვენს მერე ისიც გაქრება, ან გაჩერდება“). სწორედ ამ პოემაში გამოჩნდა ყველაზე რეალიეფურად ოთარ ჭილაძის ის ეპიკური აზროვნება, რაც წლების მერე შესანიშნავ რომანებში განივთდა. ზემოთნახსენები სიტყვა „თანალმობაც“ ზუსტად მიესადაგება პოემის პროტაგონისტის სულიერ დაძაბულობას, როდესაც იგი ხილვებსა და წარმოდგენებში მეორე ადამიანის ტკივილებსა და მდგომარეობას იმდენად მძაფრად განიცდის, რომ თვით ჩადგება მის როლში, თვით გრძნობს სხეულისა და სულის გვემას და სასოწარკვეთის ჟამს მას სწორედ იმ წარმოსახულ ადამიანთა თვალების ცეცხლი გადაარჩენს, რომელთაც რეალურად განიცადეს წამება, შეურაცხყოფა, სიტიტვლე, შიმშილი საკონცენტრაციო ბანაკში: „და მეც ვიგრძენი ტანზე ძონძები. მეც ამივიდა ის მქისე სუნი და ყველაფერი მომბეზრდა უცებ, შემძულდა ყველა და ჩემი თავიც. და იმ უხილავ ძალის წინაშე დამხობა მსურდა და სწორედ მაშინ გამოიხედეს ლანდებმა ჩემკენ, თითქოს გაიგეს ჩემი ფიქრები, და დავინახე მათ დიდ თვალებში ადამიანის დიადი ცეცხლი, გავიგე კიდეც ცეცხლის ტკაცუნი, სახეზეც მომ-

წვდა მხურვალე ალი. და მე თვალები დავხუჭე ხწრაფად, ატკივებული დიდი სინათლით".

თანადგომა ადამიანებისა მათ ყველგან და ყველაფერში აძლებინებთ. ბედს ადამიანი მარტო ვერ ეურჩება, სხვებთან ერთად ამარცხებს. მაგრამ სხვებთან ერთად ბოროტების ჩადენაც შეიძლება, აქ სიყვარულზეა ლაპარაკი, იმ სიყვარულზე, რომელმაც გამსჭვალა ამ და მომდევნო პერიოდის მთელი ქართული მწერლობა და არა მარტო ლირიკული პოემა, რომლის პათოსი ტარიელ ჭანტურიას პოემის „ფრაგმენტები" — ბოლო სიტყვებში ჩანს მკვეთრად.

ყოველივე ზემოთქმული არ ამოსწურავს 60-იანი წლების ქართული ლირიკული პოემის პრობლემატიკას, არც გმირის ხასიათი გამოვლენილა ამ მიმოხილვაში სრულად, მაგრამ სისრულე მიმოხილვისა არც იყო ჩვენი მიზანი. ამ ნაშრომში პრობლემატიკა ლირიკული პოემისა იმდენადაა განხილული, რამდენადაც შეიძლება მან განსაზღვროს თავად ხასიათი ლირიკული პოემისა, მისი სტრუქტურა, მისი სპეციფიკური თავისებურებანი. ასეთივე ამოცანა დგება 70-80-იანი წლების ქართული ლირიკული პოემის მიმოხილვის დროს.

70-80-იანი წლების ლირიკული პოემის ჩამოყალიბებას იგივე წანამძღვრები განსაზღვრავენ, რომლებმაც 60-იანი წლების ლირიკული პოემა ჩამოაყალიბეს, მაგრამ იცვლება ცხოვრება და ზოგი რამ განმასხვავებელი, ზოგჯერ კი პრინციპულად განსხვავებული, მაინც იჩენს თავს. მართალია, ისევ ადამიანი, პიროვნება რჩება ლირიკული პოემის ყურადღების ცენტრში, მაგრამ იცვლება დამოკიდებულება მის მიმართ. თანადგომის გვერდით ზნეობრივი მაქსიმალიზმიც იჩენს თავს, რაც არცთუ იშვიათად ირონიაში ვლინდება. სწორედ ზნეობრივი მაქსიმალიზმის პოზიციებიდან არის გამოვლენილი ანტიგმირის არსი. ლირიკული პოემა უფრო ღრმად სწვდება ყოველდღიურობას. იგი ზოგადი სიმბოლოების გვერდით ხასიათებსაც ახახავს, ყოველდღიურობა თავისი ბანალურობით თურმე არანაკლებ პოეტურს, საინტერესოს და ღრმას იტევს. და აქ ლირიკულ პოემაში ისევ შემოდის ოდესღაც თითქოს უარყოფილი ამბის თხრობა, ოღონდ განახლებული ფუნქციით (ამგვარი პოემები აქვთ ჯანსუღ ჩარკვიანს, თედო ბექიშვილს, ბესიკ ხარანაულს, მაგრამ ამაზე ქვემოთ).

ამ პერიოდის ქართული პოეტური ეპოსისათვის პრობლემური თვალსაზრისით ძირითადად შემდეგი ტენდენციებია დამახასიათებელი: ეროვნული პრობლემატიკა, ეგზისტენციური პრობლემები, ხინამდვილის დეპერსონიზაცია...

გმირი უპირატესად თანამედროვე ადამიანია (არცთუ იშვიათად ანტიგმირი), ან სიმბოლომდე აყვანილი ისტორიული პიროვნება.

ჟანრული თვალსაზრისით დომინირებს ლირიკული პოემა.

სტილისტურად კონვენციურ[illegible] პარალელურად ლირიკულ პოემაში ვერლიბრიც ვლინდება, პოეტური მეტყველება ავლენს მიდრეკილებას „სამკაულებისაგან" განტვირთვისაკენ, უახლოვდება სალაპარაკო მეტყველებას, თავს იჩენს პოეტურ ტექსტში პროზაული ნაკადის შემოჭრა, პოეტურისა და პროზაულის ანტინომია.

სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლებს ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებლად, როგორც ითქვა, სწორედ ეროვნული პრობლემატიკის წინ წამოწევა უნდა ჩაითვალოს როგორც პოეზიაში, ისე პროზაში.

1971 წლის იანვარში გამოვიდა 60-იანი წლების ქართული ლირიკული პოემის ერთ-ერთი პიონერის ჯანსუღ ჩარკვიანის ლირიკული პოემა „რწმენის კედელი", რომელიც თითქოს ერთგვარ კამერტონად იქცა ამ პერიოდის ჩვენი პოეზიისათვის და ჩვენი ცხოვრებისთვისაც, რადგან მან მეტად მწვავე პრობლემა დასვა მკითხველის წინ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მიტოვებულ სოფლებზე ლაპარაკი, რბილად რომ ვთქვათ, არ ითვლებოდა კარგ ტონად. მასში მთელი გულახდილობით იყო გააზრებული ის საშიშროება, რომელიც ელის საქართველოს, თუ ქართველი გლეხი ზურგს უბრუნებს თავის მიწა-წყალს. პოეტმა მწვავედ შეახსენა ყოველ ქართველს, რომ საქართველო მ ი ს ი თ იწყება, რ ო მ იგი პასუხისმგებელია თავისი სამშობლოს არამარტო აწმყოს, არამედ ისტორიისა და მომავლის გამოც:

„შენ საჭირო ხარ,
საჭირო, გესმის?
შენით იწყება
ჩვენი მამული,
თორემ უშენოდ
ვენახის ფესვი
არის საპყარი
და მოქამული.
პატრონი უნდა
„ვეფხისტყაოსანს",
პატრონი უნდა
კლარჯეთს,
ტაოსაც,
პატრონი უნდა
მესხეთ-ჯავახეთს,
მაგრამ თუ სისხლი
არ განვაახლეთ
და ყველაფერი
ისე დავმარხეთ —
ხომ ყველაფერი
დაგვივიწყეს და
ხომ ყველაფერი
აგვიტალახეს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ჩარკვიანმა ლირიკული პოემის მიღებულ სტრუქტურას ახალი სიმძაფრე შესძინა.

ჯანსუღ ჩარკვიანი ახალი თვალთახედვით ალიქვამს ისტორიას და ჩვენც ახალი კუთხით აღგვაქმევინებს, როდესაც დროისა და სივრცის საზღვრების დარღვევით, სიმბოლომდე აყვანილი ისტორიული გმირების, არქეტიპების ერთ სიბრტყეზე დაყენებით, ერთად გააზრებით, პარალელური ხაზების გადაკვეთით ჩვენს წარმოდგენაში ქმნის სინამდვილის რთულ მოდელს. ჯანსუღ ჩარკვიანის პოემაში „პარალელური ხაზები" ადრესატის მიერ ერთობლივი გააზრება კაენის, პომპეუსის, ალექსანდრე მაკედონელის, გიორგი სააკაძის, თეიმურაზ მეფის, სტალინის, იაკობ ჯუღაშვილის სახე — სიმბოლოებისა ჰქმნის ეპოქის პროფილს, საკმაოდ შთამბეჭდავსა და ღრმას. მართებულადაა შენიშნული — „ჯანსუღ ჩარკვიანი არ წერს ისტორიული პოემის ტრადიციული გაგებით. მისი პოემების გეოგრაფიული არეალი თუ პერსონაჟები დროსა და სივრცეში, ეგრეთწოდებული, ქრონოლოგიური პრინციპით არ ლაგდებიან. ჯანსუღ ჩარკვიანის პოემებში დრო მარადიულ სიმდიდრედ გაწოლილა...

ჯანსუღ ჩარკვიანის პოემებში ლირიკული გმირის მიერ იშვიათად ხასიათდება ისტორიული პიროვნების ავტორიტეტი. პოეტი თითქოს აბსოლუტურად კმაყოფილდება ისტორიულ ქრონიკებში, მატიანეში, ქართულ ფოლკლორში, ლეგენდებში, მითებში გადმოცემული დოკუმენტური მასალით და თავად გმირებს აძლევს სიტყვას. ეს გმირები ყოველთვის პირველი პირით გამოდიან პოემაში" (მაკა ჯოხაძე). სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა წარმოშობის (იქნებ ეს რეალურად არსებული გმირი თუ პრატექსტში ფიქსირებული) პერსონაჟები ერთმანეთს ეხმიანებიან, უპირისპირდებიან ან ავსებენ ერთმანეთს, ერთმანეთით იკითხებიან... ასეთი პოლიფონიური სტრუქტურა უფრო ტევადს ხდის სიმბოლოს, ხოლო პოემის ტექსტს ზოგადსა და აქრონულ ხასიათს აძლევს ისე, რომ კონკრეტულობის განცდაც არ იკარგება (საერთოდ, პოლიფონიური ლირიკული პოემა ფაქტიურად ყოველთვის კონტრაპუნქტულიცაა თავისი „ხმების" გადაძახილით).

არის ისტორიული სინამდვილის მხატვრული ათვისების სხვა გზაც, ე. წ. პრატექსტის შევსების, რესტავრაციის გზაც.

პრატექსტის რესტავრირების ტენდენცია ხერხადაც კი იქცა, როდესაც ტაგუ მებურიშვილმა თავის პოემაში „ხოლო რომელ არს ცხოველი (ანუ ხანძარს გადარჩენილი ლექსები)" არარსებული პრატექსტის მისტიფიცირებული რესტავრაციის გზას მიმართა. როგორც ავტორი ეპიგრაფში შენიშნავს „პოემა XVII საუკუნის საქართველოს, ერის ამ ყველაზე დრამატული პერიოდის, ფონზე იწყება.

მე მსურდა სამშობლოს ბედ-იღბალზე მიფიქრალ მამულიშვილების სულიერი ცხოვრების სურათი აღმედგინა. მაგრამ ვერ შევძელი და ეს პოემაც სანახევროდ დახეულ-დაქუცმაცებული გამოვიდა". ადრესატის ფუნქცია ამ პოემის კითხვისას მეტად დიდია, მან უნდა „აღადგინოს" დაკარგული ფრაგმენტები, „მიხვდეს" რა ეწერა ნაკლულ გვერდებზე. ადრესატი აქ თანაშემომქმედად გამოდის, ოღონდ ამ პროცესს ავტორის ხელი წარმართავს, მის მიერ არის უკვე წინასწარ განსაზღვრული აზრი.

წარსულის რესტავრაცია, ეტყობა, მაინც საჭიროებს დღევანდელობის პოზიციიდან აქტიურ ჩარევას, ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის შეფასებას. არცთუ იშვიათად ყოველივე ეს გმირთან გაბაასებაში იჩენს თავს. ოთარ მამფორიას ლირიკულ პოემაში „ტატო" ამგვარად მეცხრამეტე საუკუნის საქართველო ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ეპოქითაა შეფასებული, ხაზგასმულია ოდიოზური ხასიათი დროისა თუ პიროვნებისა, თუნდაც გრიგოლ ორბელიანისა, მეფის ბრწყინვალე გენერლის და არანაკლები ქართველი პოეტისა.

„მშობელი სიტყვა შრება ბაგეზე,
ველარ ამბობ და სულში წყლულდება.
„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს"...
შენივე ლექსი შენ გეჩხუბება".

განსხვავებით ჯანსუღ ჩარკვიანის პოემისაგან, აქ დრო ლოკალიზებულია, მოვლენათა ქრონოლოგია არაა დარღვეული, გმირი წარსულშია, იგი აწმყოში არ გადმოდის, მაგრამ სამაგიეროდ თვით მთხრობელი იჭრება წარსულში და დიალოგს მართავს წინაპართან, გარდასულ დროსთან (ასეთი ხერხითაა დაწერილი ჯანსუღ ჩარკვიანის პოემა ქართველ პოეტზე — „მირზა გელოვანი").

სხვადასხვაგვარია ისტორიული პოემები, — სხვადასხვა თემებზე, სხვადასხვა პრობლემებზე, მაგრამ ერთი უმთავრესი აზრი უმრავლესობას მაინც მსჭვალავს, — ქართველი კაცი საქართველოთი და საქართველოსთვის უნდა ცოცხლობდეს, სხვა ყველა გზა მარტოობისა და სიბერწის გზაა:

„ქართლის მზე ქართლში უნდა იწვოდეს
და თუ არ გყოფნის შენი არჩივი,
იფრინე,
მაგრამ ერთიც იცოდე,
მარტოობაში კვდება არწივი"

(ჯანსუღ ჩარკვიანი „პარალელური ხაზები").

ეს ისტორიული ტრაგედია ქართული ყოფისა, სხვის საქმეში ეროვნული ენერგიის ფლან-

ჯვა მოჩანს ზემოხსენებულ პოემაშიც („ტატო“) და ტარიელ ჭანტურიას პოემებშიც („ძმები“, „სპილენძის სასაფლაო“, „გაღმა ნაპირი“), როგორც „მამელუკური პრობლემა“, რაც თავისი ფესვებით, ეტყობა, ილიას „იანიჩარზე“ დგას.

არსებობს მახსოვრობა ერის, არსებობს მახსოვრობა პიროვნული. პირველში ერის მრავალსაუკუნოვანი არსებობაა ფიქსირებული, მეორეში — პიროვნებისა. როდესაც ზოგადეროვნულზე ვფიქრობთ, როდესაც ზოგადეროვნულს განვიცდით, ჩვენი ფიქრი თუ განცდა უპირატესად ცოდნას ემყარება, წიგნიერ ცოდნას, ამდენად შუალობითია, პიროვნულზე ფიქრი და განცდა კი უშუალოა, ადამიანი უშუალოდ თავის მიერ ნანახსა და განცდილს იხსენებს. ერთი კია, ორივე შემთხვევაში მზერა წარსულისკენ არის მიმართული, წარსულის ხელახალი გადააზრებისკენ, ახაზვისკენ, შეფასებისკენ. ასე, ერთმანეთის გვერდით არსებობს ჩვენს პოეტურ ეპოსში წარსული, ფიქსირებული ისტორიაში და წარსული, შემორჩენილი პიროვნების მახსოვრობას, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალ ადამიანთა ბედთან არის უშუალოდ დაკავშირებული, გარდასულ მოვლენათა მონაწილენი ჯერ კიდევ ჩვენს გვერდით დადიან და ისტორია ცოცხლდება არა შორეული გმირთა მეშვეობით, არამედ თანამედროვეთა წარსულის გახსენებით, მთელი თაობის პორტრეტის დახატვით. აქ არის რევოლუციაც, ესპანეთიც, ოცდაჩვიდმეტიც, სამამულო ომიც... და ჩვენს წინ მთელი ეპოქა წარმოჩინდება თავისი სირთულით, წინააღმდეგობით, ტკივილით, იმედითა თუ უიმედობით, (ოთარ ჭელიძე — „ჩემი მაგნიტური ველი“, შოთა ნიშნიანიძე — „აქილევსის ქუსლი და ფარი“, ლადო სულაბერიძე — „მოთხრობა სიკვდილის შემდეგ“, მურმან ლებანიძე — „ხუთნი“).

„მინდა დავიწყება გარდასულის,
სიმწრის წუთებისგან დასვენება,
მაგრამ სისხლძარღვები დაქსაქსული
ტვინში ერთდებიან გახსენებად“

(ოთარ ჭელიძე, „ჩემი მაგნიტური ველი“).

ამ წარსულის ახაზვა თაობის საქმისა და სულისკვეთების აღდგენას ისახავს მიზნად, მაგრამ მთავარი მაინც ესტაფეტის გადაცემაა, ისტორიაში ორიენტირების დაძებნა, შთამომავლობის მიერ არა მხოლოდ შეფასება წინაპართა ცხოვრებისა, არამედ გაგრძელებაც კარგისა და უარყოფა ცუდის.

იმ თაობის ცხოვრება და სულიერი სამყარო, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა ესპანეთი, ოცდაჩვიდმეტი, ფინეთის ომი, დიდი სამამულო, საკმაო სისრულით აქვს ასახული შოთა ნიშნიანიძეს პოემაში „აქილევსის ქუსლი და ფარი“, რომელშიც ტრადიციული პოემისთვის დამახასიათებელ [illegible] ენაცვლება ლირიკული პოემისთვის [illegible] მოკლედ გადმოცემული ამბის შემდეგ პიროვნებისეული განსჯა და განცდა მონათხრობისა. პოემაში იგრძნობა ავტორისეული ტენდენცია: კონკრეტულ მოვლენებზეც მოგვითხროს და პიროვნების სულზეც, მაგრამ იგი თვითვე გრძნობს, რომ იმ რთულ დროს, „როდესაც მოვიდა ქვეყნად ლენინი და ყველაფერი საქმედ აქცია“, იმ ისტორიულ კატაკლიზმებს, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს ადამიანთა ბედი, კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება თვითონაც და სხვაც:

„გავა ჟამი და მართალ ტკივილებს
ვინმე მხატვარი აჰრის თარგებად“.

ეპოქა, მით უფრო დიდი ეპოქა, ვერ იარსებებს პოეტური სიტყვის გარეშე („ხან მეძახიან წარსულიდან, ხან მომავლიდან, ვერა უმგოსნოდ ვერ ივარგებს ვერც მომავალი“), სწორედ ამიტომ დგება ამ პოემაში პრობლემა პოეზიის რაობისა და დანიშნულებისა, შემოქმედის უკომპრომისობისა („შენც პოეზიავ, ნურაფრისთვის გაიყიდები, სიმართლისა და რწმენისათვის ადი კოცონზე“ ან „შენ პოეზიავ, კონვენტივით იყავი მკაცრი, არ შეურიგდე პიროვნების შეურაცხყოფას“), რაც ფაქტიურად განსაზღვრავს 70-80-იანი წლების ქართული პოეზიის პათოსს.

უმთავრესი თემა, რომელთან მიმართებაში და რომლის მეშვეობითაც თაობის პორტრეტი, წარმოჩინდება, სამამულო ომის თემაა, მეორე მსოფლიო ომის თემა, რომელიც დღესაც რჩება არამარტო ქართული მწერლობის, არამედ საერთოდ, საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად თემად. წლების მანძილზე იცვლება მიდგომა მასალისადმი, ახაზვის კუთხე და ხერხები, მაგრამ პათოსი ამ თემის გაშლისა ერთი რჩება, — სამამულო ომმა სრულად გამოავლინა საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმდიდრე. თანამედროვე ქართული ეპოსი სწორედ ამ სულიერ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას ავლენს სიუჟეტურ პოემაში, ბალადებსა თუ ლირიკულ პოემაში. ჰეროიკულისა და ამაღლებულის გვერდით აქ თავს იჩენს ის მწარე ყოველდღიურობაც, რომლითაც წლების მანძილზე ცხოვრობდნენ ფრონტსა თუ ზურგში. შიოდათ, ეშინოდათ, კვდებოდნენ მოწამებრივად, მაგრამ მაინც უძლებდნენ განსაცდელს. დღეს ჩვენს ხელოვნებაში სწორედ ომის შიდა მხარე იქცა ახაზვის ობიექტად.

ომი დიდი განსაცდელი იყო, მაგრამ დიდი გამოცდაც ადამიანისთვის. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს დღევანდელობაში გამოვლენილ ნებისმიერ სიმდაბლეს პოეტი ხშირად ომში გამოვლენილ სულიერ სიმაღლეს უპირისპირებს, დღევანდელი მეგობრის მიერ ნატკენ იარას, ადამიანში შერყეულ რწმენას კვლავ ის, მე-

გობრისთვის თავგანწირული თანაპოლკელი მოაშუშებს და ალადგენს.

„მე მიღალატა ძმაკაცმა გუშინ,
კვირტების სკდომა მესმოდა ხიდან,
მან დამიტოვა ჭრილობა სულში
და მიმატოვა ჩატეხილ ხიდთან.
როცა ღალატით დაქცეულ ციხეს
მივეყრდენი და ისევე გიხმე,
წამომეშველა მე შენი ლანდი
და სულის მძიმე იარას მიხვევს".

(ლადო სულაბერიძე, „ათი ნაბიჯი სიცოცხლე").

ისტორიული თემატიკა ქართულ პოეტურ ეპოსში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ მთავარი დანიშნულება ამ ეპოსისა მაინც თანამედროვე ადამიანის სულიერი ფორმირებაა და ამ სულის გამოხატვა, გამოხატვის გზები და ხერხები კი სხვადასხვაგვარია, თუმცა, ეტყობა, მაინც ლირიკული პოემა უფრო ღრმად წვდება ამ სულს.

და აქ თითქოს ორი ნაკადი, ორი დამოკიდებულება სინამდვილესთან და ადამიანთან იჩენს თავს, მკვეთრად განსხვავებული, დაპირისპირებული ერთმანეთთან, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთის გადამკვეთიც.

ტარიელ ჭანტურიას პოემა „დასასრული" სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას ეხება, ადამიანის შეცბუნებას, შიშს გაქრობის წინაშე და, ამავე დროს, ადამიანის ხიძლიერეს. ისიც ხათქმელია, რომ თავად სტრუქტურა პოემისა მოიცავს თავის თავში ყოველდღიურობის გვერდით ჰეროიკულს, უფრო სწორად, ყოველდღიური და ჩვეულებრივი ამბავი, მოთხრობილი თეთრი ლექსით (ან სულაც პროზით) შემდეგ ჰეროიზებული მარო ბიცოლას ნატირლებში, პოეტიზირებულია. ეს ორი ტექსტი ავსებს ერთმანეთს, თუმცა ვიზუალურად და სტილისტურად ერთმანეთს ეწინააღმდეგება კიდეც.

ყოველდღიურობის განზოგადება, პროზის პოეზიად თვალნათელი გარდაქმნა თვითმიზანი არაა, ყოველივე ამის უკან ავტორისეული კონცეფცია დგას: ზოგადადამიანური პრობლემები ყოველდღე, ყოველწამს, ხშირად ძალზე ბანალურად წამოიჭრებიან ადამიანის წინ და კაცმა მას პასუხი უნდა გასცეს, პასუხი, რომელსაც თვით ავტორი გვთავაზობს (აქ როლი ადრესატისა პასიურია):

...„ივარგო უნდა,
ქვეყანა რომ არ იქცეს საღორედ!
იცხოვროთ! იყოთ! ივარგოთ უნდა
კაცად!
პატრონად!
მსხვერპლად!
მსახურად!"



თუ ზემოაღნიშნულ პოემებს ყურადღებით დავაკვირდებით, იმასაც შევნიშნავთ, რომ „პროზაული ხაზი" პოემისა დადებით შინაარსს შეიცავს. მასში მოქმედი პერსონაჟი ჩვენს უარყოფით შეფასებას კი არ იწვევს, არამედ, პირიქით, თანაგრძნობას.

ჯანსუღ ჩარკვიანის პოემაში „მეექვსე დღე" პროზაული და პოეტური სინამდვილე, უფრო სწორად, პროზა და პოეზია სინამდვილისა უფრო მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს. გმირი ამ ლირიკული პოემისა კონკრეტული და მოულოდნელი მოვლენის გამო, ჩვეულებრივ მეშჩანად წარმოჩინდება, გმირი თავად ავტორია, მთხრობელია, ტექსტისა და მას საკუთარი ცხოვრების ნირი შეაძრწუნებს, იგი თავისსავე თავში გამოუხმობს იმ ყოველივეს წმინდას, რაც დაუპირისპირდება ცხოვრებისეულ რუტინას. და ირკვევა, რომ მწარე სიტყვები მარტო ერთი კაცის მისამართით არაა ნათქვამი, რომ ჩვენ ყველა რაღაც ვერ ვცხოვრობთ ისე, როგორც უნდა ვიცხოვროთ:

„განაღე კარი მადლითა და სათნოებითა,
გამოაფინე შინაგანი სიწმინდე შენი,
ცხოვრება კაცის უნდა იყოს მსგავსი რჯულისა,
სიკვდილის შემდეგ რომ კვლავ დარჩეს დედამიწაზე".

ეს ამაღლებული მოწოდება სტილისტურადაც უპირისპირდება ადრე გამოვლენილ სიმდაბლესა თუ სულიერ მერყეობას.

საერთოდ, ჯანსუღ ჩარკვიანი ხშირად მიმართავს „მაღალი აზრების" საქადაგოდ ამაღლებულ სტილს, როდესაც ფრაზის წყობასა თუ სიტყვიერ მასალას ცოტა არქაულობის ელფერიც დაჰკრავს. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ იგი თავის ლირიკულ პოემებში ოდის ტრადიციასაც ავითარებს („კოლხეთისაკენ, ბიჭებო!"). ასე რომ, „მეექვსე დღეში" გამოვლენილი ტენდენცია სინამდვილის კონტრასტული ასახვისა, ხასიათის გამოხატვისა უდაოდ მნიშვნელოვანია როგორც პოეტის შემოქმედების, ისე ქართული პოემის შემდგომი განვითარების თვალსაზრისითაც. ეტყობა, მოქმედებს რაღაც შინაგანი კანონზომიერება, რაც ლირიკული პოემისა და ტრადიციული პოემის ურთიერთდაახლოებასა და ურთიერთგამდიდრებას გულისხმობს: იზრდება „ამბის" ფუნქცია, ვლინდება ხასიათი, ხდება ადგილისა და დროის შედარებითი კონკრეტიზაცია, პროზა უფრო აქტიურად იჭრება თავისი თემებითა და პრობლემებით პოეტურ ეპოსში.

მეტად საინტერესო მასალას იძლევა ამ პროცესზე დაკვირვებისთვის ბესიკ ხარანაულის პოემები.

სამოცდაათიანი წლების ქართული პოეზიისთვის დამახასიათებელი ზნეობრივი მაქსიმა-

ლიზმი, მიკრო თუ მაკრო სამყაროს გამძაფრებული და ირონიული აღქმა მკვეთრად გამოვლინდა ბესიკ ხარანაულის პოემებში („ხეიბარი თოჯინა“, „სურათები მაწანწალა ძაღლის გზაზე“, „ზამთრის ბანაკი“, „გაზაფხულის პირველი დღე“, „ორი ორიენტირი“. „კარტოფილის ამოღება“, „რა წერია სუფთა ქაღალდზე“, „მიკარნახე, ანგელინა“), სადაც ადამიანის „გამოღვიძება“ თავისი რეალური არსებობისთვის თვალის გასწორებაა, საკუთარი არსის აღმოჩენა, სიმართლის შეუბრალებელი რკვევა და ყველაფრისათვის თავისი სახელის დარქმევა — „თამაშის“ მხილება და „ნიღაბზე“ უარის თქმა:

„ყველაფრის წინ ხომ უნდა შედგე,
რომ შეიყვარო,
ან რამდენი რამ უნდა იხმო
და შეიზიზღო,
რომ შენი თავის ამარა დარჩე.
ჩვენ
ისე ვცხოვრობთ,
თითქოს ჩვენ არ ვართ“

(„რა წერია სუფთა ქაღალდზე“)

მთხრობელი ამ პოემებში, უპირველეს ყოვლისა, თავისი თავისადმია შეუბრალებელი, დაწყებული „ხეიბარი თოჯინითა“ და დამთავრებული „მიკარნახე, ანგელინათი“. ამბობს კიდეც: „თვითგაარაფრების მანიით ვარ შეპყრობილი“ („მიკარნახე ანგელინა“). თვითგვემა, უკომპრომისობა საკუთარი თავისადმი იმ საზოგადოებისადმი უკომპრომისობასა და სიმართლის პირში მიხლას გულისხმობს, რომლისთვისაც სინდისიერი, მოყვარული მარტოსული „ხეიბარი თოჯინაა“, რომელსაც ერთი ფიქრი ჰქონდა ყოველ ცისმარე, რომ ერთურთს მწარედ არ შებმოდა ორი მდინარე, შურის და მტრობის ორი ნაყოფი“.

ობივატელური ცხოვრების უკან აქ სულის სილატაკე დგას ან დათრგუნვილი სულის ტრაგედია იმალება; ყოველდღიურობაში ალექსანდრე („ხეიბარი თოჯინა“) ალეა, დიდებულებისაგან დარჩენილი არაფრობა, მაგრამ არარაობის ნიღაბი თუ მიძინებულ სულს ფარავს, მიწყნარებულ სულს, რომელსაც, ოღონდ სიმშვიდე არ დაურღვიონ, ისიც კი შეუძლია ინატროს:

„საიქიოში აღარ მინდა
მე ქართველობა,
რომელიმე დიდი ერის
შვილი მსურს ვიყო,
რომ ერთი სიტყვით გავაგებინო ყველას,
ვინცა ვარ“.

ეს ირონიაა, თვითგვემა და მწარე ირონია, რომელიც ერთი ძირითადი მახასიათებელია ბესიკ ხარანაულის შემოქმედებისა. და იწყება საკუთარ სულში, გამოღვიძებულ სულში ძებნა სიკეთისა, ადამიანურის [illegible] ბავშვობის, სიყვარულის... [illegible] მდორე წონასწორობას და აღმოჩნდება, რომ თურმე ჩვეულებრიობის ნიღაბს იქით არაჩვეულებრივი სამყარო მდგარა, მარტოობა კი — მოყვასზე ფიქრისა და განსჯის აუცილებელი პირობა ყოფილა:

„მარტო მე რად მინდა
ვიყო ბედნიერი,
მარტო ჩემს კარგა ყოფნას
რა ჯანდაბად ვაქნევ!“

(„ხეიბარი თოჯინა“).

ბესიკ ხარანაული თავის გმირში წარმოაჩენს და გაკილვის საგნად აქცევს ინდიფერენტულობას, უმოქმედობას, სიყალბეს... ადამიანს იგი სარკეში ახედებს და ხაზგასმით უთითებს მის ამაზრზენ ნაკლზე, ადამიანს ყველა ცუდის ჩადენა ძალუძს თურმე, რადგან შეუძლია „სხვად“ იქცეს, მაშინ, როდესაც მგელიც კი მხოლოდ ის არის, სადაც შეუძლია მგელი იყოს („ნაყარზე დგას ჩვენი აზრი და არა კლდეზე“). ადამიანს სიყვარული აქცევს ადამიანად და თანადგომა, რის გარეშეც ცხოვრება შეუძლებელია („მძულს ყველა ვისთვისაც სულერთია ადამიანი“ — „რა წერია სუფთა ქაღალდზე“), ამიტომაცაა, რომ იგი ეძებს იმ საზრისს, ყველას რომ გააერთიანებს. პარადოქსია — მარტოობის მკვეთრად შემგრძნები (და კმაყოფილიც განმარტოებით) სხვებთან სიახლოვეს ეძებს მაინც:

„სადაა ნეტავ — მკერდი — ყველასთვის?
დიდ-პატარისთვის, ქალ-კაცისათვის,
ბედნიერი და უბედურისთვის?“

(„მიკარნახე, ანგელინა“).

ბესიკ ხარანაულის პოემებში მთელი სიმწვავით დგას ისეთი ეგზისტენციური პრობლემები, როგორიცაა ადამიანის რაობა, სიკვდილის შიში, სიყვარული, თავისუფლება, მარტოობა, წარსულის ძიება, ჭეშმარიტების რაობა და ა. შ. სწორედ აქ, ფილოსოფიური განსჯის მიზეზად, როგორც წესი, ყოველდღიური, ბანალური სინამდვილის მოვლენებია და არა ამაღლებული რამ, როგორც ეს 60-იანი წლების ლირიკულ პოემას ახასიათებდა. აქ ავტორი ანტინომიას მიმართავს, სინდისზე საუბარს უსინდისობიდან იწყებს, ამაღლებულზე სიმდაბლით და ა. შ. („გვაქვს სიცივე, რათა გავთბეთ და გავიხაროთ, გვაქვს შიმშილი, რათა გავძღეთ და მადლობა ვთქვათ“). („რა წერია სუფთა ქაღალდზე“). ეს არცთუ იშვიათად იწვევს მკითხველის შინაგან პროტესტს. მაგალითად, კრიტიკოს გურამ კანკავას აზრით, ბესიკ ხარანაულის „პოემა „ხეიბარი თოჯინა“

პარბადაა გაჭერებული სიკვდილის თემების ვარიაციებით, მაგრამ თავისი მხატვრული გააზრებით ემპირიული და ყოფითი ხასიათისაა; სიკვდილის საკითხის გადაწყვეტა, როგორც წესი, ყოფითობის დონეზეა დაყვანილი.

„როცა მოვკვდები,
ჩემო დედავ და ჩემო ცოლო,
და ცარიელი რომ დარჩება ჩემი
საწოლი“ და ა. შ.

სიკვდილის თემის ყოფითი გადაწყვეტისათვის ავტორს, ალბათ, უნდა დაეპირისპირებინა, მაგალითად, ამ მოვლენის შედარებით უფრო ჰეროიკული გააზრება (ამ შემთხვევაში, ჰეროიკული ზნეობა ამ მოვლენის მიუკერძოებელი ჭვრეტითაც მიიღწეოდა).

უნდა შევნიშნოთ, რომ „ჰეროიკული გააზრება“ ამ პოემის შინაგანი კანონზომიერებისათვის სავსებით უცხო იქნებოდა, რადგან იგი სწორედ პროზაულ სინამდვილეზეა, ანტიგმირზე, რომლის გარშემოც ყოველივე ამაღლებული დამდაბლებულია. პოეტისთვის სწორედ მდაბალი კონკრეტულობა იქცევა მიზნად უაღრესად განზოგადებული მსჯელობისა იმ პრობლემატიკაზე, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი.

ასეთივე პოზიცია, ზნეობრივი მაქსიმალიზმი, ოღონდ მკვეთრად განსხვავებული, ინდივიდუალური პოეტური აქსესუარით გამოხატული, ვლინდება ლია სტურუას შემოქმედებაში, როგორც ლირიკულ პოემებში, ისე ლექსებში, სადაც მეტად მნიშვნელოვანია „ადამიანი, რომელიც ამ ლექსში ცხოვრობს, კი არ ცხოვრობს, ამ ლექსშია გამომწყვდეული, როგორც ხაფანგში, და რომელსაც მისი კუთვნილი მიწა ოთხი ყანგიანი ლურსმნითა აქვს ზურგზე მიჭედილი; ადამიანი, რომელიც მეორე ადამიანის სიშმაგით, სიხარბით, დაუნდობლობითა და გულგრილობითაა შეძრწუნებული და საკუთარ არსებაში ამოზრდილი ხის იდუმალი შრიალი ღამეებს თეთრად ათენებინებს“.

პოემებში „ზღვის მოქცევა“, „წრეში“, „ფიქრები მზის მიწურულში“ მთელი სიმწვავითაა გამოვლენილი მარტოობის, შიშის, სასოწარკვეთის პიროვნებისეული განცდა, სინდისის ქენჯნა, გაორება, არჩევანის მიღება... მარტოობისაგან თავის დაღწევის გზა ერთია: „ფეხით კი არა თვალით და რწმენით უნდა ვიარო“. მხოლოდ ხელოვანის თავგანწირვით, მხოლოდ სიტყვით, ერთადერთი ჭეშმარიტი ნაპოვნი სიტყვით შეიძლება, რომ თანაგრძნობის ცრემლი „თანალმობის უმაღლეს ხარისხში აიყვანოს“.

გმირი ესწრაფვის „სხვებთან“ თანაზიარობას, მაგრამ ეს ლიდერის სურვილია, რომ სხვები აიყოლიოს, თავის პოზიციაზე გადმოიყვანოს. თუმცაღა იგი ინდივიდუალურ თავისუფლებას მაინც არ თმობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და მე ვიცი, რომ მქ[illegible]
ხმელი ფოთლებით მოფენილ ეზოში
ვიჯდე,
ზღვა მივლიდეს გარშემო, როგორც
ხმელეთს
და საკუთარი სრულყოფილების
შეგრძნებას მაძლევდეს“.

ლია სტურუას გმირი, განსხვავებით ბესიკ ხარანაულის გმირისაგან, უპირატესად „სხვათა“ სულიერ სიმწირეს ამხელს, იმ გარემოს სიყალბეს, სადაც ცხოვრება — ცირკის არენაა („არენის წრეში“), ხოლო გამორჩეული პიროვნება — ჯამბაზი, სხვაგან „შერეკილი ბავშვი“, „პრომეთე — ამირანი“, „კუზიანი ორეული“ და ა. შ. უპიროვნო, უსახური მასის მიერ განაპირებული. სწორედ მისი პოზიციებიდანაა მხილებული რწმენის, სიკეთის, კაცთმოყვარეობის დაკარგვა, კონსტატირებულია ადამიანთა თვითიზოლირების ტრაგიკული ფაქტი.

პოეტი არ გვიწერგავს ხელოვნურ ოპტიმიზმს, არცაა საჭირო, იგი უბრალოდ, სძლევს სასოწარკვეთას და ისევ უბრუნდება თავის ძნელსა და სახიფათო საქმეს: მან უნდა დაარწმუნოს ადამიანები, რომ მხოლოდ რწმენამ შეიძლება გადაარჩინოს ადამიანი დაღუპვისაგან, რომ რწმენის გარეშე ადამიანი „მყიფე ტიკინად“ გადაიქცევა.

70-იანი, 80-იანი წლების ჩვენს პოეზიაში მძაფრად იგრძნობა მარტოობის მტანჯველი გრძნობა, მაგრამ ისიც იგრძნობა მკვეთრად, რომ მარტოობის დაძლევის გზა უპირველესად „სხვებზე“ ზრუნვის, „სხვათათვის“ დახმარების გზაა. ადამიანი ადამიანით ცხოვრობს, კაცი კაცითაა. მურმან ლებანიძის, ჯანსულ ჩარკვიანის, იორამ ქემერტელიძის, თედო ბექიშვილის თუ სხვათა პოემებსა და ბალადებში ეს შთამბეჭდავად ჩანს.

მაგრამ რა არის მიზეზი ადამიანის მარტოობის მტანჯველი განცდისა, მუდმივად თანამდევი შიშის შეგრძნების, უკმაყოფილების თავის თავისა და სხვათა გამო?

ყოველივე ეს და სხვა მწვავე ეგზისტენციური პრობლემები თანამედროვე ადამიანის ყოფისა და ლიტერატურის დამახასიათებელი მოვლენებია, რასაც ამძაფრებს თუ ანელებს ამა თუ იმ რეგიონის თავისებურებანი. თანამედროვე ადამიანის ფსიქიკა მუდმივ შემოტევას განიცდის სხვადასხვა მხრიდან, მაგრამ ბევრს მაინც საერთო საზრუნავი აქვს, — რა მოელის მსოფლიოს? რა მოელის ადამიანურობას? რა მოელის სიყვარულს?

ადამიანის თვითიზოლირების, არა მარტო სხვათაგან, არამედ საკუთარი თავისგანაც

იზოლირების, წინაპირობას ქმნის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციაც, რომელმაც ერთდროულად გაათავისუფლა და დაიმონა ადამიანი, ბევრი რამ შესძინა და ბევრი რამეც დააკარგვინა. ტარიელ ჭანტურიას ლირიკულ პოემაში „მანქანა“ ხწორედ ესაა ზუსტად შენიშნული. — თანამედროვე ყოფის ტექნიციზმი, ურთიერთობათა მკაცრი რეგლამენტირება, პრაგმატიზმი, ადამიანის დაცილება ფესვებთან და გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული ძებნა ამ ფესვებისა (იხ. მამუკა წიკლაურის, გივი ალხაზიშვილის პოემები).

თანამედროვე ქართულ მწერლობაში აქტუალურია მიტოვებული მამულის, მიტოვებული კუთხის, დაკარგული ბავშვობის, დაკარგული სიწმინდის თემა და პრობლემა, რასაც მწვავე სახელი ჯერ კიდევ ჯანსუღ ჩარკვიანმა დაარქვა თავის „რწმენის კედელში“. მაგრამ „რწმენის კედელი“ იყო მოვლენის განჭვრეტა და შეფასება გარედან, ქართულ პოეზიაში დამკვიდრდა ხედვის სხვა კუთხეც — უშუალო მონაწილის პოზიციიდან განცდა ყოველივესი. მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით 70-იან წლებში ჩვენს მწერლობაში მოსული იმ ახალგაზრდების შემოქმედება, რომელნიც თავისი ბიოგრაფიითაც მკვეთრად გრძნობენ მიწის ძახილს, რომელთათვისაც მიტოვებული ეზო-კარი მხოლოდ ზოგადი მოვლენა კი არაა, არამედ კონკრეტულ ადგილთან და კონკრეტულ ადამიანებთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოც.

სოფელი დაცარიელდა, თუმცა იგი ჯერ მაინც ცოცხლობს. მამუკა წიკლაური — „მშვიდობით, ძმაო, კუპიდონი“, თედო ბექიშვილი — „ორი მდინარე“; ჯარჯი ფხოველი „შესაკრებელი“.

ეს ტკივილი და განგაში საერთო-სახალხო ფიქრისა და სატკივარის გამოვლენაა, რომელმაც სიტყვა საქმედ აქცია და მიტოვებულ სოფლებს ისევ დაუბრუნა სიცოცხლე. თუმცა, წამოსვლა ყოველთვის ადვილია, დაბრუნება კი — ძნელი.

მიტოვებული სოფელი, დაგმანული სახლკარი, დავიწყებული, მაგრამ მუდამ ადამიანთან მყოფი განცდები ხშირ შემთხვევაში ბავშვობას უკავშირდება, თითქოს გარკვეული დაპირისპირებაც კი შეინიშნება ამ თვალსაზრისით ბავშვობასა და მოწიფულობას შორის, სოფელსა და ქალაქს შორის.

„ფესვებისა და სათავის გამო ფიქრი ერთი მთავარი ფიქრია ქართული მწერლობისა, ყოველივე ამაში ჩანს არა მარტო დიდი ტკივილი, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც დროისა და ქვეყნის წინაშე. სწორედ ამ სიმაღლიდან შემოდის პოეზიაში ქვეყნის აღმშენებლობის, საქვეყნო საქმეთა კეთების თემა — როგორც ახალგაზრდობის უპირველესი ვალი. და აქ ფიცად ისმის სიტყვები ჯანსუღ ჩარკვიანის ლირიკული პოემიდან (რომელიც თავისი ამაღლებული ხასიათით ტრადიციულ ოდას უახლოვდება):

„ვთქვი,
ვერასოდეს ვერ გავიყრებით,
მეძახი, მიხმობ
და გზებს მისახავ,
მეც უსახელო დღეებს მივყვები,
ზაჰესს ვაგებ თუ
ყამირ მიწას ვხნავ.
ახლა ჩემს ძვირფას
კოლხეთს დავპირდი,
მის უსახელო დღეებს ვპირდები,
ოღონდ აყვავდი,
ოღონდ გამდიდრდი
თვით შეუძლებელს
შევეპიდები“.

(ჯანსუღ ჩარკვიანი, „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“).

შრომითი შემართება თაობის ბიოგრაფიის უცილობელ ნაწილად, მის მთავარ დამახასიათებლად ვლინდება, თაობისა, რომელსაც ომი მხოლოდ ეკრანზე უნახავს და გმირობის ასპარეზს შრომის ფრონტზე ეძებს (ენვერ ნიჟარაძე — „ავტობიოგრაფია“).

ამ თაობასთან არის დაკავშირებული ის შრომითი გმირობა, რაც გამოვლინდა არამარტო საქართველოში, არამედ მთელ ჩვენს დიდ ქვეყანაში. ქართველი კაცი მარტო ომის დროს არ იცავდა სამშობლოს, ომის შემდეგ აღადგენს და აშენებს ამ ქვეყანას.

ქართული მწერლობის წინ ყოველთვის მწვავედ იდგა პრობლემა — შესაფერისად, მაღალმხატვრულ დონეზე აესახა შრომის პათოსი, მშრომელი ადამიანის სული, მისი ფიქრი, მისი მისწრაფებანი და თანამედროვე ადამიანი, მდიდარი სულის პატრონი ყოველთვის აყენებდა მწერლობის წინ ახალ-ახალ ამოცანებს. სწორედ პოეზიის ამ უპირველეს მოვალეობაზე მიგვანიშნებს გრიგოლ აბაშიძე თავის პოემაში: „ფიქრები ენგურის ხეობაში“:

„აქ მისთვის არ ვარ,
რომ შენს შრომას
შორით ვუცქირო,
(შრომაში თავი ისახელა
სხვამაც, ურიცხვმა).
მე მინდა ჩავწვდე
შენი სულის სიღრმეს უძიროს,
და ლექსად მინდა ავამღერო
შენი გულის ხმა.
შენი ცხოვრება შუქნათელი
და ზოგჯერ მკაცრი,
შელამაზებას,
ეკლებისგან გასხვლას არ ითხოვს

მინდა ლექსად ვთქვა.
შენი შრომის მაღალი აზრი,
რომ შთამომავლებს
შევუნახო სამაგალითოდ".

იქმნება პოეტური პორტრეტები ჩვენი თანამედროვეებისა, სადაც ცნობილი პიროვნებების გვერდით — კორნელი კეკელიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე და ა. შ. — იხატება შთამბეჭდავი ხასიათები უცნობი, მაგრამ სულით არანაკლებ მდიდარი ქართველებისა (მხედველობაში მაქვს მურმან ლებანიძისა და იორამ ქემერტელიძის ბალადები).

სწორედ ეს, თანამედროვე ადამიანის, მშრომელი კაცის სულიერი სიმდიდრის შესაბამისი ასახვა რჩება დღევანდელი ქართული ეპიკური პოეზიის, ლირიკული პოემის უპირველეს ამოცანად.

თანამედროვე ქართული პოეტური ეპოსი მდიდარია პრობლემებით, რადგან ადამიანი დღეს, ისე როგორც არასდროს, მოზღვავებული ინფორმაციისა და მანძილთა საოცრად შემცირების გამო მარტო თავისი ქვეყნის შვილად არ გრძნობს თავს, იგი მსოფლიოს ტკივილების პირისპირ დგას და „სხვისი" ტკივილი მისთვის უცხო ტკივილად არ აღიქმება.

იორამ ქემერტელიძის ლირიკულ პოემაში „მსოფლიო ჯოხის სცენებზე" კაცობრიობის ბედით შეშფოთებული პოეტი მოუწოდებს ადამიანებს, არ დააბრუნონ ისტორიის ჩარხი უკუღმა, გაიხსენონ შორეული თუ ახლო წარსული.

პოემის ლირიკული გმირი — დღევანდელი ადამიანი — კიდევ ერთხელ გვახსენებს:

„ჩვენ, ჩვენ გვაბარია ძველი
დედის — დედამიწის ბედი".

შიში, შეშფოთება, სულიერი ტკივილი, ეჭვი თანამედროვე ადამიანის თანმდევი გრძნობებია, მაგრამ არა მისი სისუსტის ნიშანი („ნუ შეგაშფოთებს სიცოცხლე ჩემი, აჯანყებული სიკვდილზე ფიქრით". — ხუტა გაგუა). ამ სიძლიერის წყარო კი ერის ისტორიაში, მის ხასიათში, მის მიზნებში, მის სულიერ წყობაშია საძიებელი...

ერის სიდიადე კი მის ინდივიდუალისტურ ბუნებასა და საკუთარი ინტერესების დაცვაში ვლინდება, ეს კონცეფცია წამყვანია ჩვენს პოეტურ ეპოსში:

„იცნობ მეზობელს?!
ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?
ძალსა და ღონეს?!
ბრძნულ განზრახვას?!
ცხოვრების მიზანს?!
მე მითქვამს შენთვის:
თუ არ იცნობ, ვინძლო — იცნობდე!
სწავლობს — სწავლობდე!
ოფლს ღვრის — ღვრიდე!
ფხიზლობს — ფხიზლობდე!
და, ძილგამკრთალი,
გარს უვლიდე შენს წილხვედრ მიწას"!

(მურმან ლებანიძე — „იცნობ მეზობელს?").

ყოველივე ზემონათქვამით არ ამოიწურება ქართული პოემის პრობლემატიკა, თუმცა ძირითად ხაზებში მაინც, მისი პანორამული სურათი ასეთი გახლავთ.

არ შეიძლება ბოლოს ორიოდე სიტყვა არ ითქვას თანამედროვე ქართული პოეტური ეპოსის განვითარების ფორმალურ მხარეზეც.

ხაზგასასმელია, რომ დღევანდელ ქართულ პოეტურ ეპოსში წამყვან როლს ლირიკული პოემა ასრულებს, იგი იქცა ადამიანის სულის თვითგამოხატვის, დროსა და ეპოქაზე ადამიანის შეხედულებების გადმოცემის საშუალებად. ეპოქა მათში „ადამიანის თვალებით იცქირება".

ხედვის ასეთმა კუთხემ, პიროვნების არსებობისათვის დამახასიათებელმა პრობლემატიკამ განსაზღვრა სწორედ ლირიკული პრობლემის ჟანრობრივი თავისებურებანიც. მას „შედეგის პოემასაც" უწოდებენ, რადგან მთხრობელის ყურადღების ცენტრშია არა თავად მოვლენა ან ფაქტი, არამედ ყოველივე მომხდარის შედეგად აღძრული ფიქრი, გრძნობა, ასოციაცია და ა. შ., ლირიკული გმირის დამოკიდებულება ამ მოვლენასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ბერიძე

# კვლავ ადრექრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ

ჟურნალ „კრიტიკის“ 1985 წლის მეექვსე ნომერში დაიბეჭდა ზ. კიკნაძისა და თ. მირზაშვილის წერილი „რას მოგვითხრობს მირიანის „წიგნი“ (IV საუკუნის ქართლის სულიერი ცხოვრების რამდენიმე მხარე)“. მიუხედავად ამ სათაურისა, ნამდვილად წერილის საგანს შეადგენენ IV საუკუნის, ე. ი. ახლად გაქრისტიანებული ქართლის სამეფოს, ხუროთმოძღვრების საკითხები, ხოლო კრიტიკის ობიექტს აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ბერიძე, მათი რამდენიმე თანამშრომელი და ზოგი ისტორიკოსი, ვინც მათს აზრებს იზიარებს. ზ. კიკნაძე და თ. მირზაშვილი საქმის გასამარტივებლად ხმარობენ „განმაზოგადებელ“ ცნებასაც — „ხელოვნების ისტორიკოსები“, და ამ ცნებით გულისხმობენ მათ მიერ გაკრიტიკებული დარგის წარმომადგენლებს „ინ კორპორე“, უფრო ზუსტად, მთლიანად ქართულ ხელოვნებათმცოდნეობას, ჩვენი ეროვნული მეცნიერების იმ დარგს, რომელიც უნივერსიტეტთან ერთად დაფუძნდა და მას შემდეგ დღემდე — როგორც ეს კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის — თავისი არამცირე წვლილი შეაქვს ქართული სულიერი და ნივთიერი კულტურის ნამდვილი ისტორიული სურათის დადგენაში, ქართული ხელოვნების ეროვნული თავისებურების, მსოფლიო ხელოვნების სისტემაში მისი ადგილის მეცნიერულად დასაბუთების საქმეში. „ხელოვნების ისტორიკოსები“ მათს კონტექსტში ისმის როგორც განმაქიქებელი მეტსახელი — ისინი თითქოს რაღაც საეჭვო (თუ არა დანაშაულებრივი) სექტის წევრები იყვნენ.

აღნიშნული წერილის გამოქვეყნება არ ყოფილა მოულოდნელი. იგი გაგრძელებაა იმ ლაშქრობისა, რომელიც ავტორთა ერთმა ჯგუფმა — ფილოლოგებმა, ისტორიკოსებმა, მხატვარმა, არქიტექტორმა, ზოგმა გაურკვეველი ხელობის პირმაც — წამოიწყო ამ სამი თუ ოთხი წლის წინათ, და რომელსაც მას შემდეგ მეთოდურად აგრძელებენ — ხან ბეჭდვითი სიტყვით, ხან ტრიბუნიდან, ხან სხვა ზეპირი და წერილობითი (სრულიად არა აკადემიური!) საშუალებებით. ეს ახალი წერილი, არსებითად, არც შეიცავს არაფერს ახალს (გარდა ზოგი კერძო ფაქტის ან საკითხის გაშუქების ცდისა) ადრე გამოქვეყნებულ წერილებთან და გამოსვლებთან შედარებით.

ამ წერილთა სათაურები, ცხადია, განსხვავებულია — ზოგი ბოლნისის სიონს ეხებოდა, ზოგი წილკნის ტაძარს, წერილობით და ზეპირად ეხებოდნენ კონკრეტულად სხვა ძეგლებსაც. ადრინდელ წერილებს უკვე გაეცა კიდეც მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი, მაგრამ ამ ავტორთათვის მეცნიერულ არგუმენტაციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი ჯიუტად განაგრძობენ აკვიატებული აზრების „ჩანერგვას“, მათივე სიტყვით რომ ვთქვათ, მათს გაცნობას „საზოგადოებისათვის“. მიუხედავად საკითხთა მოჩვენებითი სიმრავლისა და „სიმძიმისა“, საკმაოდ მარტივია ყველა ამ წერილისა და გამოსვლის მთავარი „ხაზის“ გარკვევაც და მათი ფსიქოლოგიური მოტივების დადგენაც.

სრული ობიექტურობისათვის, საკითხის ამთავითვე გარკვევისათვის, მე ვიწყებ გრძელი ამონაწერით ზ. კიკნაძისა და თ. მირზაშვილის წერილიდან: „ქართული ხელოვნების ისტორიკოსთა ერთ ნაწილში დღესაც გაბატონებულია თვალსაზრისი საქართველოში ქრისტიანული არქიტექტურის ჩასახვისა და განვითარების შესახებ, რომელიც მომდინარეობს გ. ჩუბინაშვილის მიერ 20-იან წლებში შემუ-

შავებული კონცეფციიდან. ეს კონცეფცია კი, თავის მხრივ, დაფუძნებულია „ქართლის მოქცევის“ ზემოთ განხილული ადგილის არაცევის სწორ გაგებაზე (იგულისხმება მოთხრობა იმის შესახებ, რომ სვეტიცხოვლის პირველ ტაძარში მლოცველებს ეშინოდათ შესვლა და რომ შიგ არავინ შედიოდა, მღვდლის გარდა, ვ. ბ.). უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ გარემოებაში გარკვეული როლი შეასრულა 20-იანი წლების საქართველოში არქეოლოგიური მონაცემების სიმწირემ და მატიანეთა ცნობების მიმართ უაღრესად სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ.

აკად. გ. ჩუბინაშვილის ეს კონცეფცია *ძირითადად თეორიული ხასიათისაა* (ხაზი ჩემია, ვ. ბ.) და შემდეგში მდგომარეობს: ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ საეკლესიო მშენებლობა თვითმყოფადი გზით ისახება და ვითარდება. ქრისტიანობა, როგორც უცხო და უცნობი რელიგია, შიშს ჰგვრის ქართლ-კახეთის მოსახლეობას და აბრკოლებს მის შესვლას ეკლესიაში; ამიტომ შენდება მინიატურული ზომის სამლოცველოები, რომელნიც მხოლოდ მღვდელს იტევენ; ამასთან, ეს ნაგებობები მარტივი ფორმებისაა და გაურკვეველი ხასიათის, რადგან მათი აგებისას მშენებელნი, მიმბაძი მაგალითის უქონლობის გამო, იძულებულნი არიან დაეყრდნონ ყურმოკრულ ცნობებს საეკლესიო ნაგებობათა შესახებ, შემოღწეულს ქართლში საქრისტიანოს ცენტრებიდან. ამ კონცეფციის თანახმად, მხოლოდ გორგასალის ეპოქაში უტოლდება საქართველო გარე ქრისტიანული სამყაროს სამშენებლო კულტურის დონეს და „სხვა ქვეყნებთან ერთად მონაწილეობას იღებს ქრისტიანული დოგმების შემუშავებაში“. ამავე კონცეფციის მიხედვით, ცენტრალურგუმბათოვანი თემა ეკლესიებისა განვითარებულია ქართული გლეხური დარბაზის ტიპის შენობისაგან და ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფებებისა და ტრადიციების გამომხატველია, ხოლო ბაზილიკური ტიპი შენობისა იძულებით არის დანერგილი ოფიციალური ეკლესიის მიერ, უცხოა, და ამიტომ ქართველი მშენებლისათვის ძნელად დასაძლევი.

ამოსავალი წერილობითი წყარო, რომლის ინტერპრეტაციაზეც აფუძნებს აკად. გ. ჩუბინაშვილი თავის კონცეფციას, არის მირიანის „წიგნიდან“ ამოღებული, კონტექსტს მოწყვეტილი შემდეგი ფრაზები: „და ყოვლადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად თვინიერ ხოლო დღესა კვირიაკესა, არცა შესვლად ვინ იკადრებდა თვინიერ მღვდელთასა, რომელნი გალობედ მას შინა; რამეთუ შიში დიდი დაცემული იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა“.

აი, როგორ არის ეს ადგილი განმარტებული აკად. გ. ჩუბინაშვილის პირველ ფუნდამენტურ გამოკვლევაში: „ამ ფრაზებში ცხადად, სრულის უეჭველობით გამოიხატა მორწმუნის მაგიური ფსიქოლოგია, რომელიც აიძულებს მას შიშით მიუახლოვდეს ეკლესიას, ახალი ღმერთის მსახურების ადგილას; კვირაობით ეკლესიაში შედიოდნენ გალობით მხოლოდ მღვდლები. საჭირო იყო ჯერ ფსიქოლოგიის გარდაქმნა, რაც, რასაკვირველია, ერთბაშად არ მოხდებოდა, მაგრამ, ამასთან იგივე ცნობები აუცილებლად მოწმობენ, რომ საქართველოში პირველად აშენებული ეკლესიები მცირე ზომისა იყო, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სავსებით მტკიცდება შენახული ძეგლებით“.1

ამ ამონაწერს მოჰყვება ციტატები კვლავ გ. ჩუბინაშვილის, ვ. ბერიძის, დ. თუმანიშვილის, გ. მარსაგიშვილის და სხვათა შრომებიდან, სადაც განმეორებულია გ. ჩუბინაშვილის აზრი ეკლესიათა სიმცირისა და ეკლესიაში შემსვლელთა შიშის შესახებ. ციტატებს თითქმის ხუთი გვერდი უჭირავს, თუმცა სრულიად საკმარისი იყო ერთი წინადადებით თქმულიყო სათანადო ნაშრომთა დამოწმებით ესა და ეს ავტორები იმეორებენ გ. ჩუბინაშვილის აზრსო. მაგრამ ავტორთა ეს ხერხი სავსებით გამიზნულია: მათ სურთ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, რომ სწორედ ეს აზრი (რომ ეკლესიები მცირე იყო, რაკი შიგ შესვლა ეშინოდათ) არის თავი და თავი, რომ ეს არის ერთადერთი საფუძველი და გადამწყვეტი არგუმენტი გ. ჩუბინაშვილის ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყისი საფეხურების გაშუქებისას. ამისთვის არის ატეხილი მთელი ეს საარტილერიო სროლა.

რამდენად შეეფერება სინამდვილეს ავტორთა ეს აზრი, ამას ქვემოთ დავინახავთ, ახლა კი იძულებული ვარ ვთქვა, რომ ძნელი წარმოსადგენია, ძნელი დასაჯერებელიც კი არის, რომ რეალური ვითარება ამდენად პრიმიტიულად და გაუკულმართებულად შეიძლება იყოს წარმოდგენილი. მე ვერ ვიხმარე აქ სიტყვა „წარმოდგენილის“ ნაცვლად „გაგებული“, იმიტომ, რომ ეს არის სწორედ ნიმუში იმისა, როცა ან არ შეუძლიათ იმის გაგება, რაც წაიკითხეს, პროფესიული არაკომპეტენტურობის შედეგად, ან არ სურთ გაგება წინასწარ შემუშავებული აზრის გამო, რომელსაც ვერასგზით ვერ ელევიან.

მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო შემდეგს: ზემო ამონაწერში, რომელიც თითქოს გ. ჩუბინაშვილის კონცეფციას უნდა გვაცნობდეს, მკაფიოდ იკვეთება „ბრალდების“ რამდენიმე მუხლი (რაკი ავტორთა აზრით, ეს

1. „კრიტიკა“, 1985, № 6, გვ. 65-67.

კონცეფცია მთლიანად მცდარია): ა) გ. ჩუბინაშვილი ცდება, როცა წერს, რომ „ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ საეკლესიო მშენებლობა თვითმყოფადი გზით ვითარდება“; ეს დებულება წერილის ავტორთათვის მიუღებელია! ბ) გ. ჩუბინაშვილი თითქოს ამტკიცებს, რომ „ქრისტიანობა, როგორც უცხო და უცნობი რელიგია, შიშს ჰგვრის ქართლ-კახეთის მოსახლეობას და აბრკოლებს მის შესვლას ეკლესიაში; ამიტომ შენდება მინიატურული ზომის სამლოცველოები; გ) ავტორებს ისიც ცოდვად მიაჩნიათ, რომ გ. ჩუბინაშვილის აზრით პირველი ეკლესიები მარტივი ფორმებისა და გაურკვეველი ხასიათისა იყო, და მხოლოდ გორგასალის დროიდან დაიწყო უფრო მნიშვნელოვანი მშენებლობა, ე. ი. დანაშაულად არის მიჩნეული აზრი, რომ ახალი ხუროთმოძღვრული თემის ადაპტაციის დროს განვითარება წარმოებდა მარტივიდან რთულისაკენ; დ) ასევე ცოდვადაა მიჩნეული გ. ჩუბინაშვილის აზრი იმის შესახებ, რომ ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესიის თემა გენეტიკურად უკავშირდება გლეხური დარბაზის ტიპს, ხოლო ბაზილიკური ტიპის შენობებს ოფიციალური ეკლესია ნერგავდა. ბოლო დებულება, როგორც მათი წერილის სხვა ადგილებიდან ჩანს, ავტორების განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევს: ეს მათ ეროვნული ღირსების დამამცირებლად მიაჩნიათ; ე) მთავარზე უმთავრესი ბრალდება მაინც ის არის (ეს ამ წერილიდანაც ჩანს და ამავე ავტორთა და მათ თანამოაზრეთა სხვა გამოსვლებიდანაც), რომ „ხელოვნების ისტორიკოსები“ ადრინდელი ხანის უმთავრეს ქრისტიანულ ტაძრებს ათარიღებენ არა IV საუკუნით (როგორც მოვალენი იყვნენ დაეთარიღებინათ), არამედ V და VI საუკუნეებით. ყველაფერი ეს კი იმას ადასტურებს, რომ გ. ჩუბინაშვილი, ვახტ. ბერიძე და სხვა „ხელოვნების ისტორიკოსები“ განგებ აკნინებენ ქართული ხუროთმოძღვრების ღირსებასა და მნიშვნელობას.

ახლა გავეცნოთ, როგორია სინამდვილეში აკად. გ. ჩუბინაშვილის კონცეფცია. წინასწარ ორი რამ უნდა აღინიშნოს: ა) გ. ჩუბინაშვილის კონცეფცია, წინააღმდეგ ამ ავტორთა მტკიცებისა, არ იფარგლება ქართული ქრისტიანული არქიტექტურის პირველი საფეხურების გაშუქებით, მისი ჩასახვით; იგი მოიცავს როგორც ამ არქიტექტურის დაფუძნების კარდინალურ პრობლემებს, ისე განვითარების მომდევნო ეტაპებსაც, მოიცავს შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებას მთლიანად, მისი ისტორიული ევოლუციის პრობლემებს, მის სტილისტიკურ საფეხურებს, მოიცავს [illegible] ხუროთმოძღვრების [illegible]ბის საკითხს, პრობლემას მისი შეფარდებისას სხვა ქვეყნების ხუროთმოძღვრებასთან, მის ხვედრით წონას მახლობელი აღმოსავლეთის არქიტექტურის საერთო სურათში — ეს ყოვლისმომცველი კონცეფციაა, ერთი იმ ფუძემდებელ კონცეფციათაგანი, რომლის გარეშეც დღეს ვერ წარმოვიდგენთ მთლიანად ჩვენი ეროვნული კულტურის (და არა მარტო ხუროთმოძღვრების) რეალურ ღირებულებას, ერთი იმ კონცეფციათაგანია, რომლებიც ქართულ კულტურას ობიექტურად დასაბუთებულ ადგილს უმკვიდრებენ მსოფლიო კულტურაში. ყველაფერს ამას ავტორები, ცხადია, არაფრად მიიჩნევენ, ან ვერც იგებენ, ამაზე მათ ნაწერებში არსად არც ერთი სიტყვა არ არის; ხოლო ის, რასაც ეხებიან წერილის ავტორები, და რის გამოც უკვე კარგა ხანია მათ და მათ თანამოაზრეებს განგაში აქვთ ატეხილი, არის ამ კონცეფციის მხოლოდ ერთი, საწყისი, ნაწილი (თანაც, როგორც აღვნიშნე, მათ მიერ სრულიად ყალბად გაშუქებული); ბ) არ შეეფერება სინამდვილეს და მთლიანად ავტორების შეთხზულია მათი ამოსავალი დებულება, თითქოს ჩუბინაშვილის კონცეფცია „თეორიული ხასიათისაა“, ე. ი. არ ეყრდნობა ძეგლთა შესწავლას. სინამდვილეში, წინააღმდეგ თვით ამ ავტორებისა, რომლებიც — როგორც ქვემოთ დავინახავთ — უგულებელყოფენ არქიტექტურის ისტორიის რეალურ ფაქტებს, გ. ჩუბინაშვილის დებულებები ემყარება როგორც წერილობით წყაროებს, ისე (ეს არის ხაზგასასმელი) ჩვენი ქრისტიანული არქიტექტურის საწყისი პერიოდის რეალურად არსებულ ფაქტებს, რეალურ ძეგლებს, მათს გააზრებასა და განვითარებას.1

---

1. აი, მაგალითისათვის, ჩუბინაშვილის სიტყვები, რომლებიც წინ უძღვის მის ცნობილ მონოგრაფიას შიომღვიმის ლავრის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისაგან განსხვავებით, ასურელ მამათა ცხოვრებანი (რომელთაც ჩვენ ვიცნობთ მათი მოღვაწეობიდან ოთხი-ხუთი საუკუნის შემდეგ შედგენილი და გადამუშავებული თხზულებებით) არ შეიცავენ საკმარის ცნობებს იმდროინდელი საზოგადოებრივი განვითარების შესახებ, ან თვით მამათა მოღვაწეობის მდიდარ, მკაფიო სურათს. **«Поэтому исследо-**

რა დახვდა გ. ჩუბინაშვილს ქართული ქრისტიანული არქიტექტურის საწყისი პერიოდისათვის, როცა ის შეუდგა მეცნიერულ მუშაობას ქართული ხუროთმოძღვრების შესასწავლად? გარდა რევოლუციამდელი ავტორების ნაშრომებისა, რომლებიც მიზნად არ ისახავდა ძეგლთა ხელოვნებათმცოდნეობითს ანალიზსა და მასალის განზოგადებას, მას დახვდა:

წერილობითი წყაროების ცნობები იმის შესახებ, რომ:

— მირიან მეფემ გაქრისტიანებისთანავე წმ. ნინოს მითითებით ააშენა პირველი ეკლესია, შემდეგში სვეტიცხოვლად წოდებული, და ცოტა მოგვიანოდ, „ზემო ეკლესია“ მცხეთაშივე, იქ, სადაც ახლა „სამთავროს“ ტაძარია;

— კონსტანტინე იმპერატორის მიერ მირიანის თხოვნით გამოგზავნილმა ხუროებმა ააშენეს ეკლესიები ერუშეთს, წუნდას და მანგლისს;

— მირიანის ძემ ბაქარმა (ან შვილიშვილმა ბაკურმა) ააშენა წილკნის ეკლესია;

— მირიანის შვილიშვილმა მირდატმა, ბაქარის ძემ, ააგო ეკლესია თუხარისის ციხეში;

— ბაკურის მამის მირდატის დროს აშენდა რუსთავისა და ნეკრესის ეკლესიები;

— ან ფარსმან მეფემ, ან ბაკურმა (წყაროებში განსხვავებული ცნობებია) ააშენა ბოლნისის ეკლესია;

— არჩილ მეფემ (V საუკუნის ოციანი-ოცდაათიანი წლები) ააშენა „ეკლესია სტეფანწმიდისა მცხეთას, კარსა ზედა არაგვისათა“;

— ვახტანგ გორგასალმა ხელმეორედ ააშენა სვეტიცხოველი და დააარსა რამდენიმე საეპისკოპოსო;

— მისმა ძემ მირდატმა (VI საუკუნის დამდეგს) ააშენა ეკლესია ჯავახეთის წყაროსთავში;

— დაჩი უჯარმელის დროს „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამწმიდაი ეკლესია ალაშენეს“ (ეს ანჩისხატის ეკლესიაა);

ასევე ცნობები იმის შესახებ, რომ გუარამ კურაპალატისა და მის მემკვიდრეთა დროს აშენდა თბილისის სიონი, რომ გუარამისა და დემეტრე (ან სტეფანნოზ) ერისმთავრების დროს შენდებოდა მცხეთის ჯვარი, დასასრულ, ცნობები ასურელ მამათა მიერ დაარსებული ზოგი მონასტრისა (შიომღვიმის, დავით გარეჯის, ზედაზნის და სხვ.) და ტრადიცია თბილისის ქვაშვეთის აგების შესახებ.

აქედან: მირიანის სვეტიცხოვლისა არაფერი ჩანდა, მის ადგილას ჯერ ვახტანგ გორგასალის დროს აშენდა ახალი ეკლესია, შემდეგ XI საუკუნეში ახლანდელი ტაძარი; გაურკვეველი იყო, რომელი უნდა იყოს „ზემო ეკლესია“: ახლანდელი სამთავრო XI საუკუნის ძეგლია და მის შიგნით, წინააღმდეგ ავტორების განცხადებისა, ადრინდელი ძეგლის კვალი არსად ჩანს (ამ ძეგლად, ცხადია, ვერ მივიჩნევთ მირიანისა და ნანას ახალ საფლავის ქვებს); კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილი ოსტატების მიერ აშენებულ ეკლესიათაგან ძველი წუნდისა და ერუშეთის კვალი აღარ ჩანდა, ხოლო მანგლისის მიკუთვნება ბერძენი არქიტექტორებისათვის, ე. ი. IV საუკუნის ოცდაათიანი წლებისთვის, შეუძლებელი იყო თვით ტაძრის არქიტექტურის ხასიათის გამო (ამაზე იხ. ქვემოთ); არაფერი რეალური არ იყო ცნობილი თუხარისისა და რუსთავის ეკლესიებზე; წილკნისა და ბოლნისის აშენების შესახებ სხვადასხვა ისტორიული წყაროს ცნობები ეწინააღმდეგება ერთმანეთს; შეუთანხმებელია ცნობები მცხეთის ჯვრის მშენებლობის თაობაზედაც; თბილისის „დიდი ეკლესია“ — სიონი მას შემდეგ იმდენჯერ და ისე გადაკეთდა, რომ იქ თავდაპირველი ეკლესიის კვალის ძიებაც კი შეუძლებელი იყო; ქვაშვეთის ეკლესია XVIII ს-ში შეცვალეს იმავე ტიპის შენობით — ამ უკანასკნელს ვიცნობთ ძველი ანაზომებითა და ფოტოსურათებით, რაკი ეს ეკლესიაც უკვე XX საუკუნეში ახალმა შეცვალა.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ ორიოდე გაკვრითი წერილობითი ცნობით, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, შეუძლებელი იქნებოდა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების დამფუძნებელი ეტაპის ნამდვილი სურათის აღდგენა, შეუძლებელი იქნებოდა მაშინაც კი, ამისი მსგავსი ცნობა მეტიც რომ ყოფილიყო. როგორიც და რამდენიც არ უნდა იყოს ლიტერატურული ინფორმაცია, არქიტექტურის ისტორიის წარმოსადგენად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თვით რეალური, ცოცხალი ძეგლები. მართალია, ჩვენი ავტორებისთვის ეს ზედმეტია, მათთვის საკმარისია წაიკითხონ მემატიანის სიტყვები, ბერ-

вание архитектурных, вообще вещественных памятников на месте деятельности этих подвижников не вызывалось, не диктовалось наличными житиями..., а вырисовывалось совершенно независимо от этого». შიომღვიმეში ჯერ შესწავლილი იქნა ანსამბლის არქიტექტურა და მხოლოდ ამის შემდეგ, «уже по завершении работ на месте, в монастыре, были привлечены к разбору и писаные документы, и именно житие Шио, здесь, таким образом, как и ряде других изысканий последних лет, первоначальные установки самих архитектурных памятников давали ключ к пониманию литературных источников (текстов), которые затем уже кое-что уточняли в анализе и самих памятников». Г. Чубинашвили. Вопросы истории искусства, I, Тб., 1970, გვ. 52.

ძენმა ეპისკოპოსმა ერუშეთში და წუნდაში „დაუტევა ხუროონი“, და უკვე იციან, როგორი ეკლესიები ააშენეს ამ ხუროებმა („კრიტიკა“, გვ. 9), მაგრამ „ხელოვნების ისტორიკოსებს“, რომლებიც ასეთი გულთამხილველნი არ არიან, მაინც რეალური ძეგლები ესაჭიროებათ.

ასეთი ძეგლებიც იყო და არის, ძეგლები, რომლებიც სხვადასხვა ნიშნით, წინასწარვე შეიძლებოდა ადრინდელ ხანას მიკუთვნებოდა. ზოგი მატიანეებში იხსენიება, ზოგის ხსენება მატიანეებში არ ჩანს.

აი, რა ძეგლები იყო ეს:

უგუმბათო ეკლესიები: ნეკრესის მონასტრის პატარა ეკლესია, ძველი შუამთის, მატანის „ცხრაკარას“, ბაზილიკები, კაწარეთის სამება, ხირსის სტეფანწმინდა, ახმეტის „ღვთაება“, ურიათუბანი (ახლანდელი ვაზისუბანი), ბოდბე, და კიდევ რამდენიმე ბაზილიკა კახეთში, ნოქალაქევის ძველი ეკლესია, ზედაზენი, ბოლნისის სიონი, თბილისის ანჩისხატი, ურბნისი, ჯავახეთის წყაროსთავი, წილკანი (სამივე — გადაკეთებამდე), ეკლესიები, რომლებიც ახლა ცნობილია „სამეკლესიიანი ბაზილიკის“ სახელით — კარდენახი, რუისპირი, კონდამიანი, საბუე, ნეკრესის დიდი ეკლესია (ყველა კახეთში), ქვემო ბოლნისი და სხვ.

ცენტრალური და გუმბათიანი შენობები: ზეგანის წმ. მარინე, ჭერემის კვადრატი, ძველი გავაზი, მანგლისი, ნინოწმინდა, შიომღვიმე, მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლები, სამწევრისი, წრომი და კიდევ ზოგი სხვა. აქ ყველას ჩამოთვლა არც საჭიროა და არც შესაძლებელი.

ამ ძეგლებს — მხოლოდ წერილობით წყაროებში მოხსენებულთ და დღემდის მოღწეულთ (აქ ისმოდა საკითხი — არის თუ არა ესა თუ ის გადარჩენილი ძეგლი სწორედ ის, რომელზედაც წყაროებშია საუბარი, თუ თავდაპირველი ძეგლის ადგილას აშენებული სხვა ნაგებობა), დასასრულ, იმათ, რომლებიც არც ერთ წერილობით წყაროში არ იხსენიება, — ყველას ესაჭიროებოდა შესწავლა, გაცხრილვა და „დაბინავება“ დროსა და სივრცეში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელი იყო ამ დიდი მასალის მეთოდური სისტემატიზაცია, შენობათა და წერილობითი საბუთების შეჯერება, ძეგლთა ურთიერთშეფარდების გარკვევა და მათი თანმიმდევრობის დადგენა, რომ გამოჩენილიყო ევოლუციის პროცესი და მიმართულება. თანაც, უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთ დღემდის მოღწეულ ძეგლს არ გააჩნია წარწერა, რომელშიაც მისი თარიღი იყოს მითითებული. ყველა შემთხვევაში თარიღი საძიებელი და დასდგენი იყო, ზოგჯერ უაღრესად რთული, სკრუპულოზური კვლევის შედეგად, როგორც ეს იყო, მაგალითად, მცხეთის ჯვრის შესწავლისას.[1]

ეს ამოცანა — ურთულესი და უძნელესი — მანამდის ქართული ხუროთმოძღვრების მიმართ არავის დაუსახავს; არსებითად, ამით იწყებოდა ქართული ხელოვნების ისტორიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის, არსებობა და პიონერი ამ დიდ საქმეში გ. ჩუბინაშვილია.

ახლახან ხსენებული მიზნების მისაღწევად აუცილებელი იყო არა მარტო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შინაური სურათის“ დადგენა, არამედ „საგარეო ურთიერთობათა“ გარკვევაც, რადგანაც საქართველო ყოველთვის შეადგენდა მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის კულტურული სამყაროს ორგანულ ნაწილს; ეს, ბუნებრივია, მით უფრო საჭირო იყო ჩვენი ქვეყნისთვის ისეთი არსებითი გარდატეხის ეპოქის შესწავლისას, როგორიც IV-VII საუკუნეები წარმოადგენდა. ამ ფაქტების დადგენა — ეს კი მოითხოვდა ფრიად ვრცელი ლიტერატურის დამუშავებას — საშუალებას მისცემდა მეცნიერს დაედგინა, როგორც უკვე ითქვა, ქართული არქიტექტურის ადგილი მსოფლიო არქიტექტურის სისტემაში. უცხოური პარალელები საჭირო იყო ზოგი „შინაური საკითხის“ დასაზუსტებლადაც.

ამ გრანდიოზული შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობის შედეგად გ. ჩუბინაშვილმა შექმნა ლოგიკურად გამართული და მეცნიერულად დასაბუთებული მოდელი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული განვითარებისა არა მარტო ადრინდელ ფეოდალურ ხანაში, არამედ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

მასალის ანალიზმა გ. ჩუბინაშვილი და ქართველი „ხელოვნების ისტორიკოსები“ დაარწმუნა, რომ: ა. არავითარი კვალი კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილ ოსტატთაგან აგებული არც შენობისა და არც მათი გავლენისა ქართულ სინამდვილეში არ ჩანს. ასე რომ, ავტორების პათეტიკური შეძახილი: „სრული უეჭველობით უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში, სადაც კონსტანტინე დიდის გამოგზავნილი მშენებლობის მიერ დანერგილი იყო ეკლესიის მშენებლობის კანონები, არ შექმნილნენ ისეთ ამორფულ და პრიმიტიულ შენობებს, როგორც გამოიყურება ნეკრესის ჰიპოთეტური „სამნავიანი ბაზილიკა“ („კრიტიკა“, გვ. 90), სრულიად ფუჭი და უსაფუძვლოა. ბერძენ ოსტატებს, თუ ისინი მართლაც ჩამოვიდნენ, სწორედ არ დაუნერგავთ კანონები. ყველაფერი მოწმობს, რომ ქართველმა ხუ-

1 პირველი ქართული ძეგლი, რომელსაც ზედვე აწერია თარიღი, 864 წელს მიეკუთვნება — ეს არმაზის ეკლესიაა.

როთმოძღვრებმა საკუთარი ძალებით გაიკვლიეს გზა ახალი პრობლემების ამოსახსნელად: ჩვენში, თუმცა ეკლესია, როგორც ქრისტიანული სალოცავი, თავისი იდეური შინაარსითა და შემადგენლობით მიღებული იქნა დასავლეთიდან, ამ თემის მიღება სრულიად არ ნიშნავდა პირველი ქრისტიანული იმპერიიდან შენობათა ტიპების მიღებას მექანიკურად, გააზრებისა და შინაგანი გადამუშავების გარეშე. ბევრი რამ, რაც დასავლეთით გავრცელდა, საქართველოს არ მიუღია: ჩვენში არ გავრცელებულა ბაპტისტერიუმები (შეიძლება, თითოოროლა გამონაკლისის გარდა შავი ზღვის სანაპირო ზოლში), დასავლური ტიპის მავზოლეუმები, ბევრი სხვა ტიპიც, რომლებსაც ვხვდებით რომში, სირიასა და პალესტინაში, მცირე აზიაში, ადრიატიკის სანაპიროზე, საბერძნეთსა და კონსტანტინოპოლში. სამაგიეროდ, შეიქმნა საკუთარი ვარიანტები და ტიპები როგორც გუმბათოვანი, ისე უგუმბათო შენობებისა;

ბ. ქართველი არქიტექტორებისათვის ორგანული და ტრადიციული იყო ცენტრალური გეგმები, ხოლო ერთბაშად მისაღები არ გამხდარა სიგრძივად განვითარებული გეგმა, კერძოდ, ბაზილიკა, რომელიც რომის იმპერიაში ქრისტიანული სალოცავის ძირითადი, ეკლესიის მიერ აღიარებული და დადგენილი, ტიპი იყო. ხსენებული ცენტრალური გეგმები მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი ტრადიციის საფუძველზეა აღმოცენებული და არა, როგორც ახლახან ითქვა, რომაული ტრადიციის საფუძველზე, როგორც ეს იყო ხმელთაშუაზღვეთის ელინიზებულ რეგიონებში.

ზემოთქმული უტყუარად მოწმობს იმას, რომ ახალი იდეოლოგიის შემოსვლასთან დაკავშირებით ახალი ხუროთმოძღვრული თემატიკის დამკვიდრება და ხორცშესხმა მექანიკური პროცესი კი არ ყოფილა, საქმე მარტო ახალი თემის — ეკლესიის — გადმოღებას კი არ ეხებოდა, როგორც ეს ავტორებს ჰგონიათ, არამედ რთული, წინააღმდეგობათა შემცველი, ზოგჯერ მტკივნეული, შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი  პ რ ო ც ე ს ი იყო, რომ ხუროთმოძღვრებს ახალი ხუროთმოძღვრული თემატიკის ადეკვატური ხორცშესხმისთვის ამოსახსნელი ჰქონდათ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი  ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ც, რომ მხატვრული სიმწიფე რთული შინაგანი ევოლუციის შემდეგ იქნა მიღწეული. ყველამ, ვინც იცნობს ხელოვნების ისტორიას (და არა მარტო ლიტურგიკულ ლიტერატურას, ეკლესიის მამათა თხზულებებსა და საეკლესიო ინსტანციების დადგენილებებს), იცის ისიც, რომ სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო და და არც ყოფილა არსად და არასოდეს. ეს არის ის, რის გაგებაც არ სურთ და არ ძალუძთ ზ. კიკნაძესა და თ. მირზაშვილს, თუმცა მსჯელობის საგნად ხელოვნების ისტორიის, ე. ი. შემოქმედების, ფაქტობრივ აქვს უარყოფილი. პირიქით, მათ ქართული ხუროთმოძღვრების დამაკნინებლად მიაჩნიათ ის, რომ საქართველოში ახალი სარწმუნოების მიღებისთანავე, თვალის დახამხამებაში არ დაიწყეს დიდი, სავსებით ჩამოყალიბებული, ძეგლების აგება, დამაკნინებლად მიაჩნიათ ასეთი დამოუკიდებელი, შემოქმედებითი მიდგომა ამოცანისადმი. ამიტომვე აბრალებენ ისინი ვახტ. ბერიძეს, თითქოს მისი „თვალსაზრისი გამორიცხავს ადრექრისტიანულ (IV-V) საქართველოში რაიმე ღირსეულის შექმნას ხელოვნების ამ დარგში" („კრიტიკა", გვ. 92). კვლავ ნიმუში პრობლემათა პრიმიტიული გაგებისა.

არქიტექტურის ისტორიასთან გაცნობილი ადამიანისთვის ისიც ნათელია, რომ ყოველი ახალი ეპოქის მიჯნაზე განვითარება იწყებოდა მარტივიდან და მიმდინარეობდა გართულების გზით. ზოგჯერ ეს გამოიხატებოდა მასშტაბების ზრდითაც, უმთავრესად კი იხვეწებოდა ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტა, თანდათან მწიფდებოდა და ბოლოს სრულყოფას აღწევდა ესთეტიკური პრობლემების ხორცშესხმა.

საკითხის ბუნებრივი, ერთადერთი ლოგიკური ამოხსნა იყო ის, რომელიც აირჩია გ. ჩუბინაშვილმა: ქართული ძეგლებიც ისეთი თანმიმდევრობით დაალაგა, რომ ჩანდა სწორედ განვითარების ხაზი, ჩანდა ახალ პრობლემათა „დაპყრობისა" და „გადახარშვის" საფეხურები.

შეიძლება კაცმა იდავოს ცალკეული ძეგლის თარიღის დაზუსტებაზე, მაგრამ ვერავითარი ციტატები და ლიტერატურული წყაროები ვერ დაარღვევს ძეგლების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რომლის თანახმადაც პრიმიტიული შენობა ნეკრესის მცირე ეკლესიისა წინ უსწრებს ძველი შუამთისა და მატნის „ცხრაკარას" ბაზილიკებს, სადაც ახალი თემა ბაზილიკისა თანდათან ჩამოყალიბებას იწყებს, რომ ეს ორი შენობა წინ უსწრებს ბოლნისის სიონს, სადაც მხატვრული აზროვნების მაღალ საფეხურთან გვაქვს საქმე, ძეგლს, რომელიც, მიუხედავად ავტორებისა და მათი თანამოაზრეების ცდისა, V საუკუნის მიწურულს უკავშირდება, და არა IV საუკუნეს (ისიც დამახასიათებელია, რომ ბოლნისის სიონშიც რჩება ამოუხსნელი მხატვრული პრობლემები — ფასადების მთლიანი გააზრებისა, სკულპტურული დეკორის ერთიანი გააზრებისა — ამ ამოცანათა ამოხსნა მომდევნო საფეხურზე მოხდა); დოკუმენტურად დადასტურებულია თბილისის ანჩისხატის აგება VI საუკუნის დასაწყისში — ამას მოწმობს მისი არქიტექტურაც, და ლოგიკურად VI საუკუნის მწკრივში ექცევა ურბნისი და კახეთის ბაზილიკების მთელი ჯგუფი: აქ აშკარად ჩანს, ძველი შუამთისა და

მატნის ცხრაკარასთან შედარებით, ბაზილიკური თემის ათვისების ახალი საფეხურები.

ასევე ურყევი ლოგიკით გაიმართა გუმბათოვანი შენობების ხაზი — ზეგანის წმ. მარინეს ჯვარისებრი ეკლესია, სადაც შუა კვადრატს ჯერ კიდევ გარედან გამოუვლენელი გუმბათი (უფრო ზუსტად — გუმბათის ემბრიონი) ახურავს; შიომღვიმის ძველი ეკლესია VI საუკუნის შუა წლებისა, დაკავშირებული ასურული მამის მოღვაწეობასთან, იყალთოს მონასტრის მცირე ეკლესია, მეორე ასურული მამის ზენონ იყალთოელის დროისა (ე. ი. ესეც VI საუკუნის შუა ხანებისა), ზოგი სხვა შენობაც. უფრო გვიან ქართლსა და კახეთში აღმოჩნდა ამათი მონათესავე სხვა შენობებიც, რომლებშიაც ერთი აფსიდი და სამი სწორკუთხა მკლავია; ეს უმეტესად „თავისუფალი ჯვრის" ტიპის ეკლესიებია — ამ ტიპს აგვირგვინებს ისეთი მაღალმხატვრული შენობა, როგორიც არის სამწევრისის ეკლესია VII საუკუნისა. იმავე დროს, გაირკვა, რომ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ე. წ. ტეტრაკონქის თემამ, რომელმაც განვითარების თავისებური გზა განვლო: შეიქმნა ორიგინალური ტიპის შენობები (პარალელებით მხოლოდ სომხეთში), ჯვარის ტიპის სახელით რომ არის ცნობილი. ეს გზაც მარტივიდან რთულისკენ იყო: ძველი გავაზისა და თბილისის ქვაშვეთის (დავით გარეჯელის სახელთან დაკავშირებულის) უბრალო ტეტრაკონქები, ნინოწმინდის კათედრალის რთული, მაგრამ ჯერ კიდევ მხატვრულად არც მთლად ჩამოყალიბებული, ორგანიზმი, მცხეთის ჯვრისა და მისი ჯგუფის ძეგლები, სადაც ადრინდელი ხანის ქართული არქიტექტურა უმაღლეს მხატვრულ სიმწიფეს აღწევს; განვითარება ამითაც არ დასრულებულა. VII საუკუნეში შეიქმნა სრულიად ახალი სახის შენობა, წრომის ტაძარი, „ჩახაზული ჯვრის" ტიპისა. ქართველმა „ხელოვნების ისტორიკოსებმა" დაადგინეს, რომ ეს ერთი უადრესი ჩამოყალიბებული ნიმუშთაგანია ამ ტიპისა მსოფლიოში.

ამ ეპოქის ხუროთმოძღვრულ ძიებათა დამახასიათებელია ტიპების მრავალფეროვნება, ვარიანტების არსებობა — არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ძეგლი ერთ ჯაჭვზე იყო ასხმული, რეალური ვითარება ყოველთვის უფრო რთულია. გ. ჩუბინაშვილმა გამოავლინა და დაადგინა, რომ მხოლოდ საქართველოში (და არსად სხვაგან ამ სახით) არსებობდა აქვე შემუშავებული ტიპი — ე. წ. სამეკლესიიანი ბაზილიკები (მისივე შემოღებული ტერმინია); გუმბათიან არქიტექტურაშიაც არსებობს მთავარი ხაზის პარალელური ხაზები — იხ: მაგ., დავითიანის ეკლესია ურიათუბანში (შიგნით ერთფასადიანი ჯვარისებრი გეგმა, ჩასმული გარეთა ოქტოგონში), აგრეთვე, მანგლისის ტაძარი (ტეტრაკონქი ოქტოგონში), საუკუნის მიწურულისა, ზოგი სხვაც.

ძეგლთა კლასიფიკაციისა და დათარიღების დროს გ. ჩუბინაშვილი კრიტიკულად ითვალისწინებდა ყველა წერილობით ცნობას (წინაალმდეგ ავტორების უსაფუძვლო განცხადებისა), მაგრამ რაკი ამოცანა იყო ხელოვნების ისტორიის წერა და არა საეკლესიო ისტორიისა, ითვალისწინებდა, როგორც დავინახეთ, უპირველეს ყოვლისა, თვით ცოცხალი ძეგლების ხუროთმოძღვრულ მონაცემებს, არქიტექტურის ევოლუციის ლოგიკას, მხატვრული ამოცანების ჩასახვის, ჩამოყალიბებისა და ამოხსნის თანდათანობას; ითვალისიწნებდა, რა თქმა უნდა, კონკრეტულ ფორმებსა და დეტალებსაც, მაგ., საკურთხევლის ნაწილის სახეს

---

1. მანგლისის თავდაპირველ ტაძარზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ, რაკი მასთან დაკავშირებული მსჯელობა ზ. კიკნაძისა და თ. მირზაშვილის წერილში დამახასიათებელია ამ ავტორთა მეცნიერული არგუმენტაციის დონისათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, მანგლისი მატიანეში მოხსენებულია, ერუშეთისა და წუნდის ეკლესიებთან ერთად, როგორც კონსტანტინე იმპერატორის მიერ წარმოგზავნილი ხუროების მიერ აგებული — ე. ი. ამ ცნობის თანახმად, პირველი ეკლესია აქ აუგიათ IV საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს.

ჩვენს ავტორებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ იმ პირველმა ეკლესიამ დღემდის მოაღწია მანგლისის ტაძრის თავდაპირველი ნაწილის სახით. „მანგლისში არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურებულია თავდაპირველი მონუმენტური ნაგებობის მნიშვნელოვანი ნაწილი", წერენ ისინი ერთგან („კრიტიკა", გვ. 91); შემდეგ კი: „მანგლისის ტაძრის კულტურულ ფენაში აღმოჩენილია მისი თავდაპირველი გეგმა-ოქტოგონი, რომელშიც IV საუკუნის, კონსტანტინეს მშენებელთა შემოქმედების კვალი უნდა იქნას (Sic!) დანახული (შდრ. გრიგოლ ნაზიანზელის ცნობა ანტიოქიაში კონსტანტინეს მიერ აგებული ოქტოგონური ტაძრის თაობაზე" (გვ. 96). თავიდან ბოლომდე გაუგებრობაა. ჯერ ერთი, ავტორების შეთხზულია, თითქოს მანგლისის თავდაპირველი ოქტოგონი აღმოჩენილ იქნა არქეოლოგიური კვლევის შედეგად რაღაც კულტურულ ფენაში: მანგლისის ტაძარში არავის არ უწარმოებია არქეოლოგიური გათხრა და არც არავითარი „კულტურული ფენა" არ გამოუვლენია. ის, რომ XI საუკუნეში გადაკეთებული ტაძარი ადრე ოქტოგონი იყო, გ. ჩუბინაშვილმა დაადგინა თავის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში, დაადგინა, ცხადია, ყოველგვარი გათხრის გარეშე, თვით ძეგლში შემო-

(უნდა ვიცოდეთ, რომ ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების პირველ ხანებში ლიტურგია ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ შემუშავებული და, ამასთან დაკავშირებით, არც საკურთხევლის ნაწილს ჰქონდა მიღებული საბოლოო სახე), გადახურვის კონსტრუქციებს (შეკრული კამარა და ნამდვილი გუმბათი, მათი გავრცელების თანმიმდევრობა; ტრომპები და მათი არსებობის ფარგლები), [illegible] ზულობას, საერთოდ, მშენებლობის ტექნიკას და სხვ. როგორც ზემოთ ითქვა, ბუნებრივია,

---

რჩენილი ნაწილების დაკვირვებით; ხოლო ამ ოქტოგონის გეგმა გრაფიკულად აღადგინა მ. დვალმა (იხ. მისი „მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი“, თბ., 1974, ტაბ. 12). ასე რომ ის, რასაც ავტორები გვაცნობენ როგორც ახალ ამბავს — დიდი ხანია ცნობილია. გრიგოლ ნაზიანზელის ოქტოგონის დამოწმება იმისათვის, რომ მანგლისის ოქტოგონი კონსტანტინეს ხანას, ე. ი. VI საუკუნეს, დაუკავშირონ, სხვა რომ არაფერი ითქვას, გულუბრყვილობის ნიმუშია. რა ადვილად წყვეტენ ჩვენი ავტორები არქიტექტურის საკითხებს! აქვთ მათ რაიმე წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი იყო გრიგოლის მიერ მოხსენებული ოქტოგონი? თუ აქ იგულისხმება კონსტანტინეს მიერ კუნძულზე აგებული ტაძარი, იგი დიდი ხანია აღარ არსებობს, ცნობილი კი ის არის, რომ ორიარუსიანი იყო. მაგრამ რა საჭიროა ამ აღარარსებული ნაგებობის დამოწმება, როცა არსებობს სხვა ოქტოგონები და როტონდები, ზოგი თავდაპირველი სახით, ზოგი რამდენადმე სახეშეცვლილი? უნახავთ ავტორებს რომის წმ. კონსტანცას ეკლესიის ან ლატერანის ბაპტისტერიუმის ოქტოგონის გეგმები? დაინტერესებულან, როგორია იერუსალიმის წმ. საფლავის როტონდა ან ბეთლემის ქრისტეშობის ეკლესიის ოქტოგონური ნაწილი? ეს კი სწორედ კონსტანტინესდროინდელი შენობებია, ე. ი. თუ ჭეშმარიტების დადგენა სურდათ, ავტორებს მანგლისი მათთან უნდა შეედარებინათ. მხოლოდ ნახაზის „წაკითხვის“ ცოდნაა საჭირო იმის დასანახავად, რომ არც ერთ მათგანს არა მარტო კონკრეტული ფორმებით, ტიპითაც კი არაფერი აქვთ საერთო მანგლისთან: იქ წრიულად განლაგებულსვეტებიანი დარბაზებია, მანგლისი კი, როგორც ითქვა, ტეტრაკონქია ყოველგვარი სვეტების გარეშე, და სრულიად ბუნებრივად თავსდება ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციურ სურათში; ასე რომ, „კონსტანტინეს მშენებელთა შემოქმედების კვალის ძიება“ აქ სრულიად უიმედოა (ახლახან დასახელებული დასავლური ნიმუშები იმდენად ცნობილია და იმდენჯერ არის გამოქვეყნებული, *რომ უადგილოდ მიმაჩნია აქ ლი*ტერატურის მითითება).

კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: დიდი უმეტესობა კონსტანტინესდროინდელი როტონდებისა და ოქტოგონებისა — მარტირიუმებია (ამავე ტიპისა იყო ბაპტისტერიუმებიც — ჩვენში უცნობი ტიპი შენობისა), ხოლო აბსოლუტური უმეტესობა, ასე ვთქვათ, რეგულარული წირვა-ლოცვისთვის განკუთვნილი ეკლესიებისა — ბაზილიკურია. სრულიად დაუჯერებელია, რომ ბერძნებს მანგლისში და სხვა ადგილებშიაც ეშენებინათ ოქტოგონები და არა ბაზილიკები — ისინი ხომ ჩვეულებრივ ეკლესიებს აშენებდნენ და არა მარტირიუმებსა და მავზოლეუმებს.

დასასრულ, საჭიროა დავუფიქრდეთ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო, რეალურად, ხსენებულ ბერძენთა მშენებლობის ხასიათი და მასშტაბი. თუ ჩვენს ავტორებს მიაჩნიათ, რომ მანგლისის „თავდაპირველი მონუმენტური ნაგებობა“ მათი აშენებულია, უეჭველია, იმასაც ფიქრობენ, რომ ერუშეთსა და წუნდაშიაც ისინი ასეთსავე მონუმენტურ შენობებს აგებდნენ. როგორ წარმოუდგენიათ ავტორებს ამ მშენებლობის ხანგრძლივობა? ისინი სარწმუნოდ მიიჩნევენ მატიანეების ცნობას იმის შესახებ, რომ წილკნის ტაძრის აგებას 35 (ან 31) წელს მოუნდნენ. წილკნის ბაზილიკა, კიდეც რომ დავუჯეროთ ავტორებს, რომ აქ თავიდანვე დიდი ეკლესია აშენდა (ქვემოთ დავინახავთ, რომ დღემდე შემორჩენილი ბაზილიკა არ არის ის, რომელსაც მატიანე მოიხსენიებს), მაინც უფრო ადვილი ასაშენებელი იქნებოდა, ვიდრე უფრო რთული გეგმის მქონე გუმბათიანი მანგლისი. ე. ი. მანგლისის, ერუშეთისა და წუნდის ეკლესიებსაც მშენებლები, სულ ცოტა, ამდენსავე ხანს მაინც მოუნდებოდნენ. დავუშვათ თუნდაც, რომ კონსტანტინემ იმდენი ხურო გამოგზავნა, რომ მათ შეეძლოთ ერთდროულად ეშენებინათ ეს სამი ეკლესია და მცხეთის „ზემო ეკლესიაც“. მაინც როდის დაამთავრებდნენ ისინი მშენებლობას? გამოდის, რომ მირიანს, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ახალი სარწმუნოებისთვის სამლოცველოები, 25–30 წელიწადი მაინც უნდა ეცადა მათი დამთავრებისათვის. მეტისმეტად ფანტასტიკური სურათია! და თან იმის მაჩვენებელიც, თუ როგორი სიფრთხილითა და დაფიქრებით უნდა მოვექცეთ „ქართლის მოქცევის“ ცნობებს. ყველაფერი ეს არ გვაძლევს უფლებას მანგლისი IV საუკუნეს მივაკუთვნოთ, *მ. დვალს კი უფლებას აძლევს ივარაუ*დოს, რომ პირველად მანგლისში მართლაც პატარა ეკლესია აშენდა, ხოლო ის, რომელმაც დღემდე მოაღწია ტაძრის ძველი ნაწილის სახით, ვახტანგ გორგასალის ხანას, მანგლისში კათედრალის დაარსებას, დაუკავ-

საჭირო ყურადღება ექცეოდა მეზობელი ქვეყნების — სასანური ირანის, სომხეთის, სირიის, მცირე აზიის, ბიზანტიის, სხვა რეგიონების — მასალასთან შედარებას. ერთი სიტყვით ყოველი საკითხის შესწავლა ხდებოდა ყოველმხრივ და ამომწურავად, ვიმეორებ, რომ განვითარების ხაზი ნათელია, ლოგიკური, მეცნიერულად დასაბუთებული, ნათელია კონცეფცია. ჩვენ თვალწინ იხატება სურათი თავისთავადი, დამოუკიდებელი გზების მქონე, გასაოცრად ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებისა, მკაფიო ეროვნული სახის მქონე ხელოვნებისა, რომელიც არსებობდა და ვითარდებოდა ცივილიზებულ სამყაროსთან მუდმივ კავშირში, თავისი საკუთარი ამოცანების შესაბამისად ითვისებდა ყოველსავე მოწინავეს და თავისი შემოქმედებითი წვლილითაც ამდიდრებდა მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ხელოვნებას. ხაზს ვუსვამ, იხატება სურათი მაძიებელი, შემოქმედებითი ხელოვნებისა და არა სხვის გავლენათა მექანიკურად შემთვისებლისა.

ახლა ვნახოთ, რას გვთავაზობენ ჩვენი ავტორები სანაცვლოდ, როგორ წარმოუდგენიათ მათ ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების პირველი ნაბიჯები. შევეხები ცალ-ცალკე [illegible] უმთავრეს დებულებებს. [illegible] კი უნდა ითქვას, რომ ავტორების [illegible] და, არსებითად, ერთადერთი წყარო და დასაყრდენია „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა IX საუკუნისა და ლეონტი მროველის თხზულებები „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, XI საუკუნისა. ეს წყაროები, როგორც ვხედავთ, დაწერილია მოთხრობილ ამბავთა შემდეგ რამდენიმე საუკუნით გვიან. ამას კი არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ამ თხზულებებში, რომლებიც ზემოთ არა ერთხელ დავიმოწმეთ, არის ცნობები საეკლესიო მშენებლობის შესახებ ქართლის გაქრისტიანების პირველ ხანებში და, როგორც დავინახეთ, დასახელებულია კონკრეტული ძეგლებიც.

რაკი ასეა, ჯერ უნდა გავითვალისწინოთ, როგორია ამ ცნობათა ღირებულება, შეიძლება თუ არა ყველაფერს ვენდოთ. ზ. კიკნაძე და თ. მირზაშვილი მათ მთლიანად ენდობიან. აი, ივანე ჯავახიშვილის აზრი: „მკვლევარი მოქცევაი ქართლისაის მატიანის ცნობებს დიდის სიფრთხილით უნდა მოეპყრას და მხოლოდ თვითეულ ცნობის ღირსება-ნაკლოვანებათა აწონ-დაწონის შემდეგ ისარგებლოს, მაშინ ზოგ სასარგებლო ცნობასაც აღმოაჩენს“.[1] ი. ჯავახიშვილი ასახელებს არაერთ უხეშ შეცდომას: შუშანიკისა და ვარქსენის ცხოვრების დროის მითითებისას მატიანე ერთი საუკუნით ცდება; არეულია იოანე ზედაზნელის მოსვლის თარიღი, სხვა თარიღები; სასანელ მეფეთა დედაქალაქად მაშინ ჯერ კიდევ არარსებული ბაღდადია მოხსენიებული და სხვ. ივანე ჯავახიშვილისავე სიტყვით, ლეონტი მროველი ქართლის მოქცევისა და წმინდა ნინოს ცხოვრების მოთხრობისას თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს შატბერდისეულ წმინდა ნინოს ცხოვრებას, და ამ უკანასკნელის არც ერთი ნაკლი არა აქვს აცილებული.[2]

სხვადასხვა ტექსტი წინააღმდეგობას შეიცავს: განსხვავებულია მეფეთა სიები და თანმიმდევრობა; ლეონტი მროველის თანახმად, ბოლნისის ტაძარი ააშენა ფარსმან მეფემ, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით — ბაკურ მეფემ; წილკნის ეკლესია, ლეონტის მიხედვით, ააშენა ბაქარ მირიანის ძემ, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით — ბაკურ რევის ძემ; „მოქცევაის“ შატბერდული ვარიანტით მას აშენებდნენ 85 წელიწადს, ჭელიშურით — ოცდათერთმეტს; ჯუანშერის თანახმად, დემეტრე,

შიროს (არაფერს არ ნიშნავს ის, რომ ეს ფაქტი მატიანეებში არ არის აღნიშნული: ვის შეუძლია დაადასტუროს, რომ მატიანეში ყველა ეკლესიის აგებაა მოხსენებული, ან რაც მოხსენებულია, ყველაფერი სავსებით სარწმუნოა?). ზემოთქმული პასუხს სცემს ავტორების კიდევ ერთ პათეტიკურ (მათთვის ჩვეულ) შეძახილს: „რატომ უნდა აეგოთ კონსტანტინეს არქიტექტორებს პატარა ეკლესია, რომელიც ერთი საუკუნის შემდეგ დასანერგავი გახდებოდა?“ ესეც ავტორების დამახასიათებელი მეცნიერული არგუმენტაციაა! კონსტანტინეს არქიტექტორები პატარა ეკლესიებს საგანგებოდ იმისთვის კი არ აგებდნენ, რომ ისინი ერთი საუკუნის შემდეგ დასანგრევი გამხდარიყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მათი ამოცანა იყო ქართლში საეკლესიო მშენებლობის უპირველეს მოთხოვნილებათა სასწრაფოდ დაკმაყოფილება. როგორ ფიქრობენ ავტორები, რატომ გახდებოდა საჭირო ვახტანგ გორგასალის დროს სვეტიცხოვლის ახალი ეკლესიის აგება, წილკნის ეკლესიის შეცვლა ახალი ეკლესიით, რატომ „მატა შემკობა და აშენება ერუშეთისა წუნდას ეკლესიათა“, მირიანის დროს აშენებულთ, მირიანის შვილიშვილმა მირდატის ძემ ბაქარმა (ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, 131, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), თუკი თავდაპირველი ეკლესიები თავისი სიდიდითა და ხარისხით დამაკმაყოფილებელი იყო? ამ საკითხზე ავტორები თვალს ხუჭავენ, რაკი ეს მათ „თეორიას“ ხელს არ აძლევს.

1 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 107.

2 იქვე, გვ. 183.

ძმა სტეფანოზისა, „აღაშენებდა ეკლესიასა ჯუარისა პატიოსანისა, ხოლო სტეფანოზი იყო ურწმუნო“, არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა“; „მოქცევის“ თანახმად, „სტეფანოზ, ძმაი დემეტრესი, იქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა“.[1]

ახლა მივყვეთ ავტორთა უმთავრეს დებულებებს: საქართველოში ეკლესიის მშენებლობის კანონები დანერგეს კონსტანტინე იმპერატორის მიერ გამოგზავნილმა მშენებლებმაო. „ისინი საფუძველს უყრიან არა მხოლოდ შენობებს, არამედ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას საქართველოში როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში ჩაუყარეს საფუძველი“ („რიტიკა“, გვ. 90). უფრო მეტიც, მათი ჩამოსვლისთანავე საქართველოში (IV ს-ის 30-იანი წლებიდან-ვე) „საფუძველი ეყრება საერთოქრისტიანული სტანდარტებით (!) გათვალისწინებულ მშენებლობას“ (გვ. 77). „თუ მცხეთის პირველი ეკლესია წმინდა ნინოს ზეპირი სწავლებით აშენდა, კონსტანტინე დიდის არქიტექტორების მოსვლამდე..., მათი ქართლად მოსვლის დროიდან, უეჭველი უნდა იყოს, ეკლესიების მშენებლობა გარკვეული და შემუშავებული კანონების მიხედვით წარიმართებოდა“ (გვ. 90-91); „მათ (თუ ეპისკოპოსს?) შემოაქვთ ქართლში საღვთო ტექსტები (!), წ. რელიქვიები, საეკლესიო მშენებლობის კანონები — იერუსალიმის, ანტიოქიის და სხვა ცენტრებში არსებული ქრისტიანული არქიტექტურის გამოცდილება. თუ საერთოდ ცნობილია, როგორი ეკლესიები შენდებოდა აღნიშნულ ქალაქებში, სადაც კონსტანტინეს ხუროთმოძღვრები მუშაობდნენ, ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა ზოგადად მაინც, თუ როგორი ეკლესიები უნდა აეგოთ ამ არქიტექტორებს ერუშეთში, წუნდაში, მანგლისში ან მცხეთაში (ვგულისხმობთ „ზემო ეკლესიას“ (გვ. 91).

ამ ფრაზას მოსდევს შემდეგი სიტყვები: „აკად. ვ. ბერიძე კი სრული დარწმუნებით აცხადებს: „ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ეს ეკლესიები, ჩვენამდე არც ერთს არ მოუღწევია“. დიახ, მე ამას სრული დარწმუნებით ვაცხადებ, იმიტომ, რომ მე, ამ ავტორთაგან განსხვავებით, ვიცი, თუ რას ნიშნავს ხუროთმოძღვრული ძეგლის „ცოდნა“ და რას ნიშნავს „არცოდნა“. შემიძლია ისიც განვაცხადო, რომ წერილის ავტორებს სრულიად არავითარი წარმოდგენა არა აქვთ, რას და როგორ აშენებდნენ ხსენებულ ადგილებში კონსტანტინეს ხუროები, მით უფრო, რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, მანგლისის ძველი ნაწილი კონსტანტინესდროინდელი არ არის. შემდეგ ჩვენ დავასაბუთეთ მოსაზრება, რომ [illegible] გუმბათოვან, არამედ ბაზილიკურ, ყოველ შემთხვევაში, უგუმბათო ეკლესიებს ააშენებდნენ. ეს არის მაქსიმუმი, რის თქმაც ჩვენ შეგვიძლია. მაგრამ განა ეს კმარა რეალური არქიტექტურის წარმოსადგენად და, მით უფრო, აქედან „ფუძემდებელი“ დასკვნების გასაკეთებლად? როგორც ჩანს, ავტორებს სრულიად არა აქვთ გათვალისწინებული, რამდენნაირი ბაზილიკა ყალიბდებოდა იმ დროს საქრისტიანოში — ცალკე რომში და ცალკე პალესტინაში — განსხვავებული საკურთხევლით, ტრანსეპტითა და უტრანსეპტოდ, ნართექსითა და უნართექსოდ, ატრიუმითა და უატრიუმოდ, შესასვლელების განსხვავებული სისტემით. როგორ ეკლესიებს აშენებდნენ, მაშ, ჩამოსული ხუროები საქართველოში?

შემდეგ გრძელდება ავტორებისთვის დამახასიათებელი პათეტიკური პასაჟი (გვ. 93), გამოწვეული იმით, რომ გ. ჩუბინაშვილი IV საუკუნის მესამე მეოთხედს მიაკუთვნებს ნეკრესის მცირე ეკლესიას, ჯერ კიდევ პრიმიტიულსა და ჩამოუყალიბებელს: თუკი ქართველები „IV საუკუნის მიწურულშიც კი ვერ ისახავდნენ თურმე მკაფიო მხატვრულ ამოცანას... ან უშედეგოდ დამაშვრალან იმპერატორ კონსტანტინეს არქიტექტორები და მათს მოღვაწეობას ქართლში არავითარი ნაყოფი არ გამოუღია, ან საისტორიო წყარო ტყუის — არავითარი ხუროები არ მოსულან საქართველოში საეკლესიო მშენებლობის დასანერგად. მათი ღვაწლი იჩქმალება ხელოვნებათმცოდნეთა მიერ იმ მიზნით, რომ გამართლება მოეძებნოს „ქართლის მოქცევის“ ზემოხსენებული ადგილის მცდარ წაკითხვაზე დამყარებულ თვალსაზრისს“. მთელი ეს მსჯელობა მაგალითია იმისა, რომ ავტორების ცოდნა იფარგლება მხოლოდ მათ მიერ შერჩეული ლიტერატურული ცნობებით. მათ ფრიად შორეული წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ როგორი იყო რეალური პროცესები არქიტექტურის ისტორიისა საქართველოში და საქრისტიანოში, თუ რას ნიშნავს, საერთოდ, რეალური მშენებლობა. აქვე შევნიშნავთ, რომ მთელი წერილის მანძილზე აშკარად ჩანს: ისინი სრულიად ვერ ითვალისწინებდნენ, რომ ერთია „თეორია“ და მეორეა „პრაქტიკა“, ერთია ეკლესიის მამათა იდეები და საეკლესიო ინსტანციების დადგენილებები, და მეორეა მათი განხორციელება ცხოვრებაში. დამახასიათებელია, რომ მათ არც აინტერესებთ ამის შემოწმება: რა ხორციელდება სინამდვილეში და რა — არა.

მათი აზრით გამოდის — ეს ზემოთ უკვე

[1] ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1555, გვ. 131, 138 (ლეონტი მროველი), 223 (ჯუანშერი); მოქცევაი ქართლისაი: Е. Такаишвили, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузин, II, Т., 1906, გვ. 720—721, 724.

ალვნიშნეთ — რომ იმ დღიდან მოყოლებული, რაც კონსტანტინეს ხუროები მოევლინენ საქართველოს და სამი თუ ოთხი ეკლესია ააშენეს, ქართლში ერთბაშად გადაწყდა ახალი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების პრობლემები. ლამის მეორე დღესვე დაიწყეს დიდი, სრულიად ჩამოყალიბებული და მხატვრულად დასრულებული ტაძრების შენება. მაშინ აშენდა თითქმის ყველაფერი, რაც კი მნიშვნელოვანი იყო და არის ადრეული ხანის ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში და ეს მოხდა უმტკივნეულოდ, უფიქრებლად, ყოველგვარე წინააღმდეგობისა და გართულების გარეშე.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ რეალურად სურათი სწორედ ამის საწინააღმდეგოა, რომ იყო რთული პროცესი შეგუებისა, ადაპტაციისა. ამიტომაა, რომ კურიოზივით ჩანს ავტორთა „მრისხანე“ სიტყვები: „უმართებულოა და ისტორიულ სინამდვილეს მოკლებული თვალსაზრისი, თითქოს საეკლესიო მშენებლობა (ფართო აზრით) და, საერთოდ ახალი კულტურის შექმნა ქართველმა ხალხმა ბრმად და გაუთვალისწინებლად დაიწყოო“ (გვ. 96-97). ამას ჰქვია „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“. გ. ჩუბინაშვილისა და „ხელოვნების ისტორიკოსთა“ კონცეფციის აზრი და არსი, როგორც ზემოთ უკვე არა ერთხელ იყო განმარტებული, სწორედ ის არის, რომ ქართველები, რასაც კი გარედან იღებდნენ კულტურისა და ხელოვნების დარგში, გაცნობიერებულად ღებულობდნენ და თავისად აქცევდნენ, ხოლო ამ ავტორების მთელი მსჯელობა სწორედ ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

ამასთან დაკავშირებით ავტორებს უნდა დავუსვათ საკითხი: ახალი ქრისტიანული არქიტექტურის დაფუძნებისას სად გაქრა ქართული ხუროთმოძღვრების ის მრავალწლიანი ტრადიცია, რომელსაც თვითონვე მიმართავენ, როცა თავისი პოზიციის განმტკიცება სურთ — როგორ თუ ქართველები ვერ აშენებდნენ დიდ ეკლესიებს, როცა მანამდე ასეთი დიდი მშენებლობა იყო ჩვენშიო! მაგრამ საქმეც ის არის, რომ მათ ჰგონიათ, თითქოს ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიცია მხოლოდ სამშენებლო ტექნიკას გულისხმობს, მხოლოდ საძირკვლის ჩაყრას, კედლისა და სახურავის აშენების ცოდნას, მხოლოდ ქვის თლასა და წყობას. იძულებულნი ვართ შევახსენოთ მათ ის, რაც მთელი წერილის მანძილზე არც ერთხელ არ გახსენებიათ: რომ ხუროთმოძღვრება ხელოვნებაა, შემოქმედებაა, რომ ის გულისხმობს ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც, რომ ხუროთმოძღვრული თემები და ფორმები, რომელთაც ცალკეული ადამიანიც და მთელი ხალხიც ეჩვევა, სწორედ ფსიქოლოგიურად ეგუება საუკუნეთა მანძილზე და რომელთა დათმობაც უჭირს. შეგვიძლია გავიხსენოთ ახალი დროის მაგალითებიც, როცა სხვა კუთხეში ან ქვეყანაში გადასახლებული ადამიანები, ახალი სოფლების დაარსებისას, სულ სხვა გარემოცვასა და პირობებში, მაინც თავის ტრადიციულ სახლს აშენებენ, და არა ისეთს, როგორიც ახალ ადგილსამყოფელში დახვდათ. და სწორედ ამ ფსიქოლოგიურ ფაქტორს გულისხმობს, უპირველესად, გ. ჩუბინაშვილი, როდესაც წერს, რომ ქართული ხუროთმოძღვრებისათვის უფრო ახლობელი და გასაგები იყო ცენტრალური კომპოზიციები, დაკავშირებული უძველესი ხალხური საცხოვრებელი სახლის — „დარბაზის“ სივრცის ხასიათთან, და რომ ამ ტრადიციამ, რომელიც უწყვეტი იყო ათასწლეულთა მანძილზე (ეს დაადასტურა ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა — ალ. ჯავახიშვილმა შულავერის მახლობლად აღმოაჩინა მეხუთე ათასწლეულის საცხოვრებელი უჯრედები, სწორედ ცენტრალური ხასიათისა), რომ ამ ტრადიციამ გარკვეული როლი შეასრულა ქართული მონუმენტური ცენტრალურგუმბათოვანი საეკლესიო შენობების შემუშავებაში (ცხადია, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ გუმბათიან ტაძარში კონსტრუქციაც ხალხური სახლიდან აიღეს). ამით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი იმასაც, რომ დიდ ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას ეროვნულ ხალხურ ძირებთან აქვს კავშირი, ხაზი ესმება იმასაც (ეს უკვე აღინიშნა ზემოთ), რომ ქართულ ცენტრალურ შენობებს, იტალიის, სირიისა და სხვა ელინიზებული ქვეყნების ანალოგიურ შენობათაგან განსხვავებით, გენეტიკური კავშირი არა აქვთ ანტიკურ როტონდებთან და ოქტოგონებთან.[1] ეს ყველაფერი რატომღაც ავტორთა გულისწყრომას იწვევს: „გაუმართლებელია ბაზილიკური და ცენტრალურგუმბათოვანი ტაძრების ემბრიონთა ძიება საქართველოში“ (გვ. 97). არგუმენტი აქ ერთია: სიტყვა „გაუმართლებელია“ (არც ის

1. Г. Чубинашвили, Вопросы истории искусства, I, 1970, გვ. 43. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ცენტრალური კომპოზიციების ბირთვი — კვადრატზე დამყარებული გუმბათის თემა — ქართველ ხელოვნების ისტორიკოსებს გენეტიკურად დაკავშირებული აქვთ არა მარტო ხალხური საცხოვრებლის ტიპთან, არამედ სასანური ირანის სასახლეებთანაც. იხ. თუნდაც: ვახტ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 19.

ჩანს, თუ სად უნდა ვეძიოთ ქართული გუმბათოვანი ტაძრის ემბრიონი).

ამგვარად, წინაალმდეგ კიდევ ერთი პათეტიკური და მრისხანე შეძახილისა, რომელიც ავტორებს საკმარისი არგუმენტი ჰგონიათ („ყოვლად მიუღებელია კონცეფცია, რომელიც საქართველოს ერთადერთ ქვეყნად სახავს, სადაც ძნელი გამხდარა სამშენებლო პრობლემები, რომლებიც მთელს დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროში წარმატებით იყო გადაჭრილი“, გვ. 97). საქმე ეხებოდა მხატვრულ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს, და არა სამშენებლოს. ავტორების შეთხზულია, თითქოს ვისმე ეთქვას, რომ იმ ხანებში ქართველებმა საერთოდ დაივიწყეს შენების ხელოვნება. არავინ არ უარყოფს, რომ მშვენივრად შეეძლოთ ტრადიციული სასახლეები ეშენებინათ და არავითარ გაკვირვებას, არამედ მხოლოდ სიხარულს იწვევს, როცა ასეთი მშენებლობის ნიმუშები ჩნდება. ამ ხელოვნების დავიწყებას არ მოწმობს არც ის, რომ ნეკრესის ეკლესია მცირეა და ჩამოუყალიბებელი. არავის არ უთქვამს, იმ დროს რეალურად არ აშენებულა სხვა, ამაზე უკეთესი — ტექნიკურადაც, იქნებ მხატვრულადაც — ეკლესიაო, მით უფრო, რომ ნეკრესი შორეული პროვინცია იყო. ჩუბინაშვილი განიხილავდა იმ მასალას, რომელიც ხელთ ჰქონდა, ე. ი. არსებულ ძეგლებს (არარსებულის განხილვა, როგორც ვთქვით, ხელოვნების ისტორიკოსთ არ ძალუძთ, ამის უნარი მხოლოდ ამ წერილის ავტორებს აქვთ). ნეკრესის ბაზილიკა მან განიხილა არა როგორც ეტალონი და უმაღლესი მიღწევა, არამედ როგორც ადრინდელი ნიმუში, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით (სავსებით დასაშვებია, რომ უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე ცენტრებში) მაინც ასახავდა იმდროინდელ პრობლემებს, შენობა, რომელიც — როგორც ევოლუციის საფეხური — წინ უსწრებდა სხვა ადრინდელ ძეგლებს.

ამგვარად: როგორც არ უნდა ეცადონ ავტორები, დარჩენილი ძეგლები მოწმობს (ზემოთ ეს უკვე ითქვა), რომ კონსტანტინეს მშენებელთა ნალვაწის რეალური კვალი არსად ჩანს. ამას მოწმობს, უპირველესად, სწორედ იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიებთან შედარება, რომელთა გავლენა უნდა ყოფილიყო, ჩვენი ავტორების აზრით, საქართველოს პირველ ეკლესიებში (უნახავთ კი მათ ან ანტიოქიის, ან იერუსალიმის ძეგლების გეგმები მაინც?). კონსტანტინეს ხუროთმოძღვრები შემოიტანდნენ ახალ თემას, განმარტავდნენ ეკლესიის „შინაარსს“, მის ნაწილთა ფუნქციებსა და განლაგებას, ეპისკოპოსი განმარტავდა მღვდელთმსახურების წესებს, რომლებსაც უკვე იცნობდნენ ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც ამ ცოდნას არ გამოუწვევია ეკლესიების არქიტექტურის გაუპიროვნება, მათი საყოველთაო ერთგვაროვება ყველა ქვეყანაში. თუ გადავხედავთ რომის იმპერიისა და მისი მეზობელი რეგიონების უზარმაზარ ტერიტორიას, სადაც ქრისტიანობა გავრცელდა, დავინახავთ, რომ, მიუხედავად გარდუვალი გავლენებისა, გენეტიკური კავშირებისა, ზოგჯერ — ცალკეულ ხუროთმოძღვრულ ფორმათა ექსპორტისა და იმპორტისა, ახალი არქიტექტურა ყველგან ვითარდებოდა თავისებურად — ამას კვლავ ვუსვამ ხაზს — სწორედ ადგილობრივი ტრადიციების გავლენის შესაბამისად. ასე რომ, საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან ავტორების განცხადებას, კონსტანტინეს ოსტატების ჩამოსვლისთანავე საქართველოში ეკლესიების შენება საერთო ქრისტიანული სტანდარტებით დაიწყესო (ერთია ეკლესიის ფუნქციური შემადგენლობა, რომელიც ძირითადად, და მაინც არა მთლიანად, ყველგან ერთნაირი იყო, და მეორეა ეკლესიის, როგორც არქიტექტურული ნაწარმოების, ხორცშესხმა!). ამის თქმა ნიშნავს, საერთოდ, ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების კანონზომიერებათა არცოდნას.

მივყვეთ ავტორთა მსჯელობას. იმის დასამტკიცებლად, რომ ქართლ-კახეთში უკვე IV საუკუნეში უნდა გაჩაღებულიყო დიდი მასშტაბის საეკლესიო მშენებლობა, მათ სჭირდებათ ჯერ იმის დამტკიცებაც, რომ ქართლის გაქრისტიანების პროცესი უმტკივნეულო იყო, ქრისტიანული კულტი შემოსვლისთანავე ერთბაშად დამკვიდრდა და არ განიცდიდა ადგილობრივ კულტთა გავლენას:

„ქრისტიანული კულტურა თავისი დროისათვის სრულყოფილი ჩამოყალიბებული სახით ვრცელდებოდა ყველგან და არ „ითვისებდა ხალხის ძირითად რწმენას“ (ეს ჩუბინაშვილის სიტყვებია, ვ. ბ.). პირიქით, ქრისტიანობის მიზანი, წარმართული რელიგიებისაგან განსხვავებით, ყველგან და ყოველ დროს ის იყო, რომ საფუძვლიანად გარდაექმნა ხალხის ყოფა და შეგნება“ (ხაზი ჩვენია, ვ. ბ.). „როგორც ფ. კუმონი წერს, არსებითი განსხვავება ქრისტიანობასა და მითრაიზმს შორის მდგომარეობდა მათ დამოკიდებულებაში წარმართული რელიგიის მიმართ. მითრაიზმი ადვილად ეგუებოდა წარმართულ რწმენასა და კულტს ადგილობრივ მოსახლეობაში შეღწევის მიზნით... ქრისტიანული ეკლესია კი შეუწყნარებელი იყო წარმართობის ყოველგვარი გამოვლინების მიმართ და სწორედ უკომპრომისობამ გაამარჯვებინა მას წარმართობაზე და შეურყვნელად შეანარჩუნებინა საკუთარი სახე“...

„ეკლესიამ თავიდანვე ყურადღება მიაქცია ღვთისმსახურებაში თვითნებობის აღკვეთას, მან შექმნა გარკვეული და ყველასათვის სავალდებულო წესი ღვთისმსახურებისა“ (ც. კაკა-

ლიძე). კ. კეკელიძის ეს სიტყვები, რომლებიც შეიძლება გავიმეოროთ საეკლესიო არქიტექტურის მიმართ, ნათლად გამოხატავს ქრისტიანული კულტურის სულისკვეთებას, მის განუხრელ ტენდენციას საყოველთაობისკენ" (გვ. 97-98).

აქ ძნელი გასაგებია, რასთან გვაქვს საქმე: ეს უსაზღვრო გულუბრყვილობაა, თუ შეგნებულად თვალის დახუჭვა საყოველთაოდ ცნობილ და ადვილად გასაგებ ფაქტებზე. ეს კია, რომ აქ განსაკუთრებით ნათლად ჩანს ავტორების არგუმენტაციისა და მათ მიერ მოვლენათა შეფასების ის თვისება, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ: მათ არ სურთ გაითვალისწინონ, რომ ერთია რელიგიის იდეალი, მიზანი, „სულისკვეთება", რომელთა არსებობასაც არავინ არ უარყოფს, ერთია „სავალდებულო წესი ღვთისმსახურებისა", და სულ სხვაა მათი განხორციელება ცოცხალ პრაქტიკაში (სანამ გავაგრძელებდეთ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ არ არსებობს რელიგია, მით უფრო, როცა ის ახლად ინერგება და ვრცელდება, რომელსაც არ სურდეს ხალხის შეგნებისა და ყოფის გარდაქმნა. ასე რომ არ იყოს, რელიგია არც შეიქმნებოდა. მითრაიზმი ადვილად ეგუებოდა წარმართულ რწმენასა და კულტს ადგილობრივ მოსახლეობაში შეღწევის მიზნით. კი მაგრამ, რად უნდოდა მითრაიზმს „ადგილობრივ მოსახლეობაში შეღწევა", განა იმისთვის არა, რომ მის შეგნებაზე და ყოფაზე გავლენა მოეხდინა?).

ავტორების აზრით სურათი ასეთია: მოვიდნენ კონსტანტინეს ხუროები და ეპისკოპოსი, მოიტანეს წიგნები, კანონები, წირვა-ლოცვის წესები და ქართლ-კახეთის მოსახლეობამაც მაშინვე იწამა, რომ ახალი სარწმუნოება სჯობდა ძველს, ხოლო სამღვდელოება იმ დროიდანვე განუხრელად შეუდგა სავალდებულო წესების შესრულებას (რომლებიც — ესეც ხომ უნდა ვიცოდეთ — მაშინ არც კი იყო ჯერ კიდევ შემუშავებული). იდილიური სურათია. მაგრამ სურათი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ხალხის შეგნების გარდაქმნა ახალი იდეების საფუძველზე ყოველთვის მტკივნეული, ხშირად უმძიმესი პროცესი იყო. შორს რომ არ წავიდეთ, ამის მაგალითები XX საუკუნეშიაც ბევრი გვაქვს. რაღა უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეების მიჯნაზე (უფრო ადრეც), როცა ეს გარდაქმნა ხალხის უსწავლელ, უმეტესად ბნელ მასას შეეხებოდა? მაგრამ ეს აპრიორული დასკვნა რად გვინდა? ავტორები სულ რომ „ქართლის მოქცევასა" და „ქართლის ცხოვრებას" იშველიებენ, იქ არ შეხვედრიათ მირიანის ანდერძის სიტყვები, მიმართული შვილისადმი: „აწ სადაც ჰპოვე ქვეყანასა შინა შენსა... მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინც მათ ეგლოვდეს"?!! არ შეხვედრიათ ცნობა იმის შესახებ, რომ გაქრისტიანების შემდეგაც ქართლში ტახტზე ისხდნენ მეფენი და მთავარნი, რომელთაგან ზოგმა „არა მსახურა ღმერთსა, არცა აღაშენა ეკლესია, არცაღა მატა შენებულთა" (ლეონტი მროველი მირდატის შესახებ — ეს V საუკუნის დასაწყისია), ზოგი იყო „კაცი ურწმუნო და მოძულე რჯულისა" (ვარაზბაქარი, IV საუკუნის მეორე ნახევარი), რომ ვახტანგის დროს „წვრილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლისმსახურებასა"[2] რომ მეფეები იარაღით ხელში ამკვიდრებდნენ ახალ სარწმუნოებას? ეს იმდენად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია, რომ უხერხულიც კი არის მათი შეხსენება. დაავიწყდათ ავტორებს, რომ ქრისტიანობის მთელ ისტორიას თან სდევს მწვავე, ხშირად სისხლისმღვრელი, ბრძოლა იდეოლოგიური სიწმინდისათვის, ბრძოლა „გადახრებთან", მწვალებლობასთან? როგორი ბრძოლა იყო ყოველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე თუნდაც იმისთვის, რომ შექმნილიყო „ყველასთვის სავალდებულო წესი ღვთისმსახურებისა", რომ დაცული ყოფილიყო რწმენისა და მსახურების სიწმინდე? ადვილი გასაგებია, რომ ასეთი ბრძოლა ეკლესიასა და სარწმუნოებას არ დასჭირდებოდა, მართლმორწმუნეობის ყველა დოგმა და ეკლესიის ყველა დადგენილება განუხრელად და უმტკივნეულოდ რომ განხორციელებულიყო. ეს ყველაფერი რეალური ვითარებით იყო გამოწვეული და უბრალო თავის შექცევა არ ყოფილა.[3]

რასაც უნდა წერდეს კიუმონი იმის შესახებ, მითრაიზმისაგან განსხვავებით „ქრისტიანობა შეუწყნარებელი იყო წარმართობის ყოველგვარი გამოვლინებების მიმართ" — რა ვუყოთ იმ ფაქტებს, რომ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ქართული წარმართული პანთეონიდან შეითვისა, ლეგალურად აღიარა ზოგი ღვთაება, რა ვუყოთ წმ. გიორგის, რომელიც ჩვენში მთვარის წარმართულ კულტს და წარმართულსავე ნადირთ ღვთაებას უკავშირდება? რა ვუყოთ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში წინაქრისტიანულ რწმენათა უამრავ გადმონაშთს, რომლებიც თვით XVII საუკუნეშიც კი იჩენს

1 შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 355.

2 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, თბ., 1955, გვ. 135, 138, 145 და სხვ.

3 განა „შუშანიკის მარტვილობაც", არსებითად, ქრისტიანობის დამკვიდრების სირთულეთა ამბავს, იდეოლოგიური შეპირისპირების ტრაგიკულ კოლიზიებს არ გადმოგვცემს?

თავს? რა ვუყოთ წინაქრისტიანული წარმოშობის ხარისთავს, რომელსაც რქებს შუა ჯვარი უზის (ბოლნისში)? რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ქრისტიანული ეკლესიები ზოგჯერ შენდებოდა წარმართული სალოცავის ადგილას სწორედ იმისათვის, რომ ქრისტიანობას „მოსახლეობაში შეეღწია", რომ მოსახლეობისთვის სწორედ ფსიქოლოგიურად შეემსუბუქებინათ ახალ სალოცავებთან შეგუება?[1]

აქ სასარგებლო იქნება დავიმოწმოთ გამოჩენილი შვეიცარიელი ფსიქოლოგის კარლ-გუსტავ იუნგის სიტყვები (მისი წიგნიდან „ფსიქოლოგიური ტიპები"): „სარწმუნოების ცვლა მიეკუთვნება მსოფლიო ისტორიის ყველაზე მტკივნეულ (მტანჯველ) მომენტებს. მიაჩნიათ, საკმარისია, ალიარო რომელიმე ალმსარებლობითი ფორმულა არასწორად და მცდარად, რომ ფსიქოლოგიურად გათავისუფლდე ქრისტიანობის ან იუდაიზმის ტრადიციულ გავლენათაგანო". სინამდვილეში, „ფსიქიკის ღრმა ფენები, ფსიქიკურ ინერციას დაქვემდებარებულნი, კიდევ დიდხანს განაგრძობენ მოქმედებას ძველებური განწყობით.., რაც უფრო ღრმად არის ფესვგადგმული რომელიმე განწყობა, მით უფრო ძალმომრეობითი უნდა იყოს ზომები, რომელთაც მიიღებენ მათგან თავის დასაღწევად".[2]

1 აქ შეიძლება გავიხსენოთ, აგრეთვე, V საუკუნის სირიული ძეგლის სომხური თარგმანი. ძეგლი მიეწერება ეფრემ ასურს და ნიკო მარის მიერ არის გამოცემული: Ефрем Сирин, О днях празднования Рождества: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, I, СПБ, 1900. აქ (გვ. 22) მოთხრობილია შემდეგი: აღმოსავლეთში შობა დღეს 6 იანვარს დღესასწაულობდნენ და მხოლოდ IV საუკუნის დასასრულიდან დამკვიდრდა, რომაული ტრადიციის თანახმად, 25 დეკემბერი. ეს ასე არის ახსნილი: «И 25-го (числа) первого кануна, когда день начинает брать (время) у ночи, все языческие цари спешили совершить великий праздник солнца, причем приносили много жертв, ели и пили при звуках медных труб и рогов... в парадных одеждах и с играми — бегами на лошадях... Все это видели вновь уверовавшие в Христа... и у них слабела вера в Бога... Тогда многие святые отцы патриархи..., исполнившись мудрости Духа Божьего, пожелали и постановили определение праздновать этот день в честь Рождества Христова. Они говорили так: «Солнце правды есть Христос и нет греха в праздновании . Ему (в день, посвященный солнцу) и в прекращении призрачного языческого праздника».

2 К. Г. Юнг. Психологические типы, 1929, გვ. 176—177.

ამასთანავეა დაკავშირებული „საღვთო შიშის" საკითხი, რომელსაც [illegible] „წერილის" ავტორები და მათი თანამოაზრენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. როგორც ზემოთ ითქვა, მათ მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ „შიშის" არასწორი ინტერპრეტაცია წარმოადგენს გ. ჩუბინაშვილის მთელი კონცეფციის არსსა და საფუძველს. აქ დაგვჭირდება გავიხსენოთ ზოგი რამ, რასაც ამ წერილის დასაწყისში შევეხეთ. გ. ჩუბინაშვილმა, როგორც ითქვა, რეალური მასალისა და წერილობითი საბუთების შეჯერებით დაადგინა ევოლუციის სურათი, რომლის მიხედვითაც პირველი ქართული ეკლესიები პატარა იყო. ვიმეორებ ხაზგასმით — ეს ზემოთაც ითქვა — ეს დადგინდა რეალური მასალის, თვით ძეგლების, დაკვირვების საფუძველზე. მხოლოდ ამის შემდეგ გ. ჩუბინაშვილი იხსენიებს მირიან მეფის „წერილის" მოთხრობას იმის შესახებ, რომ, რაკი სვეტიცხოვლის გამო „შიში იგი დაცემული იყო ყოველსა ზედა კაცსა", ეკლესიაში ხალხს შესვლა ეშინოდა და შიგ მარტო მღვდელი შედიოდაო. გ. ჩუბინაშვილი ამ ცნობას იყენებს, როგორც დამატებით შესაძლებელ საბუთს პირველი ეკლესიების (თუნდაც ნეკრესისა და ჭერემის სამლოცველოთა) სიმცირისა და მათი თავისებურების ასახსნელად (გახსნილი კედლები რომ აქვთ): „მირიან მეფის წერილის შენიშვნა, მორწმუნეთ ეშინოდათ ეკლესიაში შესვლისა და ეკლესიაში შედიოდნენ მხოლოდ მღვდლებიო — ჰპოვებს, მგონი, აქ ილუსტრაციას: წირვაზე დასწრება, მოსმენა და თვით ნახვაც, შეიძლებოდა შიგ ტაძარში შეუსვლელადაც. სავსებით გასაგები ხდება ტაძრის მცირე ზომაც".[1]

სწორედ ამ აზრის გამო არის ატეხილი განსაკუთრებული განგაში და მეხის ტეხა. არგუმენტები ასეთია: 1. შიშს იწვევდა მხოლოდ სვეტიცხოველი, სხვა ეკლესიებში შესვლისა არ ეშინოდათ; 2. ეს შიში „საღვთო შიში" იყო; 3. „ეკლესიის, როგორც საკრებულოს, ძირითადი ფუნქციაა ღვთისმსახურისა და მრევლის გაერთიანება თავის წიაღში" (გვ. 88), ამიტომ შეუძლებელია, რომ მრევლი ეკლესიის გარეთ რჩებოდეს; 4. ნეკრესის შენობა არ არის ბაზილიკა, რაკი ბაზილიკის ნიშნები არა აქვს, და არც ეკლესიაა; ჭერემის კვადრატიც არ არის სამლოცველო, ეს IV საუკუნის ძეგლები არ არის. IV საუკუნის ძეგლები მცირე კი არა, დიდი ზომისა იყო.

ჯერ „შიშის" გამო. თვით ავტორები ვრცლად წერენ იმის შესახებ, რომ იმთავითვე არსებობდა „საღვთო შიში", „რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ქრისტიანობის ჩა-

1. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 25.

სახვისთანავე და აისახა კიდეც რელიგიურ ლიტერატურაში“ (გვ. 64), დამოწმებულია ნეტარი ავგუსტინე: „ძალზე იშვიათად, თუმცა არა, არასოდეს მომხდარა, რომ თავისი ნებით გაქრისტიანებული ადამიანი ერთხელ მაინც არ მოეცვას სალვთო შიშს“ (იქვე). მაგრამ ეს თურმე სხვა შიში ყოფილა, რომელიც სვეტიცხოვლის განსაკუთრებული ძალისა და მნიშვნელობის გამო, მორწმუნეთ უშლიდა ტაძარში შესვლას, ყველა სხვა შემთხვევაში კი, მცხეთის ახლად მოქცეულ ერს ეკლესიისკენ უხმობდა (გვ. 69), ხოლო ჩუბინაშვილი და ხელოვნების ისტორიკოსები რომ შიშს იმოწმებენ, ის სხვა შიშია, ის თურმე არა სალვთო შიშია, არამედ პანიკური. „შიშზე, როგორც აუცილებელ რელიგიურ განცდაზე, რომელიც ყოველი სარწმუნოების საფუძველია, ხელოვნების ისტორიკოსებს პირუკუ წარმოდგენა აქვთ“ (გვ. 69). საბუთი: ციტატა ჩემი წიგნიდან: „ადვილი არ იყო ამ ახალ, ჯერ კიდევ უცხო და უცნობ ღმერთთან შეგუება: „მისგან შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა კაცსა ზედა“ (გვ. 68). ავტორები მისაყვედურებენ, „წყაროებში წერია: შიში დიდი დაცემული იყო ყოველსა კაცსა ზედა სვეტისგან მისგან ცხოველისა“, ე. ი. ცხოველი სვეტისა და არა „უცნობი“ და „უცხო ღმერთისგანო“ (გვ. 69, ხაზი ჩემია, ვ. ბ.). რა თქმა უნდა, ჩემი აზრის სრულიად „დამოუკიდებელი“ ინტერპრეტაცია და კიდევ ერთი მაგალითი იმისა, როგორ გაუბრალოებულად და პრიმიტიულად წარმოუდგენიათ წერილის ავტორებს რეალური ვითარება.

გავიხსენოთ, როგორია ეს ვითარება: მცხეთის მცხოვრებნი წარმართები არიან, ეს სარწმუნოება მათთვის ტრადიციულად ბუნებრივი, შეჩვეული და ორგანულია; იმხანად ქართლში იწყებენ ახალი სარწმუნოების ქადაგებას; მეფე-დედოფალი ინათლებიან; აშენებენ პირველ ეკლესიას; და ამ დროს მოქმედების ასპარეზზე შემოდის „სვეტი-ცხოველი“; მასთან დაკავშირებით ხდება სასწაული, რომლის წყალობითაც ახალი სარწმუნოება საბოლოოდ გადასწონის ძველს — სვეტიცხოველი ამ ვითარებაში უკანასკნელი და გადამწყვეტი არგუმენტია ქრისტიანობის სასარგებლოდ. და განა შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, რომ ამ ახლად მოქცეულთა, თუ მოსაქცევთათვის სვეტიცხოველი ახალი სარწმუნოების, თვით ახალი ღმერთის პირდაპირი ემანაციაა, ღმერთის ადექვატურია, რომ ამ ადამიანთათვის ყველაზე უტყუარი საბუთია ახალი ღმერთის არსებობისა? განა მისი ასეთი, სწორედ მატერიალური გამოვლინება განსაკუთრებით დამარწმუნებელი არ უნდა ყოფილიყო გუშინდელ, ან ჯერ კიდევ დღევანდელ წარმართთათვის, რომლებიც კერპებს, ე. ი. მატერიალურ შეცნობად საგნებს, სცემდნენ თაყვანს? ან, განა ცნობილი არ არის რომ შუა საუკუნეებში მორწმუნე ხატს ისე მიმართავდა, როგორც ღვთაებას? მაშ რა გასაკვირია, რომ სვეტიცხოვლის შიში და ახალი ღმერთის შიში მაშინდელი მცხეთელებისთვის ერთი და იგივე ყოფილიყო? „უცნობი და უცხო ღმერთი“-მეთქი რომ ვამბობ, ნუთუ წერილის ავტორებს სერიოზულად შეუძლიათ იფიქრონ, რომ წმინდა ნინოს ქადაგების ხანებში, ე. ი. ქრისტიანობის პირველი ნაბიჯებიდანვე, პირველი ეკლესიების აშენებისას, ახალი ღმერთი ქართლის მოსახლეობისთვის უცნობი და უცხო არ იყო? ნუთუ შეუძლიათ იფიქრონ, რომ ახლადმოქცეულთ უკვე სრულიად დავიწყებული და გულიდან ამოგდებული ჰქონდათ გუშინდელი კერპი და, მიუხედავად მათი დამხობისა, არ ჰქონდათ შერჩენილი იმათი რიდი? ჩვენს ავტორებს, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც ჰგონიათ, რომ ყველაფერი რეგლამენტის მიხედვით მიმდინარეობდა, წყნარად და უშფოთველად, რომ ახალი სარწმუნოების ადეპტებმა, ამ უსწავლელმა, რწმენისა თუ ცრუმორწმუნეობის პრესის ქვეშ მყოფმა ადამიანებმა, იმთავითვე შეძლეს მის ნამდვილ არსს ჩასწვდომოდნენ, გაეაზრებინათ იგი და სრული შეგნებით მიეღოთ თავის სარწმუნოებად? რა თქმა უნდა, IX და XI საუკუნეების ავტორები, რომლებიც ქართლის მიერ ქრისტიანობის მიღებას გვიამბობენ, სხვაგვარად არ და ვერ დახატავდნენ ამ სურათს, თუ არა როგორც საყოველთაო დღესასწაულსა და სიხარულს, რომელმაც მოიცვა მთელი ხალხი, სხვას არაფერს იტყოდნენ, თუ არა იმას, რომ ზღვა ხალხი თავისი ნებით აწყდებოდა ეკლესიებს, რომ იყო „სასწაულები უზომო“, „კურნებანი მიუთხრობელნი“, რომ ეს იყო საყოველთაო, უწყვეტი ზეიმი, რომ შენდებოდა „ფრიად დიდი“ ეკლესიები. მაგრამ ერთია ის, რასაც ფიქრობდნენ, „ქართლის მოქცევის“ ავტორები და ლეონტი მროველი, უფრო სწორად, რაში სურდათ დაერწმუნებინათ თავისი თანამედროვენი, და მეორეა (სულ სხვაა!) IV საუკუნის ოცდაათიანი წლების მცხეთელთა ნამდვილი სულიერი განწყობილება, განწყობილება შეშფოთებისა, ძველსა და ახალს შორის მერყეობისა, განწყობილება იმ ადამიანებისა, რომელთათვის ახალ სარწმუნოებაში ჯერ კიდევ ბევრი რამ (ზოგისთვის ყველაფერი!) გაუგებარი და „მიუთხრობელია“. და განა შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ ეს განწყობილება შიშითაც იყო შეფერილი? რომ, როდესაც ახლად მოქცეულნი ახალი სარწმუნოების აღიარებას თანხმდებოდნენ, შიშის ფაქტორი დიდი იყო, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე შეგნებისა, გაგებისა (იმაზე რომ აღარაფერი ითქვას, რომ ბევრი იძულებით „მოაქციეს?)?. და, რა თქმა უნდა,

იმ ახალმორწმუნეთათვის „საღვთო შიში" სრულიად არ იყო დიფერენცირებული საერთოდ შიშისაგან; „საღვთო შიშის" ცნება ეკლესიის მამების შემუშავებული იყო და მისი ამბავი ლიტერატურიდან იციან წერილის ავტორებმა; მაგრამ იმას, რაც იცოდა ნეტარმა ავგუსტინემ, ნუ მოვახვევთ თავს პირველ ქართველ ქრისტიანებს. ისინი თავიანთი განცდების რეგულირებას ეკლესიის მამების მიხედვით ვერ აწარმოებდნენ, ეს უკანასკნელნი მათი თანამედროვენიც რომ ყოფილიყვნენ.

ასე რომ, ის შიში, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი, ვახტ. ბერიძე და სხვანი იმოწმებენ, სწორედ ის შიში იყო, რომელსაც ახალი, სწორედ „უცნობი და უცხო" ღმერთის წინაშე განიცდიდნენ წმინდა ნინოს თანამედროვე ქართველები (თუმცა არ იცოდნენ, რომ იგი აიხსნა ან შემდეგში აიხსნებოდა რელიგიურ ლიტერატურაში), და არა სხვა რაიმე — რას ვუწოდებთ ამ შიშს, ეს ვითარებას არ ცვლის.

ასევე, არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ კონცეფციისათვის, შედიოდნენ თუ არა მლოცველები სხვა ეკლესიებში, გარდა სვეტიცხოვლისა: დამატებით მოხმობილი საბუთი (მირიანის სიტყვები აგრეთვე უნდა მოწმობდეს იმას, რომ ეკლესიაში შესვლა ეშინოდათ და ესეც მიგვანიშნებს, რატომ შენდებოდა პატარა ეკლესიებიო) მთლიანად რომ ამოვიღოთ კიდეც, ეს ოდნავადაც არ ცვლის გ. ჩუბინაშვილისა და ხელოვნების ისტორიკოსთა კონცეფციას, იგი სრულიად უცვლელი რჩება: ა. ძალას ინარჩუნებს დებულება, რომ გარდუვალი იყო ახალ რელიგიასთან, ახალ, ჯერ კიდევ უცნობ და უცხო ღმერთთან, ფსიქოლოგიური ადაპტაცია, რომ პროცესი ახალი სარწმუნოების დამკვიდრებისა რთული და ძნელი იყო; ბ. ძალას ინარჩუნებს დებულება, რომ პირველი ეკლესიები პატარა და მხატვრულად მოუმწიფებელი იყო, შემდეგი საფეხურები კი ეკლესიის თემის განვითარებას, ზრდასა და მხატვრულ მომწიფებას მოწმობს. გ. ძალას ინარჩუნებს ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა მიერ მოცემული მხატვრულ-სტილისტური დახასიათება ეპოქისა; მით უფრო არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ საბუთს ხუროთმოძღვრების მთელი შემდგომი ევოლუციის სურათის, მისი სპეციფიკისა და სტილისტიკური თავისებურებების წარმოსადგენად.

ავტორები იხმობენ სხვადასხვა წყაროს იმის დასამტკიცებლად, რომ „ეკლესიის ფუნქცია ღვთისმსახურისა და მრევლის გაერთიანებაა თავის წიაღში" (გვერდი 88), რომ «составлять собор из одних епископов так же противно духу христианства, как и богослужение без народа». ეს ეკლესიის ისტორიკოსის ს. ტროიცკის სიტყვებია, რომლებიც ავტორებს ისევ და ისევ იმის დასამტკიცებლად სჭირდებათ, რომ ჩვენი პირველი ეკლესიებიც დიდძალი ხალხის მიმაღებად იყო განკუთვნილი და, ამიტომ, დიდი უნდა ყოფილიყო. ფორმულა, ზოგადად, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ თუ მას მექანიკურად გავავრცელებთ, როგორც ყოვლის მომცველსა და ყველაფრის განმსაზღვრელს, ე. ი. თუ მას, ავტორთა ჩვეულებისამებრ, არ შევამოწმებთ რეალური ისტორიული ფაქტებით, დიდად დავშორდებით სინამდვილეს: ა. მთელ საქრისტიანო სამყაროში, დიდ ეკლესიებთან ერთად, არსებობს უამრავი მცირე სამლოცველო, რომელშიაც ზოგჯერ სულ რამდენიმე, ზოგჯერ, დიდი-დიდი ორი-სამი ათეული, კაცი ეტევა — ეს შეიძლება კარის ეკლესია იყოს, ან სოფლის პატარა სამწირველო; საქართველოშიც — არა მარტო ადრეულ ხანაში, არამედ შუა საუკუნეების მთელ მანძილზე — არსებობს ასეთი მინიატურული კაპელები, მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. რა ვუყოთ ამ შენობებს, ამოვრიცხოთ საეკლესიო ნაგებობათა სიიდან? ბ. რა დავარქვათ მთა-საქართველოს, მით უფრო, ფშავ-ხევსურეთის, სამლოცველოებს? ერთი ხელის მოსმით ამოვრიცხოთ იქაური მკვიდრნი ქრისტიანების რიცხვიდან? გ. ისიც დავივიწყოთ, რომ არსებობდნენ მეუდაბნოენი და დაყუდებულნი, დავივიწყოთ მცირე კაპელები ჩვენს გამოქვაბულ კომპლექსებში? დ. განა „ერისა სიმრავლე", ნახსენები წყაროებში, ე. ი. წირვის მოსასმენად მოსულ მორწმუნეთა დიდი რაოდენობა, თავისთავად აუცილებლად გულისხმობს საეკლესიო შენობის სიდიდესაც? განა „ეკლესიის" ცნება აუცილებლად ემთხვევა ნაგებობის ცნებას, „მრევლი" და „ეკლესია" ერთი და იგივეა? ე. ისიც გასახსენებელია, რომ სვეტიცხოველი არ არის ერთადერთი მაგალითი ეკლესიისა, რომელშიაც მლოცველები არ შედიოდნენ. კალატ-სემანის სახელგანთქმულ ანსამბლში, რომელიც სვიმეონ მესვეტის მოღვაწეობას უკავშირდება, „ცენტრალურ სივრცეში ტრაპეზის ნიშანწყალიც არ არის. აღმოსავლეთის ბაზილიკის ნავთა შესასვლელიცა და აღმოსავლეთის კუთხის აბსიდიოლებიც ზღუდეებით იკეტებოდა. ამით ნაგებობის მთელი ეს ნაწილი მღვდელთმსახურების ადგილად იყო ქცეული და აშკარად მხოლოდ სამღვდელოებისთვის გათვალისწინებული... მორწმუნეთა უმრავლესობას წირვაში მხოლოდ სმენით შეეძლო მონაწილეობის მიღება"[1] (დავუმატებთ, რომ ბაზილიკის შესასვლელიდან საკურთხევლამდე 35 მეტრია). წერილის ავტორები დარ-

[1] Günter Stanze, Längsbau und Zentralbau als Grundthemen der frühchristlichen Architektur. Wien, 1979, გვ. 54.

წმუნებულნი არიან, რომ სხვა ასეთი გამონაკლისი სხვაგან არსად არსებობდა? დასასრულ, ის ფაქტი, რომ ნეკრესის ბაზილიკასა და ჭერემის კვადრატს გახსნილი კედლები აქვს, ხომ სწორედ იმას მოწმობს, რომ მორწმუნეთ შეეძლოთ წირვის მოსმენაც და დანახვაც (თანაც, სულ ორიოდე ნაბიჯის მანძილიდან), ე. ი. მწირველი და მრევლი გათიშული არ იყვნენ. გ. ჩუბინაშვილი ხომ საგანგებოდ აღნიშნავს ამას? («...чтобы допустить к богослужению значительное количество верующих, раскрыли стены квадрата арками») .

ახლა ისევ პირველი ქართული ეკლესიების ზომებისა და თარიღების შესახებ. იმისათვის, რომ IV საუკუნეში მოუყარონ თავი ძეგლებს და გამოაჩინონ მათი მნიშვნელოვანი ზომები, ხოლო ძეგლები, რომლებიც მათ ხელს არ აძლევს, თავიდან აიცილონ, წერილის ავტორები, უპირველეს ყოვლისა, თავს ესხმიან ნეკრესის მცირე ეკლესიასა და ე. წ. „ჭერემის კვადრატს“ (მათი ნაწერებისა და გამოსვლების მიხედვით ვისმე შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ მთელი ქართული ხუროთმოძღვრების მომავალი ბედ-იღბალი ამ ორ შენობაზე იყო დამოკიდებული). საჭიროა დამტკიცდეს, რომ ნაკრესის შენობა ეკლესიაც კი არ არის. საბუთები: ა. ბაზილიკის ნიშნები არა აქვს და მაინც ბაზილიკად თვლიანო; ბ. ორიენტირებული არ არის, მაშინ, როცა „იმ ხანისათვის, როცა მკვლევარნი ვარაუდობენ მის აგებას IV საუკუნის მესამე მეოთხედში, ქრისტიანული ეკლესიის ორიენტაცია აღმოსავლეთისაკენ დადგენილი და ცნობილი იყო საქრისტიანო ცენტრებში“ (გვ. 74); გ. „სადავო არ უნდა იყოს, რომ ნეკრესის მონასტრის ტერიტორიაზე არსებული ეს უმნიშვნელო შენობა ვერ გახდებოდა ღირსი ქართლის მოქცევის ქრონიკაში მოხსენიებისა და აღნიშვნისა, რომ „აღინიშნა განსრულებით“; დ. ძეგლი არ ექვემდებარება მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს, მისი პროფესიულ დონეზე პუბლიკაციაც ვერ მოხერხდაო“.

განვიხილოთ ეს საბუთები: ა. ნეკრესი ბაზილიკა არ არის და ბაზილიკად რატომ ნათლავენო; ავტორების ჩვეულებრივი ხერხია — ფაქტის ამოგლეჯა მსჯელობის საერთო მსვლელობიდან და სრული უგულებელყოფა ისტორიული განვითარებისა. გ. ჩუბინაშვილი — ავტორებისაგან განსხვავებით — ხედავს მოვლენებს განვითარების პროცესში, ავლენს ბაზილიკის „ალქმისა“ და განვითარების საფეხურებს საქართველოში და გვიჩვენებს, რომ ნეკრესის ეკლესია ამ განვითარების ადრინდელ საფეხურზე დგას, როცა შეთვისებულია მხოლოდ გარეგნული მხარე ტიპისა, ხოლო სხვა არსებითი ელემენტები ჯერ კიდევ არა. დასრულებული სახის ბაზილიკებამდე ჯერ კიდევ გასავლელი იყო ძიების გზა; ბ. ორიენტაციის შესახებ: ორიენტაციის საჭიროება დადგენილი კი იყო IV საუკუნის ბოლოს, მაგრამ ეს დადგენილება განა მაშინვე განუხრელად ხორციელდებოდა? ამის შესამოწმებლად ავტორებს თავი არ შეუწუხებიათ. სინამდვილეში: IV საუკუნის ბოლოს კი არა, V საუკუნეშიაც ვხვდებით რომის იმპერიის ვრცელ საზღვრებში სხვაგვარად მიმართულ ეკლესიებს, თანაც, ნეკრესსავით გადაკარგულ ადგილას კი არა, არამედ რომში, თესალონიკეში და სხვა ცენტრებში. მაგალითები: იმპერატორ ჰონორიუსის დროინდელი (IV-V საუკუნეთა მიჯნა) ეკლესია „სანტა ანიეზე ფუორი ლე მურა“ რომში (საკურთხეველი სამხრეთითაა, თობესას (ალჟირში) ეკლესია V-VI საუკუნეებისა (საკურთხეველი ჩრდილოეთითაა), თესალონიკეს ცნობილი ბაზალიკა წმ. დემეტრესი — V საუკუნე (აფსიდი სამხრეთ-აღმოსავლეთითაა), გერაზას (პალესტინაში) პეტრე-პავლეს ეკლესია (485 წ. აფსიდი სამხრეთითაა), ბევრი სხვაც (დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ორიენტაციის წესი საბოლოოდ მხოლოდ VIII საუკუნიდან დამკვიდრდა);[1] გ. განა ჩვენ ვიცით, რომ მცირე ეკლესიის აშენების დროს ნეკრესში უკვე მონასტერი არსებობდა? განა არ შეიძლება, რომ მონასტერი დაარსებულიყო უკვე არსებული ძველი — და ამის გამო განსაკუთრებულ სალოცავად მიჩვეული — ეკლესიის გვერდით და გარშემო? ან ვინ დაადგინა უტყუარად, რის აშენებას აღნიშნავდნენ „ქართლის მოქცევაში“ და რისას არა? საერთოდ, მშენებლობის ამბების აღნიშვნა ჩვენს მატიანეებში განა ისეთ სისტემურ და კანონზომიერ ხასიათს ატარებს, რომ ამის მიხედვით რაიმე გარკვეული დასკვნის გამოტანა შეგვეძლოს? თანაც, რა ვიცით ჩვენ, რა მიაჩნდათ IX საუკუნის ავტორებს „მნიშვნელოვნად“ და რა არა, განა ისინი მოვალენი იყვნენ ჩვენსავით ეფიქრათ? „ქართლის მოქცევის“ ავტორს იქნებ მართლაც ეგონა, რომ წერდა მის დროს უკვე არსებული მნიშვნელოვანი მონასტრის შესახებ; დასასრულ, რატომ არ შეიძლება თუნდაც მცირე ძეგლზე ითქვას, „აშენდა განსრულებითო?“ სრულდება დიდი შენობის აგებაც და მცირესიც (ყოველ შემთხვევაში, მკითხველის საყურადღებოდ აღვნიშნავთ ნეკრესის ეკლესიის ფართობს, რომელსაც ავტორები , არსად არ ახსენებენ: 5,0X10,0 მ, ე. ი. 50 კვადრატული მეტრი. როგორც ვხედავთ, ეს სიმცირე შედარებითია!)[2]

---

[1] A. Grabar, L'âge d'or de Justinien, 1966. ნახაზები; C. Enlart, Manuel d'archéologie française, I, Paris, 1902, გვ. 118–119.

[2] R. Mepisaschwili, W. Zinzadse, Die Kunst alten Georgien, Leipzig, 1977, გვ. 60.

დ. სწორედ მხატვრული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, ნეკრესის ეკლესიის თავისებურება და მისი ადგილი ევოლუციის სურათში; ავტორებს, როგორც ჩანს, მიაჩნიათ, რომ პრიმიტიული ან მარტივი ნაგებობა არ ექვემდებარება მხატვრულ-სტილისტურ ენალიზს. რაც შეეხება იმას, რომ პუბლიკაციაც ვერ მოხერხდა (საინტერესოა, რას უწოდებენ პუბლიკაციას?), აქ ავტორები თავს ესხმიან ძეგლის ანაზომებსა და ნახაზებს. მაგრამ გასაგებია, რომ ნახაზების ღირსება-ნაკლულევანება არაფერს ცვლის თვით ძეგლის შეფასებასა და კვალიფიკაციაში.

ამგვარად: არავითარი საბუთი იმისა, რომ ნეკრესის შენობა ეკლესია არ არის, არც იმისა, რომ იგი ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ადრეულ ხანას არ ეკუთვნის. „ჭერემის კვადრატთან" დაკავშირებით ავტორები საერთოდ არ იწუხებენ თავს არგუმენტაციისათვის, კმაყოფილდებიან ისევ და ისევ აღშფოთებით იმის გამო, რომ მას სიმცირისათვის მიაკუთვნებენ IV საუკუნეს. მკითხველი ვერ გაიგებს, რატომ არ შეიძლება იგი IV საუკუნისა იყოს.

ახლა კიდევ ერთხელ ვნახოთ, თუმცა ზემოთ ამას უკვე შევეხეთ, როგორი ვითარებაა სხვა „უადრეს", ე. ი. ავტორების აზრით, IV საუკუნის, ძეგლებთან დაკავშირებით.

სვეტიცხოვლის პირველი ტაძარი რომ ვახტანგ გორგასალის დროს ახლით შეიცვალა, ამას ავტორები ვერ უარყოფენ (ხის ამ თავდაპირველი ეკლესიის კვალი, რომელიც სვეტიცხოველში გამომჟღავნდა, ადასტურებს, რომ საკუთრივ ნაოსის ზომებია დაახლოებით 6 მX8,2).[1]

ბოლნისის სიონი რომ V საუკუნის დასასრულის ძეგლია და არა IV-ისა, ეს კვლავ დადასტურდა ბოლოდროინდელი ნაშრომებითაც.[2]

მანგლისი რომ IV საუკუნის ძეგლი არ შეიძლება იყოს და რომ თავდაპირველი ეკლესია ვახტანგ გორგასალისავე დროს ახლით შეცვალეს — ეს ზემოთ დავინახეთ.

ერუშეთისა და წუნდის შესახებ „ქართლის მოქცევა" გვაუწყებს, რომ მირდატ ბაქარის ძემ, მირიანის შვილიშვილმა, მათ „მატა შემკობა და შენება", რაც ცხადია, აგრეთვე, მოწმობს, რომ თავდაპირველი ეკლესიები ველარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ზემოთ უკვე დავსვით ეს საკითხი: რატომ უნდა გამხდარიყო საჭირო ყველა ამ ეკლესიის შეცვლა ახლით, ან გაფართოება, თუ ეს დიდი, მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ეკლესიები იყო?

წილკნის ტაძრის შესწავლამ დაადასტურა, რომ დიდი ბაზილიკა არ შეიძლება V-VI საუკუნეებზე ადრინდელი ყოფილიყო — ამას მოწმობს მისი ძალიან დამახასიათებელი მორთულობა. დადგინდა ისიც, რომ თავდაპირველ მშენებლობას, რომლის შესახებაც მატიანეებში შეუთანხმებელი ცნობებია, შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ „ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე... მცირე ზომის დარბაზული ეკლესია", რომელიც შემდეგ ჩართეს ახალ ეკლესიაში.[1]

ამას გარდა: არსებობს სამთავროს მცირე ეკლესია (მართალია, ძლიერ გადაკეთებული, მაგრამ ძველი ბირთვის შემცველი) — სად „წავილოთ" იგი? მას სხვაგან არსად მოეძებნება ადგილი, თუ არა უადრეს ხანაში.[2]

არსებობს ზეგანის „წმ. მარინე", მინიატურული ჯვარისებრი ნაგებობა გუმბათის ჩანასახით — ტიპურზე ტიპური შენობა ადრეული საფეხურისა. სად წავილოთ იგი? ამ ეკლესიაში კი, რომელიც გვიან საუკუნეებშიაც მოქმედი იყო, სამი-ოთხი კაცი ძლივს დაეტევა.

სამთავროს დიდი ეკლესიის ადრინდელი საძირკვლები მხოლოდ ავტორთა სრულიად დაუსაბუთებელი ვარაუდის დონეზე რჩება, ნინოწმინდაში კი გარკვეული არაფერი ითქმის რისამე დასადასტურებლად.

ძველი შუამთისა და მატნის ბაზილიკებიც, რომლებიც გ. ჩუბინაშვილმა სრული უფლებით მიაკუთვნა V საუკუნეს, აგრეთვე მცირე შენობებია და, თუ მაინცდამაინც მივიჩნიეთ, რომ ბოდბის ბაზილიკა მთლი-

---

[1] R. Mepisaschwili, W. Zinzadze, იქვე.

2. ელ. მაჭავარიანი. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა. თბ., 1985;

ნ. ლომოური, ნ. ანდღულაძე, დ. თუმანიშვილი, თ. საყვარელიძე. ბოლნისის სიონის საკითხისათვის; სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1984, № 3, გვ. 115-141.

1. ნ. ანდღულაძე. წილკნის ტაძრის შესახებ: „საბჭოთა ხელოვნება", 1984, № 6, გვ. 67-74. მისივე — წილკნის ბაზილიკის დეკორატიული მორთულობა: „ქართული სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება". სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1984, გვ. 3-30. მანამდე წილკნის ტაძარზე ბ. მჭედლიშვილმა, ზ. კიკნაძემ და თ. მირზაშვილმა გამოაქვეყნეს წერილი „ახალგაზრდა კომუნისტში" (1984,2. II). მათი ძირითადი დასაყრდენი იყო არქ. მ. ჩხიკვაძის წერილი ამავე ძეგლზე („საბჭოთა ხელოვნება", 1967, № 4), წერილი, რომელიც აოცებს ადამიანს სრული უწიგნურობით. მასში არ არის ორი წინადადება, ერთმანეთის საწინააღმდეგო და გამომრიცხველ აზრებს რომ არ შეიცავდეს.

[2] P. Mepisaschwili, W. Zinzadse, იქვე.

ანად მაშინდელია, ეს იქნება ჩვენთვის ცნობილი უდიდესი ეკლესია — მაგრამ ამის დამტკიცებასაც ჯერ კიდევ ბევრი რამ სჭირდება!

ასეთია რეალური ვითარება, რომელსაც ვერ შეცვლის ავტორთა მიერ დამოწმებული მოთხრობა გელასი კესარიელისა ქართლში სვეტებიანი ეკლესიის აშენების შესახებ — იმიტომაც, რომ ასეთი შენობის რეალური კვალი არ ჩანს და იმიტომაც, რომ გელასის მიერ აღწერილი ეკლესია ძალიან ჰგავს იმ ეკლესიებს, რომლებსაც ის თვითონ ხედავდა თავის გარშემო.

შეგვიძლია დავუმატოთ, რომ სომხური არქიტექტურის მკვლევართა აზრითაც, სომხეთში აშენებული პირველი ეკლესიები უმეტესად მცირე ზომის ერთნავიანი დარბაზები იყო, ზოგი კამარიანი, ზოგი ხით გადახურულიც, კი.[2] მაგრამ ამას ისინი ტრაგიკულად არ განიცდიან. ხოლო ის ფაქტი, რომ ზ. კიკნაძე და თ. მირზაშვილი ქართული არქიტექტურის დამამცირებლად მიიჩნევენ ჩვენში სხვა ქვეყნების ეკლესიებზე უფრო მცირე ეკლესიების შენებას, აგრეთვე, მოწმობს, რომ ისინი სუსტად იცნობენ მსოფლიო არქიტექტურის ისტორიის ფაქტებს. ჯერ ერთი, არავის არასოდეს არ მიუჩნევია, რომ შენობათა სიმცირე მათი მხატვრული ღირსების შემლახველია, ხოლო მათი მხატვრული ჩამოუყალიბებლობა ევოლუციის გარკვეულ საფეხურზე — დამამცირებელი. მეორე: ბოლნისის სიონი, ბოდბე, მანგლისი, წილკანი და სხვა ძველი ძეგლები, წერილის ავტორთა სურვილის მიხედვით, IV საუკუნეშიც რომ გადავიტანოთ, აღმოჩნდება, რომ მაშინდელ რომაულ და პალესტინურ ეკლესიებთან შედარებით ყველა მინიატურისავით ჩანს: ბოლნისის სიონის სიგრძე 28 მეტრამდეა, სიგანე — 25-მდე; ურბნისის ზომებია დაახლ. 32,0X15,0 მ., ბოდბისა — 17,5X18,0 მ., წილკნისა დაახლ. 20,0X15,0 მ. და ა. შ. ხოლო რომაული ეკლესიების ზომები ასეთია: სან-პაოლო-ფუორი-ლე-მურა 120,0X60,0 მ.; სან-ჯოვანი ინ ლატერანო დაახლ. 100,0X57,0 მ.; სან-სებასტიანო — დაახლ. 76,0X82,2 მ., სანტა-მარია-მაჯორე — 81,0X84,0 მ., და სხვა; რა ვქნათ? როგორი კვალიფიკაცია მივანიჭოთ ამის შემდეგ ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას? დავიწუნოთ ხსენებული ძეგლები, დავიწუნოთ მცხეთის ჯვარი და მინიატურული სამწევრისი?

ამგვარია ზ. კიკნაძისა და თ. მირზაშვილის მორიგი წერილი — ახალი ნაბიჯი მათი და მათი თანამოაზრეების ლაშქრობის გზაზე. ჩვენ დავინახეთ, რომ ავტორთა დამახასიათებელია: მსჯელობის აპრიორულობა, გასაკრიტიკებელ ნაშრომთა დედააზრის უალრესად გაუბრალოებული და პრიმიტიული გადმოცემა, ხშირად — ამ დედააზრის თავდაყირა დაყენება: გასაკრიტიკებლებისთვის გადაბრალება იმისა, რაშიც თვითონ ცოდავენ; რეალურ ისტორიულ ვითარებაზე მსჯელობა მხოლოდ ეკლესიის მამათა თეორიული მოსაზრებებისა და საეკლესიო ინსტანციათა დადგენილებების მიხედვით, იმის შეუმოწმებლად, თუ რა სახეს ღებულობდა ეს თეორიები და დადგენილებები სინამდვილეში; რეალური ძეგლების არცოდნა და უგულებელყოფა; და მთავარზე მთავარი: ავტორებს სრულიად არ ახსოვთ, რომ ხელოვნების ძეგლებზე მსჯელობენ, არ სურთ გაიგონ, რომ ხელოვნების ისტორიის საკითხების განხილვისას, მით უფრო ისეთი პრეტენზიებით, როგორიც მათ აქვთ, საჭიროა თუნდაც მინიმალური პროფესიული მომზადება გქონდეს ამ დარგში; ისინი არა მარტო ვერ სწვდებიან ძეგლების, როგორც ხელოვნების ნაწარმოებთა, არსს, არამედ მათთვის სრულიად უცხოა (და ზედმეტად მიჩნეული) შემოქმედებითი პროცესის, მხატვრული კანონზომიერების ცნებები, მოვლენათა არსს ისინი განვითარების პერსპექტივში

---

1 გ. ჩუბინაშვილს მიაჩნია, რომ ბოდბეში ადრინდელ ფენას შეიძლება მიეკუთვნოს სათავსი, რომელიც წ. ნინოს საფლავს ზემოთ იყო აგებული, მაგრამ შენიშნავს, რომ საკითხის საბოლოოდ გასარკვევად ჯერ კიდევ უნდა ჩატარდეს კვლევა. მაგრამ კვლევა და ზონდაჟი დღესდღეობით შეუძლებელია — ეკლესია შელესილ-მოხატულია და ფენების გარჩევა ჭირს. ჩვენი ავტორების კომენტარი ამის გამო კიდევ ერთი ნიმუშია მათი საბუთიანობის საფუძვლიანობისა: „ბოდბის წმ. გიორგის სამნავიანი ბაზილიკის ერთი სათავსის გამოცხადება დამოუკიდებელ ეკლესიად აშკარად ხელოვნურია და სამშენებლო პრაქტიკის, სამშენებლო ფენების კვლევისა და შენობის არქიტექტურული სტილის შეცნობის უგულებელყოფაა“. ესაა და ეს. როგორც ჩანს ავტორებს გულწრფელად სჯერათ, რომ ეს მათი უდიერი წინადადება არის ნიმუში „სამშენებლო პრაქტიკის, სამშენებლო ფენების კვლევისა და არქიტექტურული სტილის შეცნობისა!“

2 Очерки истории архитектуры древней и средневековой Армении.

ვერ ხედავენ და განზოგადების ნაცვლად — თავიანთი სურვილის მიხედვით შერჩეული, რეალური კონტექსტიდან ამოგლეჯილი, განცალკევებული ფაქტების განხილვით კმაყოფილდებიან.

მათი მეთოდების დამახასიათებელია არარსებული არგუმენტების მოშველიება: მაგალითად: რამდენიმეჯერ აქვთ განმეორებული, რომ ეკლესიების არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა მათი მოსაზრებების სისწორე — მაშინ, როდესაც მათ მიერ მოხსენიებულ ეკლესიებში არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა; ნინოწმინდასა და სამთავროში არარსებული ან გაურკვეველი საძირკვლის დამოწმება — ის, რომ ნინოწმინდაში რაღაც ძველი კვალი გამოჩნდა, რეალურად რაიმე ხელშესახები დასკვნის გამოტანის უფლებას არ გვაძლევს; მითითება რენე შმერლინგის მიერ 1959 წელს გამოქვეყნებული ნაშრომისა სამთავროს შესახებ და რაღაც ნახაზისა — არც ერთი და არც მეორე არ არსებობს (გვ. 95); განცხადება, თითქოს იმავე რ. შმერლინგს აღწერილი აქვს გუმბათის ყელის მორთულობაში გამოყენებული არქაული მოტივების შემცველი ქვები — სინამდვილეში არავითარი ამდაგვარი ქვები არ არსებობს და, ცხადია, არც რ. შმერლინგს უხსენებია ისინი; განცხადება, თითქოს გათხრებმა არ დაადასტურა გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებები ეკლესიების შესახებ — რაკი ასეთი გათხრები არ ყოფილა, ვერც ვერაფერი ამდაგვარი ვერ დადასტურდებოდა: ერთადერთი ძეგლი, სადაც გათხრამ აღმოაჩინა სამშენებლო წარწერა — ბოლნისია, და ამ აღმოჩენამ სწორედ ბრწყინვალედ დაადასტურა ჩუბინაშვილის მოსაზრება ეკლესიის თარიღის შესახებ, რომელიც მას ამ დამთარიღებელი წარწერის აღმოჩენამდე, ძეგლის ანალიზის საფუძველზე ჰქონდა გამოთქმული; დამახასიათებელია არარსებული საბუთების შეთხზვა (განცხადება, რომ „ქართული წერილობითი წყაროები... კონკრეტულ ცნობებს გვაწვდიან ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოდის, წილკნის, ბოლნისის და სხვა ეკლესიათა საძირკვლების ჩაყრის და მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ": ჩამოთვლილ ეკლესიათაგან, გარდა წილკნისა, არც ერთის შესახებ მატიანეები არავითარ ამდაგვარ ცნობას არ გვაწვდიან — ეს ავტორების შეთხზულია; წილკანზე კი ორი განსხვავებული ცნობაა დარჩენილი); დამახასიათებელია სხვისი ტექსტიდან მათთვის „სასარგებლო" წინადადების ამოგლეჯა და სხვა, მათთვის „არა სასარგებლო" ადგილების დაფარვა იმ მიზნით, რომ გასაკრიტიკებელის აზრი დამახინჯებულად იქნეს წარმოდგენილი (მაგალითი: ნ. ალადაშვილის წიგნიდან Монументальная скульптура Грузии დამოწმებული სიტყვები, გვ. 92: «Последовательная эволюция средневековой грузинской скульптуры прослеживается с V века». აგრეთვე, სიტყვები, სტელები გავრცელებული იყო V-VI საუკუნეებიდან X საუკუნემდეო. რა თქმა უნდა, ამ წუთშივე გაკეთებულია დასკვნა: „ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც მირიანის, არც მისი შვილების და არც მისი შვილიშვილების მეფობაში ქართველ ოსტატებს საჭრეთელი ხელში არ აულიათ" (გვ. 92); ჯერ ერთი, ავტორებმა დამალეს, რომ ორიოდე გვერდის შემდეგ ნ. ალადაშვილი წერს (იხ. მისი წიგნის გვ. 10); «По известному на сегодняшний день материалу, самые древние скульптурные изображения, христианские по своему содержанию, в Грузии относятся ко второй половине V века, но это обстоятельство не исключает возможности новых находок более раннего времени». სინამდვილეში „ყოველივე ეს" იმას კი არ ნიშნავს, რომ მირიანისა და მისი შთამომავლობის დროის „ქართველ ოსტატებს საჭრეთელი ხელში არ აულიათ", არამედ მხოლოდ იმას, რომ წერილის ავტორებმა სრულებით არ იციან, რა ხდებოდა იმხანად ქვეყანაზე ხელოვნების დარგში. მათთვის სანუგეშოდ მაინც შეგვეძლო გვეთქვა, რომ მეოთხეში კი არა, V და VI საუკუნეებშიაც, ე. ი. თვით იუსტინიანეს დროს, თუ ამ ავტორების მიხედვით ვიმსჯელებთ, არც საბრალო ბიზანტიელებს აულიათ ხელში საჭრეთელი. თვით წმ. სოფიოს ტაძარზედაც კი არ არის ფასადების სკულპტურული მორთულობა; სკულპტურულსამკაულს მოკლებულია რავენის ძეგლებიც, ხოლო ქართველმა „ხელოვნების ისტორიკოსებმა" სწორედ ის გამოაჩინეს, რომ საქართველოში რელიეფური ქანდაკება უფრო ადრე — V საუკუნიდან მაინც — იწყებს განვითარებას, ვიდრე დასავლეთში. აი, გამოჩენილი ფრანგი ხელოვნების ისტორიკოსის ანრი ფოსიიონის სიტყვები: რომ ალარაფერი ვთქვათ V-VII საუკუნეების პერიოდზე და „გარდამავალ" ხანაზე, თვით X საუკუნეშიც კი „დასავლეთში ჯერ კიდევ არ იყო ჩასახული ქვის მონუმენტური ქანდაკების გემოვნება, მაშინ, როდესაც აზიის ზოგ ქრისტიანულ ქვეყანაში, კერძოდ, ამიერკავკასიაში, იგი უკვე ქმნის მნიშვნელოვან ნაწარმოებთ და ვრცელ ანსამბლებს".[1] ავტორთათვის გაუგებარია, რომ ქანდაკების არსებობა-არ არსებო-

[1] H. Focillon, Art d'Occident. Paris, 1947, გვ. 19.

ბა მხოლოდ იმაზე კი არ არის დამოკიდებული, იციან თუ არა ოსტატებმა ხელში საჭრეთელის აღება, არამედ, უპირველესად, იმაზე, მომწიფებულია თუ არა ამ დროს ქანდაკების გამოყენების პრობლემა, საჭიროა თუ არა ქანდაკება მხატვრული ანსამბლისთვის. როცა ეს საჭირო ხდება, საჭრეთელის ოსტატებიც ჩნდებიან (როგორც ეს მოხდა კიდეც საქართველოში); დამახასიათებელია სხვისი სიტყვების ყალბი ინტერპრეტაცია (მაგალითად: ჩემს წიგნში Некоторые аспекты грузинской культовой архитектуры со второй половины X в. до конца XIII в., თბ., 1976, მე აღვნიშნავ, რომ X-XI საუკუნეთა ქართულ დიდ კათედრალებს დიდი სოციალური მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ ეს ზოგადეროვნული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძეგლები იყო — XII-XI I სს. მიჯნის ძეგლებისგან განსხვავებით; ამასთან დაკავშირებით მაქვს ასეთი შენიშვნა: «Характерно, что в Киеве, где как и в Грузии, вновь возведенные храмы имели, так сказать, государственное значение, сами же византийские мастера, приглашенные Ярославом Мудрым и Мстиславом Удалым, построили монументальные церкви — Преображения в Чернигове и св. Софии в Киеве».

როგორც ცნობილია, ეს სულ XI საუკუნის ამბებია. ზ. კიკნაძისა და თ. მირზაშვილის მიერ ეს სიტყვები (გვ. 91) ასეა „ნათარგმნი": „ამ განცხადების ავტორი სხვა ნაშრომში ვარაუდობს, რომ მირიანის (?, ვ. ბ.) მოწვეულ ხუროებს ისეთივე მონუმენტური ეკლესიები უნდა აეშენებინათ ქართლში, როგორც რუსეთში აშენებდნენ მოგვიანებით რუსი მთავრების მიერ მოწვეული ბიზანტიელი ოსტატები". რა შეიძლება ამას ვუწოდოთ — მხედველობის აბერაცია — როცა რეალურის ნაცვლად არარსებულს ხედავენ, თუ ელემენტარული მეცნიერული კეთილსინდისიერების უქონლობა?)

დამახასიათებელია დაუდევრობა აზრის გადმოცემისა და არგუმენტაციის დროს: იერუსალიმის ტაძრის წმიდათაწმიდის სიდიდის დასამტკიცებლად წერენ: „მისი ზომები საკმაოდ შთამბეჭდავი იყო: ოცი კუბური წყრთა" (გვ. 70) დაუდევრობა-მეთქი, ვწერ, იმიტომ, რომ მაინც ძნელი წარმოსადგენია ავტორებმა არ იცოდნენ, რომ ფართობი კვადრატული ერთეულებით იზომება, და არა კუბურით. ხოლო მათი „შთამბეჭდავი" წმიდათაწმიდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ წყრთა დაახლოებით 0,5 მეტრს უდრიდა, ხოლო სათავსის სიმაღლე სულ ცოტა — 3-4 მეტრი მაინც ხომ იქნებოდა, ერთ-ორ კაცს თუ დაიტევდა მხოლოდ, ე. ი. ბევრად უფრო მცირე უნდა ყოფილიყო, ვიდრე გ. ჩუბინაშვილის მიერ IV საუკუნისათვის მიკუთვნებული ძეგლები.

ავტორების ლოგიკური აზროვნების დასახასიათებლად ასეთი მაგალითი გამოდგება (გვ. 62-63): მირიან მეფემ ვერ გაბედა — რაკი თავი ცოდვილად მიაჩნდა — მისსავე აშენებულ სვეტიცხოვლის ტაძარში თავისთვის საფლავის გამზადება და „ზემო ეკლესიაში" დაიმარხა; მისმა მემკვიდრეებმა რევმა და ბაკურმა — გაბედეს და სვეტიცხოველში დაიმარხნენ. კონსტანტინე იმპერატორმა კი მის მიერვე დაარსებული ახალი დედაქალაქის მოციქულთა ეკლესიაში „გაამზადებინა სამარხები თავისთვის და თავისი შთამომავლობისთვის". ამგვარად: მირიანმა ვერ გაამზადებინა თავისი საფლავი, კონსტანტინემ გაამზადებინა არა მარტო თავისთვის, არამედ შთამომავლობისთვისაც კი. აქედან ავტორები ასკვნიან: „ამგვარი პარალელიზმი(!?) ორი ქრისტიანი მბრძანებლის მისწრაფებაში მოწმობს ამ ორი სამეფო კარს შორის საერთო ჩვევების არსებობას"(!).

დასასრულ, მათი წერილის დამახასიათებელია ისიც, რომ ბევრ შემთხვევაში, საერთოდ, ზედმეტად თვლიან თავისი აზრის დასაბუთებას და ამ აზრებს განკარგულებასავით გვაწვდიან. აი, როგორია არგუმენტები ასეთ შემთხვევებში: „ყოვლად მიუღებელია", „გაუმართლებელია", „უნდა იქნას დანახული", „სრული უეჭველობით უნდა ითქვას" და სხვ.

იმავე დროს, ავტორები არ ერიდებიან ისეთ ეპითეტებს გაკრიტიკებულთა მიმართ, როგორებიცაა „დეზინფორმაცია", „შეცდომაში შეყვანა", „კომპეტენტურობის უქონლობა" და სხვ.

ზ. კიკნაძისა და თ. მირზაშვილის წერილის კულმინაციას შეადგენს შემდეგი პასაჟი (გვ. 98): „როდესაც ხელოვნების ისტორიკოსები მსჯელობენ ადრექრისტიანული ქართლის საეკლესიო მშენებლობაში „რაიმე მკაფიოდ დასმული მხატვრული ამოცანის" არარსებობაზე, „თავს მოხვეული" არქიტექტურული თემების დაძლევის სირთულეზე, „ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციური დანიშნულების გაურკვევლობაზე „უცხო, უცნობი" და მით უფრო „საშინელი ღმერთის" წინაშე დამთრგუნველ შიშზე, რომელიც ბოჭავდა ქართველ ხუროთმოძღვართა შემოქმედებით უნარს — ამით ქმნიან სულიერად და გონებრივად ჩამორჩენილი, მსოფლიო ცივილიზაციას მოწყვეტილი ხალხის სახეს, რომელსაც უჭირს მაღალ კულტურულ ღირებულებათა და ზნეობრივ იდეალთა ათვისება".

როგორც ვხედავთ, დახატულია შავბნელი სურათი ქართველი ხელოვნების ისტორიკოსთა ბოროტმოქმედებისა, მათი შეთქმულები-

სა ეროვნული კულტურის წინააღმდეგ. აღვილი მისახვედრია, რომ მოტანილ აბზაცში ხელოვნების ისტორიკოსთა ნაწერებიდან ნებისმიერად ამოგლეჯილია ფრაზები, რომელთაც მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში აქვთ აზრი და დასაბუთება, რომ ნახევარზე მეტი ამ ამონაწერში ნატყუარია — დახატულია ის სურათი კი არა, რომელიც რეალურად არსებობს, არამედ ის, რომელიც თვითონვე შეთხზეს ჩვენთვის დასაბრალებლად. ერთხელ კიდევ ყველაფერი ყირამალაა დაყენებული.

მე მგონია, ამ წერილის მკითხველი დაინახავდა — თუმცა ფართო საზოგადოებისთვის ეს კარგა ხანია ისედაც ცნობილია — რომ სინამდვილეში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართველი ხელოვნების ისტორიკოსები რეალური ისტორიული ვითარების, ხელოვნების კანონზომიერების, შემოქმედების კანონების (ე. ი. წერილის ავტორთათვის უცხო და მიუწვდომელი კატეგორიების) საფუძველზე ხატავენ არა ჩამორჩენილი ხალხის სურათს, არამედ იმ ხალხისას, რომელსაც, როგორც ყველ სხვა ნორმალურ ხალხს, ცოცხალი, ბუნებრივი რეაქცია აქვს მოვლენებზე, ხალხს — შემოქმედს, საკუთარი სახის შენარჩუნებისათვის მებრძოლს სულიერ ცხოვრებაშიც, ხალხს, მსოფლიო ცივილიზაციასთან ნაზიარებს, მაგრამ იმისათვის მზრუნველს, რომ ამ ცივილიზაციის ფარგლებში საკუთარი სახე შეინარჩუნოს და საკუთარი ადგილი დაიჭიროს.

ხოლო ზ. კიკნაძისა და თ. მირზაშვილის თხზულებისაგან, მიუხედავად მისი მეცნიერული სამოსელისა, მიუხედავად მრავალი ციტატისა ავტორიტეტთა თხზულებებიდან და ისტორიული წყაროებიდან, გვრჩება ჩვენი ეროვნული კულტურისათვის მზრუნველთა ასეთი „კონცეფცია“: ჩვენ რა სხვაზე ნაკლები ვიყავით, სხვები თუ დიდ ეკლესიებს აშენებდნენ, ჩვენში რატომ უნდა აშენებულიყო პატარა ეკლესიებით, სხვებმა თუ იცოდნენ ბაზილიკების შენება, ჩვენ რატომ არ უნდა გვცოდნოდა! გვრჩება ადრინდელი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ევოლუციის სრულიად ქაოსური სურათი, მოკლებული ლოგიკას, ლაკუნებით სავსე, როდესაც კაცი ვერ გაიგებს, საიდან საით მიემართებოდა განვითარება, რა სტილისტური ხასიათი ჰქონდა და რა საფეხურები განვლო არქიტექტურამ, ვერ გაიგებს, როგორ მივაღწიეთ ბოლნისიდან მცხეთის ჯვრამდე, მით უფრო, რომ ამ ავტორთა ლოგიკით, IV-V საუკუნეთა, მიჯნის შემდეგ, თითქმის ორასი წლის განმავლობაში, ქართლში არაფერი არ აშენებულა (რაკი ყველაფერი, რაც კი მნიშვნელოვანი იყო, IV საუკუნეში უნდა აშენებულიყო!). თუ „ხელოვნების ისტორიკოსთა“ ნაწერებში გვაქვს ლოგიკური *სისტემა*, კიკნაძე-მირზაშვილის „კონცეფცია“ წარმოგვიდგენს *ფაქტების გროვას*, რომელშიაც ყველაფერი შეგვიძლია ნებისმიერ ავურიოთ და ჩავანაცვლოთ.

თვითვე განსაჯეთ, რა მეცნიერული ფასი აქვს ასეთ „კონცეფციას“. სხვა არც არაფერი იყო მოსალოდნელი, როდესაც ავტორები ხელმძღვანელობენ წინასწარ აჩემებული იდეებით, და როცა მათი მომზადება იმ სფეროში, რომელშიაც შეჭრას ლამობენ, დილეტანტურ დონეზედაც კი არ დგას. როგორ არ გაგახსენდება კოზმა პრუტკოვის სიტყვები: «Имей суждение токмо о том, о чем понятия твои позволяют!»

აქ შეიძლებოდა დამთავრება, რომ არ არსებობდეს საკითხის მეორე — მორალურ-ეთიკური მხარე. უპირველეს ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს როგორც განხილული წერილის, ისევე ამავე ავტორთა და მათი თანამოაზრეების სხვა წერილების და საჯარო გამოსვლების (არაფერს ვამბობ სხვა ნაბიჯებზე) ტონი: გაბოროტება. ძეგლების თარიღები, არქიტექტურის ისტორიის ამა თუ იმ ეტაპის გაშუქება ხომ მეცნიერული პრობლემატიკის სფეროში შედის და ნორმალურ პირობებში — თუ მართლა ჭეშმარიტების დადგენით ვართ დაინტერესებულნი — ამ პრობლემათა ამოსახსნელად მეცნიერული, ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი, მშვიდი მსჯელობა უნდა იმართებოდეს.

ჩვენს შემთხვევაში სხვა სურათი გვაქვს: წერილის ავტორთა გამონათქვამები, რომლებიც ჩვენ მოვიტანეთ, განსაკუთრებით, მოტანილი მონოლოგი ხელოვნების ისტორიკოსების მიერ შექმნილი ვითარების შესახებ, კრიმინალურ სურათს ქმნის „ხელოვნების ისტორიკოსებს“ შეცდომა კი არ ბრალდებათ, არამედ დანაშაული.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ყოველ დანაშაულს მოტივი აქვს და გამოძიების დროს, თვით დამნაშავის იდენტიფიკაციისთვისაც კი, ერთი უპირველესი ამოცანათაგანია ამ მოტივის დადგენა.

ბუნებრივია ვკითხოთ ზ. კიკნაძესა და თ. მირზაშვილს: მაინც, რა მოტივი უნდა ჰქონოდათ გ. ჩუბინაშვილს, ვ. ბერიძეს, სხვა ქართველ ხელოვნებათმცოდნეებს იმისათვის, რომ მაინცდამაინც მიეჩქმალათ ქართული არქიტექტურის მონაპოვარი IV საუკუნეში, და დაეხატათ ქართველთა ჩამორჩენილობის გულსაკლავი სურათი? ავტორების წერილობითი და ზეპირი გამოსვლების მიხედვით, ერთადერთი დასკვნა გამოდის: ეს მოტივი პატრიოტიზმისა და ზნეობრივ საფუძველთა უქონლობაა. აქვე, რა თქმა უნდა, თავისთავად ისახება ის მოტივიც, რომელიც ამოძრავებდა თვით წერილის ავტორებს და მათს თანამოაზრეებს: სურვილი, რომ დაეცვათ აგრერიგად დაკნინებუ-

ლი და შეურაცხყოფილი ქართული ხუროთმოძღვრება, ქართული კულტურა (თვით ქართველი ხალხიც კი) ხსენებულ ბოროტგანმზრახველთა ხელყოფისაგან.

მე მგონია, წერილის ავტორებს, საგნის ცოდნა თუ არა (რაც ძალიან სასურველი იქნებოდა), იუმორის გრძნობა მაინც რომ ჰქონოდათ, თავის თავსაც კი არ აკადრებდნენ ამგვარ რასმე და, სხვა რომ არაფერი იყოს, სასაცილო მდგომარეობაში არ ჩაიგდებდნენ თავს.

არ არსებობს მეცნიერი, რომლის დასაბუთებული გაკრიტიკებაც არ შეიძლებოდეს. არავის არ გამოუცხადებია ხელშეუხებელ თალმუდად ან ყურანად არც ქართული მეცნიერების კლასიკოსების თხზულებები (გ. ჩუბინაშვილი კი, ისევე, როგორც ჩვენი უნივერსიტეტის დიდ დამაარსებელთა თაობის სხვა წარმომადგენლები, ჩვენი ეროვნული მეცნიერების კლასიკოსია). თვით ივ. ჯავახიშვილის, ქ. კეკელიძის, სხვათა ნაშრომებში ყველა დებულება ყველას მიერ არ არის გაზიარებული; ე. თაყაიშვილის ნაწერების გარეშე ქართული კულტურის ისტორიკოსი ნაბიჯს ვერ გადადგამს დღესაც, ამ ნაწერებში კი ძალიან ბევრი რამ იყო დასაზუსტებელი, ბევრი დებულებაც არ იქნა გაზიარებული. გ. ჩუბინაშვილის ნაწერებშიაც შეიძლება ზოგი რამ გადაისინჯოს და დაზუსტდეს დროთა განმავლობაში — თუ ამას მეცნიერული ჭეშმარიტება მოითხოვს (ზოგი რამ უკვე დაზუსტდა კიდეც), მაგრამ განა ეს ვისმე აძლევს უფლებას ეჭვი შეიტანოს ამ პიროვნებათა ზნეობრივ სისპეტაკეში, მათს გმირულ თავდადებაში, რომლის წყალობითაც არის, ჩვენ რომ დღეს მაღალი დონის ჰუმანიტარული მეცნიერება გვაქვს? ეს ვისმე ნებას აძლევს ჩრდილი მივაყენოთ იმ ადამიანთა ღვაწლს, რომელთაც უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქართული ეროვნული კულტურა თვალს უსწორებს მოწინავე ქვეყნების კულტურას? განა დიდად მოგებულნი დავრჩებით, თუ წერილის ავტორთა სურვილის მიხედვით, უარვყოფთ ყველაფერს, რაც ქართულ ხელოვნებათმეცნიერებას მოუპოვებია სამოცდაათი წლის განმავლობაში (ეს მონაპოვარი კი საქვეყნოდ არის აღიარებული) და ზ. კიკნაძისა და თ. მირზაშვილის თხზულებათა დონემდე დავეშვებით?

არა მგონია, სახარბიელო პერსპექტივა იხატებოდეს. ისიც არ მგონია, რომ წერილის ავტორთა საქციელი, მათ მიერ გაჩაღებული ცილისწამების კამპანია, რომელსაც არავითარი მეცნიერული სარგებლობა არ მოაქვს, საზოგადოებრივი თვალსაზრისით იყოს სასარგებლო, მით უფრო მაშინ, როდესაც ასე საჭიროა, განსაკუთრებით ახალი თაობისათვის, მოქალაქეობრიობისა და ზნეობრივი სიწმინდის მაღალი მაგალითები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ბარნოვი

# წარმართული „რენესანსის“ გამო

ამ ბოლო ხანს ჩვენს მეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში გამძაფრდა კამათი „წარმართებსა“ და „ქრისტიანებს“ შორის: თუ ერთნი ამტკიცებენ, რომ საქართველოს მთის კუთხეებში (ზოგი მკვლევარის აზრით კი, სამეგრელოშიც) XX საუკუნის ათიანი წლების ბოლომდე, ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, მკვიდრად შემორჩა წარმართობა, მეორენი თვლიან, რომ დიდი ხანია, რაც ქრისტიანობამ იქაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. არსებობს სხვა მოსაზრებაც — ამ კუთხეებში მოხდა წარმართობისა და ქრისტიანობის შერწყმა. ამასთან, ზოგი ფიქრობს, რომ ეს შერწყმა წარმართობის პრიმატით მოხდა, ხოლო სხვები კი, პირიქით, ქრისტიანულ საწყისს ანიჭებენ უპირატესობას. იმასაც ვარაუდობენ, რომ ქრისტიანული ელემენტები თავის დროზე უფრო „თვალის ასახვევად“ ან მოჩვენებითი „ლოიალობის“ გამოსახატავად იყო შეტანილი და საკმარისია ქრისტიანობის ამ „თხელი ფენის“ გადაფხეკა, რათა ხელში შეგვრჩეს წარმართობა თავისი პირველქმნილი სახით. მაგრამ ამ „თხელი ფენის“ გადაფხეკაც ისევე ძნელი უნდა იყოს (ან შეუძლებელი), როგორც კაცობრიობის მთელი ცივილიზაციის როლის უგულებელყოფა თანამედროვე ადამიანის სულის ფორმირების საქმეში. (მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ პირველყოფილი ინსტინქტები, თითქოს, არც თუ ისე ღრმად ჩამარხულნი ჩანან ამ ცივილიზაციის წიაღში).

იმის გამო, რომ რელიგია უწინდებურად ვეღარ ახდენს დიდ გავლენას ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე, თანამედროვე მკვლევართაგან აშკარად იგრძნობა მის მიმართ ზედმეტად „გაუბრალოებული“ დამოკიდებულება მაშინაც კი, როცა საქმე ეხება წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას. თუმცა, ცნობილია, რომ თავის დროზე სწორედ რელიგია, როგორც იდეოლოგია, განსაზღვრავდა სხვადასხვა ხალხების მსოფლგაგებას.

თუ პირველყოფილ „სტიქიურ“ ცრურწმენებს არ მივიღებთ მხედველობაში, ყოველი ახალი, წინამავალთან შედარებით უფრო მაღალი და მწყობრი რელიგია საზოგადოების გარკვეულ წრეში იბადებოდა და შემდეგ ვრცელდებოდა მასებში. მაგრამ ეს პროცესი არ ხდებოდა ყოველთვის უმტკივნეულოდ. როგორც ქართლის მოქცევის ჩვენამდე მოღწეული ისტორიიდანაც ვიცით, ნინო კაბადოკიელის მიერ ახალი რელიგიის ქადაგებას დიდხანს არ გამოუღია ნაყოფი. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მზის დაბნელების ეპიზოდთან დაკავშირებით მირიან მეფე „დარწმუნებულა“ წმინდა ნინოს ახალი ღმერთის ძლიერებაში, მომხდარა ქართლის მოქცევა — საქართველოს გაქრისტიანება. იმავე ისტორიკოსის ცნობით, ფშაველ-ხევსურთა (ანუ ფხოველთა) მოსაქცევად „მცირედ წარუმართავთ მახვილი“. ე. ი. ძალა უხმარიათ. მაგრამ ამ ცნობიდან სულაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, თითქოს, მეტროპოლიაში (შუაგულ ქართლში) ეს უზარმაზარი აქცია სავსებით მშვიდად ჩატარდებოდა და არმაზი თავისთავად „დაიმსხვრეოდა“.

ქართლის ოფიციალურად მოქცევის შემდეგ, მთავარი მაინც წინ იქნებოდა — კერძოდ, ახალი მსოფლმხედველობის, ახალი მორალის დამკვიდრება. ეს რთული პროცესი კი, ბუნებრივია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ხანგრძლივობისა გამოდგებოდა. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საქართველოს მთიანეთში ეს პროცესი საერთოდ არც დასრულებულა.

სანამ სიტყვას გავაგრძელებდე, მინდა ხაზი გავუსვა ერთ ცნობილ ფაქტს — ამა თუ იმ მაღალი რელიგიის არსი და რაობა არავითარ შემთხვევაში მარტო ცრურწმენებით თუ ცრუ-

წარმოდგენებით არ განისაზღვრება, რელიგია ამავე დროს იდეოლოგიაცაა. ხოლო რელიგიის, როგორც იდეოლოგიის, ჭეშმარიტ და მთავარ საუფლოსა თუ სამბრძანებლოს ცრურწმენები, ცრუწარმოდგენები ან თუნდაც მტკიცედ რეგლამენტირებული ღვთისმსახურების რიტუალები კი არა, არამედ პირველ რიგში ადამიანის სულიერი სამყარო (მისი მსოფლმხედველობა და მორალურ-ეთიკური ნორმები) წარმოადგენს, რომელიც ყველაზე ნათლად ფოლკლორსა და ლიტერატურაში აისახება ხოლმე. ამიტომ იყო, რომ პრობლემის გადასაჭრელად მოკამათე მხარეებმა ფშავ-ხევსურეთის ზეპირსიტყვიერებას მიმართეს.

სხვადასხვა ისტორიული მიზეზების გამო მთიანეთმა ბარის საქართველოზე უკეთესად შემოგვინახა საერთოდ ზეპირსიტყვიერება და, კერძოდ, მისი წარმართული ნაკადიც. „წარმართებს" მიაჩნიათ, რომ ფაქტიურად სწორედ ეს წარმართული ნაკადი განსაზღვრავს მთლიანად ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერების არსს, ხოლო „ქრისტიანები" კი ცდილობენ, რათა ყველაფერს, რაც წარმართულად არის აღიარებული, იმასაც ქრისტიანული საფუძველი გამოუნახონ (აშკარაა, რომ ასეთ ვითარებაში გამარჯვება იმას დარჩება, ვისაც მეტი „ნებისყოფა" აღმოაჩნდება). მაგრამ ერთი რომელიმე, თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი, კონკრეტული ფოლკლორული მხატვრული ძეგლის მსოფლმხედველობრივი არსის გარკვევა ვერ დაგვეხმარება ზოგადი პრობლემის — მთის კუთხეებისა და სამეგრელოს ფოლკლორის მსოფლმხედველობრივი რაობის ბოლომდე სწორ გადაწყვეტაში.

როცა ფშავ-ხევსურული ფოლკლორის წარმართულ ნაკადზე ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში აქვთ ღვთისშვილთა (ბერი ბაადური, კოპალა, იახსარი...) შესახებ არსებული ლეგენდების ლექსითი თუ პროზაული ვარიანტები. ამ ლეგენდების მიხედვით, მორიგე ღმერთს (ანუ გამგებელ ღმერთს) უხსოვარ დროში დედამიწაზე გამოუგზავნია ღვთისშვილები ადამიანთა ყველაზე ბოროტ მტრებთან, დევებთან, საბრძოლველად. ღვთისშვილებს მიწის ქვეშ, ქვესკნელში ჩაურეკიათ დევები და ამიტომ არის, რომ ისინი დედამიწაზე გამოჩენას მას შემდეგ მხოლოდ ღამით თუ ბედავენ. ამ ლეგენდებზე ახლა „ქრისტიანებიც" აცხადებენ პრეტენზიას. სანამ მოკამათენი საკუთარი პოზიციებიდან დაობენ, ვცადოთ და სხვა მხრიდან შევხედოთ საკითხს. საქმე ის არის, რომ ეს ლეგენდები არამარტო უხვად შეიცავენ ზღაპრულ ელემენტებს, არამედ საერთოდ ახლოს დგანან ზღაპრულ სამყაროსთან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზღაპრები საერთაშორისო მასშტაბის თავისებური „აბორიგენები" არიან, რომელთაც, მართალია, „გეტოში" არასოდეს უცხოვრიათ, მაგრამ მაინც მოახერხეს და თავისი პირველყოფილი [illegible] ბუნება ბოლომდე [illegible] უცვლელად შეინარჩუნეს (რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მაქვს საყოფიერო ზღაპარი). ამიტომ არის, რომ დღეს მათ მიხედვით ალარავინ მსჯელობს ამა თუ იმ ქრისტიანი ერის (ვთქვათ ესპანელების ან გერმანელების) ფოლკლორის მსოფლმხედველობრივი არსის შესახებ.

როგორც ბარის საქართველოში პრექრისტიანული ეპოქებიდან შემორჩენილი ზეპირსიტყვიერი ძეგლები მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით არსებითად ვერ განსაზღვრავენ ზოგადქართული ფოლკლორის სახეს, ისე ღვთისშვილთა შესახებ შემონახული ლეგენდების მიხედვით ძნელი იქნებოდა მთლიანად ფშავხევსურულ ზეპირშემოქმედების ბუნების შესახებ მსჯელობა, თუმცა ეს ლეგენდები, თითქოს, უშუალოდ უკავშირდება ამ კუთხეებში მცხოვრებთა რელიგიურ ცრურწმენებს. როგორც ცნობილია, პრექტისტიანულ ეპოქაში შექმნილმა ზეპირსიტყვიერმა მხატვრულმა ძეგლებმა ჩვენამდე პირველქმნილი სახით ვერ მოაღწიეს. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ცვლილებები, პირველ ყოვლისა, შეეხო არა იმდენად მათში ასახულ ცრურწმენებსა თუ ცრუწარმოდგენებს, რამდენადაც ნაწარმოების მსოფლმხედველობრივ მხარეს (გამონაკლისი კი ამ საერთო წესის უარსაყოფად ვერ გამოდგება). ამაზე უნდა მეტყველებდეს ის გარემოებაც, რომ მსოფლმხედველობრივი კატაკლიზმების მიუხედავად, ჩვენი ცნობიერება დღემდე თითქმის უცვლელად ინახავს პირველყოფილ ცრუწარმოდგენებს, თუმცა, ცხადია, თანამედროვე ადამიანს უკვე ეჭვიც კი აღარ ეპარება მათ არარეალურ ხასიათში.

„ურწმუნო წარმართის" წარმოდგენა შეუძლებელია, მაშინ როცა „ურწმუნო ქრისტიანის" — სრულიად დასაშვები: მართალია, ბევრს უკვე აღარ სჯეროდა, მაგალითად, უბიწოდ მუცლადღების ამბავი ანდა ჯვარცმული ქრისტეს ზეცად ამაღლება და ა. შ., მაგრამ მაინც ბოლომდე იზიარებდა ამ მოძღვრების ზნეობრივ მრწამსს. თავისდაუნებურად ქრისტიანობამ როგორღაც საშუალება მისცა ადამიანს ისე მძლავრად აღარ დაყრდნობოდა ცრურწმენის ყავარჯენს, რადგან ქრისტიანობა პირველ ყოვლისა, მაინც მსოფლმხედველობა იყო, ვიდრე ცრურწმენა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, ქრისტიანობამ თავის მოძღვრებაში უფრო იმიტომ შემოიტანა ფანტასტიკური თუ ზღაპრული ელემენტები, რათა არ დაეფრთხო დასაბამიდან ცრურწმენებსა და ცრუწარმოდგენებს „შეჩვეული" გონება ადამიანისა.

მთის კუთხეთა ფოლკლორს (ყოველ შემთხვევაში იმ ფოლკლორს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ძირითადად XIX საუკუნის ჩანაწერებით)

ზოგადქართულისაგან გამოარჩევს თავისებური კოლორიტი, ნიუანსური მხატვრული თავისებურება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მსოფლგაგება ან მორალურ-ეთიკური ნორმები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ ვილაპარაკებდით ერთიან ეროვნულ-ქართულ კულტურაზე, რამეთუ ერთიან კულტურას ერთიანი მსოფლმხედველობრივი საფუძველი ქმნის, ხოლო კულტურის ერთიანობა თავის მხრივ აუცილებელი ნიშანთაგანია ერისა (ერთიანი კულტურის გარეშე არსებობს მხოლოდ მონათესავე ტომთა უბრალო კონგლომერატი და არა — ერი).

რა თქმა უნდა, ობიექტურმა მეცნიერებამ თვალი არ უნდა აარიდოს სინამდვილეს, თუნდაც იგი სრულიად მიუღებელიც აღმოჩნდეს ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ რამდენად სამართლიანია მტკიცება იმისა, თითქოს XX საუკუნემდე ვერ მოხერხდა ქართველი ხალხის მსოფლმხედველობრივი კონსოლიდაცია?[1] ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტას პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვენი ერის, ჩვენი კულტურის ისტორიისათვის, არამედ სამომავლოდაც, რადგან ჯერ არავის შეუტანია ეჭვი იმაში, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“.

იმის გამო, რომ მაშინ არც სხვა იდეოლოგია არსებობდა და არც რაიმე ძალა, რომელიც შესძლებდა ქართველი ხალხის საბოლოო გაერთიანებას, ეს მისია თავისთავად დაეკისრა ქრისტიანობას. „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღმსარებლობა კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოაწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამისათვის უფრო [illegible]და თავის რჯულს, რომელიც [illegible] ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიქეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი ან მეფე, რომ სხვათა შორის, ამ თვალით არ [illegible] ქრისტეს სარწმუნოებისათვის“, — ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, მისი „თანაავტორი“ კი ქართველი ერის ისტორიაა.

ქვეყნის ფეოდალურ დაქსაქსულობას დავით გურამიშვილმა „ქართლის ჭირი“ უწოდა. ჭირმა კი, როგორც ჩანს, „შემოჩვევა“ იცის და, ალბათ, ამის გამო იყო, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებშიც კი, როცა თითქოს აღარ არსებობდა არავითარი რეალური საფუძველი საქართველოს კუთხური გათიშულობისათვის, ეს წყევლა-კრულვიანი საკითხავი ისევ წამოტივტივდა. ნება მომეცით, მოვიტანო ვრცელი ამონაწერი ილია ჭავჭავაძის ერთი მეთაური წერილიდან, რომელშიც იგი ირონიულად შენიშნავს:

„აი რაშია საქმე: ბ-ნმა ზელინსკიმ თურმე ერთი საშინელი ჭორი მოაჭორა: ვითომც ქართველი ქართველი არისო. აბა „კავკაზ“-ის მეცნიერი პუბლიცისტი რას დაანებებდა თავს ამისთანა ჭორსა... ამან არც აცივა, არც აცხელა და ასე უკიჟინა წყევლა-კრულვით მეჭორესა:

«Автор... устанавливает рубрику Картвельский или Иверский народ, который отождествляется им с грузинами и далее причисляет к последним имеретин, мингрельцев, хевсур, сванет... Эти племена, равно и многие другие представляют такие резкие отличия типа и языка и даже обычаев и национального костюма, что их никоим образом нельзя причислять к грузинам».

როგორ მოგწონს ეს „კოსტიუმების“ თეორია?..

„კავკაზ“-ი ჰკილავს ბ-ნს ზელინსკის, რომ ჯერ ადრეა იმისი თქმა, ვითომც ქართველი ქართველი იყოსო, და ჩვენ-კი „კავკაზ“-ის მეცნიერს პუბლიცისტს ვეტყვით: ბ-ნო, გვიანღაა იმისი თქმა, რომ ქართველი ქართველი არ არისო“ (გაზ. „ივერია“, № 268, 1887 წელი).

როგორც ჩანს, დღეს „კოსტიუმების თეორიის“ აღორძინება გულუბრყვილობა იქნებოდა და ამიტომ „ქართლის ჭირს“ უკვე მსოფლმხედველობრივი საფუძველი გამოუძებნეს: ამტკიცებენ, თითქოს, საქართველოს მთის კუთხეებმა (ზოგი მკვლევარის აზრით, სამეგრელომაც) ბოლომდე, ე. ი. XX საუკუნემდე შემოინახეს წარმართობა. ამით ჩვენ თვითონ საეჭვოდ ვხდით წარსულში ქართველი ხალხის კულტურულ ერთიანობას და კუთხურობის დღევანდელ გამოვლინებებსაც მეცნიერულ ძირზე ვამყნით.

---

1 XVII საუკუნეში ზურაბ ერისთავის მიერ მთის კუთხეების დალაშქვრა და ლაშარის წმინდა მუხის მოჭრა ლამისაა ისე მოგაჩვენონ, თითქოს ეს იყო მინიატურული განმეორება IV საუკუნეში ფხოველების წინააღმდეგ მიმართული აქციისა, როცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ „მცირედ წარმართა მახვილი“ და ძათი კერპები შემუსრა. სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია ზურაბ ერისთავის მიერ ჩატარებული ჩვეულებრივი ფეოდალური „ღონისძიება“ სარწმუნეობრივ კვარცხლბეკზე დავამყაროთ, ხოლო ზვიადი მებატონე კი ქრისტიან მისიონერად დავსახოთ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც ჩანს, ზოგიერთს დღესაც გულწრფელად სჯერა, თითქოს, წარმართობა „უფრო ქართული“, ჩვენთვის „უფრო ბუნებრივი“ მოვლენა იყო, ვიდრე ქრისტიანობა. თუმცა წარმართობის პერიოდი მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხმა გაიარა თავის დროზე და მას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ თვალსაზრისითაც უფრო ნაკლებად ეთქმის „ჩვენი“.

ჟურნალ „ცისკარში“ (№ 1, 1985 წ.) გამოქვეყნებულ წერილში — “ჩარჩოებს ნუ დავავიწროვებთ“ — დავით მჭედლური წერს:

„დღემდის ამოუცნობ ფენომად რჩება, თუ რამ განაპირობა უმდიდრესი და უბრწყინვალესი ზეპირსიტყვიერების შექმნა მაინც და მაინც მთიანეთში (ფშავი, თუშეთი, ხევსურეთი, სვანეთი).

ჩვენი აზრით, ამ მოვლენის მიზეზი უსათუოდ აქაური ხალხის წარმართობაშია საძიებელი. მთიელთა სულიერი და ფიზიკური ცხოვრება, მათი ზნეობა არ იყო შეზღუდული ქრისტიანული დოგმებით, ასკეტიზმით და რომელიღაც ერთი ღმერთისადმი უსიტყვო მონა-მორჩილებით (ამასთან ერთად ისინი არ იცნობდნენ კლასობრივი ექსპლოატაციის ფორმებს), რაც განაპირობებდა მათი აზროვნების თავისუფლებას, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ ხელს უწყობდა უმდიდრესი საგმირო და სატრფიალო პოეზიის აღმოცენებას“...

ჩვენი სახელოვანი მწერლები, მეცნიერები — ზეპირსიტყვიერების ტრფიალნი, შემფასებლები და დამფასებლები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ მთის კუთხეების ზეპირსიტყვიერებამ ბევრი რამ ისეთი შემოგვინახა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ისტორიული, ძველი ქართული კულტურის თვალსაზრისით, მაგრამ სხვადასხვა კუთხეთა ფოლკლორი არასოდეს დაუპირისპირებიათ ერთმანეთთან მხატვრულობის მხრივ. (მითუმეტეს, იდეოლოგიურად).

სულ ახლახანს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ქართული ხალხური პოეზიის კრებული „ლექსო არ დაიკარგები“. მისი შემდგენელ-რედაქტორია ალექსი ჭინჭარაული. ანოტაციაში ვკითხულობთ: „კრებულში თავმოყრილია ის საუკეთესო ქმნილებები ხალხური შემოქმედებისა, უფრო საქართველოს მთიანეთისა, რაც ჩვენმა ისტორიამ დღემდე შემოინახა“ (შეიძლებოდა თქმულიყო „უფრო ხევსურეთისა“...) ეს ანთოლოგიური ტიპის კრებულია იმ გაგებით, რომ მასალა მთლიანად შერჩეულია შემდგენელ-რედაქტორის გემოვნებით. ამით ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ყველა კუთხე (რომელიც კი წარმოდგენილია კრებულში) მასალის შერჩევის თვალსაზრისით ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვინც კრებულს გაეცნობა, კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებასთან მხატვრულობის თვალსაზრისით დაპირისპირებისას ცალკე აღებული ვერც ერთი კუთხის ფოლკლორი ვერ დარჩება მოგებული.

მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ როცა დ. მჭედლური ბარისა და მთის ფოლკლორს მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით აპირისპირებს, მაშინ ძირითადად მხედველობაში აქვს ლეგენდები ღვთისშვილთა შესახებ, ხოლო როცა მთის ზეპირსიტყვიერების მხატვრულ უპირატესობაზე ლაპარაკობს, ძირითადი აქცენტი უკვე საგმირო და სატრფიალო პოეზიაზე გადააქვს.

მე მხოლოდ იმიტომ მივმართე დ. მჭედლურის სტატიას, რადგან მასში ყველაზე უფრო ნათლად და, რაც მთავარია, ყველაზე უფრო მკვეთრად გამოვლინდა იმათი პოზიცია, ვინც თვლის, თითქოს, მთის კუთხეების მოსახლეობამ არ მიიღო ქრისტიანობა. წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს წერილი გამოქვეყნდა და აქამდე არავინ გამოხმაურებია. საჭირო კი იყო, რადგან მალე იგი თვით დროის მიერ აღმოჩნდება „აპრობირებული“.

თუ ზერელედ მაინც გავითვალისწინებთ ევროპული კულტურის, ევროპული ფოლკლორისა და ლიტერატურის წვლილს და ადგილს მსოფლიო ცივილიზაციაში, მაშინ ასე კატეგორიულად ველარ განვაცხადებთ, თითქოს, „ზოგადად პოლითეისტური რწმენა (ე. ი. ამ შემთხვევაში, წარმართობა, — გ. ბ.) განაპირობებდა ადამიანის ქმნილებისა და აზროვნების უფრო მეტ თავისუფლებას, ვიდრე მონოთეიზმი (ე. ი. ამ შემთხვევაში, ქრისტიანობა — გ. ბ.), ხელს უწყობდა მის სულიერ აღზევებას და მნიშვნელოვან მიღწევებს სულიერი კულტურის დარგში, რაც ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ხალხური პოეზიით გამომჟღავნდა“ (იქვე, გვ. 120).

ამგვარი რადიკალური დასკვნების გამოტანისას გაცილებით ანგარიშგასაწევი საბუთებია საჭირო, ვიდრე ჩვენი საკუთარი წარმოსახვაა.

ან, იქნებ, ავტორი იმას გულისხმობს, რომ პრექრისტიანულმა, წარმართულმა თუ მითოლოგიურმა წარმოდგენებმა წარუშლელი კვალი დატოვეს არა მარტო შემდგომი ეპოქების, არამედ თვით თანამედროვე ადამიანის მხატვრულ აზროვნებაზეც, რომ დღეს შექმნილი მრავალი პოეტური სახეც ნასაზრდოებია სწორედ იმ პრექრისტიანული წარმოდგენებით? მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, მაინც ძნელი უნდა ყოფილიყო იმის თქმა, რასაც დ. მჭედლური ამბობს, რადგან მითოლოგიურმა თუ წარმართულმა ცრუწარმოდგენებმა მხატვრული ტროპების მნიშვნელობა გაცილებით გვიან შეიძინეს, კერძოდ, მაშინ, როცა აღარც მთქმელს და აღარც გამგონებელს უკვე აღარ სჯეროდათ მათი რეალურობისა. ვეფხისტყაოსნის ცნობილი მეტა-

ფორა, — „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“, — თავისთავად მეტყველებს, რომ მისი ავტორი არ იმყოფება მითოლოგიური წარმოდგენების ტყვეობაში.

როგორც ლიტერატურის, ასევე ზეპირსიტყვიერების ისტორიაც ფაქტიურად მხატვრული აზროვნების განვითარების ისტორიაა და არ უნდა იყოს სწორი იმის თქმა, თითქოს ქრისტიანობამ ხელი შეუშალა ამ პროცესს. ამასთან, მეტი სიფრთხილის გამოჩენაც გვმართებს, რათა გუშინ ან გუშინწინ შექმნილი ფოლკლორული ძეგლი ტრადიციული მხატვრული ფაქტურის გამო წარმართობისდროინდელ ნაწარმოებად არ ალვიქვათ.

როგორც ვიცით, ქრისტიანობა ებრძოდა წინარე რელიგიური წარმოდგენების ყოველგვარ გამოვლინებას ზეპირსიტყვიერებაში. „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, მაგალითად, რომ ქრისტიანობამ აკრძალა „სიმღერანი საეშმაკონი“, ე. ი. წარმართულ რიტუალებთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება, მეორე მხრივ, ქრისტიანობა ცდილობდა შეეთვისებინა ან გაეთავისებინა ზოგიერთი რამ. მაგრამ ყველაფერს ვერც მოერია და ვერც გაითავისა. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ პრექრისტიანულ ეპოქაში შექმნილი ბევრი ზეპირსიტყვიერი მხატვრული ძეგლი დროთა ვითარებაში თავისთავადაც დაიცლებოდა წარმართული შინაარსისაგან.

მაგალითისათვის გავიხსენოთ ცნობილი ხევსურული ბალადა „მოყმე და ვეფხვი“. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში აღწერილია მათი საბედისწერო შებრძოლების ამბავი; მეორე ნაწილში მგლოვიარე დედა დასტირის თავის შვილსა და ვეფხვს („იარებოდა დედაი ტირილით თვალცრემლიანი“...). ვარაუდობენ, რომ ბალადის პირველი ნაწილი წარმართობისდროინდელი უნდა იყოს, რაკი მასში ვეფხვი ღვთაებად არის დასახული — „თვალნი არისხნა ღ ვ თ ი ს ა ნ ი“ (ჩემის აზრით, ამ სტრიქონში მხოლოდ ანარეკლი თუღა მოსჩანს უძველესი ცრურწმენისა, რომელიც შემდეგ ჩვეულებრივ მხატვრულ ტროპად აღიქმებოდა). რაც შეეხება ბალადის მეორე ნაწილს, ცნობილია, რომ იგი XX საუკუნეშია შექმნილი, თუმცა მასაც უძველესი ტრადიცია უდევს საფუძვლად: საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი წესით, მოკლული ვეფხვისათვის პატივი უნდა ეცათ და დაეტირებინათ (ინდენჯერ, რამდენი ზოლიც აღმოაჩნდებოდა ტანზე). ამის დასტურია სვანურ ფოლკლორში შემორჩენილი ლექსიც მონადირე თამბიზე. თამბის შემოეყრება ვეფხვი, რომელსაც კლავს — „ვეფხვის ზმორება სასიკვდილო მდინარეს ჰგავდა ადიდებულს“... და აი, მონადირე დასტირის თავის მსხვერპლს:

„ნეტავი შენ არ მომეკალი,
მამაჩემი შემომკვდომოდა.
ნეტავი შენ არ მომეკალი,
ალალი ძმა შემომკვდომოდა.
ნეტავი შენ არ მომეკალი,
ღვიძლი შვილი შემომკვდომოდა.
ნეტავი შენ არ მომეკალი,
ან შენთან ერთად მოვმკვდარიყავ“.

11. „მნათობი“, № 11.

თუ სვანურ ტექსტში რიტუალურ დატირებასთან კავშირი ჯერ კიდევ ხელშესახებია, ხევსურულ დატირებას მხოლოდ მხატვრული ფუნქციაღა აკისრია — დედა დასტირის ორ ერთმანეთის „საფერ“ ვაჟკაცს. ვფიქრობ, ახალმა გაგრძელებამ, რაკი იგი ხევსურული ბალადის ო რ გ ა ნ უ ლ ნ ა წ ი ლ ა დ იქცა, თავისებური „ლაკმუსის“ როლიც შეასრულა და გაამჟღავნა, რომ მოყმისა და ვეფხვის ბალადის პირველი, ძველი, ნაწილი ადრევე, ყოველ შემთხვევაში გაგრძელების შექმნამდე იქნებოდა დაცლილი წარმართული შინაარსისაგან.

კაცობრიობის წინაშე უხსოვარი დროიდან იდგა ცხოვრებისეული თუ მორალური ხასიათის მრავალი პრობლემა და „წყევლა-კრულვიანი“ საკითხავი. ზოგი მათგანი საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხოლმე. შემორჩენილი წერილობითი წყაროების გარეშეც თამამად შეგვეძლო გვეთქვა, მაგალითად, რომ ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, — როგორ უნდა უპასუხოს ადამიანმა ბოროტებას? — ქრისტეს დაბადებამდე გაცილებით ადრე იდგებოდა „დღის წესრიგში“. ძველი წელთაღრიცხვით VI-V საუკუნეების ჩინელ მოაზროვნეს კონფუცის ეკითხებიან: «Правильно ли отвечать добром на зло? Учитель ответил: «Как можно ответить добром? На зло отвечают справедливостью» (Древнекитайская философия, т. I, М., 1972, стр. 165).

აშკარაა, ქრისტიანულმა მოძღვრებამ თავის თანამედროვე საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის კულტურის გაცილებით მაღალი დონე იგულისხმა, როცა იგივე დილემა ბიბლიისაგან განსხვავებულად გადაჭრა. სახარებაში (მათე) ვკითხულობთ:

„გესმეს, რამეთუ თქმულ არს: თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ.

ხოლო მე გეტყჳ თქუენ: არა წინა აღდგომად ბოროტსა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენასა, მიუპყარ ერთკერძოიცა...

გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი.

ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენ. რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ“...

მაგრამ აი, XIX საუკუნის ბოლოს ვაჟა-ფშაველა კვლავ იტყვის:

ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,
ჩვენ შევიბრალოთ რისადა?!
სიკვდილი თვითონ უფალსა
გაუჩენია მტრისადა.

ნურავის მოეჩვენება, რომ ეს იყოს საკითხის პრექრისტიანული (თუნდაც უფრო სამართლიანი) გადაწყვეტისაკენ მიბრუნება. ვაჟა-ფშაველა ამ შემთხვევაში ცდილობს გაამართლოს ის, რაც თვითონ ცხოვრებას შეუტანია ქრისტიანულ ზნეობრივ ნორმებში. ეს ქრისტიანი პოეტის ნათქვამია და პირველ რიგში სწორედ ქრისტიან მკითხველს გულისხმობს.

ქრისტიანული ზნეობრივი ნორმების დაცვა და ცხოვრებაში მათი ბოლომდე გატარება თვით კულტის მსახურთაც ვერ მოახერხეს. ვერც ის მოხერხდა, რომ მტერიც ისევე შეგვეყვარებინა, როგორც მოყვასი... ბევრი რამ ვერ მოხერხდა, მაგრამ ყველაფერი, რაც ქრისტიანული ნორმების ფარგლებს სცილდება, აუცილებლად ძველისაკენ მიბრუნებად და პრექრისტიანულის აღორძინებად არ უნდა მივიჩნიოთ.

ესეც გახდა ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში ვაჟა-ფშაველა ხან პანთეისტად წარმოიდგინეს, ხან პრიმიტივისტად, ხოლო ზოგიერთი ისე გაიტაცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პრექრისტიანულის ძიებამ, რომ კინაღამ კანიბალიზმიც კი დააბრალეს წარმოშობით ფშაველ პოეტს.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ თვით „გამოუსწორებელი" პრაგმატიკოსი ადამიანიც კი საკუთარი წარსულის მიმართ, ჩვეულებრივ, „რომანტიკოსია" ხოლმე.

მაგრამ არსებობს „კოლექტიური წარსულიც" და „კოლექტიური მახსოვრობაც", რომელმაც მითების, თქმულებების, ზღაპრების, პოეზიის, სხვადასხვა ჩვეულებების სახით შემოგვინახეს ჩვენი „კოლექტიური ბავშვობის" ამბები. როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მსოფლიოს ხალხების „ბავშვობაც" ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს — ფართოდ გახელილი თვალებით, სამყაროს აღქმით, პირველაღმოჩენების სიუხვით...

კაცობრიობა დღემდე ვერ შელევია ამ წარსულს, რადგან, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის"...

მაგრამ წარსულის ყოველი გახსენება, მის აღორძინებად ან დაბრუნებად ნუ მოგეჩვენება.

ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ქრისტიანობა, ანუ ერის ისტორიის ათახუთხასწლოვანი პერიოდი ქართველი კაცის სულსა და ბუნებას ფაქტიურად არ შეხებია (რითაც ხაზგასმა ხდება როგორც ქართველი ერის კულტურული ერთიანობა, ისე ეროვნული კულტურის ქრისტიანული არსიც), რა თქმა უნდა, „ცარიელ ადგილზე" არ აღმოცენებულა. ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდა და თითქმის საუკუნოვანი ტრადიციაც გააჩნია.

ზოგ შემთხვევაში ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა გზაჯვარედინზე მდგომ ზღაპრის პერსონაჟს მოგვაგონებს, რომელსაც ვერა და ვერ გადაუწყვეტია, რომელ გზას დაადგეს. ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებს მსოფლმხედველობა ამა თუ იმ ხალხის კულტურის არსის ჩამოყალიბებაში, მაგრამ როცა ცალკეული მოვლენების შეფასებაზე მიდგება ხოლმე საქმე, ამ მომენტს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას აღარ ვანიჭებთ. ცუდ სამსახურს გვიწევს, აგრეთვე, ზოგიერთი ლიტერატურული ინერციაც, რომელიც ზოგჯერ დაუძლეველ ზღუდედ აღიმართება ხოლმე ობიექტური მეცნიერული კვლევის გზაზე.

იყო პერიოდი, როცა დაჟინებით ცდილობდნენ არამარტო ვეფხისტყაოსანი, არამარტო ძველი ქართული საერო მწერლობა, არამედ მთელი ქართული კულტურა მოეწყვიტათ ქრისტიანული გარემოსაგან და იგი ან მაზმადიანური სამყაროს ნაწილად, ან უკეთეს შემთხვევაში, წარმართული კულტურული ორიენტაციის მოვლენად გამოეცხადებინათ, ე. ი. საქართველო ფაქტიურად, საკუთარი, თვითმყოფადი კულტურის გარეშე დაეტოვებინათ. ყველა შემთხვევაში უარყოფილი იყო ქრისტიანობის გადამწყვეტი როლი ძველი ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენებისა და ჩამოყალიბების საქმეში. ამ „თეორიების" მიხედვით ძველი ქართული მწერლობა (საეკლესიო და საერო) ერთი კულტურული მოვლენის ორ გამოვლინებას კი არ წარმოადგენდა (როცა ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ჟანრობრივ თუ თემატიკურ სხვაობაზე), არამედ ორ, ერთმანეთისაგან გათიშულ კულტურულ მოვლენას (საეკლესიო-ქრისტიანული, საერო კი — მაზმადიანური ან წარმართული), რომელთა შორის ურთიერთობა შემთხვევიდან შემთხვევამდე მხოლოდ ცალკეული „ელემენტების" სესხებით ამოიწურებოდა. მაგრამ საეკლესიო და საერო მწერლობის ყრუ კედლით გამიჯვნის ტენდენცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუკი საეკლესიო და საერო მწერლობას ორ სხვადასხვა მსოფლმხედველობრივ საფუძველზე აღმოცენებულ მოვლენებად მივიჩნევთ (როგორც ეს „თეორიები" გვთავაზობდნენ). ამ გზამ კი იქამდე მიგვიყვანა, რომ დავით გურამიშვილი გასამიჯნი აღმოჩნდა თვითონ... დავით გურამიშვილისაგან.

საეკლესიო და საერო მწერლობას შორის საქართველოში არასოდეს ყოფილა ისეთი ჯებირები, როგორც ზოგიერთს დღესაც სურს რომ წარმოგვიდგინოს. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ აღმოსავლური გავლენა არსებითად გარეშე გავლენა იყო, ხოლო ქრისტიანული — ჩვენი კულტურის არსი. თუ ამ არსებით მხარეს გამოვაცლით,

ამით ქრისტიანულ კულტურაში ჩვენ ადგილს უარვყოფთ ე. ი. ფაქტიურად ზედაპირული გავლენების ანაბარად დავრჩებით. ზედაპირულ გავლენებს კი პირდაპირ და გარდაუვალად მივყავართ ეპიგონობასთან (ამ სიტყვის თუნდაც საუკეთესო გაგებით).

უცნაურია, მაგრამ ზოგი მეცნიერი დღესაც ცდილობს ამ თეორიებს „ისტორიული თვალით“ შეხედოს და იმით გაამართლოს, თითქოს, „გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქართული კულტურის ეროვნულ ძირებზე ისე მკვეთრად და მკაფიოდ ლაპარაკი ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა“, რადგან „ეს იქნებოდა იმ დროისათვის უნიადაგო და უსაბუთო მსჯელობა“. შემდეგ კი, როცა „გამოვლინდა და გამომზეურდა ახალ-ახალი წყაროები, აღმოჩნდა უძვირფასესი ლიტერატურული ძეგლები, ქართული კულტურის ორიგინალობის მტკიცებას უფრო მტკიცე საფუძველი შეექმნა“.

ჯერ ერთი, როცა „გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქართული კულტურის ეროვნულ ძირებზე ასე მკვეთრად და მკაფიოდ“ ლაპარაკობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, ეს არც მაშინ და არც შემდეგ არავის ალუქვამს „იმ დროისათვის უნიადაგო და უსაბუთო მსჯელობად“.

და მეორეც, ზემოხსენებული „თეორიები“ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მხოლოდ უსუსური და უნიადაგო ჰიპოთეზების სახით არსებობდნენ. თითქოს დაუჯერებელიც კია, მაგრამ ამ ჰიპოთეზებმა სწორედ მას შემდეგ მიიღეს „მწყობრი“ და „ჩამოყალიბებული“ მეცნიერული თეორიების სახე, რაც აღმოჩენილ იქნა ნაგულისხმევი ლიტერატურული ძეგლები (და მათ შორის უმთავრესიც — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ეს თეორიული შეხედულებანი შემდგომში ვითომ დაგმეს კიდეც, მაგრამ, როგორც ირკვევა, მაშინ ის ყოფილა „კრიტიკა კრიტიკისათვის“ ანდა „საყმაწვილო სახადი“, რომელიც არავითარ სერიოზულ კვალს არ ტოვებს. ამაზე მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ ხსენებული „თეორიების“ გამოძახილი დროდადრო ახლაც ისმის თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურათმცოდნეობაში.[1]

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ევრაზიის კონტინენტის ევროპად და აზიად თავის დროზე დაყოფილი არა იმდენად გეოგრაფიული, რამდენადაც სარწმუნოებრივი ნიშნის მიხედვით. ყველა ქრისტიანული სახელმწიფო, მათ შორის საქართველოც და სომხეთიც, სწორედ სარწმუნოების გამო უფრო დასავლური ორიენტაციისა იყო, ვიდრე აღმოსავლურის. ფაქტიურად ამან განსაზღვრა როგორც მთლიანად ქართული ლიტერატურის სახე, ისე ქართველი ხალხის ისტორიული ბედიც. ამიტომ არის, რომ ილია ჭავჭავაძე, როცა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ევროპეიზმზე ლაპარაკობდა, ამით ხაზს უსვამდა ძველი ქართული ქრისტიანული საერო მწერლობისა და თავის თანამედროვე ლიტერატურის მსოფლმხედველობრივ ერთიანობასაც, და ეს მაშინ, როცა თვით ძველ ქართულ მწერლობასაც კი (სასულიეროს და საეროს) სწორედ მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით თიშავდნენ.

მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელი თუ არ დავარქვით, ხელოვნურად მიჩქმალული სატკივარი მომავალში კიდევ სად ან რა ძალით იჩენს თავს, არავინ უწყის.

---

1. როცა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ვეფხისტყაოსანი „ქართული წარმართული ლიტერატურული ტრადიციების აღორძინებად“ გამოაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად არავინ იცოდა, რას უნდა ნიშნავდეს „ქართული წარმართული ლიტერატურული ტრადიციები“, ამ „თეორიას“ მაინც გამოუჩნდნენ მხარისდამჭერნი. შემდეგში, 50-იან წლებში, მართალია, ეს შეხედულება გააკრიტიკეს და თითქოს მიივიწყეს კიდეც, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში ფაქტიურად კვლავ აღორძინეს იმ საბაბით, თითქოს, ხსენებული „თეორია“ მიუთითებდეს ვეფხისტყაოსნის ხალხურ საფუძვლებზე და პოემის ეროვნულ ბუნებაზე. გამოდის, რომ ქრისტიანობის აპოთეოზის ჟამსაც კი საქართველოში შექმნილა არა ქრისტიანული, არამედ წარმართული „კულტურული ორიენტაციის“ გენიალური მხატვრული ძეგლი. მაგრამ ივიწყებენ, რომ თუკი მხატვრული ნაწარმოები ორგანულად არ უკავშირდება თავისი ეპოქის მსოფლმხედველობას, იგი ეროვნულ მოვლენად ვერ ჩაითვლება, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ მის უძველეს ხალხურ წყაროებზე, რადგან „ხალხური წყაროები“ და ნაწარმოების „ხალხურობა“, „ეროვნულობა“ სხვადასხვა შინაარსს გულისხმობს. და მაინც, არა იმდენად 30-იან წლებში რუსთაველის წარმართად გამოცხადებამ, რამდენადაც უკანასკნელ წლებში ამ იდეის კეთილად შეწყნარებამ შეამზადა ნოყიერი ნიადაგი იმისათვის, რათა დღესაც კი ქართული კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხის კვლევისას ნაკლებ ანგარიშს ვუწევდეთ (ან სულაც არ ვუწევდეთ ანგარიშს) ქრისტიანულ მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს ეროვნული კულტურის არსის ჩამოყალიბებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ტყეშელაშვილი

# თბილისის წარმოქმნა-განვითარება

## (ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით)

თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართულ თუ უცხოურ საისტორიო წყაროებში იგი ძველთაგანვე იხსენიება.

ქართულ საისტორიო წყაროებში თბილისი პირველად „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს აქვს მოხსენიებული, ახ. წ. IV ს. ამბებთან დაკავშირებით. ამ ცნობის მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ იმ დროს თბილისი, როგორც „ქალაქი-ციხე“, საკმაოდ დიდი მნიშვნელობისა იყო. მისი დაპყრობის შედეგად მტერს არა მარტო ქართლის, არამედ მისი მეზობელი ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილება და დახარკვა მოუხერხებია.

ადრეფეოდალური ხანის თბილისის შესახებ საყურადღებო ცნობები შემოგვინახეს იოანე საბანისძემ, ლეონტი მროველმა, ჯუანშერმა, „მატიანე ქართლისაჲს“, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“, „ცხოვრება დავით გარეჯელისაჲს“ ავტორებმა და სხვ.

აღნიშნულ წყაროებში ზოგჯერ კონკრეტულად, უფრო ხშირად კი ზოგადად არის წარმოდგენილი თბილისის პოლიტიკური (იშვიათად, ეკონომიკური) ცხოვრების სურათი ახ. წ. IV-X სს (თბილისის დაარსება-აღმავლობა, ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ და სხვ.).

ადრეფეოდალური ხანის თბილისის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებია შემონახული უცხოურ წერილობით წყაროებში, კერძოდ, სომხურ (ანანია შირაკელი, სებეოსი, მოსე კალანკატუელი, უხტანესი, კირაკოს განძაკელი, ღევონდ ვარდაპეტი, სტეფანოს ტარონელი ასოღიკი, ჰოვანეს დრასხანაკერტელი, თომა არწრუნი და სხვ.), ბიზანტიურ (პროკოპი კესარიელი, თეოფანე ბიზანტიელი, აგათია სქოლასტიკოსი და სხვ.), არაბულ (ტაბარი, ბალაძორი, ალიალ-მასუდი, აბულ კასიმ იბნ ჰაუქალი, ისთაჰირი და სხვ.) საისტორიო მწერლობაში.

აღნიშნული წყაროების კრიტიკული ანალიზი, სათანადო ლიტერატურის მითითებით, საკმაოდ ვრცლად არის მოცემული საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეორე ტომში.

უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ქართულ, ისე სომხურ და ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში ადრეფეოდალური ხანის თბილისის შესახებ დაცულ ცნობებში ძირითადად უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის, ქალაქის დარბევა-აოხრების, დაწვა-გაძარცვის ამბებია წარმოდგენილი. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს არაბული წყაროები, სადაც, პოლიტიკურ ამბებთან ერთად, ქალაქის მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური ყოფისა და ქალაქის გარეგანი სახის შესახებაც საყურადღებო ცნობებია მოცემული. ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეფეოდალური ხანის თბილისის ისტორიის მეტ-ნაკლებად სრული სახით წარმოდგენისათვის იმ არქეოლოგიურ ძეგლებს, რომლებიც ძველი ქალაქის ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი.

სამწუხაროდ, ფეოდალური ხანის თბილისის ტერიტორია არქეოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებად არის შესწავლილი. აქ მხოლოდ სამ პუნქტში ჩატარდა სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები (სამასი არაგველის სახ. ბაღი, ერეკლე მეორის სახ. მოედანი და თბილისის დედაციხე), რის შედეგადაც, ძირითადად, შუა და გვიანფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები იქნა გამოვლენილი. ადრეფეოდალური ხანის ძეგლები შედარებით დიდი რაოდენობით მხოლოდ ერეკლე მეორის სახ. მოედანზე აღმოჩნდა, მცირე რაოდენობით — თბილისის დედაციხეზე (თხრა ჯერ არ დასრულე-

ბულა), ხოლო სამასი არაგველის სახ. ბაღში IX ს. არაბული ფელსის, ადრეფეოდალური ხანის ჭურჭლისა და არაბულწარწერიანი ქვის აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს, რომ აქ ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენის არსებობაც ვივარაუდოთ.

მცირე ხასიათის სადაზვერვო-არქეოლოგიური თხრის შედეგად, თაბორის ციხის ტერიტორიაზედაც იქნა ნაპოვნი ადრეფეოდალური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ადრეფეოდალური ხანის უფრო მეტი და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები აღმოჩნდა სამლებროსა და ბოტანიკური ქუჩების კუთხეში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს (1978-1979 წწ.).

ადრეფეოდალური ხანის ცალკეული ნივთების აღმოჩენის ფაქტი დადასტურებულია აგრეთვე: ენგელსის ქუჩაზე, მამადავითის მთის ძირას, სულხან-საბას, კეცხოველის, ჩახრუხაძის, ლუნაჩარსკის, ბესიკის ქუჩების მიდამოებში და კომუნართა ბაღის ტერიტორიაზე.

ლუნაჩარსკისა და ბესიკის ქუჩების მიდამოებში, აგრეთვე, კომუნართა ბაღის ტერიტორიაზე, ჩანს, სამაროვნებთან გვაქვს საქმე. ადრეფეოდალურ ხანაში სამაროვნის („საგოდებლის“) არსებობა იგულისხმება, ასევე მეტეხის მახლობლად, რიყის მიდამოებში.

აღნიშნული წყაროები უდევს საფუძვლად თბილისის ისტორიის მეცნიერულ კვლევას, რომლის დასაწყისი ვახუშტი ბაგრატიონის სახელს უნდა დავუკავშიროთ.

მართალია, ვახუშტის მეტისმეტად მოკლედ და ზოგადად აქვს მოცემული თბილისის წარმოშობა-განვითარების ისტორია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაზე საყურადღებოდ ჩვენ ის ფაქტი მიგვაჩნია, რომ ვახუშტის ცნობაში — „ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი — ტფილისი, კალა და ისნი“ — ქრონოლოგიური ფაქტორიც უნდა იყოს გათვალისწინებული. ჩანს, მეცნიერისათვის კარგად იყო ცნობილი, (ჩვენთვის უცნობი წყაროს მიხედვით), რომ თბილისი თავდაპირველად შედგებოდა ერთი უბნის, „საკუთრივ ტფილისისაგან“, რომელსაც შემდგომში კალა და ისანი შეუერთდა.

ასევე საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული თბილისის წარმოშობა-განვითარების, ადრეფეოდალური ხანის ცალკეული ძეგლებისა თუ პოლიტიკური ამბების შესახებ პლ. იოსელიანს, დ. ბაქრაძესა და ნ. ბერძენოვს, მ. ჯანაშვილს, ლ. მელიქსედბეგს, მ. პოლიევქტოვსა და გ. ნათაძეს, ნ. ბადრიაშვილსა და სხვ.

მაგრამ თბილისის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებლად აკად. ივ. ჯავახიშვილი და აკად. ს. ჯანაშია გვევლინებიან. სხვადასხვა წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად, აკად. ივ. ჯავახიშვილმა მთელი რიგი საყურადღებო დასკვნები მოგვცა თბილისის დაარსების, მისი დედაქალაქად ქცევის მნიშვნელობის შესახებ, ხოლო აკად. ს. ჯანაშიამ სრულიად მართებულად დაუკავშირა თბილისის წარმოქმნა-დაწინაურების საკითხი ქართლში მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესს და მისი პრიორიტეტი (მცხეთის ნაცვლად ქართლის სამეფოს დედაქალაქად ქცევა) თბილისის ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული და გეოგრაფიული მდებარეობით ახსნა.

თბილისის ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის პროფ. შ. მესხიას. მის მონოგრაფიებში ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წყობის შესახებ საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ადრეფეოდალური ხანის თბილისის ისტორიას. მასვე (თანაავტორი პროფ. დ. გვრიტიშვილი) ეკუთვნის მონოგრაფია თბილისის ისტორიის შესახებ, სადაც, საისტორიო წყაროების ანალიზთან ერთად, პირველად იქნა გამოყენებული არქეოლოგიური მასალები.

ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების, მათ შორის, ადრეფეოდალური ხანის თბილისის ისტორიის შესახებ მეტად საყურადღებო აზრებია გამოთქმული გ. მელიქიშვილის, მ. ლორთქიფანიძის, ლ. ჭილაშვილის, თ. გამსახურდიას, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, ო. ცქიტიშვილის, თ. ბერიძის და სხვ. შრომებში.

თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას მიუძღვნეს შრომები გ. ლომთათიძემ, ი. გძელიშვილმა, ო. ტყეშელაშვილმა, ვ. ჯაფარიძემ, ლ. ჭილაშვილმა, ხოლო იმავე ეპოქის თბილისის ხუროთმოძღვრების შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ვ. ბერიძეს, ვ. ცინცაძეს, კ. მელითაურს და სხვ.

ზემოთ მითითებულ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ მოსაზრებათა ნაწილი დღესაც ძალაშია. ძალაში რჩება, მაგალითად, მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელწოდება „ტფილისი“ დაკავშირებულია თბილ, მინერალურ წყლებთან (ს. ჯანაშია), რომ თავდაპირველად თბილისი მხოლოდ ერთი უბნისაგან შედგებოდა, რომ ვახტანგ გორგასლამდე თბილისი უკვე არსებობდა და სხვ. მაგრამ ამ მოსაზრებათა ნაწილი მაინც დაზუსტებას მოითხოვს (კერძოდ, სად მდებარეობდა თავდაპირველად „საკუთრივ ტფილისი“, თუ ვახტანგ გორგასლამდე თბილისი უკვე არსებობდა, მაშ ვახტანგ გორგასალმა როგორღა „დასდო საფუძველი“ და ა. შ.). ზოგიერთი ავტორის აზრი ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ დღეისათვის სრულიად მიუღებელი ჩანს. ხოლო ზოგიერთი იმთავითვე მეტისმეტად გულუბრყვილოც კი იყო.

ამრიგად, დღეისათვის თბილისის ისტორიის, კერძოდ, ადრეფეოდალური ხანის თბილისის ისტორიის მრავალი საკითხი დაზუსტებას თუ დაკონკრეტებას მოითხოვს. უფრო მეტიც. დღემდე არ ხერხდება ზუსტად განვსაზღვროთ თუ როდის იქნა ბინადარი მოსახლეობის მიერ ათვისებული ძველი თბილისის ის ტერიტორია, რომელსაც ფეოდალური ხანის ქალაქი მოიცავდა, ან როგორ მოხდა, რომ IV ს. II ნახევარში, როდესაც „მოვიდა ქრამ ხუარ-ბორზარდ, სპარსთა მეფის პიტიახში, ტფილისად, ქალაქად-ციხედ, ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“. განა დასაშვებია იმის ვარაუდი, რომ მხოლოდ IV ს. მეორე ნახევარში გაჩნდა აქ „ქალაქი-ციხე“ და გაჩენისთანავე იმდენად მნიშვნელოვან ობიექტად იქცა, რომ მისი დაპყრობა მთელი ქართლისა და მისი მეზობელი ქვეყნების დახარკვა-დამორჩილების საშუალებას აძლევდა მტერს.

დღემდე არ ჩანს ამომწურავი პასუხი იმ კითხვაზეც, თუ რატომ იხსენიება თბილისი პირველად წერილობით წყაროებში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვისას და რატომართმევს იგი პირველობას ფეოდალიზმის გამარჯვებისთანავე მონათმფლობელური ქართლის დედაქალაქს — მცხეთას; რატომ ხდება იგი „საოცრად ნაგები და საკვირველი, სახელგანთქმული და გამოჩენილი დიდი დედაქალაქი“, იმ დროს, როდესაც, წარმოების ფეოდალური ხასიათის გამო, IV-IX სს. „არ არსებობდა პირობები ფეოდალური ქალაქების წარმოშობისათვის“ და სხვ.

ამრიგად, ადრეფეოდალური ხანის თბილისის ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრი საკითხია სადავო და გადასაწყვეტი.

ჩვენი მიზანია ხელმისაწვდომი საისტორიო წყაროების, არქეოლოგიური ძეგლებისა თუ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, წარმოვადგინოთ თბილისის ისტორია ადრეფეოდალურ ხანაში.

ფეოდალური ხანის თბილისის გარეგანი სახე, ჩანს, ადრეფეოდალურ ხანაშივე ჩამოყალიბდა. მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა.

ქალაქის გარეგანი სახის ჩამოყალიბებაში სამი ეტაპი განირჩევა. აქედან პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს უძველესი ხანიდან ახ. წ. VI საუკუნემდე, მეორე — VI-VIII სს., ხოლო მესამე — IX-X სს. მიჯნას. სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ამ ეტაპებს შეესაბამება: 1. თბილისის, როგორც ქალაქური ტიპის დასახლების წარმოქმნა-განვითარება; 2. ქართლის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევა და 3. ტიპიურ აღმოსავლურ ქალაქად ჩამოყალიბება.

პირველ ეტაპზე თბილისი მხოლოდ ერთი ნაწილისაგან შედგებოდა, რომელიც აბანოების უბანში, მდ. ლელვთახევის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. საისტორიო წყაროებში ამ ნაწილს „ტფილისი“, „საკუთრივ ტფილისი“ და „ძველი ქალაქი“ ეწოდებოდა (XVII ს-დან მას „სეიდაბადი“ ერქვა, შემდეგ „ხარფუხის“ სახელითაც იყო ხოლმე წარმოდგენილი).

ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს: „ტფილისი არს სამი ქალაქი — ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოთ-აღმოსავლით, ტფილისს — ჩრდილოთ და ისნს დასავლით და სამხრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკისწყალი,[1] რომელი გამოსდის წავკისისა და კოჯრის მთებსა, სამხრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს. არამედ პირველი იყო დაბა“ („აღწერა...“ გვ. 52).

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობაში ჩვენ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასაც ვხედავთ, ე. ი. ჩანს, მეცნიერისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ თბილისი „აბანოების უბანს“ მოიცავდა. ამას მოწმობს მისი გამოთქმა „პირველი იყო დაბა“, რომელიც დედაქალაქის მეორე ნაწილს კალას შეეხება (და არა „ტფილისს“, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს აქვს გააზრებული), სადაც „...მეფის ვარაზბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შურისციხე მცხეთისათვის ერისთავმან სპარსთამან“. თბილისის დედაციხე, შურისციხე ანუ კალა თბილისის მეორე ნაწილში, კალაში იდგა და არა „საკუთრივ ტფილისში“.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, მოსახლეობა თბილისში პირველად „დღევანდელი აბანოების უბანში უნდა გაჩენილიყო, რადგანაც სწორედ ამ პუნქტის საკუთარი სახელი უნდა იყოს „ტფილისი“, მიღებული აქ არსებული თბილ (ძველი ქართული გამოთქმით — „ტფილ“) მინერალურ წყაროებიდან, და რადგანაც აქვე იყო თბილისის ციხე-სიმაგრე“.

სხვათაშორის, აბანოების უბანში პირველი მოსახლეობის გაჩენას, თბილისის დაარსების შესახებ არსებული ლეგენდებიც უჭერს მხარს. ამიტომ თითქმის ყველა ავტორი იმ აზრის არის, რომ „ეს იყო IV-VI საუკუნის თბილისის ქალაქის მოსახლეობის ძირითადი რაიონი“ (შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი).

მაგრამ, ამ ბოლო ხანებში, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრება, კერძოდ იმის შესახებ, რომ თბილისში „პირველი დასახლება აბანოების უბანში არ უნდა გაჩენილიყო. ცხელი წყაროები, ნაკადულებად დახრამული და დაჭაობებული ზედაპირი, მეურნეობისათვის გამოუსადეგარი ნიადაგით, მაინცდამაინც ხახარბიელო არ უნდა ყოფილიყო დასახლებისათვის. ის ამბავი, რომ თბილისის სახელწოდება შეიძლება ამ ადგილის

---

[1] უნდა იყოს „წავკისის წყალი“.

მიხედვით წარმოსდგებოდეს, სრულიად არ ნიშნავს მაინცდამაინც პირველად აქ დასახლებას. რაც მთავარია, ასეთ ვარაუდს არ ეთანხმება არქეოლოგიური მონაცემები. 1948-1949 წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ დღევანდელი ბალნეოლოგიური კურორტისა და 800 არაგველის ბაღის ტერიტორიაზე საკმაოდ მძლავრი მოსახლეობა ყოფილა. უამრავ არქეოლოგიურ მასალაში ვერ ვხვდებით ადრეფეოდალური ხანის ნივთებს“ (ლ. ჭილაშვილი).

ამ თვალსაზრისის გაზიარება ჩვენ არ შეგვიძლია. ჯერ ერთი, ვერაფრით დავამტკიცებთ, რომ აბანოების უბანი ცხელი წყაროების გამო დახრამული და დაჭაობებული იყო. არც ის ვიცით, მეურნეობის რა დარგი იყო იმ დროს განვითარებული აღნიშნულ უბანში და ვერც იმის კატეგორიულ მტკიცებას დავიწყებთ, იყო თუ არა სახარბიელო ეს უბანი დასახლებისათვის. გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებს თუ დავეყრდნობით, თბილისის ამ უბანში საკმაოდ ინტენსიური მეურნეობა ჩანს, ე. ი., მიუხედავად ცხელი წყაროების არსებობისა, ამ უბნის ტერიტორია „დახრამული და დაჭაობებული“ და „მეურნეობისათვის გამოუსადეგარი“ სრულიადაც არ არის. პირიქით, საუკეთესო ბაღ-ვენახებია გაშენებული.

ასე რომ, აბანოების უბანში თბილისის პირველი მოსახლეობის გაჩენის ფაქტს, ამ საბუთიანობით ვერ უარვყოფთ.

რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალას, რომლის მიხედვითაც სამასი არაგველის სახ. ბაღში „საკმაოდ მძლავრი მოსახლეობის არსებობა“ დასტურდება თითქოს მხოლოდ XI-XIII სს. და აქ „ვერ ვხვდებით ადრეფეოდალური ხანის ნივთებს“, არც ეს აზრია სწორი.

800 არაგველის სახ. ბაღში 1948-1949 წწ. გათხრები ბოლომდე არ დასრულებულა სხვადასხვა მიზეზის გამო, XI-XIII სს. უფრო ადრინდელი კულტურული ფენის (თუ ფენების) გათხრა არ მოხერხდა. ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენა კი ამ ადგილას უნდა არსებობდეს. ამას მოწმობს თხრის დროს IX-X სს. არაბული ფულსის, აგრეთვე, ადრეფეოდალური ხანის კერამიკული ნაწარმის აღმოჩენის ცალკეული ფაქტები, რომელთა შესახებაც საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად მსჯელობს თვით ლ. ჭილაშვილი იმავე ნაშრომში.

ამრიგად, აღნიშნული მოტივით იმის უარყოფა, რომ მოსახლეობა თბილისში თავდაპირველად აბანოების უბანში გაჩნდა და თბილისი ერთი ნაწილისაგან შედგებოდა, დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. ამაში კიდევ მეტად დავრწმუნდებით „საკუთრივ ტფილისის“ ტერიტორიის განხილვის დროს.

„საკუთრივ ტფილისი“ მდებარეობდა მდ. ლეღვთახევის მარჯვენა მხარეს. ეს ხევი იყო ქალაქის ამ ნაწილის ბუნებრივი საზღვარი ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ამ უბანს მდ. მტკვარი საზღვრავდა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ე. წ. წყაროსხევი და ამ ხევის პირას აგებული ის ზღუდე-გალავანი, რომლის ნაშთები დღემდეა შემორჩენილი სამასი არაგველის სახ. ბაღში, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან — თაბორის მთის კალთები, სადაც თაბორის ციხე-სიმაგრე იდგა.

ვახუშტი ბაგრატიონის თბილისის გეგმას თუ დავაკვირდებით, „საკუთრივ ტფილისის“ ტერიტორია თავისთავად არის მოქცეული ბუნებრივ საზღვრებში. ძველი ქალაქი („ტფილისი ანუ სეიდაბადი“) წარმოდგენილია ხევებსა, მტკვრის ნაპირსა და თაბორის მთის ფერდობს შორის. ეს სიტუაცია მარტო ვახუშტისდროინდელ თბილისს არ უნდა ასახავდეს. ჩანს, იგი პირვანდელ მდგომარეობას გადმოგვცემს.

სწორედ ამ ფარგლებში წარმოგვიდგება ჩვენ „საკუთრივ ტფილისი“ ახ. წ. IV-V საუკუნეებში და, ჩანს, უფრო ადრეც.

ამას გვაფიქრებინებს მემატიანის ცნობაც: „...მოვიდა ქრამხუარ-ბორ-ზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად-ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა, და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“.

ეს ცნობა მრავალმხრივ არის საყურადღებო.

აღსანიშნავია, რომ სპარსელი პიტიახში უკვე არსებულ „ქალაქ-ციხეში“ მკვიდრდება. მაშასადამე, სპარსელი პიტიახშის მოსვლამდე თბილისი იმდენად დიდი მნიშვნელობის პუნქტია („ქალაქი-ციხე“), რომ მისი დაპყრობა არა მარტო ქართლის, არამედ მისი მეზობელი ქვეყნების დახარკვა-დამორჩილების შესაძლებლობასაც აძლევს მტერს. ეს ფაქტი სპარსელებისთვისაც კარგად ყოფილა ცნობილი.

ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს ის, რომ თბილისი წარმოდგენილია როგორც „ქალაქი-ციხე“. მემატიანე თბილისს წარმოგვიდგენს ჯერ როგორც „ქალაქს“, შემდეგ კი — „ციხეს“. უპირატესობა „ქალაქს“ აქვს მინიჭებული.

მემატიანის ზემოთ აღნიშნული ცნობა ცოტა სხვაგვარად ესმის აკად. ს. ჯანაშიას. იგი წერს: „მაშასადამე, თავდაპირველად ტფილისი ირანელი პიტიახშების საჯდომად ქცეულა. ამ დროისათვის ეს პუნქტი ჯერ კიდევ ქალაქად არ ითვლება“. იქვე იგი შენიშნავს: „მოტანილი ციტატა შატბერდულ საკითხავს წარმოადგენს. ჭელიშური — მნიშვნელოვნად განსხვავებულია: „მაშინ მოვიდა ხუარ... ტფლს და კდ ციხედ“ და სხვ. გეოგრაფიული ადგილის დაქარაგმებული სახელწოდება შეიძლება გახსნილ იქნას ასე: „ტფილისს და კალად ციხედ“. გამოდის, რომ დასახელებულია ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ადგილი, ერთი, მოსახლეობისა და, მეორე, ციხის პუნქ-

ტები. არსაიდან არ ჩანს, რომ უკანასკნელის სახელწოდება „კალა“ მართლაც არაბული სიტყვაა, და არა საკუთარი გეოგრაფიული სახელი, გარეგნულად მსგავსი უცხო სიტყვისა. ანაქრონიზმს აქ ჩვენ ამიტომ ვერ ვხედავთ. სრულიად ცხადია, ...რომ მატიანე ტფილისის „გაქალაქებას“ მომდევნო ხანაში დასდებს. ამრიგად, შატბერდული საკითხავის „ქალაქი-ციხე“ მერმინდელი ავტორის განმარტებაა“.1

ამ აზრს ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

ჯერ ერთი, ქელიშურ ვარიანტში სპარსელი პიტიახშის თბილისში მოსვლა საკმაოდ ბუნდოვნად არის გადმოცემული. აქ თვით პიტიახშის სახელიც კი არასრულადაა წარმოდგენილი. არც ისაა აღნიშნული, თუ რა შედეგი მოჰყვა სპარსელი მოხელის მიერ თბილისის დაპყრობას. შატბერდული საკითხავი ამ მხრივ უფრო სრული და ნათელია. მის ავტორს სათანადო წყაროს გარეშე ასეთი დეტალების ჩამატება არ შეეძლო. ამიტომ არც „ქალაქი-ციხე“ მიგვაჩნია მერმინდელი ავტორის განმარტებად.

გარდა ამისა, თვით ქარაგმების გახსნაც საეჭვოდ გამოიყურება. „ტფლს“, ცხადია, უნდა გავიგოთ, როგორც „ტფილისის“, მაგრამ „კდ“ ქარაგმის ახსნა „კალად“, საეჭვო ჩანს: როგორც ცნობილია, დაქარაგმება ხდებოდა მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ-გავრცელებული სიტყვებისა და ისიც გარკვევით. ამიტომ ქელიშური ვარიანტის „კდ ციხედ“ არ უნდა ნიშნავდეს კალას.

ყოველ შემთხვევაში, „კდ“ ქარაგმაში „კალად ციხედ“ არ უნდა იგულისხმებოდეს, თუნდაც იმის გამო, რომ სპარსელი პიტიახში თბილისში დამკვიდრების შემდეგ იწყებს კალას ანუ შურის ციხის მშენებლობას „ციხედ მცხეთისად“.

ამრიგად, შატბერდული საკითხავი ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია და, ვფიქრობთ, რომ „ტფილისად ქალაქად“ გულისხმობს „საკუთრივ ტფილისს“, რომელიც მართლაც ქალაქი, ან ქალაქური ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო იმ დროს, ხოლო „ციხედ“ — თაბორის ციხეს.

ამ მოსაზრებას სხვა მონაცემებიც უჭერს მხარს, პირველ რიგში კი ნუმიზმატიკური მასალა.

ასე, მაგალითად, თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე (დიღომი, საბურთალო, დელისი, ღრმაღელე, ვაკე, „გარეთუბანი“ ორთაჭალა, „საკუთრივ თბილისი“ და სხვ.) დადასტურებულია ბაქტრიული, რომაული, სპარსული, ბოსფორული და სხვ. მონეტების აღმოჩენის ფაქტი. ამ მონეტების ქრონოლოგიური საზღვარი მოიცავს ძვ. წ. ბოლო საუკუნეებსა და ახ. წ. I-III საუკუნეებს.

ამასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად შენიშნავს ლ. ჭილაშვილი, რომ „ზემოთ აღნიშნული მონეტების მნიშვნელობას მათი აღმოჩენის შემთხვევითობა სრულიად ვერ შეამცირებს და ის ნათლად მიუთითებს, რომ უკვე ანტიკური ხანიდან აქ მძლავრი კერაა მოსახლეობისა, სადაც მაღალ დონეზე ყოფილა ეკონომიკური საქმიანობა. ჩამოთვლილი მონეტების მიხედვით თბილისის გეოგრაფიული თვალსაწიერი საკმაოდ ვრცელია: რომის იმპერია, ბოსფორის სამეფო, სპარსეთი, ბაქტრია“.

ზემოთ აღნიშნულს თუ დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე თბილისის ტერიტორიაზე ახ. წ. პირველი საუკუნეების მინის ჭურჭელი და კრამიტია აღმოჩენილი, იქნებ საფუძვლიანი გვეჩვენოს გ. ლომთათიძის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ეს პუნქტები უკვე ახ. წ. I-II სს. წარმოადგენდნენ ქალაქური ტიპის სამოსახლოს (თუმცა ეს პუნქტები „ძველ თბილისს“ არ ეკუთვნოდნენ).

ყოველ შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახ. წ. V საუკუნისათვის თბილისი „ქალაქი“ იყო, რაც აისახა კიდევაც მემატიანის ცნობაში.

ამასვე მოწმობს IV ს-ის რომაული საგზაო რუკა, ე. წ. „ტაბულა პევტინგერიანა“, სადაც თბილისი „ფილადოს“ სახელით არის დატანილი.

ამასთან დაკავშირებით ნ. ლომოური სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევს ს. ერემიანის ვარაუდს, რომ სადგური ფილადო „თბილისის სახელის თავნაკლული ფორმაა და სწორი სახელწოდება უნდა ყოფილიყო „ტფილადო“, რომ პირველი ასო ამ სახელში მართლაც „ტარი“ უნდა ყოფილიყო, ამას რავენელი ანონიმიც ამტკიცებს, სადაც ფილადოს შესატყვისად მოხსენებულია „ტილიდა“ სათანადო მონაცემების ანალიზის შედეგად, ნ. ლომოური სამართლიანად დაასკვნის, რომ IV საუკუნისათვის თბილისი უკვე საკმაოდ დაწინაურებული იყო.

თბილისის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები (და სხვა მონაცემები) საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. რაც შეეხება საისტორიო მწერლობას (როგორც ქართულს, ისე სომხურს), ეს შეიძლება წყაროთა ნაკლოვანებით აიხსნას.

ზემოთ აღნიშნული ნუმიზმატიკური მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „საკუთრივ ტფილისის“ ტერიტორიაზე, ბოტანიკური ბაღის მიდამოებში ახ. წ. I-III სს.

1 აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ: აკად. ს. ჯანაშიამ მოგვიანებით გამოთქვა აზრი, რომ IV საუკუნის შუა წლებისათვის თბილისს უკვე ჰქონდა მოპოვებული დიდი ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, რაც, ჩვენი აზრით, „საკუთრივ ტფილისის“ ქალაქად აღიარებას უნდა ნიშნავდეს.

ბოსფორული მონეტების აღმოჩენა, რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ უკვე იმ დროს აქ სავაჭრო გზა გადიოდა.

მართლაც, თბილისის გეგმებს თუ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ ფეოდალურ ხანაში, უძველესი დროიდან 1851 წლამდე, სამხრეთიდან მომავალი გზა სწორედ „საკუთრივ ტფილისის“ ტერიტორიაზე გადიოდა, თაბორის მთის ფერდობსა და ზღუდე-გალავანს შორის.

ვახუშტი ბაგრატიონის გეგმის მიხედვით, სამხრეთიდან თბილისში ორი გზა შემოდის. ორივე გზა „საკუთრივ თბილისის“ კედელთან ჩამავალ ე. წ. წყაროსხევთან ერთდება, შემდეგ თაბორის მთის ფერდობზე გადის (აგრეთვე ზღუდე-გალავნის გაყოლებით), შედის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე და აქედან, ერთი მხრივ, ლეღვთახევის გავლით, კალას ტერიტორიაზე შემოდის, მეორე მხრივ კი, ლეღვთახევის მარჯვენა მხარეს გადის და კუმისის გზას უერთდება.

სწორედ ეს გზა წარმოადგენდა სამხრეთიდან მომავალ ძირითად მაგისტრალს, ერთადერთ გზას. და, რადგან სწორედ ამ გზაზეა დადასტურებული ანტიკური ხანის მონეტების აღმოჩენა, გზაც იმ დროიდანვე უნდა არსებულიყო.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, IV ს. ამბებთან დაკავშირებით მემატიანე თბილისს იხსენიებს როგორც ქალაქ-ციხეს.

ამიტომ, ბუნებრივი ჩანს, რომ სამხრეთიდან მომავალ ამ უძველეს გზასთან ერთად, საკუთრივ თბილისის ზღუდე-გალავნის არსებობაც იმთავითვე ვივარაუდოთ.

ამ მხრივ საყურადღებოა როსტომ მეფის მიერ 1645 წ. 20 ივნისს გაცემული „წყალობის წიგნი“, სადაც სხვათაშორის ნათქვამია: „მას ჟამს, ოდეს... მოვედით ქალაქსა და სასახლის აშენებას ხელი მივყავით და თქვენი ნასყიდი სახლები და ადგილები ბევრი გამოგართვით“, სანაცვლოდ ...გიბოძეთ აბანოების იქით ჩვენთვის სახასოდ საიონჯეთ დაჭერილი საიონჯარი, იქით გვერდი ძ ვ ე ლ  გ ა ლ ა ვ ნ ა მ დ ი, ზემოთ შარამდი, აქათ მოურავის მეითარ მანუჩარის და ბეჰბუდანთ ვენახების სამძღვრამდი, ბუზანაურის შვილის ანაშელასა და მირიმანაანთ ვენახის გვერდამდის თქვენთვის გვიბოძებია“.

ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ XVII ს. 40-იან წლებში საკუთრივ ტფილისის ტერიტორია „აბანოების იქით“, ე. ი. დაახლოებით დღევანდელ ბალნეოლოგიურ კურორტსა და სამასი არაგველის სახ. ბაღს შორის, სამეფო სახლის მიერ „საიონჯეთ დაჭერილ საიონჯარს“ წარმოადგენდა. იქვე ჰქონიათ გაშენებული ვენახები თბილისელ მოქალაქეებს. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ამჟამად ის ფაქტია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში საკუთრივ თბილისის „ძველი გალავანია“ ნახსენები.

მაშასადამე, XVII ს 40-იან წლებშიც საკუთრივ თბილისის გალავანი „ძველად“ იხსენიება.

ეს გალავანი, რომ მართლაც ძველი იყო, ამას არქეოლოგიური მონაპოვარიც მოწმობს.

სამასი არაგველის სახ. ბაღში 1948-1949 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ „XII-XIII სს. აქ კედელი უნდა მდგარიყო. შესაძლოა, რომ ამ პერიოდში და, ეგებ, უფრო ადრეც, ეს კედელი კეტავდა ქალაქს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ამ კედელს ჰქონოდა ქალაქში შესასვლელი კარი, საიდანაც თბილისიდან სამხრეთისაკენ მიმავალი გზა იწყებოდა“ (ო. ჯაფარიძე). „ძველი კარი“ იხსენიება ტაბართან. ეს ძველი კარი, ალბათ, ძველ გალავანში იყო დატანილი. „დაახლოებით 1987 წელს, ამ ადგილას უპოვნიათ არაბულწარწერიანი ქვა, ჩამოტეხილი და ნაკლული. წარწერა ამოუკითხავს პროფ. გ. წერეთელს. ამ უკანასკნელს მოკლედ გამოქვეყნებულიც აქვს იგი ერთ მიმოხილვაში, სადაც „მანძილის აღმნიშვნელ ქვას“ უწოდებს მას და წარწერას ასე თარგმნის: „სამი მილი ...თბილისიდან“. წარწერის თარიღი ჰიჯრის I საუკუნე, ე. ი. ჩვენებურად VIII საუკუნის დასაწყისი ყოფილა. ცხადია, რომ ქვა თავის დროზე გზის პირას იქნებოდა ჩასმული და, მაშასადამე, მისი პოვნის ადგილი ნაგზაურს უნდა წარმოადგენდეს. ამგვარ მსჯელობას ბუნებრივად მოჰყვა დასკვნა, რომ, რაკი ეს ადგილი ძველ ზღუდესთან ახლოსაა, სადღაც, აქვე შემოდიოდა გზა ზღუდეს შიგნით, ქალაქში და, მაშასადამე, აქ ქალაქის ერთ-ერთი კარი ყოფილა“ (გ. ლომთათიძე).

პლ. იოსელიანი თბილისის ზღუდე-გალავნის შესახებ წერს: „ძველი და მთავარი კედელი, რომელიც ქალაქს იცავდა სამხრეთიდან, იწყებოდა მდ. მტკვრიდან და თაბორის მთის ძირს ებჯინებოდა. ეს კედელი დღესაცაა რამდენიმე ადგილას შემორჩენილი. მისი სიმაღლე, ჩანს, 4-5 საჟენს უდრიდა, სისქე — $2^1/_4$ არშინს. ეს კედელი იცავდა, როგორც სეიდაბადის მცხოვრებთ, ისე აბანოებს და გოგირდის წყაროებს“.. (გვ. 29).

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ ადრეფეოდალური ხანიდანვე „საკუთრივ ტფილისს“ თავისი ზღუდე-გალავანი ჰქონდა. შემთხვევითი არ არის, რომ მემატიანე სპარსელი პიტიახშის მოსვლის დროს (ახ. წ. IV ს.) თბილისს იხსენიებს, როგორც „ქალაქ-ციხეს“. და, თბილისს რომ ზღუდე-გალავანი არ ჰქონოდა, მემატიანე მას „ქალაქად“ აღარ მოიხსენიებდა, რადგანაც ქალაქის განუყრელ ატრიბუტს იმთავითვე ზღუდე-გალავანი წარმოადგენდა.

ზღუდე-გალავნის გარეშე ქალაქი არ „ქალაქობდა“, „...ქალაქის აშენების პირველი და უმთავრესი პირობა მისი შემოზღუდვა იყო“, „...ზღუდე და შესაბამისი თავდაცვითი ნაგებობანი ქალაქობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი იყო“ (ლ. ჭილაშვილი).

ამრიგად, ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ IV საუკუნისათვის თბილისი „ქალაქი“ მოიცავდა ლელვთახევის მარჯვენა მხარეს, ე. ი. „საკუთრივ ტფილისს“, რომელსაც თავისი ზღუდე-გალავანი ჰქონდა. რაც შეეხება „ციხეს“, აქ უნდა იგულისხმებოდეს თაბორის ციხე.

თაბორის ციხე ძველი თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობა იყო. იგი მდებარეობდა თაბორის ქედის ბოლოს. აღმოსავლეთის მხრიდან ციხეს თაბორის ქედის ციცაბო, მდინარე და კლდოვანი ფერდობი ეკვრის, დასავლეთიდან — ვაკე მინდორი, სამხრეთიდან — ნადიკვარის ველი, რომელიც ბევრ ადგილასაა დახრამული, ხოლო ჩრდილოეთიდან — დღევანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორია. თაბორის ციხეში მისვლა ამჟამად ხოფ. შინდისიდან და ნადიკვარის მხრიდან შეიძლება.

თაბორის ციხე თავისი მდებარეობით, საკმაოდ ძნელი მისადგომი იყო ბოტანიკური ბაღისა და ხარფუხიდან, ე. ი. აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. ციხე ბატონობდა და კონტროლს უწევდა საკუთრივ ტფილისს და სამხრეთიდან თბილისში შემომავალ გზას.

პლ. იოსელიანის ცნობით თაბორის ციხეს ყორჩიყალასაც უწოდებდნენ. ერთ დროს ციხეს შემოვლებული ჰქონდა ქვის ზღუდე-გალავანი, რომლის შიგნით ციხესთან ერთად, ფერისცვალების ეკლესია იდგა (ვახუშტი ბაგრატიონსაც ეკლესიის მსგავსი ნაგებობა აქვს გამოსახული თაბორის მთაზე). ციხე-გალავანი და ეკლესია შაჰ-აბაზს აუოხრებია 1618 წელს; შემდეგ როსტომ მეფეს (1632-1658 წწ.) აღუდგენია. ნადირ-შაჰს აუოხრებია ორჯერ (1735 და 1743 წწ.). ამ ციხეში გამაგრდა ქართლის სამეფო ტახტის მაძიებელი, გამაჰმადიანებული აბდულა-ბეგ იესეს ძე, რომელიც მეფე ერეკლე მეორემ დაამარცხა 1748 წელს. ერეკლე მეფემ თაბორის ციხე შეაკეთა და ზარბაზნები დადგა იქ. ამ ციხემ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლის დროს (1795 წ.). აღა-მაჰმად-ხანმა თბილისის აოხრებისას თაბორის ციხე-სიმაგრე და ეკლესია მიწასთან გაასწორა. ამჟამად თაბორის ციხისა და ეკლესიისაგან თითქმის არაფერია შემორჩენილი. რაც მტერს გადაურჩა, შემდგომში დაინგრა ბუნებრივი მოვლენებისა და წყლის რეზერვუარის მშენებლობის შედეგად.

როგორც აღნიშნული იყო, სამხრეთიდან მომავალი გზა „საკუთრივ ტფილისის“ ზღუდე-გალავანსა და თაბორის ციხეს შორის გადიოდა, შემდეგ კი, დღევანდელი ბოტანიკური ბაღის გავლით, მიემართებოდა კოჯრისა და მცხეთისაკენ (მტკვრის ხეობით). ეს გზა ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი სავაჭრო (და, ჩანს, სამხედრო-სტრატეგიული) მაგისტრალი. ამის დამადასტურებელია ზემოთ აღნიშნული მონეტების პოვნა ორთაჭალასა და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე.

ამ გზის დამცველი უნდა ყოფილიყო თაბორის ციხე. „...საერთოდ ციხე, ეს პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის საშუალება (და ნიშანი) არა მარტო გზის ყელზე იდგა, არამედ გზას თავისკენ ეწეოდა: ამა თუ იმ ციხის „შემავალ“ ქვეყანაში გამვლელი, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუქცევდა ამ ციხეს...“ (ნ. ბერძენიშვილი).

რადგან თბილისის ტერიტორიაზე გამავალი გზის არსებობა უკვე ახ. წ. I-III სს. სრულიად დასაშვები ჩანს, გამორიცხული არ არის, რომ ამ გზის კონტროლი სწორედ თაბორის ციხეს ჰქონდა დავალებული, ე. ი. თაბორის ციხის არსებობა დასაშვებად მიგვაჩნია ახ. წ. პირველ საუკუნეებში.

სამწუხაროდ, თაბორის ციხე არქეოლოგიურად თითქმის სრულიად შეუსწავლელია. 1972 წ. ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ თაბორის ციხეში მცირე ხასიათის სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, შუა და გვიანი ფეოდალური ხანის ძეგლებთან ერთად, ადრეფეოდალური ხანის მასალაც აღმოჩნდა, კერამიკული ნაწარმის სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში (და უფრო ადრეც?) აქ უკვე უნდა ყოფილიყო ციხე-სიმაგრე.

რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება ჯერ-ჯერობით მაინც სავარაუდო ჩანს, მომავალი კვლევა-ძიება, ცხადია, მეტ შუქს მოჰფენს ამ საკითხს.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ისაა, რომ სპარსელ მოხელეს თბილისში დამკვიდრებისას აქ უკვე დახვდა ციხე. ამ ციხეში ჩვენ თაბორს ვგულისხმობთ, შურისციხე ანუ კალა კი სპარსელმა ერისთავმა თბილისში დამკვიდრების შემდეგ ააგო.

ამ ფაქტს ლეონტი მროველი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოხრეს სომხითი, და შემოვიდეს ქართლს. და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“.

ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის ციხის მშენებლობის შესახებ გვამცნობს: „...მეფის ვარაზბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შურის-ციხე მცხეთისათვის ერისთავმან სპარსთამან“.

ეს აზრი საყოველთაოდ არის აღიარებული და დამკვიდრებული.

ამრიგად, სპარსელი ერისთავი (პიტიახში) თბილისში დამკვიდრების შემდეგ მცხეთის სა-

პირისპიროდ, მცხეთაში მჯდომი მეფისათვის კონტროლის დაწესების მიზნით, თბილისში შურის-ციხეს აგებს. ძველ ქართულში „შური საშურვებელსაც ნიშნავდა, საშურვებელი კი, შეტოქეს, მოცილეს" (ილ. აბულაძე). აქედან თითქოს ძნელი ასახსნელიც აღარ არის შურის-ციხის ეტიმოლოგია. იგი მცხეთის, უფრო სწორად, არმაზციხის მეტოქე-მოცილე იყო. ყოველ შემთხვევაში, ეს ციხე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით უკვე უშუალო კონტროლს უწევდა სამხრეთიდან მომავალ გზებს, რომლებიც მდ. მტკვრის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს გადიოდნენ და, დიღმისა და ავჭალის გავლით, მცხეთისაკენ მიემართებოდნენ. ამრიგად, მცხეთაში მჯდომი ქართლის მეფისათვის თვალყურის დევნება, მართლაც გაცილებით უფრო იოლი ხდებოდა სპარსელი მოხელისათვის.

მრავალმხრივ საინტერესოა ცნობა „თბილისის კართა შორის" მცხეთისათვის ციხის მშენებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში, ეს ციხე არამარტო მცხეთის მეთვალყურე და კონტროლის გამწევი ჩანს, არამედ თვით მცხეთისა და მისი ქვეყნის თავდაცვითი სისტემის ნაწილიც. როგორი იყო ეს თავდაცვითი სისტემა, არც თუ იოლია ამის დადგენა. მცხეთის „ოთხნი იგი ციხენი" და ზღუდე-გალავანი რომ არსებობდა, ეს ცნობილია („ხოლო ამან აზონ მოარღვივნა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი; და ერთი ციხე დასასრულისა არმაზისა ცხვირისასა; და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა; მეოთხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკუარსა ზედა" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. ჯ8). მაგრამ ახ. წ. IV ს. რატომ უნდა ჩავთვალოთ „თბილისის კართა შორის" აგებული ციხე „ციხედ მცხეთისად", არც თუ იოლი ასახსნელი ჩანს. თბილისსა და მცხეთას შორის საკმაოდ დიდი მანძილია.

იქნებ თბილისი იმ დროს (და, უფრო ადრე?) მცხეთის შემავალი ქვეყანა იყო და „ციხედ მცხეთისად" სწორედ ამ „ქვეყნის" თავდაცვით სისტემას გულისხმობს და არა უშუალოდ საკუთრივ მცხეთას. არქეოლოგიური მონაცემები არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ აღნიშნული პერიოდისათვის თბილისი და მისი მიდამოები (დიღომი, ვაშლიჯვარი, ნახშირგორა, ზოთანია, წყნეთი — სამადლო და სხვ.) მცხეთის შემავალ ქვეყნად ვიგულისხმოთ. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულ პუნქტებში აღმოჩენილი ქინძისთავები, მინის ჭურჭელი, მშვილდსაკინძები და სხვ. აშკარად „მცხეთური" ჩანს.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ლეონტი მროველის ცნობა (მცხეთიდან წამოსული ფარნავაზი, დიღმის ველის გავლით, ნადირობს „ლირღალთა შინა ტფილისისასათა", გამოქვაბულში პოულობს უთვალავ განძს, რომლის საშუალებით ათავისუფლებს ქვეყანას უცხო დამპყრობთაგან და ქართლის ძლიერ სამეფოს უდრის საფუძველს) და ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ (მცხეთიდან წამოსული ქართლის მეფე თბილისში ნადირობს, ცხელ, სამკურნალო-გოგირდოვან წყალს აღმოაჩენს და ქალაქ „ტფილისს" აარსებს).

ამ ცნობისა თუ ლეგენდის ავკარგიანობის დადგენა ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ იმ ფაქტზე, რომ ტრადიციის თანახმად, თბილისი მცხეთელთა სანადირო ადგილია და, ჩანს, მცხეთის შემავალი ქვეყანა.

ეს მონაცემებიც, თითქოს, მხარს უჭერს იმ აზრს, რომ თბილისის ციხეები (თაბორი და კალა-შურის ციხე) გარკვეულ დროს „მცხეთის ქვეყნის" თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდნენ.

თუ ეს აზრი სწორია, მაშინ დასადგენია მცხეთისა და მისი შემავალი ქვეყნის თავდაცვითი სისტემის რაობა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ მიგვაჩნია ლეონტი მროველის ზემოთ მოტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ აზომ „...დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა". როგორც ვხედავთ, აქ მცხეთის კი არა, ქართლის პირას მდგარ ციხეებზეა საუბარი და, ვფიქრობთ, ლეონტი მროველიც იმდროინდელი მცხეთის შემავალი ქვეყნის (ძვ. წ. IV ს.) თავდაცვით სისტემას უნდა გულისხმობდეს და არა უშუალოდ მცხეთაში მდგომ ციხეებს. სხვათა შორის, ლეონტი მროველი ხომ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აზომ მოარღვევინა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ" და მხოლოდ ის ოთხი ციხე დასტოვა, „რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა". მცხეთა და ქართლი, მისთვის აშკარად სხვადასხვა შინაარსის მომცველი ცნებებია: მცხეთა ქალაქია, ქართლი კი, ამ ქალაქის შემავალი ქვეყანა, რომელსაც თავისი თავდაცვითი სისტემა აქვს. მოგვიანო ხანაში (ახ. წ. IV ს.), ჩანს, თბილისიც ამ თავდაცვითი სისტემის ნაწილი გახდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

# აბრაამის მოდგმის ბედისწერა

აბრაამის მოდგმის ეს ბედისწერა, გარკვეულ ტრადიციად რომ დამკვიდრდა, უმცროსი ვაჟის მოტივის ორიგინალური სახეა, ორიგინალური გააზრება იმ მოვლენებისა, რომელთაც თავი იჩინეს ებრაელი პატრიარქების ცხოვრებაში.

პირველად აბრაამის ცხოვრებაში იჩინა თავი ამ მოვლენამ.

ტრადიციასაც უშუალოდ აბრაამიდან დაედო საფუძველი.

კერძოდ, ერთი ეპიზოდიდან —

აბრაამის ცხოვრების მიმწუხრს, მის ოჯახში დაძაბული სიტუაცია და საკმაოდ მწვავე კონფლიქტები შეიქმნება მემკვიდრეობის თაობაზე (დაბადება, თავები 16; 21).

შვილის უყოლობის ხანგრძლივსა და მტანჯველ სადარდელს, იმდენად მტანჯველს, რომ აბრაამი ღმერთსაც კი ჰკადრებს საყვედურნარევ თხოვნას, ახლა ეს მწვავე კონფლიქტები შეენაცვლება.

კონფლიქტები სარრასა და აგარს შორის.

უმემკვიდრეოდ გადაგების შიშით გამოწვეული ქმრის აფორიაქებული ყოფა (ამ ყოფას კონტრასტულად აძლიერებს მათი დიდძალი ქონება, რომლის მემკვიდრედაც მათი სახლის მოურავი, დამასკოელი ელიაზარი უნდა დარჩეს) გაახსენებს სარრას მამა-პაპურ ადათს, რომლის მიხედვითაც, უშვილო ქალს შეეძლო თავისი მხევალი მიეცა ხარჭად ქმრისათვის და ამ კავშირის შედეგად გაჩენილი შვილი კანონიერი მემკვიდრის უფლებებით სარგებლობდა.

და სარრამაც ამ ოდინდელი ადათის საფუძველზე მოუყვანა აბრაამს ხარჭად თავისი მხევალი, აგარი, და სწორედ ეს იქცა ოჯახური კონფლიქტების მიზეზად.

კონფლიქტი ჩაისახება მაშინვე, როგორც კი აგარი შეიტყობს, შვილი უნდა შემეძინოსო, და მისი ქალბატონი ამით მის თვალში დამცირდება, რასაც სარრა ვერ შეეგუება და, აბრაამის ნებართვით, ჩაგვრას დაუწყებს აგარს.

აგარი გაექცევა სარრას, მაგრამ უფლის ანგელოზის სიტყვები უკანვე მოაბრუნებს.

თითქოს ოჯახში ყველაფერი დაშოშმინდება, მაგრამ შინაგანი დაძაბულობა, ეტყობა, არ უნდა დამცხრალიყო, რადგან როცა ჯერ აგარს შეეძინება ვაჟი და მერე, რამდენიმე წელი რომ გაივლის, სარრასაც, კონფლიქტი ახალი ძალითა და ისეთი სიმწვავით იფეთქებს, რომ უკვე შეურიგებელ მტრობაში გადაიზრდება.

კონფლიქტის განახლების საბაბად გამხდარა სულ უბრალო შემთხვევა, სახელდობრ ის, რომ ერთხელ სარრა შესწრებია, თუ როგორ დახცინოდა მის ვაჟს, ისაკს, ისმაელი, შვილი აგარისა.

ეს რომ მხოლოდდამხოლოდ საბაბია, რამაც ველარ მოათმენინა სარრას გულში ჩაგუბებული ჯავრი, თუ როგორ გადაწყდებოდა აბრაამის მემკვიდრეობის ბედი, იმ სიტყვებიდან ჩანს, სარრა ქმარს რომ ეტყვის, გააგდე მხევალი თავის ვაჟიანად, რათა ისმაელმა ჩემს შვილთან ერთად არ დაიდოს წილიო.

სარრას ეს აფეთქება ბუნებრივი შედეგია გარეგნულად დაფარული ოჯახური უთანხმოებისა, შინაგანი დაპირისპირებისა; და ამ თითქოს დაფარული შინაგანი დაპირისპირებისა და სარრას გულში ჩაგუბებული ჯავრის სიმწვავეს, ერთი შეხედვით როგორი მოულოდნელიც არ უნდა მოგვეჩვენოს, ყველაზე მკაფიოდ გვიმხელს და გვიდასტურებს ის ფაქტი, რომ ისაკი უფლის ნებით უნდა გახდეს აბრაამის მემკვიდრე და სწორედ მან, ისაკმა, უნდა გააგრძელოს ძირითადი გენეალოგიური შტო: უფალმა უნდა დაუდოს აღქმა, უფალმა უნდა აკურთხოს, უფალმა უნდა გახადოს ნაყოფიერი და გაამრავლოს.

თუკი ასეა, ხომ არ არის სარრას აქტიურობა და თავგამოდება სრულიად ზედმეტი, ჯავრი და გაღიზიანება კი უსაფუძვლო, მითუმეტეს, თავის ამ ნებას უფალი წინასწარვე, ჯერ კიდევ ისაკის დაბადებამდე, გამოუცხადებს აბრაამს.

უფალი ერთხელ კიდევ გამოეცხადება აბრაამს და ახლა სარრას გასაგონადაც ამცნობს, ერთ წელიწადში ვაჟი შეგეძინებათო. სარრას გულში გაეცინება, რაღა დროს ჩვენი შვილიაო, მაგრამ უფალი, მის ფიქრს რომ გამოიცნობს, აბრაამს დაბეჯითებით გაუმეორებს, ღმერთისათვის შეუძლებელი არაფერიაო.

მართალია, ადათის მიხედვით, ისმაელი ითვლება არა აგარის, მხევლის, შვილად, არამედ სარრას უფროს ვაჟად, მაგრამ ბუნებრივია, რომ სარრას ღვიძლი შვილი უფრო მეტად ჰყვარებოდა: და ისმაელის განსადევნად მიმართული მისი ასეთი გააფთრებული მცდელობა, ცხადია, იმით არის გამოწვეული, რომ წესით სწორედ ისმაელს, უფროს ვაჟს, უნდა რგებოდა მამის მემკვიდრეობა.

ძველი აღთქმა, თავისი მხატვრულ-აზრობრივი კონცეფციიდან გამომდინარე, კანონიერად მიიჩნევს, რომ აბრაამის მემკვიდრეობა ისაკს გადაეცა, და ამას ხსნის ღვთის ჩარევით, განგების ნებით; მაგრამ ეს მაინც ზოგადი ახსნაა, ზოგადი მოტივირებაა, რომელიც საერთოა მთელი ბიბლიური აზროვნებისათვის. ამიტომ როცა ძველი აღთქმისეული ეპიზოდების მოტივირებაზე ვსაუბრობთ, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს ამ საერთო მოტივირების მეორეული მხარე, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული ქვემოტივი ანუ საერთოდ მოტივირების „მიწიერი“ გამოვლინება.

ამ შემთხვევაშიც, სარრას უფალი აძლევს აქტიური და დაუბრკოლებელი მოქმედების საშუალებას, რათა აბრაამის შთამომავლობა გაგრძელდეს იმ გენეალოგიური ხაზით, რომელსაც ეროვნული მისიის აღსრულება ევალება. როგორი პასიური და შინაგანად მუდმივად დაშინებული, დაზაფრული პიროვნებაც უნდა იყოს ისაკი, ძირითადი გენეალოგიური შტო მაინც მან და მისმა შთამომავლობამ უნდა განაგრძონ.

„სიბერის ძე“ როგორც დაბადებისთანავე არის დახასიათებული ისაკი (21, 2), აქაც (ისევე, როგორც იოსებთან, ბენიამინთან, ამირანთან...), არა ფაქტის აღნიშვნაა, არამედ სხვა ბიბლიური, მითოლოგიური და ზღაპრული გმირების მსგავსად ისაკისთვისაც ის მუდმივი ეპითეტია, რომელიც მის გამორჩეულობაზე მეტყველებს.

ამდენად, რადგანაც აბრაამი არ ცდილობს მოვლენების მიმართულების შეცვლას და მათ მსვლელობას უდრტვინველად მიჰყვება, სიუჟეტის მიხედვით უმცროსი ძის მემკვიდრედ გამოცხადება მოტივირებულია სარრას ენერგიული ჩარევით, სარრასი, რომლის უკიდურესად გამძაფრებულმა და გამახვილებულმა ალქმამაც გააზვიადა სულ უბრალო, სხვისთვის ალბათ სრულიად შეუმჩნეველი ბავშვური შემთხვევა და ამ შემთხვევის მოსაბაბებით ოჯახური კონფლიქტები ბოლოს და ბოლოს ისაკის სასარგებლოდ და, თანაც, ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა.

სარრა ახორციელებს უფლის ნებას და მისი ამგვარი მოქმედების აუცილებლობას თვითონ უფალი უდასტურებს აბრაამს, სარრას ყველაფერი გაუგონე, რაც გითხრასო, რათა კიდევ ერთხელ მოაგონოს, რომ უამისოდ შეუძლებელია აბრაამის წიაღმა ის ვარსკვლავებივით ურიცხვი შთამომავლობა შვას, უფალი რომ დაპირდა — შეუძლებელია, რადგან რგოლი ამ ჯაჭვისა აუცილებლობის კარნახით ისაკი უნდა იყოს და არა ისმაელი.

ზურაბ კიკნაძე მონოგრაფიულ ნარკვევში „ბიბლიური სამყარო“ (რომელიც ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია) ამ ეპიზოდთან და, საერთოდ, მთელ ამ სიტუაციასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „...უპირატესობა მიენიჭა უმცროსს უფროსის წინაშე, რაც ბედისწერად დაჰყვა აბრაამის მოდგმას ყველა თაობაში — უმრწემესის უპირატესობა თითქოს აუცილებელიც შეიქნა“.

მკვლევარს მხედველობაში აქვს შემდგომი ამბები აბრაამის შთამომავალთა ცხოვრებიდან, ფაქტები, უმცროსი ძმის უპირატესობასა და ამ უპირატესობის აუცილებლობაში რომ გვარწმუნებს.

მართალია, ეს ფაქტები საილუსტრაციოდ არ არის მოხმობილი, მაგრამ აშკარაა, რაც იგულისხმება და, ამდენად, ეს სიტყვები შეიძლება გამოვიყენოთ თეზისად, რათა მასზე დაყრდნობით ამ ფაქტებს უფრო დეტალურად დავაკვირდეთ.

ზემოხსენებულ ნარკვევში ზ. კიკნაძე ლაკონურად, ოღონდ საგანგებოდ მსჯელობს ისაკის პიროვნულ ხასიათზე, მის პასიურ, თავისთავში დანთქმულ ბუნებაზე, რასაც, ცხადია, ბავშვობაში გადატანილ თავზარდამცემ შიშს უკავშირებს. უკავშირებს იმ საყოველთაოდ ცნობილ ეპიზოდს, ღმერთმა აბრაამს გამოსაცდელად, მისი ღვთისმოშიშობის შესამოწმებლად, ისაკის მსხვერპლად შეწირვა რომ უბრძანა და ისიც მზად იყო უფლის სიტყვები შეესრულებინა — შეჰკრავს ისაკს, სამსხვერპლო შეშაზე დააწვენს და დანასაც აღმართავს მის დასაკლავად (22, 1-10).

მკვლევარი იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ბიბლიის (და არამარტო ბიბლიის) სხვა გმირთაგან განსხვავებით, ისაკი საცოლის მოსაპოვებლად თვითონ კი არ მიდის, არამედ სახლთუხუცესი მოჰგვრის ქალს, რებეკას, და მოჰგვრის ისიც აბრაამის დავალებით.

ეს ეპიზოდი კიდევ ერთხელ აჩენს ისაკის ბუნების უმთავრეს თვისებას — პასიურობას.

და რაღა არის გასაკვირი, რომ თუ აბრაამიც კი მხოლოდ თვალს ადევნებდა მოვლენე-

ბის განვითარებას, ისე რომ რაიმეს შეცვლა სულ არ უცდია, ისაკიც ადვილად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად დამორჩილებოდა ბედისწერას.

არც ის არის შემთხვევითი, რომ თავიდან რებეკაც ბერწი იყო და მხოლოდ მას მერე დაორსულდება, რაც უფალი შეისმენს ცოლქმრის ვედრებას.

რებეკას ტყუპები ჩაესახება, რომლებიც საშოში ერთმანეთს ეჭაჭგურებიან („ეჭაჭგურებოდნენ ერთმანეთს შვილები მის საშოში...“ 25, 22). ამით სიმბოლურად მინიშნებულია მათი მომავალი დაპირისპირება პირველობისათვის, დაპირისპირება, რომელიც განგების ნებით უნდა გადაწყდეს არა უფროსი ვაჟის, ესავის (რამდენიმე წამით ადრე რომ დაიბადება), არამედ უმცროსის, იაკობის, სასარგებლოდ.

უფალი ამას წინასწარვე ამცნობს რებეკას, შენი საშოდან ორი ტომი გამოვა, ერთი ტომი მეორეზე ძლიერი იქნება, უფროსი უმცროსს დაემონებაო: „უთხრა უფალმა: ორი ხალხია შენს მუცელში, ორი ტომი გამოვა შენი საშოდან; ერთი ტომი მეორეზე ძლიერი იქნება, უფროსი უმცროსს დაემონება“ (25, 23).

„უფროსი უმცროსს დაემონებაო“, მოწმობს, რომ, ისევე, როგორც ისაკი, იაკობიც დაბადებიდანვე პოტენციურად ატარებს აბრაამის მოდგმის ძირითადი გენეალოგიური ხაზის გაგრძელებისა და პატრიარქობის უნარს.

იაკობი და არა ესავი.

ისაკს ესავი უფრო უყვარს, რებეკას — იაკობი.

ძველი აღთქმა ამ მიკერძოების მიზეზსაც განმარტავს — ესავი მონადირე იყო და ისაკს ის უფრო იმიტომ უყვარდა, რომ მის ნანადირევს ჭამდა, რებეკას კი იაკობი იმიტომ ერჩივნა, რომ უმცროსი ვაჟი, ესავისაგან განსხვავებით, კარვებში ცხოვრობდა და შინ ტრიალებდა.

და აქაც, ისმაელისა და ისაკისა არ იყოს, მემკვიდრეობის ბედი დედის მონდომებისა და ენერგიული ჩარევის შედეგად უნდა გადაწყდეს.

ისევე, როგორც ადრე სარრას, უფალი ახლაც თავისი ნების აღმსრულებლად ქალს ირჩევს.

უფლის ნება რებეკას აქტიურ მცდელობაში უნდა გამოვლინდეს და ამ აქტიურმა მცდელობამ უნდა განაგრძოს აბრაამის მოდგმის გენეალოგიური ხაზი ყველაზე სწორი მიმართულებით.

მოტივი აქაც იგივეა, რაც წინა ეპიზოდში — დედის მიკერძოებული სიყვარული უმცროსი ვაჟისადმი, მაგრამ დედის აქტიურობა აქ სხვაგვარად ვლინდება — სარრასაგან განსხვავებით, რებეკა იაკობის პირმშოდ დამკვიდრებას მოტყუებით, ეშმაკური მახის ლოგებით ახერხებს.

ამასაც თავისი მიზეზი აქვს: [illegible] აბრაამს გამორჩეულად არცერთი ვაჟი არ ჰყვარებია და სარრას შეუპოვარმა მცდელობამ ბოლოსდაბოლოს ამიტომაც გაამეტებინა ჩსმაელი, ახლა კი, რადგან ისაკის სიყვარული ესავისადმი სრულიად აშკარაა და დაუფარავი, რებეკა ბრმად კი არ ჰბაძავს სარრას, არამედ სიტუაციის შესაბამისად იქცევა.

სარგებლობს იმით, რომ ისაკი დაბერდა და თვალს დააკლდა.

სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობს, ისაკი დაიბარებს ესავს და ეტყვის, მშვილდ-ისარი წაიღე და ინადირე, ნანადირევისაგან ჩემი საყვარელი კერძი მომიმზადე, რომ შევჭამო და გაკურთხოო (ჩემმა სულმა გაკურთხოს).

საფიქრებელია, ისაკმა უფროსი ვაჟი მარტო იმიტომ მიიხმო და სხვების თანდასწრებით არ გაუმხილა კურთხევის სურვილი, რომ ოჯახურ უთანხმოებას მოერიდა, რადგან ისაკისთვისაც სრულიად აშკარა და დაუფარავი უნდა ყოფილიყო რებეკას მიკერძოება იაკობისადმი.

ისაკი იქცევა ისე, როგორც თითქოს წესით და ადათით უნდა მოქცეულიყო, პირმშოება ესავს ეკუთვნოდა და კანონიერი მემკვიდრეც ის უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამით ისაკი უნებლიეთ განგების წინააღმდეგ მიდის და ამიტომ ხდება აუცილებელი რებეკას ჩარევა და მოვლენათა მსვლელობისათვის გეზის შეცვლა.

რებეკა გაიგონებს ისაკის სიტყვებს, თანაც შემთხვევით კი არ უნდა მოეკრა ყური, არამედ როგორც მთელი სიტუაციის გათვალისწინებით შეიძლება ვარაუდის გამოთქმა, ყოველთვის მიყურადებული და მზადმყოფი უნდა ყოფილიყო, რათა ხელსაყრელი მომენტი არ გამოპარვოდა.

ამიტომაც არ გამოეპარა და ესეც შემდგომი მოვლენების კანონზომიერ ხასიათს გვიდასტურებს.

რებეკა სასწრაფოდ ამცნობს იაკობს მამის განზრახვას და გაანდობს გეგმას, თუ როგორ მოატყუონ ისაკი, რათა მან ესავის ნაცვლად უმცროსი ვაჟი დალოცოს.

დედა-შვილმა უთუოდ იცის, რომ ისაკი ვერ ენდობა მათ და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს; ამიტომ გარდა იმისა, რომ რებეკა თიკნებს დააკვლევინებს იაკობს და მათგან ისაკის საყვარელ კერძს მოამზადებს, თითქოს ესავის ნანადირევი იყოს, უმცროს ვაჟს ესავის ძვირფას ტანსაცმელსაც ჩააცმევს და ხელებსა და უბანლო კისერს თიკნის ტყავით დაუფარავს, რადგან ესავი ბანჯგვლიანი კაცი იყო და ისაკს იაკობისათვის ხელი რომ მოესვა, ეფიქრა, მართლა ესავს ველაპარაკებიო.

იაკობისა და ისაკის შეხვედრის მოკლე სცენა (27, 18-27) შინაგანად უაღრესად დაძაბუ-

ლია, რადგან თავიდან ბოლომდე ეჭვითა და უნდობლობით არის აღვსილი.

ისაკის ეჭვითა და უნდობლობით.

იაკობი რომ შევა ისაკთან და ეტყვის, მამაჩემო, ესავი ვარ და რაც დამავალე, შეგისრულეო, და კერძს მიართმევს, ისაკს მაშინვე ეჭვი გაჰკრავს, რა მალე მოგიძებნია ნადირიო; იაკობი უხსნის, ღმერთი შემეწიაო. ისაკი მაინც უნდობლობას იჩენს, მომიახლოვდი, ხელი შეგავლო, მართლა ესავი ხარ თუ არაო. იაკობი მიუახლოვდება, ისაკი ხელს შეავლებს, მაგრამ ბანჯგვლებს რომ იგრძნობს, ვერ იცნობს უმცროს ვაჟს, თუმცა მაინც ჩაილაპარაკებს, ხელები ესავისაა, მაგრამ ხმა იაკობისას ჰგავსო. ეჭვი მაინც არ უნელდება და იაკობს ეტყვის, მომიახლოვდი და მაკოცეო, რადგან მაინც ეშინია არ მოტყუვდეს. ესავის სამოსელის სუნს რომ იყნოსებს, ღვთითკურთხეული მინდვრის სუნს, უკვე ირწმუნებს, ესავი უნდა იყოსო და აკურთხებს. მთავარი აზრი კურთხევისა ის არის, რომ ესავი (როგორც ისაკს ეგონა) უნდა გაუხდეს ბატონად ძმებს, მას უნდა ემსახურონ ხალხები და თაყვანი სცენ ტომებმა:

„გემსახურონ ხალხები და თაყვანი გცენ ტომებმა იქმენ ბატონი შენი ძმებისა და თაყვანი გცენ დედაშენის შვილებმა...“ (27, 29).

ასე აღსრულდა ღვთის განაჩენი — უფროსი — უმცროსს დაემონებაო.

ისაკი უძლური იყო განგების წინაშე.

მოგვიანებით, შემდგომ თაობაში, განგების წინაშე, ცხადია, ასევე უძლურნი აღმოჩნდნენ იაკობის ვაჟები, თავიანთი უმცროსი ძმა, იოსები, სასიკვდილოდ რომ გაიმეტეს.

იოსები გადარჩა, რათა უმცროსი ძმის ხვედრი აღესრულებინა — ეხსნა ქანაანი შიმშილისაგან, გამოეწვია ძმების ზნეობრივი კათარზისი და მათთან ერთად გამხდარიყო ებრაელთა თორმეტი ტომის წინაპარი.

ეს იყო ხვედრი, რომლის აღსრულებაც არც ეკალებოდა და არც შეეძლო სხვა ძმას იოსების გარდა.

ღვთიური მადლი მასში გადმოვიდა, ისევე, როგორც მანამდე იაკობში, უფრო ადრე ისაკში, და ძირითადი გენეალოგიური ხაზიც მისით ამიტომ გაგრძელდა.

სხვა ეპიზოდებისაგან განსხვავებით, ეპიზოდებისა, სადაც უმცროსი ძმები გამოირჩევიან, მხოლოდ დაბადების ამ ნაწილშია (თავი 37-50) უმცროსი ძმის მოტივი სრული სახით დამუშავებული, მაგრამ ამაზე ცალკე წერილში მაქვს მსჯელობა (იხ. „მნათობი“, 1988, № 8) და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მითუმეტეს, რომ ამ ზოგადი და გაკვრითი გახსენებითაც უმცროსი ძმის უპირატესობა უფროსებთან შედარებით სრულიად აშკარაა.

იოსები აბრაამის მოდგმის მეოთხე თაობაა, უწყვეტი ჯაჭვის მეოთხე რგოლი.

არც მომდევნო თაობაში შენარჩუნდება უმრწემესის ბედისწერადქცეული უპირატესობა.

ეს უპირატესობა, უმცროსი ძმის კურთხევა უფროსის ნაცვლად, მკაფიოდ მჟღავნდება იაკობისა და იოსების შეხვედრის ერთ ეპიზოდში (თავი 48).

იაკობი სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობს და იოსებს ეტყვიან, მამაშენი ავად არისო, იოსები ხელს მოჰკიდებს თავის ვაჟებს — მენაშეს (უფროსს) და ეფრაიმს (უმრწემესს) და მამასთან ისე გამოცხადდება, რათა იაკობმა სიკვდილის წინ შვილიშვილები აკურთხოს.

იაკობი შვილიშვილებს პირველად ხედავს, რადგან იოსებს ჰკითხავს, ესენი ვინ არიანო; თან ერთბაშად იმიტომაც ვერ აღიქვამს, რომ სიბერისაგან თვალს აკლია — „თვალს დააკლდა ისრაელს სიბერისგან, ცუდად ხედავდა...“ (48, 10).

ეს შემთხვევით და სხვათაშორის არ უნდა იყოს აღნიშნული, საგანგებოდ მინიშნებულია, მითუმეტეს, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ თავის დროზე ისაკსაც თვალს დააკლდა და სწორედ ამით ისარგებლა იაკობმა, თავი რომ აკურთხებინა.

იოსები ხელს ჩაჰკიდებს შვილებს — ეფრაიმს ხელმარჯვნივ დაიყენებს, იაკობის მარცხენა მხარეს, ხოლო მენაშეს — ხელმარცხნივ, იაკობის მარჯვენა მხარეს, და მამას ასე მიეახლება.

იოსებმა წესით და ადათით იცის, რომ კურთხევისას მარჯვენა ხელი უფროს ვაჟს უნდა დაადონ თავზე, ხოლო მარცხენა — უმცროსს. და წესისა და ადათის შესაბამისადაც იქცევა. შვილები ისე დააყენა, რომ იაკობს ადვილად გამოეცნო, რომელი იყო უფროსი და რომელი — უმცროსი. მაგრამ იაკობი, იოსებისათვის მოულოდნელად, მარჯვენა ხელს თავზე დაადებს ეფრაიმს, უმცროს ვაჟს, მარჯვენას მენაშეს — უფროსს, და ისე აკურთხებს. ასე განზრახ მოიქცაო, იქვე განმარტავს ძველი აღთქმის ტექსტი.

იოსებს არ მოეწონება მამის საქციელი და მაშინვე ეცდება იაკობის შეცდომა, როგორც თვითონ ჰგონია, გამოასწოროს — დაიჭერს მამის მარჯვენა ხელს, რათა ეფრაიმის თავიდან მენაშეს თავზე გადაანაცვლოს.

იოსები საკმაოდ ენერგიულად ჩაერია კურთხევის რიტუალში, მაგრამ მოვლენებისათვის მიმართულების შეცვლას იაკობი არ დაანებებს, ვიცი, რომელია უფროსი და რომელი უმცროსი, მაგრამ უმცროსი უფროსზე მეტად უნდა განდიდდესო („...ვიცი, შვილო, ვიცი. ესეც წარმოშობს ხალხს, ესეც განდიდდება? მაგრამ მისი უმც-

როხი ძმა მასზე მეტად განდიდდება, მისი თესლისგან ურიცხვი ხალხი წარმოიშობა“, (18, 19) და ეფრაიმს მენაშეზე წინ დააყენებს.

იაკობი არ აუხსნის იოსებს თავისი გადაწყვეტილების მიზეზს, ასე გადაწყვიტა და მორჩა, მისი გადაწყვეტილება უცვლელია.

იაკობის სურვილის სიმტკიცე გვარწმუნებს, რომ ეს საქციელი მისთვის იმპულსური და შემთხვევითი კი არ არის, არამედ მკაფიოდ გაცნობიერებული — მის არსებაში ბუნებრივად და ღრმად არის გამჯდარი უმცროსისაკენ ლტოლვა, უმცროსის უპირატესობა.

თვითონაც უმცროსი იყო, მამამისიც უმცროსი და მისი ვაჟიც უმცროსი, ეფრაიმი მეხუთე თაობაა ანუ საგვარეულო ჯაჭვის მეხუთე რგოლი; იაკობმა იგრძნო, რომ მენაშესათვის უპირატესობის მინიჭებით ტრადიციული ჯაჭვი დაირღვეოდა.

ასეა თუ ისე, ეს ეპიზოდი ჰკრავს მთლიან რკალს და ბედისწერადქცეულ უპირატესობას უმცროსისა უფროსის წინაშე უკვე არა შემთხვევით, არამედ, გარეგნულად სხვადასხვაგვარი მოტივირების მიუხედავად, კანონზომიერსა და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სახეს ანიჭებს.

იმასაც შევნიშნავ, რომ ამავე საკითხებს მოკლედ განიხილავს გამოჩენილი ინგლისელი მკვლევარი ჯეიმზ ჯორჯ ფრეზერი წიგნში „ფოლკლორი ძველ აღთქმაში“ (რუსული თარგმანი იხ. მოსკოვი, 1985 წ., გვ. 193-96), ოღონდ სულ სხვა, კერძოდ, იურიდიული ასპექტით; და ამ განხილვის საფუძველზე ვარაუდობს ებრაელებში მინორატის არსებობას.

ეს ყველაფერი მისთვის მინორატის არსებობის კვალია.

ანალიზისას ერთ საგულისხმო მომენტსაც მიაქცევს ყურადღებას.

დაბადების ოცდამეცხრამეტე თავი მთავრდება იმით, რომ იოსების ერთ-ერთი ძმის, იუდას, რძალს ტყუპი ვაჟი ეყოლება, ოღონდ უცნაურად:

„შობისას ერთმა ხელი გამოყო, აიღო ბებია ქალმა და მეწამული ძაფი შეაბა, თქვა: ეს გამოვიდა პირველად.

როცა უკანვე შეაბრუნა ხელი, აჰა, გამოვიდა მისი ძმა და თქვა ბებია ქალმა: როგორ გამოარღვიე ზღუდე? ამიტომაც დაერქვა სახელად ფარეცი.

[illegible] გამოვიდა მისი ძმა, ხელზე მეწამული ძაფი რომება, და დაერქვა სახელად ზარახი“ (39, 27-30).

მკვლევარმა პირველ რიგში ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მთელი ეს თავი ამოვარდნილია ძირითადი სიუჟეტური ქარგიდან. თვითონ მოთხრობიდან ვერ ვიგებთ, რისთვის დასჭირდა ავტორს ეს ეპიზოდიო, წერს ჯ. ფრეზერი, მაგრამ მისი არსებობა გამართლებული გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარეცი უშუალო წინაპარი იყო დავით წინასწარმეტყველისა, რომელიც ასევე უმცროსი ძე იყო და რომელმაც, თავის მხრივ, უმცროს ვაჟს, სოლომონს, დაუტოვა ტახტი და არა ადონიასო.

ჯ. ფრეზერისათვის ესეც იურიდიული ასპექტითაა მნიშვნელოვანი და კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია მინორატის არსებობისა.

მრავალმხრივ დამაფიქრებელი დაკვირვებაა და დამაფიქრებელი, ცხადია, იმ მხრივაც, რომ მისეული ანალიზის საფუძველზე ხდება მკაფიო ძირითადი სიუჟეტური ხაზიდან ამ თითქოს ამოვარდნილი ეპიზოდის დანიშნულება.

სიტუაცია ნაწილობრივ განმეორებულია.

ფარეცი და ზარახი უთუოდ ისევე ეჯაჯგურებიან ერთმანეთს დედის მუცელში, როგორც იაკობი და ესავი, მაგრამ იაკობისაგან განსხვავებით ფარეცი დედის მუცელშივე მოიპოვებს უპირატესობას ძმასთან შედარებით, ძმასთან, რომელიც წესით და რიგით პირველი უნდა დაბადებულიყო.

აქაც კვლავ ბედისწერა ჩაერია.

უფროს-უმცროსობაც ბედისწერამ განსაზღვრა.

მოტივირება ფარეცის ადრე დაბადებისა, როგორც ვთქვი, სწორედ ჯ. ფრეზერის მიერ შენიშნული მომენტის (ფარეცი — დავით წინასწარმეტყველის წინაპარი) გათვალისწინების შემდეგ ხდება მკაფიო, მომენტისა, რომელიც ებრაელ მემატიანეს უთუოდ ჰქონდა ნაგულისხმევი (სხვაგვარად სიუჟეტისათვის იუდას ოჯახური ამბები სრულიად ზედმეტი იქნებოდა), რათა კიდევ ერთხელ აღენიშნა, კიდევ ერთხელ გამოეკვეთა უპირატესობა უმცროსი ვაჟისა უფროსის წინაშე და ამით ეს ეპიზოდიც ძირითადი ტრადიციული ჯაჭვისათვის დაეკავშირებინა.

●

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

●

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების— 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 16.05. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 06. 86 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 04702, ტირაჟი 32.000, შეკ. 1238. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ